და ამითცა ცთომილნი არიან[8] საწყალობელნი იგი სპარსნი მათთა სხუათავე ზღაპრობათა თანა, რომელ ოცდაათეულისა დანაკლებსა ანუ დანამეტებსა წლითი წლად თერთმეტსა დღესა არა დაათუალვენ მეცამეტისა მთუარისა წელიწდად გასასრულებელსა[9]. და ყოველთა წელიწადთა თერთმეტითა დღითა ზე-უკუვარდების რამადანი მათი, ერთისა მთუარისა სამარხავი, ოდესმე სთუელსა, ოდესმე შუა ზაფხულ[10] და უკულმა და უკულმა სლვითა[11] წელთა|რაოდენთამე გაზაფხულ. და 320v მერმე რაჲ ოცდაცამეტად საგონებელი წელიწადი გასრულდეს მათგან, მასვე ჟამსა მივარდების და სათუალავითა თუეთაჲთა ოცდათორმეტი წელიწადი შეიქნების[12] და ორნი დღენი დაჰმეტდებიან[13]. და არცა თუეთა სახელნი იცნიან[14], მათვე უკულმა მავალთა მთუარეთა უჴმობენ მათითა ენითა და საზღაპროჲთა შჯულითა და ღმრთისმეცნიერებითა.

ესეცა უწყოდეთ, ოდესცა ფებერვალსა ნაკი შეემატოს, ერთი დღე მთუარეთაცა შეემატების და ამისთჳს თერთმეტისა დღისა უმეტესი არცა მაშინ დააკლდების მთუარისა დღეთა თჳსა დღეთა ოდენობად.

ხოლო ჰურიანი ძუელითა მით სჯულითა მოსესითა დაღაცათუ მთუარეთავე უწოდენ სახელსა, პირველსა მთუარესა ნისანი ჰქჳან და უკუანაჲსკნელსა ადარი. და ოდესცა მეცამეტესა[15] მთუარესა მოაქცევდენ თერთმეტეულისა დართვითა[16] წელიწადისა გასასრულებელად, გარნა არაჲვე დაკლებაჲ არს თუეთა ზედა, არა დღესასწაულობაჲ, ვინაჲთგან თეთრმეტეულისა დანაკლებითა სპარსთაებრ არა უკუვარდებიან და[17] მეცამეტისა მთუარისა მოუქცევრობითა არა შესცთებიან იმით სათუალავითა, ვითარცა ზემო ვთქუ.

და ამას ზედა იქმნა, დიდი იგი პასექი ეგჳპტით გამოსლვისაჲ, რომელი იყო მომასწავებელი ახლისა ამის შჯულისაჲ[18], რომელსა ზედა იქმნა ვნებაჲ ცხოველსმყოფელი. და ამისთჳს მეცამეტესა მთუარესა ოდესცა მოაქცევდენ, ამას იტყჳან: წელს უკუანაჲსკნელი[19] ორივე მთუარე ა დ ა რ ი არისო.

---

[1] სხუაჲცა C. [2] შემატე C. [3] იქმნას C. [4] დამეტდებოდეს C. [5] მეაცხრამეტესა C. [6] არცა+რაჲ C. [7] დამეტდების C. [8] არიან C. [9] გასრულებულსა C. [10] შუა ზაფხულ|გაზაფხულ C. [11] სულითა A. [12] შეიქმნების C. [13] დამეტდებიან C. [14] იციან C. [15] ცამეტსა C. [16] დართვით C. [17] და C. [18] სჯულისა C. [19] უკუანაჲსკნელ C.

3. უწყებაჲ დიდისა მცხრალისაჲ, თუ რაჲთა[1] დაიყენების დიდი|ოგი პასექი და ცხოველსმყოფელი აღდგომაჲ

321r

ვინაჲთგან იმით სათუალავითა გაძნელდების ცოდინი დიდისა მცხრალისაჲ, რომელ არს ვნებაჲ უფლისა ჩუენისა იესუ[2] ქრისტესი, ამისთჳს დავწერე სათუალავი ზედნადებისაჲ, რომელ მიზეზი ეგრეცა უწყოდეთ, თუ ესე ამისგან იქმნებისო. და ამისთჳს დაწერეს ცამეტორი, რომელ ესე გულის ჴმა-იყოფებოდის, თუ რომლისა თჳსა სათუალავსა შინა მიხუდების დიდი იგი მცხრალი პასექისაჲ. და ესრეთ წერილ არს დიდსა ქრონიკონსა შინა: ცამეტ, ორ, ოცდაორ, ათ, ოცდაათო. ესე ანბანთა სათუალავითა სწერია წესისაებრ.

და უკუეთუ ამისი ვისმე ზეპირ დასწავლაჲ გენებოს, ათნი კაპატონნი[3] არიან დიდისა ქრონიკონისანი, და დასაწყისსა ქრონიკონისასა მეხუთისა კაპატონისა[4] თავსა ჯუარი დამისუამს. და მას ჩაუდეგ და ზეპირ იგი ჩაისწავლე, ცხრამეტ წელ გააწევს, გინა ცხრამეტ სტიქონამდე. და რაჲ ესე ზეპირ[5] დაისწავლო, უოცოჲ ყოველი აპრილია[6] და ოციანი მარტი. ამისთჳს, რომელ აპრილსა თურამეტსა[7] წინა არ გავალს, და მარტსა ოცდაერთსა შიგნით არ შემოვალს დიდი იგი მცხრალი პასექისაჲ, რაოდენიცა მცირანი[8] აღებანი იყუნენ. და რაჲ ესე ზეპირ დაისწავლო, მაშინ ამათ კაპატონთა[9] ზემოჲთ მეოთხისა სტიქონისა დასაწყისსა მიაჩუენებს. რაჲ მასცა ჩაუდგე, რომელი მარტია ანუ რომელი აპრილი, და შენისა წადილისათჳს, ცამეტორსა[10] ზემოჲთ რომე მეოთხე კაპატონი[11] არს, სამნი ჩიტისთუალნი დამისხმან. და ამის მიზეზისათჳს გააწევს ცხრამეტ წელ[12] ხუთეული
321v და ექუსეული, ზედნადები და ცამეტორი მათისა|მცხრალისა საუწყებელი. და რაჲზომსაცა მარტსა შინა სცხრეს, გინა აპრილსა, მისსა მეცხრამეტესა და მეცხრამეტესა წელიწადსა, მასვე თუესა და მისვე თჳსა სათუალავსა შინა სცხრების.

და უკუეთუ ცამეტორისა ზეპირ დასწავლაჲ გეწყინებოდეს, ოდესცა აპრილსა შინა სცხრეს, ოცი დღე დაათუალე და ორივე რაოდენიცა შეიქმნას[13], ოცდათერთმეტსა რაჲზომიცა დაჰმეტდეს[14], აპრილსა შინა სცხრების ეგზომსა. და თუ ოცდათერთმეტამდე არ[15] გააწევდეს იგი ჰაგზომი, ეგდენსავე მარტსა შინა სცხრების. და უკუეთუ მარტსა შინა სცხრეს, რაოდენსაცა[16] ამის სათუალავისა მოცემითა ცხრამეტსა დღესა დაურთევდი და მას განუტევებდი. და უკუეთუ აპრილ-

---

[1] რჲთა|რ̄თა C. [2] იესუს C. [3] კაპიტონნი C. [4] კაპიტონისა C. [5] ზეპირ–C. [6] აპრილი არს C. [7] თურამეტსა|ცხრამეტსა C. [8] მცირენი C. [9] კაპიტონთა C. [10] ცამეტორს C. [11] კაპიტონი C. [12] წლად C. [13] შეიქმნას C. [14] დამეტდეს C. [15] არა C. [16] რაოდენისაცა C.

სა ჩჯდმეტსა ოდესმე სცხრეს ამით სათუალავითა, მაშინცა ცხრამეტი[1] დღე დაათუალე მას ზედა მარტისაებრ და თჯნიერ ამისა[2] აპრილისა ცხრომასა ზედა ოცსა დაათუალევდი[3] და მარტისასა ცხრამეტსა, და მას განუტევებდი. რაჲცა დაჰმეტდებოდის[4] ოცდათერთმეტეულსა, იგი დანამეტები აპრილისა ცხრომაჲ არს ჰაგზომისაჲ[5] და[6] დანაკლები მარტისაჲ არს ჰაგზომისაჲ[7] ვითარცა-ესე ზემოჲთ დამიწერია. და რაჲ ესე ყოველივე ზეპირ დაისწავლო[8] და კარგად მიხუდებოდე ცხრომასა მთუარისასა, იპყარ სათუალავი მის თჯსაჲ ჰაგზომი[9], სადაცაღა ამა დასწავლითა მიხუდეს, და დაათუალე დღისსაძიებელი[10] მის თჯსაჲ და შჯდეული მის წლისაჲ, რომელ არს ხარებაჲ. უკუეთე კჯრიასა[11] იყოს, ერთი დღე, და თუ ორშაბათსა იყოს, ორი დღე, და მას წაღმა ვიდრე შაბათამდე რომელსაცაღა დღესა იყოს; და ესე სამივე რიცხჯ რაჲზომიცაღა[12] შეიქნას[13], შჯდეულად და შჯდეულად განუტევე, და რაჲცა მას[14] დაჰმე|ტდეს[15], იგი 322r
დღე არს. უკუეთუ ერთი დაჰმეტდეს[16] —კჯრიაჲ[17], და თუ ორი დაჰმეტდეს[18],—ორშაბათი. და უკუეთუ შჯდეულსა არც რაჲ დაჰმეტდეს[19] და არცა რაჲ დააკლდეს, იგი შაბათი არს ცხრომისა დღე. და ამა შჯდთა დღეთაგანსა, რომელსაცაღა მიხუდეს ბზობითგან და[20] ვიდრე დიდად შაბათამდე და ამას შუა რომელიცაღა დღე იყოს ცხრომაჲ დიდისა პასექისაჲ, ამას არ დასცილდების. და მერმე რაჲცაღა აღვსებამდე დღენი დარჩებოდენ მის მზგეფსისანი კჯირიაჲთურთ, მას ცხრომისავე დღესა და მისვე თჯსა სათუალავსა, რაჲზომსაცა[21] იყოს ცხრომაჲ, ზედა მიათუალე და ჰაგზომსა[22] მის თჯსასა იქნების[23] ცხოველსმყოფელი აღდგომაჲ.[24]

და ეგების ესეცა, რომე მარტისა ცხრომასა შიგან კჯრიამდე[25] აპრილისა დღენიცა შემოვიდენ, რაჲ იგი მზგეფსი ვნებისაჲ გასრულდეს და ჰაგზომსა[26] აპრილსა მიხუდების აღვსებაჲ. მარტსა შინა თუ სცხრებოდეს, დღისსაძიებელსა[27] სამსა დაურთევდი და აპრილსა[28] შინა[29] ექუსსა და შჯდეულსა მის წელიწდისასა[30], და ესე კალიბად განუტევებდი. უკუეთუ ესრე მცირაჲ[31] შეიქნას ესე სამივე, რომე შჯდამდე[32] ვერ გააწევდეს, იგი რომელიმე დღე არს. და უკუეთუ შჯდი შეიქნას, შაბათი იქნების[33]; გინა[34] ათოთხმეტი, ანუ ოცდა-

---

[1] ცხრამეტი|ცამეტი C. [2] ამისსა C. [3] დაათლვიდი C. [4] დამეტდებოდის C. [5] აგზომისა C. [6] და C. [7] აგზომსა C. [8] ~ზეპირ დაისწავლო ყოველივე C. [9] ეგზომი C. [10] დღისა საძიებელი C. [11] კჯრიაკე C. [12] რაზომიცაღა|რაოდენიცაღა C. [13] შეიქმნას C. [14] მას— C. [15] დამეტდეს C. [16] დამეტდეს C. [17] კჯრაჲ C. [18] დამეტდეს C. [19] დამეტდეს C. [20] და— C. [21] რაზომიცა C. [22] აგზომსა C. [23] იქმნების C. [24] აღდგომაჲ |აღვსებაჲ C. [25] კჯრამდი C. [26] ეგზომსა C. [27] დღისა საძიებელსა C. [28] აპრილისა C. [29] შინა C. [30] წლისასა C. [31] მცირე C. [32] შჯდამდე C. [33] იქმნების C. [34] გინათუ C.

ერთი, გინა ოცდარვაჲ, ანუ ოცდაათხუთმეტი, ანუ[1] ორმეოცდაორი[2], ესე ყოველი შაბათი არს. და[3] ამას შუა რომელსაცა ანუ წალმართ რაჲზომიცა[4] დაჰმეტდეს[5] ანუ დააკლდეს, იგი დღე არს გინა ერთი, გინა ორი, ვიდრე[6] შჯდამდე.

და ვინაჲთგან წელიწდისა დღეთა თანა უდღესასწაულოჲ არ ეგების ესრე, თუმცა ანუ საუფლოჲ არ იყო[7], ანუ წმიდისა რომლისამე საჯსენებელი, რომელიცა რომლისაცა თჯსა სათუალავსა მიხუდებოდეს, 322v ესრევე დღისსაძიებელი[8] დაურთე მის თჯსა და |შჯდეული მის წლისაჲ და ესრევე შჯდეულად განუტევე, ვითა დიდისა მცხრალისათჯს დამიწერია. იგი დანამეტები არს ანუ დანაკლები იგი დღე.

და რაჲ დიდისა მცხრალისათჯს გაიზეპირო დღისა პოვნაჲ, მერმე ამითვე სამითა სათუალავითა, რომლისაცა დღესასწაულისაჲ გინდეს, საუფლოჲსაჲ გინა წმიდისაჲ, იგი დღე არს, რომელსაცა ეძიებდე შჯდთავე დღეთაგანსა.

იანვარსა და ოკდონბერსა დღისსაძიებელი[9] არა აქუს; დღესასწაულსა ზედა შჯდეულსა დაურთევდი მის წელიწდისასა[10], რომელ არს ხარებაჲ, და ამათ ორთა თუეთა შინა ესე ორი რიცხჯ კმა არს შჯდეულისა განსატევებელად. და ამისსა მიზეზსა ქუემოჲთრე მოგითხრობ, თუ რაჲსა მიზეზისათჯს არა აქუს დღისსაძიებელი[11] ამათ ორთა თუეთა.

4. დიდისა მცხრალისათჯს

ყოველი მთუარე მეთხუთმეტისა დღისათა[12] ჟამთა რაოდენთამე შემოიგდებს[13] საცხრომელად, ანუ დღისათა და ანუ ღამისათა. და ესე დიდი მცხრალი ცხოველსმყოფელისა ვნებისაჲ ჩჯდმეტისა დღისაჲ სცხრების მიუწდომელობითა ღმრთისაჲთა. და დღე ცხრომისაჲ ამითცა იძიების: რომელსაცა დღესა[14] ხარებაჲ მიხუდეს, აპრილი მასვე დღესა დადგეს, რვაჲ აპრილი და[15] თხუთმეტი აპრილიცა. და ამათ რომელთაცა[16] შინა[17] სცხრეს, იგი დღე არს. და თუ შუა სადმე სცხრეს ხარებასა[18] და აპრილისა დადგომასა გინა რვასა, გინა თხუთმეტსა შუა თურამეტამდე,[19] ესე ცოდინი მასცა თანა დაგწურავს და გაპოვნიებს. და ხარებისაგან[20] წინაჲს[21] ოდესცა სცხრეს, ხარებითგან ზეუ-

---

[1] ოცდაერთი... ანუ C. [2] ორმოცდაორი C. [3] და C. [4] რაზომცა C. [5] დამეტდეს C. [6] ვიდრე C. [7] არა იყოს C. [8] დღისასაძიებელი C. [9] დღისა საძიებელი C. [10] წელიწდისა C. [11] დღისა საძიებელი C. [12] დღისა C. [13] შამოიგდებს C. [14] დღესა C. [15] და C. [16] რომელთა C. [17] შინა |შუა C. [18] ხარებისა C. [19] თურამეტამდი C. [20] ხარებისაცა C. [21] წინა C.

კუ ძებნე, მცირანი[1] დღენი იქნებიან[2] და არა გაგისაჭიროვდების. და ყოველნი დღენი ყოველთა თუეთანი ამითცა შეიგებიან: რომელსაცა დღესა თუე დადგეს, რომელიცალა რვაჲ და|თხუთმეტი[3] და[4] ოცდაო- 323r
რი და ოცდაცხრაჲ იგივე დღე არს. და ამას შუა და წალმართ რომელი-
ცა დღე გინდეს, ესე სათუალავნი მასცა თანა დაგწურევენ. და ამის ჯერისათჳს გონიერმან კაცმან თჳთცა რაჲმე გულისჴმა-ყავ[5] და ჰაგრე[6] პოე[7] მის წმიდისა დღესასწაული.

5. მარხვისა დაყენებისათჳს

რაჲზომსაცა აპრილსა აღვსებაჲ იყოს, ამით სათუალავისა დასწავლითა იპყარ ფებერვალი ჰაგზომი[8] და მას ზედა სამი დღე დაათუალე და თუ ნაკი ჰქონდეს ოთხი; და რაჲზომიცა შეიქნას, ჰაგზომსა[9] ფებერვალსა არს[10] ჴორცითა აღებაჲ დღე კჳრიაკე. და თუ მარტსა შინა მიხუდეს აღვსებაჲ, იანვარი იპყარ ჰაგზომი[11] და მას დაათუალე იგივე უნაკოდ სამი და ნაკითა ოთხი. და უკუეთუ პირმარხვაჲ გინდეს, ჰასრევე[12] იანვარისა პყრობაჲ დაგემართოს ანუ ფებერვალისაჲ, თერთმეტი დღე დაათუალე ზედა, და[13] თუ ნაკი ჰქონდეს——თორმეტი, და იგი პირმარხვაჲ იქნების[14] მის თჳსა ჰაგზომსა[15]. და იანვარისა პყრობასა ზედა დაურთო ესე სათუალავი, თუ რადმე[16] ოდესმე ოცდათერთმეტსა დაჰმეტდეს[17], იგი განუტევე. და იგი დანამეტები რაჲცა შეიქნას[18], ჰაგზომსა[19] ფებერვალსა დადგების პირმარხვაჲ. და თუ[20] ფებერვალისაჲ[21] დაგემართოს პყრობაჲ რაჲზომისაჲცა და მას ზედა თერთმეტისა დღისა დართვაჲ და ნაკითა[22] თორმეტისაჲ[23], და თუ ოცდარვასა რაჲცა[24] დაჰმეტდეს[25], და თუ ნაკი ჰქონდეს ოცდაცხრასა, ჰაგზომსა[26] მარტსა მიხუდების პირმარხვაჲ. და თუ არაჲ დაჰმეტდეს[27] ოცდარვასა ანუ ოცდაცხრასა, რაჲზომიცაღა[28] შეიქნას, ჰაგზომსა[29] ფებერვალ|სა მიხუდების პირმარხვაჲ. და ესეცა იქნების[30]: 323v
რაჲზომსაცა მარტსა აღვსებაჲ მიხუდეს[31], ოცდაორსა შიგნით არო-
დეს[32] მიხუდების, მაშინ ორსა[33] ფებერვალსა მარხვაჲ დადგების და ნაკიანად–სამსა, და ოცდარაჲზომსაცა მარტსა აღვსებაჲ იყოს, უოცოდ ჰაგზომსა[34] ფებერვალსა დადგების მარხვაჲ. და თუ ნაკი

[1] მცირენი C. [2] იქმნებიან C. [3] თხუთმეტი|თოთხმეტი C. [4] და—— C. [5] ~თჳთცა რაჲმე გულისჴმა-ყავ გონიერმან კაცმან C. [6] ეგრეთვე C. [7] პოე— C. [8] ეგზომი C. [9] ეგზომსა C. [10] არს C. [11] ეგზომი C. [12] ასრევე C. [13] და-C. [14] იქმნების C. [15] ეგზომსა C. [16] რაჲმე C. [17] დამეტდეს C. [18] შეიქმნას C. [19] ეგზომსა C. [20] თუ C. [21] ფებერვალსა C. [22] ~ნაკითა და C. [23] თორმეტსა C. [24] რაჲ C. [25] დამეტდეს C. [26] ეგზომსა C. [27] დამეტდეს C. [28] რაზომიცა C. [29] ეგზომსა C. [30] იქმნების C. [31] მიხუდეს იყოს C. [32] არაოდეს C. [33] ორსა |ოცდაორსა C. [34] ეგზომსა C.

ჰქონდეს, ერთსა დღესა სხუასა დაათუალეჳდი[1], და თუ ამას იქმ-
მარტსა შინა აღვსებისათჳს, იანვარისა პყრობაჲ არღარა[2] დაგემარ-
თების.

და უკუეთუ მოციქულთა მარხვაჲ გენებოს, ოდესცა აპრილსა ერ-
თსა აღვსებაჲ მიხუდეს, ოცდათორმეტი დღე იქნების[3] მაშინ. და თუ
მას წაღმა მიხუდეს, რაოდენიცა დღე აპრილისაჲ იმარხო, ჰაგზომი[4]
დღე ოცდათორმეტსა დააკლე და რაჲცა დარჩეს, ჰაგზომი[5] დღე არს
მარხვაჲ მოციქულთაჲ. და თუ[6] მარტსა შინა მიხუდეს დიდი აღ-
ვსებაჲ, რაჲზომიცა დღე მარტისაჲ სჭამო აღვსებითურთ, იგი ოცდა-
თორმეტსა დღესა მიჰმატე[7] და ჰაგზომი[8] დღე შეიქნების[9] მოციქულ-
თა მარხვაჲ მას წელიწადსა.

6. უწყებაჲ დღისსაძიებელთათჳს[10], თუ რაჲსა მიზეზისაგან შეიქმნებიან

დაღაცათუ[11] დასაბამად წელიწდისად დადგომაჲ სეკდენბერისაჲ
დადებულ არს, გარნა ესევითარისა სათუალავისა და გამოძიებისათჳს
და ამის ყოვლისათჳს[12], რომლისა წერასა შინა ვარ, იანვარის დაწ-
ყებაჲ დადებულ არს წელიწდისა[13] დასაბამად. • და იანვარსა აქუს დღე
ოცდაათერთმეტი; • და ფებერვალსა—ოცდარვაჲ სამსა წელიწადსა შინა[14]
წართვით, და მეოთხესა და მეოთხესა წელსა ერთი დღე ოცდა-
მეცხრედ შეემატების და ესე არს ნაკი; • და მარტსა—ოცდათერთმე-
324r ტი[15]; • და აპრილსა—ოცდაათი[16]. • და მაისსა—ოცდათერთმეტი.[17] |• ივნის-
სა—ოცდაათი; • და ივლისსა—ოცდაათერმეტი; • და აგჳსტოსსაცა[18] ოც-
დაათერთმეტივე დღე აქუს; • და სეკდენბერსა—ოცდაათი; • ოკდონბერ-
სა—ოცდაათერთმეტი; • ნოენბერსა—ოცდაათი; • და დეკენბერსა—ოც-
დაათერთმეტი დღე[19]. • და ამას ჰკიდავს გადიდებაჲ
დღეთაჲ საზამთროდ და საზაფხულოდ, და ამას ზედა ჰკიდავს საჴსე-
ნებელი ყოველთა წმიდათაჲ და საუფლოთა დღესასწაულთაჲ, თჳნი-
ერ მისსა, რომელნი დიდსა აღვსებასა შეუდგენ.

და ესე არს დღისსაძიებელი[20] ყოველთა თუეთაჲ: იანვარი შჳდეუ-
ლად განუტევე თჳნიერ დღისსაძიებლისა[21] და იგი მისი[22] დანამეტები
შჳდეულისაჲ ფებერვალისაჲ დღისსაძიებელი[23] არს. და ფებერვალი
განუტევე მისითა დღისსაძიებლითურთ[24] შჳდეულად და იგი არს
მარტისაჲ. და არღარა სიტყუათა ვაგრძელებ, ამით სათუალავითა

---

[1] დაათუალვიდი C. [2] არა C. [3] იქმნების C. [4] ეგზომი C. [5] ეგზომი C. [6] თუ C. [7] მიმატე C. [8] ეგზომი C. [9] შეიქმნების C. [10] დღისასაძიებელთათჳს C. [11] დაღათუ C. [12] ყოველისათჳს— C. [13] წელიწდისა C. [14] შინა C. [15] ოცდაათერთმეტი C. [16] და აპრილსა ოცდაათი C. [17] ოცდაათერთმეტი+და C. [18] აგჳსტოჲსსა C. [19] დღე C. [20] დღისსაძიებელი C. [21] დღისა-C. [22] დღისა-C. [23] დღისა-C.

ვითაცალა[1] დღისსაძიებელსა[2] შეიგებდე[3], მას თუესა მისითა დღისსაძიებლითურთ[4] განუტევებდი შჯდეულად და რაჲცა დაჰმეტდებოდეს[5], მისი[6] დღისსაძიებელი იქმნების, რომელსაცა თუესა ზედა მიაყენებდე. და გარდასრული თუე ესე კალიბად[7] განტევებული, რასაცა შჯდეულისაგან დაიმეტებს, მისსა შემდგომსა თუესა მისცემს დღისსაძიებლად. და სეკდენბერი მისითა დღისსაძიებლითა შჯდეულად განტევებული ოკდონბერისათჯს[8] შჯდსა დაიმეტებს[9]; და ამისთჯს არა აქუს ოკდონბერსა დღისსაძიებელი[10], რომე მისთჯს დანარჩომი შჯდეულსავე თანა განსატევებელი არს იანვარისა დაწყებითგან გარდასრულთა თუეთა თანა. და ოკდონბერი განუტევე თჯნიერ დღისსაძიებლისა[11] შჯდეულად. და თუ შენ გენებოს, დღისსაძიებელიცა[12] მიეც იგი შჯდი დღე სეკდენბერსა მომეტებული. და რაჲცა ოკდონბერსა ჰაგრე[13] შჯდეულად განტევებულსა მოჰმეტდეს, იგი ნოენბერსა მიეც დღისსაძიებლად[14]. და ესრეთვე ნოენბერი განუტევე| შჯდეულად და მისი 324v
დანამეტები დეკენბერსა მიეც. და ამისგან შეიქნებიან დღისსაძიებელნი თუეთანი*.

უკუეთუ ზეპირ დასწავლაჲ გეწყინებოდის[15], ამით შეიგებდი, ანუ ზეპირ დასწავლილი დაგვიწყდებოდეს, ამითვე სათუალავითა ჰპოვებდი[16] რომლისაცა თჯსა დღისსაძიებელი გინდეს. და თუ გეწადოს, ესეცა იქნების[17]: რომლისაცა წმიდისა დღესასწაულსა ეძიებდე, გინა საუფლოსა რაოდენსაცა თჯსასა, რომელიცა იყოს ერთითგან და[18] ვიდრე გარდამავალამდე, მას ეგზომსა ზედა იანვარისა დაწყებითგან გარდასრულნი ყოველნი[19] დღენი წინაჲსთა[20] თუეთანი ზედა დაათუალენ და ერთბამად შჯდეულად განუტევენ ნაცვალად დღისსაძიებლისა. და ხარებაჲცა ზედავე[21] დაათუალე მის წელიწდისაჲ. და რაჲცალა[22] მას დაჰმეტდეს[23], იგი დღე იქნების მის თჯსა ჰაგზომი[24]. და ესე სათუალავი ამითა[25] გაგიადვილდების: რომელიცა თუე ოცდათერთმეტი იყოს, სამთა დღეთა აიხუემდი, და რომელიცა ოცდაათი იყოს, ორთა აიხუემდი[26] გარდასრულთა თუეთაგან და მათ ანაკრებთა შჯდეულად განუტევებდი მის თჯსა ჰაგზომითურთ[27] და მის წელიწდისა[28] ხარებითურთ. და რაჲცალა მას დაჰმეტდეს[29], იგი დღე იქმნების, რომლისაცა წმიდისა დღესა ეძიებდე. და ფებერვალისა ნაკსა შჯდეულად განსატევებელთა თანა ნუ დაათუალავ, ოდესცა ჰქონდეს ამისთჯს, რომე ხარებაჲ და ყოველნი დღენი სამსა წელიწადსა თჯთო[30] დღესა წაიცვალებენ.

---

[1] ვითაცა C. [2] დღისა-C. [3] შეიგებდი C. [4] დღისა-C. [5] დამეტდებოდეს C. [6] მის C. [7] კაბ~ლ C. [8]-თჯსა C. [9] დაამეტებს C. [10] დღისა-C. [11] დღისა-C. [12] დღისა-C. [13] აგრე C. [14] დღისა-C. [15] გეწყინებოდეს C. [16] ანუ ზეპირ...ჰპოვებდი C. [17] იქმნების C. [18] და C. [19] ~ყოველნი გადასრულნი C. [20] წინასა C. [21] ზედა C. [22] რაცა C. [23] დამეტდეს C. [24] ეგზომი C. [25] ამით C. [26] აიხუემდი C. [27] წარიცვალებენ C. [28] წლისა C. [29] დამეტდეს C. [30] თჯთოსა C. *ხელნაწერის აშიაზე არის ტექსტის გაგებასთან დაკავშირებული კომენტარი, რომლის ტექსტი იხ. აქვე დანართი, გვ. 73, №21.

და რაჲ ფებერვალისა ნაკმან ორი დღე წააცვალებიოს[1] ხარებასა, მერმე მის წელიწდისა ხარებაჲ რაჲ დაურთო მის ნაკისა ნაცვალად, იგი ეყოფის. და იანვარი რაჲ დადგეს, წინამდებარესა ხარებასა უნდა პყრობაჲ შჯდეულად მის წელიწდისად.|

325r და უკუეთუ ნაკი ჰქონდეს იანვარისა და ფებერვალისათჳს დღისა საპოვნელად, რომე დღისსაძიებელსა და თჳსა რიცხუსა ზედა დაურთო, ხარებისა წინა დღე იპყარ შჯდეულად ამისთჳს, რომელ მარტისა დადგომამდე[2] თჳთო დღისა მეტსა არა წაიცვალებენ[3] ამა ორთა თუეთა დღესასწაულნი. და რაჲ ნაკმან[4] ხარებაჲ ორსა დღესა წაცვალოს[5], ამათ ორთა თუეთა შინა შეაცილვებს და იგი ხარებისა წინა დღე უნაკოსა[6] ხარებასა ენაცვალების, და მას მოიჴმარებდი შჯდეულად[7] ამა ორთა თუეთათჳს.

222r 7. უგანცხადებულესადრე ჯერ-არს გამოთ|ქუმაჲ დღისსაძიებელთათჳსვე, რომელთათჳს პირველსა[8] საუწყებელთა შინა აღვწერე*

რაჲ მისთჳს ჰლიოთ ამის ჯერისა კითხვაჲ, ვიდრე მეორედ წითლულადმე, უკუანის ესე შეუდგინე მეძიებელმან. რაჟამს იანვარი კჳრიაკესა დადგეს, მისთუალევდი დღეთა, ვიდრე შჯდადმდე. და შჯდი მის თჳსაჲ შაბათი არს და ერთითგან და ვიდრე შჯდადმდე ადვილად იცნობების დღესასწაული, რომელიცაღა რომელსაცა დღესა იყოს. და იანვარსა შჯდსა წალმა რომელიცაღა დღესასწაული გინდეს, საუფლოჲ გინა წმიდისაჲ მასვე თუესა შინა, გინა სხუათა თუეთა შემდგომთა ვიდრე გარდამავალამდე დეკენბერისა და დაწყებამდე მეორისა იანვარისა ყოველნი დღენი შჯდეულად განუტევენ მად დღესასწაულადმდე, რომლისაცა წმიდისასა ეძიებდე, გინა საუფლოსა იანვარითგან ერთით ვიდრე მეორედ დაწყებამდე. და უკუეთუ შჯდეულსა არცა რაჲ დააკლდებოდეს და არცა დაჰმეტდებოდეს, სხუაჲ დღე არს, ვითა ზემოჲთ[9] დამიწერია, და მას წელიწადსა ხარებისა დართვაჲ არ უნდა იანვარისა დაწყებისა კჳრიაკეობისათჳს.

222v და ოდესცა შჯდეულსა|დაათუალავ შემდგომსა წელიწადსა მის წმიდისა დღესასწაულსა ზედა იანვარისა დაწყებითგან შჯდეულად განტევებულისასა, რომელიცა რომელსაცა დღისა იყოს, წლითი წლად

---

[1] წარიცვალოს C. [2] დადგომამდე C. [3] წარიცვალებენ C+ და C. [4] ნაკმან |მარტმან C. [5] ცვალოს C. [6] უკანასა C. [7] შჯდეულად—C [8] პირველსა |. ქუემოსა A. [9] ზემოჲთ|ქუემოჲთ A.

* ეს პარაგრაფი A ხელნაწერში წარმოდგენილია 222r-223V ფურცლებზე. ამიტომ, ბუნებრივია, ავტორი ხმარობს სიტყვას ქუემოით. ნიკოლოზ ორბელიანის ნუსხაში პარაგრაფი თავის ადგილზეა, ამიტომ მან გაასწორა ტექსტი.

სხუად და სხუად დღე ცვალებისათჳს დაათუალვენ შჯდეულსა, რომელ არს ხარებაჲ. და ვითა იგი წაიცვალებს, ეგრეთვე ყოველთა წელიწადისა დღეთა წასცვალებს. და ესე კუალადცა მითქუამს: ნაკიანსა წელიწადსა შჯდეულად ხარებისა წინა დღესა მოიჴმარებდით, რომელსაცა დღესა იყოს იანვარისა და ფებერვალისათჳს ოდენ და მასცა მასვე თანა შჯდეულად განუტევებდი, ვითარცა ხარებასა, რომელსაცაღა დღესა იყოს.

და დღისსაძიებელნი ამისთჳს არიან: რაჲ იანვარისა დაწყებითგან რომელადცა დღესასწაულადმდე შჯდეულად განსატევებელნი დღენი განმრავლდებოდენ, რიცხჳ განსაწყინოვდების და ნაცვალად ამისსა მას დღესასწაულსა ზედა დღისსაძიებელი დაურთე მის თჳსაჲ და მის წელიწდისა ხარებითურთ შჯდეულად განუტევე, და იგი დღენიცა აღრაცხილად დაიჭირენ, რაზომსაცა[1] დღესასწაული მიხუდეს, მაშინ შენგან საძიებელი.

დღისსაძ|იებელნი ესე არიან: იანვარსა რომელ არა აქუს, მიზეზი 223r
ზემოჲთ[2] დამიწერია; და ფებერვალსა აქუს დღისსაძიებელი სამი, მარტსა სამი, აპრილსა ექუსი, მაისსა ერთი, ივნისსა ოთხი, ივლისსა ექუსივე, აგჳსტოსა[3] ორი, სექდენბერსა ხუთი, ოკდონბერსა არაჲ, გინა შჯდი (ამისი მიზეზიცა მითქუამს), ნოენბერისაჲ სამი, დეკენბერისაჲ ხუთი, და ამისი მიზეზი ზემოსა[4] საუწყებელსა შინა დამიწერია, თუ რაჲსგან შეიქმნებიან. და ესეცა უწყოდე, რომელ იანვარი და ოკდონბერი ერთსა დღესა დადგებიან და ამისთჳს არა აქუს დღისსაძიებელი, ფებერვალი უნაკოჲ და მარტი ერთსა დღესა დადგებიან, ამისთჳს ორსავე სამი და სამი აქუს დღისსაძიებელი. აპრილი და ივლისი ერთსა დღესა დადგებიან, ამისთჳს ექუსი და ექუსი აქუს დღისსაძიებელი. სექდენბერი და დეკენბერი ერთსა დღესა დადგებიან, ამათ ხუთი და ხუთი აქუს დღისსაძიებელი. ნოენბერი ფებერვალისა და მარტისა დადგომისა დღესა დადგების,| ამისთჳს მასცა სამი 223v
აქუს დღისსაძიებელი.

და უკუეთუ იმით რიცხჳთა იძიო, ვითა პირველსა საუწყებელსა შინა დღისსაძიებელთასა დამიწერია, ზეპირ უცოდინელსა ეგრეცა გუაუწყებს ამათვე რიცხუთა დღისსაძიებელისათა, რომელსაცა თუესა რაოდენიცა აქუს და რომელსაცა არა აქუს, რომელი ქრონიკონსა ქუემოჲთ დავწერე. მაისი, ივნისი და აგჳსტოსი სხუასა და სხუასა დღესა დადგებიან და არცა რომელი სხუაჲ თუე დადგების ამათისა დადგომისა დღესა. და ამისთჳს თავის-თავისად აქუს დღისსაძიებელი უზიაროჲ და რომელნიცა თუენი გინა ორნი, გინა სამნი ერთსა

[1] ნუსხაშია: რავზომსაცა. [2] ზემოჲთ] ქუემოჲთ A. [3] აგჳსტსა. [4] ზემოსა] ქუემოსა—A.

დღესა დადგებიან, ერთისა რიცხჳსაი აქუს დღისსაძიებელი.

და ბერძენნი დიდისა მცხრალისა [დღისა]* საპოვნელად ოკ-
დონბერისა დაწყებითგან განუტევებენ ცხრომისა დღითურთ შჳდეუ-
ლად და ხარებისა ნაცვლად წინა დღესა დაათუალვენ მას თანავე
შჳდეულად განსატევებელად. და ბერძულად დღისსაძიებელი ოკ- 5
დონბერსა არცა აქა, იანვარსა ა, ფებერვალსა და მარტსა ოთხი და
ოთხი, და აპრილსა არა, მისთჳს დიდისა მცხრალისა რიცხჳ და
ხარებისა წინა დღე კმა არიან, რომელსაცალა დღესა იყოს ანუ
რაოდენსაცა აპრილსა სცხრეს შჳდეულისა განსატევებლად.

325v

8. მიზეზისათჳს, თუ რად მოიკმარებიან ზედნადებნი

დაღაცათუ დიდი იგი მცხრალი ვნებისაჲ ამათ ზედნადებთაგან
იქმნების, გარნა ცამეტურისა[1] მინდობისა და სხუათაცა სათუალავ-
თათჳს, რომელნი დიდსა მცხრალსა ჰპოებენ, აღარავინ მოიკმარებს
გამოსათუალავად[2] სიძნელისათჳს, ვითარცა ესე ზემოჲთ[3] დავწერე. 15
და სხუათა დღეთა შინა რომე იძიებდენ მთუარესა, თუ რაჲ ზომისა
დღისაჲ იქმნებისო,[4] იპყარ იგივე დღესასწაული, რომელიცა გენებოს,
და მის თჳსა ჰაგზომსა[5] ზედა მის წელიწდისა ზედნადები დაათუა-
ლე. და იანვარითგან გარდასრულთა თუეთაგან თჳთო დღე ზე აიღე
და ერთი დღე მის თჳსაჲცა[6] აიღე, რომელსა შინა ეძიებდე, და მასვე 20
ზედა მიათუალე. და ესე სამივე რიცხჳ რაზომიცა შეიქმნას[7], ოცდა-
ათამდე[8] თუ დააკლდეს, ჰაგზომისა[9] დღისაჲ იქმნების. და თუ ოცდა-
325v ათეულსა | ანუ სამოცეულსა რაჲცა დაჰმეტდეს,[10] იგი ოცდაათეულად
განუტევე, და რაჲცა დარჩეს,[11] ჰაგზომისა[12] დღისაჲ იქმნების მთუარე;
და თუ ოცდაათი შეიქმნას[13] გინა სამეოცი,[14] რომელ ამას ორსავე 25
რომელსამე არცა რაჲ დაჰმეტდეს,[15] არცა[16] დააკლდეს, მაშინ ოცდაა-
თისა დღისაჲ იქმნების. და იანვარსა და ფებერვალსა შინა არ[17] კარგა
შეიგების, თუ გონიერად გულისჴმის-მყოფელი კაცი არ[18] იქმნების.
და ამით წესითა შრანდელთა თუეთა და შრანდელისა[19] ზედანადებსა-
ცა წამოსთუალვენ. და იანვარსა ანუ ფებერვალსა შინა რომელსა- 30

---

[1] ცამეტორისა C. [2] სათუალავად C. [3] ზემო C. [4] იქნების C. [5] ეგზომსა C. [6] მის თჳსაჲცა] მისგანცა C. [7] შეიქნას C. [8] ოცდაათსა C. [9] ეგზომისა C. [10] დამეტდეს C. [11] დაგრჩეს C. [12] ეგზომისა C. [13] შეიქნას C. [14] სამოცი C. [15] დამეტდეს C. [16] არცა+რა C. [17] არა C. [18] არა C. [19] შრანდელთა C. [20] გაჰჴდებოდეს C.

* ხელნაწერში ეს სიტყვა არ იკითხება

ცა[1] დღესა გინდეს, ესე ორივე შრანდელი მას ზედა დაათუალე თჳსა ჰაგზომსა[2] და ოცდაათეულად განუტევე იგიცა. განა[3] გულსა შინა უთანაღროდ არ[4] რომელი დღე შეიგების და ამისთჳს არავინ მიანდო ზედნადებითა გამოთუალვასა[5] დიდი მცხრალი თუცა მიზეზი ეგრეცა ზედნადები არს დიდისა პასექისა, ოდესმე მარტსა შინა ცხრომისაჲ,[6] ოდესმე აპრილსა. და მთუარე გამოჩნდების ოდესმე ორისა დღისაჲ და ოდესმე სამისაჲ. ხუთეული და ექუსეული ამისთჳს აღრაცხეს, რომე ცხრამეტსა[7] წელიწადსა შინა რაოდენი დღე მორჩების თჳსა დღეთაჲ მთუარისა დღეთა უმეტესად და სხუათაცა სათუალავთა შინა რადმე, რომელი აქა არა[8] მეტად საჴმარ არს გრძელად მეტყუელებისა საწყინობისათჳს[9] და მოჴმარებასა არცა 326r რადმე უკანა შედგომილ ვარ, თჳნიერ მიზეზის[10] მცოდნელობისა. არცა ინდიკტიონი მიძევია, არცა მარცუალნი და ანაკრებნი ამისთჳს, რომე საეკლესიოდ და მარხვათა დაყენებისათჳს და მის ყოვლისავე[11] მიზეზისა მცოდნელობისათჳს ესეცა კმა იყო გონიერად გულისჴმისმყოფელთათჳს.

9. უწყებაჲ დასაბამითგანთა წელთაჲთგანცა[12] მასწავებელი, უკუეთუ შეგცილდენ ესე ყოველნივე რიცხუნი[13] ამის ზემოჲთწერილისანი[14]

პირველად დიდისა მცხრალისათჳს[15] და ზედნადებისა. წელნი იპყრენ დაბადებითგანნი მად ჟამადმდე, რომელსაცა წელიწადსა შინა სდგა,[16] რაჲსთენნიცაღა[17] გარდასრულ იყვნენ, და ყოველნივე ცხრამეტეულად განუტევენ. და რაჲცაღა მას დაჰმეტდეს[18], ჰაგზომისა[19] წელიწადისა ცამეტურნი[20] ქუე ჩათუალენ. და[21] რომელსაცა ზედა მიაყენო, შეგაგებიებს, რომელი მარტსა სცხრების ანუ აპრილსა. და უკუეთუ ცხრამეტეულსა არაჲ დაჰმეტდეს[22], ერთი კიკლოსი იქნების სრული და ცხრამეტი წელიწადი ერთობ ქუე ჩაათუალე მითვე ცამეტურითა[23].

და უკუეთუ ზედნადებისაჲცა[24] გინდეს, ჰაგრევე[25] დაკარგულისა პოვნაჲ[26], და გინა ხუთეულთა, ექუსე|ულთაჲ, ისევე[27] ცხრამეტეულად[28] განტევებულისა დანამეტები და[29] გინა ერთობილი ცხრამეტე- 326v

---

[1] რომელსა C. [2] ეგზომსა C. [3] გარნა C. [4] არა C. [5] გამოთჳლასა C. [6] ცხრომაჲ C. [7] ცხრამეტისა A. [8] არაჲ A. [9] საწყინობისათჳს C. [10] მიზეზისა C. [11] ყოვლისა C. [12] წელთათაცა C. [13] რიცხჳნი A, [14] ზემო-C. [15] მცხრალისა C. [16] სდგე C. [17] რასთენნიცა C. [18] დამეტდეს C. [19] ეგზომისა C. [20] ცამეტორნი C. [21] და C [22] დამეტდეს C. [23] ცამეტურითა C. [24] ზედნადებისა C. [25] აგრევე C. [26]. პოჳნაჲ]ცნობაჲ C [27] ისევე C. [28] ცხრამეტეულისა C. [29] და C.

ული დაჰმეტდებოდეს[1], თითო წელიწდისაჲ თერთმეტი და თერთმეტი დღე ზე აიღე, რომელი შუა გაყოფით ხუთეულად და ექუსეულად შეიქმნების და ერთბამად და[2] განუყოფელად ორას და ცხრაჲ დღე შეიქმნების თჳსა დღეთაჲ, რომელნი მთუარისა დღეთა დაჰმეტდებიან[3] ცხრამეტ წელ. და უკუეთუ კიკლოსი ჩჳდმეტი, ანუ თურამეტი, ანუ ცხრამეტი დაჰმეტდებოდეს[4] თერთმეტეულად აკრებულთა დღეთა თანა, ერთსა დღესა სხუასა შესძენდი. და[5] შეძინებისა მიზეზი ზემოვე მითქუამს. და მას ყოველსავე ზედნადებისათჳს ოცდაათეულად განუტევებდი. და რაჲსთენიცაღა დაჰმეტდეს[6] ანუ დააკლდეს, გინა ოცდაათეული შეიქნას, რაოდენიცაღა ჰაგზომი[7] იქმნების[8] ზედნადები მის წელიწდისაჲ[9]. და ესე ყოველივე[10] შეცილებული ამითა[11] გეპოების მას წელიწადსა, რომელსაცა შინა სდგე.

და ცხრამეტეულად ესრეთ განუტევებდი: ოცეულისაგან თჳთოსა აიღებდი, და ასისა და[12] ასისაგან––ხუთთა და ხუთთა, და ათასისაგან ორმოცდაათი აკრიბის[13] ცხრამეტეულისა დანამეტები. და მის ორმო-
327r ცისაგან ორნი აიხუენ და მის ათსა[14] მიჰმატენ[15] | და იგიცა ცხრამეტეულად წავა. და ესე ათასისაგან თორმეტი[16] ადგების ცხრამეტეულისა დანამეტები. და თჳთო[17] ათასეულთაგან თორმეტსა და თორმეტსა აიღებდი და რაჲსთენიცაღა[18] შეკრბებოდეს, მასცა[19] ცხრამეტეულად განუტევებდი.

და უკუეთუ ხარებაჲცა შეგცილებოდეს[20] მის წელიწდისაჲ, ესრეთვე სოფლისა დასაბამითგან[21] ყოველნივე ოცდარვეულად განუტევენ. და უკუეთუ ერთი დაჰმეტდეს[22], კჳრია[23] დღე არს ხარებაჲ, და თუ[24] ორი––, ორშაბათსა[25] არს,[26] და თუ სამი დაჰმეტდეს[27], სამშაბათსა[28]. და უკუეთუ ოთხი დაჰმეტდეს[29] და მას წაღმა რაოდენიცაღა[30], ოცდარვამდე ოთხეულთაგან თჳთო[31] დღესა ზე აიღებდი და მასვე ზედა დაჰმატებდი,[32] რაჲსთენიცაღა ოცდარვეულსა დაჰმეტდებდეს[33] და[34] მას შჳდეულად განუტევებდი დანამეტებსა ნაკებითურთ. და რაჲცაღა შჳდეულსა დაჰმეტდეს,[35] იგი დღე არს ხარებაჲ. და შჳდეულად ჰაჲსრევე[36] განუტევებდი, ვითა დასაწყისსა დამიწერია.

და ოცდარვეულად ესრეთ განუტევე:[37] ოცდაათისაგან ორთა აიხუმიდი[38] და სამოცისაგან ოთხთა წელიწადთა, და ასისაგან და ასისაგან
327v თექუსმეტსა და თე | ქუსმეტსა, და[39] ათასისა და ათასისაგან ოცსა

---

[1] დამეტებოდეს A. [2] და—C. [3] დამეტდებიან C [4] დამეტდებოდეს C. [5] და—C. [6] დამეტდეს C. [7] ეგზომი C. [8] იქნების C. [9] წლისა C. [10] ყოველი C. [11] ამით C. [12] ასისა და—C. [13] აკრბების C +და C. [14] ათსა] ათასსა C. [15] მიმატენ C. [16] თურმეტი A. თურამეტი C. [17] თითო C. [18] რასთენიცა C. [19] მასვე C. [20] შეგცილდებოდეს C. [21] დასაბამითგანნი C. [22] დამეტდეს C. [23] კჳრაჲ C. [24] თუ—C. [25] ორშაბათი C. [26] არს—C. [27] დამეტდეს C. [28] სამშაბათი C. [29] დამეტდეს C. [30] რაოდენნიცაღა C. [31] თჳთოსა C. [32] დამეტებდი C. [33] დამეტდებოდეს C. [34] და—C. [35] დამეტდეს C. [36] ისრევე C. [37] განუტევებდი C. [38] აიხუმიდი C. [39] და—C.

და ოცსა, და რაჲ ასად გაჴდებოდეს[1], მაშინცა თექუსმეტსა წელიწადსა აიღებდი ოცდარვეულისა დანამეტებად[2].

და ამით რიცხჳთა არ[3] ოდენ წლეული წელიწადი გეპოვნების[4], დასაბამით აღასასრულამდე რაოდენიცა გინდეს, გინა გარდასრული, გინა წინამდებარე. დაღაცათუ შჳდ ათასთა წელთა მეტი არა დაბადებულ არს, გარნა[5] შენ ამით საქმითა დასაბამითაგან და აღსასრულსა წალმა ბევრის ბევრეულსაცა[6] შეიგებ, უკუეთუ ბუნებასა რადმე შეაქცევდე. და რიცხჳსა სიმართლესაცა უკეთე[7] ცხად-ჰყოფს და შეუცილებლობასა, რაოდენ გინდა დიდნი წელიწადნი გამოიძივნე[8],—თუ მაშინ ესე ყოველივე[9] ვითა ყოფილაო. და ათჳერ ათასსა ვინაჲთგან ბევრი ჰქჳან, რაოდენისაცა ბევრისაჲ დასაბამობითგან გწადდეს,——თუ მაშინ ვითა იქნებისო, თჳთო[10] ბევრეულისაგან ექუსსა და ექუსსა აიღებდი და მასცა ცხრამეტეულად განუტევებდი. და ოცდარვეულისა განსატევებლად ბევრეულისაგან ოთხ-ოთხსა წელიწადსა აიღებდი და მასცა ოცდარვეულად განუტევებდი

და ზედნადებთა[11] და ხუთეულ-ექუსე|ულთათჳს თჳთო[12] წელიწად- 328r
სა დასაბამობითგან ქუე დააკლებდი და მას განუტევებდი ცხრამეტეულად. და ამისი მიზეზი ესე არს, რამეთუ ღმერთმან სამნი დღენი თჳნიერ მნათობთაჲსა დაჰბადნა განყოფითა ოდენ ჟამთაჲთა დღეებად და ღამეებად. და დღესა მეოთხესა და თჳსაცა ოთხსა შექმნა მნათობნი განმყოფელად დღისა და ღამისა ჟამთა და წელიწადთა. და მეორისა წელიწდისა დაწყებამდე[13] თერთმეტი დღე დააკლდა მთუარეთა თორმეტთა თუეთა ოდენობად და ამისთჳს ზედნადები მეორესაღა[14] წელიწადსა[15] დაიწყებს, რომლისა მიზეზისათჳს თჳთო წელიწადი დავანაკლულე.

და უკუეთუ დასაბამობითგანთა წელთა პყრობაჲ გეწყინებოდის[16], ამის ქრონიკონისანი იპყრენ, რაჲსთენიცა[17] გარდასრულ იყვნენ წლეულამდე და გინა ამას[18] წალმა გარდაჴდებოდენ. ნიშანი დასაბამობითგანი და მის ქრონიკონისაჲ წელს დიდსა ქრონიკონსა შინა დამისუამს და[19] რიცხჳ[20] ყოვლისაჲვე ზემოსა საუწყებელსა შინა დამიწერია. და ვითაცა წელიწადი გარდაჴდებოდეს, ზედა მიათულიდი და მის ქრონიკონისასა ესრევე[21] ოცდარვეულად და ცხრამეტეულად განუტევებდი. და ამისისა | მიზეზისათჳს არს ესე, რომელ ოცდარვა წელ 328v
შჳდეული გააწევს, ვითარცა ესე ცხრამეტ წელ დიდი მცხრალი ზედნადებითურთ და ხუთეულ——ექუსეულითურთ[22]. და ვინაჲთგან სამი წელიწადი უნაკოჲ არს და მეოთხე ნაკიანი, და ხარებაჲ ზემოსა

---

[1] გაჰჴდებოდეს C. [2] დანემეტებად A. [3] არ]არა C. [4] გეპოების C. [5] განა A. [6] ბევრეულთაცა C. [7] უკეთ C. [8] გამოიძიენ C. [9] ყოველი C. [10] თითოს C. [11] ზედნადებითა C. [12] თითოსა C. [13] დაწყებადმდე C. [14] მეორისღა C. [15] წელსა C. [16] გეწყინებოდეს C. [17] რასდენნიცა C. [18] მას C. [19] და-C. [20] რიცხვი A. [21] ისრევე C. [22]-ექუსეულით C.

უნაკოსა დღესა კჳრიაკესა[1] მიხუდების[2] დასაწყისსა ქრონიკონისასა და ოცდამერვესა[3] წელიწადსა ნაკითა შაბათსა ზედა[4] დაესრულების. და ვითა ზემონი[5] კაპატონნი[6] მიაჩუენებენ ქრონიკონისანი, დასაწყისსა ხარებისათჳს ანი ზის უნაკოდ და ოცდამერვესა სტიქონსა[7] ზენი ზის ნაკითა ხარებისათჳს. და ოცდამერვესა და ოცდამერვესა წელიწადსა[8] ზემოჲ უნაკოჲ ზემოსა უნაკოსა ემოწმების და შუაჲ უნაკოჲ შუასა უნაკოსა და მესამე უნაკოჲ მესამესა უნაკოსა და მეოთხე ნაკიანი მეოთხესა ნაკიანსა. და რაჲ ორგანვე თითი დასდვა თავსა და ბოლოსა და ოცდარვაჲ სტიქონი ჩასთუალო ხარებისაჲ, ოცდამეცხრესა ზედა შეიგებ თითის[9] მიჩუენებითა. ესე ოცდარვეული ცხრამეტჯერ დასრულდების და გინა მეხუთენი კაპატონნი[10] დიდისა მცხრალისანი,
329r რომელნი ჩათუალვითა ცხრამეტ სტიქონამდე[11] | გააწევენ და თითის[12] მიჩუენებითა მასვე თუესა და მისვე[13] თჳსა სათუალავსა ზედა აცხრომებს. ესე ოცდარვაჯერ იქცევის ცხრამეტეული, გინა ოცდარვაჲ ცხრამეტჯერ[14], რომელ არს ერთბამად ხუთას ოცდათორმეტი წელიწადი. თავსა ერთგან დაიწყებენ ოცდარვეულნი და ცხრამეტეულნი და მეოცესა სტიქონსა ზედა გაიყრებიან და ქრონიკონისა დასრულებასა ბოლონი ერთგანვე შეიყრებიან, იგივე მოწამენი დასაწყისისანი. და მისთჳს ჯერ-არს დასაბამობითგანთა წელთაჲ, ვიდრეცა გენებოს, ოცდარვეულად და ცხრამეტეულად განტევებაჲ და[15] გინა ამის ქრონიკონისა დაწყებითგან. და ამის ჯერისათჳს სანთელი სულიერისა ფილასოფოსობისაჲ[16] წმიდაჲ იოვანე შავთელი შეწყობითა იანბიკონთაჲთა კეთილად და ღმრთივ შუენიერად წარმოაჩინებს.

და უკუეთუ გენებოს, ნულარა თითითა მაჩუენებ, და ნაცვლად ჩიტისთუალი[17] დამისუამს ყოველთავე განსაყოფელთა ოცდარვეულისა და ცხრამეტეულისათა. და ესე ჩიტისთუალნი დასაწყისისა და ბოლოჲსაგან კიდე ერთგან აღარსად[18] შეიყრებიან.

10. ძიებისათჳს და შემოწმებისა ბერძენთა და ქართველთა სათუალავისა

329v | უკუეთუ გენებოს ძიებაჲ[19], თუ რაჲსა მიზეზისათჳს უმეტესთა წელთა თუალვენ სოფლის[20] დასაბამობითგანთა[21] ქართველნი, ანუ რად წინა უძღჳან ოთხმეოცდაათექუსმეტითა[22] წელიწდითა[23] სათუა-

---

[1] კ˜კე C. [2] მიხვდების A. [3] ოცდამერვე. [4] ზედა] დღესა C. [5] ზემოთნი C. [6] კაპიტონნი C. [7] სიტიქონსა C. [8] წელსა C. [9] თითისა C. [10] კაპიტონი C. [11] სტიქონამდე] წლ̃მდი C. [12] თითისა C. [13] მ̃სვე C. [14] ოცდარვაჯერ ცხრამეტი C. [15] და--C. [16] ფილოსოფოსობისა C. [17] ჩიტისთ̃ლისა C. [18] აღარასა და C. [19] ძიებაჲ--C. [20] სოფლისა C. [21] დასაბამითგანთა C. [22] ოთხმეოცდათექუსმეტითა C. [23] წლითა C.

ლავსა ბერძენთასა, რომელსა დაბადებითგან იტყჳან, იგი[1] სისულელისა ჩუენისა[2] განაგონებელად საჭირო უჩნდა წმიდათა ღმრთისათა და მის მხოლოჲსავე კაცთმოყუარისა ცოდინსა ოდენ მიაჩემეს და არღარა მათსა მეცნიერებასა. გარნა არაჲ საკჳრველ არს მათგან დატევებულისა ნეშტისა ჩემგან ჴელ-ყოფაჲ საკადრებელად, ვინაჲთგან ძალთაცა მიეცა ნამუსრევისაგან ტაბლისა* და მზეცა სწორებით ჰნათობს მაღალთა ადგილთა და მდაბალთა მოფენითა დღისაჲთა.

წელნი იპყრენ დასაბამითგანნი, ვიდრე წლეულადმდე[3] ექუს ათას შჳდას ორმეოცდაერთნი, უნაკლულესნი ქართველთა სათუალავისა[4] და ცხრამეტეულად განუტევენ იგიცა. და რაჲცა მას დაჰმეტდეს[5] უნაკლულესი ცხრამეტისაჲ, გინა იგივე ცხრამეტი, მის დანამეტებისაგან თჳთო[6] წელიწდისაჲ ათერთმეტი და ათერთმეტი დღე ზე აიღე, ვითარცა ესე ზემოჲთ[7] დავწერე. და ესე ყოველნივე ანაკრებნი ათერთმეტეულებისანი[8] ერთბამად ოცდაათეულად განუტევენ. და რაჲცა მას დაჰმეტდეს[9], ზედნადებად შეიქნების მის წელიწდისად[10], რომელსაცა | შინა სდგე. და მეჩჳდმეტესა[11] და მეთურამეტესა და მეათცხრამეტესა[12] წელსა ერთსა დღესა სხუასაცა დასძენდი[13] იმას[14] ათერთმეტეულებსა[15] ოცდაათეულად[16] განსატევებელსა ამისისა მიზეზისათჳს, რომელ ერთსა ცხრამეტეულსა შინა ერთგზის თორმეტი დღე[17] დააკლდების მთუარეთა წელიწდისა დღეთა ოდენობად და მთუარე ოცდაცხრა დღედ და ნახევრად ვერა სრულებით განაწევს, დაღაცათუ ზემოჲთ გაწევნაჲ[18] დავწერე თქუენისა ადვილად უწყებისათჳს, გარნა მარცუალნი და კერატნი რაჲმე დააკლდებიან, გინა ჟამი[19] რაჲმე დღისაჲ ანუ ღამისაჲ, რომელი ათცხრამეტსა წელიწადსა შინა ერთ დღედ და ერთ ღამედ შეიქნების. და უკუეთუ ზედნადები ოცდაექუსი შეიქნას, ათორმეტი დღე დაურთე, იგიცა ეგრევე[20] ოცდაათეულად განუტევე. არღარა შჳდი ოდენ დაჰმეტდეს[21] ზედნადებად, რომელ რვაჲ იყოს მის წელიწდისა ზედნადები. და თჳნიერ ამისსა ნიადაგ თერთმეტი და თერთმეტი დღე დააკლდების მთუარისა დღეთა თუეებისა[22] დღეთა ოდენობად, რომელი მეცხრამეტესა[23] წელსა ორას და ათ დღედ შეიქმნების[24] და განტევებით ოცდაათეულსა არცა რაჲ დაჰმეტდების[25] და არცა[26] დააკლდების, რომელი განყოფით ხუთეულებად და ექუსეულებად შეიქმნების, უკუეთუ ორას და ათსა ერთი დღე დააკლო.

330r

330v

---

[1] იგინი C. [2] სისულელესა რ~ნაC. [3] წლეულამდე C. [4] სათუალავისანი C. [5] დამეტდეს C. [6] თჳთოსა C. [7] ზემო C. [8] ათერთმეტეულობისანი C. [9] დამეტდეს C. [10] წელიწდისა C. [11] მეშჳდმეტესა C. [12] მეაცხრამეტესა C. [13] დასწერდი C. [14] იმისა [15] ათერთმეტეულობასა C [16] ოცდაათეულსა C. [17] დღე—C. [18] გაწევა C [19] ჟ~ა C. [20] ეგრეთვე C. [21] დამეტდეს C. [22] თუეობისა C. [23] მეცხრამეტეს C. [24] შეიქნების C. [25] დამეტდების C. [26] არცა+რა C.

* ბ.15,27; მრ. 7,28.

და უკუეთუ ქართულისა[1] სათუალავისა შემოწმებაჲცა გინდეს, თუ ვითარ[2] ანუ რაჲთა[3] მიზეზითა ერთბამად შეიყრების და შეუცილებელად, ესრევე დასაბამითგანნი წელნი იპყრენ ოთხმეოცდაათექუსმეტითა[4] წელიწდითა დამეტებულნი, რომელ შეიქმნების ექუს[5] ათას რვაას ოცდაათჩუიდმეტი წელიწადი და ესრეთვე ცხრამეტეულად განუტევენ[6]. და წელს ესრეთ განტევებულსა ბერძენთა სათუალავითა კჳკლოსი ათხუთმეტი[7] დაჰმეტდების[8] და ქართველთაჲთა–ათექუსმეტი. და შენ[9] ერთი მისგანიცა[10] განუტევე, რომელ ოთხმეოცდაათხუთმეტთა[11] წელთა უმეტესთა ვიპყრობდეთ[12] და არა ათექუსმეტთა და ოთხმეოცდაათხუთმეტი[13] წელიწადი ცხრამეტეულად განიყოფების, რომელ არცა რაჲ დააკლდების და არცა[14] დაჰმეტდების[15]. და ამით[16] ეწამების დიდი მცხრალი ურთიერთარს[17] ბერძენთა სათუალავითა და ქართველთაჲთა სოფლის[18] დასაბამითგანითა[19].

და ბერძენნი დიდსა მცხრალსა ესრეთ ჰპოებენ: რომელ ზედნადები
331r რაჲ პოონ[20], ექუსსა დღესა სხუასა დაათულიან[21]. და თუ ოცამდის[22] დააკლდეს, მარტიცა დაათუალე, რომელ არს[23] ოცდაათერთმეტი დღე. და ესე სამივე რაოდენიცა შეიქნას, უკუეთუ ორმეოცდაათამდე[24] ოცდარაოდენიცა დააკლდეს, ჰაგზომსა[25] მარტსა შინა სცხრების. და რაოდენიცა[26] ოცისაგან უმცირესი დააკლდეს, ვიდრე[27] ორმეოცდაათამდე[28], ჰაგზომსა[29] აპრილსა შინა სცხრების დიდი იგი მცხრალი ცხოველსმყოფელისა ვნებისაჲ.

და უკუეთუ ზედნადები რომლისაცა წელიწდისაჲ ექუსისა დღისა ზედადათუალვითა ოცი შეიქმნას[30], გინა მისი უმეტესი ვიდრე ოცდაათამდე[31], მარტსა ნუღარა დაათუალავ, და უკუეთუ ოცდაათსა დაჰმეტდეს[32], იგიცა განუტევე და მისსა დანამეტებსა მარტივე უნდა ზედადასათუალავად. და უკუეთუ ესრეთვე ორმეოცდაათამდე[33] რაჲცალა დააკლდეს ოცისაგან უმეტესი[34], მარტსა შიგან[35] სცხრების და უმცირესი––აპრილსა. და რაჲთა გამოწულილვითრე უწყოდე, ზედნადებსა[36] ექუსითურთ ოცისაგან უმცირესსა მარტივე უნდა. და ოცი
331v თუ შეიქმნას[37] და გინა მისგან უმეტესი ვიდრე |ოცდაათამდე, მარტსა ნუ დაათუალავ. და უკუეთუ ოცდაათსა დაჰმეტდეს[38], იგი ოცდაათიცა[39] განუტევე და მას დანამეტებსა მარტიცა დაათუალე, რომელ ორმეოცდაათამდე[40] დააკლდებოდეს[41] ოცისაგან უმეტესი, ჰაგზომსა[42]

---

[1] ქართულითა C. [2] ~ვითარ თუ C. [3] რ̃ჲ C. [4] ოთხმეოცდათექუსმეტითა C. [5] ექუსი C. [6] განუტევე C. [7] ათოთხმეტი C. [8] დამეტდების C. [9] შენ— C. [10] მისგანცა C. [11] ოთხმოცდაათოთხმეტთა C. [12] ვიპყრობდით C. [13] ოთხმოცდა C. [14] არცა+რა C. [15] დამეტდების C. [16] ამ~თ C. [17] ურთიერთას C. [18] სოფლისა C. [19] დასაბამითგანთა C. [20] პოვონ C. [21] დაათლ̃ვენ C. [22] ოცამდე C. [23] არს+ას C. [24] ორმეოცდაათამდე] ასოცდაათამდე C. [25] ეგზომსა C. [26] რაოდენნიცა C. [27] ვიდრე—C. [28] ორმოცდაათამდის C. [29] ეგზომსა C. [30] შეიქნას C. [31] ოცდაათამდის C. [32] დამეტდეს C. [33] ორმოცდაათამდე C. [34] უმეტეს C. [35] შიგან] შ~ა C. [36] ზედნადებისა C. [37] შეიქნას C. [38] დამეტდეს C. [39] ოცდაათი C. [40] ორმოცდაათამდე C. [41] დააკლდების C. [42] აგზომსა C.

მარტსა შინა ცხრომისათჳს და ოცისაგან უმცირესი ეგოდენსა[1] აპრილსა[2] შინა ცხრომისათჳს.

და უკუეთუ ქართულსა სათუალავსა შეამოწმებდე, ჰაჯსრევე[3] დასაბამითგან ცხრამეტეულისა დანამეტებსა ერთსა დააკლებდი და რაჯცა დარჩეს, ათერთმეტეულებსა აჰკრებდი და ერთბამად ესრეთვე ოცდაათეულად განტევებითა ზედნადებსავე ჰპოებდი. და ექუსსავე დაურთევდი მარტითურთ და ექუსი ზედნადებითურთ ოცი შეიქნებოდეს ესრეთვე უმარტოდ, და უკუეთუ ოცდაათსა დაჰმეტდებოდეს[4], ეგრეთვე მისსა[5] დანამეტებსა განაღამცა მარტივე დაათუალე, ვითარცა-ესე ზემო დავწერე. და უკუეთუ ბერძულსა და ქართულსა არა შეაწამებდე[6], რაჯცაღა დასაბამითგან ცხრამეტეულსა[7] დაჰმეტდებოდეს[8] ბერძულითა, ქართულად ერთი ნამეტნავი იქმნების[9], მას ნუღარა[10] დააკლებ და მის დანამეტებისაგან | ჰაგზომისა[11] წელიწდისა[12] ცამეტორთა ქუე ჩასთუალვიდი[13]. ოციანსა ზედა თუ მიაყენებდ[14], მარტისა ცხრომაჯ არს ჰაგზომისაჯ[15] და უოცოჯ აპრილისაჯ, ვითარცა ზემოჯთ დამიწერია. 332r

და ესე ბერძული სათუალავი და ქართული ამან მიზეზმან განყო, რომელ დასაბამითგან ოცდარვეულად განტევებითა ხარებაჯ იპოვნების[16], ვითა ზემოჯთ მითქუამს, დანამეტებსა[17] ზედა[18] ნაკთაცა ზედა დათულითა და ძისითა[19] შჯდეულად განტევებითა. და ბერძენნი ესრევე[20] ოცდარვეულად განუტეობენ და ესრევე დანამეტებსა ზედა ნაკთა დაათუალვენ და მას განუტევებენ შჯდეულად. და ამით ხარებისა წინა დღესა ჰპოებენ და მას იპყრობენ შჯდეულად მის წელიწდისად. და[21] უკუეთუ ოთხმეოცდათექუსმეტთა[22] წელთა არა დააკლებ, ხარებისა წინა დღესა ვერ[23] ჰპოებ, რომელსაცაღა დღესა იყოს, ოცდარვეულად განტევებითა.

და უკუეთუ დასაბამითგან გინდეს ძიებაჯ, ქართულად ოთხმეოცდაათექუსმეტნი წელნი დასაბამისანი გინა ამის ქრონიკონისანი ცხრამეტეულად განუტევენ დიდისა მცხრალისათჳს და ე|სრეთვე ოთხმეოცდაათხუთმეტი[24] ცხრამეტეულად წარვალს და ცამეტორისა ცოდნასა[25] შინა[26] აპრილსა ცამეტსა გაპოვნიებს ცხრომასა. და უკუეთუ ოთხმეოცდაჩჯდმეტნი წელნი[27] განუტევნე ცხრამეტეულად, ცამეტორთა ჩათულითა აპრილსა ორსა სცხრების მთოვარე[28]. და ოცდარვეულად განტევებითა ხარებაჯ ორშაბათსა დღესა იპოების და წინა დღე 332v

---

[1] ეგეოდენსა C. [2] აპრილსა] მარტსა C. [3] ისრევე C. [4] დამეტდებოდეს C. [5] მის C. [6] შეამოწმებდე C. [7] ცხრამეტეულად C. [8] დამეტდებოდეს C. [9] იქნების C. [10] ნუღარა C. [11] ეგზომსა C. [12] წელიწადსა C. [13] ჩასთუალევდი C. [14] მიაყენებდე C. [15] ეგზომსა C. [16] იპოების C. [17] დანამეტებთა C. [18] ზედა—C. [19] მისთა C. [20] ესრეთვე C. [21] და—C. [22] ოთხმოცდა-C. [23] ვერა C. [24] ოთხმეოცდაათოთხმეტი C. [25] ცოდინსა C. [26] შინა+და C. [27] წელნი—C. [28] მთუარე C.

კჳრესა[1], და აპრილსა ორსა მთოვარე[2] სცხრების და ზედნადები ათერთმეტი იქნების.

და აქა ბერძენნი სოფლისა დასაბამად იწყებენ და ათერთმეტსა ზედნადებსა[3] ზედა ექუსსა დაურთევენ და მარტსაცა[4] დაათუალვენ, ორმეოცდაათამდე ორი დააკლდების, ამისთჳს აპრილსა ორსა სცხრების მთოარე[5]. და მას წამოლმა ცხრამეტეულად განუტეობენ რაჲ, ბერძულად ოცი წელიწადი გათავდეს და ქართულითა ას და თექუსმეტი, და მას წამოლმა ვიდრე წლეულამდე თუ ქართულითა სათუალავითა განუტევებდე ცხრამეტეულად და[6] დანამეტებსა ცამეტორითა[7] ჩას-
333r თულიდი, და უკუეთუ ბე|რძულად განუტევებდე ცხრამეტეულად და ქართულსაცა[8] შეამოწმებდე[9] ერთისა წელიწდისა დაკლებითა, რომელ ოთხმეოცდათხუთმეტითა წლითაღა უმეტესთა ვთულიდეთ[10] ქართველნი, და მეთექუსმეტისა შეძენითა[11] ცხრამეტეულნი არღარა მოიშალნენ. და იმით ბერძულითა წესითა იპოს დიდი მცხრალი, ქართულისაცა შემოწმებასა[12] შიგან[13]. და რავდენსა[14] აპრილსა მთოვარე[15] სცხრეს, გინა მარტსა, ზედა ხარებისა წინა დღეცა დაათუალე იმით წესითა პოვნილი. და ოკდონბერისა[16] დაწყებითგან გარდასრულნი თუენი ზედავე[17] დაათუალენი[18] და შჳდეულად განუტევე მის თჳსა ჰაგზომითურთ[19], რაზომსაცა[20] მთოვარე[21] სცხრეს. და შჳდეულსა რაჲცა დაჰმეტდეს[22], იგიცა დღე არს ცხრომისაჲ.

და შჳდეულად ესრეთ განუტევე, რომელი[23] თუე ოცდაათერთმეტი იყოს, სამთა დღეთა აიხუემდი და ოცდაათისაგან ორთა, და ამა ანაკრებთაცა შჳდეულად განუტევებდი და რაჲცა დაჰმეტდეს[24], დიდსა მცხრალსა ზედა დაურთევდი ხარებისა წინადღითურთ, რომელსაცა-
333v ღა დღესა იყოს|.

და უკუეთუ ქართულად გინდეს, ხარებითა ძებნე დიდი მცხრალი ისე[25] კალიბად პოვნილითა. თუ დაგვიწყებოდეს, ოდენ დასაბამითგანი წელნი ჴელთა გქონდენ[26] ცხრამეტეულისა და ოცდარვეულისა განსატევებელად. და ესე სიტყუაჲ დიდისა ქრონიკონისა პატივსა ზედა დამიწერია, რომელ დასაბამითგან ბერძულითა წელს ექუს ათას შჳდას ორმოცდაერთნი წელნი და ქართულად ექუს ათას რვაას ოცდაჩჳდმეტნი. და ვითარცა წელნი გარდაჴდებოდენ[27], ზედა მიათულიდით. ვისცა დასწავლაჲ გწადდეს[28], არ დაგვიწყდებოდეს არცა ბერძენთა სათუალავი და არცა ქართველთა*. და ქრონიკონსა შიგან[29] ოთხმოცდამეჩჳდმეტესა[30] წელიწადსა ძებნე. დასაწყისი[31] ბერძენთა სათუ-

---

[1] კჳრისა C. [2] მთ¯რე C. [3] ზედნადებსა—C. [4] მარტსა C. [5] მთუარე C. [6] და C. [7] ათცამეტორითა C. [8] ქართულსა C. [9] შეამოწმებდი C. [10] ვთუალვიდეთ C. [11] შეძენითა| ბერძენითა C. [12] შემოწმებისა C. [13] შიგან—C. [14] რაოდენსა C. [15] მთრე C. [16] ოკუდონბერისა A. [17] ზედავე A. [18] მიათუალენ C. [19] ეგზომითურთ C. [20] რასდენსაცა C. [21] მთუარე C. [22] დამეტდეს C. [23] რომელიცა C. [24] დამეტდეს C. [25] ისრე C. [26] ქონდენ A. [27] გარდაჴდენ C. [28] გწადდეს] გინდეს C. [29] შიგან—C. [30] ოთხმოცდა C. [31] დასაწყისასა C.

* ნუსხაშია: ქართველთასა.

ალავისაჲ[1]. და თჳნიერ ანბანთა დასწავლისა[2] ვითარ კითხვაჲ არ[3] გულისჴმა-იყოფების, ეგრეთვე თჳნიერ ამის ყოვლისა წულილადდ და გამოძიებით. დასწავლისა ესე არა გულისჴმა-იყოფების, თუ რაჲ შეჰყრის ერთგან ჩუენსა აღვსებასა და ბერძენთასა. და ოთხმეოცდა- 334r
ათექუსმეტთა წელთა[4] რაჲ სოფლის[5] დასაბამითგანთა შთამოვსრულდეთ, მეჩუიდმეტესა ბერძენთაჲ იწყების და მას აქაჲთ ერთგან ვიარებით. დაღაცათუ[6] ჩუენგან წინაძღომად დაწერეს ჩუენ რომელთამე კაცთა სისულელისათჳს, და ვინაჲთგან მარხვაჲ არცა ეგრე განირყუნებოდა თჳნიერ კჳრვებისა, განსაშარტებელი ალარაჲ[7] დაწერეს სათუალაობისა უმეტესობასა შინა.

და ქრონიკონი მეცამეტე[8] ოთხას ორმეოცდაცამეტი არს წელს. რავდენ[9] გინდა დიდნი აღებანი იყვნენ, აპრილსა ოცდაჩუთსა წაღმა არ[10] წავა აჴუსებაჲ[11]. და რავდენ[12] გინდა ადრე იყოს, მარტსა ოცდაორსა უშინაგანეს არ იქნების ცხოველსმყოფელი[13] აღდგომაჲ. და უკუეთუმცა თჳსა დამოკიდებულ იყო, ვითარცა სხუანი დღესასწაულნი საუფლონი გინა წმიდანი, მაშინ არღარა წლითი წლად პარასკევსა იქმნებოდა[14] ცხოველსმყოფელი ვნებაჲ, და რომელსა დღესა ექსორია ვიქმნენით, მასვე დღესა ჯერ-იჩინა ჴსნაჲ ჩუენი. ამისთჳს განგებულებით იქმნა მცხრალსა ზედა ქმნაჲ | ძუელისა და ახლისა 334v
პასექისაჲ, რომელ არს გამოსლვაჲ, აჩრდილი და ვნებაჲ ჭეშმარიტი. მადლისა და ჴსნის[15]მყოფელი მთოვარე[16] არა მარადის პარასკევსა სცხრების[17]. და ვინაჲთგან დღესა კჳრიაკესა ვნებისათჳს აღვიდა და ჴსნისათჳს ჩუენისა, ვითარცა თჳთ იტყჳს პირი იგი საღმრთოჲ, ბზობითგანმცა და დიდად შაბათამდე უცილობელად გუაქუნდა სჯული- ერი იგი პასექი და ამათ შჳდთა დღეთაგანსა ვითარმცა პარასკევსავე არს, ვინაჲთგან მსგეფსი ცხოველსმყოფელისა ვნებისაჲ არს და ჯერიყო აღდგომაჲ[18] ცხოველსმყოფელი დასაბამსა დღეთასა.

და ვინცა ამას დასწერდეთ, ამასვე[19] ცხოველსმყოფელსა აღდგომასა პატივ-ეცით და სათუალავსა სიტყუად დასწერდით. თჳნიერ ამის დიდისა ქრონიკონისა საუწყებელსა შინა არა ჯერ-არს სათუალავისა ანბანითა წერაჲ, მკითხველისათჳს სადრტჳნავად[20] შეიქმნების.

და ამას ქრონიკონსაცა სრულებით დასწერდით ხუთას ოცდათორმეტსა წელიწადსა, თუ არა ამა ჩემგან თქუმულისა ძალსა ველარას შეიგებთ, ანუ „შეისწავეთა“ დააკლებთ, ანუ სხუათა რათმე ნიშანთა.

ნუ|ცაღა-რას თქუენ დასწერთ, თუ ამას წელიწადსა ესე რაჲ იქმნა და 335r

---

[1] სათუალავისასა C. [2] და თჳნიერ...დასწავლისა–C. [3] არა C. [4] წელთა+და C. [5] სოფლისა C. [6] დაღათუ C. [7] არა C. [8] მეაცამეტე C. [9] რაოდენ C. [10] არა C. [11] აღვსებაჲ C. [12] რაოდენ C. [13] ცხოველსმყოფელი C. [14] იქნებოდა C. [15] ჴსნისა C. [16] მთუარე C. [17] ~პარასკევსა სცხრების მარადის C. [18] აღდგომაჲ– C. [19] ამისვე C. [20] სადურტინავად C.

ეგე რაჲმე იქმნა[1], თუ არა, ჩემთა დაწერილთა ნიშანთა თანა გაერევის, რომელსა ესე საუწყებელი ეწამების, და ესეცა ცუდ იქმნების. და ჩემ ცოდვილისათჳს შენდობაჲ თქუთ.

დაღაცათუ ესე სიტყუაჲ ერთგზის კუალადცა დამიწერია, გარნა უგანცხადებულესადრე უწყოდეთ[2] ესე, რომელ ვთქუ: მთუარე ოც- 5
დაცხრად და ნახევრად არა განაწევს მიზეზისათჳს მის ერთისა დღისა მეათორმეტედ შეძინებულისა დღისა ზედნადებთაჲსა. გარნა ვინაჲთგან ნაკი მთოარისა[3] დღეთაცა შეემატების, რომელ მაშინცა თერთმეტი დღე დააკლდებოდეს[4] წელიწდისა დღეთა ოდენობად, ამის ჯერისათჳს ოცდაცხრა დღედ და ნახევრად და-ცა-იმეტნეს რაჲმე 10
ჟამნი მეოთხესა წელიწადსა გამასრულებელნი[5] დღისა ერთისა და ღამისანი. რაჲ წელიწადი სამას სამოცდახუთი ნაკისა შემატებითა სამას სამოცდაექუსად გაჴდეს, მაშინ თორმეტნი მთოარენი[6] სამას
335v ორმეოცდაათოთხმეტნი დღენი | მეთხუმეტესაცა[7] შეიძენენ[8], რომელ მაშინცა[9] ათერთმეტი დღე დააკლდებოდეს[10] თორმეტისა თჳსა დღეთა 15
ოდენობად თჳნიერ მის ერთისა[11] წელიწდისა, რომელ მაშინ თორმეტსა დაიკლებს. და უკუეთუმცა ნაკისა გასასრულებელად არ[12] დაჰმეტდებოდეს ოცდაცხრასა დღესა და ნახევარსა[13] ჟამნი რაჲმე ამის მეათორმეტისა დღისა ზედნადებთა ცხრამეტთავე შეძინებისათჳს. და ვითა ნაკთათჳს დაიმეტებს ოცდაცხრაჲ დღე და ნახევარი[14], მერმე 20
ნაცვალსა ნაკიანნი და უნაკონი დაიკლებენ ცხრამეტ წელ ერთისა დღისა და ღამისა გასასრულებელსა, რომელ მაშინ თორმეტი დღე დააკლდებოდეს[15] თჳსა დღეთა[16] ოდენობად და თჳნიერ ამისსა თერთმეტი და თერთმეტი დღე დააკლდებოდეს, და ერთმანერთსა[17] ზედა-დადებითა ოცდაათეულად ესე განიტევებოდეს და ზედნადებად მისი დანამეტები 25
იპყრობებოდეს[18] მას წელიწადსა.

ესე რომელ თჳთოეულისა ჯერისათჳს მრავალგზის დამიწერია, პირველად ამისსა[19] წერასა შინა უმჯობესად გულისჴმა-ყოფილითა[20]
336r ჩემგანვე ნაკლულევანი | აღმომიკაზმავს და რომელი უნაკლულოდ და კეთილად დამიწერია თქუენისა უკლებადრე უწყებისათჳს და 30
წულილადრე გამოძიებისათჳს, მეორედ და მესამედ კუალადცა დამიწერია[21] რომლისამე ჯერისა და მიზეზისათჳს.

და ღმერთი მშჯდობისაჲ თქუენ ყოველთა[22] მართლმორწმუნეთა და ღმრთისმოყუარეთა თანა იყავნ, კურთხევაჲ თქუენ ჯუარითა ცხოველსმყოფელითა, მე ცოდვილისა თანა იყავნ აღმოსაჴსნელად 35
სულისა ჩემისა, ამინ*.

---

[1] რა მექმნა C. [2] უწყოდით C. [3] მთრისა C. [4] დააკლდების C. [5] განმასრულებელნი C. [6] მთრენის C. [7] მეთხუთმეტესა C. [8] შეიძინენ C. [9] მაშინ C. [10] დააკლდეს C. [11] ერთისა-C. [12] არა C. [13] ოცდაცხრისა დღისა და ნახევრისა C. [14] ნახევარი+და C. [15] დააკლდების C. [16] დღისა C. [17] ერთმანეთისა C. [18] და ზედნადებად... იპყრობებოდეს-C. [19] ამისა C. [20] გულისჴმისა-ყოფითა C. [21] მიწერია C. [22] ყოველთა| წმიდათა C.

*აქ მთავრდება ტექსტი C ნუსხაში.

11. [კვკლოსი ასურული მისითა განგებითა]

336v

ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ
ა	ბ	გ	თ	ი	ე	ვ
ზ	იგ	იდ	იე	კა	ია	იზ
იწ	ით	ქე	ქვ	კზ	კბ	ქზ
იბ	კდ	წ	ქ	დ	ივ	კწ

ზედანადებნი მზისანი

ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ
ა	აპ ბ	აპ ზ	აპ ვ	აპ ე	აპ დ	აპ გ	აპ თ	აპ წ
ბ	მტ კბ	მტ კდ	მტ კგ	მტ კთ	მტ კწ	მტ კზ	მტ კვ	მტ კე
გ	აპ ი	აპ იდ	აპ იგ	აპ იბ	აპ ია	აპ იზ	აპ ივ	აპ იე
დ	მტ ლ	მტ ლა	აპ ვ	აპ ე	აპ დ	აპ გ	აპ ბ	აპ ა
ე	აპ იწ	აპ კა	აპ ქ	აპ ით	აპ კე	აპ კდ	აპ კგ	აპ კბ
ვ	აპ ზ	აპ იდ	აპ იგ	აპ იბ	აპ ია	აპ ი	აპ თ	აპ წ
ზ	მტ კზ	მტ ლა	მტ ლ	მტ კთ	მტ კწ	აპ გ	აპ ბ	აპ ა
თ	აპ ლ	აპ ზ	აპ ვ	აპ ე	აპ ია	აპ ი	აპ თ	აპ წ
ი	მტ კდ	მტ ლა	მტ ლ	მტ კთ	მტ კწ	მტ კზ	მტ კვ	მტ კე
ია	აპ იბ	აპ იდ	აპ იგ	აპ იბ	აპ ია	აპ იზ	აპ ივ	აპ იე
იბ	აპ ა	აპ ზ	აპ ვ	აპ ე	აპ დ	აპ გ	აპ ბ	აპ წ
კგ	მტ კა	მტ კდ	მტ კგ	მტ კბ	მტ კწ	მტ კზ	მტ კვ	მტ კე
დ	აპ თ	აპ იდ	აპ იგ	აპ იბ	აპ ია	აპ ი	აპ ივ	აპ იე
იე	მტ კთ	მტ ლა	მტ ლ	აპ ე	აპ დ	აპ გ	აპ ბ	აპ ა
კვ	აპ იზ	აპ კა	აპ ქ	აპ ით	აპ იწ	აპ კდ	აპ კგ	აპ კბ
წ	აპ ე	აპ ზ	აპ ვ	აპ იბ	აპ ია	აპ ი	აპ თ	აპ წ
ით	მტ კე	მტ ლა	მტ ლ	მტ კთ	მტ კწ	მტ კზ	მტ კვ	აპ ა
ლ	აპ იგ	აპ იდ	აპ ქ	აპ ით	აპ იწ	აპ იზ	აპ ივ	აპ იე

ხოლო კჳკლოსისა ამის ასურულისა კითხვაჲ ესრეთ უწყოდე: 337r
რომელსაცა წელსა ეძიებდე, მოიძიე მის წლისა მოქცევი მზისაჲ
ამას ცხრილსა შინა და დაადგ მას ზედა თითი მარჯუენე. და კუა-
ლად მოიძიე მოქცევი მთოვარისაჲ მისვე წლისაჲ და დაადგ მას
ზედა თითი მარცხენე. დაიწყე სლვად მარჯუენითა შთამოლმართ,
ხოლო მარცხენითა წალმართ და რომელსაცაღა კარსა ზედა ერთგან
შეიყარნენ, იგი არს მის წლისა სჯულიერი პასექი, რომელ არს
წმიდაჲ აღსებაჲ.

*ათორმეტ თთუენი: სეკ–ლას[1]; ოკ–ლას ან; ნონ–ლას;
დეკ[2]–ლას ან; იან–Ჩლას ან; ფებ]ᲩᲩ[3]–კან ჰე, კან თან;
მარტ–ლას ან; აპ–ლას; მაის–ლას ან; ივნის–ლას;
ივლის-აგჳსტოს ორნივე ლას ან[1]. ხოლო
რიცხჳ ყოველი სამას სამეოცდახუთ.

შჳიდეულები ერთისა წელიწდისაჲ
ერგასის და ორ, დასასრულ-დასაბამი
ყოვლისა დღისაჲ. არა იყოს რაჲ ნაკი,
შარშა თუ შაბათ, აწ სადმე კჳრიაკე.
ეგრეთვე სხუებცა დღეებ ნაკით სამ დღის დღე.

ცამეტურისა ოცები–რიცხუ მარტისა
და ვეროცქმნილი აპრილისად უწყოდენ.
იპყარ აღსებაჲ ორთა ამათ რიცხჳთა,
სამი დასძინე უნაკოდ, ოთხი—ნაკსა.
მუნ აკრბეს ჴორცი პირველ-პირველობითად.

გინა სამსა მას, გინა ოთხსა მეტ-ყოფით,
სადა მივიდეს რიცხჳ აღსებითგანი,
ეგოდენისა მარტჱისაჲ იანვარსა
და აპრილისაჲ ფებერვალსა სწორ რიცხუ ყავ.
და მიერითგან შჳდ დღე ყველიერობდი.

ოცდარვა რიცხჳ წითლით ოთხი | სტიქონი 337v
დაესრულოს რაჲ, კულა იწყებს კჳკლოსისაჲ.
სტიქონი იგი მეოთხე, ქუეშე კერძო,
ნაკებისაჲ არს, სამი ზემოჲ——უნაკო,
და იატაკი ამათი ზედწარწერილ.

ზეშთა თხემისაჲ და მელნისამიერი——
შჳდეულისა დასასრულით დაწყებაჲ.
შჳდეული არს იგივე ხარებაჲცა.
ხოლო წითლითა მიწყებით მყოფი ქუენაჲ
ზედნადებთა ჰგავს მნათობისა დღისაჲთ.

---

* ამიაზე გაკეთებულია შენიშვნა. იხ. აქვე დანართი. გვ. 73, №22

[1] თვეების დღეთა რაოდენობა აღნიშნულია შესაბამისი ასოთი (თავისი სახელწოდებით): ლას-30, ლას ან-31, კან ჰე-28, კან თან-29.

[2] ნუსხაში: დეკენ. [3] ნუსხაში: ფაბ (?).

კარი პირველი, შესავალი–ზედნადებ,
ათერთმეტ თავი, დასასრულ ოცდაათი,
მოქმედებული ნაწერისა შავისაჲ.
შემდგომი მისი ასოთაგან წითელთა
მოქცევ მთოვარის. ესეცა და იგიცა
სხუად და მესამედ ჰპოო ქრონიკონისაჲ
დედაქალაქი და გზავნაჲ ცამეტორი,
რომელსა იტყჳს პასექად შჯულიერად.
წლითიწლადობით სამოსლისა მისისა
ფესუსა უპყრობდი რუკათა მათ ჴელითა.
მას კაპპატონსა სადა დადგას საყდარი
ცამეტორისაჲ თჳთოეულებამან
შთამოჰყევ საყდრით ოცდარვათაგანისაჲთ
მიმგზავრებული მუნადმი ცამეტურით.
რაჲ შეკრბენ ერთად, აღვსებაჲ გემასპინძლოს.
ჯოველი გზაჲ ერთ––ზედნადები, მოქცევი
და ცამეტური––აღვსებისავე თანა
წიალსაველელი სტიქონისა წესითა.
მერმე აღფრენაჲ ზედნადებითგან მზისაჲთ
და ოცდამერვით აღიყვანს ხარებამდე.
რვა და ოცებაჲ მზესა თანა განხილვით
და მთოვარესა ათცხრამეტობაჲ იგი,
მოლოდებითთა მრჩობლშეკეცათა მიერ
შესწორებულ-ყო აქა მარაგსა შინა
მზე–მთოვარებრმან ასურთა გონებამან.
ნეშტი ერთისა თჳსაჲ თუე მეორისაჲ
შჯდ აღრიცხუვითა უღღისსაძიებლობს,
მით იანვარს[ა][1] არაჲ, სამ––ფებერვალსა,
მარტსაცა; ხოლო სწორ ორთავე––აპრილსა, 338r
და ერთ მაისსა, ორი-ორი ივნისსა.
ივლისსა თუ ექუს, აგჳსტოსსა ორ სადმე,
ხუთ სექდენბერსა, არარა ოქდონბერსა,
ნოენბერისაჲ სამ, ხუთ დეკენბერისაჲ.
ესეცა საჴმრად რაჲ დღითად აღიწერა
შორიელთა რათ დღეთა ძიებისათჳს.

[1] ნუსხაში: იანვარს

* * *

307v *უკუეთუ გინდეს ცნობის, ესე არს თავი დივანთაჲ. რიცხჳ თუეთა და კჳრიაკეთაჲ, დღეთა, ჟამთა და მარცუალთაჲ, თუ რაჲზომ არიან. თუენი წელიწდისანი [ათორმეტ]**. კჳრიაკენი ორმეოც და იბ-ნი, დღენი სამას სამეოც და ხუთ და ნაოთხალ პირველ დღისაჲ. და ჟამნი დღისანი ათორმეტ, ჟამნი ღამისანი ათორმეტ, და ერთრიცხუად ოცდაოთხ. ჟამნი ყოველნი წელიწდისა დღეთანი ოთხ ათას სამას ოთხმეოც, [ჟამნი წელიწდისა ღამეთანი იგივე ოთხ ათას სამას ოთხმეოც],** ერთრიცხუად ყოველნი დღეთა და ღამეთანი რვა ათას შჳდას სამეოც. მარცუალნი დღისა ჟამთანი ორგზის ბევრ [ათას და ცხრაას]***. მარცუალნი ღამისა ჟამთანი იგივე, ერთრიცხუად ყოველნი მარცუალნი ჟამთანი ოთხ ბევრ სამ ათას და რვაას.****

* * *

338r ფრთხილ გამგონეო, ესევითარი ესე სულმცირედ აღწერილი პიტაკის სახე და არდიდთა შინა ნაწერთა მდებარე სიტყჳს ნაბიჭევი რაოდენთამე მიზეზთათჳს, და საქებელ გაქუნდინ და მადლის მომრთუმელ მუშაკობისათჳს, რამეთუ მოგებაჲ ნაწერისა დიდისაჲ მძიმე არს და საიშჳთო მომგებელთათჳს და ადგილითი ადგილად თანა ქონებაჲ მოგზაურთათჳს. ხოლო ესე თხოის საციქუელ და ფარაგით სატჳრთველ ვერსაცნობელ; წარწყმდეს თუ გინა აიკოცოს, არად სატკივარ დაეგოს, თუ ვიეთთჳსმე არ ყოვლად უჴმარ, რამეთუ სადაცა მიუწოდოს რაჲ ვისმე ჟამმან გარეგან ეკლესიისა და ეკითხოს მუნ დადგინებაჲ მარხვისაჲ, არამედ ნუუკუედა საცილობელიცა იყოს და ურთიერთას მბრძოლობაჲ ქრონიკონთაჲ ქართულთაჲ ცთომილად აღწერილთაგან, მზად ყოვლისა მის აქუნდეს უცთომელი განმარტებაჲ სიტყუათა ამათ მიერ და სახეთა, ვინაჲთგან კჳკლოსი ყოველსა შინა უცთომელი არს. ხოლო ქართულიცა ესე მცირედი და ჟამთა თჳსთა ქრონიკონი ახლად მოსწავლე ქმნილთათჳს კჳკლოსისათა რეცა მძევლად რაჲმე და გზის მასწავლელად აღვწერე მუჴლებსავე თანა იამჳოთასა*****.

---

*ფრაგმენტი ავტორის მითითების შესაბამისად გადმოტანილია 307v გვერდიდან.

** ნუსხაში გამოტოვებულია.

*** ნუსხაში: ცხრაას და რვა.

**** სქოლიოში ჩამოვიტანეთ ფრაგმენტის მომდევნო ტექსტი. „ესე ასურულისა კჳკლოსისა საძიებელი და მასწავებელი, იამბიკონად თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანე შავთელისაგან. თქუმულიცა ამისთჳს დავწერე, რომელ ზემოსა საუწყებელსა შინა მეჴსენა. ამას კჳკლოსსა თანა ქრონიკონსაცა დაუწერენ დიდსა წინამდებარეთა წელთასა, უკუეთუ ჯავთაგად ვინმე დასწერდეს. ვინაჲთგან ერთი მეორისა მოწამე არს, იმას ზემოსა ქრონიკონსა მივანდევ და თანა აღარ დაუწერე. და ესე რიცხუნი შავთელისა იამბიკონთა ქუემოჲთ მოსაკიდებელ იყო და პირველ მათ ხოლე წაიკითხევდით და მერმე ამას. მწერალმან მუნ სხუაჲ რაჲმე მომიკიდა და ესე აღარ დაიწერებოდა“ (307V).

***** ტექსტს ერთვის შენიშვნა: „ესე ქრონიკონისა თავსა რიცხჳ დაწერილი აქა შეუდგინ“.

ახალნი სასწაულნი წმიდისა გიორგისნი*

342r ჯერ-არს ჴსენებაჲ შუენიერისა და დიდისა ახოვანისაჲ, რამეთუ ესე არიან სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისნი და ანდერძი მისისა სასოებით შევედრებულისა და ამათ სიტყუათა შესაკადრებელად ღირსებისაებრ მთქუმელისაჲ

I. ვინაჲთგან თანაარსმან სიტყუამან, სიბრძნემან და ძალმან და თანადაუსაბამომან დაუსაბამოჲსა მამისამან არავე აკმაა შობაჲ ქალწულისაგან უბიწოჲსა და გუემსგავსა, თჳნიერ ცოდვისა, განგებულებითა და ჯერ-ჩინებითა სულისა წმიდისაჲთა, რომელი გამოვალს დაუსაბამოჲ თანაარსებით დაუსაბამოჲსა მამისაგან, და გამოიცადებოდა ეშმაკისაგან სიტყუაჲ ღმრთისაჲ კაცქმნილი ნეფსით, და ივნო ჩუენთჳს სიკუდილითა[1] ჯუარისაჲთა, რომლითა განიკურნა ცთომილებაჲ ხისამიერი, და მოგუენიჭა უკუდავებაჲ ცხოველსმყოფელითა აღდგომითა მისითა, რომლითა დაითრგუნა ეშმაკი დასითურთ მისით. ამანვე წმიდანი თჳსნი, სათნო-ყოფილნი ღმრთეებისა მისისანი, ცხრანივე დასნი წმიდათა ანგელოზთანი და მეათენი კაცთანი, პირველსა სჯულსა შინა მამადმთავართა და წინასწარმეტყუელთანი და ახალსა შინა მოციქულთა და მღდელთმოძღუართანი, მოწამეთა და წმიდათა მა-
342v თა და დედათანი, განაჩინნა მეოხებად ჩუენთჳს, თანა წმიდასავე ქალწულსა საკუთრად[2] მშობელსა მისსა და ყოველთა ნაშობთა უმეტესსა თავადსა იოვანეს, ქადაგსა სიტყჳსა ღმრთისასა, წინამორბედსა და ნათლისმცემელსა.

II. და ამათსაცა სახელსა ზედა აღეშენნეს ეკლესიანი, ერთეკლესიად წოდებულნი, ვითარცა აღუთქუა პეტრეს, ვითარმედ: „შენ ზედა აღვაშენო ეკლესიაჲ ჩემიო“** და შემდგომითი-შემდგომად წმიდათა მისთა;

და დიდსა მას ახოვანსა და მთავარსა მოწამეთასა გიორგის: „რომელმან აჴსენოს წმიდაჲ სამებაჲ შენ მიერ ჩემდა მომართითა მეოხებითა და სახელსა შენსა ზედა აღშენებითა ეკლესიისაჲთა და ალმართებითა ჯუარისა გინა ხატისაჲთა და გინა სხჳთა შესაწირავითა, მსგავსად სარწმუნოებისა მათისა, მდიდართა და გლახაკთა, კაცად-კაცადმან ძალისაებრ, ქურივის მწუალილებით, რომელმანმე ჴელთგანპყრობით, რომელმანმე ცრემ-

*სათაური აღებულია A 85 ხელნაწერის ზანდუკიდან (355r).
[1] ნუსხაშია: სიკჳდილითა. [2] საკჳთრად.
** მთ. XVI, 18.

ლით და მჯურვალედ თაყუანის-ცემით, მას აღესრულოს ყოველივე თხოვაჲ ორისავე კერძოჲსაჲო და თავისაცა თჯისათჯს გინა სხუათათჯს"; რომლისათჯს არს მიზეზი სიტყჯსა ამის ჩემისაჲ.

III. რომელმან სუეტი იგი ქურივისაჲ მიითუალა ტაძარსა შინა თჯსსა, ესერა ჟამთაცა | ამათ ჩუენთა შინა ერთსა ერისა- **343r**
კაცთაგანსაცა ვისმე ალაშენებინა ეკლესიაჲ მისი გამოცხადებითა თჯსითა დიდებულითა და საკჯრველითა ამან წმიდამან მოწამემან გიორგი, ქვისაგან და კირისა, და თჯნიერ მისსა; ვინცა ჴელყვის შეწევნად, ქვისა გინა სხჯსა რაჲსმე ნივთისა არა აქუნდის ყოვლადვე შეძლებაჲ ძრვისაჲ, და შერისხვით აჩუენის ოდესმე ძილსა შინა და ოდესმე დღისით და ცხადად. და უკუეთუ მხოლოდ ოდენ ბასილი მუშაკობდის, თჯნიერ ვისასაცა თანაშეწევნისა, რაოდენ გინა მძიმე ქვაჲ იტჯრთის ქვასა ზედა დასასუმელად, რომელი ფრიად მრავალთა კაცთა მიერცა მძიმე არს ტჯრთვად და თუალით სახილველად საკჯრველ, და სხუათაგან ჴელ-ყოფით შეწევნასა შინა ვერცა ერთისა კაცისა მიერ სატჯრთავისა შემძლებელ იყვნიან შეძრვად, რაოდენცა მრავლად შეკრბიან. და თჯთ დიდი იგი ახოანი თუალითა იხილის მის თანავე მუშაკობად ამან ნეტარმან ბასილი და აღწევად ქვისა მძიმისა. და ოდესმე თჯნიერ მუშაკობისაცა სწავებით განაძლიერებდის და მისცემდის სასოებასა საკჯრველისა ამის აღშენებისასა. და არცა ღორღისა და კირისა შთასხმად მიუტევებდის და არცა ვის მოღებად და | ზელად ქჯშისა კირსავე თანა, თჯნიერ მისსა. **343v**

IV. და იყო ესრეთ, რამეთუ ესე ბასილი იყო ქვითხუროჲ, რომელსა ეწოდების გალატოზი. და წარვიდა ქუეყანასა სომხითისასა, მახლობელად თფილისისასა. და გამოეცხადა დიდი იგი ახოვანი და ჰრქუა: „ნუ გაქუნს მოცალებაჲ მოსარეწელისათჯს სიგლახაკისა შენისა და აღმიშენე ტაძარი ჴელთა მიერ ოდენ შენთა და ნუმცა ვინ კადნიერ იქმნების მუშაკობად და შუელად შენ თანა. და უკუეთუ ესე ესრეთ არა აჩუენო გულსმოდგინებაჲ, აღგაოჴრო და მოგკლა ყოვლით სახლეულით შენითურთ". ხოლო ამან ნეტარმან ბასილი ჰრქუა, რომელსა მახლობელნი მისნი ბოლოკ-ბასილობით უწოდდეს: „ჱ წმიდაო გიორგი, რაჲმე ვყო საწყალობელმან და ყოვლად უბადრუკმან? პირველად, ვითარ შესაძლებელ არს ჩემთა ოდენ ჴელთა მიერ აღშენებაჲ ტაძრისა შენისაჲ, რომელი სოფლის დასაბამითგან არაოდეს ვისგან ქმნილ არს? და მე ესრეთ გლახაკსა ნუგეშინის-საცემელად ჩემდა მაქუნდა უცხოებასა მუშაკობაჲ, რაჲთა მოვირეწო დასარჩენელი სახლეულთა ჩემთაჲ. და მომიტევე, ჱ წმიდაო მოწამეო,

რაჲთა აღვასრულო ჴელით მუშაკობაჲ ამის უცხოთა ეკლესიისაჲ და ვცოცხლებდე ჴელთა მიერ ჩემთა, საფარველითავე შენითა".

344r ხოლო წმიდამან კუალადცა მრავალგზის აჩუენა და იგივე ჰრქუა მხილებითა შერისხვისა და ამოწყუედისა ქადილისაჲთა: „ისმინე ჩემი, ბოლოკ-ბასილი, და წარვედ უდაბნოსა კლარჯეთისასა, რომელსა ჰქჯან ოპიზაჲ. და მუნ არს ვინმე ბერი მონაზონთაგანი, რომელსა ეწოდების სტეფანე. და არს იგი კაცი უბიწოჲ და წმიდაჲ, რომელი სნეულებითა დიდითა შეპყრობილ არს, და აუთქუ ჩემმიერი კურნებაჲ. და მას უთქს ერთი კერძოკარაული, რომელ არს ჯორი, და უც რკინაჲცა, და იგიცა მოითხოე ჯორითურთ. და შექმნენ მის რკინისა ჭურჭელნი ქვისსათლელნი ჴელითავე შენითა, თჳნიერ კაცთა შეწევნისა. და ულლეულნი ჴართა შენთანი რომელ არიან, თჳნიერ მათსა ნუმცა მოიჴმარებ საზიდავსა საშუშაკოსა ქვისასა, გინა სხჳსა რაჲსმე ნივთისასა. და ამით კარაულითა კრებდი ქჳშასა. და თჳნიერ ამათსა სხუაჲ ნუმცა ვინ არს კადნიერ შუელად შენდა და თანაშეწევნად კაცითგან და პირუტყუადმდე".

V. და მოიწია ბასილი სახიდ თჳსსა, განკჳრვებული და შეპყრობილი შიშითა დიდითა, ძმათა შორის თჳსთა და ყოველთა სახლეულთა მისთა. ხოლო მათ ამის ყოვლისავე მათდა მიმართ მომთხრობელი ამის საკჳრველებისაჲ ჰგონეს ცნობითა ვნებული
344v განცჳბრებისა მიერ, ურწმუნო ქმნილთა. და მიიწია რაჲ ბასილი მონასტერსა მას ოპიზისასა, სენაკსა ნეტარისა სტეფანესსა, | და მიუთხრა მას ყოველივე ესრეთ, ვითარცა ჰრქუა წმიდამან მოწამემან. და მოსცა რაჲ კარაული თჳსი და რკინაჲ შესაქმნელი ქვისსათლელთა ჭურჭელთაჲ, შეყსეულად განიკურნა, სიტყჳსაებრ წმიდისა ახოვანისა. და მო-რაჲ-იწია ბასილი სახიდ თჳსსა, იწყო მუშაკობად საკჳრველისა ამის ტაძრისა კერძოკარაულსავე თანა უღლეულითა მით ჴართა თჳსთაჲთა, რომელთა სახელითცა უწოდდის: ერთსა „ქურდაობით" და მეორესა „პირქუშობით".

VI. და ესრეთ უწყებულ იყო წმიდისა მიერ: „ქვასა, რომელსაცა მიწით აღმოიღებდე, ანუ კლდისაგან აღმოჰკაფდე, მას ადგილსა მფრინველი დაჯდების, უკუეთუ განგემარჯუებოდეს. და თჳნიერ მის მფრინველისა გამოჩინებისა და მუნ ზედა დაჯდომისა ცუდ იქმნას ყოველი ჭირი შენი, რაოდენ გინა დიდითა იძულებითა იმუშაკო". და სახეცა მის მფრინველისაჲ ეუწყა და ვითარებაჲ წმიდისა მიერ, და მისი ხილვაჲცა მისცემდის სასოებასა ამის საკჳრველისა მუშაკობისასა.

VII. ხოლო კაზმასა შინა ქვისასა ადგილსა და უბანსა, რომელსა ეწოდების ჯალე, გამოუჩნდა საოცარი სახითა საზარელისა გუელისაჲთა, რომელსა ესხნეს თუალნი დიდისა დარაკისა ოდენნი. და ფრიად შეძრწუნებულსა ნეტარსა ბასილის გამოუჩნდა წმიდაჲ იგი ახოვანი, მთავარი მოწამეთაჲ და უღალადა **345r**
ⴝშა-ყოფით ნუგეშინის-ცემაჲ და ჰრქუა: „ნუ შეძრწუნებულ ხარ, ⁜ ბასილი! საოცარი ესე ხიხათა ზურგით მომავალ არს მუნითცა ჩემ მიერვე ოტებული მთასა, რომელსა ჰრქჯან პრასინაული, და მგზავრი არს ექსორიობით“. და იტყოდა: „ვხედევდიო წარსრულსა ალმოსავალით კერძო და გარდაეფარა თუალთაგან ჩემთა, რაჟამს გარდავლო მთაჲ იგი ჭარალისაჲ“.

VIII. ხოლო სუმასა შინა წყლისასა დააყუდა პირი თჳსი წყაროსა ზედა. მეყსეულად მოვიდა წმიდაჲ მოწამე და ალმოზიდნა მიყოფითა ჴელთაჲთა და ჰრქუა: „არა ჯერ-არს, რაჲთამცა სუი[1] ეგე, თჳნიერ ჯუარის გამოსახვისა, რამეთუ არიან მანდა ეშმაკნი ჩემ მიერ შთათხეულნი. და ესრეთვე სხუათა აუწყე, რაჲთა თჳნიერ ამისსა არავინ სუას ამის წყაროჲსაგან“.

IX. ვითარცა გაუწყო თქუენ სასწაული ერთისა ქვისათჳს, ესრეთვე ყოველთა სამუშაკოთათჳს ქვათა, გინა სხუათა ნივთთათჳს თჳთოეულად, ესრეთ გულისჴმა-ყავით, რაჲთა გრძელად შეტყუელებითა არღა საწყინო იქმნას, ⁜ ღმრთისმოყუარენო, ამის საკჳრველისა აღშენებისა სასოებით მსმენელნო!

მთასა მას, რომელსა ზედა არს ჯუარი სახელსა ზედა წმიდისა ზაქარიაჲსსა და ამას მთასა სახელიცა იგივე ზაქარწმიდაჲ **345v**
ეწოდების, მუნ შეჰკაზმა ქვაჲ დიდი და მძიმე ფრიად და დადვა მარტომან მარჴილსა ზედა მათვე უღლეულთა თჳსთასა შეწევნითა წმიდისაჲთა ჩუეულებისაებრ. და რაჲ ჴელის მიყოფით წინაწარმოძღომილმან ვერშეძლებისათჳს მწუხარე ყო თავი თჳსი, მეყსეულად მოეჴსნნეს მარჴილნი უღლეულსა მას ჴართასა და უღელი ქედსავე ზედა დაშთა მათსა და არცა ბასილის ეკუეთა უვნებელობასავე თანა ჴართასა. და მსწრაფლ შთამოვლო საზარელი იგი და მყაფარი ჩამოღმართი და არცა სიმრავლესა ქვათასა ეკუეთა და არცა წინა-კერძო დახუდომილსა ხევნარსა მის ქუეშე მყოფისა მაღნარისასა, რომლისა დასასრულსა, სივაკესა შინა, წარვლო კარი ეკლესიისაჲ, რომელ არს სახელსა ზედა წმიდისა წინამორბედისა და ნათლისმცემელისასა; და მას ქუეშეთცა განვლო წყალი და ყოვლადვე უვნებელმან ქვითურთ შევლო შეღმართიცა დიდი. ხოლო ნეტარი ბასილი მოვიდა მას

---

1 ნუსხაშია: სჳი

ადგილსა უღლეულითურთ და წარვიდა უმეტეს ოთხისა უტევნისა და მიაწია ქვაჲ იგი უღლეულითა მით საშუშაკოსა მას ტაძრისასა საკჯრველსა და დადვა ბალაჰვარად კარსა დასავალისასა, რომელ არს მცირედღა უნაკლულევანეს ათერთმეტისა
346r მტკაველისა.|

და ამით ესევითარითა საკჯრველებითა არს ყოველივე ესე ნამუშაკევი ამის საკჯრველისა ტაძრისაჲ, დიდად შუენიერი და წმიდად გებული ქვებითა ფრიად დიდითა და მრავალთა მიერ სატჯრთავადცა ძნიად შესაძლებელითა.

X. და ამისსა დასუმასა შინა შვილი მისი იოვანე შეიწია, რომელი იყო უსწავლელი და ერისკაცი, ვითარცა მამაჲ მისი ბოლოკ-ბასილი. და ამან სახლი აღაშენა საყოფელად სახლეულთა თჯსთა გამოცხადებითავე წმიდისაჲთა, დაღაცათუ კაცთა შეწევნად შეუნდო წმიდამან. და რაჟამს მამისა მისისა მიერ იძულებული მივიდა შუელად, მეყსეულად ეცა ქვაჲ ბასილის და იქმნა ვითარცა მკუდარი მყუარ ჟამ. და შემდგომად გამოცხადებითავე წმიდისაჲთა არღარა იკადრა შეწევად კაცთად და ესრეთ მარტომან მით უღლეულითა და კარაულითა სტეფანე ნეტარისაჲთა აღაშენა ტაძარი ესე საკჯრველი.

XI. ხოლო იყო მათ ჟამთა შინა სიყმილი დიდი და სიძჯრე პურისაჲ და მოუძლურებულსა ენა-ბრგუნვილად ჰრქჯს, რაჲცა ენების წმიდასა მოწამესა, რეცა ჩუქვების სახედ, ვითარცა ყრმამან ჩჩჯლმან, და ესრეთ ჴმა-უყვის, ვითარმედ: „ბაჩილო!“ რამეთუ ბასილიცა ნეტარი მცირედ ენა-ბრგუნვილი იყო. და ხილი მოართჯს წმიდამან: ოდესმე ყურძენი და ოდესმე ნაყოფი მთი-
346v საჲ, რომელსა ეწოდების ჟოლი, და ამით ესევითარითა საკჯრველებითა ნუგეშინი-სცის სიყმილსა ამის სანატრელისასა.

და ესრეთ მარტომან სრულ-ქმნა მით კარაულითა და უღლეულითა ტაძარი ესე საკჯრველი.

XII. და ერთი ტაძარი სხუაჲ აღაშენა, სახელსავე ზედა წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისსა, გამოცხადებითავე მისითა და შენდობითა კაცთა თანაშეწევისაჲთა, ვითარცა არს ჩუეულებაჲ და წესი სოფლის დასაბამითგანი.

და მოკლებასა შინა ჯორციისასა ირემიცა წარმოუდგინა წმიდამან ბოლოკ-ბასილის და მას თანავე მუშაკთა. და მუნ ქმნილთა საკჯრველებათა მის ტაძრისა აღშენებისათა თანაწარვჰჯე, რომელი არს მთასა ორღართასა.

XIII. ხოლო კაცი ვინმე მჯედართაგანი წარვიდა სპარსეთს და ყმაჲ მისი პყრობილ ყო. და გამოეცხადა მას წმიდაჲ და დიდებული მოწამე გიორგი და ჰრქუა: „უკუეთუ აღმიშენო სასან-

თლე ქვისაჲ ქარის-მოსაფარებელი ჴელთა მიერ შენთა, უეჭველად გამოგიჴსნაო". და მან აღუთქუა ბძანებული და, რაჟამს მოჲწია, ყო ეგრეთ. და არიან სასანთლენი ესე აწცა წინაშე მის ტაძრისა საკჳრველისა. და ესევითარითავე საკჳრველებითა მრავალნი გამოიჴსნნა ამან წმიდამან ჴელისაგან წარმართთაჲსა, რომლისა აღწერასა თანაწარვჰჴედ სიმრავლისათჳს საკჳრველებათაჲსა, ღმრთისმოყუარენო.| 347r

XIV. და უკუეთუ ენების რაჲმე ბასილის, მომთხოველსა მახლობელთა მიმართ მისთა, გინა სხუათა მიერ, არამომცემელთა შეყსეულად შერისხვით ამხილის, და იძულებით წინაშე მისა მოაწიიან. და არავის მიუტევის ესევითარი წმიდამან. და იოვანეს, შვილსა მისსა, ვალისა მისისა წილ ერთი ძელი წარუღო უნებლიეთ ვინმე კაცმან სიცოცხლესავე შინა მამისა მისისა ბასილისსა. ხოლო წმიდაჲ ესე მივიდა უდეს ჩუენებით მწუხრსა. სახლსა შინა მის კაცისასა, რაჟამს ღამე იქმნა დღე იგი, რომელი განთენდებოდა კჳრიაკედ, და ჰრქუა მას წმიდამან: „მოიყიდე სხუაჲ უძძიმესი ძელი და აღიტჳრთე ზურგითა შენითა, რაჲთა მოაწიო წინაშე ტაძრისა ჩემისა. და ამისი არამყოფელი მოგწყჳდო უეჭველად ყოვლითურთ, რაჲცა არს შენი". და მოაწია უღით ზურგითა თჳსითა მრავალთაგან ძნიად სატჳრთავი ძელი წინაშე ამის ტაძრისა შეწევნითავე წმიდისაჲთა.

XV. ხოლო ესე მფრინველი შემდგომად აღშენებისა მრავალთა წელთა მახლობელად მის ეკლესიისა იხილვებოდის სახლეულთა მისთაგან.

XVI. მოგითხრა თქუენ საკჳრველი ესე და ესრეთვე შეუძლებელი მარტოჲს მიერ, რამეთუ წმიდამან მოწამემან თჳთ აუწყა ადგილსა ზედა მწყურნებსა და მიწასა ზედა ლბილსა ჴელ-ყოფაჲ ამის საკჳრველისა აღშენებისაჲ. ხოლო ბასილი, მწუხარებითა შეპყრობილმან და ზარგანჴდილმან, თხარა ეგეოდენი სილრმე ქუეშე მიწასა, ვითარცა| ჩანს ზედაჲთ ტაძარი ესე, 347v
და მათ სილრმეთაჲთგან იწყო შენებად და ესრეთ განასრულა ტაძარი ესე საკჳრველი წმიდისა და დიდებულისა მოწამისა გიორგისი მარტოებით.

და ვიდრე ჯუარი ესე წმიდისაჲ გარეთ ესუენა, მას ზედა მფრინველმან ვერ იკადრის გარდაფრენად.

XVII. ამისსავე მუშაკობასა შინა ქვაჲ განეპო, ხოლო წმიდამან მოწამემან ჰრქუა: „შთადეგ, ბასილი, და განზომე ეგე, რაოდენი არსო". და შთადგა მას შინა და შემოაჭირა წმიდამან იმიერ და ამიერ მით განაპებითა ქვათაჲთა. ბასილი ჴმა-ყო: „ვაჲმე, რად მომკალ საწყალობელი და საბრალოჲ, წმიდაო მო-

წამეო?“ ხოლო წმიდამან, რეცა სიცილის სახედ და ლაღობისა, განზიდნა მას განაპებსა ქვათასა და ჰრქუა: „ალმოჴედ და ნუ ხარ მოწყინარე მსახურებისა ჩემისა და სრულ-ქმენ ტაძარი ჩემიო“.

XVIII. ხოლო ბასილი სადაცა წარიყვანის ჯორი იგი და სთხოის საჴმარი რაჲმე სამუშაოჲ, მათ აჰკიდიან და მარტოებით მიართჳს კერძოკარულმან ნეტარსა ბასილის და არავინ იკადრის წინაწარზიდვად, ვითარცა არს წესი ჩუეულებისაჲ ცხენთა და კარაულთათჳს.

და ვიდრე მუშაკობდა, ამით საკჳრველებითა მწე ექმნებოდა წმიდაჲ ესე აზოვანი, დიდი მოწამე გიორგი, ვითარცა მო-
348r მითხრობდეს რომელსამე ნეტარი იოსებ, ძე | ივანესი, რომელსა ამას შინა აღწერისათჳს იოვანედ უწოდ, და რომელსამე მახლობელნი მისნი.

XIX. და ესე ჯუარი წმიდისა მოწამისაჲ სახელსა ზედა არს ალავერდისა მთავარმოწამისასა, რომელმან ჩემგან თუალით ხილული და ამის სასწაულისა მომთხრობელი ყრმაჲ ვინმე გამოიყვანა, ვითარცა ძუელ ოდესმე ბორღალეთით, აღიტაცა განძაჲთ და დასუა ალავერდს, კარსა წმიდისა მოწამისასა. ხოლო იხილეს რაჲ ეკლესიად მოსრულთა ლოცვისათჳს ჟამსა ცისკრისასა შებორკილებული რკინითა, განძას დაძინებული და მუნ მდებარე, შიშისა და საკჳრველებისაგან ვითარცა მკუდარი, და აღ-რაჲ-ადგინეს ძილით, და მრავალგზის ჴმობით გონებასა ზედა მოგებულსა დასცჳვდეს რკინანი. და ადიდებდეს ღმერთსა ყოველნივე, შიშითა და სიხარულითა შეპყრობილნი, და დიდსა მოწამესა მისსა გიორგის. და ესე ყრმაჲ იმყოფებოდა ეკლესიასა შინა წმიდისასა ვიდრე მსგეფსადმდე. და მოვიდა წმიდაჲ ახოვანი და მისცა ჴელთა ცხენი თჳსი ჭარმაგი და ჰრქუა: „არებდი ეკლესიასა ამას შინა ჩემსა, ვიდრემდის კუალად წარვიყვანდეო“. „და ესე ცხენი თჳთ მომდევდის, რეცა თუ ჩუენების სახედ სადევეთა ჴელთმქონებლობისაჲთა და შეხებითა ჴელისაჲთა ვერ
348v ვაგრძნიო“,—იტყოდა | ყრმაჲ იგი,—„ვითარცა შეჰგავს ნივთიერსა და თუალით სახილავსა. და ჴელთა შინა ჩემთა იყვნეს სადევენი იგი ცხენითურთ და, ვითარცა ეკლესიასა შინა ვიქცეოდე, ჰუნე[1] იგიცა ჩემ თანავე ვიდოდის, რომელსა თუალითა, ვითარცა ჴორციელსა, ვხედევდი. და ჴელით განსახილველად იყო, ვითარცა ჰოროლი მზისაჲ, რომელსა მე ოდენ ვხედევდი და სხუაჲ ვერავინ. და რაჟამს მთხოვა წმიდამან გიორგი, უწუერულისა ჭაბუკისა სახითა მყოფმან, ვითარცა ვიხილე განძაჲთ აღტა-

[1] ნუსხაშია: ჰონე.

ცებისა ჟამსა“, და იტყოდა ესრეთ: „ოდეს მოვიდა, ძილად მწოლარე ვიყავ. და წარმომადგა ზედა ჭაბუკი შუენიერი, ნათლით შემოსილი სრულებით, და მრქუა: „ამას მათრაჴსა მოპყრობილსა ჴელი მოყავ და მეველრე და წარგიყვანო უეჭველადო“. და მე, ამისსა ურწმუნო ქმნილსა, მრქუა მე კუალადცა მრავალგზის იგივე. და რაჟამს მივყავ ჴელი, ვაგრძენ ჰამოდ აღყვანებაჲ და მოვსწყდი მიწასა, წარმიტაცა გონებამან, რეცა თუ ძილის სახედ. და ოდეს ჴმა-მიყვეს კარსა წმიდისა მოწამისასა, კახეთს, ეკლესიასა ალავერდისასა, მაშინღა ძლით მოვეგე გონებასა. და მით- 10 ვე სახითა მყოფმან შემომველრა ცხენი და მერმე წარიყვანა ჰუნე თჳსი წმიდამან. მაშინ მე წარმოველ ტაძრით წმიდით ახოვანისაჲ|თ“. ხოლო ყრმაჲ ესე სომეხთა შორის ზრდილობისათჳს **349r** იყო ენითა ქართულისაჲთა მცირედ რაჲმე ნაკლულევანი.

XX. და ვინაჲთგან ვიიძულე შეკადრებად შეპყრობილი სურვილისა მიერ, ესეცა მოთხრობილი ჴელ-ვყო: დაბასა ერთსა, რომელსა ეწოდების ცხმორისი, მუნ მყოფნი ვინმე კაცნი წარვიდეს ნაპირსა წარმართთასა მოსარეწელად რაჲსმე, ღონედ სიგლახაკისა თჳსისა. და მუნ მყოფთა გარდაეკიდნეს აგარიანნი და ტყუე იქმნნეს. ხოლო შინაგანსა სპარსეთსა შინა წარსხმულთა გულისჴმა-ყვეს დღესასწაული წმიდისა გიორგისი, დიდისა მოწამისაჲ. ერთმან გულსმოდგინებით იმარხა და მეორე მცირედ ურწმუნო იქმნა, დაღაცათუ ევედრებოდა მის თანავე იგიცა. მეყსეულად მოვიდა წმიდაჲ მოწამე, აღიტაცნა ორნივე და, რომელმან უმეტესი აჩუენა სარწმუნოებაჲ, მეყსა შინა დასუა კარსა ეკლესიისასა ცხრომისს, სადა არს ტაძარი სახელსა ზედა მისსა. და იხილეს რაჲ მუნ შემოკრებულთა დღესასწაულებად, ადიდებდეს ყოველნივე დიდსა მოწამესა გიორგის. და აწცა ჰკიდვან ბორკილნი იგი წინაშე მისსა. და ეწოდა კაცსა ამას კუანილი. ხოლო მეორე ურწმუნო ქმნისათჳს, დაღაცათუ არავე უგულებელს-ყო წმიდამან, გარნა არღარა მეყსეულად მოაწია აჭარას, ქუეყანასა მისსა, სადა აღზრდილ იყო, და დასუა საზღვარსა ქრისტეანეთასა და წარმართთასა და ძლითღა სლვით **349v** მოიწია წინაშე წმიდისა მოწამისა, სადა იმყოფებოდა, დაბასა ცხმორისისასა, და მას კაცსა ეწოდებოდა პონილი. რომელი იყო ესე სასწაული უწინარეს ამის საკჳრველისა აღშენებისა.

XXI. ხოლო ჩუენ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ სასურველად წმიდისა მოწამისა. ოდეს მოგებისათჳს ცოდვათა ჩუენთაჲსა სამცხე და ყოველი ადგილი საქართველოჲსაჲ ივლტოდა ხიზნობად შიშისათჳს ხუარაზმელთაჲსა, გამოქცევასა და მოწყუედასა ზედა ლაშქართასა და მრავალთა მთავართა და კაცის-

შვილთასა წარტყუენვასა და მოჴრებასა დედაქალაქისა ტფილისისასა და უმეტესთა ადგილთა ლიხთა ამერისა საქართველოჲსათა, ესე ჯუარი ქვისაჲ, რომელი ესუენა სახელსა ზედა წმიდისა მოწამისასა, რომელი ბასილის და ძისა მისისა იოვანესთჳს არა დამორჩილებულ იყო ტაძარსა შინა საკჳრველებით აღშენებულსა დასუენებასა, ხოლო ჩუენებით ხილვითა ნეტარისა იოსებისითა და ხარებითა სამცხესა ზედა მშჳდობისაჲთა, რომელი საქმითცა აღესრულა, მასღა ჟამსა შეესუენა წმიდასა ნამუშაკევსა თჳსსა. და შუარტყალს შინა მყოფი, თჳნიერ ნეტარისა იოსებისსა და მისთა სახლეულთაჲსა, არვინ დაშთა ულტოლველი კერძოთა აჭარისათაცა. და ესრეთ უწყებულ იყო ნეტარისა ბასილისთჳს, ვითარმედ: „მე უწყი ჟამი ჩემისა ეკლესიად დასუენებისაჲო“. და ესე წმიდათა მოციქულთაებრ, სისულელით გამორჩეულთა, ნეშტი ამის სასწაულისაჲ ნეტარისა იოვანეს შვილისა იოსებისთჳსცა დაუტევა, რამეთუ მღდელობასა მისსა და მონოზონებასა ეპატივა ჴელთა მისთა მიერ დასუენებაჲ. რამეთუ ესე ჯუარი წმიდისა მოწამისაჲ, მრავალთა მიერ ძნიად სატჳრთავი, ადვილად აღასუენა და დაამყარა ტაძარსა თჳსსა მარტოებით მოქმედმან, შეწევნითავე წმიდისაჲთა. და ესევითარითავე საკჳრველებითა დაესუენა ნამუშაკევსა თჳსსა წმიდასა, რამეთუ ამად ჟამადმდე გარეთ ესუენა კარსა ტაძრისა მისისასა.

XXII. ხოლო ამას ნეტარსა იოსებს, ვითარცა პაპასა მისსა ბასილის და მამასა მისსა იოვანეს, ჩუენებით ეზრახებოდის წმიდაჲ ესე, ვითარცა ნივთიერი და ხილულთა ჴორცთა შინა მყოფი. და ოდესმე ჴმაჲ ესმოდის მოწამისაჲ და ოდესმე თუალითა იხილის სხჳთა და სხჳთა ხატითა და ყოვლადვე არა უკჳრდის, ვითარცა ჴორციელისა მეგობრისაჲ. ნეტარი იოსებ დაღაცათუ არა ცხად-ჰყოფდა, გარნა მამაჲ დაფარულთაჲ მოაგებდა მას ცხადად*, სიტყჳსაებრ სალმრთოჲსა პირისა.

XXIII. დავიდუმნე სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გი-
350v ორგისნი, ვინაჲთგან ვერცა ყოველი სოფელი აღჰრაცხავს აღწერილსა წიგნებსა თჳთოეულისა ეკლესიისასა**, რაოდენცა არს სახელსა ზედა წმიდისა გიორგისსა, ვერცა თუ ნეტარისა ამის იოსების ეკლესიისასა, სიტყჳსაებრ წმიდისა სახარებისა.

XXIV. და ესე ნეტარიცა გარდაიცვალა ცხორებასა საუკუნესა და დაეკრძალა საფლავსავე პაპისა და მამისა თჳსისასა, შტოსა შინა მისვე საკჳრველისა ტაძრისასა. დაღაცათუ არა შემძლებელ

---

* მთ. VI, 4,6,18. ** ი. XXI,25.

ვართ ჯეროვნად დიდებისმეტყველებასა ჩუენთჳს ვნებულისასა, გარნა დიდებაჲ მადიდებელსა წმიდათა მისთასა, რომლისა თანა მამასა შუენის დიდებაჲ ცხოველსმყოფელით წმიდით სულითურთ მიუკუნისადმდე, ამინ.

XXV. უწყი, რამეთუ არა ვარ შესარაცხავი ღმრთივ მონიჭებულისა კეთილისაჲ, გარნა ამათ წმიდათა• ღმრთისათა მეოხებამან მეცა მომანიჭოს სრულ-ქმნაჲ ჩემგან სამუშაკოდ კადრებულისა ხიხათა ეკლესიისაჲ, რომლისა მუშაკობასა შინა მრავალნი სასწაულნი აღესრულნეს, მრავალთა კაცთა ფათერაკთაგან ჴსნისანი: ქვისა, დასაცემელად განმზადებულისა, მრავალთა არღარა მოსაწყუედელად გარეუკუნქცევანი; და წამოქცეულთა კლდეთაგან მშჯდობით ჴსნანი მრავალთანი; და ამას ზარის განსაჴდელად | მაღალსა და ტიალსა ადგილსა შთასაჭრელად განმზადებულთა კაცთა და ფერჴჩაცთომილთა[1] აღმოყვანებით ჴსნანი; და მრავალთა მუშაკობით მოქმედთა, ქვისმქნელთა და თანაშემწეთა მათთა, ხანგრძლად სასნეულოდ განმზადებულთა, მეყსეულნი კურნებანი; და კაცისმჭამელთა მგელთა ოტებანი სრულიად საზღვართა შინა სრულისა საქართველოჲსათა წინაშე მისსა ლიტანიობითა•• და დედისა ღმრთისა ხატისა მის თანავე გარეთ განყვანებითა, რომელსა სასოებდა დედაჲ ჩემი გამოუთქუმელითა სარწმუნოებითა და სამარადისოჲთა წინაშემდგომარეობითა და დაუდუმებელითა კითხვითა წმიდისა სახარებისაჲთა, ფსალმუნებითა და ლოცვითა, რომელი მე დამიტევა ანდერძობით, მფარველად ორისავე ცხორებისა ჩემისა•••.

XXVI. ესე და სხუანი მრავალნი დავიდუმნე და ძალსა სიტყჴსასა მოკლედ მოვიდე მე, არაღირსი და შეურაცხი შესაძრწუნებელთა ამათ სიტყუათაჲ და სიყუარულისათჳს იძულებული და არსაკადრებელად ვერმომთმინე აბუსერისძე ტბელი, ძე ერისთავთ-ერისთავისა ივანესი და დიოფალ-დიოფლისა ხათუთაჲსაჲ, რომელსა შემდგომად ქმრისა მისისა თურქთა ჴელითა აღსრულებისა მონოზონებისა მისისათჳს მაღლისა ეკატერინე ეწოდა; ძმაჲ ერისთავთ-ერისთავთა აბუსერისი და ვარდანისი, რომელთა ბრძანებითა | ჴელ-ვყავ შენებაჲ ეკლესიისაჲ, სალოცველად გარდასრულთა ჩუენთა და ცოცხალთა და მშობელთა ჩუენთა და საჴსენებელად პაპისა ჩუენისა აბუსერისსა და ძმისა მისისა

[1] ნუსხაშია: ფერჴჩაცთუმილთა.

• ხელნაწერში სიტყვიდან „წმიდათა“ ვიდრე „განსაჴდელად“-მდე აშიაზე არის მინაწერი, იხ. დანართი, გვ. 74, № 26.

•• ხელნაწერში ჩიტისთვალებს შორის მოთავსებული ტექსტის განწვრივ აშიაზე არის მინაწერი: „ამას ხატსა...| განრყუნ...|რბი მარჯ|უენე|| ჴელით...| განეკურნ...| შინა რომელი...| ღარა...| ნით• და...| თქუენ ესვ|ი|დეთ... ღმრთი|ს მოყუარ|ენო ქ|რნო|.“

სანანოჲსთჳს, რომელმან ნეფსით თჳსით თავი თჳსი უცოლო და უშვილო ყო ჩუენისა წყალობისათჳს. ამათ წაიხუნეს ხიხანი, მტერთა ზედა გაცემულნი, ბრძანებითა ღმრთისა სწორთა პატრონთაჲთა. და მიპარვით შესლვასა[1] შინა წმიდაჲ იგი ახოანი გიორგი ღამით ვარსკულავის[2] სახედ გამოუჩნდის და ჴმა-უყვის, ვითარცა ჴორციელმან, და ასწავის გზაჲ შესასულელი. ესრეთ დაიცვნა ამას საზარელსა კლდესა ჩაჭრისაგან და გჳბოძნა ხიხანი ჴელთავე და აჩუენა ჩუენ ზედა წყალობაჲ გამოუთქუმელი, მობაძავი მცნებათა მისთაჲ, რომლისათჳს დაითმინა ღუაწლი წამებისაჲ.

XXVII. და მას აქაჲთ მრავალთა უცალოებათა და დამართებათაგან ვერცა მათ მოიცალეს და ვერცა ბიძამან და მამამან ჩუენმან და ვერცა ძმათა ჩემთა და ვერცა მე, ღირსებისაებრ ამათ სიტყუათა კადნიერმან. და მაიძულა ეკლესიისა მცირაობითა ერისა ვერდატევნამან და ჯარვისა მიზეზითა გულსმოდგინებისა მათისა ნაკლულევანებამან[3] და ძუელი სახლოვანი დაშლილ იყო
352r და ამისთჳს ჴელ-ვყავ შეკადრებად აღშენებისა, რომლისა სრულ|ქმნაჲ მანვე ახოვანმან მოგუანიჭოს.

მამულისა ჩუენისა კაცთა, წესისაებრ, დიდი ჭირი ნახეს, გარნა ბაკოელთა მეტის-მეტად დიდი მოიჭირვეს, რომელთა ვაზირობითა და შემოხუეწითა ჴელ-ვყავ ეკლესიისა მრავლითა სახლოვნებითა აღშენებაჲ მუნ შინა მისრულთა სალოცავად ჭიდროებისა მათისა ნუგეშინის-საცემელად.

XXVIII. და პატრონთა მშობელთა ჩუენთა და მამიდათა—ფოტინეს და საგდუხტის სულსა, და ჩუენ სამთავე ძმათასა და პატრონთა ჩუენთა დათასა—საგდუხტისსა და ცაცაჲსასა მოიჴსენებდით; და დიოფალ-დიოფლისა, დისავე ჩუენისა—ვანენისსა, რომელმან ეკლესიაჲ აღაშენა წმიდისა იოვანე მახარებელისაჲ და ღმრთისმეტყუელისაჲ, სამკჳდრებელი ჩუენი, და აღავსო საწყაული კეთილი; დიოფალ-დიოფლისა ნისიმესი, პაპისა ჩუენისა პაპისდისაჲ. და წამკითხველნი ამისნი გუაჴსენებდით ამათ ყოველთავე ცოცხალთა და მიცვალებულთა წესისაებრ.•

XXIX. ესე ძლისპირნი და სტიქარონნი მე დავსხენ ამით ყოვლითა შემატებულითა და ვირე ცოცხალ ვარ, ოდესცა მინდან, მე მოვიჴმარებ და დასაგულებელად განაღამცა••. ...

352v XXX. |ჩემთა შვილთა დედამან ბაგულ პაშტაჲ წააგო საშენსა შინა წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისსა და მას და მისთა შვილთაცა აჴსენებდით—რუსუდანს, ზაქარიას, ივანეს, ონოფ-

[1] ნუსხაშია: შესულასა. [2] ვარსკჳლავის [3] ნაკლოლევანებამან.
• ჩიტისთვალით მონიშნულია ანდერძის პირველი ნაწილი.
•• აქ ხელნაწერში ამოფხეკილია 22 სტრიქონი (რამდენიმე სტრიქონი r-ზე, დანარჩენი V-ზე).

რეს და აღსართანს. და თუღა რაჲ მიეცეს, სხუასა ანდერძსა შინა აღვსწერ, თუ წადილი იყოს ღმრთისაჲ და წმიდისა მთავარმოწამისაჲ. და ჩუენ სამთავე თანა ძმისწულსა ჩემსა | გრიგოლსცა მოიჴსენებდით. და ორნი ჩჳლნი ქალ-ყმანი ჩემნი მარჩბივნი მიიწოდნა ზენამან სუფევამან და მათცა მოიჴსენებდით. **353r**

XXXI. პატრონმან ძმამა ჩემმან აბუსერი მრავალნი კარგნი ხატნი დაასუენნა დიდრუანნი: ერთი წმიდისა გრიგოლი პართეველისაჲ და მეორე წმიდისა დიმიტრისი, მესამე წმიდისა გიორგისი, მეოთხე წმიდისა იოვანე ოქროპირისაჲ, რომელსა ზედა წმიდაჲ მოწაფე მისი პროკლე ხატავს სახითა მთავარდიაკონობისაჲთა მსახურებად მაღლისა მღდელთმთავრობითისა ჯუარის აღპყრობისა მისისა; მეხუთე ხატი სალმრთოჲსა პირისაჲ და მეექუსე ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისაჲ ჩჳლედი. და მეულლესა ამისსა, დიოფალ-დიოფალსა, დედასა გრიგოლისსა, თამარს მოიჴსენებდით, რომლისა სული დიდებულმცა არს წინაშე წმიდისა სამებისა. და მეორესაცა მეულლესა ერისთავთ-ერისთავისა აბუსერისსა, დიოფალ-დიოფალსა ვახახსა ესრევე მოიჴსენებდით, რომელი ესეცა მიიწოდა ზენამან სუფევამან.

XXXII. და ესე უწინარეს ჯერ-იყო: სულსა პატრონისა ხუაშაჲსსა, ერისთავთ-ერისთავით, მისით ქმრით გრიგოლითურთ, რომელნი იყვნეს მშობელნი აბუსერისნი, პაპისა ჩუენისანი და სანანო ახოანისანი, პატრონთა დათა მათთა—ცუარისა და აგუტისნი, რომელთა სულნი ეგრეთვე მოჴსენებითა დიდებულ ყოს ღმერთმან პატრონით | ერისთავთ-ერისთავით, ბიძაჲთ ჩუენით **353v** გრიგოლითურთ; და ბებერსა ჩუენსა პატრონსა ბალიანდის მოიჴსენებდით.

ძმისა ჩემისა ვარდანის მეულლესა, დიოფალ-დიოფალსა ნაზის, მოიჴსენებდით წლითი წლად მიუცილებელად, სასოებით შემოკრებულნო ერნო. და ძმისწულსა ჩემსა ნათელს, ასულსა აბუსერისსა, მოიჴსენებდით და ვარდანის ასულთა, ძმისწულთავე ჩემთა—ხათუნსა და ვანენის.

XXXIII. და ვითაცაღა სოფლისა დასასრული მიგჳწოდებდეს[1], გინა თუ ცოცხალ ვიყუნეთ რომელიმე სადამდინცაღა, წაკითხვითა ამისითა ყოველთა დღესასწაულთა წმიდისა გიორგისთა დაგულოცევდით.

XXXIV. ა* ესრეთ იტყოდით შემდგომად წარკითხვისა მღდელი: „ამათ ყოველთა ზემოჴსენებულთა მეოხებითა წმიდისა მთავარმოწამისაჲთა და ყოველთა წმიდათაჲთა მიუტევენ, მეუფეო

[1] ნუსხაშია: მიგჳიწოდებდეს.

* ასომთავრული დონის წრეში ჩასმულია ჩიტისთვალი.

იესუ ქრისტე, ღმერთო ჩუენო, თანაარსო მამისაო და ყოვლად წმიდისა სულისაო“.

XXXV. Qკუეთუ ვინმე მღდელი არკარგი მკითხველი დაბუდებოდეთ, ამა ასომთავრად დონადმდე კარგსა მკითხველსა წააკითხვებდით. და დონსა ქუემოდთ ონადმდე* რომელ წერილ არს, მღდელმან ბძანე, ერისაგან „ამინის“ მთქუმელობითა, ორსავე დღესასწაულსა ცისკრად.

დანართი

ქრებულის შემდგენლის რედაქტორული შენიშვნები*

1. „ესე ამას ზემოსა გიხაროდენსა ზედა“ (ფ. 49r).

2. „დიდსა პარასკევსა დიდებასა ზედა“ (ფ. 60r).

3. „ამათ წმიდათა რადგან არ დაგჳწერია, რომლისაცალა მოწამისაჲ გინდა, ნაცვალად მას გალობდით და სადაცა სხვასა აზსენებდნენ, მას ადგილსა ესრეთ ბრძანებდი: წმიდანო ორმეოცნო! ერთი მჯდომარე „უფალო ღალადყავი“, დიდებად და მეორე სტიქარონად“ (ფ. 61r).

4. „ესე ქუემოჲთ დავიწყე ყოველი. აქა მზასა ზედა დავწერეთ ცარიელად დარჩომილსა. მეცე... ელმან... ქუემო...“ (ფ. 112r).

5. „დღის მჯდომარე. ესე არს დღე დალაცათუ. ესე სამნივე უკუანა სწერიან ძლისპირთა შინა. სრულად ბრძანნით მუნით“ (ფ. 115 v).

6. „ამას ქუ[ემ]ოჲთ [შე]მატებ[ული]... და ახ[ალი].. შემი... ტრ...“ (ფ. 219r).

7. **„უგანცხადებულესადრე ჯერ არს გამოთქუმაჲ დღისსაძიებელთათჳსვე რომელთათჳს ქუემოსა საუწყებელსა შინა აღვწერე. რაჲ** მისთჳს ჰლიოთ ამის ჯერისა კითხვაჲ ვიდრე მეორედ წითლულადმდე, უკუანის ეს შეუდგინე მეძიებელმან“ (221v-222r).

8. **„ესე იამბიკონნი ხუთთა თუეთა მეტნი არ იყუნეს ენასა ზედა ქართულსა და ოთხთა თუეთანი არსენი ბულმაისი-მისძემან თქუა ქართაჲსა კათალიკოზმან ჩუენითა[1] შეხუეწითა“** (ფ. 224r).

9. „**განზოგებისა** ოთხშაბათისაჲ, რაჲ კჳრიაკესაცა იგალობო, მაშინ სამარიტელსაჲცა იწყებს და კჳრიაკეს წალმა სამარიტელისაჲ დაადგე და განზოგებისსავე გალობდი, ვიდრე სხუად ოთხშაბათადმდე, რომელ არს მსგეფსი განზოგებისაჲ და მას წალმა კჳრიაკისა საგალობლისა შემოსვლამდე იგივე სამარიტელისაჲ იგალობების ოთხშაბათით მწუხრით შაბათსა ცისკრამდე. და ამაღლებისა წინა დღისაჲ ვინაჲთგან არა სწერია, ამაღლებისა მუჴლნი ითქუნენ აღდგომათავე თანა. და ცისკრად ითქუნენ პასექნი და წარგზავნენ ყოვლითა აღვსებისა წესითა და ოხითაჲცა იგივე სამსგეფსოსა თანა. ქრონიკონი, რომელ ზემოჲთ სწერია, იგი ალარ უნდა. ძუელსა ზედა ახალი საგალობლები მე მოვჰკიდე. სრულითა ქრონიკონითა დამიწ|ერია მისითა| განგებითა ახალთქუმულითა, იამბიკონითა და რაჲცამმე მიმატებული მუნცა დამიწერია, მომა..ებლისა დასაწყისსა და ოხითანი მარხვათანი და ზატიკთანი...იბაკოებითურთ და რაჲ ჭრელი მუჴლი ზატიკთა შინა... ზემო... განახვ...ამათ წიგნთა კულა...“ (ფ. 239 v).

10. „[ოხი]თა... და დიდ... ლისა....ნვე...“ (ფ. 241v).

11. „და იბ... ღო..ღ .გნ...“ (ფ.247v).

---

[1] ტექსტშია ჩი˜თა, რომელიც შეიძლება „ჩემითა“-ც წავიკითხოთ.

* შავად და დაყოფით აწყობილი სტრიქონები და ასოები მიუთითებს, რომ ხელნაწერში ისინი სინგურით არის შესრულებული.

12. „ჴმაჲ ბ გ̃ი ამა ზემოთა გალობათა თავსა სწერია და რაჲცა აკლია ზემოთა გალობათა, ქუემოთ სწერია აქებდითსა თანა“ (ფ.280).

13. **„ყოველი სასოებაჲ. ესე ზემო უნდის“** (ფ.283v).

14. **„თუესა აგჳსტოსსა ივ თაყუანისცემაჲ ცხოველის-მყოფელისაჲ საუფლოჲსა ხატისა ჴელითუქმნელისაჲ ოდეს მიყვანებულ იქნა ედესიაჲთ კონსტანტინეპოვლედ.**

ხოლო მეორედ, ვინაითგან მიემადლა ნათესავსაცა ჩუენსა მოწყალებითა ღმრთისაჲთა ღირსისა ნეტარისა მამისა ჩუენისა ანტონი მარტოდმყოფელისა მიერ და დღესა ფერისცვალებასა ვემთხუევით კეცსა ზედა გარდამოტუფრულსა ტილოჲსა მიერ, ამისათჳს ესე უფალო ღაღადყავი ითქუა არსენის მიერ კათალიკოზისა. ესე, რომელი ამას ზემოჲთ წერილ არს ჴმაჲ დ გუერდსა გალობითა და მეორენი თჳთძლისპირნი გალობანი, რომელნი ამის სიტყჳსა შემდგომად წერილ არიან მეორის გუერდსა, რომელთა საქცევნიცა მუჴლ-მუჴლისა თავსა წარწერილ არიან.

ხოლო მესამის გუერდისნი ითქუნეს საბაჲს მიერ სუნგელოზისა, კაცისა ღმერთშემოსილისა კარისა ებისკოპოსისა და ვიტყჳთ ზ აგჳსტოსსა.

ხოლო ვინაჲთგან ღირსისა ანტონის მიცვალებაჲცა ათჩუდმეტსავე იანვარსა იქმნა, დღესა დიდისა ანტონი მეგჳპტელისასა, ამისათჳს მაშინცა ვგალობთ და ვიტყჳთ პირველად, რომელ მჴნეონთა ზედა სწერია და მოურთავთ მაშინღა, რაჲ დიდისა ანტონისი ხოლე ითქუას და მოურთავთ დიდებად მჴდომარესა ამას, ვითარმედ შუამდინარითო.

უფალო ღაღადყავი, ჴმაჲ მეორის გუერდი ამათ ზემოთა გალობათა თავსა სწერია და რაჲცა აკლია ზემოთავე გალობათა, ქუემოთ სწერია აქებდითსა თანა“. (ფფ. 284v-285r).

15. „ღაღაცა...ძლისპი[რნი]ცა ესე... რიან...გ...[უ]კუეთუ...გენებოს...ელთა... [ძლი]სპირ...იწყებდი...“ (ფ. 285r).

16. „ესე მუჴლი ოთხგზის ითქუას ამითვე საქცევითა†“ (ფ. 292r).

17. „†ამის ზემოჲთნი მეოთხის გუერდნი გალობანი ვარდანისაგან შეხუეწითა თქუმულნი ამით მეორითა გალობითა განაშუენნა, ვინაჲთგან პიროვანნი საქცევნი ფსალმუნისაგან აღმოტჳფრნა საღმრთოჲთა გამოცხადებითა. ამისათჳს ძმამა ჩუენმან აბუსერი არსენის მიმართ გალობათა თქუმისა იძულებაჲ მოიგონა საღმრთოჲსა პირისათჳს, რომლისა მოგონებასა ამით ებისტოლითა აბუსერის მომართითა ესევე არსენი აქებს, რომელი მოწერა გელათით ამათვე გალობათა თანა“ (ფ. 293r-v).

18. „გალობანი ქრისტეს განგებულებისა და განკაცებისანი თქუმულნი ნეტარისა მამისა საბა სუნგელოსისა კარისა ებისკოპოსისანი შეხუეწითა ძმისა ჩემისა ვარდანისითა, რომლის თავნი წითელთა ასომთავართანი მსიტყუველობენ“ (ფ.294v).

19. „სიბრძ[ნემან გალო]ბისაჲ...მათა...ოსა....ხე და...მარე....თავსა [სტი]ქარო[ნთა]“ (ფ.302r).

20. „უკუეთუ გინდეს ცნობის, ესე არს თავი დივანთაჲ.

რიცხჳ თუეთა და კჳრიაკეთა, დღეთა, ჟამთა და მარცვალთაჲ თუ რაჲზომ არიან. თუენი წელიწდისანი (sic), კჳრიაკენი ორმეოცდა იბ-ნი, დღენი სამასსამეოც და ხუთ და ნაოთხალი პირველ დღისაჲ. და ჟამნი დღისანი ათორმეტ, ჟამნი ღამისანი ათორმეტ და ერთ რიცხუად--ოცდაოთხ. ჟამნი ყოველნი წელიწდისა დღეთანი--ოთხათას სამას ოთხმეოც, ერთ რიცხუად ჟამნი დღეთა და ღამეთანი--რვა ათას შჳდას სამეოც. მარცვალნი დღისა ჟამთანი-ორგზის ბევრ ცხრაას და რვა (sic), მარცვალნი ღამისა ჟამთანი--იგივე. ერთ რიცხუად ყოველნი მარცვალნი ჟამთანი--ოთხბევრ სამათას და რვაას.

ესე ასურულისა კჳკლოსისა საძიებელი და მასწავებელი, იამბიკონად თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანე შავთელისაგან თქუმულიცა ამისთჳს დავწერე, რომელი ზემოსა საუწყებელსა შინა მეჴსენა. ამას კჳკლოსსა თანა ქრონიკონსაცა დაუწერენ დიდსა წინამდებარეთა წელთასა, უკუეთუ ჯავთაგად ვინმე დასწერდეს. ვინაჲთგან ერთი მეორისა მოწამე არს, იმას ზემოსა ქრონიკონსა მივანდევ და თანა აღარ დაუწერე.

და ესე რიცხუნი შავთელისა იამბიკონთა ქუემოჲთ მოსაკიდებელ იყო და პირველ მას ხოლე წაიკითხევდით და მერმე ამას. მწერალმან მუნ სხუაჲ რაჲმე მოჰკიდა და ესე აღარ დაიწერებოდა“ (ფ. 307v).

21. „|შ|ემდგო...[წ|ითლუ|ლთა| ზედა მიხ... თ და ა... ამის...ი ზემ[ოჲთ| დამიწე|რია|... ცე უწყებაჲ...ე დღისსაძიებ|ე|ლთა და მას |წ|აიკითხევდი, მერმე ამა ზედნადებისა მო|ხმარ|ებისასა შ|ეუ|დგენდი და ...ამთა... ბთა ბო...მონახე...მო...ნო... და მუ|ნ დაწ|ერილთა ფ|ურცელ|თა ზედა...დავწერე“ (ფ. 324 v).

22. „ესე ათ|ცამეტი იამბი| კონები წმიდისაჲ...[შავ]თელის ...[სა]ძიებელი |და მას|წავებელი ა|სურულისა| კჳკლო|სისაჲ|...“ (ფ. 337r).

23. „ესე ქრონიკონისა თავსა რიცხჳ დაწერილი აქა შეუდგინ“ (ფ. 338r).

24. „ესე „გალობანი მწუალებელთა ყოველთა შეჩუენებისანი“ ითქუნნ განქიქებასა მათისათჳს, უკუეთუ ვისმე გენებოს, პირველსა კჳრიაკესა წმიდათა მარხვათასა“ (ფ. 341v).

25. „ჯერ არს ჴსენებაჲ შუჱნიერისა და დიდისა ახოვნისაჲ, რამეთუ ესე არიან სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისნი და ანდერძი მისისა სასოებით შეეედრებულისა და ამათ სიტყუათა შესაკადრებლად ღირსისაებრ მთქუმელისაჲ“ (ფ. 342rv).

26. „ამას ზემოჲთსა სასწაულთავე თანა აღსწერდეთ წმიდისა გიორგისთა, ვისცა გენებოს“ (ფ. 350v).

27. „ესე ძლისპირნი და სტიქარონნი მე დავსხენ ამით ყოვლითა შემატებულითა და ვირე ცოცხალ ვარ, ოდესცა მინდან, მე მოვიჴმარებ და დასაგულებლად განაღამცა...“ (ფ. 352rv).

28. „† პირველად ძლისპირნი გალობათანი რვათავე ჴმათა ზედა. ჯუარი ქადაგანი. გალობანი ყოველთა წმიდათანი. გალობანი ბზობისანი. დიდსა ორშაბათსა ცისკრად ჴუედრნი. დიდსა სამშაბათსა ჴუედრნი. დიდსა ოთხშაბათსა ცისკრად ჴუედრნი. გალობანი დიდისა ხუთშაბათისნი. დიდისა

პარასკევისა ჴუედრნი. **გ**ალობანი დიდსა შაბათსა. **ძ**ლისპირნი უფალო ღაღადყავისანი რვათავე ჴმათა თანა. **ა**თორმეტნი დიდისა პარასკევისანი. **ა**თორმეტნი ქრისტეს შობისანი. **ა**თორმეტნი განცხადებისანი. **ა**თერთმეტთა სახარებათა სტიქარონნი აღდგომისანი. **ა**ქებდითსა დიდებისანი. **გ**ამოავლინენი **ი**ა ათერთმეტთა სახარებათანი. **ო ხ ი თ ა ნ ი ა ღ დ გ ო მ ი ს ა ნ ი რ ვ ა თ ა ვ ე ჴ მ ა თ ა ზ ე დ ა დ ა ი ბ ა კ ო ნ ი ც ა**. **რ**ვა ჴმანი ფერისცვალებისნი, მარიამისნი და თავისკუეთისანი. **ს**ტიქარონნი საუფლოთა დღესასწაულთანი და საჩინოთა წმიდათანი, სტიქარონნი ინდიკტიონისნი, ყოველივე სრულებით ოხითაებითა ჴელსუნაქსარითურთ. **თ**უესა სეკდენბერსა რვასა გალობანი წმიდისა ღმრთისმშობელისა შობისანი. **გ**ალობანი წმიდისა იოანე ოქროპირისანი. **გ**ალობანი წმიდისა კიორგისნი, ძილისპირ ძნელობისათჳს ზეპირ დასასწავლენი. **გ**ალობანი ტაძრად მიყვანებისანი. **გ**ალობანი ქრისტეს შობისანი. **გ**ალობანი წმიდისა ბასილისნი **გ**ალობანი განცხადებისანი. **გ**ალობანი მიგებებისანი. **გ**ალობანი ხარებისანი. **გ**ალობანი ფერისცვალებისანი. **გ**ალობანი მარიამობისანი. **გ**ალობანი თავისკუეთისანი. **გ**ალობანი სინანულისანი თქუმულნი დავით მეფისანი. **ა**სეულნი გრიგოლი ღმრთისმეტყუელისანი. **ა**მბიკონნი ხუთთა თუეთანი დასრულებამდე იანვარისა. **ი**ბაკონი მარხვათა და ზატიკთანი. **ო**ხითანი მარხვათა და ზატიკთანი. **გ**ამოავლინენი საწელიწდონი. **გ**ამოავლინენი სამსგეფსონი რვათავე ჴმათანი. **წ მ ი დ ა ა რ ს ნ ი** რვათავე ჴმათანი. **გ**ალობანი წმიდისა იოანე ნათლისმცემელისანი, წმიდათა იოანეთანი სხუათანიცა სამთავე ზიარნი; იოანე მახარებლისანი და იოანე ოქროპირისანი ჩემგან შემატებულნი, ამითურთ ამას ქუემოდთი ყველაჲ•* **ა**მბიკონნი ახალნი ოთხთა თუეთანი. **შ**ეორესა კჳრიაკესა შენელსაცხებლეთა **(sic)** ხუედრნი და სამნი სხუანი ხუედრნი, ზატიკთანი და კჳრიანი დღენი განზოგებითურთ, ამაღლებითურთ და სულთა შაბათითურთ დიდი შაბათით, ვიდრე ყოველთა წმიდათა კჳრიაკემდინ, რომელი არს მსგეფსი მარტჳლისაჲ. **უ**ფალო ღაღატყავი ხატისა უხილავისაჲ სამითა გალობითა ახალ თქუმულითა. **უ**ფალო ღაღატყავი წმიდისა გიორგისნი და გალობანი მისითა წარდგომითა და იბაკოჲთა. **გ**ალობანი წმიდისა დიმიტრისნი და მეორენი წმიდისა თეოდორესნი მათითა უფალო ღაღატყვებითა, წარდგომებითა და იბაკოებითა. **ქ**რონიკონი სრული მისითა საუწყებელითა განგებითა. **კ**ჳკლოსი ასურული შავთელისაგან თქუმულითა განგებითა-იამბიკონითა. **გ**ალობანი მწუალებელთა შეჩუენებისანი. **ა**ხალნი სასწაულნი წმიდისა გიორგისნი“ (ფფ. 354r-354v).

29. „**ს**აგალო[ბელნი]...თი წ̃[თა ე]კატირინესი, [ბარბ]არაჲსი და [მარ]ინაჲსი და...სი. **დ**[ა წ]მიდათა მა[ხარ]ებელთა იოანესი და ლუკაჲს[ი] და წმიდათა მოციქულთა [პეტრე]სი და პავლეს[ი] ამას ქუეშო[ჲთ] სწერია **დ**[ა წმიდა] ნიკოლოზისი •. **და** ჭრელ[თა მუ]ჴლებსა, გ[ერთ]ა და უფალო ღაღატყვი[სთა] და საწელიწ[დო]თა სტიქარ[ონ]თა შინა მოჰ[ნა]ხევდით. **და** [გა]ლობანი წმიდისა [ღმრთი]სმშობელ[ისა] მართლისა ს[ა]რწმუნოებისათჳს“ (ფ. 355r).

30. „**უ ფ ა ლ ო** ღაღატყავი წმიდისა ეკატირინესი ზემოჲთ არ დაეტეოდა.

---

* შავი პატარა რგოლი გულისხმობს ტექსტისეული სინგურის ჩიტისთვალს.

ვინაჲთგან ამა სჱუათაცა ქალწულ მოწამეთათჳს ფურცელნი უმატენით, არ-
ცალა ამისი უფალო ღაღატყავი დავაგდეთ“ (ფ. 357r).

31. „ჴრელნი მუჴლნი სამთავე ქალწულთანი გერთა და სტიქარონთა შინა მონაჱეთ ამას ზემოჲთ და გამოავლინენი ყოველთა წმიდათანიცა სწერიან“ (ფ. 357r).

32.„.....ნი“ (ფ. 384v).

აბუსერისძე ტბელის
ცხოვრება და მოღვაწეობა

I თავი

აბუსერისძე ტბელი

აბუსერისძე ტბელი XIII საუკუნის პირველი ნახევრის გამოჩენილი ქართველი მწერალია. იგი დიდი ფეოდალური ოჯახის წარმომადგენელია. მისი ოჯახის წევრები და ახლო ნათესავები ერისთავ-ერისთავის ტიტულით აქტიურად მონაწილეობდნენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

აბუსერისძეთა ფეოდალური სახლი, როგორც განსვენებულმა ისტორიკოსებმა თ. ჟორდანიამ და ლ. მუსხელიშვილმა გაარკვიეს, პირველად ისტორიულ წყაროებში XI საუკუნის პირველი ნახევრიდან იხსენიება და XV საუკუნის დამლევამდე ჩვენი ქვეყნის ისტორიაში აქტიურ როლს თამაშობდა.[1]

აბუსერისძეთა მემკვიდრეობა საუკუნეების მანძილზე ფლობდა კლარჯეთს, აჭარას და ერთიანი საქართველოს სულისკვეთებით მოღვაწეობდა. მათთვის მიუღებელი იყო კუთხური პროვინციალიზმი, რაც კარგად ჩანს აბუსერისძე ტბელის თხზულებიდან. აბუსერისძენი „სრული საქართველოს“, „ლიხთა ამერისა საქართველოჲს“ უერთგულესი მოღვაწენი არიან.

აბუსერისძე ტბელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ აკად. მარი ბროსედან მოყოლებული მრავალი საგულისხმო გამოკვლევა დაიწერა, დადგენილია ბევრი მნიშვნელოვანი ფაქტი. თ. ჟორდანიამ, ივ. ჯავახიშვილმა, კ. კეკელიძემ, ნ. ბერძენიშვილმა, ლ. მუსხელიშვილმა, ი. ხიხარულიძემ, ფ. სიხარულიძემ, რ. ხალვაშმა, რ. თვარაძემ, დ. ცხაკაიამ, ო. სურმანიძემ და სხვებმა აბუსერისძე ტბელის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლის საკითხებს მეტად საინტერესო შრომები მიუძღვნეს.

აბუსერისძე ტბელის ბიოგრაფიის შესასწავლად უძვირფასესი წყაროა მის მიერვე შედგენილი „მოსახსენებელი“. აქედან ირკვევა, რომ იგი ჴოფილა ერისთავ-ერისთავ ივანესი და დიოფალ-დიოფლის ხათუთას შვილი. მამა დაღუპულა თურქთა ხელითგან[2], ხოლო დედა მონაზვნად აღკვეცილა ეკატერინეს სახელით. ჩვენი მწერალი სხვა ადგილასაც ასახელებს დედას, რომელიც დიდი სასოებით აღავლენდა ლოცვას „სრულისა საქართველოს“ საკეთილდღეოდ: „და კაცისა მჭამელთა მგელთა ოტებანი, სრულად საზღვართა შინა სრულისა საქართველოჲსათა, წინაშე მისსა ლიტანიობითა და დედისა ღმრთისა ხატისა მის თანავე გარეთ განყვანებითა, რომელსა სასოებდა დედაჲ ჩემი გამოუთქუმელთა სარწმუნოებითა და სამარადისოჲთა წინაშემდგომარებითა და დაუდუ-

---

1 აბუსერისძე ტბელი, ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყლში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატიანე 1233 წ., ტექსტი, გამოსცა ლ. მუსხელიშვილმა. 1941 წ. გვ. 17, 23. შდრ. ი. სიხარულიძე, ტბელ აბუსერისძე, 1963 წ. გვ. 8-12.

2 ლ. მუსხელიშვილის აზრით, ეს უნდა მომხდარიყო 1206 წელს. იხ. აბუსერისძე ტბელი, ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყლში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატიანე, 1233 წ. ტექსტი, გამოსცა ლ. მუსხელიშვილმა, 1941 წ., გვ. 22. შდრ. თ. ჟორდანია, ქრონიკები, II გვ. 120, შენიშვნა.

მებელითა კითხვითა წმიდისა სახარებისაჲთა, ფსალმუნებითა და ლოცვითა, რომელი მე დამიტევა ანდერძობით, მფარველად ორისავე ცხორებისა ჩემისა".

აბუსერისძე ტბელი მრავალრიცხოვანი ოჯახის პატრონი ბრძანებულა. მეუღლის სახელი ყოფილა ბაგულ, რომელსაც აქტიური მონაწილეობა მიუღია წმ. გიორგის სახელზე აგებული ეკლესიის მშენებლობაში. ჰყოლია შვიდი შვილი, რომელთაგან ორი—ტყუპი ქალ-ვაჟი მცირე ასაკში გარდაცვლილა. შვილების სახელებია: რუსუდანი, ზაქარია, ივანე, ონოფრე და აღსართანი.

„მოსახსენებელში" აბუსერისძე ტბელი თავისი ოჯახის შესახებ წერს: **„ჩემთა შვილთა დედამან** ბაგულ პაშტად წააგო საშენსა შინა წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისსა და **მისთა შვილთაცა** აჴსენებდით—რუსუდანს, ზაქარიას, ივანეს, ონოფრეს და აღსართანს. და თუღა რაჲ მიეცეს, სხუასა ანდერძსა შინა აღვსწერ, თუ წადილი იყოს ღმრთისაჲ. და **ორნი ჩჳლნი ქალ-ყრმანი ჩემნი** მარჩბივნი მიიწოდნა ზენამან სუფევამან და მაოცა მოიჴსენებდით".

ამ სტრიქონებმა იმთავითვე მიიქცია სპეციალისტების ყურადღება. ლ. მუსხელიშვილი წერდა: „თავის ოჯახთან აბუსერისძე ტბელი გაყრილი ჩანს. ამიტომაა, ალბათ, რომ თავის მეუღლეს ის როგორც ასეთს კი არ იხსენებს, არამედ როგორც თავის შვილთა დედას და თავის შვილებსაც ერთ ადგილას მის, დედის შვილებს ეძახის, რომლებსაც იგი თვითონ თითქოს დაშორებულია. მართალია, მერმე ის ამბობს, რომ თუ ჩამოთვლილთ გარდა მას, ბაგულს, კიდევ მიეცეს შვილი, „სხუასა ანდერძსა შინა აღვსწერო". მაგრამ აქ უკვე ავტორის შვილები არ უნდა იგულისხმებოდნენ, არამედ ბაგულ მეორედ უნდა იყოს გათხოვილი და აბუსერისძე ტბელი თავის თავს მოვალედ ჩრაცხს მისი მეორე ქმრის ხელში შეძენილი შვილებიც ახსენოს თავის ანდერძში".[1]

მოსახსენებლის ციტირებული სტრიქონები და ლ. მუსხელიშვილის აზრი საგანგებოდ გაარჩია ი. სიხარულიძემ. მისი სიტყვებით, „განსვენებულ ისტორიკოსს კარგად შეუნიშნავს, რომ ბაგული ბედნაცვალი, მეორედ გათხოვილი ქალი ჩანს, მაგრამ ტბელის ცნობების მისეული ახსნა იწვევს ეჭვს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბაგული მწერალს კი არ განშორებია და გათხოვილა მეორედ, არამედ სწორედ ტბელი უნდა იყოს მისი მეორე ქმარი. ძნელი სარწმუნოა, რომ მასთან განშორებული ცოლის ვიღაცასთან შეძენილი შვილები შეეტანა სხვა ანდერძში...უნდა ვიფიქროთ, რომ ის ხუთი შვილი, ერთი ქალი და ოთხი ვაჟი, რომელიც ზემოთ იყო ჩამოთვლილი, ბაგულს პირველი ქმრისაგან ჰყავდა; ამასზე უნდა მიუთითებდეს მწერლის სიტყვები: „მისთა (ბაგულის) შვილთა", რაც შეეხება ტბელს, ბაგულთან მას შესძენია „მარჩბივნი" „ქალ-ყრმანი", რომელნიც უასაკონი დახოცილან"[2].

მართლაც, მოსახსენებლის ადგილი უცილობლად მოითხოვს კომენტარს. ჩვენი აზრით, დასახელებულ ისტორიკოსთა სიტყვებში ერთი რამ უეჭველია

---

[1] აბუსერისძე ტბელი, ლ. მუსხელიშვილის დასახელებული გამოცემა, გვ. 24.

[2] ი. სიხარულიძე, ტბელ აბუსერისძე, XIII საუკ. ქართველი მწერალი, თბილისი, 1963 წ. გვ. 29-30.

და დავას არ იწვევს ის, რომ მოსახსენებლის ეს ადგილიც (სხვა ეპიზოდების მსგავსად) ვერ არის რიგიანად გამართული.

მართლაც, ერთი შეხედვით მოულოდნელია გამოთქმები: „**ჩემთა** შვილთა დედამან“, „**მისთა** შვილთაცა აჴსენებდით“, „ორნი ჩჳლნი ქალ-ყრმანი **ჩემნი**“. მაგრამ ვფიქრობთ, ბედნაცვალობის პრობლემა მხოლოდ ამ ფრაზების მიხედვით არ დგას. მსგავსი სტერეოტიპული გამოთქმები წყაროებში სხვაგანაც გვხვდება, როდესაც საეჭვო არაფერია. მაგალითად, ჯვრის მონასტრის აღაპებში (მოსახსენებელში) ვკითხულობთ: „მე ფანასკერტელისა ცოლყოფილმან რიფსიმე შემოვსწირე ორი მაშრაბაჲ, ერთი ამილამბარის სულისა (ე.ი. ყოფილი ქმრის) სამლოცველოდ და ერთი მათისა შვილისა ზაქარიას სადღეგრძელოდ...“ ეს ზაქარია მათი შვილია, ჩანს იქვე ჩაწერილი მეორე მოსახსენებლიდან: „გაუჩინეთ ჯუარის მამამან პიმენ მოძღუარმან...დალოცვა ფანასკერტელსა ამილბარს და მისსა მეუღლყოფილსა რიფსიმეს და **მათსა შვილსა ზაქარიას**, შეუნდჳენ ღმერთმან“[1]. გერგეტის მატიანის მოსახსენებლიდან: „უფალო, დაიცევ ორსავე შინა ცხოვრებასა ..არაგვის ერისთავი ვამიყ, თანამეცხედრე მათი მარიამ, **ძე მისი მამუკა**, თანამეცხედრე მისი მარიამ...“[2]

მოტანილი ტექსტებიდან ცხადია, პირველი, ზაქარია ამილამბარისა და რიფსიმეს შვილია, მაგრამ რიფსიმე (მონაზონი) დედა საკუთარ შვილზე აღაპში წერს: „მათისა (ე.ი. ამილამბარისა) შვილისა“. მეორე შემთხვევაში, მამუკა, რომელიც იყო ვამიყისა და მარიამის ძე, წერია „ძე მისი“ და ა.შ. (მსგავსი მაგალითების დამოწმება კიდევ შეიძლება. ცხადია, საპირისპირო მაგალითებიც ბევრია წყაროებში). აქედან გამომდინარე აბუსერისძე ტბელის ფრაზა „მისთა შვილთაცა“ გარკვეულ სტერეოტიპულ გამოთქმად უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ ერთი უცილობელი პირობით, რომ მისი დამწერი უეჭველად აღკვეცილია ბერად და გაცილებულია ოჯახს.

რომ აბუსერისძე ტბელი სასულიერო პირია (და დამოწმებული გამოთქმა მისთვის მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო) ეს სხვა მონაცემებითაც მტკიცდება. უპირველეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ მის მიერვე შედგენილი ხელნაწერი კრებული, რომელიც არსებითად წმინდა წყლის ლიტურგიკული შინაარსის ძეგლია, რომელშიც ძირითადად წარმოდგენილია ჰაგიოგრაფიულ-ჰიმნოგრაფიული თხზულებები. ძნელი წარმოსადგენია ერის კაცი, არა სასულიერო პირი ასეთი გატაცებით და ბეჯითად ეძებდეს და ადგენდეს ეკლესიისათვის საჭირო მასალას, წერდეს, საგანგებოდ აწესებდეს ხელთუქმნელი ხატის დღესასწაულს, ინიციატორი იყოს საეკლესიო კალენდრის რეფორმისა. ეს ფაქტები, რა თქმა უნდა, მის ბერობაზე მიუთითებს.[3]

---

[1] ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII ს.ს.), თბილისი, 1962 წ., გვ. 92, №136, №138.

[2] ქრ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები, დაბეჭდილია: მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბილისი, 1954 წ., გვ. 269.

[3] ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში ვკითხულობთ: „შვილი მისი იოვანე შეეწია, რომელი იყო უსწავლელი და ერისკაცი, ვითარცა მამაჲ მისი.“ ფრაზაში აშკარად იგრძნობა სასულიერო პირის დამოკიდებულება ერისკაცისადმი. (იხ. აქვე, გვ. 62).

აბუსერისძე ტბელის გარდაცვალების თარიღი ცნობილი არ არის. აბუსერისძე ტბელის აღაპი მოგვიანებით—XVI საუკუნეში მიუწერიათ XI საუკუნის ხელნაწერზე, ე.წ. კლარჯულ სვინაქსარზე (A-97):[1] „ამას დღესა აღაპი ტბელისა აბუსერისძისაჲ. ამის შემცვალებელიცა კრულია პეტრე მოციქულისა მადლითა“ (323რ). მინაწერი გაკეთებულია მარხვანის ნაწილში მე-6 კვირიაკის დასაწყისს. ეს აღაპი რაიმე კონკრეტულ მინიშნებებს გარდაცვალების თარიღზე არ იძლევა, რადგანაც იგი ძალიან გვიანდელია. ერთი კი მაინც უნდა ითქვას, რომ აღაპის დამდები რაღაცით უნდა იყოს დაკავშირებული აბუსერისძეთა ყოფილ დიდ ოჯახთან. ამას მოწმობს მეორე აღაპიც ამავე ხელნაწერიდან. ეს აღაპიც გვიანდელია, ალბათ XVI-XVII საუკუნეების. „სულსა აბუსერისძესა ბეჟანას შეუნდენ ღმერთმან. და მისსა მეულღესა მზექალს შეუნდინენ ღმერთმან“ (183რ). აბუსერისძე ტბელი „მოსახსენებელში“ ვრცლად საუბრობს თავისი დიდი ოჯახის წარმომადგენლებზე. ამ ცნობის მიხედვით, ჯერ კიდევ მარი ბროსემ შეადგინა აბუსერისძეთა გენეალოგიური ხე. შემდეგ ეგევე საქმე გააკეთეს თ. ჟორდანიამ, ლ. მუსხელიშვილმა და სხვებმა.

აბუსერისძე ტბელი „მოსახსენებელში“ პაპის პაპიდან მოყოლებული თითქმის ყველა ახლობელს ასახელებს. ძმებს––აბუსერსა და ვარდანს, დებს ––საგდუხტი, ცაცა, ვანენი, ძმისწულებს—გრიგოლი, ნათელი, ხათუნი, ვანენი, ძაძიდებს—ფოტინე, საგდუხტი, პაპას––აბუსერის, პაპის ძმას––სანანო ახოანი, პაპის დებს—ცუარი, აგუტი; პაპის მშობლებს—ხუაშაჲ, გრიგოლი, პაპის პაპის დას ნისიმეს. ბიძას––გრიგოლს, ბებერს ბალიანდის, შვილებს––რუსუდანი, ზაქარია, ივანე, ონოფრე, აღსართან. ზოგჯერ ასახელებს მეულღეებსაც. აბუსერის (ძმის) მეულღეები––თამარი, ვახახი; ვარდანის (ძმის)––ნაზი. ყველას შესახებ წერს თბილად და მოკრძალებით. მოსახსენებელი რომ მთლად გამართული არ არის, ამის შესახებ თითქმის ყველა მკვლევარი მიუთითებდა. ისეთი შთაბეჭდილებაც რჩება, რომ მოსახსენებელი ერთი ამოსუნთქვით არ არის დაწერილი[2]. ჩვენი აზრით, „მოსახსენებლის“ ტექსტის რამდენიმე ადგილი აუცილებლად მოითხოვს განმარტებას. ისიც უეჭველია, რომ მოსახსენებელი სხვადასხვა დროს იწერებოდა.

პირველი, ავტორი თვითონვე მიუთითებს, რომ ეპიზოდი, რომელშიც წინაპრებზეა საუბარი, ადრე უნდა დაწერილიყო––„ესე უწინარეს ჯერი იყო“. ყველა შემთხვევაში, როდესაც აბუსერისძე ტბელი „მოსახსენებელში“ ასახელებს ცოლ-ქმარს (არა აქვს მნიშვნელობა ცოცხალთ თუ გარდაცვლილთ) ჯერ ახსენებს კაცს (ქმარს) და შემდეგ ქალს (ცოლს). არის ერთადერთი გამონაკლისი,

---

[1] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა. ტ. I, თბილისი, 1973 წ. გვ. 446. შდრ. ი. სიხარულიძე, აღაპი ტბელისა აბუსერისძისა, გაზეთი „აჭარა“ 1997 12/10 გვ. 5.

[2] ეს ფაქტი კატეგორიულობით ლ. მუსხელიშვილმა დააფიქსირა. იგი წერს: „მკითხველი ისეთ შთაბეჭდილებას ,ღებულობს, თითქოს ავტორი წინასწარ მოუმზადებლად სწერდეს... საზოგადოდ, მოსახსენებლები საკმაოდ უსისტემოდაა ჩამოთვლილი“ იხ. ლ. მუსხელიშვილის დასახელებული წიგნი, გვ. 2.

როდესაც პაპის––აბუსერის მშობლებზე ლაპარაკობს, პირველად ასახელებს ცოლს (ქალს) და შემდეგ ქმარს (კაცს). „სულსა პატრონისა ხუაშაჲსსა ერისთავთ-ერისთავით მისი ქმრით —გრიგოლითურთ, რომელნი იყვნენ მშობელნი აბუსერისნი“. ეს უბრალო გადაადგილებაა სახელების (რაც ჩვენი დიპლომატიკური მასალების მიხედვით გამორიცხულია) თუ შეგნებული ფიქსაციაა მიმანიშნებელი რაღაცა სინამდვილისა. ერისთავთ-ერისთავი რომ კაცს ეხება და ეს კაცი ქმრადაა დასახელებული, ამაში ეჭვი არა არის. ჩვენთვის ისიც აუხსნელია, რომ ქალი დიოფალ-დიოფალის ტიტულით არ მოიხსენიება (შეადარე ერისთავთ-ერისთავი ივანე და დიოფალ-დიოფალი ხათუნა, ერისთავთ-ერისთავი აბუსერი და დიოფალთ-დიოფალი ვახახი; ვარდანი—ძმა, რომელიც სხვაგან იწოდება ერისთავთ-ერისთავად, მეულლე იწოდება „დიოფალ-დიოფალსა ნაზის“?. აშკარად დარღვეულია პირთა დასახელების პრინციპი. თანაც ხაზგასმულია გამოთქმა „**მისი ქმრით**—გრიგოლითურთ“. ბუნებრივად ისმის კითხვა, ასეთი მითითება ხომ არ ნიშნავს, რომ ეს დიდი ოჯახი და საგვარეულო დედის (ქალის) ხაზით გაგრძელდა, რომ **გრიგოლი სიძეა მხოლოდ** და სიძეობით ერისთავთ-ერისთავიც (ანალოგია, დავით სოსლანი იმდენად იყო მეფე, რამდენადაც ქმარი იყო თამარის). ამ ტექსტიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ ხუაშაჲზე შეწყდა საგვარეულოს მამრი და ხუაშაჲ გახდა გვარის გამგრძელებელი (სამეფო ოჯახიდან ასეთი ფაქტები ცნობილია). თუ ჩვენი ვარაუდი მისაღებია, გრიგოლიც აბუსერისძე გამხდარა და მემკვიდრეებს გაუგრძელებიათ დედის გვარი. განსაკუთრებით ნიშანდობლივია გამოთქმა „მისი ქმრით––გრიგოლითურთ“. ხაზგასმულია, რომ გრიგოლი ქმარია ხუაშაისი, და მისი ხსენება ცოლთან ერთად უნდა ითქვას. ამას მიგვითითებს დამოწმებული ფრაზა.

მეორე, ვფიქრობთ ანალოგიასთან უნდა გვქონდეს საქმე მეორე შემთხვევაშიც. როდესაც პაპის —აბუსერის და მისი ძმის––სანანოს დებს ჩამოთვლის, ავტორი წერს: „პატრონთა დათა მათთა ცუარისა და აგუტისნი, რომელთა სულნი ეგრეთვე მოჴსენებითა დიდებულ ყოს ღმერთმან; პატრონით ერისთავთ-ერისთავით ბიძაჲთ ჩუენით გრიგოლითურთ“. ბიძა სახელის გარეშე სხვა ადგილსაც არის მოხსენიებული. ეკლესიის აშენებისთვისო „ვერც მათ მოიცალეს და ვერცა ბიძამან და მამამან ჩუენმან და ვერცა ძმათა ჩემთა და ვერცა მე“. ვინ არის ეს „მათ“, რომლებმაც მშენებლობისათვის ვერ მოიცალეს? მოსახსენებლის ამ ციტატის ზემოთ აბუსერისძე ტბელი აცხადებს, რომ მან ძმების––აბუსერისა და ვარდანის იძულებით იწყო შენებად ეკლესიისა „საჴსენებელად პაპისა ჩუენისა აბუსერისსა და ძმისა მისისა სანანოჲსთჳს, [რომელთა] წაიხუნეს ხიხანი, მტერთა ზედა გაცემულნი“. ვფიქრობთ, ავტორი წინა აბზაცში იმავე პირებს გულისხმობს, რომელთაც ქვემოთ ასახელებს. აქ ასახელებს ბიძას სახელის გარეშე, რომელიც ზემო მონაკვეთში არ ფიგურირებს. მაშასადამე, ბიძა დასახელებულია ორჯერ, ერთხელ სახელის გარეშე, მეორედ პაპისა და პაპისდების კონტექსტში. ლ. მუსხელიშვილს მიაჩნია და

თავის გენეალოგიურ ტაბულაში შეტანილიც აქვს[1], რომ ბიძა გრიგოლი უნდა იყოს ივანეს ძმა. მარი ბროსეც[2] დაახლოებით ამასვე ფიქრობს, მაგრამ ტაბულის ძირითად ნუსხაში არ შეჰყავს, გვერდით უწერს. თ. ჟორდანიაც[3] ივანეს ძმად მიიჩნევს. ამ აზრს ეთანხმება ი. სიხარულიძეც (იხ. ცხოვრება ქვითხუროისა ბასილისა, ბათუმი, 1981, გვ. 70).

ციტირებულ სტრიქონებში ბიძა გრიგოლი გვხვდება ფორმით **გრიგოლითურთ**, არა დამოუკიდებლად, არამედ სხვასთან მიმართებაში. ამის გამო ვფიქრობთ, რომ იგი უნდა იყოს აბუსერის ერთ-ერთი დის ცუარის ან აგუტის ქმარი. მაგრამ არის ერთი არსებითი უხერხულობა. გრიგოლი იხსენიება ბიძად. პაპის დის ქმარი ამ სიტყვის პირდაპირი შინაარსით ვერ იქნება ბიძა (საბას ლექსიკონის მიხედვით ბიძა არის მამის ძმა, ხოლო ბიძია დედის ძმა. ლექსიკონის ადრეულ რედაქციებში „მამა-დედათა ძმა", „დედ-მამათა ძმა"). თუ გრიგოლი ივანეს ძმაა, მაშინ გაუგებარია, რატომ ერთხელ არ ახსენებს ამ კონტექსტში მას აბუსერისძე ტბელი. იგი ძმებსა და დებს ყოველთვის ასახელებს სხვა შემთხვევაში. გრიგოლი „მოსახსენებელში" მამის ძმად დასახელებული არ არის, იგი პაპის ერთ-ერთი დის ქმარია და ნართაულად[4] მას აბუსერისძე ეძახის ბიძას.

მესამე, „მოსახსენებელში" არის ასეთი ფრაზა: „და ბებერსა ჩუენსა ბალიანდის მოიჴსენებდით". ეს მოსახსენებელი მოსდევს ზემოთ დასახელებულ გრიგოლის მოსახსენებელს. ბალიანდი პატრონია, ბებერაა. სხვა რაიმე განმსაზღვრელი მისი პიროვნების დასადგენად ტექსტში არაა. ვფიქრობთ, მართალნი უნდა იყვნენ წინა მკვლევარნი, როდესაც ვარაუდობენ, რომ იგი აბუსერის ცოლი უნდა იყოს.

ბებერა დიდედის მნიშვნელობით წყაროებში თვით XV საუკუნეშიც ჩვეულებრივ გვხვდება. ქრ. შარაშიძემ A-1737 ხელნაწერის მიხედვით გამოაქვეყნა ყვარყვარე ათაბაგის (1416-1498) სახლის წევრთა მოსახსენებლები. ყვარყვარეს შვილიშვილი ქეთეონი (მეფეთ-მეფის გიორგის ასული) წერს ლოცვას, რომელშიც ჩართულია მოსახსენებლებიც. ლოცვაში ვკითხულობთ: „უფალო,...მოიჴსენენ სახიერებით და წყალობით მონანი შენნი, პირველდაძინებულნი მართლმადიდებელნი: პაპი ჩემი პატრონი ყუარყუარე და **ბებერა ჩემი** პატრონი დედისიმედი..."

მეორე ადგილას: „მეოხ ეყავ... პატრონსა პაპსა ჩემსა ყუარყუარეს და ბებერა ჩემსა პატრონსა დედისიმედსა..."[5]

მაშასადამე, ამ მონაცემით ქეთეონი საგანგებოდ აფიქსირებს, რომ დიდედა

---

[1] ლ. მუსხელიშვილი, დასახელებული წიგნი, გვ. 24

[2] Etudes de chronologie technique par M. Brosset, 1868 St. Petersbourg, გვ. 22

[3] თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 122-123

[4] ტერმინი ნართაული დამოწმებულია პარხლის სახარების (973 წ.) ანდერძში: „ღირს ვიქმენ მე, გლახაკი იოვანე, ნართაულად ბერაჲ..."

[5] საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIII სს), დაიბეჭდა „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 30, 1957 წ., გვ. 259-260.

იწოდებოდა ბებერად. ბალიანდის აბუსერისძე ტბელი ბებერს იმიტომ კი არ უწოდებს, რომ იგი 1233 წელს ცოცხალი იყო და, მაშასადამე, ხანდაზმული ბებერი,[1] არამედ იმიტომ, რომ ბებერა სინონიმია დიდედის. აქედან გამომდინარე არ არის აუცილებლობა ბალიანდი 1233 მაინცდამაინც ცოცხლად ვივარაუდოთ.

მეოთხე, მოსახსენებელში ნათქვამია „დიოფალ-დიოფლისა ნისიმესი, პაპისა ჩუენისა პაპის დაჲ“. რაიმე განსაკუთრებულ დამსახურებაზე ავტორი არ მიგვანიშნებს. ამიტომ ერთობ მოულოდნელია მეოთხე თაობის წარმომადგენელმა თავისი დიდი წინაპრის სახელი მოიხსენიოს, მაშინ როდესაც პაპის პაპის სახელს არ ასახელებს. არ არის გამორიცხული, რომ აქ მექანიკურ შეცდომასთან გვქონდეს საქმე და იგულისხმებოდეს მხოლოდ პაპის დაჲ და არა შორეული წინაპარი. ჩვენ არაფერს ვამტკიცებთ, მხოლოდ ეჭვს გამოვთქვამთ. აბუსერისძე ტბელის „მოსახსენებლის“ მიხედვით ვიძლევით ტაბულის ჩვენს ვარიანტს, რომელიც ამდენ ხანს არსებულ გენეალოგიასთან შედარებით გარკვეულ კორექტივებს შეიცავს.



[1] შდრ. ლ. მუსხელიშვილის დასახელებული წიგნი, გვ.22 ი. სიხარულიძე იზიარებს ლ. მუსხელიშვილის მოსაზრებას, რომ ბალიანდი 1233 წ. ცოცხალია; იხ. ტბელ აბუსერისძე, XIII საუკ. ქართველი მწერალი, 1963 წ., გვ. 20

ჩვენ საგანგებოდ არც წინაპრების და არც მომდევნო თაობის შესახებ არაფერს ვწერთ. ვფიქრობთ, წინა მკვლევართა მიერ ეს საქმე გაკეთებულია. ჩვენ ამოვედით მხოლოდ „მოსახსენებლიდან“ და წარმოვადგინეთ გენეალოგიური ტაბულის ჩვენეული ვარიანტი.

მეხუთე, მოსახსენებელში, როდესაც ერთი წყება მოსახსენებელი ჩამოთვალა, გააკეთა ლოგიკური დასკვნაც: „და წამკითხველნი ამისნი გუაჴსენებდით ამათ ყოველთავე ცოცხალთა და მიცვალებულთა წესისაებრ“. ჩაურთო ფრაზა: „ესე ძლისპირნი და სტიქარონნი მე დავსხენ ამით ყოვლითა შემატებულითა და ვირე ცოცხალ ვარ, ოდესცა მინდან, მე მოვიჴმარებ და დასაგულებელად განალამცა“. ამ სტრიქონების შემდეგ ხელნაწერში წაშლილია 22 სტრიქონი და მოდის კვლავ მოსახსენებლის ტექსტი: „ჩემთა შვილთა დედამან ბაგულ პაშტად წააგო“. ანდერძის ბეჯითად ჩაკვირვების შემდეგ თვალშისაცემია, რომ ტექსტი „ესე ძლისპირიდან“ მოკიდებული ვიდრე საკუთარი შვილების მოხსენიებით არა ლოგიკურად ზის ტექსტში[1], რადგანაც ამას მოყვება თუ რა შეწირა ახლად აგებულ ეკლესიას მისმა ძმამ აბუსერიმ, მისი ვაჟის გრიგოლის და აბუსერის მეუღლეების თამარისა და ვახახის სულის მოსახსენებელი. შემდეგ კი წინაპრების მოსახსენებელი. ამ უხერხულობას თვით ავტორიც გრძნობს და შენიშნავს: „და ესე უწინარეს ჯერ იყო“ და იწყებს დიდი წინაპრების კვლავ ხსენებას.

„მოსახსენებელში“ თავის თავს ავტორი უწოდებს აბუსერისძე ტბელს: „ესე და სხუაჲ მრავალი დავიდუმნე... მე არა ღირსი და შეურაცხი... აბუსერისძე ტბელი, ძე ერისთავთ-ერისთავისა ივანესი და დიოფალ-დიოფლისა ხათუთაჲსი“. სხვაგან ის თავის სახელს არ ახსენებს. სხვა შემთხვევებში იგი თავის თავზე მოკრძალებულ ეპითეტებს იყენებს.

როგორ უნდა გავიგოთ აბუსერისძე ტბელი. ეჭვი არ არის, რომ აბუსერისძე ნიშნავს გვარს („მოსახსენებლიდან“ ვიცით, რომ იგი ივანეს ვაჟია). არც ერთ სხვა შემთხვევაში იგი გვარსა და სახელს არ მიუთითებს, არც წინაპრებთან და არც მემკვიდრეებთან. დღეს გავრცელებული აზრით, ტბელი არის საკუთარი სახელი. კ. კეკელიძე ფიქრობს, რომ „ტბელი გვაფიქრებინებს, რომ ის იყო მტბევარი ან ტბეთის ეპისკოპოსი“.[2] ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ლ. მუსხელიშვილი.[3] მართლაც, ყველაფრიდან ჩანს, რომ A-85 ხელნაწერის შემდგენელი სასულიერო პირი უნდა იყოს. მისი დამოკიდებულება მასალასთან, ტექსტთან დაკავშირებული ლიტურგიკული კომენტარები, მისი შემოქმედება ამ დებულებას

---

1 შდრ. ლ. მუსხელიშვილის დასახელებული წიგნი, გვ. 2

2 კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, 1951 წ. გვ. 310

3 ლ. მუსხელიშვილი, დასახელებული წიგნი, გვ. 25 ი. სიხარულიძე დაბეჯითებით ამტკიცებს რომ ტბელი არის საერო სახელი და რომ აბუსერისძე ტბელი ერისკაცია. იგი ერთგვარად ეყრდნობა მარი ბროსეს, ნ. ბერძენიშვილს და მოაქვს თავისი არგუმენტებიც. მისი დასკვნით „ჩვენი მწერლის სახელი, მაშასადამე, „ტბელია.“ იხ. მისი ტბელ აბუსერისძე, თბილისი 1963 წ., გვ. 35.

უჭერს მხარს. თვითონაც ხომ ხაზგასმით ამბობს: „ჩემთა შვილთა დედაშან ბაგულ“, ე.ი. თავისთავს ოჯახისაგან განცალკევებულად წარმოადგენს. განსაკუთრებით კი ამას მეტყველებს არაერთხელ დამოწმებული სტრიქონები: „ესე ძლისპირნი და სტიქარონნი მე დავსხენ... და ვირე ცოცხალი ვარ ოდესცა მინდან, მე მოვიკმარებ“. ცხადია, ძლისპირნი და სტიქარონნი ჭირდებოდა მხოლოდ სასულიერო პირს. სახელთან დაკავშირებით რაიმე კონკრეტულის თქმა ჭირს, მაგრამ დღეს დამკვიდრებული ფორმა ტბელი დიდ უხერხულობას არ ქმნის.

ტბელი-ტბელა მოგვიანებით საკუთარ სახელადაც გვხვდება. XI საუკუნის სვინაქსარზე XVI საუკუნეში გაუკეთებიათ მინაწერი––აღაპი: „ამას დღესა აღაპი ტბელისა აბუსერისძისა“ (A-97,32v), რომელშიც ტბელი სახელად არის დაფიქსირებული.

გერგეტის „მატიანეში“ მოსახსენებელთა შორის ვკითხულობთ: „სულსა ტბელას ძის იოანესა შნს ღმერთმან, სულსა მისის მეულლის გულარმშის შნს ღმერთმან“. ამ აღაპის გამომცემელი ქრ. შარაშიძე წერს: „ტბელას ძეთა მოსახსენებელი დაწერილია გაუმართავი კუთხოვანი ნუსხურით.“[1]

გერგეტის „მატიანეში“ დასახელებულ პირებს არავითარი კავშირი არა აქვთ აბუსერისძე ტბელთან, მე-13 საუკუნის მწერალთან, მიუხედავად იმისა, რომ ტბელას ვაჟს სახელად ჰქვია იოანე; აბუსერისძე ტბელსაც ჰყავდა შვილი ივანე. მაგრამ ორივე შემთხვევაში ტბელი-ტბელა საკუთარი სახელია. ასე რომ, მოულოდნელი არ არის ჩვენს მწერალსაც რქმეოდა ეს სახელი.

აქვე გვინდა დავამატოთ. ტბელი ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში ეპისკოპოსობას არ უნდა გულისხდომდეს. ვფიქრობთ, რომ აბუსერისძე ტბელი ეპისკოპოსის ხარისხით შემოსილი არ ყოფილა.

---

1 ქრ. შარაშიძის დასახელებული შრომა, გვ. 283.

* * *

ხელთუქმნელი ხატის კულტის დამკვიდრება ქართულ ლიტურგიკულ პრაქტიკაში და სათანადო ჰიმნოგრაფიული მასალის შექმნა აბუსერისძე ტბელის სახელს უკავშირდება. ჩვენში ხელთუქმნელი ხატის მოსვენება ანტონ მარტმყოფელის სახელს მიეწერება. ანტონ მარტმყოფელი ასურელ მამათა გუნდს ეკუთვნის. ასურელ მამათა ცხოვრების ძველ წიგნებში ანტონი მხოლოდ ერთხელ იხსენიება. შიო და ევაგრეს ცხოვრებაში ნათქვამია შემდეგი: იოანეს ჟამის წირვის შემდეგ ანგელოზმა საკურთხევლიდან მოართვა ქარტა: „შთადვა ჴელთა შინა იოანესთა სახილველად ყოველთა ათორმეტთა ქარტა, რომელსა ეწერა ათორმეტთა ძმათა სახელი, რომელნი-იგი უფალმან გამოირჩივნა: შიო, დავით, იოსებ, **ანტონი**, თეოდოსიოს, თათა, პიროს, ელია, პიმენ, ნათან, აბიბოს, იოანე. ხოლო ესე ამისთჳს ყო ნეტარმან იოანე, რაჲთა თუალღებით ჰქონან სიყუარული მათდა მიმართ ძმათა და რომელნი იგი დაშთენ, არა შეწუხნენ მოძღურისათჳს"[1].

ეს არის და ეს, მეტი ცნობა ანტონის შესახებ ასურელ მამათა ცხოვრების ძველ წიგნებში არ არის. ამ წიგნთა თანადროულ წყაროებში ანტონის ხსენება ასევე არ არის. ჰაგიოგრაფიული მასალა XVII საუკ. მიწურულისა და XVIII საუკუნის დამდეგიდან ჩნდება, იწერება მხოლოდ სვინაქსარული ცხოვრებანი, რომელთა წყარო, როგორც ე. გაბიძაშვილმა დაადგინა, არის არსენ ბულმაისიმისძის საგალობლები, რომლებიც A-85-შია დაცული.[2]

არსენ ბულმაისიმისძის საგალობლებშიც და განსაკუთრებით სვინაქსარულ ტექსტებში ხაზგასმითაა მითითებული, რომ ანტონმა საქართველოში ჩამოასვენა მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი. მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის ისტორია უკავშირდება აპოკრიფულ თხზულებას, რომელსაც სახელად ჰქვია „ეპისტოლე ავგაროსი მეფისაჲ უფლისა ჩუენისა მიმართ იესუ ქრისტესა ზედა წარწერილი".[3] აპოკრიფში მოთხრობილია, რომ ედესის წარმართი მეფე ავგაროსი შეიტყობს რა მაცხოვრის საკვირველქმედებებს იერუსალიმში, იესუ ნაზარეველს აახლებს ეპისტოლეს და სთხოვს გამოჯანმრთელებას. იესო ქრისტე ედესიაში ჩასვლაზე უარს შეუთვლის, თან შეჰპირდება, რომ ამაღლების შემდეგ გაუგზავნის ერთ-ერთ მოწაფეს და განკურნავს მას, თანაც მოაქცევს საუკუნო ცხოვრებისაკენ. ავგაროსმა „წარავლინა მხატვარი გამოსახვად ხატსა უფლისასა და მიღებად მისა. და მი-რაჲ-მიიწია მხატვარი იგი და მალემსრბოლი ბჭეთა იერუსალემისათა, შეემთხჳა მათ იესუ... მიუგეს მათ... ჩუენ მოვლინებულ ვართ ავგაროსის მთავრისა მიერ ხილვად იესუჲს ნაზა-

---

[1] ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ტექსტები გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილ. აბულაძემ, თბილისი, 1955, გვ. 80.

[2] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი IV, გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ე. გაბიძაშვილმა, თბილისი, 1968, გვ. 218-225.

[3] გამოსცა ნ. ჩხიკვაძემ. იხ. ჟურნ. „გზა სამეუფო", 1996 წ., №1 (4), გვ. 32-72. შდრ. მ. გიგინეიშვილი. აპოკრიფული მწერლობის ერთი ნიმუში ძველ ქართულ მწერლობაში, დაბეჭდილია „ძველი ქართული ლიტერატურა" (XI-XVIII სს), თბილისი, 1977.

რეველისა და გამოსახვად ხატსა მისსა“. მხატვარი ვერ გამოსახავდა უფლის ხატებას, ამიტომ მაცხოვარმა თხოვნის შემდეგ „მიიღო ტილოჲ იგი და დაიდვა პირსა ზედა თჳსსა. და მეყსეულად გამოისახა ხატი მისი მას ზედა.“ უფალმა ტილო მისცა თადეოზ მოციქულს და უბრძანა ამაღლების შემდეგ ედესიას წასვლა და ტილოზე აღბეჭდილი ხატის ჩატანა.[1] ედესიაში ჩატანილ ხატს, ქართველი ჰაგიოგრაფების დამატებით, საშიშროება დაემუქრა ავგაროზის მემკვიდრეებისაგან, ამიტომ „ეპისკოპოსმან მის ქალაქისამან... აღმართა კეცი წინა პირსა ხატისასა... ხოლო რომელი-იგი კეცი საფარველად მის ხატისა აღმართებულ იყო, მას ზედა გამოსახულ იყო სხუა ხატი და მსგავსება წმიდისა მის საუფლოსა ხატისა“. ხატი ნესტორიანთა ეკლესიაში იყო დაკანებული. ანტონმა ეს გაიგო, „ნისტორიანთა ეკლესიასა შინა იყვნეს საუფლონი იგი ხატნი, და აღიყვანა კეცი, რომელი საფარველად მის ხატისა ყოფილ-იყო და ხატ ქმნულ იყო. ესე უჩინარად წარმოიყვანა წინამძღურობითა ანგელოზისათა... და მიიწია მტკუარსა ზედა, განაპო იგი და დაემკჳდრა აღმოსავალით...“, მეორე რედაქციით, „რომელსა აწ ეწოდების მარტყოფი.“[2] დღეს ასეთი ხატი არ არსებობს და არც არავის აუწერია. მაგრამ ფაქტის არსებობა დადასტურებულია ჟამთააღმწერელის ასწლოვან ისტორიაში. დავით ულუს ძეფობის გადმოცემისას ტექსტში ორ ადგილას ვკითხულობთ: ა) „დასნეულდა მეფე დავით მით სალმობითა მუცლისათა და ვერ განკურნეს მკურნალთა, და წარვიდა ცხედრითა. და ვითარ მოეახლა მარტომყოფსა, მივიდა ხატსა მას ჴელითუქმარსა, რომელი თჳთ გამოისახა ტილოსა, ხატისა მიერ, კეცსა ზედა. მოყვანება ბრძანა მარტომყოფისა ხატისა, და ევედრა ცრემლითა და შეუვრდა, და განკურნა, ვითარ უფლისა მიერ განკურნებული ცხედარსა ზედა მდებარე.“

ბ) სიბადიდან მომავალ მეფე დავითს „მგზავრ მომავალსა მეფესა შეედვა სალმობა მუცლისა, და ვითარ მკურნალთა ვერ უძლეს კურნებად, მაშინ ევედრა ხატსა მას მარტომყოფისასა, და მივიდა მის წინაშე, ვითარ ჩუეულ იყო, რამეთუ პირველ ამისსა მუცლისა სნეულებითა შეპყრობილ იყო და, ვითარ მკუდარი, იდვა უსიტყუოდ, და აღედგინა ხატსა ჴორცშესხმულისა ღმრთისასა.“[3]

უეჭველი ფაქტია, რომ გადმოცემა ხელთუქმნელი ხატისა ჩვენში არსებობს და იგი დიდი პოპულარობითაც სარგებლობდა. ფიზიკურად ხატი არსებობს. სწორედ ის, რომელიც ედესიიდან მოტანილად ითვლება, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის ანტონის სახელთან დაკავშირებული, ჯერ კიდევ არ არის საგანგებო ღღესასწაული განწესებული.

---

[1] ნ. ჩხიკვაძის დასახელებული გამოცემა, გვ. 48-49.

[2] ე. გაბიძაშვილის დასახელებული წიგნი, გვ. 394-395; მეორე რედაქციის გვ. 398.

[3] ჟამთააღმწერელი. ასწლოვანი მატიანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო რ. კიკნაძემ, თბილისი, 1987 წ. გვ. 142 და 156.

აბუსერისძე ტბელმა, ეჭვს გარეშეა, ხელთუქმნელი ხატის არსებობა იცის. ეს არის დრო, როდესაც ცენტრალიზებულ და ძლიერ სახელმწიფოს შეძლებია ხვარაზმელ-მონღოლთა ურდოები და იწყება ჩვენი ქვეყნის ისტორიაში უმძიმესი დღეები. **საჭირო ხდება მესიანისტური იდეის გაცოცხლება**, კერძოდ იმის, რაც ისტორიულად ჩვენში შემუშავებული იყო, და ამავე დროს **ახალი იდეის შემოტანაც**. ეს პრობლემა საერთო მოვლენაა ამ დროის საქართველოს იდეოლოგთა შორის. ამის პირდაპირი შედეგი უნდა იყოს იოანე ანჩელის „გალობანი ანჩისხატისანი“, იოანე შავთელის „გალობანი ვარძიისა ღმრთისმშობლისანი“, ნიკოლოზ გულაბერიძის „გალობანი სუეტისა ცხოველისანი“, არსენ ბულმაისიმისძისა და საბა სვინგელოზის საგალობლები. ხელთუქმნელი ხატისადმი ინტერესი გაძლიერდა მონუმენტურ მხატვრობაშიც სწორედ XII-XIII საუკუნეებში.[1] დასახელებულმა ავტორებმა სხვადასხვა აქცენტით სცადეს მესიანისტური იდეის გაცხოველება და ახალი იმპულსებით დამუხტვა. იოანე ანჩელი, XII—XIII საუკუნეების მოღვაწე, ანჩის ხატს აჭედინებს ბექა ოპიზარს[2], წერს საგალობელს. მართალია, რამდენადმე მოკრძალებით ხატის ჩამოტანას საქართველოში **უკავშირებს ანდრია პირველწოდებულს,** მაგრამ ეს ხატი მისთვის ანჩის ხატია. იოანე ანჩელი ჯერ წერს, რომ ანდრიამ მოაქცია ჩვენი ქვეყანა ქრისტეს სჯულზედ:

„ინებე რაჲ მოქცევაჲ ჩუენი—ურწმუნოთაჲ
სარწმუნოებად, ქრისტე ღმერთო, სიტყუაო ღმრთისაო,
ხატი განკაცებისა შენისაჲ მოციქულისა ანდრიაჲს მიერ გამოგჳბრწყინვე“. ხოლო შემდეგ საგანგებოდ უსვამს ხაზს, რომ ანდრიამ ჩამოიტანა ჩვენში ხატი განკაცებისა. ტერმინს ხელთუქმნელს ანჩელი არ ხმარობს:

„ანდრია თავი მოციქულთა,
პირველწოდებული მოწაფე მეუფისა დიდისა,
იდიდებოდენ ყოველთაგან უღალთა ღადოთა კლარჯეთისათა,
იერაპოლით მოვიდა და ხატი ესე საშინელი
ჩუენ მოსავთა მისთა მოგუანიჭა.“[3]

დასახელებულ ავტორთაგან მხოლოდ A-85-ის დამკვეთი ცდილობს დააკანონოს (და აკანონებს კიდეც) ხელთუქმნელი ხატის დღესასწაულს ქართულ ლიტურგიკულ პრაქტიკაში. ეს თავისთავად ნიშნავდა რეფორმას ქართულ საეკლესიო კალენდარშიც. ამ რეფორმის ინიციატორი და გამტარებელიც არის აბუსერისძე ტბელი.

აბუსერისძე ტბელმა ხელთუქმნელი ხატის მოტანა დაუკავშირა ერთ-ერთ სირიელ მამას ანტონს, რომელიც იწოდება მარტოდმყოფად და ჟამთააღმწერლის მიხედვით ბინადრობს თბილისთან ახლოს. (ჟამთააღმწერელთან ანტონის

---

[1] ქ. მიქელაძე, ხელთუქმნელი ხატის გამოსახულება XII-XIII სს. ქართულ კედლის მხატვრობაში, ჟურნ. ლიტერატურა და ხელოვნება, 1991 წ., №3

[2] შ. ამირანაშვილი, ბექა ოპიზარი. თბილისი, 1958 წ., გვ. 7-12.

[3] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I; შემდგენელი სოლ. ყუბანეიშვილი, თბილისი, 1946 წ., გვ. 382-383.

ხსენება არ არის). ეს იდეა ახალი იყო და ლოგიკურად მისაღებიც, რადგან ჩვენი ეკლესიისა და ქვეყნის ისტორიაში ასურელ მამათა სახელებთან ბევრი მნიშვნელოვანი ფაქტია დაკავშირებული.

ასურელ მამათა ერთ-ერთი წარმომადგენელი ანტონ მარტყოფელი ძველი ცხოვრების მიხედვით არაფრით გამორჩეული მოძღვარი არ ყოფილა, არც რაიმე სხვა წყარო მიუთიებს მის ღვაწლზე. უცბად, XIII საუკუნეში, მის სახელს დაუკავშირდა ხელთუქმნელი ხატის ჩამოსვენება საქართველოში. ამ **იდეის ავტორია აბუსერისძე ტბელი,** რომელმაც გარს შემოიკრიბა ავტორიტეტის მქონე ცნობილი შემოქმედნი--არსენ ქართლის კათალიკოსი (და არა აფხაზეთის, როგორც ნ. ბერძენიშვილი წერს) და საბა სვინგელოსი (კარის ეპისკოპოსი). ერის გამორჩეულობის საბაბს იძლეოდა ბიბლიური წიგნები, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, ჩვენში VIII საუკუნიდან დამკვიდრებული მესიანისტური იდეა-ქართველ მეფეთა იესიან-დავითიან-სოლომონიანთაგან წარმომავლობა, ქრისტეს კვართის მცხეთაში დაკრძალვა, საქართველოს ღვთისმშობლის წილხვდომილობა და სხვ.[1]

ძველი აღთქმის წიგნებში ხაზგასმულია ებრაელი ხალხის გამორჩეულ ერად წარმოდგენა. გამოსლვათა წიგნში ვკითხულობთ: „და აწ უკუეთუ სმენით ისმინოთ ჴმისა ჩემისა და დაიცვათ აღთქუმაჲ ჩემი, იყვნეთ ჩემდა ერი საზეპურო ყოველთაგან ნათესავთა, რამეთუ ჩემი არს ყოველი ქუეყანა“ (19,5). ეგევე იდეაა გატარებული მეფეთა (I მეფე. 12,22) და მეორე შჯულის წიგნებში (შჯ. 6,7). ბიბლიის ეს მონაცემები ოსტატურად იქნა ათვისებულიც და გამოყენებულიც. აბუსერისძე ტბელმა მიზნად დაისახა მესიანისტური იდეის ახალი აქცენტით წინა პლანზე წამოწევა, რაც, ალბათ, თათარ-მონღოლთა და ხვარაზმელთა მოულოდნელმა შემოსევამ განაპირობა. 1220 წელს მარბევთა მრავალრიცხოვანი ჯარი ქვეყნის საზღვრებს მოადგა. 1225 წელს ჯალალედინის ლაშქარმა იწყო ქვეყნის აოხრება, 1235 წელს მონღოლები კვლავ შემოესია ქვეყანას, რომელიც 1240 წლისათვის უკვე დაპყრობილი იყო (აღმოსავლეთ საქართველო). ამ მძიმე სიტუაციაში გამოჩნდა პიროვნება—აბუსერისძე ტბელი, რომელიც საეკლესიო ცხოვრებაში ეროვნული სულისკვეთების გაცხოველებას და გამძაფრებას უდგება სათავეში. მართალია, თვით აბუსერისძე ტბელი დიდი პოეტური ნიჭით (ხაზს ვუსვამ პოეტური ნიჭით) დაჯილდოებული არ ჩანს, ამიტომ არჩევანს იგი გამოჩენილ ჰიმნოგრაფებზე აკეთებს, უპირველეს ყოვლისა, არსენ ბულმაისიმისძეზე. აბუსერისძე ტბელი საკუთარი ძმების ავტორიტეტსაც იყენებს და ისინიც საერთო საქმის სამსახურში ჰყავს ჩაყენებული. ხელთუქმნელი ხატის კონსტანტინეპოლში ჩატანის ისტორია ბიზანტიურ სინამდვილეში კარგად არის ცნობილი. საჭირო გახდა ახალი მომენტის შემოტანა ქართული მესიანიზმის პოზიციებიდან. A-85-ში არსენისა და საბას კანო-

---

[1] ქართული მწერლობა, წიგნი V. შემდგენელნი: ა. ბაქრაძე და რ. თვარაძე; ა. ბაქრაძის წინასიტყვაობა, თბილისი, 1988 წ., ე. ჭელიძე, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორიიდან, დაბეჭდილია ჟურნალში „საქართველოს საპატრიარქო“, №1. 1997 წ., გვ. 6-16.

ნებს (უშუალოდ არსენის კანონს, 284v) მოსდევს აბუსერისძე ტბელის განმარტება-კომენტარი, „ფუესა აგჳსტოსასა **ი3**. თაჟუანისცემაჲ ცხოველსმყოფელისა საუფლოჲსა ხატისა ჴელითუქმნელისაჲ, ოდეს მიყვანებულ იქმნა ედესიაჲთ კოსტანტინეპოვლედ.[1] ხოლო მეორედ, ვინაჲთგან მიემადლა ნათესავსაცა ჩუენსა[2] მოწყალებითა ღმრთისაჲთა ღირსისა მამისა ჩუენისა ანტონი მარტოდმყოფელისა მიერ. და დღესა ფერისცვალებასა ვემთხუევით კეცსა ზედა გარდამოხუფრულსა ტილოჲსა მიერ. ამისთჳს ესე „უფალო ღაღადყავი“ ითქუა არსენის მიერ კათალიკოზისა. ესე რომელ ამას ზემოჲთ წერილ არს ჴმაჲ დ გუერდსა გალობითა; და მეორენი თჳთძლისპირნი გალობანი, რომელნი ამის სიტყჳსა შემდგომად წერილ არიან მეორის გუერდსა, რომელთა საქცევნიცა მუჴლ-მუჴლისა თავსა წარწერილ არიან.

ხოლო მესამის გუერდისნი ითქუნეს საბაჲს მიერ სუნგელოზისა, კაცისა ღმერთშემოსილისა, კარისა ებისკოპოსისა, და ვიტყჳთ ზ(7) აგჳსტოსსა.

ხოლო ვინაჲთგან ღირსისა ანტონის მიცვალებაჲცა ათჩუდმეტსავე იანვარსა იქმნა დღესა დიდისა ანტონი მეგჳპტელისასა, ამისთჳს მაშინცა ვგალობთ და ვიტყჳთ: პირველად რომელ „მჴნეონთა“ ზედა სწერია და მოურთავთ მაშინღა, რაჲ (რ) დიდისა ანტონისი ხულე(!) ითქუას, და მოურთავთ დიდებად „მჯდომარესა“ ამას, ვითარმედ „შუამდინარითო“.

უფალო ღაღადყავი, ჴმაჲ მეორის გუერდი ამათ ზემოთა გალობათა თავსა სწერია და რაჲცა აკლია, ზემოთავე გალობათა ქუემოჲ სწერია, აქებდითსა თანა“.

ეს განმარტება, რომელიც, რა თქმა უნდა, აბუსერისძე ტბელს ეკუთვნის, მრავალმხრივაა მნიშვნელოვანი და საგულისხმო.

ჯერ ერთი, ესაა პროგრამა, რომლის შესაბამისადაც უნდა დაეწერათ საკარაუდო ავტორებს საგალობლები; ამავე დროს, ესაა პირველი ცდა მესიანისტური იდეის დასაბუთებისა, „ვინაიდგან“ მიემადლა ნათესავსაცა ჩუენსა... კეცსა ზედა გარდამოხუფრულსა ტილოჲსა“ ჩამოტანა ჩვენში. ქართულ სინამდვილეში ამ სტრიქონებზე ადრე (საგალობლებს არ ვგულისხმობთ) ხელთუქმნელი ხატის ჩვენში მოსვენებასა და საერთოდ დღესასწაულის დაწესებაზე სტრიქონი არ დაწერილა. ჩვენ არამც და არამც არ გამოვრიცხავთ პოეტ-ჰიმნოგრაფთა დამსახურებასაც, **მაგრამ იდეა ქართლში ხელთუქმნელი ხატის მოსვენებისა (მესიანისტური იდეა), დღესასწაულის შექმნისა და მასში ეროვნული განწყობის შეტანისა ეკუთვნის აბუსერისძე ტბელს**. მას მხარში ედგნენ ძმები, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწენი, რომელთა შემოქმედება (გარდა პრაქტიკული საქმიანობისა) ხელნაწერებიდან არ ჩანს. აბუსერისძე ტბელი ძმების როლსა და დამსახურებას არ აჩუმათებს. იგი საგანგებოდ

---

[1] ხელნაწერში ეს ნაწილი სათაურად არის წარმოდგენილი და ნაწერია სინგურით.

[2] ქართულ ისტორიოგრაფიაში ასურელ მამათა ეროვნული წარმომავლობის შესახებ დღესაც გრძელდება დავა. ამ ფრაზიდან („ნათესავსაცა ჩუენსა“) ცხადია, რომ აბუსერისძე ტბელისათვის ანტონი ქართველია (ამასვე უჭერენ მხარს საგალობელთა ავტორები). ჩვენს ისტორიოგრაფიაში ეს მომენტი დაფიქსირებული არ არის.

არსენის მეორე გალობის ბოლოს დაიმოწმებს არსენი კათალიკოსის ეპისტოლეს გელათიდან აბუსერისადმი გამოგზავნილს, რომელსაც ერთგვარ წინასიტყვაობას (რამდენიმე სტრიქონიანს სინგურით) წარუმძღვარებს და ჩაურთავს კრებულში. „ამას ზემოჲთნი, მეოთხის გუერდნი გალობანი ვარდანისგან შეხუეწითა თქუმულნი, ამით მეორითა გალობითა განაშუენნა, ვინაჲთგან პიროვანნი საქცევნი ფსალმუნისაგან აღმოტჴფრნა საღმრთოჲთა გამოცხადებითა, ამისთჳს ძმამა ჩუენმან აბუსერი არსენის მიმართ გალობათა თქუმისა იძულებაჲ ძოიგონა საღმრთოჲსა პირისათჳს, რომლისა მოგონებასა ამით ეპისტოლითა აბუსერის მომართითა ესევე არსენი აქებს, რომელი მოწერა გელათით ამათვე გალობათა თანა".

აბუსერის შეთავაზებული წინადადება (უთუოდ შეთანხმებული ძმასთან, როგორც ეს მეორე საგალობლიდან გამოჩნდა), არსენი კათალიკოზს ფრიად მოსწონებია, ამის დასტური გახლავთ მისი სპეციალური საგალობელი და მეტად მაღალფარდოვანი ეპისტოლე, რომელსაც ქვემოთ დავიმოწმებთ. ეს არის ორიგინალური ჩანაფიქრი, ორიგინალური იდეა. რადგანაც ჩვენში ანტონიმ ჩამოასვენა ხელთუქმნელი ხატის პირი, აბუსერის არსენისათვის დაუვალებია საუფლო წიგნებიდან შესაბამისი მონაცემებით იდეის დასაბუთება. კერძოდ, დაუვალებია ფსალმუნებიდან ამოეწერა პირის (ხატის მნიშვნელობით) შემცველი ფრაზები, გადაება, დაეკავშირებინა ერთმანეთთან და საკუთარ სტრიქონებთან შერწყმით აეგო იდეის შესაბამისი საგალობელი, კანონი გალობებით, შესაბამის ძლისპირებზე გაწყობით, რომელსაც ფსალმუნის ტექსტი ექნებოდა როგორც „პიროვანნი საქცევნი." ზუსტად ეს იდეა მიუწოდებია მეორე ძმას ვარდანს საბა სვინგელოზისადმი, როგორც ამას ხელნაწერიდან ვგებულობთ: „გალობანი ქრისტეს განგებულებისა და განკაცებისანი, თქუმულნი ნეტარისა მამისა საბა სუნგელოსისა, კარისა ებისკოპოსისანი, შეხუეწითა ძმისა ჩემისა ვარდანისითა." ორივე პოეტს დიდი მონდომებით და აკურატულად შეუსრულებია დავალება.

მეორე, დამოწმებულ ანდერძში წმინდა წყლის პრაქტიკულ დარიგებას იძლევა აბუსერისძე ტბელი. მან იდეა ხელთუქმნელი ხატის მოსვენებისა დაამკვიდრა, მაგრამ მოქმედ საეკლესიო კალენდარში უნდა გამოყოფილიყო საგანგებო დღეც. აბუსერისძის აზრით, ეს უნდა ყოფილიყო აუცილებლად აგვისტოში. ჯერ ერთი იმიტომ, რომ მართლმადიდებლური ეკლესია ედესიიდან კონსტანტინეპოლში ხატის გადასვენებას 16 აგვისტოს დღესასწაულობს, აგვისტოს ექვსში ფერისცვალებაა. საბა სვინგელოზის გალობას 7 აგვისტოს ვიტყვითო. მეორეც, რაც მთავარია, აბუსერისძე ტბელი ანტონ მარტოდმყოფელის გარდაცვალებას 17 იანვრით ათარიღებს, დიდი ანტონი მეგვიპტელის გარდაცვალების დღით..

ამ ცნობებში ბევრი რამ მოითხოვს განმარტებას, რათა ყველაფერი ნათელი გახდეს. პირველი, ანტონ მარტოდმყოფელის გარდაცვალების დღედ 17 იანვრის გამოცხადება ჩვენამდე მიღწეულ ლიტურგიკულ ძეგლებში XVII საუკ. მიწურულამდე (A––1582), უფრო მართალნი ვიქნებით, თუ ვიტყვით XVIII საუკუნის დამდეგამდე, ანტონის არამც თუ გარდაცვალება, საერთოდ ხსენება

არ არის, მით უმეტეს საეკლესიო კალენდარში იგი არსად შეყვანილი არ არის. პირველი და XVIII საუკუნემდე უკანასკნელი ხელნაწერი არის თვით A-85, რომელშიც დამოწმებულია ანტონის სახელი. ეს იმას სრულიადაც არ ნიშნავს, რომ არსენის საგალობელი არ იყო ცნობილი საკითხით დაინტერესებული პირებისათვის. ქართველ ლიტურგისტებს, მწიგნობრებს შეჰქონდათ თავიანთ კრებულებში საგალობელი ხელთუქმნელი ხატის შესახებ. მაგ., 1718 წელს დომენტი კათალიკოსის ინიციატივით შედგენილ კრებულში A-425, 1726 წელს დომენტი ჯანდიერისშვილის კრებულში A-220, ანტონი კათალიკოსის 1755 წლის სადღესასწაულოში S--1464 და სხვებში წარმოდგენილია კანონი. 17 იანვარს ანტონის არა გარდაცვალების, არამედ ხსენების დღედ ასახელებენ შემდეგი ხელნაწერები: S—67(XVIII ს.), A—425 (1718 წ.), A--111 (1703-1711 წწ.); A—379 (1714—1716 წწ.), A—515 (1733 წ.), A--152 (1742 წ.), A—1048 (1766 წ.), H—970 (1742 წ.), H--1087 (XVIII ს.), H--2335 (XVIII ს.), H—1672 (1740 წ.). ყველა დასახელებული ნუსხა (XVIII საუკუნისაა. ბუნებრივად დგება კითხვა: ა) საიდან აიღო აბუსერისძე ტბელმა ცნობა მარტმყოფელის გარდაცვალების დღედ 17 იანვარი და ბ) რა წყაროებს ეყრდნობა დასახელებული ნუსხები? ვფიქრობთ, XVIII საუკუნის ერთი წყება ხელნაწერებისათვის წყაროდ უნდა ვივარაუდოთ თვით A—85 ხელნაწერი, რომელშიც პირველად ჩნდება მასალა ანტონ მარტმყოფელზე. ხოლო პირველი კითხვის პასუხი რამდენადმე ჭირს და ვარაუდების სფეროში რჩება. ასურელ მამათა ცხოვრების ძველ წიგნებში ანტონის გარდაცვალებასა და საერთოდ მის მოღვაწეობაზე სიტყვა არ არის თქმული. მაშ, რას უნდა ეყრდნობოდეს აბუსერისძე ტბელი? ვფიქრობთ, დიდი ანტონის გარდაცვალების დღე 17 იანვარი მან შეგნებულად მიაკუთვნა მარტმყოფელსაც. ერთმოსახელეობამ განსაზღვრა 17 იანვრის გარდაცვალების დღედ გამოცხადება. ამას თუ იმასაც დავამატებთ, რომ აბუსერისძე ტბელისათვის ანტონის შეყვანა ქართველ წმინდანთა და საეკლესიო მოღვაწეთა გუნდში გარკვეული მიზანდასახულების განხორციელება იყო, მაშინ ბუნებრივი იყო 17 იანვრის (დიდი ანტონის გარდაცვალების და ხსენების დღე) ალება ანტონი მარტმყოფელისათვისაც. სხვა ახსნა თითქოს არ ჩანს.

ავტორის მითითებით, მარტმყოფელის საგალობლებიდან დიდი ანტონის ლიტურგიის ჟამს ითქმის რამდენიმე გალობა. პირველად ვამბობთ არსენის საგალობლიდან დასდებელს (სხუანი დ), რომლის ძლისპირია „მჴნეონი“ და რომელიც იწყება:

„გიხაროდენ, ჶ მამაო
ღმერთშემოსილო ანტონი,
რომელი ტაძარ ექმენ სულსა წმიდასა
და წამისყოფითა ღმრთისაჲთა
ნიშსა მას დიდებულსა,
საუფლოჲსა პირისა ხატსა ყოვლად დიდებულსა.
მსახურ ექმენ შენ

აღმოსლვასა მას
მისსა ჩუენდა მომართ.
ეჰა, ნიჭსა ბრწყინვალესა,
რომელსა ღირს ექმენ, ნეტარო.“ (A-85, 278v-279r).

ასევე მითითებულია მეორე დასდებელიც, რომლის ძლისპირიც დასახელებულია („მჯდომარე“), საიდანაც მეორე ტროპარს მოურთავთო. ესაა:

„შუამდინარით ვარსკულავი აღმოჰნელ
დიდისა მთიებისა პავლეს ძიებად,
ჴ მამაო ანტონი,
და საუნჯე მიიტაცე,
რომელი ვერვინ წმიდათაგანმან შეუძლო,
შეძინებად
ღმრთივ ქმნული ხატი ყოვლად წმიდაჲ
და ისრაელსა ამას
ახალსა დაუუნჯე ქართველთასა,
ერსა საზეპუროსა,[1]
კინაჲცა იდიდე
ღმრთისა მიერ ბრძენი,
შემყუარებელი მისი.
და აწ დაძინებასა შენსა
წინა უძღჯს დღეს
მამათა მზე ანტონი.“ (A-85, 279r).

მაშასადამე, თვით აბუსერისძე ტბელის განსაზღვრით დადგინდა 17 იანვარს, ანტონ მეგვიპტელის ხსენების დღეს, რომელი გალობა უნდა ითქვას მარტოდმყოფელზე. გალობები აღებულია არსენის კანონიდან, უფრო სწორად, მცირე ფორმის საგალობლებიდან. სხვათა შორის, ეს საკითხი XVIII საუკ. დაახლოებით A--85-ის მაგვარად გადაწყდა. 17 იანვრის ლიტურგიაზე გვხვდება კომბინირებული საგალობლები, სათაურით: „იანვარსა **იზ**: წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა დიდისა ანტონისი. ამასვე დღესა წმიდისა მამისა ჩუენისა ანტონი მარტომყოფელის, ათორმეტთაგანისა“ (A--111, 39r; S__535,32v); „ორთავე ანტონისნი“ და სხვ. მაგრამ ამ კომბინირებული კანონების გარდა, ცხადია, ანტონზე დაიწერა საკუთრივ საგალობლებიც. ისიც უნდა ითქვას, რომ A--85-ის ინფორმაცია გვიანი პერიოდის ჰიმნოგრაფთათვის ყოველთვის მართებულად ვერ იქნა გაგებული და აღქმული.

მესამე როგორ უნდა შევათანხმოთ აბუსერისძე ტბელის ცნობები თვით ხელთუქმნელი ხატის დღესასწაულთან დაკავშირებით. XVIII საუკუნის ლიტურგისტებმა ეს პრობლემა მარტივად გადაწყვიტეს--ხელთუქმნელი ხატის დღესასწაული დაუკავშირეს ანტონ მარტმყოფელის დღეს და ამით მოათავეს საქმე. აბუსერისძე ტბელი ხაზგასმით ამბობს: ა) ხელთუქმნელი ხატის ედესიდან კონსტანტინეპოლში გადასვენებას ეკლესია დღესასწაულობს 16 აგვის-

[1] ბიბლიიდან „...იყვნეთ ჩემდა ერი საზეპუროჲ...“ (I მეფ. 12,22).

ტოს. ბ) მაგრამ ხელთუქმნელი ხატის მოგზაურობა ამით არ დამთავრებულა, ღვთის მადლით. ანტონ მარტოდმყოფელმა კეცზე გადაღებული პირი მოასვენა საქართველოში და, რადგანაც საგანგებო დღე განკუთვნილი არ არის, ამიტომ ამ ფაქტს (საქართველოში მოსვენებას) აღვნიშნავთ ფერისცვალებას („დღესა ფერისცვალებასა ვემთხუევით კეცსა ზედა გარდამოხუფრულსა ტილოსა..."). ამ მოკრძალების გამოსახატავად ითქუაო—ამბობს აბუსერისძე ტბელი–არსენ კათალიკოსის უფალო ღალატყავი (ჴმაჲ დ გუერდი) და „თჳთძლისპირნი გალობანი" „მეორისა გუერდისანი".[1] ფერისცვალების დღეს საგალობელი მასალა უპირატესად ანტონ მარტმყოფელის მიერ ხელთუქმნელი ხატის ედესიდან ქართლში მოტანის ფაქტს წამოწევდა წინა პლანზე. ეს მესიანისტური იდეა, რომელიც აბუსერისძე ტბელს ეკუთვნის, გაზიარებულია ქართლის კათალიკოზის მიერ და ურყევია ქართული ეკლესიის მესვეურთათვის. ამიტომაც არის საგალობელში ანალოგია თაბორის მთაზე მომხდარ ფერისცვალებასთან, ამიტომ საგალობელთა ამ ციკლს 6 აგვისტოს ასრულებდა ქართული ეკლესია. 16 აგვისტოსათვის განკუთვნილი საგალობელი უფრო დოგმატიკური ხასიათისაა. ყველაზე მწვავედ აყენებს საკითხს, როგორ მოხდა, რომ ხატი კონსტანტინეპოლშიც გადაასვენეს და ჩვენშიც. ჰიმნოგრაფი წერს:

„ქალაქთა მზემან
ტილოჲ, ხოლო ქართლმან
კეცი დაიმკჳდრა
სიმდიდრედ საცხორებელად;
შევიტკბობ ჴელთა
ანტონისთა სანატრელთა,
ქველისმოქმედთა მათ, რომელნი ამას მსახურ ექმნეს." (288v).

7 აგვისტოს კი ვამბობთ საბა სვინგელოზის გალობას. მაშ, აბუსერისძე ტბელის ცნობით, ხელთუქმნელი ხატის ლიტურგიის დღე გამოკვეთილი არ არის (მსგავსად ბიზანტიური სინამდვილისა) და იძლევა, ალბათ, მის მიერ ნავარაუდევ დღეთა რიცხვებს. მაგრამ მან შესანიშნავად იცის, რომ არც 16 აგვისტო და არც 6 და 7 აგვისტო მხოლოდ ქართული დღესასწაულის თარიღად არ გამოდგება (ისევე როგორც 17 იანვარი ვერ გამოდგებოდა ანტონი მარტოდმყოფელის ხსენების დღედ). აბუსერისძე ტბელი, სამწუხაროდ, თვით არ აწესებს ხელთუქმნელი ხატის დღესასწაულის კონკრეტულ დღეს. რამდენადმე ეს ფაქტი მოულოდნელი და განსაკვირვია, რადგანაც მან შემოიღო დღესასწაული, საგანგებოდ დააწერინა საგალობელი თავისი დროისათვის ორ ცნობილ მოღვაწეს, ე. ი. მოამზადა მასალა, მაგრამ საქმის ბოლომდე მიტანა მომავალს მიანდო. სამწუხაროდ, მომავალმა პრობლემა აბუსერისძე ტბელის სულისკვეთების შესაბამისად ვერ გადაწყვიტა. ქართულ ეკლესიაში ხელთუქმნელი ხატის დღესასწაული ცალკე ვერ დაწესდა. ცალკე შევიდა მხოლოდ ანტონ მარტმყოფელის ხსენების დღე და ფაქტიურად, აქ გაერთიანდა, გამოიკ-

[1] კ. კეკელიძემ, ვფიქრობთ, მართებულად ახსნა აბუსერისძე ტბელის ჩანაფიქრი. იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I., 1951 წ., გვ. 306-308.

ვეთა ხატის ხსენებაც (გაუფერულდა აბუსერისძე ტბელის მესიანისტური იდეის ჩანაფიქრი). ანტონ მარტყოფელის ხსენება დაიდო 17 იანვარს, 16 აგვისტოს და 19 იანვარს. ამ დღეებისადმი საგალობლები, რა თქმა უნდა, აგებულია ხელოთუქმნელი ხატის მოსვენების ფაქტზე, რომლის ისტორია XVII-XVIII საუკუნემდე არსად არაა ფიქსირებული (გარდა A-85-ის). ეს საკითხი იმდენად მოუგვარებელი დარჩა, რომ ანტონ კათალიკოსი ანტონ მარტყოფელთან დაკავშირებით წერს: „ახალი იყო განწესება დღესა **იზ** (17) იანურისასა". ანტონმა ამ შემთხვევაში არ იცის აბუსერისძე ტბელის ინფორმაცია და ამიტომ ახალ ფაქტად მიაჩნია 17 იანვრის განწესება. იმავე მოსაზრებით, რომელიც აბუსერისძე ტბელმა წამოაყენა A–85-ის კომენტარში („დღესა ანტონი მეგჳპტელისა") შეცვალა 19 იანვრით („უკუეთუ დიდისა ანტონის თანა ვიდღესასწაულეთმცა, დაჰშთა უდღესასწაულოდ ჰჴსენება ანტონი მარტყოფელისა")[1].

აბუსერისძე ტბელმა მესიანისტური იდეის მაგისტრალური თემის (ხელოთუქმნელი ხატი) პარალელურად ამავე დატვირთვით შემოიტანა და A-85-ში დააფიქსირა წმინდა გიორგის სახელი. წმინდა გიორგის თემა ქართული სინამდვილისათვის, ცხადია, არც მე-13 საუკუნისათვის იყო ახალი, მაგრამ აბუსერისძე ტბელმა მას ახალი ფუნქციური დატვირთვა და ახალი ასპექტებით გააზრება მისცა. წმინდა გიორგი ისტორიულად საქართველოს ყველა კუთხეში სარგებლობს დიდი პოპულარობით და ქართველი კაცის თანამდგომად არის აღიარებული. XVIII საუკუნის ერთი ავტორის––ალექსი მესხიშვილის პირდაპირი მითითებით (ხელნაწერი A-1093, 1758 წლის) „წმიდისა ამის დიდებულისა მოწამისა გიორგის დღესასწაულსა ვინაცა აპრილსა აღვასრულებთ, ვინათგან ამას დღესა სრულ-ყო ღუაწლი წამებისა თჳსისა. ხოლო ნოენბერსა გ (3) განახლება არს ტაძრისა მისისა, სადა დაიდვა მრავალმოღუაწე წმიდაჲ გუამი მისი. და ლიტონად გარდაიჴდების თჳნიერ სადიდებლისა და სახარებისა. ხოლო აპრილსა 23 ბრწყინვალედ დღესასწაულობს წმინდაჲ ეკლესიაჲ ბერძენთა და რუსთა, მრავალგზის იქმნების თჳთ ბრწყინვალესა ქრისტეს აღდგომისა და ბრწყინვალისა კვირისა, რომელსაც დღესა ანუ თუ დიდსა პარასკევსა და შაბათსა დაემთხჳოს, აღესრულების დღესასწაული წმიდისა, ვითარცა ხარებისა. ხოლო სხუათა დღეთა საეკლესიოდ განწესებული დღესასწაული წმიდისა გიორგისა ვერსადა ვპოეთ, არცა ბერძნისა და არცა რუსისა წერილსა შინა, ვითარ ჩუენ ქართველნი ვდღესასწაულობთ ნოენბერსა ათსა და სხუასა და სხუასა ადგილსა, სხუასა და სხუათა დღეთა შემდგომად აღსებისა ყოველთა კჳრეთა, ვიდრე ყოველთა კჳრამდე, რომელსამე ქაშუთად უწოდენ, რომელსამე კალოუბნად, რომელსამე ზღუდრად თჳთ საუფლოსა დღესა ამაღლებისასა, თელეთობად სახელს სდებენ" (140v-141r)[2]. ეს ფაქტი აბუსერისძე ტბელმა კარ-

[1] ქ. კეკელიძე, ანტონ კათალიკოზის სალიტურგიკო მოღვაწეობიდან, ეტიუდები, ტ. IV, გვ. 182-183. ამ საკითხთან დაკავშირებით დაწვრილებით იხილე მ. ქავთარია, ძველი ქართული პოეზიის ისტორიიდან XVII-XVIII სს., 1977 წ.

[2] შდრ. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა. იხ. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, სიმ. ყაუხჩიშვილის რედაქციით, გვ. 40. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, გვ. 43.

გად იცის. იცის, რომ წმინდა გიორგისთან დაკავშირებული ჰაგიორგაფიული და ჰიმნოგრაფიული მასალა ბერძნულიდან ქართულად თარგმნილია[1]. რამდენიმე საგალობელი თვითონაც აქვს თავის კრებულში შეტანილი (A-85, 169-172; 298-301), მაგრამ, მიუხედავად ამისა, აბუსერისძე ტბელი საგანგებოდ წერს წმიდა გიორგის სასწაულების ციკლს, რომელსაც იგი „ახალ სასწაულებს" ეძახის მისსავე შედგენილ ზანდუკში. ამ „ნოველების" (პირობითად ვხმარობთ ამ ტერმინს) შეთხზვა მარტო იმ ფაქტით არ უნდა იყოს განპირობებული, რომ ხიხაში წმ. გიორგის სახელზე აბუსერისძე ტბელმა ააგო ეკლესია და მისი აგების ისტორიასთან დაკავშირებით ერთგვარად ლიტერატურული ფორმაც გაურია. ამისი აუცილებლობა და საჭიროება არ იყო. მთავარი მიზანი და დანიშნულება სასწაულებისა უნდა აიხსნას იმ მონაცემით, რომელიც ტექსტშია და შემდეგ უნდა მიეცეს მას კვალიფიკაცია. აი, ეს ადგილიც: „ხოლო ჩუენ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ, სასურველად წმიდისა მოწამისა. ოდეს მოგებისათჳს ცოდვათა ჩუენთაჲსა სამცხე და ყოველი ადგილი საქართველოჲსა ივლტოდა ხიზნობად შიშისათჳს ხუარაზმელთაჲსა, გამოქცევასა და მოწყუედასა ზედა ლაშქართასა და მრავალთა მთავართა და კაცისშვილთასა წარტყუენვასა და მოოჴრებასა დედაქალაქისა ტფილისისასა და უმეტესთა ადგილთა ლიხთამერისა საქართველოჲსათა". ასეთ სიტუაციაში იწყება ხიხათა წმ. გიორგის ეკლესიის აგება, ე. ი. მაშინ, როდესაც „კაცისმჭამელთა მგელთა ოტებანი სრულიად საზღვართა შინა სრულისა საქართველოჲსათა" ჩვეულებრივი ამბავი გახდა და საჭირო იყო ღვთისმშობლისა და წმინდა გიორგის თანადგომა. აკი თვითაც ამბობს, მაგრამ შედარებით მოკრძალებით და დაკონკრეტებით. ამ დროს საჭირო არისო „წინაშე მისსა (წმ. გიორგის ხატი) ლიტანიობითა და დედისა ღმრთისა ხატისა მის თანავე (ე.ი. წმ გიორგის) გარე განყვანებითა, რომელსა სასოებდა დედაჲ ჩემი გამოუთქუმელითა სარწმუნოებითა და სამარადისოჲთა წინაშე მდგომარეობითა და დადუმებულითა კითხვითა წმიდისა სახარებისაჲთა, ფსალმუნებითა და ლოცვითა, რომელი მე დამიტევა ანდერძობით".

მოტანილი სტრიქონებიდან აშკარაა ჩვენს მიერ ზემოთ წამოყენებული ვარაუდი, რომ წმინდა გიორგის კულტის, პიროვნების ახალ ასპექტში გააზრების მოთხოვნა აბუსერისძე ტბელის მიზანდასახულება იყო. შემთხვევითი არც ისაა, რომ წმინდა გიორგი ღვთისმშობლის გვერდით დაასახელა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ავტორი ღვთისმშობლის წილხვდომილობის ფაქტორს (მესიანისტური თვალსაზრისის ერთ-ერთი ფორმულა) იყენებს და იშველიებს. ღვთისმშობლის წილხვდომილია ერთიანი საქართველო, წმინდა გიორგის შემწეობასა და ძლევამოსილებას აღიარებს ერთიანი საქართველო, ან, რო-

---

[1] წმინდა გიორგი ძველ ქართულ მწერლობაში, შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა ე. გაბიძაშვილმა, 1991 წ. აბუსერისძე ტბელი წერს: „დავიდუმნე სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისნი, ვინაჲთგან ვერცა ყოველი სოფელი აღჰრიცხავს აღწერილსა წიგნებსა თჳთოეულისა ეკლესიისასა, რაოდენცა არს სახელსა ზედა წმიდისა გიორგისსა".

გორც თვითონ წერს, „სრული საქართველო“. ამ ასპექტით გაიაზრა აბუსერისძე ტბელმა წმ. გიორგის როლი ჩვენი ისტორიის უმძიმეს დღეებში და ხელთუქმნელი ხატის ჩამოსვენების იდეასთან შერწყმული (საეკლესიო და პოლიტიკური ფაქტორები) ერის გადარჩენისა და წინსვლის (მესიანისტური იდეის) ერთ-ერთ იმპულსად, კომპონენტად დასახა. ამიტომ უთმობს იგი დიდ ადგილს წმ. გიორგის ახალი სასწაულების გადმოცემას თავის თხზულებაში[1].

ბუნებრივია დადგეს საკითხი, როგორია იმ საგალობელთა რეპერტუარი, რომლებიც აბუსერისძე ტბელის (და მისი ოჯახის წევრების) უშუალო ინიციატივით შეიქმნა. ამ შემთხვევაში ჩვენ არსენ კათალიკოსის და საბა სვინგელოზის შემოქმედების რაობის განსაზღვრის პრობლემას არ ვაყენებთ, არამედ ვგულისხმობთ კონკრეტულ ფაქტებს. მით უმეტეს, რომ საბა სვინგელოზი მხოლოდ და მხოლოდ აბუსერისძე ტბელის დაკვეთის წყალობით მოხვდა ქართული მწერლობის, უფრო კონკრეტულად, ჰიმნოგრაფიის ისტორიაში. A-85-მა შემოგვინახა მისი საგალობლის თავდაპირველი ტექსტი.

არსენ ქართლის კათალიკოსის ლიტერატურული საქმიანობა საბასთან შედარებით უფრო ფართოც იყო და ცნობილიც. მასთან შემოქმედებითი კონტაქტები ჰქონიათ არა მარტო აბუსერის და ვარდანს, არამედ თვით მათ ძმასაც—აბუსერისძე ტბელს. სწორედ აბუსერისძე ტბელის შეკვეთით („ჩემითა შეხუეწითა“) გაუგრძელებია არსენ კათალიკოსს მსოფლიო საეკლესიო კალენდრის გალექსვა: სამწუხაროდ, ბოლომდე ვერ თუ არ მიუტანია და მხოლოდ ოთხი თვე (თებერვალი, მარტი, აპრილი, მაისი) გაუსრულებია. ამას ადასტურებს სინგურით შესრულებული მინაწერი: „ესე იამბიკონნი ხუთთა თუეთა მეტნი არ იყუნეს ენასა ზედა ქართულისა და ოთხთა თუეთანი არსენი ბულმაისიმისძემან თქუა, ქართლისა კათალიკოზმან, ჩემითა შეხუეწითა“ (A-85, 224r).[2] ეს მინაწერი უეჭველად ეკუთვნის აბუსერისძე ტბელს, „ჩემითა შეხუეწითა“ ნიშნავს, რომ თვით არის შემკვეთი და არა აბუსერ აბუსერისძე, როგორც კ. კეკელიძე მიუთითებს.[3] აბუსერისძე ტბელი არცერთ შემთხვევაში არ მალავს ძმების როლს, აქ კი ხაზგასმით ამბობს „ჩემითა შეხუეწითა“ (A—85, 224r).

A-85 ხელნაწერში ფაქტიურად წარმოდგენილია არსენ კათალიკოსისა და საბა სვინგელოსის შემოქმედებითი მემკვიდრეობა, რომელიც 1233 წლისათვის

---

[1] აბუსერისძე ტბელის ამ თხზულებას თავიდანვე უცნაური ბედი ერგო. მისმა პირველად გამომცემელმა (თ. ჟორდანია, ქრონიკები, II) აქცენტი ანდერძზე გააკეთა და თხზულება ისტორიულ წყაროდ მიიჩნია. მეორედ და მესამედ გამომცემლებმაც (ლ. მუსხიშვილი, ი. სიხარულიძე) ამ თვალსაზრისით შეაფასეს აბუსერისძე ტბელის ნაწარმოები. ქართული ლიტერატურის ისტორიკოსებს რატომღაც გამორჩათ ეს ძეგლი და არ განუხილავთ როგორც ჰაგიოგრაფიულ-ლიტერატურული ნაწარმოები. ეს საქმე ახალი თაობის ლიტერატორთა ინიციატივით დაიწყო.

[2] ამ მინაწერთან დაკავშირებით იხ. ნ. ბერძენიშვილი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში, დაბეჭდილი საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. III, 1969 წ., გივი მიქაძე, არსენ ბულმაისიმისძე, ლიტერატურული ძიებანი, ტ. XV, 1964 წ., გვ. 115-140.

[3] კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. 1, 1951 წ., გვ. 306.

არსებობდა. ყველა სხვა თხზულება, რომელიც არსენს მიეწერება, 1233 წლის შემდეგ უნდა იყოს დაწერილი, ე. ი. A-85-ის შედგენის შემდეგ, ყოველ შემთხვევაში, ნინოს საგალობელი A-85-ში შეტანილი არ არის (თუმცაღა გივი მიქაძე ამტკიცებს, რომ მისი პუბლიკაცია A-85-ში დაცული ტექსტიდან მომდინარეობს, (იხ. ლიტ. ძიებანი, ტ. 15, გვ. 135) და იგი ჩვენი ღრმა რწმენით, კრებულის შედგენის მომდევნო პერიოდშია დაწერილი (ნინოს საგალობელი შესულია შიო მღვიმის ტიპიკონის ნუსხაში H--1349, XIII საუკუნის მეორე ნახევრის ხელნაწერში). ამ კატეგორიული განცხადების საფუძველს იძლევა A-85 ხელნაწერის შედგენის პრინციპი. აბუსერისძე ტბელი ადგენს კრებულს, რომელშიც გათვალისწინებულია XII-XIII სს. თითქმის ყველა გამოჩენილი ჰიმნოგრაფის მემკვიდრეობა, მხოლოდ ერთი უცილობელი პირობით: საგალობელი უნდა ყოფილიყო ზოგადი, კონკრეტულ თემაზე,[1] მაგრამ ერთიანი საქართველოს და ეროვნული ეკლესიის გადასახედიდან დანახული და გაჟღერებული. ასე აღიქმება შემდგენლის პოზიციიდან თვით აბუსერისძე ტბელის „გალობანი წმიდისა იოვანე ნათლისმცემელისანი, იოვანე მახარებლისა და წმიდისა იოვანე ოქროპირისა“, არსენ ბულმაისიმისძისა და საბა სვინგელოზის გალობანი ხელთუქმნელი ხატის შესახებ, იოანე პეტრიწისა და არსენ კათალიკოსის მართლმადიდებლური საეკლესიო კალენდარი (გალექსილი), დავით ალმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“.

არსენ კათალიკოსისა და საბა სვინგელოზის საგალობლები უაღრესად ორიგინალურები არიან, განსაკუთრებით „პიროვანი საქცევით“ დაწერილნი. არსენ კათალიკოსისა და საბა სვინგელოზის შემოქმედების ზოგად სურათს იძლევა კ. კეკელიძე[2] და მასზე დაყრდნობით საილუსტრაციო მასალის მოშველიებით უფრო ვრცლად მსჯელობს კათალიკოს არსენზე გ. მიქაძე[3]. ამ უკანასკნელის გამოკვლევაში ჰიმნოდის ეროვნული სულისკვეთების წინა პლანზე წამოწევის ცდაა და შესაბამისად საგალობლებიდან დამადასტურებელი სტრიქონებია მოტანილი.

ჩვენ არაერთხელ გავუსვით ხაზი, რომ აბუსერისძეთა ოჯახს ახლო შემოქმედებითი კონტაქტი ჰქონდა ქართლის კათალიკოსთან არსენთან. აბუსერისძე ტბელის დამოკიდებულება უფრო მოკრძალებულია, ამიტომაა, რომ იგი ძმებს

---

[1] A-85-ში გალექსილ საეკლესიო კალენდარში 25 მარტის თარიღზე შეტანილია იამბიკო ღვთისმშობლის სახელზე:

თჳთ პირუველ-არსმან და ყოვლისა მაარსმან,
იარსა ჩემთჳს, აწ კუალად ჩემ-შორის სხუა,
ემრჩობლა თბესა, ქალწულებრსა ნაზარეთს,
მარიამს ეტყჳს: გაბრიელ! გიხაროდენ.
უფალი ჩემი და ღმერთი შენ შორის არს.

გამოაქვეყნა პლ. იოსელიანმა დაბეჭდილი სადღესასწაულოდან, სადაც იგი შეტანილია როგორც ევსტათი მცხეთელის ღვთისმშობლისანი. იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. 1, 1951 წ., გვ. 308; წყობილსიტყვაობა ქმნილი ანტონისაგან პირუველისა, პლ. იოსელიანის გამოცემა, 1853 წ., გვ. 213.

[2] კ. კეკელიძე, იხ. დასახელებული წიგნი.

[3] გ. მიქაძე, იხ. დასახელებული წიგნი. (ლიტ. ძიებანი, XV ტომი)

ერისთავთ-ერისთავებს ავალებს კათალიკოსთან ურთიერთობას. ისინიც ერთგულად და ბეჯითად ასრულებენ უმცროსი ძმის დავალებას.

აბუსერისძე ტბელმა შემოგვინახა გელათიდან აბუსერისადმი გამოგზავნილი არსენ კათალიკოსის ეპისტოლე, რომელიც არსენმა ჩაიფიქრა როგორც დავალების აღსრულების დოკუმენტი, როგორც საგალობელთა ბოლოთქმა. აბუსერისძე ტბელმა წერილს არ დაუკარგა ეს ფორმა და იგი კრებულში სწორედ არსენის საგალობლებს დაურთო, საბა სვინგელოზის საგალობლის წინ. ეპისტოლის A-85-ში შეტანა სწორედ იმის დასტურია, რომ აბუსერისძე ტბელია ყველაფრის ინიციატორი და გადამწყვეტი. ჩვენ ვიმოწმებთ არსენ კათალიკოსის და საბა სვინგელოზის საგალობლებს ერთადერთი მიზნით, რომ ნათელი გახდეს ხელთუქმნელი ხატის კულტის დამკვიდრებასთან (მესიანისტური იდეა) დაკავშირებით როგორი აქტიური მუშაობა გასწია აბუსერისძე ტბელმა. მართალია, პოეტური ნიმუშები მისი დაწერილი არ არის, მაგრამ ისინი ძაინც მისი შემოქმედების მაგალითებია, მისი ჩანაფიქრის ილუსტრაციაა. მხოლოდ ამ მოსაზრებით ვბეჭდავთ საგალობლებს და ეპისტოლეს, მაგრამ ჩვენ ეპისტოლეს შევუცვალეთ ადგილი. მას გალობათა წინათქმის ფუნქცია დავაკისრეთ.

არსენ კათალიკოსის წერილი, გამოგზავნილი გელათიდან აბუსერისადმი, მეტად საინტერესო დოკუმენტია, უპირველეს ყოვლისა, დასტურია იმისა, თუ ქართული ეკლესიის მამამთავარი როგორი პატივისცემით და რიდით არის გამსჭვალული აბუსერისძეთა ოჯახის მიმართ. მეორეც, მაჩვენებელია დიდი შემოქმედებითი კონტაქტებისა და, რაც მთავარია, საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელი აქტიურად უდგას გვერდში მესიანისტური იდეის, საეკლესიო კალენდრის რეფორმის, ეროვნული სულისკვეთების პროპაგანდას. მესამეც, ეპისტოლე ადასტურებს, რომ აბუსერისძე ტბელი, იერარქიულად დაბლა მდგომია კათალიკოს-პატრიარქზე, თვით კი არ არღვევს სუბორდინაციას, არამედ ძმას ერისთავთ-ერისთავ აბუსერის ავალებს პატრიარქთან ურთიერთობას. ჩვენ ვფიქრობთ, სწორედ ამ სუბორდინაციის დაცვით არის გამოწვეული, რომ აბუსერისძე ტბელი ძმას—აბუსერის მიაწერს პიროვანი საგალობელის შექმნის იდეას. „ძმამან ჩუენმან აბუსერი არსენის მიმართ გალობათა თქუმისა იძულებაჲ მოიგონა სალმრთოჲს პირისათჳს“.

არსენის ეპისტოლეს ტექსტი პირველად გამოაქვეყნა თ. ჟორდანიამ 1897 წელს „ქრონიკების“ მეორე წიგნში. მეორედ გამოქვეყნდა ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის (ყოფილი საეკლესიო ფონდის) A კოლექციის პირველ ტომში (თ. ბრეგაძე). მესამედ იგი დასტამბა რამაზ ხალვაშმა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საისტორიო მაცნეში“ 1996 წელს (№4). სამწუხაროდ, სამივე გამოცემაში ტექსტი შეცდომებით არის დაბეჭდილი (მესამე გამოცემას ჰქონდა პრეტენზია გაესწორებია წინა გამოცემათა მიერ დაშვებული შეცდომები).

სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული შეხედულებებია ეპისტოლის სათაურისა და დასასრულის შესახებ. ზოგს მიაჩნია, რომ „მონაჲ მონათაჲ

ღმრთისათჲ მდაბალი არსენი ამარტოლი“ და „ამინ“-ის შემდგომი ტექსტი („შემატებაჲ გინა მოკლებაჲ“...) ეკუთვნის აბუსერისძეს და არა არსენს. ეს დასკვნა ტექსტის გაუგებრობაზეა დამკვიდრებული. ეპისტოლეს ყოველი სიტყვა ეკუთვნის არსენ კათალიკოსს. სხვისი წერილის კრებულში შეტანა და გამოქვეყნება ერთხელ კიდევ ხაზგასმით მიუთითებს, რომ აბუსერის ურთიერთობა კათალიკოსთან წინასწარ ჩაფიქრებულია აბუსერისძე ტბელის მიერ!.

ᲛᲝᲜᲐᲭ ᲛᲝᲜᲐᲗᲐ ᲦᲛᲠᲗᲘᲡᲐᲗᲐᲭ ᲛᲓᲐᲑᲐᲚᲘ ᲐᲠᲡᲔᲜᲘ ᲐᲛᲐᲠᲢᲝᲚᲘ

დიდ არს გონიერებაჲ ნაშობითურთ თჳსით სიბრძნით, რომელი მარადის ღმრთისათა განიხილავს მისთჳსთა მოქმედი, ვითარცა დასაბამად შიშსა მისსა მაწუეველი, რომელი-ესე განმწმედელთა გონებისა და სულისათა ზენაჲთ მოეცემის, სადაჲთ-იგი მაუკუდავებელნი წყარონი დიან, ვჰნატრით მისგან წყეულთა. და მე უკუეთუმცა წუეთიცა ერთი მიმელო მისგან, არამცა ესრეთ აღმელაგმა ენაჲ ქებად შენთჳს, რომელმან განინათლე საცნაურითა ხედვითა გონებაჲ მარადის ზემჭუირობი, ესევითართა ქებისმეტყუელებათათჳს მბრძნობი და მთნები.

ჵ ღმრთისმოყუარეო მთავარო დიდგუარიანო და სახელმაღალო აბუსერი!

კუალად დიდ არს ძალი სიყუარულისაჲ, რომელი მორჩილ ჰყოფს გონებასა შეკადრებად შეუკადრებელთაცა, ვითარ ესე იქმნა აწ ჩემზედაცა მეცნიერისა, ვითარმედ ყოველი წერილი ძეგლი არს მეტყუელი, გამოშაჩინებელი აღმწერელისაჲ საუკუნოჲ: რომლისამე საქებელ-ყოფად, ხოლო სხჳსა--განქიქებად უმეცრებისა, ვითარ ვხედავ აწ ჩემსა.

გარნა ვიძლიე და ესე ოდენ ამათ წესთაგან, ვიდრემდის დამავიწყდაცა წინაჲსწარმეტყუელისა თქუმულთაჲ ღმრთისა მიერ: „ჰრიდეთ სიტყუათა შჯულისა ჩემისათა, რომელთადა-ეგე არა მიბრძანებიეს მეტყუელებაჲ“. და აწღა ოქროჲსა იგი პირი ჴმობს იოვანე: „რომელთა არა სულისა მიერ წმიდისა მიელოს და რიტორობდენ, მსგავს არიან ბრმისა კედელსა მფეშუებელისა“.

გარნა თქუენ რაჲ ჰყავთ და ვითარ და რად ღირღლოვანსა შინა ურწყულსა ჴევსა უდაბნოჲსასა ჰგონეთ მდინარე და მდიდროობასა ნილოჲსა ნანდულ ოქრონეკტართასა და არა აღივსენით ჯურღმულნიცა რად თავისა დამტეობელთა, თქუმულისაებრ, ფერჴთანი მოიხადენით) ანუ ვინ სადა მჯდომარემან აღსავსესა ტრაპეზსა ჰრქუა გიხაროდენი. ხოლო გლახაკისა უბეთაგან სასოებდა განძღომასა. ანუ სამეფონი საწდევნი ტაკუკნი ფიალნი აღსავსენი და-ვინძეუტევნაა ოდესცა? და გული უთქუმიდა მახრუტსა პერელრინთასა შთაწრედად. შემნდობელ თქუენდა მაღალი, რომელთა აიძულენით თავნი დატევებად ვითარ ვინ თქუას წყალთა პონტოჲსათა და მისწრაფად ფრეათა უქმთა არაბიაჲსათა?

! განსხვავებულად ხსნის წერილის შეტანას ხელნაწერ კრებულში რ. ხალვაში. იხ. მისი „არსენ ბულმაისიმისძის ეპისტოლე აბუსერ აბუსერისძისადმი“. დაბეჭდილია ბათუმის სახ. უნივერსიტეტის „საისტორიო მაცნეში“, 1996 წ. №4, გვ. 38.

გარნა მოგმადლენ გულსმოდგინებამან სარწმოუნებაჲ და სარწმუნოებამან საქმე, რაჲთა ამათ შინა სრულნი იშუებდეთ სასოებითა ნაყოფითა.

ჴეშმარიტებაჲ უფროჲს არს თხზულთა სიტყუათა წინაშე ბჭისა კეთილისა და სიმართლე—წინაშე მეფისა დიდისა. ესე იყავნ ხუავ თქუენდა და თქუენთა ნამუშაკევთა ნაყოფშეწირულ მომცემელისა, რამეთუ არარაჲ არს კეთილთაგანი, რომელიმცა არა მისი იყო.

მეცა ორღანოსა მითხოეთ არა გაოზანებაჲ უკადრებელთათჳს და სალმრთოთა მკადრესა. ხოლო ნაცვალი თჳთ მან მოგცეს მისდა მხედველთა, უფროჲსღა მის მიერ ხედულთა.

აქათა შინა კეთილ ყოფად, ხოლო უსრულესთა ღირს-მყვენ მიახლებად და განცდად სასოებასა წმიდათასა. ამინ.

შემატებაჲ, გინა მოკლებაჲ ნუ იყოს ნუცა სიტყჳსაჲ და ნუცა რაჲსაჲ. უნდოთა მაგათ სიტყუათა ზედა, საქცევთა ზედა თჳთ უფალ ხარ, ვითა რაჲ და სადა გინდეს დაწერად. და მწერალი მართალი და კარგი მკითხველი ნუ დამწყევს, ეგე პირველი ნუსხაჲ არს და სწრაფით ნაწერი".

ვიმოწმებთ არსენ კათალიკოსისა და საბა სვინგელოსის საგალობლებს, რომლებიც ხელთუქმნელი ხატის დღესასწაულის დამკჳდრებისათჳს დაიწერა აბუსერისძე ტბელის დაკვეთით.

ჩვენს მიზანს ამჯერად სრულებით არ შეადგენს წარმოდგენილ საგალობელთა ანალიზი. მაგრამ არ შეიძლება ორიოდე სიტყვა არ ვთქვათ ე. წ. „პიროვანი საქცევით" დაწერილ საგალობლებზე. მსგავსი ნაწარმოები ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიაში ცნობილი არ არის, მხოლოდ ეს ორი ძეგლია ცნობილი (ყოველ შემთხვევაში, ჩვენ მეტს არ ვიცნობთ). ფსალმუნის ტექსტიდან ორივე ავტორთან დამოწმებულია ადგილები, რომლებშიც პირი როგორც ხატებაა დამოწმებული. ორივე ავტორი ცალ-ცალკე 60-მდე ფრაზის ციტაციას ახდენს ფსალმუნიდან, ცხადია, ციტატები ხშირად გამეორებულია ორივე ავტორთან. საბა სვინგელოზმა დამოწმების ფორმა გაართულა, რამაც, თავის მხრივ, საგალობელს ერთგვარად დაუკარგა მხატვრულობა, სილაღე, პეწი. ეს სიახლე ქართულ ორიგინალურ ჰიმნოგრაფიაში ვერ დამკვიდრდა, გარდა A-85 ხელნაწერისა ჩვენთვის ცნობილ ლიტურგიკულ კრებულში იგი არ გადაწერილა. ეს სიახლეც, როგორც მომდევნო ეპოქების ჰიმნოგრაფთა მიერ უგულებელყოფილ იქმნა, უკავშირდება აბუსერისძე ტბელის სახელს. მისი შენიშვნა („ძმამა ჩუენმან აბუსერი არსენის მიმართ გალობისა თქუმისა იძულებაჲ მოიგონა სალმრთოჲსა პირისათჳს, რომელსა მოგონებასა ამით ებისტოლეთა აბუსერის მომართითა ესევე არსენი ,აქებს...") დაბეჯითებით გვაფიქრებინებს, რომ იდეა აბუსერისძე ტბელისაგან მოდის. არ შეიძლება საერთო საქმეებით დატვირთულ ერისთავ-ერისთავ აბუსერის და ერისთავ-ერისთავ ვარდანს ერთდროულად ერთი და იგივე აზრი გასჩენოდათ და ცალ-ცალკე მიემართათ, ერთს კათალიკოსისადმი და მეორეს კარის ეპისკოპოსისადმი. იდეა .აბუსერისძე ტბელისგან მოდის და ძმებმაც მის აღსრულებას დაუჭირეს მხარი, გაიღეს წვლილი.

ხატისა უხილავისაჲ ამავე გალობითა, თქუმული არსენი ბულმაისიმისძისაგან, ქართლისა კათალიკოზისა უფალო ღაღადყავსა

მამულსა არსებასა,
განუცდელსა ხატებასა,
ძალსა მიუთხრობელსა
ანგელოზმან, მამისამან
ძემან მოთხრობად
თავს-იდვა რაჲ მოსლვაჲ
დაუწყებელმან მან
და მონისა ხატი მიიღო
ქალწულებრივთაგან
ჴორცთა, და ჯუარისა თავსმდებელმან.
აღიყვანა რაჲ ბუნებაჲ
დასჯილი ზეცად, მოგუცა ჩუენ წინდი,
ხატი თჳსი, ყოვლად დიდებული,
არა თუ ჴელთაგან ქმნილი,
არამედ თჳთ საუფლოჲ
უცვალებელი სახე.

იხარებდ დღეს, იხარებდ,
ქართველთა სამეუფოო,
ერო მორწმუნეთაო,
რამეთუ არასადა უმრწამეს გყო შენ
ქრისტემან, არამედ მოგცა ხატი თჳსი
დიდებული, რომელი თჳთ მან
დაჰბეჭდა პირითა თჳსითა უცვალებელი სახე
განკაცებისა თჳსისაჲ,
გარდმოცემული პირმშოჲსა მისგან,
რომელი ღირსისა ანტონის ჴელთაგან
მსახურებული სიმდიდრედ
წარუპარველად გიპყრიეს
საუნჯედ უხილავად.
ხატო ღმრთივდიდებულო,
ვითარიმე მადლობაჲ შევწიროთ დღეს ჩუენ შენდა,
რამეთუ ბუნებათა
უზეშთაეს არს
საკჳრველებათა
და ნიშთა სიმრავლე

და წყალობათა შენთა სიმაღლე,
რომელთა დღითი-დღე
ჰყოფ უღირსთა ამათ მონათა შენთა თანა,
მეფეთა აქუ[ს] ძლიერებად
და მღვდელთმოძღუართა——შუენიერებად
და ყოველსა ერსა შენსა—შეწევნად და სიმტკიცედ და ცხოვრებად
და შენ მიერ მოგუეცემის ლხინებაჲ და მშჯდობაჲ.

სხუანი. დ. მჴნეონი

გიხაროდენ, ჶ მამაო,
ღმერთშემოსილო ანტონი,
რომელი ტაძარ ექმენ სულსა წმიდასა
და წამისყოფითა ღმრთისაჲთა
ნიშსა მას დიდებულისა,
საუფლოჲსა პირისა ხატსა ყოვლად დიდებულსა.
მსახურ ექმენ შენ
აღმოსლვასა მას მისსა
279r ჩუენდა მომართ.|
ეჰა, ნიჭსა ბრწყინვალესა,
რომელსა ღირს იქმენ, ნეტარო.

დიდისა იოვანესთა
კუალთა მოსდევდი, მამაო,
და, ვითარცა მოსე, იდიდე ღმრთისა მიერ,
რამეთუ რომელი მან იხილა
უცვალებელი სახე,
ხატი და ბრწყინვალებაჲ
მამისაჲ, ღმერთი
და კაცი–ქრისტე ხილული
თჳთ პირმშოჲთა ხატითა,
ვითარ უწყის,
და ღმრთეებისა დიდებითა
გამოგეცხადა შენ, ანტონი.

ვითარცა დაფარულ იყო
კეცის ჭურსა, გუამსა შინა
ღმრთეებისა თჳსისა ბუნებითა ქრისტე,
ეგრეთვე კეცსა ამას შინა

ხატი თჳსი დაფარა,
და არა შეიწჳ შენ,
მჭონებელი მისი, მამაო.
საკჳრველ არს ღმერთი
შორის წმიდათა მისთა,
რომელმანცა
პირველ მაყუალი და აქა
მონაჲ თჳსი დაგცვა, ანტონი.

სხუანი. მჯდომარე

დღეს კუალად იქმნა სხუაჲ დასაბამი
ცხორებისა ჩუენისაჲ, ჰ მორწმუნენო.
პირველ ქალწულმან გჳშვა
ღმერთი და კაცი ჴორცითა
მიუწდომელად. და დღეს
იესუ, ღმერთმან ჩუენმან,
ვითარ თჳთ უწყის,
ღმრთივ დიდებული ხატი თჳსი,
უცვალებელი სახე
მოგუანიჭა მონათა.
მუნ უთესლოდ შობაჲ
თავს-იდვა ჩუენთჳს
და აქა თჳნიერ
ჴელითა კაცობრივთა
მოგუანიჭა სახე
ზეშთა ბუნებისა ღმერთქმნილთა
მათ ჴორცთა თჳსთაჲ
მის თანა თაყუანისცემული.

შუამდინარით ვარსკულავი აღმოჰჴედ
დიდისა მთიებისა პავლეს ძიებად,
ჰ მამაო ანტონი,
და საუნჯე მიიტაცე,
რომელი ვერვინ წმიდათაგანმან
შეუძლო
შეძინებად,
ღმრთივ ქმნული ხატი ყოვლად წმიდაჲ,
და ისრაჱლსა ამას
ახალსა დაუუნჯე, ქართველთასა

ერსა საზეპუროსა,
ვინაჯცა იდიდე
ღმრთისა მიერ, ბრძენო,
შემჭუარებელი მისი.
და აწ დაძინებასა შენსა
წინა უძღჳს დღეს
მამათა მზე ანტონი.

სიბრძნე

დღეს სიხარულითა აღვივსნეთ,
დღეს წყალობაჯ ღმრთისაჯ მოგუენიჭა,
დღეს ცხორებისა წინდი მოგუეცა,
დღეს სულნელ იქმნა ეკლესიაჯ
და ზეზი პორფირი[1] შეიმოსა
და მეფობრივი პატივი მიიღო,
რამეთუ წმიდაჯ ხატი
ქრისტეს ღმრთისაჯ შეიწყნარა,
რომლითა თაბორს ეჩუენა მოწაფეთა
ღმრთეებისა
დიდებითა განბრწყინვებული,
და ღმრთისმბრძოლთა საძაგელთა
მწვალებელთაგან
ანტონი
საკჳრველმან
დაგჳუნჯა
გოდლად საძლეველად მტერთა
და სიმტკიცედ მართლმადიდებელთა,
მეფეთა სკიპტრისა ძალად,
მღდელთმოძღუართა მართლმკუეთელებად
279v და გლახაკთა სიმდიდრედ |
და ყოვლისა ერისა
შემწედ და ჴელის ამპყრობელად.

[1] ხელნაწერშია: ფორფირი

ელემი

ღმრთეებისა ბუნებითა შეუხებელი
გარეშეწერილ იქმნა
დამბადებელი სიტყუაჲ, ბუნებით ღმერთი.
ჴორცთა მიხუმითა, რომელნი-იგი
ღმერთ-ყვნა თჳსთა თანა სახიერებით
კაცქმნილმან ჩუენთჳს.
და კუალად მოწყალებით ხატი ღმერთმან და
კაცმან თჳსი მოგუანიჭა, რომელსაცა
ღმრთისა ხატად
თაყუანის-ვსცემთ, ვითარცა წმიდათა ჴორცთა მისთა
ღმრთისა ჴორცად ვიცნობთ,
ეგრეთვე თაყუანის-ვსცემთ ყოვლად
წმიდასა ხატსა მისსა,
არა ღმრთად აღვიარებთ,
არამედ ღმრთისა და კაცისა--ქრისტეს ხატად.
მის თანა აღვიარებთ
და მის თანა თაყუანის-ვსცემთ ესრეთ.

სტიქარონნი. ნათელი ნათლისაგან...

ნათელი ნათლისაგან[1]
მოვლინებული,
სიტყუაჲ განკაცებული,
მხოლოდ შობილი
დღეს შემოვალს ხატითა
თჳსითა ჩუენდა,
დიდებაჲ მაშისაჲ
მომავლინებელისა
და სულისა წმიდისაჲ,
წმიდა არს
მოსლვაჲ მისი ჩუენდამდე წყალობად ჩუენდა.
ნეტარ ვართ,
შ, ანტონი—მამაო,
რომელთა--ესე
შენ მიერ მოგუენიჭა
ნიში საუფლოჲ.

[1] რამდენადმე განსხვავებული ტექსტი იხ. აქვე, ფ. 284v.

ზაქარია, იხარებდ
ჩუენ თანა დღესა
ამას შინა წმიდასა,
რამეთუ, აჰა,
შენგან ქადებული
მეუფე ჩუენი,
მშჯდი და მდაბალი,
კარაულსა მჯდომარე,
აწ კუალად იხილვების
ხატითა
მითვე უცილობელი
ახლისა მის ერისა
წყალობად. ნეტარ ხარ, ღირსო ანტონი,
რამეთუ ღირს იქმენ შენ უცხოსა ნიჭსა.

განათლდი დღეს,
განათლდი,
ჴ ისრაელო (იწსლო),
ახალო გონებაო, ღმრთისა მხილველო.
შენ ზედა გამობრწყინდა
დიდებაჲ ღმრთისაჲ თაბორს მოსეს თანა
და ელიას ხილული
მამისა ღმრთისა ხატი,
მარჯუენე ძალი და ბრწყინვალებაჲ
უცვალებელი, რომელი
გარდმოტჯფრვით მოგუეცა
ჴელით უქმნელი,
საშინელებაჲ მტერთაჲ,
გამოჴსნაჲ ჩუენი.

არაჲ დააკლდი

დღეს არე სულნელებისაჲ,
დღეს ნიავი ცხორებისაჲ
მოეფინა ქართველთა ერსა ზედა
ევლავიოჲს ღირსისა მიერ
ედესიას გამოჩინებული
დიდებული ხატი,
უცვალებელი სახე ქრისტეს ღმრთისაჲ,
რომელი ანტონისგან
მოღუაწებითა ღმრთისაჲთა მოგუეცა.

დღეს ქრისტე

დღეს წყალობაჲ ღმრთისაჲ
გარდაეფინა ჩუენ ზედა მდიდრად,
დღეს ეკლესიაჲ შეიმკვების ბრწყინვალედ
და მღვდელთმოძღუარნი მადლსა შეიმოსენ.
დღეს მეფენი ზეგარდამო ძალსა მოიღებენ
და მთავარნი ღმრთისა მიერ განდიდნებიან.
დღეს ყოველი დაბადებული განსცხრების
შემოსლვასა ქრისტეს ხატისასა ჩუენდა,
და ჩუენ მათ თანა ვლაღადებთ და ვიტყჳთ დიდებასა.

სხუანი დ გ̃ი. ჰ სასწაული*

280r

ჰ სიმდაბლესა შენსა, ქრისტე,
და დიდსა სიყუარულსა
ნათესავისა მომართ ჩუენისა,
რამეთუ ყოვლითა სავსებითა ღმრთეებისაჲთა
თბისა ჩუენისა მიმღებელმან წმიდაჲ ხატი
შენი დაჰბეჭდე, უცვალებელი იგი სახე,
რომელსაცა თაყუანის-ვსცემთ ღმრთისა კაც ქმნილისა ხატად,
და ყოველთა მგმობართა მისთა შევაჩუენებთ და განვაქიქებთ.

ჰ ხატო, ყოვლად საშინელო,
მაღალ არიან ნიშნი
და მოწყალებანი შენნი ჩუენ ზედა,
რომელთა არა დააცადებ დღითი დღედ ყოფად.
აღვიარებთ მადლსა, ვქადაგებთ წყალობასა
და არა დავჰფარავთ საკჳრველებათა შენთა
და თაყუანის-გცემთ დამბეჭდველისა მის შენისა თანა
ღმრთისა ჩუენთჳს
კაცქმნილისა ხატად ჭეშმარიტად ზესთგამოთქუმისა.

ჰ, მამაო, დიდო ანტონი,
მოსახელესა თანა
შენსა პატივ-გცემთ ჩუენ ქველის მოქმედსა
ნათესავისა ჩუენისასა, ღმერთშემოსილო,
რომლისა ჴელთა მიერ წმიდაჲ ხატი
ჴელითუქმნელი დაგუეუნჯა საცხორებელად.

* ეს საგალობელი უმნიშვნელო ვარიაციით მეორდება 283-284 ფურცლებზე.

ეჰა, ნიჭსა ამას, ჱ სანატრელო,
რომელსაცა ღირს იქმენ მოღებად მოღუაწებითა ღმრთისაჲთა.

კონდაკი ჴ̃ჲ დ. ცად ნათელ.

მზეებრ მზისა ღმერთი გამოგჳჩნდა,
ვითარ პირველ, ეგრეთვე და კუალად
კეცსა შინა მღალადებელთა თჳსთა.
შენ თაყუანის-გცემთ, ხატო საშინელო.
ვისმინოთ, ერნო, სახარებათ̃ჲ
და აღვიდეთ თაბორს განგებითა.
ქრისტემან მამული დიდებაჲ თჳსი
მოწაფეთა გამოუცხადა,
რაოდენ ძალ-ედვა, მიწისათა.
ხოლო აქა დღეს დაჴსნილსა ავგაროს
ტილოსა ზედა დაუბეჭდა
უცვალებელად იგივე ხატი,
რომელმან ამან კეცი დატჳფრა
და კეცმან კუალად მსგავსი დაჰბეჭდა,
რომელი ღირსისა ანტონის მიერ
მოღუაწებითა ზენაჲთა ქართლად
მოგუენიჭა| ჩუენ მღალადებელთა,
280v შენ თაყუანის-გცემთ, ხატო, საშინელო.

წარდგომაჲ ჴ̃ჲ ბ

რომელი-იგი უხილავ არს ძალთაგან ზეცისათა
ბუნებითა ღმრთეებისა თჳსისაჲთა,
კაცად სახილველ იქმნა ქალწულისაგან ჴორცთშესხმითა ქრისტე,
და ჯუარი და სიკუდილი დაითმინა ჩუენთჳს ნეფსით,
აღდგა ჴელმწიფებით და ამაღლდა ვითარცა ღმერთი
და სალმრთოჲ ხატი თჳსი დაგჳტევა ჩუენ,
რომლისაჲ მოღებად ღირს იქმნა ნეტარი ავგაროს,
რომელი გჳპყრიეს ჩუენ ძალად და ზღუდედ.

[ჴ̃ჲ] გ

რომელი ეჩუენე პირველ მთასა ზედა მოწაფეთა შენთა—მოსეს და ელიას
თანა-განბრწყინვებული ხატი შენი, ქრისტე ღმერთო,
და აწ კუალად ჩუენცა ცოდვილთა გჯჩუენე
დიდებით ღმრთივ შუენიერი ხატი შენი,
მის მიერ მოგუანიჭე ყოველთა შენი წყალობაჲ,
კაცთმოყუარეო, და გუაცხოვნენ ჩუენ.

[ჴ̃ჲ] დ გ̃ი

ვითარცა დაფარულ იყავ ჴორცთა შინა,
სიტყუაო ღმრთისაო, ღმრთეებითა სრულითა,
ეგრეთვე ხატსა[1] ამას შინა დაჰბეჭდე შენი უცვალებელი ხატი,
რომელსა შინა დაამკჯდრე მადლი ღმრთეებისა შენისაჲ,
რომელსა შეუორგულებელითა სარწმუნოებითა
თაყუანის-ვსცემთ უხრწნელსა ხატსა შენსა, უფალო,
და გევედრებით, მოგჯტევენ შეცოდებანი ჩუენნი.

283v

ყოველი სასოებაჲ*

მამისა ანგელოზი,
მომთხრობელი დიდებასა
განუცდელსა, ვიხილეთ
ორთა შინა ბუნებათა
ერთგუამოვნებით
სრული ქრისტე ღმერთი
ხატითა ჩუენითა,
რომელმანცა
ჯუარცუმულმან ნეფსით,
ამაღლდა რაჲ ზეცად,
დაგჯტევა წმიდაჲ ხატი თჯსი
სურვიელთა მისსა მიმართ,
რომელსა ძრწოლით
თაყუანის-ვსცემთ ჩუენ

---

[1] ნუსხაშია: ხახსა

* ხელნაწერში მიწერილი აქვს: „ესე ზემოჲთ უნდის.“ ამ შენიშვნის საფუძველზე გადმოვიტანეთ ეს გალობა აქ.

284r არა ნატაცებად, ვითარცა| თჳთ მას სწორსა მამისა თანა,
რომელსაცა მუჴლთმოდრეკით ყოველი სული ჰმონებს.

ახალო ბუნებაო, ღმრთის მხილველო, იხარებდი!
აჰა, მეუფე შენი,
რომელიცა
კიცუსა ზედა
წმიდად ქალაქად
მჯდომარე იხილეს
ერმან და ადიდეს.
აჰა, აწ კუალად
უცვალებელად
მითვე ხატითა ღღეს
შემოვალს შენდა მშჯდი მოწყალე
ელესიით ანტონისგან.
ნუ ჰურიაებრ
ჰგმობ სიმდაბლესა,
არამედ ყრმათა თანა ღმრთივ გონიერთა ოსანასა ღაღადებდი,
სამოსელთა წილ მომფენი
მართლ აღსარებასა.

280v უგალობდითსა ჴ ჯ დ გ̃. ეტლთა მფლობელი

Აღახუენ აწ ბაგენი ჩემნი
და განმინათლენ მე გონებაჯ, ღმერთო,
აღმავსე სულითა
სიბრძნისაჯთა და მომეც სიტყუაჯ
ჯეროვანი წადიერებით
შესხმად საშინელისა,
დიდებულისა ხატისა შენისა,
რომლისა შემოსლვასა
დღეს ძრწოლით წინა მივეგებვით,
რომელი დაუსაბამო არს ბუნებითა ღმრთეებისაჯთა, მხოლოჯ
ქრისტე ღმერთი ჩუენი,
281r ხატი იგი და | ბრწყინვალებაჯ
მამულისა მის დიდებისაჯ
კაცქმნილი, რაჯ გუეცნობა,
არათუ ნატაცებად აღვიარეთ,
ეგრეთვე ხატსა მისსა

აწ მის თანა თაყუანის-ვსცემთ.
სინას ღრუბლითა და ნისლითა
და თაბორს დიდებით განცხადებული
ძისა ღმრთისა ხატი,
თჳთ უცვალებელი იგი სახე,
დღეს შემოვალს ჩუენდა მეუფე
ჴელითა ნეტარისა
ანტონისითა, რომელსაცა
მივეგებნეთ სურვილით
და ძრწოლით ამბროს-უყოთ.
ენასა კაცთასა ზესთა არს
გალობაჲ შენი, დიდებულო ხატო,
თაყუანის-ცემულო
თჳთ მას პირმშოსა ხატსა თანა,
რომელმან შენ ზედა დაჰბეჭდა
თჳსი გამოცხადებაჲ,
არამედ ვითარცა კაცსა მას ღმერთად,
ეგრეთვე შენ გქადაგებ
ხატად ღმრთეებისა მისისა.

განძლიერდასა. განმაძლიერებელ

ნუ სცთებით, ღმრთის მბრძოლნო, ჩუენდა მომართ,
დაღაცათუ ჴელითუქმნელ არს
საშინელი ესე ბეჭედი.
არა ღმრთად თაყუანის-ვსცემთ,
არამედ ღმრთისა კაცქმნილისა
განღმრთობილთა მათ ჴორცთა
ზესთა გამოთქუმისა თანა შევარწყუამთ.
ოხილა რაჲ მოსე, ღალად-ყო
იგავით მომასწავებელად
საშინელისა ხატისა შენისა
ხილვაჲ იგი ბრწყინვალე,
ქრისტე ღმერთო, შიშნეულ იქმნა.
ხოლო ჩუენ აღგუმართნა დღეს
ხილვამან ხატისა შენისამან,
ვითარცა-იგი პირველ თაბორს
განბრწყინვებულმან დიდებით

მოწაფენი შენნი ალავსენ,
ქრისტე, სიხარულითა.
გამოჩნდინ ჩუენ ზედა ნათელი
პირისა შენისაჲ დღეს,
უხრწნელისა ხატისა შენისაჲ.
Ღვიტყჳელნეთ ჴელნი,
წარმართონო,
უგალობდეთ მეუფესა
ჩუენსა ღმერთსა, უგალობდეთ დღეს
შემოსლვასა | წმიდისა
281v უხრწნელისა ხატისა მისისასა,
რომელი მოგუენიჭა
ანტონის მიერ ნეტარისა.

მესმასა. მესმა უფალო

ჭრისტეს ღმრთად აღმსარებელნო,
მოვედით, ვიხილოთ წმიდაჲ ხატი მისი,
რომელი მოწაფეთა თაბორს ზედა
ღმრთეებისა დიდებითა იხილეს.
ესე აწ არს ღმერთი ჩუენი, რომელი
კაცთა შორის იქცეოდა ვითარცა კაცი,
და აძაღლდა ზეცად, ვითარცა ღმერთი,
და დაგჳტევა მისი უხრწნელი ხატი.
ბუნებათა უზეშთაეს გამოიხატვის,
ღმრთისმშობელო, ქრისტე შენ შორის,
და კუალად ვიხილეთ იგი ღმერთი სრული ჩუენ შორის
და ეგრეთვე კეცსა შინა ხატითა.
ხატი ღმრთეებისაჲ კაცთა
ბუნებისაგან უხილავ არს და მიუწდომელ,
არამედ ღმრთისა კაცქმნულისა ხატსა
ხატად ქრისტეს ღმრთისა აღვიარებთ ჩუენ.

ღამითგანსა.. რაჲსათჳს

ანტონის ღმრთივ სწავლულსა
ეძჳნებოდა ღმრთის მბრძოლისა ნესტორის შვილთა
პყრობად უხრწნელსა ხატსა

ქრისტეს ღმრთისასა და მოიღო მათგან
კეთილად
ვერაგობითა (!) ღმრთისა მიერ აღძრულმან
და ცხორებისა წინდად დაგჳუნჯა.

ოაკუკთაგან მდიდართა
შენთა, ჱ ცხოველსმყოფელო ხატო ქრისტესო,
აღგუავსე ერი შენი,
რომელნი სარწმუნოებით თაყუანის-გცემთ
და ძრწოლითა [შევემთხ]უევით ნიშსა შენსა
და ფსალმუნთა და გალობათა მიერ შეგასხამთ.

სწავლილნი მოძღურებითა
მამათაჲთა ღმრთისმშობელისაგან მიხუმულთა ჴორცთა
ქრისტეს ღმრთისა ჴორცად თაყუანის–ვსცემთ და ეგრეთვე ხატსა ამას
მის თანა
ხატად ღმრთისად თაყუანის–ვსცემთ, ვითარცა რაჲ
მისგან დაბე|ჭდულისა უცვალებელად. 282r

არათუ სხუასა პირსა
ქრისტესსა ღმრთად ვიცნობთ, წარვედით ჩუენგან ღმრთისმბრძოლნო,
არამედ მასვე ერთსა,
რომლითა თბე ჩუენი ჩუენგან მიიღო
საკუთრად[1]
ღმრთად ჴორცშესხმულად აღვიარებთ და წმიდასა
ხატსა მისსა მის თანა თაყუანის-ვსცემთ.

ღალადყავსა. მომიტევენ, სახიერ

ღმერთი არა იხილვის
ბუნებითა ღმრთეებისაჲთა,
არამედ ჩუენ ქრისტემან
მამ̇ულისა ხატისა,
რაოდენ დავიტევდით,
ბრწყინვალებასა ღირს გუყვნა[2] თაბორს ხილვად მხილველნი.

მეუფეო მაღალო,
რაჲ შევწიროთ შენდა მონათა,
რომელმან ხატი შენი,
უცვალებელი სახე,
საუფლოჲთა ჴელითა

---

[1] ნუსხაშია: საკჳთრად
[2] ნუსხაშია: გუყუნა

მოიღე წმიდით
პირით და მოგუანიჭე იგი.
რომელნი არა ჴორცთა
თანა ღმრთისათა ხატსა ამას
თაყუანი-სცემენ ძრწოლით
შერწყმულად პატივითა,
დაიყავნ პირი მათი
და ნუცამცალა
უხილავს დიდებაჲ შენი, ღმერთო.
თჳთ პირმშოჲსა ხატისა
მიმართ აღიწევის პატივი
ქრისტეს ღმრთისა ხატისაჲ,
ვითარცა ჴმობს ნეტარი
და დიდი მღდელთმოძღუარი,
ბრძენი ბასილი
სულითა წმიდითა აღსავსე.

კურთხეულარსა. სალმრთოჲსა შუ[რისავან]

ელიაჲს და მოსესგან
ღმრთად აღსარებული თაბორს მეუფე,
მამისა დიდებითა
განბრწყინვებული, დღეს უცვალებელად
ყოველად უხრწნელსა ხატსა თჳსსა
მოგუანიჭებს
ედესით კეცსა ზედა
ტილოჲსა მისგან გარდამოტჳფრულისა.
ევლავიოს ნეტარი
ხატსა რაჲ საუფლოსა დამმარხველ იქმნა,
საშინელისა მისგან
სხუაჲ გარდა|მობეჭდულ იქმნა კეცსა[1] ზედა,
282v რომელი-იგი ღირსისა ანტონისგან
წამისყოფითა ღმრთისაჲთა მოგუენიჭა საძლეველად მტერთა.
ბუნებით სრულმან ღმერთმან
და ბუნებით სრულმან კაცმან უცოდველმან–
ქრისტემან·ღმერთმან ჩუენმან
ხატი პირისა თჳსისაჲ განგებულებით
ავგარ[ო]ს მთავარსა მიუძღუანა,

[1] ნუსხაშია: კეცესა

რომელი ყოველსა სოფელსა
ღმრთისა ხატად უპყრიეს.
Oგივედ აღვიარებთ
ღმრთისმშობელისა მარიამის შობილსა,
რომელი დასაბამსა
მამისა და სულისა თანა მოქმედებდა,
და ყოვლად უხრწნელსა ხატსა მისსა
მის თანავე თაყუანის–ვსცემთ
ღმრთისა კაცქმნულისა ხატად.

აკურთხევდითსა. შჯდ წილ

Sიხარულით განსცხრებოდეთ
მეფენი მღდელთმთავართა თანა და მღდელთა,
მთავარნი ერისანი, ჭაბუკნი და ქალწულნი,
მოხუცებულნი, ყრმანი
და ყოველი სიმრავლე ერისაჲ,
ვითარცა პირველ იერუსალემდ შესლვასა, ქრისტესს მეუფისასა.
და ოსანას უღალდებდეთ
დღეს უხრწნელისა
ხატისა მისისა ჩუენდა შემოსლვასა.
Aექჳნ სასასა ენაჲ,
რომელნი შენ არა თაყუანის-გცემენ,
ღმრთივბრწყინვალეო ხატო ქრისტეს მეუფისაო.
დაიყავნ პირი მათი,
რომელნი არა აღგ|ი|არებენ პირმშოჲსა მის
ღმრთივ'შუენიერსა 'ჴორცმოსილებისა
თანა შეერთებულსა,
ვითარცა მისგან გარდამოტჳფრულსა,
ერთად პატივით
და ქადაგებით და აღსაარებით.
Sავსე არს ტაძარი შენი,
საკჳრველო ღმერთო, სიმართლითა
და ბრწყინვალებითა, და შუენიერებითა
და პატიოსნებითა,
და სიკეთითა ელვარე ქმნილ არს
შემოსლვასა უხრწნელისა| ხატისასა 283r
და ყოვლითურთ ყოველთა
მორწმუნეთა განანათლებს და
ზეცისა ერ ჰყოფს, რომელნი შენ თაყუანის-გცემენ.

აჰა, ესერა ცხორებაჲ
ჩუენი წინაშე ჩუენსა მდგომარე არს.
აჰა, გამოჴსნაჲ ჩუენი, მოვედით, მოვედით, მივეახლნეთ
განწმენდილნი ყოვლითურთ
და ძრწოლით ამბორს-უყოთ დიდებულსა,
უხრწნელსა, ჴელითუქმნელსა სახესა,
ხატსა ქრისტეს ღმრთისასა.
და მოვიღოთ ბრალთა შენდობაჲ,
კურნებაჲ ჩუენთაჲ
მის მიერ და დიდი წყალობაჲ.

ადიდებდითსა. განკჯრდეს

დავითის თანა ვღაღადებდეთ, ერნო,
ყოველთა წარმართთა აღიტყუელენით
ჴელნი და სიხარულით ღაღადებდით ბრწყინვალედ.
ყრმათა თანა მივეგებვოდეთ,
ვღაღადებდეთ: ოსანნა. კურთხეულ ხარ შენ,
უცვალებელო ხატო
ქრისტეს ღმრთისაო, ჩუენდა
სიმდაბლით მოსრულო, გუაცხოვნენ ჩუენ.

ღმრთად სრულად მხილველთა განკაცებული
ქალწულისაგან, კაცო სრულო, ქრისტე,
და დღეს ხატსა შენსა თაყუანის-ვსცემთ, ღმერთო ჩუენო,
ვითარცა შენ მამისა თანა
მჯდომარესა ჴორცითა კაცობრივითა,
და ვითხოვთ წყალობასა
განთავისუფლებულნი;
ღირს-მყვენ მკჯდრ–ყოფად სასუფეველსა.

ერნო ქართლისანო, გიხაროდენ და
აღიპყრენით ჴელნი და მადლობაჲ შეწირეთ
ხატსა ამას ყოვლად უხრწნელსა ჴელითუქმნელსა,
რამეთუ ესე არს სამეუფოჲსა
ამის სიმტკიცე, ძალი და დიდებაჲ.
და ჴმობდით: მოანიჭე
მეფესა ჩუენსა ძლევაჲ,
ქრისტეს ღმრთისა ხატო საშინელო.

ხალმრთოო ხატო ქრისტეს ღმრთისაჲ ჩუენისაო,
ანგელოზთაგან ძნიად საგალობელო,

სურვილი და წადიერებაჲ ჩემი მიიღე
და კადნიერებისათჳს ნუ დამსჯი,
გარნა ნაცვლად მიჴსენ განსაცდელთაგან
და ბრალთა ჩემთა დიდთა.
შენდობაჲ მომანიჭე
უნდოდ მგალობელსა ამას შენსა.[1]

გამოავლინე. ა გ˜ი

ჶ დიდებულო|და საშინელო,
ფრიად ბრწყინვალეო ნიშო,
ხატო ქრისტეს ღმრთისა ჩუენისაო,
მგალობელნი შენნი განმაბრწყინვენ
ნათლითა პირისა შენისაჲთა და მოგუფინე ჩუენ ზედა მდიდრად
შენი დიდი წყალობაჲ.

აქებდითსა. შენ სიტყუაჲ

შენ გშუენის გალობაჲ, ღმერთო,
წმიდათაგან შენთა,
სამყაროჲსა თჳთმპყრობელო,
თჳთვე ძლიერებითა
და თჳთ სიმდიდრითა,
რომელიცა
თაბორს მოწაფეთა შენთა
და აქა გუეჩუენე საკჳრველებით
ხატითა ჴელითუქმნელითა.
შენ გშუენის გალობაჲ, ღმერთო,
ნესტჳსა ჴმებითა
და ფსალმუნთა ებნითა,
რომელმანცა გჳჩუენე
წმიდაჲ კაცებისა
ხატი შენი,
რომელსაცა აღვიარებთ
ღმრთისა კაცქმნილისა ხატად
და თაყუანის–ვსცემთ სარწმუნოებით.
შენ გშუენის გალობაჲ, ღმერთო,
მწყობრთაგან ბობღნითა,
ორღანოთა ძნობითა,

---

[1] სტროფული აკროსტიქით იკითხება: „არსენი ვაქებ ხატსა ღმერთეებისასა დღეს“.

რომელმანცა ცოდვილნი
ღირს-მყვენ დიდებასა
შენსა გ[ან]ცდად,
რომელ არს უხრწნელი ხატი
ღმრთივშუენიერისა კაცებისა შენისაჲ,
რომელსა შენ თანა თაყუანის-ვსცემთ.
შენ გშუენის გალობაჲ, ღმერთო,
წინწილაებთაგან
სულისათა მორთულთა
და მღაღადებელთაგან
კეთილად ჴმობითა,
და ყოველი
სული შენ გაქებს, უფალო,
რომელმან წმიდაჲ ხატი შენი
თაყუანი-საცემელად მოგუმადლე.

285r თჳთ ძლისპირნი, ზესთგამოთქუმისა ჴელითუქმნელისა ხატისანი, ესეცა არსენისგანვე თქუმულნი კათალიკოზისა. უგალობდითსა. ზღუაჲ მეწამული

მოზარდმან პირველ
ჴმელ-ქმნილმან ცემით
უჩუეველი ჴმელი მზისა მხილველ-ყო
სავალად ისრაილისათჳს, ხოლო
დამფარველმან ფარაოეთმან...
და ერი ღმრთისაჲ ჴსნილი
ღაღადებდა ესრეთ:
მჴსნელსა ჩუენსა
ცხოველსა საუკუნოჲ გალობაჲ.
„ღმერთო, მიწყალენ ჩუენ და მაკურთხენ ჩუენ; გამოაჩინე პირი
შენი ჩუენ ზედა და მიწყალენ ჩუენ. (66, 2)[1]“
მომეც მე მადლი,
ღმერთ-მთავრობითო,
დამბადებელო ყოველთა არსთაო.
და განმინათლე მე მხედველობითი,
რაჲთა ნათელითა შენ ნათელი
გიხილო საცნაურად
285v მგალობელმან შენდა.| დიდებულ ხარ
დიდებით, ღმერთო ჩემო ცხოველო.

[1] ციტატები ყველგან დამოწმებულია ფსალმუნიდან.

„ალვიმსთოთ წინაშე პირსა მისსა ალსაარებითა, და
ფსალმუნითა უღაღადებდეთ მას.“ (94, 2)

Ახალსა ძღუენსა ახალი ერი,
არსთა არსქმნისა მიზეზო სიტყუაო,
შემწირველი შენდა შენ მიერ ჴსნილი
ბოროტთაგან გარე-მოცვულთა
ხატსა შენსა უგალობ.
რამეთუ დიდებით დიდებულ ხარ,
ქრისტე ღმერთო ჩუენო ცხოველო.
„ესე არს ნათესავი, რომელი ეძიებს უფალსა, ეძიებს
ხილვად პირსა ღმრთისა იაკობისსა“ (23, 6)

რომლისაჲ-იგი
მკერდსა მკადრემან
სიტყჳსა დაუსაბამოებაჲ თქუა
ღმრთისა თანა მყოფისაჲ თჳსთა მომართ
მოსლვაჲ, რაჲთა თჳსნი აცხოვნნეს.
ესე შემწყნარებელთა.
ჩუენ შორის მოკარვე
მოგუანიჭებს
თჳთ ხატსა თჳსსა ღმერთი იესუ.
„შენ გრქუა გულმან ჩემმან: უფალი მოვიძიეო, გამოგიძია შენ პირმან
ჩემმან. პირი შენი, უფალო, მოვიძიო.“ (26,8)

მინებე რაჲ შენ
მე მცირედ სოფლად
ედემს შინა დადგინებულმან უხრწნელად,
განვხრწენ მოცემული ჩემდა, ხოლო შენ
თჳსსა მპყრობელმან უცვალებელად
მონისა მორფი შთაიცჳ
და კუალად უხრწნელ-მყავ.
ამისთჳსცა
მას თაყუანის-ვსცემ, ქველისმოქმედო.
„სიტყჳთა უფლისაჲთა ცანი დაემტკიცნეს და სულითა პირისა მისისაჲთა—
ყოველი ძალი მათი“ (32,6).

ძაც იქმნა ღმერთი
არა საოცრად
და ღმერთ-ყო სხეული არაჲ ლიტონად,
ამისთჳსცა ღმერთ-კაცად აღვიარებთ
ორთავე სრულებით დამცველსა,
ხოლო ყოვლად უხრწნელსა

ხატსა მისსა ძრწოლით
თაყუანის-ვსცემ[თ|,
ვითარცა შუენის ქრისტეს ღმრთისასა.
„მე სიმართლითა შენითა ვეჩუენო პირსა შენსა“ (26, 25)
ხილული ვარ,
გურწმენა სიტყჳსა
ქადაგთა მიერ,
ხოლო მოძღურებათა
28ნ6r მამათა ვითარ აღვიარე[ბ|თ მტკიცედ,|
ეგრეთ გურწამს ღმერთი ჴორცშესხმული,
ხოლო ყოვლად უხრწნელი
ხატი მისი—ქრისტეს
ღმრთისა ხატად,
რომელსა და შიშით თაყუანის-ვსცემთ.
„მაშინ იხარებდენ ყოველნი ხენი მაღნარისანი პირისაგან
უფლისა, რამეთუ მოვალს“ (95, 12-13).
ჴმაჲ ფერჴთა შენთაჲ
ესმა რაჲ ადამს,
მოესწავა, მჴსნელო, განკაცებაჲ შენი
აღსასრულსა ჟამთასა ცთომილთათჳს,
რომელი სხუა დასაბამ მექმნა,
და კუალად რაჲ უხრწნელ-მყავ,
მომანიჭე ხატი კაცებისაჲ
შენისაჲ თაყუანისსაცემელი.

დიდებაჲ

ღმერთ-მთავრობითსა
სამმზესა ერთსა
სამგუამოვნად განვჰყოფ განუყოფელსა
ერთ ბუნებასა, ერთ ჴელმწიფებასა
და მარტივსა მიუწდომელად,
ვითარცა თანშემოსლვაჲ
მამათაჲ მასწავებს,
ღმრთივ აღძრული
სიონის მსგავსი სულმობერილი.

აწდა

Ესაიაჲსგან
ქადაგებული
აღსასრულსა ჟამთასა ჩემი იესუ,
ქალწულისაგან სიტყუაჲ თჳთ გუამქმნად ჴორცთა,
მეორესა შობასა აქა
მე კუალად მეზიარა,
რაჲთა მეცა ღმერთ-მყოს
მადლით შვილად
ბუნებით ღმერთმან მამისა სწორმან[1].

განძლიერდასა. სამებაო წმიდაო

Დამაფუძნებელსა მიწისასა უთესლოდ,
წყალთა ზედა და ცათა
გარდამრთხმელსა განუზომელობით
სიტყუასა თანა არსსა
უძნობთ ქებით
ჴსნილნი მის მიერ სისხლითა მისითა,
საყუარელი რაჲ ძე მამამან
ლხინებად ჩუენდა მოავლინა.
„ღმერთო ძალთაო, მომაქციენ ჩუენ და გამოაჩინე
პირი შენი ჩუენზედა და ვცხონდეთ“. (79, 4)
Სიტყუაო, ვადიდებ ღმრთივშუენიერსა
მალალსა სიმ|დაბლესა
შენსა, რომელი ჩემთჳს თავს-იდევ
და კაცებაჲ არა ულირს-იჩინე,
ხატსა ჩემსა მიმლებმან განაღმრთე იგი.
ამისთჳს შენსა (!) თაყუანის-ვსცემ
ხატად ქრისტეს ღმრთისა ჩუენისა.
„მაუწყენ მე, უფალო, გზანი ცხორებისანი და აღმავსო
მე სიხარულითა პირისა შენისაჲთა“. (15, 11).
Ჵეშმარიტებაჲ, ვითარცა სავსებაჲ
შჯულისაჲ, შევიწყნარეთ,
ვითარ გარდმოგუცეს ბრძენთა მამათა,

286v

[1] აქამდე ტექსტი გამოქვეყნებული აქვს გ. მიქაძეს. იხ. არსენ ბულმაისიმისძე, დაბეჭდილია: ლიტერატურული ძიებანი, ტ. 15, 1964 წ. გვ. 130-132

რაჲთა ხატსა
ქრისტესსა მხილველ-ქმნილნი
სურვილად მივიზიდვოდეთ მისდამი,
რომელთა გურწამს კაცებაჲ მისი
ჭეშმარიტებით მლხინებელად ჩუენდა.
„პირი უფლისაჲ მოქმედთა ზედა ძჳრისათა მოსპოლვად ქუეყანით
საჴსენებელი მათი“. (33, 17)

მეხდაცემულ იქმნენინ დიოსკორე
ევტუქის თანა ბილწნი,
რომელთა აზმნეს ღმრთად აღსაარებაჲ
ხატთაჲ მართლმადიდებელთა მიერ.
რომელი-ესე ნუ იყოფინ, ჶ ქრისტე.
გარნა რომელმან განგებულებისა
შენისა ხატიცა შენი გურწამს.[1]
„გზა-უყავთ მას, რომელი-იგი ამაღლდა დასავალით; უფალ არს
სახელი მისი და იხარებდით მის წინაშე. შეძრწუნდი პირისა მისი-
საგან“. (67, 5-6)

ჴორცნი რაჲ ჩემნი უხრწნელ-ყვნა
თჳთ ღმერთმან
ჩემმან იესუ ქრისტე
და ზეშთა ბუნებისა განაღმრთვნა,
ვითარ ვიხილეთ ჩუენ აღმავალი
ზეცად, მას გამოვხატავ და ვჰმონებ,
თაყუანის-ვსცემ და აღვიარებ
ჴორცშესხმულისა ღმრთისა ხატად.
„გამოჩნდა ჩუენ ზედა ნათელი პირისა შენისაჲ,
უფალო“. (4, 7).

ბუნებაჲ ღმრთეებისაჲ უხილავი
ყოვლად მიუწდომელ არს;
და თჳთ მხოლოჲ კმა არს თჳსთა ცნობად,
არამედ მამისა დიდებაჲ, რაჲ ძე
287r ღმერთი დაუწყებელი განკაცნა| ჩუენთჳს,
სხეულებრი ხატი გარდმოგუცა
ტილოსა ზედა თჳთ დამბეჭდველმან.
„აღჴდა კუამლი რისხჳასა მისსა და ცეცხლი პირისა მისისა აღ-
აგჳდეს“. (17, 9)

პატივი ხატისაჲ პირმშოდ ხატადმი
აღვალს, მოძღურებისაებრ

---

[1] ტექსტი მთლად გასაგები ვერ არის

ღმრთივ განბრძნობილისა ბასილისსა,
ამისთჳსცა, რომელმან შეურაცხ-ყოს
ხატი ქრისტესი, თჳთ მას შეურაცხ-ჰყოფს.
ხოლო ჩუენ ძრწოლით თაყუანის-ვსცემთ
ხატსა მჴსნელისა ჩუენისასა.
„რაჲთა მისცეს მას კურთხევაჲ უკუნითი უკუნისამდე და ახარო მას
სიხარულითა პირისა შენისაჲთა“ (20, 7).

ემაცხოვრებოდა რაჲ ავგაროზს
სხუათა ყოველთა თანა
იესუ, მჴსნელი ჩუენი და ღმერთი,
დაჰბეჭდა ტილოსა ზედა საღმრთოჲსა
ღმრთივ გუამოვნისა სხეულებრისა
პირისა თჳსისა ტჳფარი,
რომელი ექმნა მას მრჩობლ იესუჲ.

დიდებაჲ

ნათელთა, ნათელსა ნათელთმფლობელსა[1],
ცხოველთა და ცხოველსა
ცხოველთმოქმედსა, ღმერთმთავრობითსა
სიმტკიცესა უგალობ მამისა
და ძისა და სულისა ყოვლად წმიდისა
ერთბუნებად აღმსაარებელი.
სამგუამოვანსა თაყუანის-ვსცემ.

აწდა

უცხო არს მუცლად-ღებაჲ,
უცხო ბუნებაჲ
და კუალად ქალწულებაჲ
ზეშთა ბუნებისა განსაკრთომელი.
ყოველივე შენი უცხო არს, ღმრთისმშობელო,
არამედ თჳნიერ გამოწულილვისა
სარწმუნოებითა მტკიცითა დედად ღმრთისა
თაყუანის-გცედ შენ.

---

[1] ნუსხაშია: ნათლათმფლობელსა.

მესმასა. რაჟამს წინაჯსწარმეტყუელი

მყის ამსთო წყალობაჯ თჳსი
რისხვასა შინა ჴსნად ცხებულთა თჳსთა
მომავალმან სამხრით ღმერთმან. ოდესმე ვითარ
თქუას სულითა წინაჯსწარმეტყუელთა და ჩუენ
287v მეტყუელ|ნი ვლაღადებთ:
მოსლვასა შენსა დიდებაჯ, ღმერთო.
„გამოაჩინე პირი შენი მონისა შენისა ზედა და მაცხოვნე მე წყალობითა შენითა“. (30, 17)

ღმრთივგუამოანთა მათ ჴორცთა
სახესა ვადიდებ ტილოსა ზედა
და კუალად ტილოთაჯთ კეცთამი
გარდმოსახულსა
ნიშთ მოქმედისა ღმრთისა ჩუენისა ქრისტეს
შუენიერსა
ხატსა და შიშით
და სურვილით თაყუანის-ვსცემ მას.
„ჳრად-იღე, ღმერთო, ლოცვისა ჩემისაჯ (ჩ̃ისჯ) არა ბაგეთაგან ზაკულთა.[1]
პირით შენით განმართლებაჯ ჩემი გამოვედინ“. (16, 1-2)

არსთა ყოველთა მფლობელისა
ხატსა შემწყნარებელო ედესია,
ჳჰნატრი ქმნულებათა შენთა,
ღირს ვიქმენ თუმცა
პოვნად ადგილსა მას ღმრთივ პატივცემულსა,
რომელიცა მცველ ექმნა ნიშსა
დიდებულსა და ამბორს-უყავ.
„ნეტარ არს ერი იგი, რომელმან იცის გალობაჯ შენი; უფალო,
ნათლითა პირისა შენისაჯთა ვიდოდიან“. (88, 16)

სიხარულით აღიტყუელენ
ჴელნი,ჶ ქართველთა სამეუფოო,
არასადა უმრწემეს ხარ
ქალაქთა შორის
ახლისა ისრაილისათა, რამეთუ
დაიუნჯე ზესთ გამოთქუმისაჯ
ნიჭი, ვითარ სხუამან არავინ.
„აღდეგინ ღმერთი და განიბნინენ ყოველნი მტერნი მისნი და ივლტოდენ მოძულენი მისნი პირისაგან მისისა.“ (67, 1)

[1] ნუსხაშია: ზაზულთა

Ოერუსალემი პირველ
შესლვასა შენსა ჴმობდა ოსანასა
და აქა ახალი ერი
მსგავსად ყრმათა მათ
უმანკოთა უძნობს, ქრისტე, შემოსლვასა
ნიშისა შენისასა, მჴმობნი:
გუაცხოვნენ, ხატო საშინელო.
„ვითარცა მოაკლდეს|კუამლსა, მოაკლდენ, და ვითარცა ცჴლი რაჲ 288r
დადნის წინაშე ცეცხლსა, ეგრეთ წარწყმდენ ცოდვილნი პირისაგან
ღმრთისა“ (67, 3)
Ჰრა მართლმადიდებლობით
მიმხედველთა უხრწნელსა ხატსა შენსა
ეწრის ბუგრი განმხრწნელი,
ნაწლევთა ლმობაჲ.
გარდაედევინ თუალთა ბნელი უნათლოჲ,
ნათელო და სიტკბოებაო
და მჴსნელო ჩემო ქრისტე ღმერთო.
„წყალობაჲ და ჭეშმარიტებაჲ ვიდოდიან წინაშე პირსა შენსა“ (88, 15)
Ღმრთეებაჲ არაოდეს სადა
განეშორა ჴორცთა მათ ღმრთივ გუამოვანთა.
ეგრეთვე ჟამსა მას, ოდეს
იწერებოდა
ტილოსა ზედა ხატი ღმრთივშუენიერი
სხეულებრი დაიხატვოდა,
ხოლო ღმრთეებაჲ საკჴრველებდა.
„რამეთუ დასხენ იგინი, ვითარცა საჴუმილავი ცეცხლისაჲ ჟამსა
პირისა შენისასა“ (20, 10)
Ღმრთეებაჲ დაუსახველ არს.
არამედ ჴორცთა არსებისა მას ხატსა
გამოვხატავთ, ურწმუნონო,
დამამჴობელნი
თქუენნი, ვითარ ბოროტად ღმრთის მბრძოლთანი,
რომელთა-ეგე აღიფრტჴნვეთ
საზღვარი მამათაჲ ჰურიაებრ.

დიდება ჲ

ზეშთ მთავარსა სამებასა,
ზესთ საბიერსა, ზეშთ გამოუთქუმელსა,
ზესთ სრულსა, ზეშთ ჴელმწიფესა,
ზესთ დასაბამსა,
ზეშთ არსსა და ზეშთა აღმატებულსა,
ზეშთ ცნობისა სამგუამოვნებით
და ერთ ბუნებად ღმრთის-ვმეტჯუელებდეთ.

აწდა

ზეშთ წმიდასა, ზეშთ უხრწნელსა,
ზეშთ აღმატებულსა მიწისაგანთა,
ზეშთ პატიოსანსა სძალსა,
ზეშთ გამოთქუმისა
ზეციერისა ღმრთისა დამტევნელსა
ზეცისა ძალთა თანა გალობითა
ვაქებდეთ, გიხაროდენ, მარიამ.

288v ღამითგანსა. შენდა აღვიმსთობთ

სიტყუაო ღმერთო, აღმსთობილნი შენდა
გუაცხოვნენ, საბიერ,
რომელმან სიმდაბლით ცანი
მოსდრიკენ ვიდრე
სიგლახაკისა ჩუენისა
შთამოსრულმან, მეუფეო,
და მშჯდობად შენი მომეც ჩუენ.
„ქუეყანად შეიძრა და ცანიცა წუთოდეს პირისაგან ღმრთისა
სინაჲსა, პირისაგან ღმრთისა ისრაელისა“. (67, 9)
ძალაქთა მზემან
ტილოჲ, ხოლო ქართლმან
ქეცი დაიმკჯდრა
სიმდიდრედ საცხორებელად.
შევიტკბობ ჴელთა

ანტონისთა სანატრელთა,
ქველის-მოქმედთა მათ ჩემთა,
რომელნი ამას მსახურ ექმნნეს.
„დაჰფარნე იგინი საფარველსა პირისა შენისასა“ (30, 21)

Oვანემან—
ოქროჲსა სეხნამან—
ცჳლ დასხმულისა რაჲ
წერილისა შეყუარებაჲ
ბრძანა, ქადაგა
ქრისტეს ხატისა მსახურებაჲ
თაყუანის-ცემით, რამეთუ
თჳთ მის ღმრთისად აღიწევის.
„კეთილ–არს ჩემდა სჯული პირისა შენისაჲ უფროჲს ათასეულისა
ოქროჲსა და ვეცხლისა“ (118, 72)

Bრიგოლი—ნესტუმან ღმრთისმეტყუელებისამან,
მიმხედველმან ხატთა
წმიდათასა, თან-ვერწარსლვაჲ
თჳნიერ ცრემლთა,
ბრძანა და დაგჳწერა ჩუენ
სურვილით პატივისცემაჲ
მათი სრულითა გონებითა.
„მოიძიეთ უფალი და განძლიერდით და ეძიებდით პირსა მისსა მარადის“
(104, 4)

Mახარებელმან ლუკა დაგჳწერა ქრისტესი დედითურთ
ხატნი ყოვლად უბიწონი,
ხოლო მსახურთა
სახისათა თაყუანი–სცეს
და ესრეთ გჳქადაგეს ქმნად
მათ მიერ ემბაზით შობილთა.
რამეთუ მართალ არს უფალი და სიმართლენი
„შეიყუარნა და სიწრფოებანი იხილნა პირმან მისმან“ (10, 7)

Jოვლად მსოფლიოჲ
მეექუსე...*
ძუელთა აჩრდილებრთა|წილ ახალთა
შინა დახატვად
ქრისტეს განგებულებისა
გჳბრძანებს ფერთ მოქმედებით,
რომელიცა მტკიცედ დავიცვათ.

---

* ორი სიტყვა ვერ ამოვიკითხეთ

უფალო ღმერთო ძალთაო, მომაქციენ ჩუენ,
„გამოაჩინე პირი შენი და ვცხონდეთ“ (79, 8, 20)

მოციქულებრთა ქადაგებათაგან
მამობრივთა წესთა
სიმტკიცე ვითარ მიიღეს,
ეკლესიამან,
ვითარ საზღვარი, დაიცვა
წმიდათა ხატთა პატივი,
ესრეთ აღვიარებთ მტკიცედ.
„ნუ განმაგდებ მე პირისაგან შენისა და სულსა
წმიდასა შენსა ნუ მიმიღებ ჩემგან“ (50, 13)

ვქადაგებთ მადლსა,
ხოლო წყალობასა
აღვიარებთ შენსა,
რამეთუ, ქველის-მოქმედო ქრისტე,
რომელმან ხატი
შენი ყოვლად დიდებული მოგუანიჭე მოსურნეთა
შენთა თაყუანის-საცემელად.

დიდებაჲ

განცდად ვერ უძლავს ზეშთა უოცნოსა
მას ძალსა--მიწისა
გონებასა, თუ ვითარ ძე
იშვების, გინა
სული გამოვალს და კუალად
ერთ არს მარ*... სამებაჲ
მამაჲ და ძე და სული ღმერთმთავარი.

აწდა

შეკორცად ზეცას შობილი უდედოდ,
თავს-მდებელი აქა
კუალად კორცებრსა უმამოდ
შობასა, სიტყუაჲ ღმრთისაჲ რაჲ ქალწულებრივთა
სისხლთაგან მაცხოარებდიეს,
დედად ღმრთისა ვიცნობთ მშობელსა.

---

* არ იკითხება

საკჳრველად
ტჳრთულ იქმნა რაჲ დიდი
წინასწარმეტყუელი
მუცლითა ვეშაპისაჲთა,
ჴმობდა: მიჴსენ, ჱ ღმერთო,
მსწრაფლ განარინე იგი.
და მეცა გიჴმობ შენ, მაცხოვარო ჩემო,
მიჴსენ ქუესკნელისა
ჯოჯოხეთისა მათ
მწარეთა განუჴსნელთა საკრველთაჲთ.
„განიყვნეს იგინი რისხვითა პირისა მისისაჲთა, და მიეახლნეს
გულნი მათნი“ (54, 22).

დიდმან მოსე
გული რაჲ აღამაღლა
ოდესმე საკუ|რნებელად
წამლიანთაგან კბენილთა,
რომელი მიმხედველთა
არა განაცრუებდა,
რაოდენ ქრისტეს ხატი კმა-ეყოს
სარწმუნოებითა
სრულითა მისდამი
მიმხედველთა მრჩობლ საკურნებელად.
„ხოლო მე ვთქუ განკჳრვებასა ჩემსა: გან-მე-გდებულ ვარ მე პირი-
საგან თუალთა შენთაჲსა?“ (30, 23)

ქრისტეს შორის
შეკრებილთა მრჩობლთა
ბუნებათა და ნებათა
და მოქმედებათა ერთსა
გუამსა შინა დაცჳულთა
მიერ დაიწერა ხატი,
რომელი-იგი ტიღოსა ერწმუნა.
ამისთჳს ჩუენისა
ღმრთისა ქრისტეს ხატად
აღვიარებ და თაყუანის-ვსცემ სარწმუნოებით.
„რაჟამს უკუნ-იქცეს მტერი ჩემი მართლუკუნ, მოუძლურდენ და
წარწყმდენ პირისაგან შენისა“. (9, 4)

ბუნებისა
ზეშთა ღმერთ იქმნეს ჴორცნი,

რომელნი ჩუენგან მიიხუნა,
მიიღო რაჲ კაცებაჲ
სიტყუამან მამისამან.
ამისთჳს ღმრთისა თანა
თაყუანის-იცემებიან ჴორცნი საუფლონი,
ეგრეთვე და ხატი
სხეულისაჲ ჴორცთა
კაცებრთა თან[ა] თაყუანისცემულ არს.
„უფალო, ნებითა შენითა ეც სიკეთესა ჩემსა ძალი;
გარემიაქციე პირი შენი ჩემგან და მე შევძრწუნდი“ (29, 8)
რამეთუ ჩუენ—
საზღვარსა მამათასა
დამცველნი გულისჴმის-ყოფით,
არა თუ ფიცარსა ზედა
გამოსახულსა ფერსა
ღმრთად ვირწმუნებთ, არამედ
ხატსა, რომლისაჲ იყოს სახელი,
მისდამი აღვავლენთ
პატივისცემასა
და სურვილით შევიტკბობთ მჴურვალედ.
„მომწუარი ცეცხლითა და მოჴრებული რისხვითა
290r პირისა შენისაჲთა წარწყმდენ.“| (79,17)
მეხდატეხით
დაიწჳნ კოსტანტინე
სახელით ხენეში და ბილწი
ბანაკითურთ, რომელმანცა
აღაღო ჯოჯოხეთი
პირი თჳსი განგმობად
უხრწნელსა ხატსა ზედა ქრისტესსა
და ღმრთისმშობლისა
წმიდათასა თანა,
რამეთუ მოძღურებაჲ ქრისტესი დათრგუნა.
„რამეთუ შენთჳს დავითმინე ყუედრებაჲ, და დაფარა სირცხჳლმან
პირი ჩემი“ (68,8)
მკჳდროვნისა
ყოველ მსოფლიომან
კრებამან დიდ გონებათა
მამათა დიდებულთამან,
პაპმან ანდრიან
და ტარასი ნეტართა

დაამტკიცეს წეს წმიდათა ხატთა პატივი
და შეჩუენებასა
მისცნეს თეოდოსი
და სისინი სხუათა თანგანზრახვათა მათთა.
„მთანი ვითარცა ცჳლი დადნეს პირისაგან
უფლისა ყოვლისა ქუეყანისა“ (96, 5).

ბონებისა
სიწთოდთა ჯერ-არს რწმენაჲ
სჯულთა სამეუფოთაჲ
და არა თუ მბორბალითა
სიტყჳთა წინ განწყობაჲ,
რამეთუ ერთი-იგი
მიიზიდავს განხილვად ჭეშმარიტთა
და სხუაჲ–იგი წესსა
მამათასა მცვლელი
განვარდების ღმრთისაგან თავჴედობით.

დიდებაჲ

ზეშთ შემკობისა
მაქუს ჩუენ დიდებაჲ ერთი,
ზეშთ ჟამისა სამებისაჲ,
რამეთუ შეერთებისა
უპირველესვე განვჰყოფთ
და მასვე შევაერთებთ
სამსა გუამითა
და ერთსა ბუნებითა.
ერთ ღმრთეებად ვჰმონებთ,
ერთ უფლად, ერთ ძალად,
ვითარცა გუასწავებს მწყობრი ღმრთისმეტყუელთაჲ.

აწდა

სისხლთაგან რაჲ
შენთა იშენნა ჴორცნი
ღმრთისა სიტყუამან, ქალწულო,
შემოკრიბნა ბუნებანი

თჯთ გუამქმნილმან ერთსა შინა
პირსა ღმრთისა, დედაო,
და იშვა ორკეცი ბუნებითა,
290v და არა| გუამითა
თანად ნებათა და
მოქმედებათა მრჩობლთა მქონებელი.

კურთხეულ არსა. ჱ სასწაული

ხამშოტყინარე
გულისწყრომაჲ, შური და ცეცხლი
ყრმათა არა აურვებდა,
არამედ საღრმთოჲ
შური უფროჲს შესწუვიდა
ცუარშეცურეულნი
სახუმილსა შინა ჴმობდეს:
ღმერთო მჴსნელო ჩუენო, კურთხეულ ხან შენ.
„მთანი იხარებდენ პირისაგან შენგან უფლისა, რამეთუ მოვალს.“ (97, 8)
ხილვაჲ იხილა
ესაია მოსწავებით
და არა თუ უხილავი
იგი ბუნებაჲ,
რამეთუ განუცდელ არს
გონებათაცა,
გარნა მონისა ხატსა
მიმღები ქრისტე ღმერთი ვიხილეთ ჩუენ.
„ნუ გარე-მიიქცევ პირსა შენსა მონისა შენისაგან.“ (68,18)
ხილვაჲცა იგი
ეზეკიელისი იგავი იყო
და მოსწავებაჲ მჴსნელისაჲ
ჩუენისა ქრისტეს
ღმრთისა გარდმოსახულსა
ღმრთივ შუენიერსა
ხატსა ხილვად ჩემ მიერ,
რომელსა შიშით და ძრწოლით ამბორს-უყოფთ.
„გარე-მიაქციე პირი შენი ცოდვათა ჩემთაგან
და ყოველნი უშჯულოებანი ჩემნი აჴოცენ“ (50, 11)
მანოე[ლ] რაჲ.

თქუა: ღმერთი ვიხილეთ, წარვწყდებით.
არა თუ ღმერთი იხილა,
გარნა ქადაგა
ხილვად ხატი ქრისტესი
ღმრთისა ჩუენისა
მაცხოვრად მორწმუნეთა, რომელნი თაყუანის-ვსცემთ
უკუნისამდე.
„პირისაგან ღმრთისა შეიძრა ქუეყანაჲ, პირისაგან ღმრთისა იაკობისა“ (113,7)
დანიელმან
ძე კაცისაჲ იხილა ზეცით
მომავალი, რომელიცა ძესა ღმრთისასა
ჴორცშესხმულსა ცხად-ჰყოფდა,
რომლისა ხატსა
გამოვსახავთ და შიშით
და ძრწოლით თაყუანის-ვსცემთ და ამბორს-უყოფთ.
„აღდეგ და ნუ დამაგდებ ჩუენ სრულიად.
რად გარე-მიიქცევ პირსა შენსა“| (43, 24-25) 291r
ურმათა შორის
საჴუმილსა შემაცურეველად პირველ
მძლავრმან ძისა ღმრთისა ხატი
იხილა ესე
ქრისტეს ღმრთისა ჩუენისა.
მოასწავებდა
სხეულებრივსა ხატსა,
რომელსა გამომწერელნი თაყუანის-ვსცემთ.
„ისმინე უფალო, რამეთუ ტკბილ არს წყალობაჲ შენი. მრავლითა მოწყალებითა შენითა მოიხილე ჩემ ზედა. ნუ გარე–მიიქცევ პირსა შენსა მონისა შენისაგან“ (68, 17-18)
ზანპყრობაჲცა მოსესნი მოასწავებდა
ხატსა ქრისტესსა, რამეთუ
ეგრეთ განიპყრნა
მჴსნელმან ჩემმან და ღმერთმან
ძელისა ჯუარსა
ზედა ჴელნი ქრისტემან,
რომლისა მსგავსებასა ვჰმსახურებ[თ].
„გამოაჩინე პირი შენი მონისა შენისა ზედა
და მასწავენ მე სიმართლენი შენნი“ (118, 135)
ღმერთი დიდი,
დიდისა ღმრთისა მამისა ძე,

ქრისტე მომთხრობელი მისსა
მას დიდებასა,
კაცთ შორის მაცხოვრად
ვითარ ვიხილეთ,
გამოვხატავთ და ვჰმონებთ
და ყოველთა მგმობართა შევაჩუენებთ.

დიდებაჲ

თჳთებითა
განყოფილად გძნობ, სამებაო,
ხოლო ბუნებით ერთად
ღმრთის–გმეტყუელებ შენ.
ღმერთმთავრობითო ძალო,
მაცხოვნე ყოველი
უღირსითა ბაგითა.
მამად და ძედ და სულად წმიდად აღმსარებელი.

აწდა

თბე რაჲ ჩუენი
შენგან მიიღო ღმერთმან ჩემმან,
ქალწულო ზეშთ კურთხეულო,
მიწისაგანთა
ძალთა თანა ცისათა
აღგიარებთ შენ
ღმრთისმშობელად, მარიამ,
და ხატსა შენსა წმიდასა თაყუანის-ვსცემთ.

აკურთხევდითსა. ცა ვრცელი

Ვათა სივრცისა მოქმედი
ქუეყანისა თანა,
ანგელოზთა და კაცთა

უფალი ესტუმრა ქმნულთა თჳსთა
სიმდაბლით განახლებად
ქრისტე ღმერთი ჩუენთჳს
ჩუენებრ ქმნი [ლ] თა,
ყრმანი აკურთხევდენ მას.
„ოდესმე მივიდე და ვეჩუე|ნო პირსა ღმრთისასა.“ (41,3) **291v**

რომელი-იგი ქალწულმან
მკლავითა იტჳრთა
ქრისტე მისგან შობილი,
ძე ღმრთისაჲ
ორითა ბუნებითა——
ღმერთი და კაცი სრული,
დღეს ჭეშმარიტებით ხატი მისი,
ჴორციელებრი სახე
საუფლოჲსა პირისა
უცვალებელი
ტჳფარი, შიშით შევიტკბობთ.
„ღმერთო, მომაქციენ ჩუენ და გამოაჩინე პირი
შენი ჩუენ ზედა და ვცხონდეთ.“. (79, 8; 79, 20)

რომელი-იგი სჯმონ
მკლავითა იტჳრთა
ტაძრად მოყვანებითი
და ანნა ზესთ საუკუნეთა
ღმრთად ქადაგა იესუ
ქრისტე მჴსნელი ნათელი სოფლისაჲ
დღეს ნათელი პირისა
მისისაჲ ხატი მისი
თჳთ დაწერილი
შიშით და ძრწოლით შევიტკბობთ.
„ვილოცევდ პირსა შენსა ყოვლითა გულითა ჩემითა, შემიწყალე მე
სიტყჳსაებრ შენისა.“ (118, 58)

რომელი იორდანესა
იოანეს ჴელთაგან თავდადებულ იქმნა
და მამაჲ
ზეცით წამებდა მას ძედ
საყუარელად და სული
სათნო-ეყოფვოდა ღმერთსა
სრულსა, სრულსა ღმერთსა და ჩუენთჳს

კაცქმნილსა მოწყალებით, დღეს ხატი მისი
ქრისტეს ღმრთისად აღვიაროთ.
„წყალობითა შენითა მაცხოვნე მე, და დავიმარხნე წამებანი პირისა შენისანი“ (118, 88)

რამეთუ თაბორს ეჩუენა
ბუნებითითა მით
ნათლითა მოწაფეთა,
მამისა მიერ დამტკიცებითა
თანა სწორად, თან[ა] არსად,
ძედ საყუარელად, თჳთ განმგებელად
დღეს ხატსა თჳსსა მოგუცემს
ჴელითა მიერ უქმნელსა, სულით და ჴორცით განწმედილნი
შავეხნეთ მას.

„მსთუად შეისმინე ჩემი, უფალო, რამეთუ მოაკლდა სულსა ჩემსა; ნუ გარე-მიიქცევ პირსა შენსა ჩემგან“ (142, 7)

რომელი ჯუარსა ამაღლდა ნეფსით განზრახვითა
ღმერთი და კაცი ჩემთჳს
და ვნებაჲ
თავს-იღვა ჩემთა ძუელთა
ვნებათა განკურნებად,
დიდებაჲ მოწყალებასა მისსა.
292r ქრისტე | ღმერთი დღეს ხატსა
თჳსსა ღირს-მყოფს შეხებად,
ნუ ვინ უღირსი, ნუცა უძლური სულითა.
„ვიდრემე ვიდე სულისა შენისაგან და პირისა შენისაგან ვიდრემე ვივლტოდე.“ (138, 7)

რომელმანცა ჯერ-იჩინა საფლავსა დადებაჲ
ჩემთჳს ცოდვითა მკუდრისა*
და აღდგა
ღმრთეებრ ღმრთივშუენიერად
და თანა აღმიყვანა
და დამსუა მარჯუენით მამულთა საყდართა,
დღეს ხატი მისი წმიდაჲ
ჩუენდა წინა მდებარე
თჳთ ქრისტეს ქმნილი
ძრწოლით განვიცადოთ, ძმანო.

---

* ნუსხაშაი: მკჳდრისა

„ეკრძალეთ ერი ჩემი სჯულსა ჩემსა, მოყავით ყური თქუენი სიტყუათა პირისა ჩემისათა“. (77, 1)

ნუმცა ვინ არს იუდაებრ
პირითა ურცხჳნო,
სულითა გლისპ და გულარძნილ,
რამეთუ
საზარელისა ამის
საიდუმლოჲსა მიერ
ქრისტეს ღმრთისა ხატისა წმიდისა,
ვითარ ღირსნი, ვცხონდებით
შეხებითა მისითა.
კუალად უღირსნი
საუკუნოდ წარწყმდებიან.

დიდებაჲ

ჳსამებაო მარტივო,
შეუძრველო ძალო,
უქცეველო საზღვარო,
უთქუმელო
სიმტკიცეო, რომელმან
თჳთ ოდენ უწყნი შენნი,
ყოველთა ღმერთო, ღმერთმთავრობაო,
მამაო და ძეო და სულო ყოვლად წმიდაო,
გუაცხოვნენ ქმნულნი
შენნი უკუნისამდე.

აწდა

ჳ ზეშთა ცნობისა უცხოჲ
და გონებათაცა
ყოვლად მიუწდომელი,
ჳ დიდი ესე გამოუთქუმელი
ღმრთისა განგებულებაჲ,
ეჰა, უსაზღვროჲ საკჳრველებაჲ,
ღმერთი მუცლად ღებული

• ესე მუჴლი ოთხ გზის ითქუას ამითვე საქცევითა.

და მშობელი ქალწული.
სარწმუნოებაჲ
გუაქუნდინ და ნუ გამოწულილვაჲ.

ადიდებსა. ნუ მტირ მე დედა

Ⴑიტყუაჲ ღმრთისაჲ, აღმგებელი
292v სიბრძნით|ყოველთა არსთა
და დამამტკიცებელი
უსქესოდ ქუეყანისაჲ,
ცათა გარდამრთხმელი
მ... ცასა ჰყოფს თჳსად საყდრად, მაცხოვრად
ჩუენდა მისგან შობილი
რომელი...
... აღ განიკუთნავს ჴმათა.*
„რადმე, უფალო, განიშორებ სულსა ჩემსა და გარე-მიიქცევ პირსა შენსა ჩემგან.“ (87, 15)

Ოხარებდინ აგებული,
რამეთუ ამგებელმან
შენმან და მეუფემან
არა უღირს-იჩინა
მონისა ხატისა
მიღებაჲ წყალობით
და მიღებული კუალად
მოგუანიჭა მაცხოვრად
ღმერთ-ქმნილთა მათ ჴორცთაგან
პირისა ტჳფარი.
„დავითისთჳს, მონისა შენისა, ნუ გარე-მიიქცევ პირსა შენსა ცხებულისაგან შენისა.“ (131, 10)

Ⴓავით, ახალო ქართველთა
მეუფეო, იხარებდ
და განსცხრებოდე, ვითარ
წინაშე კიდობნისა ჰსჯულისა
მომცემელმან ქრისტე
მადლი შენ მოგანიჭა
არა [სარკით] ჭუირობად,
არამედ ძედ თჳსა გყო
[ხატისა] თჳსისა [მგალობელად].

---

[1] ტექსტი გადასულია და ცუდად იკითხება

„პირსა შენსა ლიტანიობდენ მდიდარნი ერისანი“. (44, 13)
დღესა ყოველი მკჳდროვანი
ერთა თანა ცისათა
თანად ძლევის მგალობლობს,
დღეს პირმეტყუელთა თანა
ყოველნი იძრვისნი
სიხარულით ძნობენ,
რაჲთუ ძოგუეყინა
მადლი პირისა ღმრთისაჲ
და ნათელითა მისითა ყოველნი განვნათლდით.
„სასუმელი ჩემი ტირილითა ჩემითა განვზავი პირისაგან რისხვისა
და გულისწყრომისა შენისა“ (101, 10-11)
არმრწმუნებელნი, ჰ ქრისტე,
შენდა ღმრთად ჭეშმარიტად, ხოლო ხატსა პირისა
შენისასა მგმობარნი შეაჩუენენ ბილწნი.
და ეშმაკსა მისცენ და მოსრვნ ბანაკითურთ
და საუკუნოჲთა მით ცეცხლითა განაქარვე
ყოვლად ულხინებელად.
„ვიდრემდის, უფალო, დამივიწყებ მე სრულიად და ვიდრემდის
გარე-მიიქცევ პირსა შენსა ჩემგან.“ (12, 2)
293r ჰ დიდო სალხი|ნებელო,
ჰ შესავედრებელო
მალალო და მტკიცეო,
ჰ გამოუთქუმელისაო
ქრისტეს ღმრთისა ნიშო,
ხატო საშინელო,
დღესასწაულსა შენსა
სარწმუნოჲთა სულითა
მგალობელთა მოგუხედენ ტკბილად და წყალობით.
„ხოლო გარე–თუ-მიიქცი პირი შენი, შეძრწუნდიან“ (103, 29)
ბანგჳნათლენ გონებანი,
ნათელო სოფლისაო.
აღგჳკოცენ ცოდვანი,
აღუკოცელო ხატო,
ყოველთა მჴსნელისა
ქრისტეს ღმრთისაო, და
რომელნი ამბორს-გიყოფთ
უბიწოჲთა გულითა
ბრალთაგან განწმენდილნი

დაუსჯელად დამიცვენ.
აღგიარებდენ შენ, უფალო, ყოველნი მეფენი ქუეყანისანი, რამეთუ ესმნეს
ყოველნი სიტყუანი პირისა შენისანი (137, 4)
ჳ ხატო ქრისტეს ღმრთისაო,
მეფე მორწმუნე შენი,
შენ მიერ გჯრგჯნოსანი,
განამჴნევე ძლევად მტერთა,
ეკლესიათა და მღდელთა ერთობაჲ ყავ,
და ყოველი ჰასაკი
შენი სადიდებელი
შეიწყალე, და მეცა
მგალობელსა ნუ დამსჯი.

დიდებაჲ

ჳ მეფეთა მეფეო
და უფალთა მფლობელო,
ღმერთო ღმერთმთავრობაო,
სამებაო წმიდაო,
ქრისტეს მოსახელე
მეფე ბარბაროზთა მძლედ გამოაჩინე და
ერი შენი დაიცევ
საფარველისა ჯუარისა
წმიდისსა ქუეშე.

აწდა

ჳ უხრწნელო ღმრთისმშობელო,
რომელმან ქრისტე ღმერთი
უშევ მაცხოვრად კაცთა,
ევედრე ძესა შენსა
ქრისტეანეთათჳს,
რამეთუ შენდამი
მხოლოჲსა სასოებაჲ
დაუც, ყოვლად წმიდაო;
და რისხვითა შენითა
წარაქციენ მტერნი ჩუენნი.

294v გალობანი ქრისტეს განგებულებისა და განკაცებისანი, თქუმულნი ნეტარისა მამისა საბა სუნგელოსისა, კარისა ებისკოპოსისანი, შეხუეწითა ძმისა ჩემისა ვარდანისითა, რომლისა თავნი წითელთა ასომთავართანი მსიტყუველობენ: [ქრისტეს ღმრთის ხატო, მეოხ ექმენ ვარდანს].

[უგალობდითსა] ⁘ გ გ̃ი. წამისყოფითა, ღმერთო

„ეკრძალეთ ერი ჩემი სჯულსა ჩემსა, მოყავთ ყური თქუენი სიტყუათა პირისა ჩემისათა“ (77, 1).*

ძადაგებულსა
არსთა
დამწყებსა, უსაწყისოსა,
ნათელთა, მამასა ძით და სულით წმიდითურთ,
ღმერთსა ერთარსებით ქებულსა,
სამგუამოვანსა ბრწყინვალებ[ა]სა ვადიდებდეთ.
„აღვიმსთოთ პირსა მისსა აღსარებითა და ფსალმუნითა უღაღადებდეთ მას“ (94, 2).

რომლისაგან პირველად
არსი
ქმნეს საცნაურნი,
ხილულნი და უხილავნი, ბუნებითა ნივთნი,
ხატად თჳსად დაჰბადა კაცი
სახიერებით პატივითა დიდებულითა.
„უფალო ღმერთო ძალთაო, მომაქციენ ჩუენ, გამოაჩინე პირი შენი ჩუენ ზედა, და ვცხონდეთ“ (79,8; 20).

Oხილვნეს მოსწავებით
მამამთავარმან აბრაჰამ, მოსე და ესაია, ყოველთა
წინაჲსწარმეტყუელთა ხატნი ჩუენებით ღმრთისანი
სიტყჳსა ღმრთისა
ჴორცთშესხმისა ქადაგთა.
„წყალობაჲ და ჭეშმარიტებაჲ ვიდოდიან წინაშე პირსა შენსა“ (88, 15).

---

* ფრჩხილებში ჩასმული ციფრები მიუთითებენ ფსალმუნის ტექსტს.

დიდებაჲ აწ.

Სახე იყო მაყუალი
ხატისა ყოვლად წმიდისა
შენისა, ქალწულო ღმრთისმშობელო,
სიტყჳსა ღმრთისა ხატსა ზესთ
უთესლოდ, ქალწულებით
ჴორც-შესხმითა მშობელო.

განძლიერდასა. ღმერთო მაცხოვარო
„დავითისთჳს, მონისა შენისა, ნუ გარე მიიქცევ პირსა შენსა
ცხებულისაგან“ (131, 10).
Ტომისაგან დავითისა
სამეუფოთა ძირთაგან
ყოვლად შუენიერად ნაყოფად
საყდართა დასჯედ,
ჩუენ ზედა „გამოაჩინე
ნათელი პირისა შენისაჲ“ (4, 7).
და უკუნ იქცეს მწუალებელნი პირისაგან დიდებულისა შენისა.
„რამეთუ სიმართლენი შეიყუარნა, სიწრფოებანი იხილნა პირმან შენ-
მან“ (10,7) „უფალო, ნათლითა პირისა შენისაჲთა ვიდოდიან“ (88,16).
Ესრეთ ვიხილეთ ნათელი
ნათლითა შენითა, უფალო,
ჴორციელ ქმნული ხატი
თჳნიერ ნივთთა
ჴელითუქმენელი ზესთა
295v დიდებისა სფერთას ახოვა|ნ ჰყავ
და სიმართლენი შეიყუარენ
და „წრფელთა იხილონ პირი შენი“ (10, 7).
„ვჰლოცევდით პირსა შენსა ყოვლითა გულითა ჩემითა, შემიწყალე
მე სიტყჳსაებრ შენისა“ (118, 58).
Ღმერთო, მაცხოვარო ჩუენო,
ნეტარებაჲ მიანიჭე ქადაგთა შენთა მოციქულთა.
ნეტარ არიან
თუალნი მხედველნი

და ყურნი, რომელთა ესმის,
რომლისა ხილვად სუროდა
წინაჯსწარმეტყუელთა და მართალთა პირველ.
„მაუწყენ მე, უფალო, გზანი ცხორებისანი და აღმასვე მე სიხარულითა
პირისა შენისაჯთა“ (15,11).

დიდებაჯ. აწ:

„**მ**აუწყენ რაჯ, მეუფეო,
ჩუენ გზანი ცხორებისანი,
აღმავსენ სიხარულითა
ყოვლად ბრწყინვალედ
პირის შენის“ ხატით (15, 11)
და სულით შენითა საღმრთოჯთა.
„ნუ გარე მიიქცევ პირსა შენსა მონათა შენთაგან“ (26,9).

მესმასა. რაჟამს ეს

„აღგიარებენ, უფალო, ყოველნი მეფენი ქუეყანისანი, რამეთუ ესმნეს ყოველნი
სიტყუანი პირისა შენისანი“ (137,4).
რაჟამს ესმა მოსლვაჯ შენი
წინაჯსწარმეტყუელთა, ქრისტე,
გული უთქუმიდა ხილვად,
რომელსა ვხედავთ,
ვითარცა სარკითა
და სახითა, ხატსა შენსა
და მხილველნი სანატრელ-ვიქმნებით,
„რამეთუ არა ბაგეთაგან ზაკულთა პირით შენით განმართლებაჯ
ჩემი გამოვედინ“ (16, 1, 2).
თანა აღვავლენთ პატივსა
პირმშოჯსა **ხატისა** სახესა
„არა ბაგეთაგან ზაკულთა
პირით შენით რაჯ
განმართლებაჯ ჩემი გამოვედინ“ (16, 2)
და „სიმართლით ვეჩუენო პირსა შენსა“ (16, 15).
„რამეთუ მისცე მას კურთხევაჯ
უკუნითი უკუნისამდე და ახარო მას სიხარულითა პირისა

შენისაჲთა (20, 7).

Ოსმინეთ, ჱ მორწჳუნენო,
უწყებულნი ესე ნიჭნი
უკუნითი უკუნისამდე.
კურთხევაჲ მოგუეცეს
ქრისტეს ხატისაგან, რომელმან გუახაროს
„სიხარ[უ] ლითა პირისა მისისაჲთა“ (15, 11)
„სიტყჳთა უფლისაჲთა ცანი დაემტკიცნეს და სულითა პირისა
მისიაჲთა ყოველი ძალი მათი“ (32, 6).

296r დიდებაჲ. აწ.

„Სიტყჳთა შენითა, უფალო,
ცანი დაემტკიც̈ნე[ს] და სულითა პირისა მისისაჲთა ყოველი ძალი“ (32, 6).
„და კუამლი რისხჳისა და ცეცხლი პირისა“ (17, 9)
შენისაჲ შესწუვიდეს
მგმობართა ხატისა შენისათა.

ღამითგანსა. შენდა აღვიმსთო

„ესე არს ნათესავი, რომელი ეძიებს უფალსა, ეძიებს ხილვად პირსა
ღმრთისა იაკობისსა“. (23, 6).

Ხატსა უხრწნელსა
ღირსქმნილი ნათესავი ვეძიებთ,
ხოლო ვეძიებთ ხილვად პირსა
ღმრთისა „იაკობისსა“ (23, 6),
მწუალებელთა საჴუმილისა დამსხმელსა.
„შენ გრქ[უ]ა გულმან ჩემმან: უფალი მოვიძიო, გამოგიძია
შენ პირმან ჩემმან, პირი შენი, უფალო, მოვიძიო“ (26, 8).

Ამიერ გულმან
ჩემმან უფალი მოიძიენ.
„პირი შენი, უფალო, მოვიძიო“ (26, 8).
„ნუ გარე მიიქცევ პირსა
შენსა რისხჳით მონისა შენისაგან“ (26, 9).
„გამოჩნდა ჩუენ ზედა ნათელი პირისა შენისაჲ, უფალო“ (4, 7).

Ცაძარ მკჳდრ ღმრთისა

და თანამკჳდრ ქრისტესა ვიქმნეთ
და სუფევისა და დიდებისა თანა-ზიარ
და მეფობისა თანა ხატ,
ვითარცა გჳბრძანებს პავლე:
„ოდეს მე მოვიდე და ვეჩუენო პირსა ღმრთისასა“. (41, 3).

დიდებაჲ. აწ.

„Ოდეს მოვიდე
და ვეჩუენო პირსა ღმრთისასა“ (41, 3),
„სცეს სიკეთესა ჩემსა ძალი“,
რაჲთა არა შევძრწუნდე და პირი გარე მიმიქციოს“. (29, 8).

ღაღადყავსა. დანთქმული

„გზა-უყავთ მას, რომელი-იგი ამაღლდა დასავალით. უფალ
არს სახელი მისი. და იხარებდით მის წინაშე და შეძრწუნდით
პირისა მის(ისაგან)“ (67, 5-6).
Მეგობარ ქრისტესა,
დაბ არა მონა, ბრძანებითა საუფლოჲთა
თქუენ მეგობარნი ჩემნი ხართ.
იქმნა საკუთარ ანტონი განთქუმული,
სერაბინ ექმნა რაჲ ხატსა ქრისტესსა
296v აღმომყვანებელი ედესით ქა|რთლად.
„დაფარენ იგინი საფარველსა პირისა შენისასა აღძრვისაგან
კაცთაჲსა, დაიცვენ იგინი“ (30, 21).
Ესე პირმშოჲ ხატი
აღმობრწყინდა და გამოაჩინა პირი სამოციქულოსა
ნაწილსა უბიწოჲსა დედისა ქალწულისასა
და გუაცხოვნა წყალობითა თჳსითა,
„და დაგჳფარნა საფარველსა ქუეშე“ (30, 21)
„განგდებულნი პირისაგან თუალთა მისთაჲსა“ (30, 23),
„პირი უფლისაჲ მოქმედთა ზედა ძჳრისათა მოსპოლვად ქუეყანით
საჴსენებელი“ (33, 17).
Ორი ბუნებითა
ღმრთეებისა და კაცებისაჲთა, ხატი ერთი
სიტყჳსა ღმრთისა ჴორც-შესხმულისა,

„პირი მოქმედთა ძჳრისათა მომსპოლველი“ (33, 17)
სახიერ გუყოფს მადიდებელთა,
ხოლო მგმობართა რისხვით მიაქცევს.
„გარე მოაქციე პირი შენი ცოდვათა ჩემთაგან და ყოველნი უსჯულოებანი
ჩემნი აღჰკოცენ“ (50, 11)..

დიდებაჲ აწ.

ხატი და დიდებაჲ
და ბრწყინვალებაჲ მამულისა არსებისაჲ
უსჯულოებათა ჩუენთა ამჴოცველად*
მოგუენიჭა, რომლისა სასოებით მძნობელნი ვჴმობდეთ:
„პირისა შენისაგან ნუ განმაგდებ
და სულსა წმიდასა შენსა ნუ მიმიღებ“ (50, 13).

კურთხეულარსა. ყრმათა ბაბილონს

„ავამაღლებდეთ უფალსა ღმერთსა ჩუენსა, თაყუანის-ვსცემდეთ მთასა
წმიდასა მისსა“ (98, 9).
ერო წმიდაო
ქრისტეანთაო**, მღდელთ-მთავარნო და მეფენო,
მამანო და დედანო, ყრმანო და მოხუცებულნო,
ჭაბუკნო და ქალწულნო,
წმიდასა ხატსა ქრისტეს ღმრთისასა თაყუანის-ვსცემდეთ.
„აღდეგინ ღმერთი და განიბნივნენ ყოველნი მტერნი მისნი და იძლტო-
დენ მოძულენი მისნი პირისგან მისისა“ (67, 2).
ჭრისტე, „მიწყალენ
და მაკურთხენ ჩუენ და გამოაჩინე პირი
შენი ჩუენ ზედა და შემიწყალენ ჩუენ“ (66, 2; 30, 17)
აღდეგ და განაბნიენ
ყოველნი მტერნი ურწმუნონი მედგარნი.
„ეგრეთ წარწყმდენ ცოდვილნი პირისაგან მისისა და მართალნი
იხარებდენ“ (63, 3-4).
მრავლით კერძო რაჲ
297r და მრავლით სახით ეტყოდა მამათა წინაჲსწარმეტყუელთა მიერ
და უკანაჲსკნელ მხოლოდ შობილისა ძისა მიერ,

---

* ნუსხაშია: ამჴუცვლად; ** ნუსხაშია: ქნთო

რომელმან ურწმუნონი
განყარნეს პირისგან მისისა და შეაჩუენნეს.
„ისმინე ჩემი, უფალო, რამეთუ ტკბილ არს წყალობაჲ შენი.
მრავლითა მოწყალებითა შენითა მოიხილე ჩუენ ზედა“ (68, 17).

დიდებაჲ აწ.

Ეტყოდა ღმერთი
მოსეს: ჴმაჲ ჩემი გესმოდის შორის ცეცხლისა
და მსგავსებაჲ ჩემი არა იხილოთ.
ხოლო ჩუენ ღირს ვიქმნენით
ჴორცითაცა ხილვად
შობითა ქალწულისაგან.

აკურთხევდითსა. შეუწუველი

„გამოაჩინე პირი შენი მონისა შენისა ზედა
და მასწავენ სიმართლენი შენნი“ (118, 135, შდრ 30, 17).
Ნეფსით დამდაბლდი ჴორცთა ჩემთა მიმიხუმელი,
ნეფსით ტილოჲ ხატითა ელვარე ჰყავ,
ნეფსით საუფლოჲ პირი კეცთა ზედა ასტჯფრე,
შეუძრველო ბეჭედო და ხატო
მამისა არსებისა,
გუამოვანო სიტყუაო, სიბრძნეო და ძალო,
ამბორს-გიყოფთ, თაყუანის-გცემთ და შეგიტკბობთ
თუალითა, ბაგითა და გულითა შეგიმთხუევთ.
„წყალობითა შენითა მაცხოვნე მე, და დავიმარხნე წამებანი პირისა
შენისანი“ (118, 88).
Ვითარცა ნივთსა, რომლითა იქმნა ცხორებაჲ ჩუენი,
სალმრთოჲთა მოქმედებითა ალსავსესა
ვჰმსახურებ, პატივსცემ და თაყუანის-ვსცემ.
ნივთ აგებულ არიან ჴორცნი
სიტყჳსა ღმრთისა ქრისტესნი.
„შეძრწუნდენ პირისა მისისაგან“ (95, 7) ჰურიანი,
პირისაგან ღმრთისა ისრაილისა,
და დაინთქნენ უფსკრულსა ბნელისასა.
„აღდეგ და ნუ დამაგდებ ჩუენ სრულიად. რად გარე მიიქცევ პირსა

შენსა და დაივიწყებ გლახაკობასა ჩუენსა და ჭირსა“ (43, 24-25).

297v **ა**ნუ არა ნივთ არსა სამგზის სანატრელი: ძე|ლი
ჯუარისაჲ ყოვლად სამსახურებელი და წმიდაჲ,
ადგილი თხემისაჲ, ცხორებაშემოსილი კლდე,
წმიდაჲ საფლავი, წყარო ცხორებისა
და აღდგომისა ჩუენისაჲ.
„მომწუარნი ცეცხლითა და მოოჯრებულნი
რისხვითა პირისა შენისაჲთა წარწყმდეს“ (97, 7)
ჰურიათა ღმრთის-მბრძოლნი ბანაკნი.
„ქუეყანაჲ შეიძრა და ცანიცა წთოდეს პირისაგან ღმრთისა სინაჲსა,
პირისაგან ღმრთისა ისრაელისა“ (67, 9).

დიდებაჲ აწ.

რამეთუ ნივთ არს ჯორცი და სისხლი ქრისტესი,
ცხოველსმყოფელი იგი ტრაპეზი,
მომცემელი ჩუენდა პურსა ცხორებისასა,
წმიდაჲ სახარებაჲ აღწერილი.
მოვიჯსენო საკჯრველებათაჲ
მისთაჲ, რომელ ქმნა ნიშნი და სამართალნი,
„პირისაგან უფლისა ღმრთისა იაკობისსა,“ (113, 7),
რომელსა ავამაღლებთ უკუნისამდე.

ადიდებდითსა. მტჯრთველმან

„რამეთუ შენთჯს დავითმინე ყუედრებაჲ, დაფარა სირცხჯლმან პირი ჩემი“ (68, 8)

დასჯისა ნივთთა, რომლითა
ჯსნაჲ მოგუენიჭა,
ჯუარსა, ლახუარსა, ლერწამსა, სამსჭუალთა და ღრუბელსა,
რომელთა მიერ ტანჯულ
და გინებულ ყვეს ღმერთი
ღმრთის მკლველთა ჰურიათა, ვჰმსახურებ, თაყუანის-ვსცემ, ვითარცა მიზეზთა ცხორებისა ჩუენისათა.
„ვიდრე-მე ვიდე სულისა შენისაგან და პირისა შენისაგან, ვიდრე-მე ვივლტოდი?“ (138, 7).

აქუნდა პირველსა მასცა კარავსა სამართალი
მსახურებათაჲ, წმიდაჲ იგი მსოფლიოჲ,
ხოლო ეკლესიასა
მსახურებათა უმჯობესთაჲ
ჰქონან სიწმიდეთა ხატნი
ნივთიერთა ფერთანი,
რომელნი აღგჳყვანებენ ჩუენ უნივთოჲსა ღმრთისა.
„მსთუად, შეისმინე ჩემი, უფალო, რამეთუ მოაკლდა სულსა ჩემსა.
ნუ გარე მიიქცევ პირსა შენსა ჩემგან (142, 7)

298r | ნეტარებისა ჴმითა ღმრთის მხილველ-იქმნეს წმიდანი,
ხოლო ჩუენი ესეცა მსახურებაჲ ხატი არს
ყოფადთა მათ კეთილთაჲ
თჳთ მათ საქმეთა ზეცისა
იერუსალიმისთა
ჴელით-უქმნელისაჲთა,
ვითარცა დასწერს სალმრთოჲ მოციქული:
„იქადოდენ წმიდანი დიდებითა და იხარებენ სარეცელსა ზედა
მათსა. ამაღლებაჲ ღმრთისაჲ პირსა შინა მათსა.“ (149, 5-6)

დიდებაჲ აწდა

სამართლად „იქადოდენ წმიდანი დიდებითა“,
„ამაღლებაჲ ღმრთისაჲ პირსა შინა მათსა“ (149, 5-6)
„სჯული პირისა უფლისაჲ“
პირსა მათსა მარადის,
რომელნი ჭეშმარიტად
სიტყჳს ღმრთისა მშობელსა საკუთრად ღმრთისმშობელად
თაყუანის-ცემენ.

წარმოდგენილი საგალობლები, ფაქტობრივად, აბუსერისძე ტბელის დაკვეთითაა შესრულებული. აბუსერისძე ტბელის ჩანაფიქრით საგალობლები გათვალისწინებულია ხელთუქმნელი ხატის დღესასწაულის დამკვიდრების ლიტურგიის მასალად.

XVIII საუკ., როდესაც ჩვენში ეროვნული პოზიციებიდან დაიწყეს ქართველ წმინდანებზე ახალი მასალის შედგენა, შეიქმნა ანტონ მარტყოფელზე ახალი ჰიმნოგრაფიული კანონი[1], რომლისათვისაც ავტორმა გამოიყენა A-85-ში წარმოდგენილი საგალობლები.

[1] კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, 1960 წ., გვ. 319-322. მ. ქავთარია, ძველი ქართული პოეზიის ისტორიიდან XVII-XVIII, 1975 წელი, გვ. 228. 290.

II თავი

შემოქმედება

§1. გალობანი წმიდათა იოვანეთა

აბუსერისძე ტბელის სახელს უკავშირდება სამი თხზულება, რომელნიც შეტანილია A-85-ში. სამივე სრულიად განსხვავებული ჟანრის თხზულებაა, რომელთაც წერის დამოუკიდებელი სტილი და მანერა ახასიათებს. ამიტომ ენობრივი ან სტილური ანალიზით მათი ერთ ავტორთან დაკავშირება გაჭირდება. ამ სამი თხზულებიდან მხოლოდ ერთზეა—„ახალი სასწაულნი წმ. გიორგისნი“--ავტორი მითითებული. „მოსახსენებელში“, რომელზედაც ვსაუბრობდით და რომელიც ანდერძია თხზულებისაც და საერთოდ კრებულისაც, დასახელებულია ავტორად აბუსერისძე ტბელი.

აბუსერისძე ტბელის კალამს უნდა ეკუთვნოდეს ერთი ჰიმნოგრაფიული კანონი, რომლის სათაურია „გალობანი წმიდისა იოვანე ნათლისმცემელისანი, წმიდისა იოვანე მახარებელისა და წმიდისა იოვანე ოქროპირისანი, ერთბამად შეკრებილნი ერთმოსეხნაობისათჳს და ერთ მადლისათჳს“ (219r-221v).

სათაურში ავტორი მითითებული არ არის (სათაურთან ხელნაწერში გაკეთებულია მინაწერი, რომელიც აკინძვის დროს ძველად ჩამოუჭრიათ). ანტონ კათალიკოსსაც თავის „წყობილსიტყვაობაში“, რომლის შედგენის დროს იგი ეყრდნობოდა A-85-ს, აბუსერისძე ტბელი როგორც მწერალი ჰიმნოგრაფი შეყვანილი არა ჰყავს. პირველი მკვლევარი, ვინც გამოთქვა ვარაუდი, რომ საგალობელი აბუსერისძე ტბელს უნდა ეკუთვნოდეს, იყო კ. კეკელიძე. იგი წერს: „აბუსერისძე ტბელს შეიძლება ეკუთვნოდეს, აგრეთვე, გალობანი სამთა იოანეთა... ყოველ შემთხვევაში, ის ამბობს, რომ ეს საგალობელნი მის მიერაა შემატებულნი ხელნაწერში (A-85)“.[1] ეს ვარაუდი გაიზიარეს მომდევნო თაობის მკვლევარებმა. ლ. მუსხელიშვილი წერს: „კ. კეკელიძის აზრით, აბუსერისძე ტბელსვე შეიძლება ეკუთვნოდეს „გალობანი სამთა იოანეთა“.[2] რამაზ ხალვაშმა 1992 წელს გამოსცა დასახელებული გალობა და სცადა კ. კეკელიძის ვარაუდის დასაბუთება.[3] კ. კეკელიძემ, გარდა A-85-ისა, მიუთითა მეორე XIII საუკუნის ხელნაწერიც, რომელშიც დასახელებული საგალობელია წარმოდგენილი--ქუთ. 22.

არსებობს მესამე ნუსხაც 1721 წლისა--A-1040 (ნაკლული), რომელიც აღწერა მ. ჯანაშვილმა და რომელიც გამოიყენა რ. ხალვაშმა გამოცემაში.

---

[1] კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ.1,. 1951 წ., გვ. 310.

[2] ლ. მუსხელიშვილის დასახელებული წიგნი, გვ. 25.

ი. სიხარულიძე საგალობელთან დაკავშირებით ამბობს: „ამ თხზულების ენა და საგანი (წმ. იოვანესი და კერძოდ იოვანე მახარებლის კულტი აბუსერისძეთა სახლში) ჯერჯერობით არ გვაძლევს უფლებას, უარყოფითად მოვეკიდოთ მის ტბელისეულობას“. იხ. ნათელი დაულამებელი, ბათუმი, 1973 წ., გვ 34.

[3] გალობანი წმიდათა იოვანეთა, ბათუმი, 1992 წ.

ქუთაისის მუზეუმის ფონდებში გამოვლინდა შეოთხე ნუსხაც, რომელიც თავის დროზე ჭელიშის მონასტრის საკუთრება ყოფილა. პირველად ამ ხელნაწერზე ცნობა გამოაქვეყნა გიორგი ბოჭორიძემ: „გალობანი სამთა იოვანეთანი: წინამორბედისა, ღვთისმეტყველისა და ოქროპირისა, ხუცურად ნაწერი, ბოლოში ფურცელნაკლები“. სხვა ინფორმაციას მკვლევარი არ იძლევა. არც ნუსხას ათარიღებს და მით უმეტეს ავტორზეც არას ამბობს.

1919 წელს ჭელიშის სიძველენი აღწერა ექ. თაყაიშვილმა. ამ ხელნაწერს იგი საერთოდ არ ასახელებს.

XX საუკ. დასაწყისში რაჭა-ლეჩხუმში იმოგზაურა და იქ არსებული სიძველენი ვრცლად აღწერა ამბროსი ხელაიამ. ერთი ნაწილი მან თავის დროზე გამოაქვეყნა კიდეც. არც იგი მიუთითებს ამ კრებულზე.

.გ. ბოჭორიძის მიერ დასახელებული ხელნაწერი უნდა იყოს ქუთ. №94, რომელიც ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობაში XVIII საუკუნითაა დათარიღებული. ეს მოზრდილი ხელნაწერი იწყება ზუსტად იმ სათაურით, რაც დამოწმებული აქვს გ. ბოჭორიძეს. მუზეუმში ეს ხელნაწერი სწორედ ჭელიშის უდაბნოს მონასტრიდან მოხვდა.

ქუთ. №94 წარმოადგენს ქუთ. №22 ზუსტ პირს. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, ქუთ. №94 გადაწერილია №22 ხელნაწერიდან.

მაშასადამე, გალობანი სამთა იოვანეთანი დღესდღეობით ოთხი ხელნაწერითაა ცნობილი: A-85, A-1040, ქუთ. №22 და ქუთ. №94.

კ. კეკელიძემ თავისი ვარაუდი, როგორც ეტყობა, დააფუძნა აბუსერისძე ტბელის მიერ შედგენილი ზანდუკზე, რომელიც მრავალი აღწერილობის მიუხედავად **ჯერ არსად გამოქვეყნებულა**. ზანდუკში ვკითხულობთ: ჩამოთვლილია საგალობლების წინ არსებული ყველა თხზულება და შემდეგ: „გალობანი წმიდისა იოვანე ნათლისმცემელისანი, წმიდათა იოვანეთანი სხუათანიცა სამთავე ზიარნი, იოვანე მახარებელისანი და იოვანე ოქროპირისანი **ჩემგან შემატებულნი**“. ამ ფრაზას ეყრდნობოდა კ. კეკელიძე, როდესაც აბუსერისძის ავტორობა ივარაუდა.

თხზულება ჰიმნოგრაფიული კანონია, რომელიც შედგება რვა ოდისაგან, აკლია მეორე „მოიხილესა“. ხელნაწერში საგალობელი ტექნიკურად მთლად გამართული არ არის. კანონებს ჩვეულებრივად ყოველი გალობის დასაწყისში ახლავს ძლისპირები და დასასრულს ღმრთისმშობლისანი. ტექსტები ხან სრულად არის წარმოდგენილი, ხან მხოლოდ დასაწყისი სიტყვებია ჩაწერილი. ძლისპირთა მითითება ხმების შესაბამისად განსაზღვრავს საგალობლის მელოდიურობას. ძლისპირთა და ღმრთისმშობლისანის კრებულები ქართულად ადრევე ითარგმნა და ცალკე ხელნაწერებშია წარმოდგენილი[2]. ხშირია შემთხვე-

---

[1] გ. ბოჭორიძე, რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველენი, თბილისი, 1994 წ., გვ. 90, 144.

[2] არსებობს ძლისპირთა და ღმრთისმშობლისანის კრებულების ორი გამოცემა. პირველი— ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, ორი ძველი რედაქცია X-XI სს. ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ელენე მეტრეველმა, თბილისი, 1971 წ., მეორე—ნევმირებული ძლისპირნი (ხელნაწერი A-603). გამოსცა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო გ. კიკნაძემ, თბილისი, 1982 წ.

ვები, განსაკუთრებით გვიან პერიოდში, როდესაც ავტორები ღმრთისმშობლისანს თვით თხზავდნენ. აბუსერისძე ტბელის საგალობელი ამ მხრივ ვერ არის უზადოდ წარმოდგენილი ხელნაწერში. ამ ფაქტს ყურადღება მიაქცია რ. ხალვაშმაც.

ხელნაწერში საგალობლის ხმა მითითებული არა არის არც სათაურში და არც გალობებთან, მხოლოდ ძლისპირების მიხედვით ხდება ხმის აღდგენა. საგალობელი დაწერილია მეორე პლაგალურ ხმაზე, ე.ი. ჴმაჲ ბ გ̃ი.

მეოთხე გალობის (ღამითგანსა) ძლისპირის დასაწყისი „სიყუარულისა ს̃კრ“ ძლისპირთა გამოქვეყნებულ კრებულებში არ დასტურდება, თვით A-85-შიც შეტანილ ძლისპირთა რეპერტუარშიც არ არის. ამ ფაქტს უნდა ახსნა, საკმარისი არა არის ღმრთისმშობლის მიხედვით აღვადგინოთ ძლისპირი. ასე გააკეთა გალობის გამომცემელმა. ეს იყო აბსოლუტურად ლოგიკური გადაწყვეტილება და, ალბათ, ასე მოიქცეოდა ყველა, მაგრამ ეს მხოლოდ გამოსავალია და არა საკითხის ბოლომდე გარკვევა.

გალობას „ღაღადყავსას“ აქვს ძლისპირის მითითება, არა აქვს ღმრთისმშობლის მითითება, აქაც აღდგენა ძლისპირის მიხედვით ხდება. კურთხეულ არსას“ აქვს ძლისპირი, აქვს ღმრთისმშობლისანი „ქრისტეს ღმრთაებაჲ“, რომელიც სპეციალურ კრებულებში (მათ შორის თვით A-85-ში) დამოწმებული არ არის. გამომცემელმა ზემოთ ნახსნები ლოგიკით აღადგინა სხვა ღმრთისმშობლისა, უფრო სწორად, ძლისპირის შესაბამისი. „აკურთხევდითსა“ გალობაში ძლისპირი მითითებულია, ღმრთისმშობლისა არა. „ადიდებდისას“ გალობაში ძლისპირად დამოწმებულია „ითხოვა ღმერთი“. ღმრთისმშობლისანი არ მიუთითებია. ასეთი ძლისპირი კრებულებში არ ჩანს. მოტანილი დასაწყისი უძველესი ხელნაწერებით sin-85, A-358, A-603, ღმრთისმშობლისანია, რომლის ძლისპირია „ნუ მტირ მე, დედაო, რაჟამს“. როგორც ნათქვამიდან ჩანს, ძლისპირ-ღმრთისმშობლის დამოწმებაში ავტორი სცოდავს. მაგრამ აბუსერისძე ტბელი ის ავტორი არ არის, რომ ეს ფაქტი კალმის ლაფსუსად ჩავუთვალოთ. განსაკუთრებით ისეთი ძლისპირის და ღმრთისმშობლისანის დასახელება, რომლებიც ჯერჯერობით გამოვლენილნი არ არიან.

რომ ეს ასეა, ამას აჩვენებს შემდეგი მაგალითი. გალობის „ღამითგანსას“ ძლისპირად მითითებულია ფრაზა: სიყუარულისა საკრველთა (ს̃კრ). ძლისპირთა გამოქვეყნებულ კრებულებში, როგორც აღვნიშნეთ, ფიქსირებული არ არის. მაგრამ ასეთი ძლისპირი რომ არსებობდა და XIII საუკუნეში ხმარებაშიც იყო, ეს ჩანს დღემდე უცნობი ქართველი ჰიმნოგრაფის არსენი ჭყონდიდელის ერთი საგალობლიდან.

არსენი ჭყონდიდელის (აბუსერისძე ტბელის თანამედროვე) ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობა ჩვენს მეცნიერებაში სრულიად უცნობია. იგი გამოვლინდა ამ ბოლო ხანს. მას მნიშვნელოვანი წვლილი შეუტანია ზატიკის ჰიმნოგრაფიული მონაკვეთის გაფორმებაში. ერთ-ერთი კანონის, სწორედ ღამითგანის ძლისპირად დასახელებულია „სიყუარულისა საკრველთა“. იქვე ხელნაწერის აშიაზე მიწერილია: „ძლისპირი ესე არს“ სტროფიც იწყება:

„სიყუარულისა საკრველთა
მიერ მაცხოვრისაჲთა აღთქმულსა
მოწაფენი სიონს შინა...“

არსენ ჭყონდიდელის კანონს ის თავისებურება აქვს, რომ „ღამითგანსა“, „ღალადყავსა“ და „აკურთხევდითსას“ გალობების პირველი სტრიქონები ძლისპირის ფრაზებით იწყება. მაშასადამე, ეჭვს არ იწვევს, რომ „სიყუარულისა საკრველმან“ არის ძლისპირის დასაწყისი და იგი გამოუყენებია აბუსერისძე ტბელს, (იხ. A-25, 92 r; S-4923, 138 და პეტერბურგის ეროვნული ბიბლიოთეკის, ყოფილი სალტიკოვ-შჩედრინის სახ. საჯარო ბიბლიოთეკის, ხელნაწერი გრენის კოლექცია №5, 273 v).

ჰიმნოგრაფიული კანონი (თუ ზემოთ ნათქვამს არ ჩავთვლით) ტრადიციული ნორმებით არის შეთხზული. გალობის ენა, გამომსახველობითი საშუალებანი სასულიერო პოეზიაში დამკვიდრებული პრინციპების შესაბამისია. მალალფარდოვნება, სიმბოლურ-ალეგორიულობაზე აქცენტის გადატანა ბუნებრივია საგალობელში. ძეგლიდან ჩანს მისი ავტორის ღრმად განსწავლულობა საეკლესიო სიბრძნისმეტყველების ყველა დარგში, საიდანაც იგი ხშირად სესხულობს სახეებს. სათაურიდანვე მიგვანიშნებს ავტორი ამ განწყობასა და დამოკიდებულებაზე. „გალობანი... ერთბამად შემოკრებილნი ერთ მოსეხნაოებისათჳს და ერთ მადლისათჳს, დალათაცუ წინამორბედი არს უმეტესი ყოველთა ნაშობთა დედათაჲსა“. ეს ბოლო ფრაზა ლუკას თავიდან აღებული სტრიქონის გარდაკაზმვაა. „უფროჲს შობილთაგანი დედათაჲსი იოვანეს წინასწარმეტყველთაგანი არავინ არს“. (ლუკა, 7, 28).[1] ასევე სათაურში მადლზე აქცენტირება სწორედ იოანეს ებრაული სახელის ქართული მნიშვნელობის ––მადლი ––ფუნქციურ დატვირთვაზე მიუთითებს (შდრ. რ. ხალვაშის წიგნი, გვ.5).

აბუსერისძე ტბელმა ქრისტიანული რელიგიის სამი გამორჩეული პიროვნება—იოანე შეაქო, სამივეს იმგვარი თვისებებით გამოყოფს, იმგვარი ნიშნებით ამკობს, რომლებიც საერთოც არის და ინდივიდუალურიც, ავტორი მტკიცედ იცავს იერარქიას და სწორედ ამ იერარქიულობიდან გამომდინარე განსაზღვრულია რიგ შემთხვევაში ეპითეტებიც. აბუსერისძე ტბელის საგალობელი იძლევა გასაღებს მისი ავტორის პოეტური აზროვნებისა და მხატვრული კულტურის დასანახად. ქართულ ჰიმნოგრაფიაში დამკვიდრებულ ფორ-

---

[1] სხვათა შორის, ამავე ციტატას იყენებს აბუსერისძე ტბელი წმ. გიორგის სასწაულების აღწერისას: „ყოველთა ნაშობთა უმეტესსა თავადსა იოვანეს, ქადაგსა სიტყჳსა ღმრთისასა წინამორბედსა და ნათლისმცემელსა“. დამთხვევა მოულოდნელი არ უნდა იყოს და უნდა მიანიშნებდეს, რომ ერთი პიროვნება (ამ შემთხვევაში აბუსერისძე ტბელი) წერს ორივე თხზულებას. საგალობელში ქადაგი, წინამორბედი ნათლისმცემლის მისამართით ჩვეულებრივი ეპითეტებია. სხვათა შორის, „სასწაულების, შესავალში ავტორი საუბრობს ანგელოზთა დასებზე. საგალობელში მთელი გალობაა (კურთხეულ არსა) აგებული დასთა იერარქიულ დაყოფაზე. ნახსენებია საყდარი (1), ქერობინი (2), სერაბინი (3), უფლება (4), ძალი (5), ხელმწიფება (6), მთავრობა (7), მთავარანგელოზი (8), ანგელოზი (9). ასეთი მსგავსება შემთხვევითი არ უნდა იყოს. ანალოგიური აზრი აქვს რ. ხალვაშსაც. შდრ. მისი წიგნი, გვ. 5.

მებს, ხერხებს იყენებს და იმ საერთო სურათში ზის, რასაც ქართული ჰიმნოგრაფიის ტრადიცია ჰქვია. ამიტომაა, რომ მის საგალობელშიც დასტურდება ის სახეები, რაც ჩვეულებრივი იყო... მაგრამ ერთი რამ ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ავტორმა მაინც მოახერხა თითოეული იოანესათვის მოეძებნა ინდივიდუალური ეპითეტები, რაშიც გამოვლინდა მისი დიდი წიგნიერება და განსწავლულობა.

აბუსერისძე ტბელს საგალობლის ძლისპირები მე-5 და მე-8 გალობის ძლისპირების გამოკლებით აბსოლუტურად ემთხვევა თვით მის კრებულშივე შეტანილ „გალობანი თავის კუეთისანის“ (ფ. 186v r-188v) კანონის ძლისპირებს. აბუსერისძესთან „ადიდებდითსასთან“ ძლისპირი საერთოდ არ არის მითითებული, ხოლო თავისკუეთის საგალობელში მითითებულია „შენ მხოლოდ სანატრელო“. ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის.[1]

კრებულში აბუსერისძე ტბელს შეტანილი აქვს იოანე ოქროპირისადმი მიძღვნილი საგალობელი „გალობანი წმიდისა იოანე ოქროპირისაჲ. დგ“ (167 v-168v). ამ საგალობლის ძლისპირები განსხვავდებიან აბუსერისძე ტბელის საგალობლის ძლისპირებისაგან. მაგრამ ის ეპითეტები, რომლებიც გამოყენებულია აბუსერისძე ტბელთან, არსებითად სწორედ ამ საგალობლებიდან მოდის.[2]

აბუსერისძე ტბელის საგალობელთან დაკავშირებით აუცილებელია ერთი გარემოების აღნიშვნაც. ავტორს განსაზღვრული არა აქვს დღე, თუ როდის უნდა აღსრულდეს საგალობელი, არც ისა აქვს მითითებული, რომ ჰიმნი იოანე ნათლისმცემლის თუ იოანე ოქროპირის დღეს უნდა იქნეს შესრულებული. ეს ერთობ მოულოდნელია. ბუნებრივად დგება კითხვა, ავტორმა თავის საგალობელი ლიტურგიკული მიზნისათვის შეთხზა თუ არა? ეჭვი არ არის, რომ საგალობელი ლიტურგიკული ჰიმნოგრაფიის კანონებით არის დაწერილი, მაგრამ ავტორის მიერ არ არის განსაზღვრული დანიშნულება, იგი, ჩვენი ფიქრით, ეკლესიაში საკითხავად გამიზნული არ არის. ამ მოსაზრებას ისიც უჭერს მხარს, რომ იოანე ნათლისმცემლის, იოანე მახარებლის და იოანე ოქროპირის ხსენების დღეები სხვადასხვაა, ერთად მათი ხსენება არ აღსრულდება პრაქტიკულად ეკლესიაში. ამიტომ, ბუნებრივია, მხოლოდ ეს ფაქტიც საკმარისია ნათქვამის დასადასტურებლად. ამას ისიც ემატება, რომ როგორც ზემოთაც ვაჩვენეთ, საგალობელი მაინცდამაინც ვერც გავრცელებულა და მხოლოდ ოთხი ხელნაწერითაა ცნობილი, ღვთისმომსახურებისათვის განკუთვნილ წიგნებში (თვენი, სადღესასწაულო...) იგი შეტანილი არ არის.

მაშ რა ჟანრს უნდა მივაკუთვნოთ იგი? ავტორმა თვით დაარქვა ჰიმნს „გალობანი“ და ამით თითქოს საკითხი მოიხსნა. თხზულება, რა თქმა უნდა, ჰიმნია, მაგრამ როგორც კ. კეკელიძე წერს: „ყველა ჰიმნი... საგალობლადაა განკუთვნილი, მაგრამ ნამდვილად ყველა ჰიმნს კი არ გალობდნენ, არამედ

---

[1] პირველი ფრაზა ორივე გალობისა ერთია: „მადლთა ტაკუკნი“.

[2] იოანე მახარებლისადმი მიძღვნილი საგალობელი A-85-ში არ არის.

ზოგიერთს, სხვებს კი კითხულობდნენ ხოლმე. ამის შესახებ ანტონ კათალიკოსი შენიშნავს". „არა არს საჭიროება, თჳნიერ საუფლოთა და ღთისმშობლისა დღესასწაულთა ძლისპირსა ზედა მუკლთა გალობად, და არა სადა ჰგალობენ ყოველთა მუკლთა, მით რამეთუ, უკეთუმცა იგალობოს წესისამებრ ყოველნი მუკლნი, არამცირედი შრომა არს და ნიადაგ არა ბრძანებულ არს შრომა იგი".[1] აქედან გამომდინარე აბუსერისძე ტბელის საგალობელი, მართალია, ლიტურგიკული ჰიმნოგრაფიის სახით არის დაწერილი, მაგრამ პრაქტიკული ხმარებისათვის ის განკუთვნილი არ ყოფილა. იგი ავტორის შინაგანი განწყობის, ღრმადმორწმუნე ადამიანის დამოკიდებულების გამჟღავნებაა დიდი საეკლესიო მამების მოღვაწეობისადმი.

ანალოგიური ხასიათის თხზულებანი ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიის ისტორიაში საკმაო რაოდენობითაა. მაგალითისათვის საკმარისია დავით ალმაშენებლის „გალობანი სინანულის" დასახელებაც. დავითის „გალობანიც" ლიტურგიკული პოეზიის ხერხებითაა დაწერილი. მას კანონის ფორმა აქვს და შედგება რვა ოდისაგან თავისი ძლისპირებითა და ღვთისმშობლისანით. მაგრამ იგი ეკლესიაში წირვა-ლოცვის დროს საგალობლად განკუთვნილი არ ყოფილა. მართალია, იგი მრავალი ხელნაწერითაა შემონახული (აბუსერისძე ტბელის საგალობლისგან განსხვავებით), მაგრამ თვენებში, სადღესასწაულოებში დადასტურებული არ არის (სხვათა შორის, ყველაზე ადრინდელი კრებული სწორედ A-85-ია, რომელშიც დავითის „გალობანია" დაცული).

საგალობლის შინაგანი ღერძია სამი დიდი სასულიერო მოღვაწის ერთი სახელი—იოანე—ავტორის სიტყვით „ერთ მოსენაობისთჳს" და ამ სახელის ქართული თარგმანი მადლი „და ერთ მადლისათჳს". მართლაც, თუ ცალკეულ გალობებს ვნახავთ, მადლი ორი გალობის (V, VIII) გარდა ყველა გალობაში ფიგურირებს, ხოლო ერთმოსახელეობა ან ზოგადად არის ნათქვამი, ან სამივე იოანეა ცალ-ცალკე ნახსენები (ზოგჯერ ორივე მომენტია წარმოდგენილი).

უგალობდითსა
„**მადლთა** ტაკუკნი
განზავნეს ღირსთა
მადლისა ღმრთისა **მოსახელეთა** სათა..."
განძლიერდითსა
რომელნი **მადლმან მსგავსითა სახელთა**
წოდებითა ადიდნა,
ქებანი მსგავსნი მიეძღუნებოდედ..."
მესმაასა
რიცხჳთა სამებისაჲთა
ღმრთივ-ცემულთა შესხმათა მიერ...
კეთილთა დასაბისა

---

[1] კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, 1951 წ. გვ. 572.

ვითარცა დასაბამმან **მაღლისამან**...
ღ ა მ ი თ გ ა ნ ს ა
„ზელუა[დ] ღმრთივჴმოვნის,
მოძღურებისა ვიცნობთ **სამთა სჯნათა**...
ღ ა ღ ა დ ყ ა ვ ს ა
„და **მაღლით** სახიერ-ყო ოქროპირი:
ვითარცა-რაჲ
მაღლისა საღმრთომან...“
ა კ უ რ თ ხ ე ვ დ ი თ ს ა
„სჯულისა წესთა
დასლვასა შინა
მაღლისა აღმოსავლით...“
ა დ ი დ ე ბ დ ი თ ს ა
სამჴზისა, ერთ ღმრთეებისა,
სამნათელთა ელვათა;
ჩუენ შორის მყოფისაებრ...
ღმრთივ-ბრწყინვალისა ნათლისა
სამნი აღმოსავალნი
სათნოებათა სამთა
სამყაროთა ჰნათობენ...
შჯდთა სულისა მაღლთა...“

სამი სახელის ერთობლივად წარმოჩენა უთუოდ სამების ასოციაციით უნდა იყოს განპირობებული, ხოლო მაღლი—იოანეს ქართული თარგმანი—ღმრთის მაღლთან არის შესიტყვებული. ეს მომენტები საგალობელში განსაკუთრებულად ჩანს. ბუნებრივად დგება საკითხი, ჩანაფიქრი, რომელზედაც ააგო აბუსერისძემ თავისი ჰიმნი, ხომ არ არის ანალოგია მისივე იდეისა ე.წ. პიროვანი საგალობლების შექმნის შესახებ. როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, აბუსერისძე ტბელმა არსენ კათალიკოსს და საბა სვინგელოზს ძმების ჩარევით დააწერინა საგალობლები „პიროვანი საქცევით“. ორივე ავტორმა ფსალმუნის ტექსტზე დაყრდნობით (ციტატების მოხმობით) შექმნეს ჰიმნები, რომელთა შინაგანი ღერძი იყო სიტყვა პირი, სახის მნიშვნელობით. ვფიქრობთ, განზოგადების ტენდენცია განმსაზღვრელი აღმოჩნდა აბუსერისძე ტბელის ჰიმნოგრაფიული საქმიანობისა, საკუთარ შემოქმედებაშიც და მისი უშალო დავალებით შექმნილ საგალობლებშიც. სხვა საკითხია, როგორი ფორმა მიიღო ჩანაფიქრმა და მხატვრულობის თვალსაზრისით რა შედეგი მივიღეთ, მაგრამ წინასწარ ჩაფიქრებული მიზანი აშკარად ნათლად ჩანს. აბუსერისძე ტბელს ზანდუკში იოანეთა საგალობელი შეაქვს ასეთი ფორმით: „გალობანი წმიდისა იოვანე ნათლისმცემელისანი, წმიდათა იოვანეთანი სხუათანიცა სამთავე ზიარნი. იოვანე მახარებელისანი და იოვანე ოქროპირისანი ჩემგან შემატებულნი ამითურთ ამას ქუემოჲთი ყუელა“ (354v).

როგორც ზემოთ მივუთითეთ, ამ ტექსტზე დაყრდნობით სამართლიანად

ივარაუდა კ. კეკელიძემ აბუსერისძემ ტბელის ავტორობა დასახელებულ თხზულებაზე.

ზანდუკის ტექსტი მთლად ნათელი არ არის, გამოკვეთილად არ ჩანს აბუსერისძე ტბელის მიერ გაკეთებული კონკრეტული საქმე.

ერთი შეხედვით შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ იოანე ნათლისმცემლის არსებულ ტექსტს მან დაურთო მახარებლისა და ოქროპირის შესახებ ტროპარები და გააკეთა ერთი საზიარო ჰიმნი (ძველად ეს პლაგიატობად არ ითვლებოდა). ჩვენ საგანგებოდ დავძებნეთ ლიტურგიკულ ხელნაწერებში ნათლისმცემლის შესახებ არსებული ჰიმნოგრაფიული მასალა და ვერ დავადასტურეთ მზამზარეული ტექსტის აღების ფაქტი. XVIII საუკ. სადღესასწაულოში (ანტონის რედაქცია) შეგვხვდა მსგავსი სტრიქონები:

„მადლთა ტაკუკნი
მდიდრად განზავნა
ეკლესიასა შინა..." (S-1464, 421 v)

თვით იოანე ნათლისმცემლის თავისკუეთის საგალობელში:

„მადლთა ტაკუკნი
მდიდრად აღავსნა
წინამორბედმან და უწეს ყოველთა..." (A-85, 186v).

კიდევ ვიმეორებთ, ადრე არსებული ტექსტი, რომელიც შეეძლო გამოეყენებინა აბუსერისძე ტბელს, ჩვენ ხელნაწერებში ვერ დავადასტურეთ. მაშასადამე, ვარაუდი თავისთავად მოიხსნა. ერთადერთი ახსნა ზანდუკის ცნობისა, ვფიქრობთ შემდეგია. აბუსერისძე ტბელმა მზამზარეულად იოანე ნათლისმცემლის საგალობლიდან აიღო მხოლოდ პირველი ფრაზა: „მადლთა ტაკუკნი", ხოლო დანარჩენი თვით დაუმატა და შექმნა ზიარი საგალობელი. არ არის გამორიცხული საზიარო საგალობლის დაწერის ერთგვარ მაგალითად 30 იანვარს დადებული გაერთიანებული მოსახსენებელიც გამოადგა. 30 იანვარს მართლმადიდებლური ეკლესია დღესასწაულობს „წმიდათა შორის მამათა ჩუენთა და დიდთა მღუდელმთავართა ბასილი დიდისა, გრიგორი ღმრთისმეტყუელისა და იოანე ოქროპირისა".

§2 ქრონიკონი სრული მისითა საშუალებითა განგებითა

მოკლე ცნობები სამოქალაქო და საეკლესიო კალენდრების ისტორიიდან

კალენდარი—დროის ხანგრძლივი შუალედების აღრიცხვის სისტემა, რომელიც დამყარებულია ციური მნათობების მოძრაობასთან დაკავშირებულ პერიოდულ მოვლენებზე კაცობრიობის ცივილიზაციის საწყის ეტაპზევე შეიქმნა. კალენდრის შემუშავებისას გამოიყენეს ყველაზე უფრო ადვილად შესამჩნევი და ადამიანის საქმიანობაზე უშუალოდ მოქმედი პერიოდები—დღის და ღამის ურთიერთშენაცვლება, მთვარის ფაზების მონაცვლეობა და წელიწადის დროთა ცვლა. მათ საფუძველზე დადგინდა დროის დიდი შუალედების საზომი ერთეულები: დღე-ღამე, სინოდური თვე და ტროპიკული წელიწადი. როგორც ტროპიკული წელიწადი, ისე სინოდური თვე შედგება დღე-ღამეთა არა მთელი, არამედ . წილადი რიცხვისაგან. თანამედროვე გაზომვებით სინოდური თვის ხანგრძლივობა არის 29, 530588 დღ.-ღ. (ანუ 29 დღ.-ღ. 12 სთ 44 წთ, 2, 8 წმ), ხოლო ტროპიკული წელიწადის—365, 2422 დღ.-ღ. (ანუ 365 დღ. ღ. 5 სთ. 48 წთ. 46 წმ.), რაც ამ სამი სიდიდის უთანაზომობაზე მიუთითებს. ეს უთანაზომობა კი შეუძლებელს ხდის ერთი სიდიდის მეორეთი მარტივად წარმოდგენას, ე.ი. მზის წლების ისეთი მთელი რიცხვის შერჩევას, რომელიც მთვარის თვეების მთელ რიცხვს და დღე-ღამეთა მთელ რიცხვს შეიცავს. სწორედ ამან განაპირობა კალენდარული პრობლემის ის სირთულე და წინააღმდეგობები, რომლებიც მრავალი ათასწლეულის მანძილზე დაკავშირებული იყო დროის დიდი შუალედების აღრიცხვის საკითხთან.

დღე-ღამის, თვის და წელიწადის ურთიერთშეთავსების მრავალსაუკუნოვან ცდებს სხვადასხვა ეპოქებში შედეგად მოჰყვა კალენდრის სამი სახეობის—მთვარის, მთვარე-მზის და მზის კალენდრების შექმნა.[1]

პირველი მთვარის კალენდრის სამშობლოდ ძველი ბაბილონი ითვლება (ძვ. წ. III ათასწლეულის შუა წლები). კალენდრის ეს სახეობა დამყარებულია მთვარის მოძრაობაზე და მიზნად ისახავს დღე-ღამის და მთვარის თვის ურთიერთშეთავსებას. ძველი ბაბილონელების მიერ დადგინდა, რომ მთვარის ფაზების შენაცვლების ხანგრძლივობა ერთი ახალმთვარეობიდან მეორე ახალმთვარეობამდე დაახლოებით 29,5 დღე-ღამეს შეადგენს. დროის ეს ახლადალმოჩენილი ბუნებრივი საზომი, ე.წ. სინოდური თვე საფუძვლად დაედო კიდევ უფრო დიდ ერთეულს–ასტრონომიულ მთვარის წელიწადს, რომელიც 12 მთვარის თვისგან შედგება და 354 დღეს შეიცავს (29,5×12=354). კალენდარში თვის ხანგრძლივობის მთელი რიცხვით გამოსახვის უზრუნველსაყოფად, შესაბამის კალენდარულ ერთეულად 29 და 30 დღე--ღამე მიიღეს (ამ რიცხვების საშუა-

---

[1] ამ საკითხებთან დაკავშირებით იხილეთ: И. А. Климишин. Капендарь и хронология М. 1985; С. И. Селешников. История календаря и хронология. М. 1972; А. В. Буткевич, М. С. Зеликсон. Вечные календари М, 1969; V. Grumel. La chronologie ("Traite d' etudes Byzantines", I), Paris, 1958

ლო არითმეტიკული 29,5-ს იძლევა, რომელიც ზუსტად თანხვდება ბუნებრივი პირველსახის რიცხვით მნიშვნელობას). მთვარის კალენდარული წელიწადი კი ამ 29 და 30 დღე--ღამის ანუ ე.წ. „ცარიელი და სავსე" თვეების მონაცვლეობით შედგენილ 12 თვეს ითვლის, ასე რომ, მისი ხანგრძლივობაც მთვარის ასტრონომიული წელიწადის იმ დროისათვის ცნობილ ხანგრძლივობას–354 დღე–ღამეს თანხვდება (6×29+6×30=354). სინამდვილეში მთვარის ასტრონომიული წელიწადის ზუსტი ხანგრძლივობა 354,36706 დღე-ღამეს შეადგენს (29,530588×12=354,36706), რაც 0,36706 დღე-ღამით აღემატება 12 კალენდარული მთავრის თვის 354 დღე-ღამეს. ვინაიდან სამი წლის მანძილზე ეს შეცდომა დაახლოებით 1 დღე-ღამის ტოლი ხდება (3×0,36706=1,10118), ათვლის მეოთხე წლიდან ახალმთვარეობა თვეების პირველი რიცხვების ნაცვლად უკვე მეორე რიცხვებზე მოვა. ამ შეცდომის თავიდან აცილების მიზნით კალენდარი ითვალისწინებს დაახლოებით ყოველი სამი წლის შემდეგ ერთი დამატებითი დღის ჩართვას. ჩვეულებრივი 354 დღიანი წელიწადისაგან განსასხვავებლად ასეთ დღეჩართულ, ე.ი. 355 დღიან, წელიწადს გაგრძელებული ანუ ნაკიანი ეწოდებოდა.

ვინაიდან მთვარის წელიწადი მზის წელიწადზე დაახლოებით 11 დღით უფრო მოკლეა (365-354=11), მთვარის წელიწადის დასაწყისი ყოველწლიურად უფრო ადრეულ დროზე ინაცვლებს და შეიძლება მზის წელიწადის ნებისმიერ თვეზე მოვიდეს. მთვარის კალენდარმა ჰიჯრის სახელწოდებით ფართო გავრცელება ჰპოვა მუსულმანურ სამყაროში და მას დღესაც იყენებენ ძირითადად ალმოსავლეთისა და აფრიკის ქვეყნებში.[1]

კალენდრებიდან ყველაზე რთულია მთვარე-მზის კალენდარი, რომლის გამოყენების ყველაზე ადრეული შემთხვევები ისევ ბაბილონს უკავშირდება. მთვარე-მზის კალენდარი მიზნად ისახავს მზის მოძრაობის შეთანხმებას მთვარის ფაზების ცვლილებასთან. აქ აუცილებელია კალენდარული თვეების საწყისების რაც შეიძლება ახლო მისადაგება ახალმთვარეობასთან, ხოლო მთვარის თვეების მთელი რიცხვების გარკვეული ჯამის რაც შეიძლება ზუსტი შესაბამისობა ტროპიკული წლის ჭეშმარიტ ხანგრძლივობასთან. მთვარე-მზის კალენდარს საფუძვლად უდევს დებულება, რომელიც ძვ. წ. 432 წელს დაადგინა ბერძენმა ასტრონომმა და მათემატიკოსმა მეტონმა. ამ დებულების თანახმად 19 მზის წელიწადის ხანგრძლივობა 235 მთვარის თვის ხანგრძლივობის ტოლია. მართლაც, ვინაიდან იულიუსისეული კალენდრის წელიწადი 365 $\frac{1}{4}$ დღე-ღამეს შეიცავს, 19 წელიწადზე 6939,750 დღე-ღამე მოდის (19×365,25=6939,750), ხოლო 235 მთვარის თვე 6939,689 დღე-ღამეს ითვლის (235×29, 53059=6939, 689). დღეთა მთელ რიცხვამდე დამრგვალებით მიიღება მეტონისეული ტოლობა.: 19 მზის წელიწადი=235 მთვარის თვეს≈6940 დღე-ღამეს.

რადგანაც კალენდარული დღეები შეიძლება შეიცავდნენ ან 29 ან 30 დღე-

[1] Цибульский В., Современые календари стран Ближнего и среднего востока. Синхронические таблицы и пояснения, М 1964

ღამეს, 110 „ცარიელი“ 29 დღიანი და 125 „სავსე“ 30 დღიანი თვეების ჯამი იძლევა იმავე 6940 დღე-ღამეს, რასაც 19 მზის წელიწადი (110×29+125×30=6940).

მზის და მთვარის წელიწადების ურთიერთშეთანხმების მიზნით კალენდარი ითვალისწინებს მთვარის წელიწადში დამატებითი მე-13 თვის ჩართვას. ასეთი წელიწადები ნაკიანია და მათ ემბოლისმური წელიწადები ეწოდებათ, უბრალო ანუ 12-თვიანი წელიწადებისაგან განსასხვავებლად. ყოველ 19-წლიანი ციკლი 12 უბრალო და 7 ემბოლისმური წელიწადისაგან შედგება. ემბოლისმური წელიწადები ციკლში შემდეგი რიგითი ნომრებით არის წარმოდგენილი: 3, 6, 8, 11, 14, 17 და 19.

მთვარე-მზის კალენდარული სისტემები გამოიყენებოდა ძველ ბაბილონში, იუდეაში, ძველ საბერძნეთში, ძველ რომში და ა.შ. დღეისათვის ის შემორჩენილია იზრაელის სახელმწიფოში. ძველებურად ფართოდ გამოიყენება ეს სისტემა რელიგიურ სფეროშიც, დღესასწაულთა და მარხვის დღეების წინასწარ გამოსაანგარიშებლად.

მზის კალენდარი მიზნად ისახავს ერთმანეთს შეუთავსოს დღე-ღამე და წელიწადი. თითქმის ყველა მზის კალენდარი დასაბამს იღებს ძველეგვიპტური კალენდრიდან, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის V ათასწლეულში შეიქმნა. ეგვიპტელმა ასტრონომებმა საკმაოდ ზუსტად განსაზღვრეს მათ მიერვე აღმოჩენილი დროის მესამე ბუნებრივი საზომის--წელიწადის ხანგრძლივობა (დაახლოებით 365 დღე-ღამე). ეგვიპტური კალენდარული წელიწადი 30-30 დღიან 12 თვეს შეიცავდა, რომელსაც ბოლოს დამატებითი 5 დღე-ღამე ერთვოდა (ე.წ. „ეპაგომენები“).

თანამედროვე მზის კალენდარი დასაბამს იღებს რომაული კალენდრისაგან, რომელიც ძვ. წ. 45 წლის I იანვრიდან შემოიღეს იულიუს კეისრის ინიციატივით განხორციელებული საკალენდრო რეფორმის შედეგად. რეფორმატორის პატივსაცემად იულიუსისეულად სახელწოდებულ ამ კალენდარში წლის საშუალო სიდიდე $365\frac{1}{4}$ დღე-ღამის ტოლად იყო მიღებული, რაც ტროპიკული წელიწადის იმ დროისათვის ცნობილ ხანგრძლივობას შეესაბამებოდა. კალენდარული წლების მთელი რიცხვებით წარმოდგენის მიზნით ზედიზედ 3 წელიწადი 365 დღე-ღამის, ხოლო მეოთხე, ნაკიანი--366 დღე-ღამის შემცველად ითვლებოდა ((3×365+366):4=365 $\frac{1}{4}$). თითოეული წელიწადი 12 თვეს შეიცავდა. ყოველ თვეში გარკვეული მიმდევრობით 30 ან 31 დღე-ღამე იყო მოქცეული, ხოლო თებერვალში 28 (უბრალო წელიწადი) ან 29 დღე-ღამე (ნაკიანი წელიწადი). იულიუსისეული კალენდრის სწორი გამოყენება VII საუკუნიდან დაიწყო, როდესაც ის საბოლოოდ მოწესრიგდა. ამ დროიდან ნაკიან წელიწადად ითვლებოდა ის წელიწადი, რომლის რიგითი ნომერი 4-ზე უნაშთოდ იყოფოდა.

325 წელს ნიკეის მსოფლიო კრებაზე ქრისტიანულმა ეკლესიამ ცნო იულიუსისეული კალენდარი და საყოველთაოდ იყენებდა მას საუკუნეთა განმავლობაში. 1582 წ. დასავლეთის კათოლიკური ეკლესია გადავიდა კალენდრის

რეფორმირებულ ვარიანტზე, რომელმაც რეფორმის ინიციატორის რომის პაპის გრიგოლ XIII-ის საპატივცემულოდ გრიგორიანული კალენდრის სახელწოდება მიიღო და ცნობილია „ახალი სტილის“ სახელწოდებითაც. რეფორმა განაპირობა იულიუსისეული კალენდრის უზუსტობამ, რომელმაც აშკარად თავი იჩინა ბოლო საუკუნეებში, უფრო ზუსტად XIV საუკუნიდან. როგორც ცნობილია, იულიუსისეული წელიწადის ხანგრძლივობად მიღებულია 365,25 დღე-ღამე, რაც ტროპიკული წელიწადის ხანგრძლივობას (365,2422 დღე-ღამე) 0,0078 დღე-ღამით ანუ 11 წუთითა და 14 წამით აღემატება. ეს განსხვავება 128 წელიწადში ერთ დღე-ღამეს იძლევა (0,0078×128=0,9984≈1,0000) და კიდევ უფრო საგრძნობი ხდება დროთა მსვლელობაში. ამის შედეგად დღეღამტოლობის ჭეშმარიტი დრო, რომელიც მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს მთავარი ქრისტიანული დღესასწაულის—აღდგომის გამოსაანგარიშებლად, თანდათან სცილდება კალენდარულ დროს და სულ უფრო და უფრო ადრეულ თარიღებზე გადადის. ამიტომაც თუ IV ს. დასაწყისში გაზაფხულის დღეღამტოლობა 21 მარტზე მოდიოდა, XVI საუკუნის მეორე ნახევარში ის უკვე 10 დღით იყო გადანაცვლებული და 11 მარტს თანხვდებოდა (დღეისათვის ეს განსხვავება 13 დღეს შეადგენს).

ყოველ კალენდრულ სისტემაში წლების თანამიმდევრულ ათვლას გარკვეული საწყისი ერიდან აწარმოებენ. ამ საწყის ერას ანუ წელთაღრიცხვას საფუძვლად უდევს რომელიღაც ისტორიული ან ლეგენდარული მოვლენა. რამდენიმე ასეული ერიდან, რომელსაც ითვლის კულტურის ისტორია, ზოგიერთი მათგანი საკმაოდ გავრცელებული იყო წარსულში. მათ შორის აღსანიშნავია „ოლიმპიადის ერა“ (ძვ. წ. 776 წ. 1 ივლისი), ნაბონასარის ერა (ძვ. წ. 747 წ. 26 თებერვალი), ერა „რომის დაარსებიდან“ (ძვ. წ. 753 წ. 21 აპრილი), მუსულმანური ერა „ჰიჯრა“ (622 წ. 16 ივლისი) და სხვ. ჩვენს დროში მსოფლიოს უმეტეს ქვეყანაში მიღებულია ერა (იგივე ახალი ერა ანუ ჩვენი ერა), რომელიც წლებს ქრისტეს დაბადების თარიღიდან ითვლის.

ათასწლეულების მანძილზე მრავალრიცხოვანი კალენდრების შექმნას მხოლოდ სამეურნეო და სამოქალაქო ცხოვრების რეგულირების საჭიროება როდი განაპირობებდა. ამ მხრივ არანაკლები და ხშირად გადამწყვეტი როლი ითამაშეს რელიგიურმა მოტივებმაც. რელიგიური დღესასწაულების და მარხვებისათვის, რომლებსაც თავიდანვე დიდი ადგილი ჰქონდათ მიჩენილი რელიგიურ წეს-ჩვეულებათა სისტემებში, აუცილებელი იყო შესაბამისი თარიღების წინასწარ გამოთვლა. ამიტომაც, ხშირ შემთხვევაში კალენდრების შემუშავებას და სრულყოფას რელიგიურ სფეროში ჰქონდა ადგილი. ეს ტენდენცია კიდევ უფრო მკაფიოდ გამოვლინდა ქრისტიანული ეკლესიის მაგალითზე, რომელმაც ახალი ეტაპი შექმნა კალენდრის თეორიის და პრაქტიკის ისტორიაში.

ქრისტიანული ეკლესიის წეს-ჩვეულებათა სისტემაში ცენტრალური ადგილი უჭირავს ქრისტეს აღდგომის ანუ პასექის დღესასწაულს. ამასთან ერთად ეს სისტემა ითვალისწინებდა მთელ რიგ „უძრავ“ და „მოძრავ“ დღესასწაულებსა და მარხვებს, რომელთაგან „უძრავი“ ყოველთვის წლის ერთი და იმავე

რიცხვზე, ხოლო „მოძრავი“ სხვადასხვა წლებში სხვადასხვა თარიღზე მოდიოდა.

ქრისტიანულ წეს-ჩვეულებათა სისტემის საბოლოო სახით ჩამოყალიბებას ისტორიულად რამდენიმე საუკუნე დასჭირდა, რაც განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ საწყის ეტაპზე არ არსებობდა ერთიანი შეხედულება, თუ როდის უნდა ედღესასწაულათ აღდგომა და როგორ გამოეანგარიშებინათ მისი შესაბამისი თარიღი.

პასექის ანუ აღდგომის აღნიშვნის ჩვეულება ქრისტიანებმა ებრაელებისგან გადმოიღეს, რომლებიც თავის პასექს ებრაული მთვარე-მზის კალენდრით პირველი თვის ნისანის 15 რიცხვში აღნიშნავდნენ (ეს რიცხვი ჩვეულებრივ საგვსემთვარეობაზე მოდიოდა). ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში მცირე აზიის და პალესტინის ქრისტიანები აღდგომას ებრაელებთან ერთად 15 ნისანს ღესასწაულობდნენ და მხედველობაში არ იღებდნენ ამ თარიღის კვირის დღეს. მაგან განსხვავებით ალექსანდრიასა და რომში დღესასწაულს მხოლოდ კვირა დღეს აღნიშნავდნენ, ვინაიდან ამოსავალ დებულებად მიჩნეული იყო ცნობა მაცხოვრის კვირა დღეს აღდგომის შესახებ. მაგრამ ვინაიდან ეს ეკლესიები დიდი ხნის განმავლობაში ვერ მორიგდნენ, თუ სახელდობრ რომელი კვირა უნდა ყოფილიყო შერჩეული, სადღესასწაულო კვირა ალექსანდრიულ პრაქტიკაში 22 მარტი--25 აპრილის, ხოლო რომაულ პრაქტიკაში 20 მარტი--21 აპრილის შემცველ პერიოდებზე მოდიოდა (ამის შედეგად პასქალური კვირების ერთმანეთისგან დაშორება საკმაოდ საგრძნობ ინტერვალში--ერთიდან ხუთ კვირამდეც კი მერყეობდა).

მიეღ ქრისტიანულ სამყაროში ქრისტიანული პასექის ერთდროულად აღნიშვნის მიზნით ნიკეის მსოფლიო კრებამ მიიღო დადგენილება, რომელიც ყველა ეკლესიას ავალდებულებდა აღდგომის დღესასწაულის აღნიშვნას ალექსანდრიის ეკლესიის მიერ რეკომენდირებული წესების მიხედვით. ალექსანდრიელებმა, რომლებიც გამოირჩეოდნენ თავისი სწავლულობით და კალენდრის თეორიის საფუძვლიანი ცოდნით, ჯერ კიდევ III საუკუნეში შეიმუშავეს აღნიშნული წესების ძირითადი პრინციპები. ამ წესების კრებულს, რომელსაც ხშირად დართული ჰქონდა მომავალი წლებისათვის წინასწარ გამოანგარიშებული აღდგომის დღეების ცხრილი, პასქალიის სახელწოდებით საუკუნეების მანძილზე თითქმის უცვლელად იყენებდა და დღესაც იყენებს საეკლესიო პრაქტიკა.

ნიკეის კრებისადმი რეკომენდებული წესების თანხმად აღდგომა მხოლოდ კვირა დღეს უნდა აღენიშნათ. კონკრეტულად, ეს უნდა ყოფილიყო პირველი კვირა იმ სავსემთვარეობის შემდეგ, რომელიც თავის მხრივ გაზაფხულის დღელამტოლობის დღეს მოსდევს ან უშუალოდ ამ დღეს თანხვდება. გაზაფხულის დღედალამტოლობის დღედ კრებამ მიიღო 21 მარტი (იმ წლებში აღნიშნული ეს ასტრონომიული მოვლენა სწორედ ამ თარიღზე მოდიოდა). რაც შეეხება სავსემთვარეობას, რომელსაც საალდგომო დღესთან აღნიშნული დამოკიდებულების გამო პასქალური სავსემთვარეობა ეწოდა, მთვარე-მზის კალენ-

დრით მის გამოანგარიშებას საფუძვლად უნდა დადებოდა 19-წლიანი მთვარის ციკლი. მეტონის ეს ციკლი, რომელიც უფრო ზუსტი იყო, ვიდრე მანამდე გამოყენებული 8-, 16-, 30- თუ 84- წლიანი მთვარის ციკლები, საეკლესიო პრაქტიკაში „ალექსანდრიული წრის“ ანუ „ალექსანდრიული მთვარის ციკლის“ სახელწოდებით დამკვიდრდა. მთვარის ფაზების და კერძოდ სავსემთვარეობის განმეორადობის ამ სრულ ციკლთან კვირის დღეების განმეორებადობის სრული (მზის 28-წლიანი) ციკლის შესაბამისობაში მოყვანით, შემდგომში გამოიმუშავეს 532-წლიანი ციკლი, რომელიც სავსემთვარეობის თარიღისა და მისი კვირის დღის განმეორადობის სრულ ციკლს წარმოადგენდა. ეს ციკლი დაედო საფუძვლად 532-წლიან პასქალურ ცხრილს, რომელშიც აღნიშნული დროის ინტერვალისთვის მოყვანილი იყო აღდგომისა და სხვა პასქალური მახასიათებლების წინასწარ გამოთვლილი მონაცემები. VI საუკ. მიწურულისათვის პასქალიებში ამ ცხრილმა საბოლოოდ დაიმკვიდრა თავისი ადგილი, როგორც პასქალურ-კალენდარული სისტემის ძირითადმა შემადგენელმა კომპონენტმა. ყოველი ასეთი ცხრილი ისევე როგორ მისი მომცველი პასქალურ-კალენდარული სისტემა, შესაბამისობაში იყო მოყვანილი გარკვეულ წელთაღრიცხვასთან. ადრეულ ეტაპზე იყენებდნენ დიოკლეტიანეს ერას (ეპოქით 284 წლის 29 აგვისტო), შემდგომში კი „ახალ ერას“. ძალზე გავრცელებული იყო ბიბლიურ მონაცემებზე დამყარებული წელთაღრიცხვები, რომლებიც წლების ათვლას „დასაბამითგან“ ანუ „ქვეყნის გაჩენიდან“ ითვალისწინებდნენ. ასეთი წელთაღრიცხვის ერთ-ერთი პირველი სახეობა შეიმუშავა იულიუს აფრიკელმა (226 წ.), რომელიც „დასაბამითგან“ ქრისტეს დაბადებამდე 5500 წელს ითვლიდა. მოგვიანებით შემოიღეს პანოდორე ალექსანდრიელის (ძვ.წ. 5493 წ. 29 აგვისტო), ანიანე ალექსანდრიელის (ძვ. წ. 5492წ. 25 მარტი), ბიზანტიური (ძვ. წ. 5508 წ. 1 მარტი ან 5509 წ. 1 სექტემბერი) წელთაღრიცხვები. ადრეულ პერიოდში საყოველთაოდ აღიარებული იყო ანიანეს ანუ ალექსანდრიული ერა, რომელიც დაახლოებით X საუკუნიდან ბიზანტიურმა ერამ შეცვალა.

საქართველოში კალენდრის გამოყენების პრაქტიკა საკმაოდ ადრეულ ისტორიულ პერიოდთან არის დაკავშირებული. პირველი კალენდარი, რომლითაც უძველეს დროში სარგებლობდნენ ქართველები, მთვარის კალენდარს წარმოადგენდა. ძვ. წ. V საუკუნიდან (სხვა მოსაზრებით ძვ. წ. I საუკუნიდან) მთვარის კალენდარი მზის კალენდარმა შეცვალა, რომლის მიხედვითაც მოძრავი კალენდარული წელიწადი 365 დღე-ღამისაგან შედგებოდა. ამ 365 დღე-ღამისაგან 360 დღე-ღამე გადანაწილებული იყო 30-30 დღე-ღამიან თორმეტ თვეზე, ხოლო დარჩენილი 5 დღე, როგორც დამატებითი დღეები (ეპაგომენები) მეთორმეტე თვის ბოლოს მოდიოდა. კ. კეკელიძის ცნობით ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნეში შემოიღეს ნაკიანი წლების სისტემა, რომლის ჩვენებამდე სადაც უძრავად გადაქმნილ წელიწადს მეთორმეტე თვის ბოლოს ჩვეულებრივ წლებში 5, ხოლო ნაკიანში კი უკვე 6 დღე ემატებოდა. ახალი წელი იულიუსის კალენდრის მიხედვით 6 აგვისტოს იწყებოდა.[1] 12 თვე, რომელთაც ძველი ქართული სახელები შემორჩათ, ერთმანეთს მოსდევდნენ შემდეგი თანმიმდევ-

[1] კ.კეკელიძე, ეტიუდები, 1, თბ., 1956 გვ. 116-117.

რობით: ახალწლისა, სთვლისა, ტირისკნისი, ტირისდენი, აპნისი, სურწყუნისი, მირკანი, იგრიკა, ვარდობისა, მარიალისა, თიბისა და ქველთობისა.

კ. კეკელიძის მონაცემებით, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ აგვიტოს წელიწადთან ერთად თანდათან ფეხი მოიკიდა სექტემბრის წელიწადმაც. VII საუკუნიდან ამ უკანასკნელმა საბოლოოდ შეცვალა აგვისტოს წელიწადი, რასაც დაემთხვა თვეების რომაული, ე.ი. თანამედროვე სახელების შემოღების პროცესიც. როგორც სამოქალაქო წელიწადი, სექტემბრის სტილის წელიწადი X საუკუნის ნახევრამდე გამოიყენებოდა, ხოლო შემდგომ მან საეკლესიო წელიწადის ადგილი დაიკავა. IX-X სს. მიჯნაზე ე.წ. ქრონიკონული წელთაღრიცხვის შემოსვლასთან დაკავშირებით შემოღებული იქნა მარტის წელიწადი, რომელიც 1 მარტიდან იწყებოდა. ეს სამოქალაქო წელიწადი Xს. მეორე ნახევრამდე იხმარებოდა, შემდეგ კი ადგილი დაუთმო იანვრის წელიწადს და თვითონ ქრონიკონული წელიწადის საფუძვლად დარჩა. იანვრის წელიწადს, მიუხედავად იმისა რომ ის საკმაოდ ადრე ჯერ კიდევ Xს. მეორე ნახევრიდან შემოვიდა, დიდხანს უხდებოდა ბრძოლა ცხოვრებაში განმტკიცებისათვის. საბოლოო ბატონობა მან მხოლოდ XIV საუკუნიდან მოიპოვა.[1]

ქრისტიანობის შემოსვლისას სამოქალაქო წელიწადთან ერთად ფუნქციონირება დაიწყო საეკლესიო წელიწადმაც. პირველ ეტაპზე გამოიყენებოდა უძველესი აღმოსავლური ტიპის ეორტალოგიური წელიწადი, რომელიც Xს. მეორე ნახევრიდან გაბატონებული ბიზანტიური პრაქტიკის მეშვეობით სექტემბრის წელიწადით შეიცვალა. ქართული ეკლესია თავიდანვე იულიუსისეულ კალენდარს იყენებდა და დღესაც სხვა მართლმადიდებელი ეკლესიების მსგავსად ამ კალენდარს იყენებს.

სხვადასხვა დროს წლების აღსარიცხავად საქართველოში გამოიყენებოდა სხვადასხვა სისტემა (ირანის შაჰების, ბიზანტიის კეისრების და საქართველოს მეფეთა მეფობის წლები). რელიგიური წელთაღრიცხვის სისტემებიდან გავრცელებული იყო 3 ერა: ქვეყნის შექმნიდან, „ქრისტესით“ და „ქრონიკონით“.

ქვეყნის შექმნის (ანუ „ქვეყნის დასაბამის“) ერებიდან ყველაზე უფრო გავრცელებული იყო ალექსანდრიული 5492-წლიანი ერა, ქართული 5604-წლიანი ერა და ბიზანტიური 5508-წლიანი ერა. ალექსანდრიული ერა უძველესი დროიდან X ს. ნახევრამდე იხმარებოდა. ქართული ერა, რომელიც კ. კეკელიძის მოსაზრებით IV ს. მეორე ნახევარში უნდა იყოს შემოღებული,[1] დღესაც გამოიყენება საეკლესიო პრაქტიკაში. ბიზანტიური ერა პირველად X-XI ს. მიჯნაზე შემოიღეს ათონის ქართული ლიტერატურული სკოლის წარმომადგენლებმა და მათი მეშვეობით ეს ერა საქართველოშიც გავრცელდა ქართული ერის პარალელურად.

ერა „ქრისტესით“, რომელიც დიონისე მცირემ შემოიღო, საქართველოში

---

[1] კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრომი გვ. 119-124

ალმოსავლეთის სხვა ქვეყნებთან შედარებით საკმაოდ ადრე დამკვიდრდა (პირველად ის გვხვდება იოანე საბანისძის თხზულებაში, რომელიც VIII ს. მიწურულით თარიღდება). ეს ერა სამი ვარიაციით იყო ცნობილი: ერთ შემთხვევაში ამოსავალ დებულებად ქრისტეს დაბადება იყო მიღებული, მეორე შემთხვევაში—ქრისტეს „ვნება, ჯვარცმა და აღდგომა“, ხოლო მესამე შემთხვევაში—ქრისტეს ამაღლება[1].

ქრონიკონული ერა, რომელიც 532-წლიან ციკლზე იყო დაფუძნებული, VIII-IX სს. მიჯნაზე შემოვიდა. 5604-წლიანი ერით ახ. წ. 780 წელს მთავრდება 532 წლიანი პერიოდის მე-12 ციკლი ანუ მოქცევა. ასე რომ, შემდგომი მე-13 და მე-14 მოქცევას შესაბამისად 780-1312 და 1312-1844 წლებში ჰქონდა ადგილი და სწორედ ამ ორი მოქცევით შემოიფარგლება დოკუმენტურ წყაროებში არსებული თარიღები.

* * *

აღდგომისა და „მოძრავი“ დღესასწაულების თარიღების გამოთვლასთან დაკავშირებით ქრისტიანულმა ეკლესიამ ჯერ კიდევ ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში შემოიღო დათარიღების ახალი ტიპის დამხმარე ელემენტები, რომლებიც თავისი შინაარსით პასქალურ-კალენდარულ მახასიათებლებს განეკუთვნებიან (ე.წ. მზის და მთვარის წრეები, შვიდეული, ზედნადები, ხუთეულ-ექვსეული და ა.შ.). შემუშავდა, აგრეთვე, სათანადო მათემატიკური აპარატიც, რომელიც ამ მახასიათებლების მიმართ მსგავსი გამოთვლითი ოპერაციების ჩატარებას ითვალიწინებდა.

გამოთვლითი ოპერაციების მსგავსება განაპირობა თვით მახასიათებლების ციკლურობამ, ანუ დროის გარკვეულ შუალედში განმეორადობამ. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვეს გარკვეული ერიდან ათვლილმა 28 და 19-წლიანმა ციკლებმა, რომელთათვის მათი შემცველი წლების რიგითი ნომრების მიხედვით წინასწარ დადგინდა შესაბამისი მახასიათებლების რიცხვითი მნიშვნელობები. ამიტომაც ნებისმიერი ამავე ერით ათვლილი წლისათვის, შესაბამისი რომელიმე მახასიათებლის გამოანგარიშების ამოცანა, ამ წლის თანმხვდენი ციკლის რიგითი ნომრის გამოთვლაზე დაიყვანებოდა.

ნებისმიერი წელიწადი (A), რომლის მახასიათებლების გამოთვლაც არის საჭირო, შეიძლება წარმოვადგინოთ ციკლის ხანგრძლივობის (m) ჯერადი რიცხვისა და არასრული ციკლის რიგითი ნომრის (r) ჯამის სახით:

$$A=km+r \qquad (1)$$

სადაც k ჯერადობის მაჩვენებელი გარკვეული დადებითი რიცხვია, ხოლო $r<m$.

ვინაიდან პასქალისტი გამომთვლელების საძიებელ სიდიდეს არასრული ციკლის რიგითი ნომერი შეადგენდა, გამოთვლის ოპერაცია მიზნად ისახავდა

[1] კ. კეკელიძე, ეტიუდები, II, თბ. 1945 წ. გვ. 330-331 2. იქვე, გვ. 326-327

A რიცხვიდან km სიდიდის გამოცალკევება-ჩამოცილებით r რიცხვის მნიშვნელობის დადგენას. ჩამოცილების ოპერაცია, რომელიც ქართულ პასქალურ-კალენდარულ ლიტერატურაში „განტევების“ სახელწოდებით არის ცნობილი, თავდაპირველად რიცხვიდან m სიდიდის მიმდევრობით (k-ჯერ) გამოკლებას ითვალისწინებდა. შემდგომში გამოკლება გაყოფის მოქმედებით შეცვალეს და ამ შემთხვევაშიც მხოლოდ არასრული ციკლის რიგითი ნომრის შესატყვის ნაშთის ფიქსირებით იფარგლებოდნენ. ამგვარი სახის გაყოფა, ე.ი. გაყოფა, რომლის მიზანსაც მხოლოდ ნაშთის დადგენა შეადგენს, თანამედროვე მათემატიკური სიმბოლოებით შეიძლება ასე გამოისახოს

$$A \equiv r \pmod{m} \qquad (2)$$

სადაც r წარმოადგენს ნაშთს A რიცხვის m რიცხვზე გაყოფისას, ანუ ნაშთს მოდულით m (თვით ფორმულა კი ამავე დროს უჩვენებს, რომ ყოველი რიცხვი შედარებადია თავის ნაშთთან მოდულით m).[1]

იგივე მოქმედება კალენდარულ ლიტერატურაში შემდეგი ჩანაწერის სახითაა წარმოდგენილი

$$r = \left| \frac{A}{m} \right| \qquad (3)$$

სადაც სიმბოლო || (სწორი ფრჩხილები) ნიშნავს, რომ რიცხვის გაყოფისას, განაყოფიდან მხოლოდ ნაშთი აიღება.

28-წლიანი ციკლი, რომელიც 28-წლიანი მზის ციკლის სახელწოდებით არის ცნობილი, დაკავშირებულია იულიუსისეულ კალენდარში კვირის დღეების განმეორადობის სრულ ციკლთან. ვინაიდან 4 წლის შემდგომ მეორდება ნაკიანი წლები, ხოლო 7 წლის შემდეგ კვირის დღეები, რიცხვი 28 ამ ორი პერიოდის საერთო უმცირეს ჯერადს წარმოადგენს. ამის გამო 28 იულიუსისეული წელიწადი სრულ 10227 დღე-ღამეს (365, 25×28=10227) ანუ სრულ 1461 კვირას შეიცავს (10227:7=1461).

ციკლში გაერთიანებული 28 წელიწადის რიგითი ნომერი ცნობილია მზის წრის სახელწოდებით.

ნებისმიერი წლისათვის მზის წრის (S) გამოსათვლელი წესი თანამედროვე სიმბოლოებით შეიძლება წარმოვადგინოთ ჩანაწერით, რომელიც ფორმულა (3)-ის კერძო შემთხვევას განეკუთვნება:

$$S = \left| \frac{A}{28} \right| \qquad (4)$$

აქ A ქვეყნის „დასაბამითგან“ ათვლილი წლების, ხოლო 28-ციკლის შემცველი წლების რიცხვებია.

მზის წრის საშუალებით გამოითვლება პასქალურ-კალენდარული მახასიათებელი, რომელიც კვირის დღეებთან არის დაკავშირებული. ქართულ წყაროებში მას „შვიდეული“ და „ხარებაც“ ეწოდება. ხოლო ბიზანტიურ პასქალურ-კალენდარულ ლიტერატურაში „მზის ეპაქტის“ (ე.ი. „მზის ზედნადების“), დასავლეთ-ევროპულში კი „კონკურენტის“ სახელწოდებით არის ცნობილი.

---

[1] იხ. O. Ope. Приглашение в теорию чисел M. 1980 г. გვ. 91-93

შვიდეული წარმოადგენს ასორიცხვნიშნის მნიშვნელობით აღებულ ანბანის პირველ 7 ასოს, რომელთა საშუალებით ინომრება კვირის დღეები: ა(1)—კვირა, ბ(2)—ორშაბათი, გ(3)—სამშაბათი, დ(4)—ოთხშაბათი, ე (5) ხუთშაბათი, ვ(6)—პარასკევი და ზ(7)-შაბათი.

შვიდეულის თავდაპირველ დანაშნულებას, როგორც ეტყობა, ციკლის თითოეული წელიწადის დასაწყისის კვირის დღის განსაზღვრა შეადგენდა. მაგრამ ამ დანიშნულებით შვიდეულის თითოეული ასო უშუალოდ წლის დასაწყისის კვირის დღეს კი არ უჩვენებდა, როგორც ამას მიიჩნევს ზოგიერთი ავტორი,[1,2] არამედ წლის დასაწყისის წინა დღის კვირის დღეს. ამ მხრივ შვიდეული გარკვეულ მსგავსებას იჩენდა მთვარის ზედნადებთან, მხოლოდ ეს უკანასკნელი თუ წლის დასაწყისის წინა დღის შესაბამის მთვარის ასაკს (ე.ი. ახალმთვარეობიდან გასულ დღეთა რაოდენობას) უჩვენებს, შვიდეული ამავე თარიღისათვის კვირის „ასაკს“ აფიქსირებდა 7–დღიანი ციკლის ფარგლებში. შვიდეულის, როგორც წლის დასაწყისთან დაკავშირებულ ზედნადებური ტიპის მახასიათებელზე უნდა მიანიშნებდეს მისი ბერძნული სახელწოდებაც, რომლის კალკს—„მზის ზედნადებს“ ზოგჯერ ქართულ წყაროებშიც ვხვდებით.

პასქალურ გამოთვლებში წლის დასაწყისის კვირის დღის ცოდნა აუცილებელია იმავე წლის პასქალური ახალმთვარეობის თარიღის კვირის დღის დასადგენად. ვინაიდან სექტემბრის, ოქტომბრის ან თუნდაც იანვრის წელიწადისათვის ეს თარიღები საკმაოდ დაცილებულია წლის დასაწყისს (პასქალური ახალმთვარეობები ძირითადად მარტის 21-31 რიცხვების პერიოდზე და ნაწილობრივ აპრილის საწყის ხუთეულზე მოდის), გამოთვლებისათვის ძალზე მოსახერხებელი იყო შვიდეულის დამატებით ფიქსირება მარტის მესამე დეკადის ფარგლებში. კონკრეტულად კი ამ დეკადის ისეთი რიცხვი უნდა ყოფილიყო შერჩეული, რომლის კვირის დღეც წლის დასაწყისის წინა დღის კვირის დღეს თანხვდებოდა. ამიტომაც არის, რომ მაგალითად, ერთ-ერთ ბიზანტიურ პასქალურ-კალენდარულ სისტემაში ასეთ თარიღად მიღებულია 24 მარტი (მზის ციკლისათვის წელიწადის საწყისს აქ 1 ოქტომბერი წარმოადგენს, ხოლო 30 სექტემბრის კვირის დღე თანხვდება 24 მარტის კვირის დღეს), ხოლო ქართულში 25 მარტი (წლის დასაწყისი 1 იანვარი, ხოლო 31 დეკემბრის კვირის დღე თანხვდება 25 მარტის კვირის დღეს). ქართულ სისტემაში „ხეთავსებითი“ თარიღის ხარების დღესთან (25 მარტთან) თანხვდენამ, თავის მხრივ განაპირობა შვიდეულის მეორე სახელწოდების შემოღება „ხარების“ სახით.

ციკლის ნებისმიერი წლისათვის შვიდეულის გამოსათვლელი ერთ-ერთი წესი შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი ფორმულის სახით:

$$a = \left| \frac{S + \left[\frac{S}{4} \right]}{7} \right| \qquad (5)$$

[1] Б.В. Штеингель. Опыт полного исследования начал и правил хронологического и месяцесловного счисления. СПб., 1819, გვ. 167

[2] კლიმიშინი, დასახ. ნაშრომი გვ. 94

სადაც *a* შვიდეულის რიცხვია, **S**––მზის წრე, ხოლო სიმბოლო [] (კვადრატული ფრჩხილები) ნიშნავს, რომ განაყოფიდან აიღება მხოლოდ მთელი ნაწილი (მთლიანად ამ ფრჩხილებში ჩასმული გამოსახულება ნაკების ხარჯზე კვირის დღეთა რიცხვის წანაცვლებას ითვალისწინებს).

ხშირად გამომთვლელები სარგებლობდნენ მზა ცხრილით, რომელშიც მოყვანილია მზის 28 წრე და მათი შესაბამისი შვიდეულის ასოების განრიგი:

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28
ა	ბ	გ	ე	ვ	ზ	ა	გ	დ	ე	ვ	ა	ბ	გ	დ	ვ	ზ	ა	ბ	დ	ე	ვ	ზ	ბ	გ	დ	ე	ზ

აღნიშნული ფორმულა და მისი შესაბამისი ცხრილი ქართულ გამოთვლით პრაქტიკაშიც გამოიყენებოდა. აქ ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ 2 დღით შვიდეულის რიცხვი ყოველ მეოთხე (ნაკიან) წელიწადს ინაცვლებს, მაშინ როდესაც ამ წლის დასაწყისის, ე.ი. პირველი იანვრის კვირის დღე მხოლოდ 1 დღით იცვლება. 1 იანვრისაგან განსხვავებით 25 მარტისათვის წინარე 29 თებერვლის ხარჯზე ეს წანაცვლება უკვე ორდღიანია. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ შვიდეულის მნიშვნელობები ამ შემთხვევაში 25 მარტისათვის არის გათვლილი. შეუსაბამობა, რომელიც 1 იანვართან და საერთოდ 29 თებერვლამდე ათვლილ დღეებთან დაკავშირებით შეიძლება აღიძრას, ადვილად იხსნება ამ ინტერვალისათვის ერთდაკლებული შვიდეულის გამოყენებით (როგორც აბუსერისძის თხზულების გარჩევისას დავრწმუნდებით, სწორედ ასეთ ღონისძიებას ითვალისწინებდნენ ქართველი გამომთვლელები). ამიტომაც შვიდეულს იმ დანიშნულებითაც იყენებდნენ, რა დანიშნულებაც შეიძლება ჰქონოდა წლის დასაწყისის კვირის დღის განმსაზღვრელ მახასიათებელს. კერძოდ, მისი საშუალებით გამოითვლებოდა წელიწადის ნებისმიერი დღის კვირის დღე (K). გამოსათვლელი წესი შეიძლება შემდეგი ფორმულის სახით წარმოვადგინოთ:

$$K = \left| \frac{a + D}{7} \right| \qquad (6)$$

სადაც D––წლის დასაწყისიდან მოცემულ თარიღამდე ათვლილი დღეთა რიცხვია.

გამოთვლების გასამარტივებლად წლის დასაწყისიდან მოცემულ თარიღამდე ათვლილი დღეთა რიცხვის ნაცვლად საგამომთვლელო პრაქტიკაში შემოიღეს მუდმივი თვიური კოეფიციენტები, ანუ ქართული ტერმინოლოგიით თვის დღისსაძიებლები. დღისსაძიებლების რიცხვითი მონაცემების საშუალებით ფიქსირდება კვირის დღის წანაცვლება, რომელსაც ადგილი აქვს თვიდან თვეზე გადასვლისას (წელიწადის ფარგლებში). ყოველი თვისათვის ეს რიცხვითი მონაცემები იმ ნაშთის ტოლია, რომელსაც წლის დასაწყისიდან გასული თვეების დღეთა რაოდენობა იძლევა შვიდზე გაყოფისას (ფორმალურად დღისსაძიებელიც ზედნადებური ტიპის კალენდარულ მახასიათებლებს მიეკუთვნება, ვინაიდან ყოველი თვის დღისსაძიებლის რიცხვითი სიდიდე წინა თვის ბოლო დღისათვის ათვლილ კვირის „ასაკს“ იძლევა).

პირველი თვისათვის დღისსაძიებლის რიცხვი, რომელი თვითაც (მაგ. სექტემბრით, ოქტომბრით, იანვრით თუ სხვ.) არ უნდა იწყებოდეს წელიწადი, ყოველთვის ნულის ტოლია გასული დღეების არარსებობის გამო. შემდგომი თვეებისათვის უკვე თავს იჩენს საწყისი თვის ფაქტორი. იანვრის წელიწადისათვის კოეფიციენტების ცხრილი ასე გამოიყურება:

თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
დღისსაძიებელი	0	3	3	6	1	4	6	2	5	0	3	5

დღისსაძიებლის (d), შვიდეულის (*a*) და თვის რიცხვის (n) საშუალებით შეიძლებოდა წლის ნებისმიერი თარიღის გამოთვლა. ამ წესის შესატყვის თანამედროვე ფორმულას შემდეგი სახე აქვს

$$K = \left| \frac{d + a + n}{7} \right| \qquad (7)$$

სადაც ნაკიანი წლის იანვარ-თებერვლის თვისათვის შვიდეულის მნიშვნელობას ერთი აკლდება.

მზის წრის, შვიდეულის და კვირის დღის გამოსათვლელი წესების (იხ. ფორმულები 4,5,7) ერთობლივი გამოყენებით კი უკვე ადრეულ საუკუნებში გამომთვლელებს შეეძლოთ იულიუსისეული კალენდრის ნებისმიერ წლის ნებისმიერი დღის კვირის დღის გამოანგარიშება.

პასქალურ-კალენდარული გამოთვლებთან დაკავშირებით, ფაქტობრივად, ხელახლა გამოიგონეს 19-წლიანი ციკლი, რომელიც ამჯერად იულიუსისეულ კალენდართან მოიყვანეს შესაბამისობაში. შემდგენლების დაშვებით, ყოველ 19 წლის შემდგომ მთვარის განსაზღვრული ფაზები იულიუსისეული კალენდრის ზუსტად ერთსა და იმავე თარიღებს თანხვდებიან. 19-წლიანი ციკლის საფუძველზე შეადგინეს თავისებური მუდმივი საეკლესიო კალენდარი, რომელშიც ყოველი წლის ახალმთვარეობები (უფრო ზუსტად ნეომენიები) შეპირისპირებული იყვნენ კალენდარული თვეების კონკრეტულ თარიღებთან. ჩვეულებრივ ციკლის დასაწყისში ნეომენია პირველი კალენდარული თვის პირველ რიცხვზე მოდიოდა. შემდგომ წლებში კი მზის და მთვარის წელიწადების ხანგრძლიობის 11-დღიანი სხვაობის ხარჯზე, ნეომენია წინა წელთან შედარებით 11 დღით ადრე ან 19 დღით გვიან ხდებოდა (თუ წინა წელი 12-ის ნაცვლად 13 მთვარის თვეს შეიცავდა).

ვინაიდან ერთმანეთის მიმყოლი ოთხი 19-წლიანი ციკლიდან სამი ყოველთვის 5, ხოლო ერთი 4 ნაკიან წელიწადს შეიცავდა ამ ნაკების ნუმერაცია ყოველ 19-წლიან ციკლში განსხვავებული იყო. ამიტომაც იულიუსისეულ კალენდარში ახალმთვარეობის თარიღების 19 წელიწადზე გადასანაწილებლად უფრო მოსახერხებელი იყო ციკლის ყოველი ნაკიანი წელიწადის ჩვეულებრივ (ე.ი. უნაკო) წელიწადად ჩათვლა. ამ შემთხვევაში ციკლი 3935 დღის (365×19=3935) შემცველი ხდებოდა და 19-წლიან რეალურ კალენდარულ ციკლთან (3939,75 დღე) შედარებით 4,75 დღით მოკლე იყო. ცხადია, რომ დღეთა იგივე რაოდენობა უნდა ამოეგდოთ მთვარის ციკლიდანაც. ამის გამო მიიღეს, რომ ციკლი

შედგება 12 ჩვეულებრივი (ე.ი. 12 მთვარის თვის ანუ 354 დღის) და 7 ემბოლისმური (ე.ი. 13 მთვარის თვის ანუ 384 დღის) შემცველი წელიწადისაგან. ამ შემთხვევაში ციკლის ხანგრძლივობა 3936 (354×12+384×7=3936) დღის ტოლი გამოდის. ეს რიცხვი გვიჩვენებს, რომ 235 სინოდური თვისაგან შედგენილ რეალურ მთვარის ციკლში, რომელიც 6939,689 დღეს შეიცავს, ამოგდებულია 3,69 დღე. უკვე „დამოკლებულ" იულიუსისეულ კალენდართან მთვარის კალენდრის შესაბამისობაში მოსაყვანად საჭირო იყო მთვარის ციკლიდან კიდევ ერთი დღის ამოგდება ანუ 19 წელიწადში ერთხელ მთვარის ფაზის უკან „გადანაცვლება" არა 11, არმედ 12 დღით. ერთი მთვარის თვის ერთი დღით ამგვარმა შემოკლებამ, რომელსაც ყველაზე ადრეულ ე.წ. ალექსანდრიულ ციკლში ციკლის ბოლოს ანხორციელებდნენ, შუასაუკუნეების ევროპაში „მთვარის ნახტომის" სახელწოდება მიიღო.

ამგვარ მუდმივ კალენდარში რეალური მთვარის თვეების ხანგრძლიობის „სიჭარბე" პრაქტიკულად კომპენსირდება ნაკიანი წლების 366 დღით, თუმცა არც ერთი და არც მეორე „ცხადი" სახით კალენდარში არ არის.[1]

19-წლიან ციკლში წელიწადის რიგით ნომერს **მთვარის წრე** ეწოდება (ანუ **„ოქროს რიცხვი"** ალექსანდრიულ ციკლისათვის). ნებისმიერი, დასაბამითგან ათვლილი წლისათვის (A), მთვარის წრე (L) მზის წრის მსგავსად გამოითვლებოდა, მხოლოდ ამ შემთხვევაში გამყოფს რიცხვი 19 შეადგენს:

$$L = \left|\frac{A}{19}\right| \qquad (8)$$

თუ მზის 28-წლიან ციკლში ყოველი წლის დასაწყისის კვირის დღის დასადგენად შვიდეულით სარგებლობდნენ, 19-წლიან ციკლში ყოველი წელიწადის პირველი ახალმთვარეობის (ნეომენიის) თარიღის დასადგენად **მთვარის ზედნადები** (მთვარის ეპაქტა) გამოიყენებოდა. ზედნადები წარმოადგენს ყოველწლიურ დაგროვებას იმ 11-დღიან ნაჭარბისა, რომლითაც ყოველი მზის წელიწადი მთვარის წელიწადს აღემატება, ანუ მეორენაირად რომ განვმარტოთ, ზედნადები წარმოადგენს მთვარის ასაკს, რომელიც წლის დასაწყისის წინა დღეზე მოდის. ვინაიდან 19-წლიან ციკლებს წელთაღრიცხვასთან მიმართებაში ისე ადგენდნენ, რომ ნეომენია ციკლის საწყის დღეზე მოსულიყო, ასეთი ციკლების პირველი წლისათვის ზედნადები ყოველთვის 30-ის ანუ 0-ის ტოლი იყო (30≡0 (mod 30))

ალექსანდრიული ციკლის ერთ-ერთი სახეობისთვის ნაჭარბი დღეების ყოველწლიური დაგროვება 22 მარტისათვის აითვლება და, ვინაიდან პირველი წლის პირველი ნეომენია აქ 23 მარტს მოდის, შესაბამისი ზედნადებიც ნულის ტოლია. ამგვარი ათვლის გამო ზოგიერთი მკვლევარის მიხედვით მთვარის ზედნადები კონკრეტულად 22 მარტს ათვლილ მთვარის ასაკს წარმოადგენს.[2]

ზედნადების ცნების ერთ კონკრეტულ თარიღთან დაკავშირება გაუმარ-

---

[1] კლიმიშინი, დასახ. ნაშრომი, გვ. 74-78.

[2] იქვე, გვ. 75-76

თლებელი ჩანს, ვინაიდან პასქალურ-კალენდარული გამოთვლებისას სხვადასხვა სისტემებში განსხვავებული საწყისი თვის წელიწადი გამოიყენებოდა. თვით 22 მარტის არატიპური შემთხვევა იმით უნდა იყოს განპირობებული, რომ ალექსანდრიულ ციკლი, რომელშიც ზედნადების ათვლას ამ თარიღიდან აწარმოებდნენ, უფრო ადრეული ალექსანდრიული ციკლიდან იყო გადმოკეთებული. ადრეულ ალექსანდრიულ ციკლში ეგვიპტურ თვეებს იყენებდნენ და ციკლის დასაწყისად 1 ტოტი (ე.ი. 29 აგვისტო) იყო მიღებული (ნეომენია ამავე თარიღზე მოდიოდა და 28 აგვისტოსათვის ათვლილი ზედნადების რიცხვი შესაბამისად ნულის ტოლი იყო). მოდიფიცირებულ ციკლში საწყისი თარიღი 29 აგვისტოდან 1 მარტზე გადაიტანეს. მაგრამ, ვინაიდან ნეომენია ამ თვეში 23 მარტს მოდიოდა, ციკლის პირველი ზედნადებისათვის ნულის მნიშვნელობის შესანარჩუნებლად ჭარბ დღეთა ათვლა 22 მარტს უნდა დაეწესებინათ.

თუ პირველ წელს ზედნადები 0-ს (30-ს) შეადგენს, მეორე წელს 11 დღით მთვარის ფაზის უკან წანაცვლებას ის ამავე რიცხვით აფიქსირებს. მესამე წელიწადს ზედნადები უკვე 22-ია. ამ წელიწადში ხდება დამატებითი მე-13 თვის ჩართვა, რის შედეგადაც მთვარის ფაზა 19 დღით წინ იწაცვლებს, ვინაიდან მორიგი 11 დღის უკან და მე-13 თვის 30 დღის წინ წანაცვლება ჯამში იძლევა 19-ს (30-11=19). ამ მოვლენას შესაბამისად აფიქსირებს მე-4 წლის ზედნადების რიცხვი 3: 11 დღის მორიგი უკუწანაცვლება მე-3 წლის ზედნადებთან (22) შეჯამებით 33-ს იძლევა, ხოლო აქედან წინ გადანაცვლების მაჩვენებელი რიცხვი (30-ის) გამოკლებით მიიღება 3. ზედნადების რიცხვის 30-ზე გადაჭარბებისას 30-ის ჩამოცილებას, ანუ პირობის დაცვას, რომ ზედნადები არ შეიძლება 30-ზე მეტი იყოს, საფუძვლად უდევს ის გარემოება, რომ ნეომენიის თარიღი მზის წელიწადის საწყის თარიღთან მახლობლობაში უნდა იყოს და მათ შორის ინტერვალი არ შეიძლება მთვარის 1 სავსე თვის ხანგრძლიობას (ე.ი. 30 დღეს) გადაცდეს.

ზედნადები აფიქსირებს „მთვარის ნახტომსაც“, ვინაიდან მისი მნიშვნელობა ამ შემთხვევაში 11 დღის ნაცვლად 12 დღით იზრდება. მაგალითად, ქართულ 19-წლიან ციკლში, სადაც ამ „ნახტომს“ ადგილი აქვს, მთვარის მე-17 წრიდან მე-18-ზე გადასვლისას, თუ პირველის ზედნადები 26-ს შეადგენს, მეორისათვის 7-ის ნაცვლად უკვე 8 მიიღება: $\left|\frac{26 + 12}{30}\right| = 8$

მთვარის 19-წლიანი ციკლის ნებისმიერი წლისათვის ზედნადები (Z) ადვილად გამოითვლება შესაბამისი მთვარის წრის საშუალებით:

$$Z = \left|\frac{11(L - 1)}{30}\right| \qquad (8)$$

ზედნადებთან არის დაკავშირებული პასქალურ-კალენდარული ელემენტების ე.წ. **ხუთულისა და ექვსეულის** წარმომავლობაც. მზის წელიწადში პირობითად შვიდი 30-დღიანი და ხუთი 31-დღიანი თვის შემცველობისას (თებერვლის თვის 30 დღემდე შევსებისას ორი 31-დღიანი თვის ხარჯზე), ამ თვეების მიმართება

მთვარის 6 ცარიელი და 6 სავსე თვისადმი ასე შეიძლება წარმოვადგინოთ: ხუთი 31-დღიანი თვე მეტია ხუთ სავსე (30-დღიან) თვეზე ხუთი დღით. შვიდი 30-დღიანი თვიდან კი ერთი მე-6 სავსე (30-დღიანი) თვის ტოლია, ხოლო დანარჩენი ექვსი მეტია 6 ცარიელ (29-დღიან) თვეზე ექვსი დღით. ეს ყოველწლიური 5 და 6-დღიანი მატებები წარმოადგენენ ხუთეულს და ექვსეულს, რომელთა ჯამიც 30-ზე გაყოფისას ნაშთში ზედნადების რიცხვით მნიშვნელობას იძლევა. 19-წლიანი ციკლის ფარგლებში, ხუთეულის რიცხვი 5-დან 95-მდე ხოლო ექვსეულის რიცხვი 6-დან 114-მდე იზრდება. ამ მახასიათებლებს ძირითადად იყენებდნენ მთვარის ასაკის ზუსტი გამოთვლების დროს.

ზედნადები თუ 19-წლიან ციკლში ნებისმიერი წლის დაწყების წინ მთვარის ასაკს აფიქსირებდა, ერთი წელიწადის ფარგლებში უკვე კალენდარული თვეების მიმართ მსგავსი ფუნქციები ე.წ. თვიურ ზედნადებებს ანუ ქართული ტერმინოლოგიით **თვიურ ანკრებებს** ჰქონდათ დაკისრებული.

დღისსაძიებლის მსგავსად საწყისი თვის ანაკრები ყოველთვის ნულის ტოლია. რაც შეეხება მომდევნო თვეებს, მათი რიცხვითი მონაცემები დამოკიდებულია ორ გარემოებაზე: რომელ თვეს წარმოადგენს საწყისი თვე (სექტემბერი, ოქტომბერი თუ სხვ.) და როგორი მონაცვლეობით არის მისადაგებული კალენდარულ თვეებთან 'სავსე და ცარიელი მთვარის თვეები.

კონკრეტულ მაგალითად აღებული იანვრის წელიწადისათვის თუ ჩავთვლით, რომ კენტი ნომრები ცარიელ (29), ხოლო ლუწი ნომრები სავსე (30) თვეებს შეესაბამება, მაშინ მთვარის პირველი თვე, რომელიც პირველ იანვარს იწყება, 29 იანვარს დასრულდება, ხოლო 30 იანვარს მეორე თვის ნეომენიას ექნება ადგილი. 31 იანვარს მთვარის ასაკი უკვე 2 დღეს შეადგენს და, მაშასადამე, რიცხვი 2 თებერვლის თვის ანაკრები იქნება. მთვარის მეორე (სავსე) თვე 28 თებერვალს დასრულდება. შესაბამისად მარტის თვის ანაკრები ისევ 30 ანუ ნული იქნება (ასეც უნდა ყოფილიყო, ვინაიდან 1 იანვარსა და 1 მარტს შორის არსებული დროის 59-დღიანი ინტერვალი მთვარის სავსე და ცარიელი თვის ჯამურ ხანგრძლივობას შეადგენს). მთვარის მესამე ცარიელი თვე მარტის 1-29 რიცხვების ინტერვალს მოიცავს. ვინაიდან შემდგომი (მე-4) მთვარის თვის ნეომენია 30 მარტს მოდის, 31 მარტს ათვლილი მთვარის ორდღიანი ასაკი უკვე აპრილის ანაკრებს წარმოადგენს და ა. შ.

ანალოგიური გამოთვლები ჩატარდება მეორე შემთხვევისათვისაც, ე.ი. როდესაც კენტი ნომრით სავსე (30) და ლუწი ნომრით ცარიელი (29) თვეებია წარმოდგენილი. სრული სახით ანაკრების მნიშვნელობები ორივე შემთხვევისათვის მოგვყავს ცხრილში, სადაც პირველ სტრიქონში თვის ნომერი, ხოლო მე-2 და მე-3 სტრიქონებში ანაკრებების რიცხვითი მნიშვნელობებია მოყვანილი (პირველ შემთხვევაში კალენდარული თვის კენტ ნომრებს ცარიელი და ლუწ ნომრებს სავსე მთვარის თვეები შეესაბამება, ხოლო მეორე შემთხვევაში პირიქით კენტს-სავსე და ლუწს-ცარიელი):

I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
0	2	0	2	2	4	4	6	7	8	9	10
0	1	0	1	2	3	4	5	7	7	9	9

ზედნადებისა და ანაკრების საშუალებით გამოითვლება 19-წლიანი ციკლის ნებისმიერი წლის ნებისმიერ თვეზე მოსული ახალმთვარეობა (ნეომენია). განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა საგაზაფხულო ანუ პასქალური ახალმთვარეობების (ნეომენიების) თარიღის გამოანგარიშებას, ვინაიდან მათი საშუალებით ადვილად გამოითვლებოდნენ პასქალური სავსემთვარეობის თარიღები (ნეომენიის თარიღზე ძირითადად 13 დღის დამატებით, თუმცა სხვადასხვა პასქალურ სისტემებში უფრო დიდი რიცხვების დამატებით, თუ ნეომენია ანგარიშით უფრო ადრე დგებოდა).

პასქალურად ჩაითვალა ის სავსემთვარეობა, რომელიც გაზაფხულის დღე-ღამტოლობის დღის შემდგომ ან უშუალოდ ამ დღეს დგებოდა. 21 მარტი, რომელზედაც ნიკეის კრების ჩატარების დროს მოდიოდა გაზაფხულის დღე-ღამტოლობა, ამ ასტრონომიული მოვლენის მუდმივ თარიღად იქნა მიჩნეული. თუმცა ალექსანდრიელი პასქალისტებისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო, რომ ეს თარიღი ყოველ 128 წელიწადში 1 დღით შემცირდებოდა (11 წუთისა და 14 წამის ხარჯზე, რომლითაც იულიუსისეული კალენდარული წელიწადი აღემატება რეალურ ანუ ტროპიკულ წელიწადს). მაგრამ, როგორც ეტყობა, პასქალური გამოთვლების გართულების თავიდან ასაცილებლად მათ ამ თარიღის უცვლელად დატოვება ამჯობინეს.

19-წლიან ციკლში პასქალური სავსემთვარეობის თარიღები, ფაქტობრივად, ერთნაირად იყო წარმოდგენილი თითქმის ყველა პასქალურ-კალენდარული სისტემისათვის. განსაზღვრული იყო მხოლოდ მთვარის წრეების ნუმერაცია. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში სტრიქონების მიხედვით წარმოდგენილია: 1. წლის რიგითი ნომერი ანუ მთვარის წრე (ე.წ. „ოქროს რიცხვი“ ალექსანდრიულ ციკლში) 2. პასქალური ახალმთვარეობის (ნეომენიის) თარიღები, 3. პასქალური სავსემთვარეობის თარიღები 4-5 მთვარის წრე ქართული და ბიზანტიური ციკლებისათვის:

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19
23მ	12მ	31მ	20მ	9მ	28მ	17მ	5ა	25მ	14მ	2ა	22მ	11მ	30მ	19მ	8მ	27მ	16მ	4ა
5ა	25მ	13ა	2ა	22მ	10მ	30მ	18ა	7ა	27მ	15ა	4ა	24მ	12ა	1ა	21მ	9ა	29მ	17ა
18	19	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17
17	18	19	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16

როგორც ცხრილიდან ჩანს, პასქალური ახალმთვარეობა ძირითადად მარტის თვეზე მოდის. აპრილის თვეზე „წანაცვლება“ (ალექსანდრიული ნუმერაციის მიხედვით მე-8, მე-11 და მე-18 წლებისათვის) განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ამ შემთხვევაში მარტის თვეზე მოსულ ნეომენიას (ე.ი. 6, 3 და 5 მარტს) 21 რიცხვზე ნაკლები სავსემთვარეობის თარიღები შეესაბამება (19, 16 და 18 მარტი). გაზაფხულის დღეღამტოლობის თარიღზე (ე.ი. 21 მარტზე) ადრეული პასქალური სავსემთვარეობის გამოსარიცხად, პასქალურ ახალმთვარეობებად (ნეომენიებად) მიიღეს 30 დღის შემდგომ, ე.ი. აპრილის თვეზე მოსული ნეომენიები (5,4 და 2 აპრილი), რომლებსაც უკვე 21 მარტზე გვიანდელი თარიღის სავსემთვარეობები შეესაბამებიან.

ცხრილიდან ჩანს, აგრეთვე, რომ „მთვარის ნახტომს“ ალექსანდრიულ ციკლში ადგილი აქვს დასრულებული ციკლიდან ახალ ციკლზე გადასვლის დროს: მე-19 წლის შესაბამისი პასქალური ნეომენიის თარიღი—4 აპრილი, ახალ ციკლზე გადასვლისას მორიგი 11 დღის ნაცვლად უკან ინაცვლებს 12 დღით და ახალი ციკლის პირველი წლის პასქალური ნეომენიისათვის თარიღად 23 მარტს იძლევა (ჩვეულებრივი, ე.ი. 11-დღიანი უკუწანაცვლების შემთხვევაში მიიღება 24 მარტი). ქართული და ბიზანტიური ციკლებისათვის, რომელთა ნუმერაციაც ალექსანდრიული ნუმერაციის მიმართ შესაბამისად 2 და 3 პოზიციით არის წინ გადანაცვლებული, „მთვარის ნახტომს“ ადგილი აქვს პირველისათვის მე-17 -დან მე-18, ხოლო მეორისათვის მე-16-დან მე-17 მთვარის წრეზე გადასვლისას.

პასქალურ გამოთვლებში ხშირად იყენებდნენ პასქალური სავსემთვარეობის თვის რიცხვებს, რომლებსაც ქართული ტერმინოლოგიით „**ცამეტორი**“ ეწოდება (ციკლის პირველი და მეორე წელიწადის პასქალური სავსემთვარეობის თვის რიცხვების, ე.ი. 13-ისა და 2-ის სახელწოდებების მიხედვით). ამ პასქალურ კალენდარული ელემენტით სარგებლობისას, შესაბამისი თვე (ე.ი. მარტი ან აპრილი) ყოველთვის არაცხადი სახით ფიგურირებდა გამოთვლებში რიცხვი 20-ის მეშვეობით (მარტის პასქალური სავსემთვარეობის დღის რიცხვი ყოველთვის 20-ზე მეტია, ხოლო აპრილის 20-ზე ნაკლები).

ვინაიდან პასქალური სავსემთვარეობის თარიღები მუდმივ თარიღებად იყო მიღებული, ერთხელ და სამუდამოდ შედგენილი პასქალური სავსემთვარეობების 19-წლიანი ცხრილით გამომთვლელებისათვის ავტომატურად იხსნებოდა დროში მათი ხელახლა გამოანგარიშების საჭიროება.

აღდგომის დღის გამოსაანგარიშებლად მნიშვნელოვან პასქალურ ელემენტს წარმოადგენდა სავსემთვარეობის თარიღის კვირის დღე (K). კვირის დღის გამოსათვლელი წესი შეიძლება შემდგომი ფორმულის სახით წარმოვადგინოთ:

$$K = \left| \frac{a + c + d}{7} \right| \qquad (9)$$

სადაც a–შვიდეულია, c—ცამეტორი და d–მარტის ან აპრილის დღის საძიებელი.

ეს ჩანაწერი უფრო ზოგადი ფორმულა (7)-ის კერძო შემთხვევას განიხილავს. ფორმულა (7)-ით ნებისმიერი წლის ნებისმიერი დღის კვირის დღე გამოითვლება, წარმოდგენილი ფორმულით კი—ნებისმიერი წლის ერთი კვირის დღე, რომელიც პასქალურ სავსემთვარეობას შეესაბამება.

პასქალური სავსემთვარეობის თარიღის კვირის დღის დადგენის შემდეგ, ამ თარიღიდან გადაითვლება კვირის დღეები პირველ კვირამდე, რომლის თარიღიც აღდგომის საძიებელ დღეს იძლევა.

განხილული პასქალურ-კალენდარული გამოთვლის წესები, რომლებიც ჩვენ აქ მოვიყვანეთ თანამედროვე ფორმულების სახით, ჩვეულებრივ ყველა პასქალიაში იყო წარმოდგენილი. პასქალიების თეორიული ნაწილი მხოლოდ ამ

წესების რეცეპტული გადმოცემით შემოიფარგლებოდა და ჩვეულებრივ არ შეიცავდა ცნობებს ან განმარტებებს მახასიათებლების ასტრონომიულ, კალენდარულ თუ მათემატიკურ არსთან დაკავშირებით. პასქალიების გამოყენებითი ან პრაქტიკული ნაწილი წარმოდგენილი იყო 532 ან უფრო ნაკლები წლების მომცველი ცხრილებით, რომლებშიც წლების შესაბამისად მოყვანილი იყო წინასწარ გამოთვლილი აღდგომის თარიღები და მთელი რიგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პასქალურ-კალენდარული მახასიათებლების რიცხვითი მონაცემები.

532-წლიანი ცხრილი, რომელსაც ქართულად **„დიდი ქრონიკონი“ ან „სრული ქრონიკონი“** ეწოდება, ფაქტობრივად, მუდმივმოქმედ ცხრილების განეკუთვნება. 532 წარმოადგენს 28-ისა და 19-ის საერთო უმცირეს ჯერადს, ასე რომ, 532 წლის შემდგომ ზუსტად იმავე კალენდარულ თარიღებზე მოდის როგორც კვირის დღე, ისე მთვარის ფაზები. შესაბამისად აღდგომის თარიღის განჭვრადობაც 532 წელს ითვლის და ამიტომაც „დიდი ქრონიკონი“ შემდგომ მოქცევაშიც შეიძლება გამოყენებულ იქნას.

„ქრონიკონის“ შესწავლის საკითხი

აბუსერისძე ტბელის პასქალურ-კალენდარული შრომა დიდი ხანია რაც ცნობილია სამეცნიერო ლიტერატურაში. გადამწერნი თუ მკვლევარნი, ყოველ შემთხვევაში მოყოლებულნი XVI საუკუნიდან, ცდილობდნენ ჩაღრმავებოდნენ ტექსტს და აღედგინათ პირველადი სახე. გადამწერი სვიმონ კარგარეთელი იყო პირველი, რომელმაც 1541 წელს გარკვეული ნაბიჯები გადადგა ამ მიმართულებით[1]. მოგვიანებით, 1730 წელს კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და სრულყოფილი სამუშაო შეასრულა ნიკოლოზ ორბელიანმა (საბას ძმამ)[2]. ტექსტის დადგენის საქმეში ახალი ეტაპი დაიწყო 1868 წელს, როდესაც მარი ბროსემ თხზულება გამოსცა კომენტარებითა და ფრანგული თარგმანით[3]. ხელნაწერის აღწერისას, თხზულებასთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს ჯერ თ. ჟორდანიამ (1903)[4], ხოლო შემდგომ თ. ბრეგაძემ (1973)[5]. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თხზულების შესწავლის საქმეში კ. კეკელიძემ, რომელმაც მთელი რიგი ახალი დებულებები წამოაყენა[6]. საკმაოდ დიდი ადგილი დაუთმო თხზულებას ი. სიხარულიძემ თავის გამოკვლევაში აბუსერისძის შესახებ[7]. აბუსერისძის მეცნიერული მემკვიდრეობა არც ზუსტი მეცნიერების წარმომადგენელთა ყურადღების მიღმა დარჩა: ტექსტში წარმოდგენილი მათემატიკურ-კალენდარული საკითხები გამოიკვლიეს მათემატიკის ისტორიის სპეციალისტებმა თ. ცხაკაიამ[8] და ონ. სურმანიძემ.

ალსანიშნავია, რომ ტექსტის მრავალგზის გამოკვლევის შედეგად გამოტანილი დასკვნები თითქმის ყოველთვის განსხვავებული იყო, როცა საქმე ეხებოდა თხზულების შედგენილობას და ავტორის ვინაობას. ამ შეუსაბამობის მიზეზებში გასარკვევად აუცილებელია თავდაპირველ ტექსტთან დაკავშირებული ზოგიერთი წინასწარი მონაცემების მოყვანა.

კრებულში თხზულების ტექსტი მოყვანილია 307v-338r ფურცლებზე დასათაურების გარეშე (სინგურით ჩაწერილი სათაურები მოყვანილია ცალკეული თავებისათვის, თუმცა აქაც გვხდება გამონაკლისები). შინაარსის თვალსაზრისით ტექსტი აშკარად ორ ნაწილად უნდა დაიყოს. პირველ და ძირითად ნაწილში მოყვანილია 532-წლიანი პასქალური ციკლის ცხრილი და მასთან

---

[1] ხელნ. S-312, ფფ. 92r-101r

[2] ცსსა, №№264, 268, ფფ. 110r-124r ; 174r-202v

[3] M. Brosset Etudes de chronologie technique. Memor. de l' Acad. des sciences, VII-e serie, XI №13, 1868, P 24-28

[4] Описание рукописей тифлисского церковного музея Тифлис 1903 გვ. 84.

[5] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. A კოლექცია, ტ.I, შეადგინეს თ. ბრეგაძემ, მ. ქავთარიამ და ლ. ქუთათელაძემ, თბ. 1973, გვ. 290-292

[6] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია. თბ., 1951, გვ. 305-306, 310-311.

[7] ი. სიხარულიძე, ტბელ აბუსერისძე XIII საუკუნის ქართველი მწერალი. თბ. 1963. გვ. 67-80.

[8] Д. Цхакая История математических наук в Грузии с древнеиших времен до начала XX века. Тб. 1959

დაკავშირებული პასქალურ-კალენდარული საკითხები (ფფ. 308r-336r). მეორე ნაწილი კი წარმოდგენილია აღდგომის გამოსათვლელი კომპაქტური ცხრილითა და მისი განმარტებითი ტექსტით (ფფ. 336v-338r). პირველი ცხრილი ტექსტში სისტემატურად მოიხსენება „სრული ქრონიკონის“ ან „დიდი ქრონიკონის“, ხოლო მეორე ცხრილი „ასურული კჳკლოსის“ სახელწოდებით.

თხზულების სათაურთან ერთად თხზულების პირველ ნაწილში რატომღაც საწყისი თავების სათაურებიც არ არის წარმოდგენილი. თხზულება პირდაპირ იწყება ცხრილისადმი წამძღვარებული მოკლე ფრაგმენტით, რომელშიც ავტორი ცხრილთან დაკავშირებულ ტექნიკურ დეტალებზე ამახვილებს ყურადღებას. თუმცა ფრაგმენტის საწყისი წინადადების („ამას ზედაწარწერილსა უწინარეს დასწერდით თავსა სრულისა ამის ქრონიკონისასა...“) პირველი ხუთი სიტყვა ჩაწერილია სინგურით, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს ღონისძიება „ზედაწარწერილის“ მნიშვნელობის ხაზგასასმელად და არა თავის დასასათაურებლად არის გათვალისწინებული. ცხრილის შემდგომ ასევე სათაურის გარეშე იწყება ტექსტი (ფ. 318v), რომელიც ფაქტობრივად მომდევნო, უკვე სინგურით დასათაურებული თავების („საუწყებლების“) ერთგვარ შესავალს წარმოადგენს (შემდგომი მსჯელობისათვის უფრო მოხერხებული იქნება ფრაგმენტების პირობითი სახელწოდებით მოხსენება და ამიტომაც ტექსტის ამ ნაწილისათვის და ცხრილისადმი წამძღვარებული ფრაგმენტისათვის შემოგვაქვს სახელწოდებები შესაბამისად „შესავალი“ და „ზედაწარწერილი“).

პირველი ნაწილის დასასრული ტექსტის ბოლო სიტყვის შემდგომ დასმული ტექნიკური ნიშნით (წერტილებიანი ქარაგმებით) არის მონიშნული. აქვე ცარიელად დატოვებული გვერდის ნახევარში მოგვიანებით ვიღაც უცნობ პირს (ს. კარგარეთელს?) შეუტანია ჩანაწერი, რომლის შინაარსიც გარკვეულ სიახლოვეს იჩენს მე-2 ნაწილში წამოყენებული საკითხების მიმართ.

მეორე ნაწილი, ასევე სათაურის გარეშე, 336v გვერდზე იწყება აღდგომის გამოსათვლელი კომპაქტური ცხრილის („ასურული. კჳკლოსის“) ნახაზით. განმარტებითი ტექსტიც (ფფ. 337r-338r) სათაურის გარეშე არის წარმოდგენილი. შინაარსის თვალსაზრისით ეს ტექსტი შეიძლება პირობით 3 ფრაგმენტად დავყოთ. პირველი ფრაგმენტი („ხოლო კჳკლოსისა ამის ასურულისა კითხვაჲ ესრეთ უწყოდე... რომელ არს წმიდაჲ აღსებაჲ“—ფფ. 337r) ცხრილით სარგებლობის მოკლე ინსტრუქციას წარმოადგენს. მეორე ფრაგმენტში („ათორმეტ თუენი: სეკ––ლას... შორიელთა რათ დღეთა ძიებისათჳს“—ფფ. 337r-338r) მხატვრულად გადმოცემულია ცხრილთან და ზოგიერთ პასქალურ-კალენდარულ მახასიათებელთან დაკავშირებული მონაცემები. მესამე ფრაგმენტი კი ფაქტობრვად ბოლოსიტყვაობას წარმოადგენს, რომელშიც კომპაქტური ცხრილის ღირსებების ჩვენებასთან ერთად საკმაოდ ბუნდოვანი ცნობა არის მოყვანილი რომელიღაც „ქრონიკონის“ („მცირედი და ჟამთა თჳსთა ქრონიკონი“) შესახებ.

ისევე როგორც პირველი ნაწილში, მეორე ნაწილის ამ სამ ფრაგმენტშიც ანუ პირობით „მოკლე ინსტრუქციაში“, „მხატვრულ ფრაგმენტში“ და „ბოლო-

სიტყვაობაში“ არავითარი მითითება არ არის მოყვანილი ავტორის შესახებ. ამ ხარვეზს ნაწილობრივ ავსებს 307v გვერდზე მოყვანილი ჩანაწერი, თუმცა ამავე დროს თვითონ ის გამოდის სხვა გაუგებრობების სათავედ.

ეს ჩანაწერი აშკარად სარედაქტორო დანართს წარმოადგენს (ჩვენც პირობით ამ სახელწოდებით მოვიხსენებთ შემდგომში ჩანაწერს, ხოლო მის შემცველ 3 ფრაგმენტს შესაბამისად ვუწოდებთ „რიცხუნის“, „იამბიკოს კომენტარს“ და „ტექნიკურ შენიშვნას“) მიზნად ისახავდა გადაწერისას ტექსტში დაშვებული შეცდომის გასწორებას (ამ „სარედაქციო დანართის“ ტექსტი სრული სახით იხილე რ.შ. №20). ტექსტი იწყება წინადადებით („უკუეთუ გინდეს ცნობის, ესე არს თავი დივანთაჲ“), რომელიც ჩანაწერის მხოლოდ საწყისი ფრაგმენტის („რიცხჳ თუეთა და კჳრიაკეთაჲ... ოთხბევრ სამათას და რვაას“) სათაურად ჩანს. ეს ფრაგმენტი დროის საზომი ერთეულების რიცხვითი მნიშვნელობების ჩამონათვალს შეიცავს და შესაბამისად ის „რიცხუნის“ სახელწოდებით მოიხსენიება „სარედაქტორო დანართის“ ბოლო ნაწილში.

მეორე ფრაგმენტში („ესე ასურულისა კჳკლოსისა საძიებელი და მასწავებელი... იმას ზემოსა ქრონიკონსა მივანდევ“) თუ აშკარად ჩანს, რომ კომპაქტური ცხრილის („ასურული კჳკლოსის“) განმარტებითი ტექსტი („საძიებელი და მასწავებელი“) შავთელს დაუწერია იამბიკოს ფორმით, სხვა ინფორმაციის მიღება გაძნელებულია. „ზემო ქრონიკონის“ მოხსენება მხოლოდ იმ ფაქტის დადგენის საშუალებას იძლევა, რომ ეს ფრაგმენტი ტექსტის სხვა ადგილისათვის შესატყვისი ფორმით არის ჩაწერილი. ამ ადგილს აზუსტებს მესამე ფრაგმენტი, რომლიდანაც ირკვევა, რომ გადამწერის შეცდომის გამო შავთელის იამბიკოს უშუალო გაგრძელებად „რიცხუნის“ ჩაწერა ვერ მოხერხდა.

თხზულებასთან დაკავშირებული საკითხების დადგენისათვის მნიშვნელოვანი როლი შეიძლებოდა ეთამაშა ძირითად ტექსტში ან აშიაზე გატანილ სარედაქტორო ჩანაწერებს, რომლებიც თავდაპირველად მრავლად იყო წარმოდგენილი კრებულში. სამწუხაროდ, არა თუ ეს ჩანაწერები, არამედ თვით კრებულის ზანდუკიც კი ტექსტზე მომუშავეთა სპეციალისტებისათვისაც ყურადღების მიღმა დარჩა და ამ გარემოებამ კიდევ უფრო შეუწყო ხელი თხზულების შესახებ განსხვავებული თვალსაზრისების შემუშავებას.

დღეისათვის ცნობილი მონაცემების მიხედვით, პირველი, რომელსაც თხზულებაზე მუშაობა მოუხდა, იყო გადამწერი სვიმონ კარგარეთელი (XVIს). ამ უკანასკნელის შეხედულება თხზულებასთან დაკავშირებით ერთგვარად აისახა მის მიერვე A-85 კრებულიდან გადაწერილ ნუსხის ტექსტში (ხელნ. S-312, ფფ. 92r-101r).

კარგარეთელის გადაწერილ ნუსხაში საერთოდ არ მოხვდა მეორე ნაწილი და, როგორც ეტყობა, ამ მიზეზით არც მასთან უშუალოდ დაკავშირებული პირველი გვერდის „სარედაქციო დანართი“. ასევე საჭიროდ არ ჩაუთვლია სვიმონ კარგარეთელს 532-წლიანი პასქალური ცხრილისა და მის წინ მოყვანილი „ზედაწარწერილის“ ტექსტის გადაწერა. გამოტოვების მიუხედავად მის მიერ მოყვანილი ანდერძიდან მაინც ჩანს, რომ ის „სარედაქტორო დანართის“ ინფორმაციას ეყრდნობა.

აღნიშნული ანდერძი ჩართულია „შესავლის“ („წელთა დასაბამითგანთა შჯდ ათასთა იტყჳან...“)ტექსტში, ბოლო წინადადების წინ. ის ასე იკითხება: „ესე ზემოდაწერილი სათვალავი შავთელის იოანეს ანდერძი არს და ქრონიკონისა მოქცევა მაშინ მეცამეტე ყოფილა. და ოდეს მე სჯმონ დიაკონმან დავწერე, ქრონიკონი იყო **სკთ** და მოქცევი [მეთოთხმეტე], ხოლო ბერძნულად დასაბამითგანი წელნი ვიდრე აქამომდე შჯდი ათასი წელიწადი გარდაჴდა“ (S-312,ფ. 92r). ამ ჩანაწერიდან ირკვევა, რომ „შესავალი“, რომელიც ფორმით ანდერძებს გავს (მოყვანილია დათარიღება, ავტორის უშუალო მიმართვები მკითხველისადმი, თხზულების დაწერის მოტივები და სხვ.), ხოლო შინაარსით „სათვალავის“ პრობლემებს მოიცავს (განხილულია წლების აღრიცხვის სხვადასხვა სისტემები ერთმანეთთან და ქვეყნის „დასასრულის“ თარიღთან მიმართებაში), სვიმონ კარგარეთელმა ავტორის ანდერძად ჩათვალა.

„სათვალავ-ანდერძში“ დასმულ პრობლემებს სვიმონ კარგარეთელი თავისებურად გამოეხმაურა საკუთარი ანდერძის მეორე ნაწილში. 7000 წელი აქ დათარიღებად კი არ არის მოყვანილი, არამედ იმ გარემოების ხაზგასასმელად, რომ 1541 წლისათვის ქართულისგან 96 წლით გვიანდელი ბერძნული წელთაღრიცხვითაც კი ეს საკრალური რიცხვი უკვე კარგა ხანია გასულია (ბიზანტიური წელთაღრიცხვის 7000 წელი ჯერ კიდევ 1492 წელს გასრულდა).

რაც შეეხება თხზულების ავტორად იოანე შავთელის გამოცხადებას, ცხადია, რომ ამ შემთხვევაში სვიმონ კარგარეთელი „სარედაქტორო დანართის“ მოსაცემით სარგებლობდა. ამრიგად, გადამწერმა ის ნაწილიც რომელიც მართლაც შეიცავდა იოანე შავთელის მასალას, საერთოდ ამოიღო და ის იმ ნაწილის ავტორად გამოაცხადა, რომელიც მას არ ეკუთვნოდა.

თხზულების კომპოზიციურ დეტალებში გაცილებით ღრმად გაერკვა ნიკოლოზ ორბელიანი (1672-1732), თუმცა ავტორისეული ჩანაფიქრის ბოლომდე განხორციელება ვერც მან შეძლო. ცსსა №264, 268 ხელნაწერში 532-წლიანი პასქალური ცხრილი რატომღაც თხზულებისაგან განცალკევებულად არის გადაწერილი (ფფ. 110r-124r). ცხრილს არა აქვს წამძღვარებული „ზედაწარწერილი“, თუმცა ცხრილის პირობითი სათაურის („ქრონიკონი ძუელი“) შემდგომ 5-6 სტრიქონისათვის გამოტოვებული ადგილი შესაძლოა სწორედ ამ ფრაგმენტის ჩასაწერად იყო თავიდან გათვალისწინებული. თავდაპირველი ტექნიკური ნიშნებიდან ცხრილში მხოლოდ ჯვარი და რგოლი („ჩიტისთვალი“) არის გამოყენებული, წლების რიგითი ნომრების აღნიშვნა კი გვიანდელი, 10-წლიანი ანბანური ნუმერაციით არის განხორციელებული. ვინაიდან ცხრილი XVIII საუკუნისათვის უკვე საბოლოოდ შერყვნილი იყო, არც არის გასაკვირი, რომ თავდაპირველი რედაქტორული ჩანაწერები და ტექნიკური ნიშნები ახალი ნუსხის ცხრილში ვერ მოხვდა. უფრო მოულოდნელია თხზულების ტექსტის აშიებზე ამ რედაქტორული ორიენტირების არმოყვანა. მით უმეტეს, რომ ნიკოლოზ ორბელიანი გადაწერის პროცესში, როგორც ეს მთელი რიგი დეტალებიდან ჩანს, აშკარად ხელმძღვანელობდა მათი მითითებებით.

ძირითადი ტექსტი, რომელიც იწყება „შესავლით“ („წელთა დასაბამითგანთა შჯდათასთა იტყჳან...“), გადაწერილ კრებულში მოთავსებულია 174r-198r ფურცლებზე. გადაწერილი მასალა ზუსტად მიჰყვება დედანს, მხოლოდ 184r გვერდზე ჩართულია დამატება დღისსაძიებლისადმი მიძღვნილი მეორე „საუწყებლის“ სახით („უგანცხადებულესადრე ჯერ—არს გამოთქუმაჲ დღისსაძიებელთათჳსვე...“). ეს „საუწყებელი“ A-85 კრებულში შესავლის სახით წამძღვარებული აქვს სულ სხვა თხზულებას, მაგრამ, როგორც „საუწყებლის“ ტექსტიდან და სარედაქციო მინაწერებიდან ჩანს მას ავტორი ამავე დროს პასქალურ-კალენდარული თხზულების ორგანულ ნაწილად მიიჩნევდა. ამიტომაც ნიკოლოზ ორბელიანის ეს ინიციატივა არა საკუთარი მოსაზრებებით, არამედ ამ მინაწერების მითითებით არის ნაკარნახევი. ძირითადი ტექსტის წინ მოყვანილ კომენტარში ნიკოლოზ ორბელიანს წარმოდგენილი აქვს თავისი მოსაზრება თხზულების რაობასთან დაკავშირებით. მისი სიტყვებით, თხზულების განხილვის ობიექტებს შეადგენენ: „წელთა რიცხუნი და ხარება შვიდეულისა, დიდი მცხრალისა, ზედნადებთა, დღის საძიებელთა, მზის მოქცევთა, მთვარის მოქცევთა, ხუთეულთა, ექვსეულთა თუ სადაჲთ მოვალს ანუ ვერ მპოვნელსა ვით მართებს პოვნა...“ (ფ. 173v). აქ, როგორც ვხედავთ, ნიკოლოზ ორბელიანი თხზულებაში ამ პასქალურ-კალენდარული მახასიათებლის ფორმალურ განმარტებას კი არ გულისხმობს, არამედ მათი ასტრონომიულ-კალენდარული არსის გათვითცნობიერებას („თუ სადაჲთ მოვალს“) და მათი გამოსათვლელი მათემატიკური წესების შეგნებულად გამოყენებას („ვერ მპოვნელსა ვით მართებს პოვნა“). ე.ი. ნიკოლოზ ორბელიანი, ფაქტობრივად, პირველი მკვლევარია, ვინც შეძლო სწორად შეეფასებინა თხზულების ერთ-ერთი განსაკუთრებული ღირსება.

პირველი ნაწილის დასრულების შემდგომ იმავე გვერდზე, ნიკოლოზ ორბელიანი აკეთებს შენიშვნას მომდევნო მასალასთან დაკავშირებით: „ამა ქვემოთი ეს ცოტა რამე ამის მწერლის დაწერილი არ იყო, მაგრამ ასე ეწერა და მეც ისე დავწერე“ (ფ. 198r). ამ შენიშვნიდან ჩანს, რომ გადამწერისათვის უცნობია პირველი ნაწილის ავტორის ვინაობა, რომლის მითითებებსაც „სარედაქციო დანართიდან“ ის ზუსტად ასრულებს. 198v გვერდზე მას გადაწერილი აქვს გვიანდელი ჩანაწერიც, რომელიც A-85 ხელნაწერში პირველი ნაწილის ტექტს მოსდევს (A-85, ფ. 336r), ნიკოლოზ ორბელიანმა ეს ჩანაწერი მისი შინაარსის ფასეულობის გამო მოიყვანა, თუმცაღა მან იცის, რომ ჩანაწერი გვიანდელია. ამაზე მიუთითებს მისი განცალკევებულად მოთავსება ფურცელზე, რომლის დიდი ნაწილი ცარიელად არის დატოვებული.

199-ე ფურცლის **recto**-ზე კომპაქტური ცხრილის („ასურული კჳკლოსის“) ნახაზია მოთავსებული, ხოლო **verso**-ზე იწყება „მოკლე ინსტრუქციის“ („ხოლო კჳკლოსისა ამის ასურულისა კითხვაჲ..“) ტექსტი. ტექსტის ზემოთ ნიკოლოზ ორბელიანს ჩანს რაღაც სათაურის ჩაწერა ჰქონდა გათვალისწინებული, მაგრამ აღარ ჩაუწერია და მინიშნებულ ადგილას მხოლოდ სინგურით ჩაწერილი საწყისი ასომთავრული ასო (ე) მოჩანს. „მოკლე ინსტრუქციას“, ისევე

როგორც A-85 კრებულში, „მხატვრული ფრაგმენტის“ ტექსტი აგრძელებს (ფფ. 198v-201r). ამის შემდეგ ერთი სტრიქონის გამოტოვებით ჩართულია „სარედაქციო ჩანართის“ სრული ტექსტი (ფფ. 201r-201v) ნიკოლოზ ორბელიანის შენიშვნით: „ერთის ძველის წიგნიდამ გარდმოვწერე და თავს ეწერა და სადაცა იმავე დამწერს ებრძანა––იამბიკონთან უნდაო––მე იქ დავწერე, მის მცნება აღვასრულე...“ (ფ. 202r). ამ შენიშვნას მოსდევს ძირითადი, ტექსტისეული „ბოლოსიტყვაობა“ (ფფ. 202r-202v). რომლითაც მთავრდება მეორე ნაწილის ტექსტი.

ამ მეორე ნაწილის ავტორის ვინაობის შესახებ ნიკოლოზ ორბელიანი არაფერს არ ამბობს. მის მიერ ჩატარებული სამუშაოდან ცხადი ხდება, რომ კომპაქტური ცხრილის შემდგომ ტექტს, ჩართულ მასალამდე ის შავთელის თხზულებად თვლის. „სარედაქციო დანართის“ მეორე და მესამე ფრაგმენტებს, ე.ი. „იამბიკონის კომენტარს“ და „ტექნიკურ შენიშვნას“ ნიკოლოზ ორბელიანი პირველი თხზულების ავტორს აკუთვნებს. ერთგვარად გაურკვეველია ამ შემთხვევაში პირველი ფრაგმენტის ანუ „რიცხუნის“ საკითხი, რომელიც შავთელის ტექსტს გადამწერმა არა უშუალოდ, არამედ რატომღაც ერთი სტრიქონის გამოტოვებით „მოუკიდა“. ასევე ითქმის „ბოლოსიტყვაობაზეც“, რომლისათვის არ ჩანს, თუ ვის ეკუთვნის ის, პირველი ნაწილის ავტორს თუ შავთელს.

ნიკოლოზ ორბელიანის, როგორც გადამწერის ფუნქციებში, ცხადია, არ შედიოდა თხზულების ანალიზური განხილვა, მაგრამ მის მიერ ავტორისეული მითითებების საფუძველზე ტექსტში შეტანილი ცვლილებები ძალზე საყურადღებოა და საკუთარ შენიშვნებთან ერთად საკმაოდ ჩაღრმავებული კვლევის ტოლფასად უნდა ჩაითვალოს.

თანამედროვე კვლევის მეთოდებით თხზულების შესწავლას საფუძველი დაუდო მ. ბროსემ, რომელმაც უაღრესად შრომატევადი და რთული სამუშაო ჩაატარა ტექსტის კრიტიკული გამოცემისას (1868 წ).

მ. ბროსემ ტექსტი იმ თანამიმდევრობით დაბეჭდა, როგორც ეს ხელნაწერში იყო წარმოდგენილი, მხოლოდ გამოტოვა როგორც 532-წლიანი, ისე კომპაქტური ცხრილი (ეს უკანასკნელი სამაგიეროდ ფრანგულ თარგმანშია მოყვანილი). როგორც ეტყობა უკვე იმ დროისათვის მრავალრიცხოვანი მინაწერი მასალა იმდენად იყო გადასული, რომ მათგან მკვლევარმა მხოლოდ ორის ამოკითხვა შეძლო და ისიც ნაწილობრივ. გამომცემელმა პირველი ნაწილის თავების სათაურებს (მათ შორის სათაურად მიჩნეულ წინადადებებსაც) თანამედროვე ნუმერაცია დაურთო. პირველ თავად, რომლის სათაურადაც მ. ბროსემ „რიცხუნის“ დასათაურება („უკუეთუ გინდეს ცნობის, ესე არს თავი დივანთაჲ“) ჩათვალა. ბროსეს მიხედვით, ეს თავი მოიცავს „სარედაქტორო დანართს“, „ზედაწარწერილს“ და, როგორც ეტყობა, გამოტოვებულ 532 -წლიან პასქალურ ცხრილსაც. მეორე თავში შევიდა „შესავლის“ ტექსტი, რომლის სათაურადაც მ. ბროსემ გაიტანა სინგურით ჩაწერილი ცხრილის კუთვნილი წინადადება „აქა უნდა ისივე თავისაჲ“ (ცხრილის ბოლოში დართული ეს

შენიშვნა სინაძდვილეში მიუთითებს, რომ 532-წლიანი ციკლის გასრულებისას, წლების ათვლა ისევ ცხრილის „თავიდან“ უნდა იქნეს დაწყებული).

კომპაქტურ ცხრილთან დაკავშირებული მასალა წინა ტექსტისაგან ხაზით არის გამიჯნული და იწყება ჩართული იამბიკოს („მეძიებელო კჯკლოსისა რიცხვისა...“) ტექსტით. შესაძლოა მ. ბროსემ ეს ფრაგმენტი მომდევნო ტექსტის ორგანულ ნაწილად მიიჩნია, თუმცა სქოლიოში საგანგებოდ არის აღნიშნული, რომ ფრაგმენტი როგორც წინა, ისე მომდევნო ტექსტისაგან განსხვავებული ხელით არის ჩაწერილი. რაც შეეხება მომდევნო ტექსტს, აქ ისევე როგორც ხელნაწერში ჯერ მოყვანილია კომპაქტური ცხრილის მოკლე ინსტრუქცია, შემდგომ „მხატვრული ფრაგმენტი“ და დასასრულს „ბოლოსიტყვაობა“. აღსანიშნავია, რომ ფრანგულ თარგმანში ეს უკანასკნელი სამი ფრაგმენტი ერთმანეთისგან ხაზებით არის გამოყოფილი, ჩანს, ბროსეს სურდა ხაზი გაესვა მათი ფორმისა თუ შინაარსის განსხვავებული ხასიათისათვის.

იხზულების შესახებ წინასწარი მოსაზრება მ. ბროსეს მოჰყავს ქართული ტექსტისადმი წამძღვარებულ შესავალში. როგორც 532-წლიანი, ისე კომპაქტური ცხრილის შესატყვის მასალებს მკვლევარი აქ განიხილავს ერთიანი იხზულების კუთვნილებად. ამგვარი მიდგომა, როგორც ჩანს, განაპირობა ტექსტში მოხსენებული გამოთქმის --„ასურული კჯკლოსის“ თავისებურმა გააზრებამ. ბროსე მას არა კონკრეტული კომპაქტური ცხრილის, არამედ სირიიდან გადმოღებული 532-წლიანი პასქალური ციკლის დასახელებად აღიქვამს. 532-წლიანი ციკლი უკვე თავისთავად ნიშნავს ამ ციკლზე დაფუძნებულ პასქალურ-გაძოთვლით სისტემას. მართალია ავტორი პირდაპირ არ ამბობს, მაგრამ უეჭველია, რომ ამ ციკლის თუ სისტემის „ასურული“ ვარიანტი მას განმარტებითი ტექსტის პოეტურ (იამბიკურ) გადმოცემად წარმოუდგენია (ამასთან დაკავშირებით ბროსეს სირიული წყაროებისათვისაც მიუმართავს იამბიკური ფორმით დაწერილი პასქალური თხზულებების გამოსავლენად).

ბროსეს სქემაში „ასურული კჯკლოსის“ ცნება 532-წლიან ციკლზე განზოგადდა და ვინაიდან თხზულების ორივე ნაწილი ამ ციკლის პრობლემებს განიხილავს, ბუნებრივად უნდა მოხსნილიყო თხზულების ნაწილებად დაყოფის საკითხი. ამიტომაც არის რომ მ. ბროსეს მიერ ერთიან თხზულებად მიჩნეული ნაშრომი კვალიფიცირებულია როგორც ტრაქტატი „სირიული ციკლის“ ანუ საეკლესიო გამოთვლების შესახებ (ზოგჯერ მ. ბროსე თხზულებას რატომღაც ასტროლოგიური ტრაქტატის სახელწოდებითაც მოიხსენიებს). თხზულების ავტორის შესახებ მკვლევარმა საკმაოდ უცნაური დასკვნა გამოიტანა. მისი აზრით, თავდაპირველად ეს ტრაქტატი იამბიკური ფორმით უნდა დაეწერა იოანე შავთელს, ხოლო მოგვიანებით (ე.ი. 1233 წ.) კი ტბელ აბუსერისძემ პროზად გაადაკეთა წინამორბედი მოღვაწის პოეტური ნააზრევი.[1]

ბროსეს, როგორც თხზულების გამომცემლის ავტორიტეტმა, გარკვეული გავლენა იქონია შემდგომი თაობის მკვლევართა დასკვნებზე. განსაკუთრებით

[1] ბროსე, დასახ. ნაშრომი, გვ. 21-23.

ეს ითქმის „ასურული კჳკლოსის“ მისეულ გაგებაზე რომელიც, ფაქტობრივად, ყველა მკვლევარმა გაიზიარა და დღესაც არის მიღებული.

თ. ჟორდანიამ A-85 ხელნაწერის აღწერისას (უდაოდ ბროსეს გავლენით) წამოაყენა ზოგიერთი მოსაზრება თხზულების შესახებ. ისიც თხზულებას ერთიან ნაწარმოებად და ავტორადაც იოანე შავთელს ასახელებს. მხოლოდ ბროსესგან განსხვავებით „ასურული კჳკლოსი“ („кинклос ассириский“) მასთან არა 532-წლიანი ციკლის, არამედ ამ ციკლის ცხრილის მნიშვნელობით არის წარმოდგენილი. თ. ჟორდანიას აზრით, შავთელის იამბიკოებიდან შემორჩენილია მხოლოდ ფრაგმენტი, რომელიც თხზულების პირველ გვერდზეა (ე.ი. „სარედაქტორო დანართში“)[1]. აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ თავის „ქრონიკების“ მე-2 ტომში (გვ. 107), თ. ჟორდანიამ შავთელისვე კუთვნილებად გამოაცხადა, აგრეთვე, კრებულის სხვა ადგილზე მოყვანილი დღისსაძიებლის მეორე „საუწყებელიც“ („უგანცხადებულესადრე ჯერ—არს გამოთქუმაჲ დღისსაძიებელთათჳსვე...“).

ბროსეს სქემაში მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანა კ. კეკელიძემ, თუმცა „ასურული კჳკლოსი“ მის დებულებებშიც ზოგადი გაგებით იყო წარმოდგენილი. კ. კეკელიძემ პირველმა აჩვენა, რომ თხზულების ძირითადი, 532-წლიანი პასქალური ცხრილის და მისი განმარტებითი ტექსტის ავტორი არის არა იოანე შავთელი, არამედ აბუსერისძე ტბელი. მანვე, როგორც ეტყობა, A-85 კრებულის ზანდუკის მონაცემებზე დაყრდნობით, პირველმა შემოიტანა სამეცნიერო ლიტერატურაში თხზულების ჭეშმარიტ სათაურთან დაახლოებული დასათაურება —„ქრონიკონი სრული მისითა საუწყებელითა და განგებითა“ (ზადნუკში ფაქტობრივად იგივეა მოყვანილი, მხოლოდ „და“ კავშირის გარეშე —„ქრონიკონი სრული მისითა საუწყებელითა განგებითა“ (იხ. დანართი რედაქტორის შენიშვნები №28).

კ. კეკელიძის მიხედვით, აბუსერისძე ტბელმა თავის თხზულებას საგანგებოდ დაურთო შავთელის იამბიკოები თავსა და ბოლოში. მეცნიერის მსჯელობიდან ლოგიკურად იკვეთება ის მოტივები, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელა ტბელ აბუსერისძეს.

კ. კეკელიძის აზრით, აბუსერისძის თხზულება წარმოადგენს ტრაქტატს, რომელშიც განმარტებულია 532-წლიანი პასქალური ციკლი (კ. კეკელიძის სიტყვებით იგივე „ასურული კჳკლოსი“, იგივე „532-წლიანი დიდი ინდიქტიონი“, იგივე „პასქალისტური სისტემა“). შავთელის იამბიკოები კი ამ ციკლის (ე.ი. „ასურული კჳკლოსის“, „532-წლიანი დიდი ინდიქტიონის“ და ა. შ.) „საძიებელი და მასწავებელია“, რომელშიც „წარმოდგენილია კვინტესენცია კჳნკლოსისა ანუ პასქალისტური სისტემისა“. პასქალური სისტემის განმარტებითი ტრაქტატისათვის ამავე სისტემის არსის შემცველი თხზულება, როგორც კ. კეკელიძე აღნიშნავს, „არის ასე ვთქვათ შესავალი“ და აქედან

---

[1] თ. ჟორდანია, დასახ. ნაშრომი, გვ. 84.

გამომდინარე სავსებით ლოგიკური ჩანს, რომ ეს უკანასკნელი აბუსერისძე ტბელმა საგანგებოდ მოიყვანა თავის თხზულებაში.

კ. კეკელიძე კონკრეტულად მიუთითებს ტექსტის იმ ადგილებზეც, რომლებშიც წარმოდგენილი უნდა იყოს შავთელის იამბიკოები. კერძოდ შავთელს მიაკუთვნებს ის „სარედაქტორო დანართიდან" „რიცხუნის" ფრაგმენტს, ხოლო კომპაქტური ცხრილის მომდევნო ტექსტიდან „მოკლე ინსტრუქციას" და „მხატვრულ ფრაგმენტს" (ფფ. 307v, 337r-338r).

აბუსერისძე ტბელის თხზულების შედგენილობის განხილვისას მკვლევარი ალნიშნავს, რომ მასში წარმოდგენილია „532-წლიანი დიდი ინდიქტიონი" და მისი „განმარტებანი", რომლებიც თავების ტექსტისეული სათაურებით არიან ჩამოთვლილი (იწყება თავით „ზედნადებისათჳს" და მთავრდება თავით „ძიებისათჳს და შემოწმებისა ბერძენთა და ქართველთა სათუალავისა").

კ. კეკელიძე ტბელ აბუსერისძეს აკუთვნებს, აგრეთვე, თზულებისგან ცალკე წარმოდგენილი ღღისსაძიებლის მეორე „საუწყებელსაც", მაგრამ ის არაფერს არ ამბობს ამ თავის თხზულებასთან მიმართებაზე და მხოლოდ აღნიშნავს, რომ „ავტორს საჭიროდ მიუჩნევია ღღისსაძიებლის „უგანცხადებულესადრე გამოთქუმად" და ამიტომ საგანგებოდ განუმარტავს ეს მუხლი სხვა ადგილას".

თხზულების შინაარსთან დაკავშირებით კ. კეკელიძემ ხაზი გაუსვა ერთ საინტერესო ფაქტს, რომელიც მანამდე წინამორბედ მკვლევარებს არ აღუნიშნავთ. კერძოდ, ის უფრო საყურადღებოდ თვლის იმ გარემოებას, „რომ ავტორი ცდილა შეეფარდებია ერთი მეორესათვის ქართული და ბერძნული წელთაღრიცხვა და პასქალისტური სისტემა და შეძლებისდაგვარად შეეთანხმებია ისინი"[1].

თხზულების შესწავლას საკმაოდ დიდი ადგილი დაუთმო ი. სიხარულიძემ მონოგრაფიაში „ტბელ აბუსერისძე"[2]. მკლევარი სავსებით იზიარებს კ. კეკელიძის დებულებებს, მხოლოდ თხზულების თავების („პარაგრაფების") ჩამოთვლისას რატომღაც ბროსესეულ დასათაურებასაც („აქა უნდა ისევე თავისაჲ") იყენებს. ავტორის ცალკეული დაკვირვებებიდან ყურადღებას იქცევს მისი მონაცემები აბუსერისძისა და იოანე-ზოსიმეს 532-წლიანი პასქალური ცხრილების განმასხვავებელი დეტალების შესახებ. ი. სიხარულიძე უჩვენებს აბუსერიძის ორიგინალობას კონკრეტულ გამოანგარიშებებზე და მან პირველმა მიუთითა თხზულების პედაგოგიურ მნიშვნელობაზე[3].

ქრონოლოგიურად ბოლო სამუშაო, რომელიც თხზულების შედგენილობას ეხება, A-85 ხელნაწერთან დაკავშირებული ახალი აღწერილობაა.[4]

აქ თხზულება ორ ცალკეულ ერთეულად არის წარმოდგენილი. პირველი ერთეული თხზულების პირველი გვერდზე მოყვანილი იგივე „სარედაქტორო

---

[1] კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 310-311

[2] ი. სიხარულიძე, ტბელ აბუსერისძე XIII ს. მწერალი, გვ. 67-80.

[3] ი. სიხარულიძე, დასახ. ნაშრომი. გვ. 71-72, 78-79.

[4] ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 290-292.

დანართია", რომლის სათაურადაც ამ დანართის შემცველი მეორე ფრაგმენტის პირველი წინადადება არის გატანილი (საწყისი „ესე"-ს გარეშე): „ასურულისა კჳკლოსისა საძიებელი და მასწავლებელი იამბიკონად თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანე შავთელისაგან". მეორე ერთეულად კი თვით თხზულება არის წარმოდგენილი კ. კეკელიძის მიერ აღდგენილი სათაურით: „ქრონიკონი სრული მისითა საუწყებელითა და განგებითა". შენიშვნებში მოყვანილ თავების ჩამონათვალში ისევ ფიგურირებს ბროსესეული „აქა უნდა ისევ თავისად". 532-წლიანი პასქალური ცხრილი „კჳნკლოსად" არის დასახელებული, მაშინ როდესაც კომპაქტური ცხრილის აღსანიშნავად თვით ცხრილში მოყვანილი წარწერებია გამოყენებული („პასექი შჯოლიერი, მოქცევი მთოვარისა, ზედნადებნი მთოვარისანი"). „კჳკლოსი" კიდევ არის დასახელებული კომპაქტური ცხრილის განმარტებითი ტექსტის პირობით სათაურში, რომელიც ამ ტექსტის პირველ წინადადებას შეადგენს-- „კჳკლოსისა ამის ასურულისა კითხვად ესრეთ უწყოდეთ".

აღწერილობის მიზანს წარმოადგენდა თხზულების შემცველი ცხრილების და თავების კონკრეტული მითითება, და უკვე ამ კონკრეტიკამ თვალსაჩინოდ წარმოადგინა ის შეუსაბამობები, რომლებსაც თავიდანვე „ასურული კჳკლოსის" ზოგად ცნებად გააზრებამ დაუდო სათავე. ერთი მხრივ, „სარედაქტორო დანართი" „ასურული კჳკლოსის საძიებელისა და მასწავებელის" ერთეულად გადაიქცა, ხოლო, მეორე მხრივ, 532-წლიან ცხრილს „კჳნკლოსის" სახელწოდება დაუმკვიდრდა, მაშინ როდესაც თვით კომპაქტური ცხრილი სახელწოდების გარეშე დარჩა მიუხედავად იმისა, რომ მისი განმარტებითი ტექსტის სათაურად გატანილი საწყისი წინადადება აშკარად მასთან მიმართებაში არის გადმოცემული.

ზემოთ ჩამოთვლილ შრომათა საფუძველზე თხზულებასთან დაკავშირებით მრავალ კითხვას გაეცა პასუხი, მაგრამ ბევრიც უპასუხოდ დარჩა. საბოლოოდ არ არის გარკვეული თხზულების შედგენილობა, თავების თანმიმდევრობა, ჩართული მასალის რაობა და დანიშნულება და ა. შ.

გარკვეულ დაბრკოლებებს ამ მხრივ აღძრავს თხზულების თავსა და ბოლოში მოყვანილი ტექსტის შინაარსი. იგივე პრობლემა არსებობს 532-წლიან ცხრილთან დაკავშირებით, რომლის თავდაპირველი სახე, გვიანდელი მინაწერებით გადაფარვის გამო, ჩვენამდე მოღწეული არ არის. დაზუსტებას მოითხოვს ზოგიერთი ტერმინის ავტორისეული გააზრება და ა.შ.

აქედან გამომდინარე, დღის წესრიგში მწვავედ დაისვა საკითხის ჩაღრმავებული შესწავლის აუცილებლობაც.

* * *

პასქალურ-კალენდარული თხზულების გამოკვლევებიდან ჩანს, რომ მკვლევარნი ყოველთვის ზუსტად არ აღიქვამენ ზოგიერთ ტერმინს ავტორისეული

გაგებით. ამიტომაც მიზანშეწონილად ჩავთვალეთ მოკლედ განვიხილოთ ეს ტერმინები.

თხზულებაში და ზოგჯერ მთელ კრებულში ხშირად გვხვდება ტერმინი „ქრონიკონი“ ცალკე ან კომპოზიტის შემადგენლობაში. ერთის შეხედვით, ამ შემთხვევაში თითქოს ერთი ცნება უნდა იყოს გადმოცემული, მაგრამ, როგორც ტექსტის ანალიზი გვიჩვენებს, ეს სიტყვა ავტორს აშკარად სხვადასხვა მნიშვნელობით აქვს გამოყენებული.

სათაურში და ტექსტში მოყვანილი კომპოზიტი „ქრონიკონი სრული“ ან „სრული ქრონიკონი“, როგორც ტექსტიდან ჩანს, ყველა შემთხვევაში მხოლოდ და მხოლოდ 532-წლიან პასქალურ ცხრილს აღნიშნავს (იხ. ფფ. 308r, 339v, 354 v). ამავე მნიშვნელობით იხმარება აგრეთვე, „დიდი ქრონიკონი“ ან „ქრონიკონი დიდი“ (ფფ. 321r, 328r, 339v, 334v).

თვით „ქრონიკონი“ უკვე რამდენიმე ცნებას გამოხატავს. ერთ-ერთი მისი მნიშვნელობა ისევ ცხრილთან არის დაკავშირებული, მაგრამ კომპოზიტიანი ტერმინისაგან განსხვავებით, ის საერთოდ პასქალურ ცხრილსაც აღნიშნავს. ტექსტში ამ ზოგადი მნიშვნელობით „ქრონიკონი“ გამოიყენება როგორც არასრული პასქალური ცხრილის (ფ. 238v), ისე სრული 532-წლიანი ცხრილის (ფფ. 329r, 334v, აგრეთვე, ფფ. 307v, 321r) აღსანიშნავად.

„ქრონიკონი“ გვხვდება 532-წლიანი ციკლის მნიშვნელობითაც („ესე ხუთას ოცდათორმეტი წელიწადი არს ერთისა ქრონიკონისაჲ და რაჲ დასრულდეს, ბოლოსა ამისსა იგივე შეუთქს, რომელი თავსა დაწყებულა“—ფ. 318v). ამ მხრივ ის ბერძნული „532-წლიანი დიდი ინდიქტიონის“ ზუსტი შესატყვისია. უფრო ხშირად კი ეს ტერმინი იხმარება „ქრონიკონული წელთაღრიცხვის“ აღსანიშნავად. ტერმინი „ქრონიკონი“ ტექსტში სისტემატურად „დასაბამითგანნი“ წლებთან მიმართებაში („ამის ქრონიკონი“, „მის ქრონიკონისაჲ“ და ა.შ.) მოიხსენება. ამ ფორმით კი ფაქტობრივად არაპირდაპირ მითითებულია „ქრონიკონის“ ის მოქცევა, რომლის ფარგლებშიც ხდება წლების აღრიცხვა (ფფ. 328 r, 329r, 332r, 334 r). თხზულების შესავალ ნაწილში, მიმდინარე თარიღთან დაკავშირებით ავტორი „დასაბამითგან“ გასული ამ მოქცევების რიცხვსაც ასახელებს, მიმდინარე მოქცევის ანუ, ასე ვთქვათ, მოქმედი „ქრონიკონის“ რიგით ნომერსაც და ამ „ქრონიკონის“ ფარგლებში გასული წლების რიცხვსაც („თორმეტჯერ უწინარეს ამისსა ქცეულა, და აწ მეცამეტესა შინა ვართ და ამისი ოთხასორმეოცდაცამეტი წელიწადი გარდაჴდა წელს“ (ფფ. 318v-319r). თითქმის იგივე მონაცემები, მხოლოდ დათარიღებისათვის მიღებული კონკრეტული ფორმით, მოყვანილია თხზულების ერთ-ერთ თავში ანუ „საუწყებელში“: „ქრონიკონი მეცამეტე ოთხასორმეოცდაცამეტი არს წელს“ (ფ. 334 r).

რამდენიმე შემთხვევაში ტერმინ „ქრონიკონის“ შინაარსის დაზუსტება გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ტექსტის ბოლო ნაწილის „მხატვრულ ფრაგმენტში“ ცამეტორის „დედაქალაქად“ ხატოვნად დასახელებული „ქრონიკონი“ (ფ. 337 v) ცხრილსაც შეიძლება ნიშნავდეს და საერთოდ პასქალურ სისტემასთან დაკავშირებულ რაღაც ცნებასაც: ამ კერძო შემთხვევისათ-

ვის ტერმინის ცნების დაკონკრეტებას პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს. სამაგიეროდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება აქვე „ბოლოსიტყვაობაში“ დასახელებული „ქრონიკონის“ ორი ტერმინის სწორ გააზრებას. ორივე ტერმინი ქართულ სინამდვილესთან და „აღწერასთან“ კავშირში არის დასახელებული და შესაძლოა „ქრონიკონის“ კიდევ ერთ განსხვავებულ მნიშვნელობას გამოხატავდეს (ამის შესახებ საგანგებო მსჯელობა ქვემოთ გვექნება და ამიტომაც აქ არ შევჩერდებით).

კრებულში სამჯერ და თხზულებაში ორჯერ მოხსენებულია „ასურული კჳკლოსი“ (ფფ. 307v 337r, 354v), რომელიც მთავარი მიზეზი აღმოჩნდა თხზულებასთან დაკავშირებული გაუგებრობების ინიცირებაში. ბერძნულიდან გადმოღებული ტერმინი „კჳკლოსი“ სიტყვა სიტყვით „ციკლს“, „წრეს“ ნიშნავს და თხზულებაში ის ორი მნიშვნელობით იხმარება. პირველი მნიშვნელობით ის მცირე ციკლების––ზოგადად მთვარის 19-წლიანი და მზის 28-წლიანი ციკლების აღსანიშნავად არის გამოყენებული (ფფ. 326v, 330v, 337v). ამ ცნებებისათვის ტექსტში დაკონკრეტებული ქართული შესატყვისებიც არის მოხსენებული „ცხრამეტეულისა“ და „ოცდარვეულის“ სახელწოდებით (ფფ. 328v, 329r). ის რაც „კჳკლოსს“ ანუ „ცხრამეტეულს“ და „ოცდარვეულს“ „დაჰმეტდება“ (ე.ი. რიცხვის 19-ზე ან 28-ზე გაყოფისას ანუ „ცხრამეტეულად“ და „ოცდარვეულად“ „განტევებისას“ მიღებული ნაშთი), ტექსტში შესაბამისი ციკლის წელიწადის რიგითი ნომრის აღსანიშნავად არის გამოყენებული (ე.ი. თანამედროვე ტერმინოლოგიით „მზის წრისა“ და „მთვარის წრის“ აღსანიშნავად, რომელთა უშუალო შესატყვისად ტექსტში მოხსენებულია „მთვარის მოქცევი“ და „მზის მოქცევი“—ფფ. 336v, 337r).

სულ სხვა მნიშვნელობას იძენს თხზულებაში ტერმინი „კჳკლოსი“ სიტყვა „ასურულთან“ მიმართებაში. ეს კომპოზიტი, ე.ი. „ასურული კჳკლოსი“ თუ „კჳკლოსი ასურული“ უკვე მხოლოდ და მხოლოდ აღდგომის გამოსათვლელი კომპაქტური ცხრილის აღსანიშნავად იხმარება. ეს ნათლად ჩანს ამ ცხრილის ნახაზის შემდგომ მოყვანილი „მოკლე ინსტრუქციის“ პირველივე სიტყვებიდან: „ხოლო კჳკლოსისა ამის ასურულისა კითხვაჲ ესრეთ უწყოდე“ (ფ. 337 v).

აღდგომის თარიღების, მთვარის 19-წლიანი და მზის 28-წლიანი ციკლების ურთიერთდამოკიდებულება 532 წლის ფარგლებში შეიძლება თვალსაჩინოდ გამოისახოს ცხრილის სახით, რომლის ვერტიკალურ სვეტში 19-წლიანი ციკლის წლების რიგითი ნომრებია ჩამოწერილი, ხოლო გარე ჰორიზონტალურ ზოლში 28-წლიანი ციკლში წლების რიგითი ნომრებია გატანილი.* ამ ორი ციკლის რიგითი ნომრების ნებისმიერი კომბინაციისათვის ცხრილის შუა ნა-

---

* ამგვარი ტიპის ცხრილის არსებობა ადრეული ქართული საეკლესიო პრაქტიკისათვისაც დასტურდება. A-38 ხელნაწერში მოყვანილ პასქალურ-კალენდარულ შრომას დართული აქვს ცხრილი, რომელიც აღნიშნული ცხრილის ერთ-ერთ ვარიანტს წარმოადგენს. მხოლოდ ამ შემთხვევაში მთვარის წრეების და აღდგომის თარიღების ნაცვლად პასქალური სავსემთვარეობის თარიღები და მათი შესაბამისი კვირის დღეებია წარმოდგენილი. იხ. ხელნ. A-38, ფ. 246 r. შდრ. „ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები“, მზ. შანიძის გამოცემა, 1960 წ. გვ. 467.

წილში წარმოდგენილია შესაბამისი 532 (28×19=532) აღდგომის თარიღი. ვინაიდან 28-წლიან ციკლის შვიდეულის თითოეული რიგითი ნომერი 4-ჯერ მეორდება, მთვარის ციკლის მოცემულ ნომერთან მიმართებაში აღდგომის ერთი და იგივე თარიღიც ასევე 4-ჯერ მეორდება. კომპაქტურ ცხრილშიც ამ კანონზომიერების გათვალისწინებით, 28-წლიანი ჰორიზონტალური მწკრივი „შემჭიდროვებულია“ ერთნაირი შვიდეულების შესატყვისი 4 რიგითი ნომრის ვერტიკალურად ერთ სვეტში განთავსების ხარჯზე. ამგვარი, ასე ვთქვათ, გაოთხკეცების შედეგად 28 რიცხვის შემცველი ჰორიზონტალური განაშალი 7 სვეტზე დაიყვანება და ცხრილიც კომპაქტურ სახეს იღებს.

„ასურული“ ამ კომპაქტური ცხრილის ქართულ სახელწოდებაში მის წარმომავლობას გულისხმობს, სადაც ეს ცხრილი შემუშავდა. ცხრილის სირიულ წარმომავლობაზე პირდაპირ მიუთითებს „მხატვრულ ფრაგმენტში“ მოყვანილი შემდეგი ცნობაც: „რვა და ოცებაჲ მზესა თანა განხილვით და მთოვარესა ათცხრამეტობაჲ იგი... მრჩობლ შეკეცათა მიერ შესწორებულ ყო აქა მარაგსა შინა... ასურთა გონებამან“ (ფ. 338 v). აქ, როგორც ვხედავთ, სავსებით გარკვევით არის მითითებული, რომ ცხრილში მთვარის 19-წლიანი და მზის 28-წლიანი ციკლების ურთიერთდამოკიდებულების კომპაქტურ ფორმაში მოყვანა ციკლის მწკრივის ორმაგი გაორკეცების („მრჩობლ შეკეცათა“) ანუ გაოთხკეცების ხარჯზე სირიელების დამსახურებაა.

ცხადია, რომ ეს ცხრილიც 532-წლიანი ციკლის ფარგლებში არის მოქმედი, მაგრამ მისი განზოგადება პასქალურ სისტემად დაუშვებელია, ვინაიდან ცხრილი მხოლოდ ტექნიკური სახის სრულყოფაზეა დაფუძნებული და არავითარი ცვლილება არ შეაქვს პასქალური სისტემის ძირითად დებულებებში.

* * *

532 წლიანი პასქალური ცხრილი ანუ „დიდი ქრონიკონი“ (იგივე „სრული ქრონიკონი“) ხელნაწერში წარმოდგენილია ყველა იმ ძირითადი კომპონენტით, რომლებიც ჩვეულებრივ ასეთი ცხრილებისთვის არის დამახასიათებელი. ის შედგება 10 სვეტისაგან, რომლებშიც შესაბამისად მოყვანილია შემდეგი პასქალური მახასიათებლები: 1. შვიდეული—ხარება, 2-3 დიდმარხვის დასაწყისის თვე და რიცხვი, 4-5. პასქალური სავსემთვარეობის ანუ დიდი მცხრალის თვე და რიცხვი (იგივე ცამეტორი), 6-7. პასქალური სავსემთვარეობის შესაბამისი კვირის დღე, ჩაწერილი სიტყვა „დღის“ შემოკლებული ფორმით („დღ“) და კვირის დღის მაჩვენებელი ასორიცხვნიშნის სახით, 8-9. აღდგომის თვე და რიცხვი და 10. ზედნადები. ამ ძირითად სვეტებს, რომლებიც საუწყებელშიც მოიხსენება („ათნი კაპატონნი არიან დიდისა ქრონიკონისანი“-321r) ემატება ნაკების აღმნიშვნელი ვერტიკალური ჩამონაწერი, რომელშიც ყოველი მეოთხე ნაკიანი წელიწადი მინიშნებულია შემოკლებული ფორმით „ნკ“.

„საუწყებლიდან“ ჩანს, რომ ცხრილს საცნობარო ფუნქციებთან ერთად სასწავლო დანიშნულებაც აქვს, რომლის მსგავსი მაგალითიც ქართულ წყა-

როებში ჩვენ არ მოგვეპოვება. ცხრილისათვის საილუსტრაციო სახის მისაცემად ავტორმა ძირითად მახასიათებლებთან ერთად გამოიყენა დამხმარე საშუალებებიც სხვადასხვა ტექნიკური ნიშნებისა და ჩანაწერების სახით, მაგრამ დროში აბუსერისძის ამ დამატებების უდიდესი ნაწილი წარიხოცა მელნის გაფერმკრთალების, განზრახ წაშლის ან მათზე ახალი ჩანაწერების მოთავსების გამო. მომდევნო თაობებმა თავი ვერ შეიკავეს „კინკლოსური“ მინაწერების შეტანის ცდუნებისაგან, მიუხედავად იმისა, რომ ავტორი ცხრილთან დაკავშირებით საგანგებოდ აფრთხილებდა მკითხველს: „ნუცაღა-რას თქუენ დასწერთ, თუ ამას წელიწადსა ესე რაჲ იქმნა და ეგე რაჲმე იქმნა, თუ არა ჩემთა დაწერილთა ნიშანთა თანა გაერევის, რომელსა ესე საუწყებელი ეწამების და ესეცა ცუდ იქნების“ (334v-335r).

სამწუხაროდ, ტექსტის აშიებზე სხვადასხვა მინაწერის შეტანის გამო, ეს მინაწერები არა მარტო „გაერივნენ“ აბუსერისძეულ ჩანაწერებს. არამედ მნიშვნელოვნად დააზიანეს ისინი. კინკლოსურ მინაწერებთან ერთად ავტორისეული პირველადი ფენის წარხოცვაში თავისებური წვლილი შეიტანეს ცხრილის „სრულყოფის“ მიზნით მოგვიანებით შეტანილმა რედაქტორ-რესტავრატორების დამატებითმა პასქალურმა მონაცემებმაც.

დღეისათვის ჩვენამდე მიღწეულ ცხრილში ერთმანეთში ისე არის აღრეული ავტორისეული თუ გვიანდელი მინაწერები, რომ პირველადი ფენის გამოვლენა საკმაოდ პრობლემატურია.

ჩვენ შევეცადეთ ამ ფენის აღდგენას და ცხრილის შესწავლისას, პირველ რიგში, „საუწყებელში“ მოყვანილი ორიენტირებით ვხელმძღვანელობდით. აბუსერისძისეული დამატებები, როგორც აღვნიშნეთ, ცხრილში შეეიდა ტექნიკური ნიშნებისა და ჩანაწერების სახით. ჯერ განვიხილოთ ტექნიკური ნიშნები, რომლებიც ძირითადად წარმოდგენილია ჯვრებისა და „ჩიტისთვალების“ ე.ი. პატარა რგოლების (უფრო ზუსტად წრისა ან წრეწირის) სახით. ამ ნიშნებს აბუსერისძე ხშირად მოიხსენიებს თხზულების ტექსტში, როგორც ზოგადად, ისე მათი კონკრეტული დანიშნულების მითითებით. ზოგადი მოხსენების ერთი მაგალითი ჩვენ უკვე ზემოთ მოვიყვანეთ, აქ კი ვიძლევით მეორეს: „და რანიცა ნიშანნი დამესხნენ... ნუცა მას დააკლებთ. და საუწყებელსა შინა გამოაჩინებს თუ რაჲ არს თუალი ამათ ნიშნთაჲ; ანუ პატივთა ზედა სიტყვად რაჲმე ეწეროს, ანუ იოტანი სხდნენ, ანუ ჩიტისთუალნი თავსა ანუ საშუალსა სადამე, ღმრთისა სათნოჲსათჳს, მწერალი ერთსაცა ამისთანასა ნურას დააკლებთ“ (ფ. 308r).

რაც შეეხება კონკრეტულ მითითებებს, ისინი ცალკეული ნიშნების გარჩევისას მოგვყავს.

ისევე როგორც მთელს კრებულში თხზულების ტექსტშიც ავტორი ჯვარს იყენებს ჩანაწერის ინფორმაციის განსაკუთრებული მნიშვნელობის ხაზგასასმელად და ამავე დროს იმ ადგილს მიუთითებს, საიდანაც ეს ჩანაწერი იწყება. ცხრილში ასეთი ჯვრები დასმულია შვიდეული—ხარებისა და ცამეტორის ჩამონაწერის შემცველ პირველი და მეხუთე სვეტების თავზე (ეს კალენდარული მახასიათებლები მთავარ კომპონენტებს წარმოადგენენ აღდგომის დასად-

გენ გამოთვლით სქემაში). ამის შესახებ ტექსტშიც არის მოყვანილი ზოგიერთი მითითება: „დასაწყისსა ქრონიკონისასა მეხუთისა კაპატონისა თავსა ჯუარი დამისუამს და მას ჩაუდეგ“ (ფ. 321v), „ესევე თავსა დაიწყებს, რომელი დამიწერია და იქი დაესრულების, სადა ჯუარი დამისუამს“ (ფ. 319r).

ჯვარი არის დასმული აშიაზეც 84-ე სტრიქონის ანუ წლის გასწვრივ. ძალზით შესრულებული ეს გამოსახულება, რომელიც ქანწილსაც მიაგავს, ამჯერად 7000 წლის დასასრულს აფიქსირებს. საუწყებელშიც აბუსერისძე საგანგებოდ აღნიშნავს, რომ აღნიშნული თარიღი მე-14 მოქცევის 84-ე წელს დასრულდება და ეს უკანასკნელი წარმოდგენილი აქვს როგორც „შჯდ ათას წლად გამასრულებელი“ (319r). ჯვარი გვხვდება, აგრეთვე, 421 წლის გასწვრივ აშიაზე (ფ. 316 v); მაგრამ ის მელნის ფერით და ფორმით (ტოლმკლავებიანი გამოსახულება), აშკარად განსხვავდება პირველადი ფენის ანალოგებისაგან და ცალსახად გვიანდელ მინაწერს წარმოადგენს.

„ჩიტისთვალები“ ცხრილში გამოიყენება მზისა და მთვარის ციკლების ერთმანეთისაგან გასამიჯნად და ფაქტობრივად, ისინი გამომყოფი ტექნიკური ნიშნის ფუნქციებსაც ასრულებენ. თითოეულ 28-ან 19-წლიანი ციკლი თავსა და ბოლოში დასმული ჩიტისთვალებით არა მარტო წინა და მომდევნო ციკლებისაგან არის გამიჯნული, არამედ თვითონაც არის როგორც ციკლი გამოყოფილი. ეს ტექსტიდანაც ჩანს: „ჩიტისთუალი დამისუამს ყოველთავე განსაყოფელთა ოცდარვეულისა და ცხრამეტეულისათა“ (ფ. 329r). 28 და 19-წლიანი ციკლების სხვადასხვა ინტერვალების გამო, მათი შემომსაზღვრელი „ჩიტისთვალები“ ერთ სტრიქონში მხოლოდ ცხრილის დასაწყისსა და დასასრულს იანხვდებიან. შესაბამისად „საუწყებელში“ აბუსერისძე საგანგებოდ აღნიშნავს: „ესე ჩიტისთუალნი დასაწყისისა და ბოლოჲსაგან კიდე ერთგან აღარსად შეიყრებიან“ (329 r).

„საუწყებლის“ ტექსტშივე მოხსენებულია. სამი ჩიტისთვალიც: „ცამეტორსა ზემოჲთ რომე მეოთხე კაპატონი არს, სამნი ჩიტისთუალნი დამისხმან“. (321v). მათლაც, ცამეტორის წინა („ზემო“) სვეტის თავზე ყურადღებით დაკვირვებისას შეიმჩნევა პრაქტიკულად თითქმის გადასული სამი „ჩიტისთვალის“ ნაკვალევი.

ორ შემთხვევაში, 84 და 261 წლების გასწვრივ ლუპის დახმარებით შეიმჩნევა წყვილად გამოსახული „ჩიტისთვალების“ ნაკვალევი, რომლებიც ავტორის მიერ აშიაზე დამატებით შეტანილი ჩანაწერების მოსანიშნად არის გამოყენებული (309 v; 313 r). ყველა ეს ტექნიკური ნიშანი, როგორც პირველადი ტექსტის კუთვნილება, გამოცემაში ჩვენს მიერ აღდგენილ იქნა სათანადო ადგილებზე.

„საუწყებელში“ მოხსენებულია კიდევ ერთი დამხმარე ნიშანი, კერძოდ „იოტა“, რომელიც თანამედროვე გაგებით შტრიხს, მცირე ხაზს უნდა ნიშნავდეს: „ანუ იოტანი სხლენ ანუ ჩიტისთუალნი თავსა ანუ საშუალსა სადამე“ (308v). სამწუხაროდ, ისედაც არამკაფიო და ადვილად წარსახოცი ამ ნიშნის კვალს მრავალჯერ გადაშლილ თუ გადასწორებულ აშიებზე ვერსად მივაკვლიეთ. თუმცა არ არის გამორიცხული, რომ 95-ე წლის სტრიქონის გასწვრივ

(ფ. 210r) ერთ-ერთი ასეთი ნიმუში მაინც შემორჩა, ვინაიდან ის გვიანდელი ჩანაწერების ავტორმა თავის მიერ შეტანილი ასორიცხვნიშნის ერთ-ერთ შემომსაზღვრელ ხაზად გამოიყენა (95--ე წლის იოტით მონიშვნა სავსებით მოსალოდნელია, ვინაიდან ხუთი ცხრამეტწლიანი ციკლის შემცველ ამ რიცხვს „საუწყებელი“ განსაკუთრებით გამოყოფს ბერძნულ-ქართული წელთაღრიცხვების 96-წლიან განსხვავებასთან დაკავშირებით). ასევე შემორჩენილი არ უნდა იყოს კიდევ ერთი ტექნიკური ნიშანი, რომელიც 453-ე სტრიქონთან უნდა ყოფილიყო დასმული. ამ გარემოებაზე მიუთითებს „საუწყებელის“ შემდეგი წინაღადება: „ნიშანნი დასაბამობითგანი და მის ქრონიკონისაჲ წელს დიდსა ქრონიკონსა შინა დამისუამს“ (ფ. 328 r).

ტექნიკურ ნიშნებთან ერთად ცხრილი სხვა დამხმარე საშუალებებსაც შეიცავს სიტყვიერი და ასორიცხვნიშნებით წარმოდგენილი ციფრული მასალების სახით. ასორიცხვნიშნები გამოყენებულია როგორც წლების (ათწლეულების), ისე მზისა და მთვარის ციკლების ნუმერაციისათვის. ციკლის ნომრის აღმნიშვნელი ასორიცხვნიშანი ჩასმულია ოთხი მხრივ 2-3 პარალელური ხაზით შემოსაზღვრულ ჩარჩოში, თითოეული მათგანი განთავსებულია მზის ციკლისათვის მარცხენა და მთვარის ციკლისათვის მარჯვენა ველებზე, შესაბამისი ჩიტისთვალების გასწვრივ. ციკლების ნუმერაციისაგან განსხვავებით წლების რიგით ნუმერაცია არასრულად არის წარმოდგენილი და ის ფიქსირდება შემდგომი წლებისათვის: 30--100, 150-170, 190-210, 240-250.

აღნიშნული ჩანაწერების დეტალური შესწავლის საფუძველზე გამოვლინდა, რომ ციკლების ნუმერაცია ცხრილში მოგვიანებით არის შეტანილი. მელანი, რომელიც ასორიცხვნიშნებისა და მათი შემომსაზღვრელი ხაზებისათვის არის გამოყენებული, მკვეთრად შავი ფერისაა და აშკარად განსხვავდება იმ მოყავისფრო რკინის მელნისაგან, რომლითაც ჩაწერილია ცხრილის ძირითადი მონაცემები და საერთოდ „საუწყებლის“ ტექსტიც. ამ შავი მელნით ხშირად გვხვდება ძირითადი სიდიდეების გაცხოველების კვალიც. რამდენიმე შემთხვევაში ამ მელნით სინგურით ჩაწერილი მონაცემებიც არის გაცხოველებული (იხ. მაგ. ფფ. 312v, 314v, 315r-v) და არც თუ ისე იშვიათად სინგურითვე შესრულებული, მაგრამ დროში გადასული ჩიტისთვალის გამოსახულებებიც. ორ შემთხვევაში, კერძოდ კი 280 და 400 წლებთან ეს ასორიცხვნიშნები პირდაპირ მანამდე არსებულ ჩანაწერებზეა გამოყვანილი (ფ. 313 v და 316 r). ასევე ითქმის 457 წელთან დასმულ რიცხვნიშანზეც, რომელიც, მართალია, შეძლებისდაგვარად მწერალს ზედნადების სვეტსა და 453 წლის მინაწერს შორის არსებულ თავისუფალ სივრცეში მოუთავსებია, მაგრამ ასორიცხვნიშნის შემომსაზღვრელი დამატებითი ხაზები ადგილის უქონლობის გამო მაინც პირდაპირ წარწერაზე გამოუყვანია (317 r).

მზის ციკლების ნუმერაციისას დაშვებულია საკმაოდ უხეში შეცდომა: რიცხვნიშან „ი“-ს (10-ის) შემდეგ მოსალოდნელი „ია“-ს (11-ის) ნაცვლად დასმულია „კ“ (20) და შემდგომი ნუმერაცია ათეულების ნაცვლად რატომღაც ისევ

ოცეულებით არის გაგრძელებული (ფ. 314 **r** და შემდეგ). ასორიცხვნიშნების მონახაზებიც საკმაოდ დაუდევრად არის შესრულებული, თანაც ზოგ შემთხვევაში **recto**-ს მარცხენა აშიებზე ჩაწერილი რიცხვნიშანის ანაბეჭდი წინა ფურცლის **verso**-ს მარჯვენა აშიაზე არის გადასული, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ხელნაწერში ასორიცხვნიშნების ჩაწერისას მელნის გაშრობისათვის მწერალს არც კი დაუცდია.

წლების რიგითი ნუმერაციის აღმნიშვნელი ასორიცხვნიშნებიც იმავე პიროვნების მიერ უნდა იყოს შეტანილი, ვინც ციკლების ასორიცხვნიშნები ჩაწერა. ორივე ჩანაწერისათვის აშკარად ერთი და იგივე მელანი არის გამოყენებული. რამდენიმე შემთხვევაში, მზის ციკლების და ამ რიგითი წლების აღმნიშვნელი ასორიცხვნიშნების პოზიციების თანხვდენისას, ისინი ერთმანეთს არ ფარავენ და აშკარად ერთმანეთის გათვალისწინებით არიან გამოსახული. მზის ექვსი ციკლის დასრულების აღმნიშვნელ ასორიცხვნიშან „ვ"-ს (6), რომელიც 169-ე სტრიქონის განწვრივ არის გამოსახული, ქვემოდან შემომსაზღვრელი ხაზები აღარა აქვს დართული. ამის მიზეზი კი ის არის, რომ ამ ხაზების ფუნქცია 170-ე სტრიქონის განწვრივ ჩაწერილი რიგითი ნომრის ––„**რო**"-ს (170) თავზე გამოსახულ ქარაგმის ხაზს აქვს დაკისრებული. 210-ე წლისათვის კი, ვინაიდან ამ სტრიქონის განწვრივ ერთდროულად არის დასაფიქსირებელი მთვარის ციკლისა და რიგითი წლების ნუმერაცია, ასორიცხვნიშნები ერთგვარი შეწიალების სახით არიან წარმოდგენილი: ციკლის „**ა**" ასორიცხვნიშანში „**ა**" „**ი**"-სთან შედარებით მაღლა არის აწეული, რომ მის ქვემოთ წლის რიგითი ნომერი „სი" (210) მოეთავსებინათ შემომსაზღვრელი ხაზებით გამოყოფილ სიბრტყეში (ფფ. 311 **v**, 312 **r**). ერთმანეთის გადაფარვის გამორიცხვის ტენდენციამ ერთ შემთხვევაში შეცდომაც კი გამოიწვია. კერძოდ, 29-ე სტრიქონის განწვრივ მზის ციკლის ასორიცხვნიშან „ა"-ს დასმისას, მწერალმა 169-ე სტრიქონისაგან განსხვავებით ამ ასორიცხვნიშანს ქვემოდან საკუთარი შემომსაზღვრელი ხაზი დაურთო (უკვე 30-ე სტრიქონის დონეზე) და ამიტომაც იძულებული გახდა, რომ ამ 30-ე სტრიქონის შესაბამისი რიგითი ნომერი „ლ" (30) უკვე 31-ე სტრიქონის განწვრივ ჩაეწერა. როგორც ეტყობა, მომდევნო რიგითი ნომრების გადათვლა უკვე ამ 31-ე სტრიქონიდან განხორციელდა და ამიტომაც ასორიცხვნიშნები „მ" (40), „ნ" (50) და „ჯ" (60) მწერალმა შეცდომით 41,51 და 61-ე სტრიქონების განწვრივ დააფიქსირა (70-ე სტრიქონისათვის ეს შეცდომა უკვე გამოსწორებულია: ალბათ, იმის გამო, რომ მწერალმა გაითვალისწინა უფრო ძველი ნუმერაციის მონაცემი, რომელიც ამ ფურცელზე არ იყო წარხოცილი. იხ. ფფ. 308v––309v).

რიგით ნუმერაციასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ დღეისათვის მისი ასორიცხვნიშნები მხოლოდ 30-250 სტრიქონების ინტერვალში ფიქსირდება. ვინაიდან სხვა წლებისათვის არსებული რიცხვნიშნების ამოშლის ფაქტი ნამდვილად არ დასტურდება, უფრო მისაღები ჩანს ის მოსაზრება, რომ მწერალი მხოლოდ ამ წლების ფიქსაციით შემოიფარგლა.

ციფრული (ასორიცხვნიშნითი) ნუმერაციის გვიანდელი წარმომავლობის დადგენის შემდგომ, ბუნებრივად, ისმის კითხვა, თუ როგორ იყო დანომრილი ცხრილი თავდაპირველად.

ამასთან დაკავშირებით ჩვენი ყურადღება მიიქცია აშიაზე მოყვანილმა მთელმა რიგმა მეტნაკლებად გადასულმა ჩანაწერებმა, სადაც რიცხვის აღმნიშვნელი სიტყვები ამოიკითხება. აქედან სრულ ამოკითხვას ექვემდებარება 20, 80-120, 180-220, 300, 380-400 და 480 წლის (სტრიქონის) გასწვრივ მოყვანილი მინაწერი. იგივე ითქმის 280 და 400 წლის შესაბამის მინაწერებზეც. მიუხედავად იმისა, რომ ისინი გადაფარული არიან მოგვიანებით შესრულებული ჩანაწერებით. თითოეულ მინაწერში იკითხება სიტყვა „აქა“ და რიცხვი, რომელიც თავისი მნიშვნელობით ყოველთვის თანხვდება შესატყვისი წლის რიგით ნომერს (მაგ. „აქა ოც“ მე-20 სტრიქონის, „აქა ოთხმოც“—მე-80 სტრიქონის გასწვრივ და ა.შ.). ცალკეულ სტრიქონებთან (n=160, 240, 260 და 360) შეიმჩნევა სიტყვა „აქა“-ს ან რიცხვის გამომხატველი სიტყვის ცალკეული ასოები ან ასოთა ჯგუფები. ყოველივე ეს მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ აღნიშნული ჩანაწერების სახით საქმე გვაქვს 532-წლიანი ციკლის სიტყვიერ ნუმერაციასთან. ნუმერაცია 20-წლიან ინტერვალს მოიცავს და მთელი რიგი ნიშნების მიხედვით თვით თხზულების გადამწერის მიერ არის შესრულებული (ამ ფაქტზე დამარწმუნებლად მიუთითებს ჩანაწერის ხელის და მელნის იდენტურობა ძირითადი ტექსტის ხელთან და მელანთან). აღსანიშნავია, რომ H-3004 ხელნაწერში, რომელიც 532-წლიანი ცხრილის ორფურცლიან ფრაგმენტს შეიცავს, წარმოდგენილია ზუსტად ამგვარი სიტყვიერი ნუმერაცია, მხოლოდ 160-დან 220 წლების ფარგლებში[1] (სხვათა შორის, ამ ფრაგმენტში მოყვანილი კინკლოსური მასალის და განსაკუთრებით სიტყვიერი ნუმერაციის მიხედვით ეს სტრიქონები უცილობლად A-85 ხელნაწერიდან არის გადაწერილი და არა ე.წ. იკორთის ძლისპირიდან, როგორც ამას აქამდე მიიჩნევდნენ).

აღნიშნული სიტყვიერი ნუმერაციის გარდა აშიებზე სინგურით ჩაწერილი მეორე ნუმერაციის ნაკვალევიც შეიმჩნევა. აშკარად იკითხება „აქა ასოც“ (n=16) და „ორას“ (n=296). ადვილად შეიძლება აღვადგინოთ არც თუ ისე დაზიანებული ჩანაწერები: „ხუთ“—ე.ი. „ხუთას“ (n=64), „...ა ოც“—„აქა ოც“ (n=116), „აქა ა...“—„აქა ას“ (n=196) და „ოთხა...“—„ოთხას“ (n=496).

ყველა ამ ჩანაწერში რიცხვითი მნშვნელობა, გარდა ხუთასისა, შესაბამისი რიგითი ნომრის რიცხვზე 96-ით ნაკლებია. ეს კი ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ აღნიშნული სიტყვიერი ნუმერაცია ბიზანტიურ „ქრონიკონულ“ წელთაღრიცხვას შეესაბამება. რაც შეეხება ხუთასს, ისიც ამ წელთაღრიცხვას ეკუთვნის, მხოლოდ ქართულ სათვალავთან მის მიმართებაში რიცხვი 96 უკვე აღარ ფიგურირებს. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ქართული 532-წლიანი ციკლის დასასრულს ბიზანტიურს მხოლოდ 436 წელი

---

[1] მცირე ქრონიკები. გამოსცა ჯ. ოდიშელმა. თბ., 1968. გვ. 37-38.

შეესაბამება (532-96=436), ასე რომ, შემდგომი ბიზანტიური წლების ათვლა უკვე ახალ, 532-წლიან ციკლში გადადის. ამ ციკლში კი ბიზანტიური რიგითი ნომერი ქართულ ნომერს უკვე 436 წლით აღემატება და ამიტომაც ბიზანტიური რიცხვი „ხუთასი“ ქართულ ნუმერაციაში 64-ე რიგით ნომერს შეესაბამება (500-64=436). ბიზანტიური 532-წლიანი ციკლის დასასრული ამ შემთხვევაში ქართულ 96 წელზე მოდის, რაც შესაბამისად ასახულია ცხრილში: აღნიშნული რიგითი ნომრის (ე.ი. 96-ის) გასწვრივ იკითხება სინგურით ჩაწერილი „ხუთს ოცდ...“, რომელიც აშკარად „ხუთასოცდათორმეტის“ ნაკვალევს წარმოადგენს. ასევე ეჭვს არ იწვევს მომდევნო 97-ე რიგით ნომერთან სინგურითვე შესრულებული ჩანაწერის—„აქა და ... ებს სათ...ბრ“ —შინაარსი. ამოკითხული ასოების საგრძნობი მცირერიცხოვნების მიუხედავად, ქრონოლოგიური ფაქტის გათვალისწინებით, აქ ერთმნიშვნელოვნად უნდა იქნეს ამოკითხული: „აქა დაიწყების სათუალავი ბერძენთა“ (შდრ. „საუწყებელში“ მოყვანილ წინადადებას: „და აქა ბერძენნი სოფლისა დასაბამად იწყებენ“—ფ. 332 v).

ბიზანტიური ნუმერაციის სხვა შემთხვევების გამოვლენის მიზნით სათანადო სტრიქონების აშიების უფრო გულმოდგინე შესწავლამ გვიჩვენა, რომ 1. ძალზე რიგ შემთხვევებში ეტრატის საგულდაგულო გადაფხეკის გამო სინგურით შესრულებული ჩანაწერის კვალი საერთოდ არა ჩანს, მიუხედავად იმისა შემდგომში გადანაფხეკი თავისუფალი დატოვეს თუ მასში ახალი მინაწერი შეიტანეს. 2. ზოგიერთი გადაფხეკილ ადგილზე შეიმჩნევა სინგურის წერტილოვანი ნაკვალევი, რაც ადრე აქ ჩანაწერის არსებობაზე მიუთითებს (n=156, 236, 356). 3. რამდენიმე შემთხვევისათვის ლუპით შეიმჩნევა სინგურით შესრულებული მოხაზულობის ნაკვალევი, რომლიდანაც ან საერთოდ შეუძლებელია რაიმე ასოს ფორმის დადგენა (სტრიქონებისათვის 4, 420, 436,), ან მხოლოდ ცალკეული ასოს ამოკითხვა თუ შეიძლება (სტრიქონებისათვის 24, 416). 4. რამდენიმე სტრიქონისათვის იკითხება ასოთა ჯგუფი (სტრიქონებისათვის 256, 396) „ას“-ის და „სამ“-ის სახით, რომლებიც შესატყვისი სტრიქონების გათვალისწინებით, აშკარად სიტყვიერი ნუმერაციის შემორჩენილ ფრაგმენტებს წარმოადგენენ (საწყისი ფორმა იქნებოდა „|ორ|ას |ორმოცდათექუსმეტი|“ და „სამ|ას ოთხმოცდათექუსმეტი|“.

გამოვლენილი მასალებიდან ჩანს, რომ ქართულთან ერთად აბუსერისძეს ცხრილში ბერძნული ნუმერაციაც ჰქონდა გამოყენებული. ორი ნუმერაციის გამოყენების მაგალითი უფრო ადრეული ქართული პასქალური ცხრილისათვისაც არის ცნობილი. კერძოდ, იოანე-ზოსიმეს მიერ 943 წ. გადაწერილ პასქალიაში 532-წლიან ცხრილს ქართულთან ერთად დართული აქვს 112 წლით წანაცვლებული იერუსალიმური ნუმერაცია[1] (იერუსალიმური წელთაღრიცხვით „დასაბამითგანი“ წელი 5492 წელს შეადგენდა). მაგრამ ამ შემთხვევაში ასეთ დუბლირებას მხოლოდ პრაქტიკულ-საცნობარო დანიშნულება ჰქონდა, ვინაი-

[1] იხ. ბროსე, დასახ. ნაშრომი, გვ. 7-9.

დან იმ დროისათვის ქართველები იერუსალიმური სათვალავითაც სარგებლობდნენ პასქალური გამოთვლების დროს.

აბუსერისძის ცხრილში რომელსაც საცნობაროსთან ერთად სასწავლო დანიშნულებაც აქვს, აღრევების ან აშიის კიდეების გადატვირთვის თავიდან ასაცილებელ ღონისძიებად გამოყენებულია: ა) ნუმერაციების ჩანაწერები განსხვავებული ზომითა და მელნით (ერთფეროვან ბეჭდურ გამოცემაში ამიტომ ბიზანტიური ნუმერაცია მარჯვენა აშიიდან მარცხენაშია გადატანილი) და ბ) ოცწლიანი ნუმერაცია (ცხრილებში ჩვეულებრივ წარმოდგენილი 10-წლიანი პერიოდების ნაცვლად).

ანბანურის ნაცვლად სიტყვიერი ნუმერაციის გამოყენება დღეისათვის თუ მოუხერხებელი ჩანს, იმ დროისათვის ის სავსებით გამართლებული იყო. თანამედროვე მკითხველისათვის არაბული ციფრებით მანიპულირება თუ პრობლემას არ წარმოადგენს წარსულში ასორიცხვნიშნებით გადმოცემული რიცხვების აღქმა და გააზრება გარკვეულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ამიტომაც არის რომ „საუწყებელში“ აბუსერისძე საგანგებოდ აღნიშნავს: „თჳნიერ ამის დიდისა ქრონიკონისა საუწყებელსა შინა არა ჯერ-არს სათუალავისა ანბანითა წერაჲ, მკითხველისათჳს სადრტჳნავად შეიქმნების“ (A-85, ფფ. 334v). ერთის შეხედვით, ავტორი თითქოს წინააღმდეგობაში ვარდება, როდესაც აცხადებს, რომ რიცხვი („სათუალავი“) ასორიცხვნიშნის სახით („ანბანით“) მხოლოდ ცხრილში („ქრონიკონში“) უნდა ჩაიწეროს და ამავე დროს წლების ნუმერაცია კი სიტყვიერი ჩანაწერის ფორმით მოყავს. მაგრამ აქ სინამდვილეში ეს ეხება ძირითადი პასქალური მონაცემების რიცხვით სიდიდეებს, რომლებიც ყოველი წლისათვის არიან წარმოდგენილი და, მაშასადამე, სხვა გზით ასეთი მრავალრიცხოვანი მასალის კომპაქტურად წარმოდგენა შეუძლებელია. მათგან განსხვავებით ოცწლიანი ინტერვალით წარმოდგენილი ნუმერაცია კომპაქტურ ფორმას არ საჭიროებს და მასზე არ ვრცელდება ცხრილის ძირითადი სიდიდეებისათვის დაწესებული ნორმები.

ცხრილისადმი აბუსერისძისეული დამატებების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს განმარტებითი მინაწერები, რომლებიც ავტორმა 532-წლიანი ციკლის სხვადასხვა წლებს დაურთო ცხრილის არსში უკეთ ჩაწვდომის მიზნით. იმ „შეისწავეთა“ ან „პატივთა ზედა სიტყვად“ დაწერილი განმარტებებიდან, რომელთა შენარჩუნებას ასე დაბეჯითებით მოითხოვს ტექსტში აბუსერისძე, უმრავლესი ნაწილი სწორედ ქრონიკონის ცხრილზე მოდის. ამ მინაწერების უმრავლესობა იმდენად გადასული ან განადგურებულია, რომ უფრო შემონახული გვიანდელი „კინკლოსური“ ჩანაწერების ფონზე მათი არსებობა აქამდე ფაქტობრივად არცკი დაფიქსირებულა. სამწუხაროდ, ნიკოლოზ ორბელიანს, რომელსაც ფაქტობრივად თხზულების სრული ტექსტი მოჰყავს, ეს მინაწერები რატომღაც აღარ გადმოუწერია.

ზემოთ ჩვენ ზოგადად უკვე შევეხეთ ერთ-ერთი ასეთი ჩანაწერის შემორჩენილ საწყის ფრაგმენტს, რომელიც 97 წლის განმეორებით არის სინგურით მიწერილი. დასაწყისში მის პირველ ასოზე მთვარის ციკლის აღმნიშვნელი რიცხვნი-

შანის („ე“-ს ე.ი. 5-ის) შემომსაზღვრელი ხაზია გასმული, ხოლო ძირითადი ნაწილი (და როგორც ჩანს, საკმაოდ მნიშვნელოვანი) აშიის ჩამოჭრის გამო სამუდამოდ არის დაკარგული. ჩანაწერისაგან შემორჩენილი უმნიშვნელო ნაწილი „აქა და ... ებს სათ... ბრ... “ („აქა დაიწყების სათუალავი ბერძენთა“) მხოლოდ ნუმერაციის თვალსაზრისით საინტერესო ცნობას გვაწვდის. დღეისათვის დაკარგული ტექსტის მომდევნო ნაწილში აბუსერისძე, ალბათ, გარკვეულ ინფორმაციას იძლევა ამ წელთაღრიცხვის შესახებ.

„საუწყებლის“ თანახმად მე-14 მოქცევის 84 წლით უნდა გასრულდეს 7000 წელიწადი. როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, ეს წელი აშიაზე ქანწილის მსგავსი ჯვრით აღმოჩნდა მონიშნული. ამ ჯვრის გასწვრივ აშიის კიდეში ორი სინგურის ჩიტისთვალით კი მონიშნულია რაღაც საგანგებო ჩანაწერის დასაწყისი. ჩანაწერი სინგურითაა შესრულებული და ყურადღებით დაკვირვებისას ახლაც შეიმჩნევა მისგან შემორჩენილი ორი სტრიქონის ნაკვალევი. ასოების ამოკითხვა შეუძლებელია, გარდა დასაწყისში მოყვანილი სიტყვისა––„ამას“. აქ, ცხადია, აბუსერისძეს აღნიშნული ექნებოდა 7000 წელთან დაკავშირებული მოსაზრებები. მოგვიანებით 7000 წლის „მშვიდობიანად“ გავლის შემდგომ მინაწერმა თავისი აქტუალობა დაკარგა და ის საგულდაგულოდ იქნა წაშლილი.

261 წლის გასწვრივ ფიქსირდება ასევე საგულდაგულოდ გადაშლილი წარწერა, რომლიდანაც სამი სტრიქონის ნაკვალევი და ზოგიერთი ასოს მოხაზულობა ახლაც შეიმჩნევა. ლიტერატურაში ის მიჩნეულია „კვინკლოსურ წარწერად“, რომლიდანაც ამოკითხული „... ყიზ ... შ... დაგვესხნეს“, ამავე წლის სხვა „კვინკლოსების“ ტექსტის მიხედვით აღდგენილია წინადადებად: „[აქა ოცხეს] ყიზ[ილბა]შ[ნი] დაგვესხნეს“[1].

ამასთან ერთად ყურადღებას იქცევს ასეთი დეტალი. ვინაიდან აღნიშნულ სტრიქონზე გადმოსული იყო 260 სტრიქონზე ჩაწერილი სიტყვიერი ნუმერაციის („აქა ორას სამოც“) ნაწილი (სიტყვა „სამოც“) და სხვა წარწერა აღარ მოთავსდებოდა, ჩამწერს შემდეგი ხერხისათვის მიუმართავს: „სამოცის“ წინ მან ორი ჩიტისთვალით დააფიქსირა საკომენტარო წელიწადი, ხოლო კომენტარის ტექსტი მომდევნო 262 წლიდან დაიწყო. ასეთი კორექტული დამოკიდებულება სიტყვიერი ნუმერაციისადმი (რომელსაც სავსებით მოკლებულია გვიანდელი მინაწერები) და ამასთან ერთად ჩიტისთვალისთვის სინგურის გამოყენებაც, ჩანაწერის პირველად ფენისადმი კუთვნილებაზე უფრო უნდა მიუთითებდეს. სამწუხაროდ, თვით „საუწყებელში“ ამ 261 წელთან დაკავშირებით არაფერი არ არის ნათქვამი და არც ჩვენ მოგვეპოვება რაიმე ცნობა კალენდარული თვალსაზრისით ამ წლის განსაკუთრებული მნიშვნელობის შესახებ. ამიტომაც თუნდაც ზოგადად, ჩანაწერის შინაარსი ჩვენთვის უცნობი რჩება, მაგრამ მისი პირველადი ფენისადმი კუთვნილება და „არაკინკლოსური“ ხასიათი არავითარ ეჭვს არ იწვევს.

---

[1] ჯ. ოდიშელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 28, შდრ. იქვე, გვ. 30, 33.

453-ე სტრიქონის (ე.ი. 1233 წლის) გასწვრივ აშიაზე მოთავსებულია ჩანაწერი, რომელიც „საუწყებელშიც“ არის მოხსენებული („ესე სიტყუაჲ დიდსა ქრონიკონისა პატივსა ზედა დამიწერია...“) და მას ერთგვარი ქრონოლოგიური ორიენტირის ფუნქციები აქვს დაკისრებული შემდგომ წლებში გამოთვლების ჩასატარებლად. ჩანაწერი საკმაოდ ვრცელია და თავის დროზე, როგორც მინიმუმ აშიის 21 სტრიქონზე იყო მოთავსებული. ამჟამად მელნის გაუფერულების და აშიის კიდის ჩამოჭრის გამო, ჩანაწერი ძნელი ამოსაკითხია. მიუხედავად ამისა, მისი პირველი ნაწილის (1-6 სტრიქონი) აღდგენა მაინც შეიძლება, ვინაიდან აქ იმ სიტყვების ფრაგმენტებია წარმოდგენილი, რომლებიც ამ 453 წლის წელთაღრიცხვებს შეესაბამებიან. აღნიშნულ პირველ ნაწილს ჩვენი აღდგენით ასეთი სახე აქვს: „აქა ამის ქრონიკონი შეიქმნა ოთხა|ს ორ| მეოცდა ცამ|ეტი. ხოლო წელნი და|საბამითგან ექუს ა|თას| რვაას ოცდაჩჳდ|მეტი| და ბერძულ|ით| [ე]ქუს ა|თ|ას |შჳდას| |ორ|მეოცდაერთი წე|ლი|...“. მეორე ნაწილში (7-21 სტრიქონი) მხოლოდ ასოთა დაჯგუფებებია, ზოგჯერ კი ცალკეული სიტყვაც იკითხება. სწორედ ორი ასეთი სიტყვა („გარდაჴ|დეს|“ და „ორსავე“) მიგვანიშნებს, რომ ამ ტექსტში მოყვანილი იყო მითითება ბიზანტიურ და ქართულ წელთაღრიცხვებში წლების ათვლის შესახებ.

ერთადერთი სრულად გადარჩენილი წარწერა მოთავსებულია ცხრილის ბოლოს, 532 წლის ძირითადი მონაცემების ქვემოთ და შესრულებულია სინგურით. წარწერა მიუთითებს მკითხველს, რომ ქრონიკონის ციკლის დასრულების შემდეგ ათვლა თავიდან უნდა იქნას დაწყებული: „აქა უნდა ისევე თავისაჲ“.

აღნიშნული პირველადი ფენის წარმოჩენისა და გვიანდელი დაშრევებების ჩამოცილების შემდგომ ქრონიკონის დიდი ცხრილი საკმაოდ საინტერესო ინდივიდუალურ სახეს იძენს. თუმცა ჩვენი რესტავრაცია შეიძლება არც იყოს სრული, ვინაიდან აშიები მრავალჯერ არის გადაშლილ-წარხოცილი, მაგრამ ცხრილი მაინც სრულიად ახალი შინაარსით წარმოგვიდგება. ტექნიკური ნიშნებისა და განმარტებითი მინაწერების მეშვეობით იმდროინდელ მკითხველს საშუალება ეძლეოდა ვიზუალურად გაედევნებინა თვალი პასქალურ-კალენდარული მახასიათებლების ქცევისათვის, როგორც 19 და 28-წლიანი ციკლების, ისე მთლიანად „დიდი ქრონიკონის“ ფარგლებში. ცხრილის ეს გრაფიკული თვალსაჩინოება კი თავის მხრივ გაცილებით აადვილებდა იმ საკითხების გარკვევას და შესწავლას, რომელიც საუწყებლის ტექსტში იყო გადმოცემული. ასე რომ, რესტავრირებული ცხრილის სახით ჩვენ საქმე გვაქვს სრულიად ახალი პასქალური ცხრილის ტიპთან, რომელიც საცნობარო დანიშნულებასთან ერთად თავის თავში სასწავლო ფუნქციებსაც ითავსებს.

* * *

თხზულების ტექსტი, რომელიც უშუალოდ შავთელისეულ იამბიკოებს შეიცავს, დღეისათვის დადგენილი არ არის. კ. კეკელიძემ თუმცაღა საგანგებოდ მიუთითა ტექსტში ამ იამბიკოების განთავსების ადგილებზე, მაგრამ ტექსტისეული ზოგიერთი მონაცემიდან ჩანს, რომ აღნიშნული მითითება მთლად ზუსტი არ არის.

კ. კეკელიძის თანახმად შავთელის „საძიებელი და მასწავებელი“ იწყება „რიცხუნის“ ტექსტით და, მაშასადამე, „რიცხუნი“ ამ თხზულების საწყისს ნაწილს განეკუთვნება. ამ ნაწილის უშუალო თუ არაუშუალო გაგრძელებად არის მიჩნეული კომპაქტური ცხრილის შემდგომი ტექსტი „მოკლე ინსტრუქციისა“ და „მხატვრული ფრაგმენტის“ შემადგენლობით. ამ შემთხვევაში გაუგებარი ხდება „რიცხუნის“ წინ მოყვანილი წინადადების („უკუეთუ გინდეს ცნობის, ესე არს თავი დივანთაჲ“) ფუნქცია, რომელიც აშკარად „რიცხუნთან“ დაკავშირებულ სათაურს წარმოადგენს. მაგრამ უფრო საყურადღებო ის არის, რომ ამავე გვერდზე „ტექნიკურ შენიშვნაში“ მკაფიოდ არის მითითებული „რიცხუნის“ შავთელის იამბიკოების შემდგომ მოთავსების აუცილებლობის შესახებ.

თხზულების ბოლო გვერდზე, სადაც მთავრდება იამბიკონი, ფურცლის ქვემო კიდეზე აღნიშნული შენიშვნა კვლავ მეორდება შემდგომი ჩანაწერის სახით: „ესე ქრონიკონისა თავსა დაწერილი რიცხჳ აქა შეუდგინ“ (ფ. 338 r). აღსანიშნავია, რომ ნიკოლოზ ორბელიანმა ავტორის „მცნების აღსასრულებლად“ „რიცხუნი“, უფრო ზუსტად კი მთელი „სარედაქტორო დანართი“ უშუალოდ ბოლო გვერდის იამბიკურ ნაწილს „მოუკიდა“. ასე რომ, თუ კ. კეკელიძის მიხედვით შავთელის იამბიკოების შემცველი ფრაგმენტების თანამიმდევრობა ამგვარად გამოიყურება: „რიცხუნი“—„მოკლე ინსტრუქცია“—„მხატვრული ფრაგმენტი“, ნიკოლოზ ორბელიანის მიხედვით შებრუნებულ სურათს მივიღებთ: „მოკლე ინსტრუქცია“—„მხატვრული ფრაგმენტი“—„რიცხუნი“.

თუ ისევ ტექსტის ზოგიერთ მონაცემს გავითვალისწინებთ ორივე წარმოდგენილი სქემა აზრს კარგავს. სამივე აღნიშნული ფრაგმენტიდან მეორე, ე.წ. „მხატვრული ფრაგმენტი“ მკვეთრად გამოირჩევა დანარჩენებისაგან მთელი რიგი თავისებურებებით.

ამ ფრაგმენტში იამბიკოს თითოეული მუხლი (სტროფი) სინგურით ჩაწერილი ასომთავრულით იწყება. ყოველი სტრიქონი ერთმანეთისგან სისტემატურად წერტილით (იშვიათად ორწერტილით) არის გამოყოფილი, ხოლო ყოველი მუხლი—სამწერტილით. თითოეულ სტრიქონში, იშვიათი გამონაკლისის გარდა, უცვლელად დაცულია მარცვალთა რაოდენობა შეფარდებით 5:7*. ასე რომ, ეჭვს არ იწვევს, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს პროზაული ფორმით ჩაწერილ იამბიკოებთან (ზუსტად ამავე ფორმითაა კრებულში ჩაწერილი მრავალრიცხოვანი იამბიკოები). ამასვე უნდა ადასტურებდეს ამ ფრაგმენტის გას-

* იამბიკოს სტროფებში მარცვალთა სათვალავში არ მიიღება ჲ და უმარცვლო უ. მე-12 მუხლის მეორე და მე-13 მუხლის მესამე სტრიქონში შეფარდება 5:7 შეცვლილია 6:6-ით.

წვრივ აშიაზე მოთავსებული რედაქტორის ჩანაწერი, რომელიც დღეს ასეთი სახით იკითხება: „ესე ათ|ცამეტი იამბი|კონები წმიდისაჲ... |შავ|თელის... |სა|ძიებელი |და მას|წავებელი ა|სურულისა| კჳკლო|სისაჲ|...“ (იხ. რ.შ. №22)

„რიცხუნის“ ჩანაწერშიც ხშირად შეინიშნება სინგურით ჩაწერილი ასომთავრული. მაგრამ ამ შემთხვევაში ეს ასო ახალი მუხლის დაწყებას კი არ აღნიშნავს, არამედ გამოჰყოფს რომელიმე მნიშვნელოვან სიტყვას ან რიცხვს (თუმცა ეს წესიც სისტემატურად არ არის დაცული). არც დასმული წერტილები უნდა იყოს გამოყენებული სტრიქონების დასაფიქსირებლად. მართალია, ზოგიერთ ადგილას შეიმჩნევა სიტყვების რიტმული წყობა, რომელიც ზოგჯერ იამბიკურ საზომში თავსდება, მაგრამ ეს მხოლოდ რამდენიმე შემთხვევისათვის. რიტმის შეგრძნებას, სხვათა შორის, რიცხვების სამი ჩანაწერიც ქმნის, რომელთაგან თითოეული სინგურის ასომთავრულით იწყება და რვა მარცვალს შეიცავს („ოთხათას სამას ოთხმეოც“, „რვა ათას შჳდას სამეოც“ და „ოთხბევრ სამათას და რვაას“). მაგრამ სწორედ ეს ჩანაწერები მიუთითებენ იმ გარემოებაზე, რომ აქ ჩვეულებრივი იამბიკოს გამოყენება გამორიცხულია.

რაც შეეხება „მოკლე ინსტრუქციას“, იამბიკოს დასაწყისის მომნიშვნელი რედაქტორის ჩანაწერიც რომ არ არსებულიყო აშიაზე, მისი პროზაული ფორმა ისედაც ადვილი დასადგენია (ჩანაწერში მხოლოდ დასაწყისში არის გამოყენებული სინგურის ასომთავრული და აქ არც იამბიკოსათვის დამახასიათებელი სტრიქონების არსებობა შეიმჩნევა).

ზემოთ მოყვანილი მონაცემების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ თხზულებაში შავთელის იამბიკოები თავსა და ბოლოში კი არა აქვს დართული ძირითად ტრაქტატს, არამედ ნაწილის სახით მოყვანილია კომპაქტური ცხრილის განმარტებითი ტექსტში, კონკრეტულად კი ის მოთავსებულია ამ განმარტებითი ტექსტის შუა ნაწილში, რომელსაც ჩვენ პირობითად „მხატვრული ფრაგმენტი“ ვუწოდეთ.

იამბიკოს ეს 13 მუხლი, როგორც შინაარსობრივად ისე რაოდენობრივად აშკარად ვერ პასუხობს კომპაქტური ცხრილის განმარტებითი ტექსტის ყველა მოთხოვნას. ამ 13 მუხლიდან მხოლოდ 7 ეხება უშუალოდ ცხრილს (მუხლები 5-11). აქედან 4 (მუხლები 5-8) ცხრილის აღწერას ეთმობა, 1 (მუხლი 9)—ცხრილით სარგებლობის წესს და 2 (მუხლი 10-11) იმ პრინციპის გასაგებად გადმოცემას, რაზედაც ცხრილია დაფუძნებული. რამდენადაც ცხრილის აღწერა სრულია, ამას ვერ ვიტყვით მისი სარგებლობის წესთან დაკავშირებით. აქ არ ჩანს, თუ როგორ შეირჩევა მოცემული წლისათვის გარე სვეტსა და სტრიქონში წარმოდგენილი კალენდარული მახასიათებლების კონკრეტული მნიშვნელობები, რომელთა საშუალებითაც აღნიშნული წლის შესატყვისი აღდგომის თარიღი უნდა იქნას მოძებნილი. არც ის დამატებითი ცნობებია მოყვანილი, რომლებსაც ცხრილი საჭიროებს ამ დამხმარე კალენდარული მახასიათებლების ბიზანტიური სისტემით წარმოდგენის გამო.

უშუალოდ ცხრილთან დაკავშირებული საკითხების არასრულ გადმოცემასთან. ერთად, ამავე დროს მოყვანილია მასალა (მუხლები 1-4 და 12-13). რომელიც თავისი შინაარსით სცილდება ცხრილის თემატიკის ფარგლებს და აშკარად

ზოგადი პასჭალურ-კალენდარული სისტემის განმარტებით ტექსტს განეკუთვნება. ეს მასალაც, ისევე როგორც ცხრილთან დაკავშირებული პრობლემატიკა, ასევე არასრულია. აქ წარმოდგენილი დიდმარხვის საწყისი თარიღის ცამეტორის საშუალებით გამოანგარიშების წესი (მუხლი 3-4) და დღისსაძიებლის რიცხვითი მნიშვნელობების ჩამონათვალი ერთდროულად მათი გამოყენების წესის ჩვენებით (მუხლი 12-13), უკვე თავისთავად გულისხმობს მათთან ერთად სხვა მახასიათებლებისა და წესების გადმოცემის საჭიროებასა და მიზანშეწონილობას.

წარმოდგენილი იამბიკოების ფრაგმენტული ხასიათი მხოლოდ მისი ანალიზის საფუძველზე როდი ვლინდება. ამ საკითხთან დაკავშირებით თვით „ქრონიკონში“ მოიპოვება ცნობა, რომელიც, ფაქტობრივად, ადასტურებს ჩვენს მოსაზრებას.

ეს ცნობა მოყვანილია IX თავში და მოიხსენებს იოანე შავთელს მზის და მთვარის წრეების გამოთვლასთან დაკავშირებით. აქ აბუსერისძე ასაბუთებს თუ რატომ იძლევა ერთსა და იმავე შედეგს ამ მახასიათებლების გამოთვლისას „დასაბამითგანი“ და „ქრონიკონული“ წელთაღრიცხვების გამოყენება. ვინაიდან ეს დასაბუთება შავთელთან დაკავშირებით საკმაოდ დიდ ინფორმაციას იძლევა, მასზე დაწვრილებით უნდა შევჩერდეთ.

დასაბუთების ამოსავალ დებულებად დასახელებულია ის ფაქტი, რომ მზის 28 და მთვარის 19-წლიანი ციკლების 532-წლიან ციკლში სრულად თავსებადობის გამო, მომდევნო მოქცევაში, ანუ 532-წლიან ციკლში, ეს ორივე ციკლი ერთდროულად იწყება. თავის მხრივ „დასაბამითგან“ ათვლილი წლების რიცხვი (A) ამ მოქცევების ჯერადი რიცხვისა (n·532) და ბოლო, არასრული ციკლის ანუ იგივე ქრონიკონის წლების (Q) ჯამს შეადგენს (ე.ი. $A=n\cdot532+Q$). ვინაიდან „ცხრამეტეულად“ და „ოცდარვეულად“ „განტევებისას“ მოქცევათა ჯერადი რიცხვი უნაშთოდ იყოფა: $\left|\frac{n\cdot532}{19}\right|=0$ და $\left|\frac{n\cdot532}{28}\right|=0$, მთვარის წრისა (L) და მზის წრის (S) ათვლა „დასაბამითგანის“ პირველი წლიდან, ქრონიკონის პირველ წელზე შეიძლება იქნას გადატანილი. თვალსაჩინოდ ეს ფაქტი შეიძლება გამოისახოს შემდგომი თანამედროვე ჩანაწერების სახით:

$$L=\left|\frac{A}{19}\right|=\left|\frac{n\cdot532+Q}{19}\right|=\left|\frac{Q}{19}\right|$$

$$S=\left|\frac{A}{28}\right|=\left|\frac{n\cdot532+Q}{28}\right|=\left|\frac{Q}{28}\right|$$

დასაბუთების შემდეგ აბუსერისძეს გამოაქვს დასკვნა და დასკვნასთან პირდაპირ ურთიერთობაში ასახელებს შავთელს: „მისთჳს ჯერ არს დასაბამობითგანთა წელთაჲ, ვიდრეცა გენებოს, ოცდარვეულად და ცხარმეტეულად განტე-

ვებად და გინა ამის ქრონიკონისა დაწყებითგან. და ამის ჯერისათჳს სანთელი სულიერისა ფილასოფოსობისად, წმიდად იოანე შავთელი შეწყობითა იანბიკონთად კეთილად და ღმრთივ შუენიერად წარმოაჩინებს" (ფ. 329რ).

ციტირებული სტრიქონებიდან ნათლად ჩანს, რომ ამ საკითხებთან დაკავშირებით („ამის ჯერისათჳს") იოანე შავთელს იამბიკური ფორმით ჰქონია რაღაც დაწერილი. ბუნებრივია, ავტორი აქ გულისხმობს შავთელის იმ თხზულებას, რომლის ნაწილიც მან კომპაქტური ცხრილის განმარტებით ტექსტში ჩართო. ამ შემთხვევაში დასახელებული მასალა საერთოდ პასქალური სისტემის თემატიკას განეკუთვნება. კერძოდ, თუ აბუსერისძის ცნობას მივიღებთ მხედველობაში, შავთელს იამბიკური ფორმით ზოგადად განხილული ჰქონია ქართული „დასაბამითგანი" და ქრონიკონული წელთაღრიცხვების ზემოთ აღნიშნული ურთიერთმიმართება და მასთან ერთად ამ ორი წელთაღრიცხვის საშუალებით მზის და მთავარის წრეების გამოსათვლელი წესები.

ყოველივე ამის გადმოცემას, როგორც მინიმუმი, იამბიკოს 5 მუხლი მაინც დასჭირდებოდა, რაც უფრო დამაჯერებელს ხდის იმ მოსაზრებას, რომ 13-მუხლიან იამბიკოში პასქალურ-კალენდარული ზოგადი თემატიკა სრულად არ არის წარმოდგენილი.

გამორიცხულია, რომ თხზულება, რომელიც ასეთ დიდ ადგილს უთმობს მზის და მთვარის წრეებს, საგანგებოდ არ განიხილავდეს უშუალოდ აღდგომის თარიღის გამოსათვლელად აუცილებელ კალენდარულ-პასქალურ მახასიათებლებს—ცამეტორსა და ხარება-შვიდეულს. მითუმეტეს, რომ ამ გამოთვლებისთვის საჭირო მესამე მახასიათებელი—დღისსაძიებელი—13 მუხლიან იამბიკოს შემადგენლობაში ფიგურირებს. ამ უკანასკნელის ცალკე მოყვანას კი, მისი დანიშნულების ჩვენების გარეშე აზრი არ ექნებოდა. ასევე ითქმის ცამეტორის შესახებაც: ამავე ფრაგმენტში მისი საშუალებით მარხვის თარიღის გამოსათვლელი წესის მოყვანა, უკვე თავისთავად გულისხმობს, რომ თხზულებაში მისი მთავარი დანიშნულების ობიექტიც უნდა ყოფილიყო განხილული.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ 13-მუხლიანი იამბიკოს დასაწყისში თვეების დღეთა რიცხვების დასახელება სექტემბრის სტილის წელიწადისთვის არის გადმოცემული, მაშინ როდესაც დღისსაძიებლის მნიშვნელობები იანვრის სტილის წელიწადის შესაბამისად არის მოყვანილი. სექტემბრის ანუ ინდიქტური წელიწადის დასახელება იმ გარემოებაზე უნდა მიანიშნებდეს, რომ თხზულებაში ინდიქტიონიც უნდა ყოფილიყო განხილული (სხვათა შორის, აბუსერისძე ინდიქტიონს იმ რამდენიმე კალენდარული მახასიათებლის რიცხვში ასახელებს, რომელთა მოყვანაც თავის თხზულების ფარგლებში ძან ზედმეტად მიიჩნია—იხ. ფ. 326რ).

ყოველივე ზემოთ მოყვანილის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ იოანე შავთელის თხზულებაში ქართული პასქალურ-კალენდარული სისტემა დაახლოებით წარმოდგენილი იყო ყველა იმ მახასიათებლებითა და შესაძლოა წესებითაც, რომელიც აბუსერისძის თხზულებაში გვხვდება. რაც შეეხება უშუ-

ალოდ კომპაქტურ ცხრილთან დაკავშირებულ თემატიკას, ამ საკითხზე მნიშვნელოვან დამატებით ცნობებს გვაძლევს A-85 ხელნაწერში შეტანილი ერთი გვიანდელი ჩანაწერი. ეს ჩანაწერი მოთავსებულია „ქრონიკონის“ ტექსტის ბოლოს, ფურცლის ცარიელად დატოვებულ ადგილზე (იხ. ხელნ. A-85, ფ.336r). როგორც შინაარსით, ისე ტერმინოლოგიით ის აშკარად იოანე შავთელის იამბიკოს უნდა წარმოადგენდეს (შესაძლოა ამის გამო ჩართეს ის ნიკოლოზ ორბელიანმა და მარი ბროსემ ტექსტის გადაწერილ ნუსხასა და ბეჭდურ გამოცემაში[1]).

იამბიკოს ტექსტის ზოგიერთი სიტყვა ჩამწერის მიერ აშკარად დამახინჯებულია, რომელნიც ჩვენს მიერ გასწორდა (სიტყვები „კჳკლოსი“, „რიცხჳი“ და „ქორონიკონი“ შევცვალეთ შავთელისეული ეპოქის დამახასიათებელი ფორმებით: „კჳკლოსი“, „რიცხჳ“ და „ქრონიკონი“. ასევე სიტყვა „დაგვიწყდეს“ ნაცვლად პირველად ფორმად მივიჩნიეთ „დაგავიწყდეს“, ვინაიდან ის „ქრონიკონთან“ ერთ სტრიქონშია გაერთიანებული და ამ სტრიქონის 12 მარცვლიანი წყობის დასაცავად თავიდანვე ეს ფორმა უნდა ყოფილიყო გამოყენებული). გარდა ამისა ჩანაწერი „**იბ̃**-ი“ შევცვალეთ „ათორმეტით“, ვინაიდან ეს ასორიცხვნიშანი რიცხვის აღნიშნული ფორმით წაკითხვისთვის იყო გათვალისწინებული (12-მარცვლიან წყობას სტრიქონი „ათორმეტი“ უზრუნველყოფს და არა „**იბ̃**-ი“, რომელსაც იმდროინდელისაგან განსხვავებით თანამედროვე მკითხველი ასოებად წაიკითხავს).

შესწორებების შემდგომ ჩართულ იამბიკოს ასეთი სახე აქვს:

„მეძიებელო კჳკლოსისა რიცხჳსა
დაგავიწყდეს თუ, მსწრაფლ იპყარ ქრონიკონი
ამის წლისადმდე, ვინაჲ მდგომარე იყო
და ათორმეტი გამოიღე და ნეშტი
ოცდარვეულად განუტევე. რომელი
დაგრჩეს, ეგდენი იყოს მის წელიწდისა
მასწავებელი შენი და კჳკლოსისაჲ“.

ამ ტექსტში მოხსენებული სიტყვები „კჳკლოსი“ (აშკარად კომპაქტური ცხრილის გაგებით), „მეძიებელი“ და „მასწავებელი“ ეჭვს არ ტოვებენ, რომ ეს იამბიკო იოანე შავთელს უნდა ეკუთვნოდეს.

რაც შეეხება შინაარსს, აქ მოყვანილია მზის წრის გამოთვლის წესი. ვინაიდან ეს გამოთვლა მოცემული წლისათვის კომპაქტურ ცხრილში წარმოდგენილი მზის 28-წლიანი ციკლის რიგითი ნომრის დადგენას ითვალისწინებს, მზის წრეს ამ შემთხვევაში ზოგადად „კჳკლოსის რიცხვი“ ეწოდება.

აღნიშნული წესის მიხედვით ქრონიკონით ათვლილ მიმდინარე წლის რიცხვით მნიშვნელობას („იპყარ ქრონიკონი ამის წლისადმდე, ვინაჲ მდგომარე იყო“) უნდა გამოაკლდეს 12 („ათორმეტი გამოიღე“). მიღებული სხვაობა („ნეშტი“) შემდეგ „ოცდარვეულად განტევდება“ და მორჩენილი ნაშთის („რომელი დაგრჩეს“) სიდიდე საძიებელი რიცხვის ტოლ მნიშვნელობას იძლევა მოცემული

[1] ცისა, ხელნ. № 264, 268, ფ. 198v; მ. ბროსე, დასახ. ნაშრომი, გვ. 37.

წლისათვის („ეგდენი იყოს მის წელიწდისა“). ბოლო სტრიქონში („მასწავებელი შენი და კჳკლოსისაჲ“) ეს საძიებელი რიცხვი ხატოვნად წარმოდგენილია როგორც „მეძიებლისა“ და ცხრილის „მასწავებელი“.

თანამედროვე სიმბოლოებით აღნიშნული წესი ასე გამოისახება:

$$S = \left|\frac{Q - 12}{28}\right| \qquad (1)$$

სადაც S—საძიებელი მზის წრეა, ხოლო Q––„ქრონიკონით“ ათვლილი მოცემული წლის რიცხვითი სიდიდე. რაც შეეხება მაკლებ 12-ს, ის წარმოადგენს ნაშთს, რომელიც წინასწარ მიღებულია 96-ის „ოცდარვეულად განტევებისას“ (12≡96(mod 28)). ასე რომ, ფორმულა (1) სავსებით ტოლფასია შემდეგი ფორმულის

$$S = \left|\frac{Q - 96}{28}\right| \qquad (2)$$

სადაც სხვაობა (Q-96) უკვე გარკვეულ კალენდარულ აზრს იძენს იმ თვალსაზრისით, რომ ის მათემატიკურად ქართული „ქრონიკონული“ სისტემიდან ბიზანტიურ სისტემაზე გადასვლას გამოხატავს (ქართული და ბიზანტიური „დასაბამითგანი“ წლების 96-წლიანი სხვაობა ძალაშია მათი შესაბამისი „ქრონიკონული“ სისტემებისათვისაც). ბერძნულ წელთაღრიცხვაზე გადასვლა კი იმ აუცილებლობით არის ნაკარნახევი, რომ კომპაქტურ ცხრილში მზის და მთვარის ციკლები, ისე როგორც, ცხრილის სხვა ელემენტები, ბიზანტიური სისტემით არის წარმოდგენილი.

აღნიშნული წესი, რომელიც სხვა პასქალურ-კალენდარულ წყაროებში საერთოდ არ გვხვდება, ძალზე საყურადღებოა ზოგადი თვალსაზრისით. ის ნათლად გვიჩვენებს, რომ ბიზანტიურ სისტემაზე გადასასვლელად, ქართველებს ადრიდანვე ჰქონდათ შემუშავებული გამარტივებული წესი, რომელიც 28-წლიანი ციკლისათვის 96-წლიანი სხვაობის 12-ზე დაყვანას ითვალისწინებს.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს იამბიკოს იოანე შავთელის თხზულების მთელი რიგი საკითხების გასარკვევად. აქ მოყვანილი წესი (თუმცა ის იმ წესის კერძო შემთხვევას წარმოადგენს, რომელიც ქართული ქრონიკონული წლების საშუალებით მზის წრის გამოსათვლელად გამოიყენება) შეიძლება აბუსერისძის ცნობის რეალურად დამადასტურებელ მონაცემად ჩაითვალოს. კიდევ უფრო მეტი, აბუსერისძის ცნობაზე დაყრდნობით, უკვე ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ თხზულებაში მზის და მთვარის წრის გამოსათვლელი დანარჩენი სამი წესის ასეთივე კერძო შემთხვევებიც უნდა ყოფილიყო განხილული (მხოლოდ ვინაიდან ≡96 (mod 19), მთვარის წრის გამოთვლისას ბიზანტიურ სისტემაზე გადაყვანილი ქართული „დასაბამითგანი“ და ქრონიკონული წლების რიცხვები ერთნაკლები მნიშვნელობით უნდა ყოფილიყვნენ წარმოდგენილი). ვინაიდან ცხრილში მზის წრე ბიზანტიური შვიდეულით, ხოლო მთვარის წრე ზედნადებითა და ცამეტორით არის დუბლირებული, არ არის გამორიცხული,

რომ ამ დამატებითი მახასიათებლებისათვის მოყვანილი ყოფილიყო ქართულიდან ბიზანტიურ სისტემაზე გადასვლის სქემა. ყოველ შემთხვევაში, შვიდეულთან დაკავშირებით ეს აუცილებლად უნდა ყოფილიყო გაკეთებული, ვინაიდან აღნიშნული მახასიათებელი ცხრილში ორჯერ არის წარმოდგენილი. ერთ შემთხვევაში ცხრილის ძირითად ნაწილში ბიზანტიური. შვიდეულის სახით, ხოლო მეორე შემთხვევაში ცხრილის გარეთ მონიშნულ დამატებით ნაწილში—უკვე ერთი პოზიციით რიგგადანაცვლებული ხარება-შვიდეულის სახით.

ამ მონაცემების საფუძველზე ერთგვარად იკვეთება მთელი თხზულების ჩონჩხი: მასში აღწერილია ქართული პასქალური სისტემა აღდგომის თარიღის გამოსათვლელ კომპაქტურ ცხრილთან მიმართებაში, რაც ქართული სისტემის პასქალურ-კალენდარული მახასიათებლების გადმოცემასთან ერთად ცხრილით სარგებლობისათვის მათ ბიზანტიურ სისტემაზე გადასვლას ითვალისწინებს. ცხრილთან მიმართებამ შესაბამისი ასახვა ჰპოვა თხზულების სათაურშიც, რომელსაც აბუსერისძის ცნობის თანახმად, ეწოდება „ასურული კჳკლოსის საძიებელი და მასწავებელი“.

თხზულების შინაარსის ზოგადი სახით რეკონსტრუირება ერთგვარად ამართლებს ჯერ კიდევ ბ. ბროსეს მიერ გამოთქმულ ვარაუდს იოანე შავთელისეული იამბიკოთი შედგენილი ასტრონომიულ-კალენდარული ტრაქტატის არსებობის შესახებ. მხოლოდ ეს ვარაუდი არ ვრცელდება თხზულების ზოგად კვალიფიკაციაზე და აბუსერისძის შრომასთან მის ურთიერთდამოკიდებულებაზე. როგორც ადრე აღვნიშნეთ, პასქალური სისტემის თვალსაზრისით არავითარი „სრიული ციკლი“ და მასზე დაფუძნებული სისტემა არ არსებობს და „ასურული კჳკლოსის“ სახელწოდებით მხოლოდ აღდგომის გამოსათვლელი კომპაქტური ცხრილის კონკრეტული სახეობა იგულისხმება. რაც შეეხება აბუსერისძის შრომას, მას თხზულებასთან საერთო შესაძლოა იმ თემატიკურ ფარგლებში ჰქონდეს რამდენადაც ეს ერთი და იგივე სისტემის გადმოცემასთან არის დაკავშირებული. სხვა მხრივ კი, როგორც მიზნებით ისე დანიშნულებით ეს ორი თხზულება ერთმანეთისაგან პრინციპულად განსხვავდება და ამ შემთხვევაში ერთის მეორისაგან მათი მომდინარეობა სრულიად გამორიცხულია.

* * *

თავის დროზე შავთელისეული პასქალურ-კალენდარული თხზულების არსებობის გამოვლენას, ისევე როგორც ამ თხზულებიდან „ქრონიკონის“ მეორე ნაწილში 13 მუხლის ჩართვის ფაქტს, გარკვეული სიცხადე შეაქვს აბუსერისძის თხზულების შედგენილობასთან დაკავშირებით. აღნიშნული მეორე ნაწილის დამოუკიდებელ თხზულებად აღიარება მხოლოდ შავთელის იამბიკოების სრული ტექსტის წარმოდგენის შემთხვევაში იქნებოდა გამართლებული. ვინაიდან ეს ასე არ აღმოჩნდა, კომპაქტური ცხრილის განმარტებითი ტექსტი მხოლოდ აბუსერისძისეული ერთიანი თხზულების ორგანულ ნაწილად უნდა იქნას კვალიფიცირებული.

სამწუხაროდ, როგორც ზოგიერთი მონაცემებიდან ირკვევა, გადამწერის დაუდევრობის გამო ეს ნაწილი ითხზულებაში არასრული სახით შევიდა. ამ გარემოებამ თავისთავად განაპირობა ნაკლულ ტექსტში თავდაპირველი აქცენტების ახლებურად გადანაწილება, რის შედეგადაც 13-მუხლიანმა იამბიკომაც სულ სხვა დანიშნულება შეიძინა.

გადაწერისას დაშვებული შეცდომებისა და მასთან დაკავშირებული ავტორისეული მითითებების განხილვამდე მიზანშეწონილია 13-მუხლიანი იამბიკოს თავდაპირველი და „შეძენილი" დანიშნულებების დაზუსტება.

პირველ რიგში ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ წინასწარი მომზადების გარეშე მკითხველს ეს ფრაგმენტი კომპაქტური ცხრილის გზის-მეკვლეობას ვერ გაუწევდა.

შავთელის იამბიკური თხზულება, რომლის ნაწილსაც ეს 13 მუხლი შეადგენს, უდაოდ ღირსშესანიშნავ და მაღალმხატვრულ ტრაქტატს წარმოადგენდა, რომელიც მხოლოდ კალენდრის ღრმად მცოდნე მკითხველზე იყო გათვლილი. წინაალმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია იმ პოეტური წიაღსვლების აღქმა, რომლებიც მუხლებში აზრის გადმოცემის მთავარ საშუალებად არის გამოყენებული. ცხადია, რომ ამგვარი ნაწარმოების შექმნას მომზადებული მკითხველის ფართო აუდიტორიის გარეშე აზრი არ ექნებოდა და ამ თვალსაზრისით ის იმდროინდელი მოწინავე საზოგადოების უაღრესად მაღალი მომზადების დონეზეც მეტყველებს. მაგრამ მისი ფრაგმენტის ჩართვა მკვეთრად გამოხატული სასწავლო ორიენტაციის თხზულებაში ასევე სასწავლო დანიშნულებით ერთობ მოულოდნელი უნდა იყოს. ქვემოთ ჩვენ მოგვყავს რამდენიმე მაგალითი, საიდანაც ნათლად ჩანს, თუ რამდენად დაცილებულია აღნიშნული ფრაგმენტი კომპაქტური ცხრილის და მისი სარგებლობის წესების შესასწავლი სახელმძღვანელოს ფუნქციებს:

1. „ნეშტი ერთისა თჳსად თუე მეორისად
შჳდ აღრიცხუვითა უდღისსაძიებლობს".

აქ ავტორს უნდოდა გადმოეცა აზრი, რომ ერთი თვის დღეთა რიცხვისა და დღისსაძიებლის ჯამის ნეშტი, რომელიც შვიდეულად განტევების („შჳდ აღრიცხუვითა") შედეგად მიიღება, თავის მხრივ შემდგომი თავის დღისსაძიებლად გამოიყენება.

2. „ზეშთა თხემისად და მელნისა მიერი——
შჳდეულისა დასასრულით დაწყებად.
შჳდეული არს იგივე ხარებაჲცა".

კომპაქტურ ცხრილში დამატებით შეტანილი ხარება-შვიდეულის „დასასრულით დაწყება" ცხრილის ერთ-ერთ ძირითად კომპონენტთან——ბერძნულ შვიდეულთან („ზედნადებნი მზისანი") შესაბამისობაში მოსაყვანად განხორციელდა. ცხადია, საქმეში ჩაუხედავი მკითხველისათვის კომენტარის გარეშე ამის გაგება ძნელი იქნებოდა, ისევე როგორც განცხადება „შჳდეული არს იგივე ხარებაჲცა".

3. „...არა იყოს რად ნაკი
შარშა თუ შაბათ, აწ სადმე კჳრიაკე,
ეგრეთვე სხუებცა დღეებ ნაკით სამ დღის დღე“.

ერთმანეთს მიყოლებული წლების საწყისების კვირის დღის ცვლილების კანონზომიერება, რომლის გადმოცემასაც აქ მიზნად ისახავს ციტირებული მუხლი, ადვილი აღსაქმელი არ უნდა ყოფილიყო. ამოცანას ვერ გააიოლებდა მათი კვირის დღეების მიმდევრობით ჩამოთვლა, წლის რიგითი ნომრის და ერთ-ერთის ნაკიანობის აღნიშვნით. მსგავსი მაგალითების ჩამოთვლა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ უკვე მოყვანილი მასალიდანაც ნათლად ჩანს, თუ რამდენად პრობლემატური უნდა ყოფილიყო ფრაგმენტის სახელმძღვანელოდ გამოყენების შესაძლებლობა.

ამასთან დაკავშირებით ისმის კითხვა თუ რატომ ჩართო აბუსერისძემ ეს ფრაგმენტი თავის თხზულებაში. პასუხს თვით ავტორი ასახელებს თხზულების პირველ გვერდზე მოყვანილ სარედაქციო დანართში: „ესე ასურულისა კჳკლოსისა საძიებელი და მასწავებელი, იამბიკონად თქუმული წმიდისა და ნეტარისა მაძისა ჩუენისა იოანე შავთელისაგან თქუმულიცა ამისთჳს დავწერე, რომელ ზეძოსა საუწყებელსა შინა მეჴსენა“ (A-85, ფ. 307 v). აქ „ზემო საუწყებელში“, ცხადია, თხზულების IX თავი იგულისხმება, კერძოდ კი ჩვენს მიერ დეტალურად განხილული ფრაგმენტი („დასაბამითგანი“ და ქრონიკონული წლების საშუალებით მთვარისა და მზის წრეების გამოთვლის წესები).

დადგინდა რა შავთელის იამბიკური თხზულების არსებობის ფაქტი, ფრაზა „ასურული კჳკლოსის საძიებელი და მასწავებელი“ უკვე პირდაპირი მნიშვნელობით არ შეიძლება იქნას აღქმული. აქ „ასურული კჳკლოსის საძიებელი და მასწავებელი“, რომელიც მთლიანი თხზულების სათაურია, ზოგადად თვით ამ თხზულებას კი არ გულისხმობს, არამედ მის კონკრეტულ ფრაგმენტს 13-მუხლიანი იამბიკოს სახით.

ამ დაზუსტებების შემდგომ ავტორისეული განაცხადი მხოლოდ იმ აზრით შეიძლება იყოს გაგებული, რომ თავის თხზულებაში შავთელისეული ფრაგმენტი მას ციტირების მიზნით მოუყვანია. ეს განაცხადი კი ერთგვარ წინააღმდეგობაში მოდის კომპაქტური ცხრილის განმარტებითი ტექსტის რეალურ მონაცემებთან. აქ, თუ „მოკლე ინსტრუქციის“ ტექსტს არ ჩავთვლით, 13-მუხლიან იამბიკოს ცხრილის ერთადერთი განმარტებითი ტექსტის ფუნქციები აქვს დაკისრებული. ამ შემთხვევაში ნაკლებად დასაჯერებელია რომ აბუსერისძეს სასწავლო თვალსაზრისით შეუფერებელი ტექსტი, ცხრილის მთავარ გზისმკვლევად გამოეყენებინა და ამავე დროს იგივე ტექსტის თხზულებაში მოყვანის მიზეზად წინა თავში შავთელის მოხსენიება დაესახელებინა. აღნიშნული წინააღმდეგობები ისევ ტექსტის კრებულში დამახინჯებულ გადანუსხვასთან არის დაკავშირებული. ამიტომაც ამ და სხვა შეუსაბამოებში გასარკვევად განვიხილოთ ავტორისეული მითითებები, რომლებიც წარმოდგენილია რედაქტორული დანართის ორ ფრაგმენტში („იამბიკოს კომენტარსა“ და „ტექნიკურ შენიშვნაში“).

„ესე ასურულისა კჳკლოსისა საძიებელი და მასწავებელი, იამბიკონად თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ნეტარისა იოანე შავთელისაგან თქუმულიცა ამისთჳს დავწერე, რომელ ზემოსა საუწყებელსა შინა მეჴსენა. ამას კჳკლოსსა თანა ქრონიკონსაცა დაუწერენ დიდსა წინამძებარეთა წელთასა, უკუეთუ ჯავთაგად ვინმე დასწერდეს. ვინაჲთგან ერთი მეორისა მოწამე არს, იმას ზემოსა ქრონიკონს. მივანდევ და თანა აღარ დაუწერე. და ესე რიცხუნი შავთელისა იამბიკონთა ქუემოჲთ მოსაკიდებელ იყო და პირველ მას ხოლე წაიკითხევდით, და მერმე ამას. მწერალმან მუნ სხუაჲ რაჲმე მომიკიდა და ესე აღარ დაიწერებოდა“ (ფ. 307v). საშუხაროდ, ტექსტში მოხსენებული სიტყვა „ჯავთაგის“ ზუსტი მნიშვნელობის დადგენა ვერ მოხერხდა.* ამის გამო, ცხადია, რომ ისედაც ბუნდოვანი ტექსტის გაგება კიდევ უფრო რთულდება. აქ ავტორი ტექსტში კომპაქტური ცხრილის განთავსების საკითხს ეხება და ალნიშნავს, რომ „ჯავთაგად“ დაწერისას კომპაქტური ცხრილი „დიდ ქრონიკონთან“, ე.ი. 532-წლიან პასქალურ ცხრილთან ერთად მოჰყავთ (როგორც ეტყობა დიდი ცხრილის წინ, რაზედაც უნდა მიანიშნებდეს გამოთქმა „წინამძებარეთ წელთასა“). „ჯავთაგს“ სულხან-საბა „კონდაკთან“ აიგივებს, ამ უკანასკნელს კი როგორც „წირვის გაგების წიგნს“, ე.ი. ერთგვარ „სამსახურებელ“ საშუალებად განმარტავს. „სამსახურებელი“ თავის მხრივ საცნობარო დანიშნულების აზრითაც შეიძლება გავიგოთ. ამიტომაც აქ ავტორი შესაძლოა იმ შემთხვევას გულისხმობს, როდესაც ცხრილების გამოყენება მხოლოდ საცნობარო დანიშნულებით არის გათვალიწინებული. ასეთი ვარაუდის დაშვებისას, შემდგომი წინადადება უკვე ადვილად იშიფრება: ვინაიდან ეს ორი ცხრილი „ერთი მეორისა მოწამე არს“, ავტორს საცნობარო ფუნქციები ერთ-ერთი მათგანისათვის, კერძოდ კი „დიდი ქრონიკონისათვის“ „მიუნდვია“ და კომპაქტური ცხრილი „თანა აღარ დაუწერია“. ე.ი. ფაქტობრივად, აბუსერისძე იძლევა ერთგვარ დასაბუთებას თხზულების ბოლოს—კომპაქტურ ცხრილთან დაკავშირებული თავის შესახებ. მაშასადამე, სრული სახით „იამბიკოს კომენტარი“ მიზნად ისახავდა განემარტა მკითხველისათვის, თუ რატომ მოხვდა კომპაქტურ ცხრილთან დაკავშირებულ მასალებში შავთელის იამბიკო და თვით კომპაქტური ცხრილი რატომ არ მოთავსდა „დიდი ქრონიკონის“ წინ. ეს უკანასკნელი განმარტება ერთგვარად ბოლო თავის შედგენის მიზეზსაც ითვალისწინებს, ვინაიდან კომპაქტური ცხრილის გამოცალკევება თავისთავად მის სასწავლო დანიშნულებაზე აქცენტის გადატანასა და შესაბამის განხილვას გულისხმობს.

მომდევნო, ე.წ. „ტექნიკური შენიშვნიდან“ ირკვევა, რომ თხზულების ბოლო ნაწილში 13-მუხლიანი იამბიკო „რიცხუნის“ ტექსტს უნდა გაეგრძელებინა. მაგრამ გადამწერს იქ სხვა მასალა შეუტანია („სხუაჲ რაჲმე“) და „რიცხუნი“ ამის გამო თავის ადგილას ვერ მოხვდა. „სხუაჲ რაჲმეში“ „ბოლოსიტყვაობა“

*„ჯავთაგი“ და შავთელთან დაკავშირებით გამეორებული სიტყვა „თქუმულიცა“, რომელიც სტრიქონს ზემოთ არის ჩაწერილი, ჩვენ ნიკოლოზ ორბელიანის წაკითხვით მოგვყავს.

იგულისხმება, რომლითაც მთავრდება განმარტებითი ტექსტი და საერთოდ მთელი თხზულება. მაშასადამე, „რიცხუნი“ ამ „ბოლოსიტყვაობის;“ წინ 13-მუხლიან იამბიკოს უნდა მოეკიდოს.

„რიცხუნის“ დამატების აუცილებლობა თითქოს არც უნდა იყოს, ვინაიდან კომპაქტურ ცხრილთან დაკავშირებით ის, ფაქტობრივად, არაფერს არ მატებს განმარტებით ტექსტს. მას ვერც იამბიკოების დაბოლოებისათვის საგანგებოდ შედგენილ ფრაგმენტად ჩავთვლით, მითუმეტეს, რომ ისიც იმეორებს ზოგიერთ საკითხს, რომლებიც იამბიკოს დასაწყისში დროის საზომ ერთეულებთან დაკავშირებითაა მოყვანილი. „რიცხუნი“ უფრო შესავლის შთაბეჭდილებას ტოვებს, რომელიც რაღაც ტექსტს უნდა ჰქონოდა წამძღვარებული. ამ გარემოებაზე თითქოს მიანიშნებს მისი პირველი (სათაურის მსგავსი) წინადადებაც: „უკუეთუ გინდეს ცნობის, ესე არს თავი დივანთაჲ“.

წარმოდგენილი სახით „რიცხუნის“ 13-მუხლიან იამბიკოზე „მოკიდებას“ კიდევ ერთი უხერხულობა ახლავს. გაუგებარია ეს ჩართვა „რიცხუნს“ ცალკე თუ „იამბიკოს კომენტართან“ ერთად გულისხმობს. ნიკოლოზ ორბელიანმა თავის დროზე, ალბათ, ავტორისეული შენიშვნების შენარჩუნების მიზნით, იამბიკოებს ამ ორ ფრაგმენტთან ერთად გასაუქმებელი „ტექნიკური შენიშვნაც“ დაურთო. ამიტომაც, ცხადია, რომ ამ შემთხვევაში მისი ღონისძიება ჩვენ ორიენტირად ვერ გამოგვადგება. ისე კი უნდა აღვნიშნოთ, რომ „იამბიკოს კომენტარი“ თვითონ წარმოადგენს თავისებურ ბოლოსიტყვაობას და მისი ნამდვილი ბოლოსიტყვაობის წინ მოთავსება ნამდვილად გაუმართლებელი იქნებოდა. გარდა ამისა, მხედველობაში არის მისაღები ის გარემოება, რომ „ტექნიკურ შენიშვნაში“ გარკვევით „რიცხუნი“ და არა ორივე ფრაგმენტის მიმანიშნებელი სიტყვა ფიგურირებს, რაც გამეორებულია თხზულების ბოლო ქვედა აშიაზე შეტანილ მინაწერშიც („ესე ქრონიკონის თავსა დაწერილი რიცხჳ აქა შეუდგინ“—ფ. 338r).

გარკვეული წინააღმდეგობები „ბოლოსიტყვაობის“ ტექსტშიც არის. კომპაქტური ცხრილის მრავალმხრივი ღირსებების საკმაოდ დეტალური აღნიშვნის შემდგომ ტექსტი მთავრდება შემდეგი წინადადებით: „ხოლო ქართულიცა ესე მცირედი და ჟამთა თჳსთა ქრონიკონი ახლად მოსწავლე ქმნილთათჳს კჳკლოსისათა, რეცა მძევლად რაჲმე და გზის მასწავლელად აღვწერე მუჴლებსავე თანა იამბიკოსათა“ (იხ. ფ. 338r). აქ სიტყვა „ქრონიკონი“ აშკარად იმ გაგებით არ არის გადმოცემული, რომელი გაგებითაც ის ხშირად მოყვანილია ტექსტში. ამ შემთხვევაში ის არც ცხრილის ცნებას გამოხატავს და არც წელთაღრიცხვაზე მიუთითებს (ამის შესახებ იხ. გვ. 189-190). ტექსტში მოყვანილი ამ „ქრონიკონის“ შესახებ შეიძლება შემდეგი ითქვას: ის უდაოდ სასწავლო დანიშნულების ტექსტს შეიცავს, ვინაიდან კომპაქტური ცხრილის „ახლად მოსწავლე ქმნილთათჳს“ არის განკუთვნილი. ის დაფუძნებულია ქართულ სისტემაზე („ქართული“) და მოცულობით დიდი არ არის („მცირედი“). გარდა ამისა, „ჟამთა თჳსთა“ ამ შემთხვევაში კონკრეტულად თავის წელთაღრიცხვას უნდა ნიშნავდეს, ხოლო კონტექსში, სადაც ქართული სის-

ტემა არის დასახელებული („ხოლო ქართულიცა ესე"), ის ქართულ წელთაღრიცხვის ცნებას უნდა გამოხატავდეს. ამ მონაცემების ფონზე ერთადერთი, რაც „ქრონიკონში" შეიძლება იგულისხმებოდეს ეს არის პასქალურ-კალენდარული სისტემის მოკლე განმარტებითი ტექსტი ანუ სახელმძღვანელო.

ამავე დროს, რეალურად კატეგორიული ფორმით დასახელებული ამ „ჟამთა თჳსთა ქრონიკონის" ტექსტი თხზულებაში არ მოიპოვება, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ გადამწერის მიერ დაშვებული შეცდომების შედეგად ის საერთოდ ვერ მოხვდა თხზულების შემადგენლობაში. თუ რატომ შემდგომ არ დაუმატა ის ავტორმა გადაწერილ ტექსტს, ამ კითხვაზე, ისე როგორც კრებულში გამოვლენილ მთელ რიგ მსგავს შეუსაბამობებზე პასუხის გაცემა პრაქტიკულად შეუძლებელია. ისე კი ამ მიმართულებით გარკვეულ მცდელობას ადგილი რომ ჰქონია, ეს ჩანს თხზულების პირველ გვერდზე ჩაწერილი „რიცხუნის" ტექსტიდან. „რიცხუნი" უნდა იყოს სწორედ ის შესავალი, რომელიც წინ უძღოდა „ჟამთა თჳსთა ქრონიკონის" ტექსტს. მაგრამ ნახევარი გვერდის შევსების შემდეგ გადამწერს (თუ თვით აბუსერისძეს?) ტექსტი აღარ გაუგრძელებია, ვინაიდან გვერდის მეორე ნაწილი „იამბიკოს კომენტარსა" და „ტექნიკურ შენიშვნას" დაეთმო.

აბუსერისძის თხზულებაში არმოხვედრილი ფრაგმენტის არსებობის დადგენა „ჟამთა თჳსთა ქრონიკონის" სახით, მთელ რიგ საკითხებს აყენებს. პირველ რიგში ეს ეხება კომპაქტურ ცხრილთან დაკავშირებულ განმარტებით ტექსტს, უფრო ზუსტად კი მის თავდაპირველ ვარიანტს, რომელიც ჩაფიქრებული ჰქონდა ავტორს. აქ ჯერ წინასწარ უნდა შევეხოთ ამ საკითხებს, რომელიც გადმოცემული უნდა ყოფილიყო „ჟამთა თჳსთა ქრონიკონის" ტექსტში. ზოგადი სახით, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, მოკლედ ჩამოყალიბებული უნდა ყოფილიყო ქართული პასქალურ-კალენდარული სისტემის საფუძვლები და მის ბერძნულ სისტემაზე გადაყვანის პრინციპები. ამ უკანასკნელი მიმართულების აუცილებლობას თავისთავად კომპაქტური ცხრილის ბერძნულ სისტემაზე „გაწყობა" განაპირობებდა. ცხადია, აქვე მოყვანილი იქნებოდა გარკვეული ცნობები ცხრილთან დაკავშირებით. შესაძლოა, მთლიანობაში „ჟამთა თჳსთა ქრონიკონი" შავთელის თხზულების მიკრომოდელს წარმოადგენდა, მხოლოდ ამ უკანასკნელიდან განსხვავებით მასში წინა პლანზე „ახლად მოსწავლე ქმნილთათვის" საკითხის ადვილად შესწავლის პრინციპი უნდა ყოფილიყო წამოწეული.

ავტორის განუხორციელებელი ჩანაფიქრით მის მიერ შედგენილი კომპაქტური ცხრილის განმარტებითი ტექსტი შემდეგი სქემით უნდა ყოფილიყო გადმოცემული: ჯერ „მოკლე ინსტრუქციით" მკითხველი უნდა გასცნობოდა ცხრილით პრაქტიკული სარგებლობის წესებს. მას საკმაოდ ვრცელი ციტატის სახით მოსდევდა იამბიკოს 13 მუხლი, რომელიც მკითხველის დასაინტერესებელ და ერთგვარ სახალისო წანამძღვარს წარმოადგენდა საკითხის შესასწავლად. ცენტრალური ადგილი ტექსტში ეთმობოდა „ჟამთა თჳსთა ქრონიკონს", რომელსაც დაკისრებული ჰქონდა ძირითადი საცნობარო და სასწავ-

ლო საშუალების ფუნქციები. ბოლოსიტყვაობაში ერთგვარი შემაჯამებელი სახით გადმოცემული იყო კომპაქტური ცხრილის მრავალფეროვანი დირსებები, იამბიკოს მუხლებთან ერთად აღწერილი „ჟამთა თჳსთა ქრონიკონის“ „გზის მასწავლელობის“ აღნიშვნით.

ამ სახით ტექსტთან დაკავშირებით, ცხადია, რომ ეჭვს არ იწვევს როგორც მისი ავტორის ვინაობა, ასევე ურთიერთდამოკიდებულება თხზულების პირველ ნაწილთან. აბუსერისძეს ის მთლიანი თხზულების შემადგენელი დამატებითი თავის სახით აქვს ჩაფიქრებული, რომელშიც ისევ პირველ ნაწილში მოყვანილი თემატიკის ნაწილი განიხილება, მხოლოდ ამჯერად შემოკლებით და აღდგომის გამოსათვლელი კომპაქტურ ცხრილთან მიმართებაში.

ცენტრალური ფრაგმენტის გამოტოვების შედეგად მისი ფუნქციები, როგორც ადრე აღვნიშნეთ, ავტომატურად იამბიკოებზე გადავიდა. სწორედ ამ ვითარების ამსახველი უნდა იყოს ზოგიერთ გამოთქმაც, რომელსაც კრებულის სხვადასხვა ადგილას შავთელის იამბიკური ნაწილის მიმართ ხმარობს თვით აბუსერისძე. ერთ-ერთ რედაქტორულ შენიშვნაში, რომელიც კრებულის წინა ნაწილშია წარმოდგენილი (A-85, ფ. 239v), თავის თხზულებასთან დაკავშირებით ის აღნიშნავს: „სრულითა ქრონიკონითა დამი[წერია, მისითა] განგებითა ახალთქუმულითა, იამბიკონითა“ (იხ. რედაქტორული შენიშვნები №9). ეს რედაქტორული შენიშვნა უფრო ადრე არის ხელნაწერში შეტანილი, ვიდრე მომდევნო მასალა და მათ შორის „ქრონიკონიც“, ამიტომაც ეს უკანასკნელი აქ ერთიანი თხზულების სახით არის წარმოდგენილი, რომელშიაც ციტირებული მასალა „იამბიკონით“ არის მინიშნებული.

კრებულის ზანდუკში, რომელიც თხზულების გადანუსხვის შემდგომ არის დაწერილი (A-85, ფ. 354 v), დასახელებულია ორი თხზულება: „ქრონიკონი სრული მისითა საუწყებელითა განგებითა“ და „კჳკლოსი ასურული შავთელისაგან თქუმულითა განგებითა-იამბიკონითა“ (იხ. რ. შ. №28). ამ შემთხვევაში უკვე გათვალისწინებულია „ჟამთა თჳსთა ქრონიკონის“ თხზულების ტექსტიდან ამოვარდნის ფაქტი; ვინაიდან განმარტებით ტექსტში რაოდენობრივად და შინაარსობრივად ცენტრალური ადგილი იამბიკოებმა დაიკავეს, აბუსერისძე მისთვის ჩვეული თავმდაბლობით ავტორად იოანე შავთელს ასახელებს და შესაბამისად ამ განმარტებით ტექსტს თხზულებისგან განცალკევებით დამოუკიდებელ ნაწარმოებად აცხადებს.

განმარტებით ტექსტში იამბიკოების წილი თუმცა მნიშვნელოვანია, მაგრამ არც აქ მოყვანილი აბუსერისძისეული „მოკლე ინსტრუქციის“, „რიცხუნის“ და „ბოლოსტყვაობის“ იგნორირება იქნებოდა გამართლებული. ამიტომაც, ჩვენი აზრით, იმ სახითაც, როგორითაც განმარტებითი ტექსტი მოყვანილია ხელნაწერში, ის მაინც მთლიანი თხზულების შემადგენელ ნაწილად უნდა ვცნოთ და მის ავტორად ისევ აბუსერისძე ვალიაროთ.

აქედან გამომდინარე ზანდუკისეული დასათაურების („კჳკლოსი ასურული შავთელისგან თქუმული განგებითა-იამბიკონითა“) გათვალისწინებით, სრულიად სამართლიანი იქნებოდა აღნიშნული თავისათვის (და არა ცალკე თხზულებისათვის) შემოგვეტანა შემდეგი პირობითი სათაური——„ასურული კჳკლო-

სი მისითა განგებითა“. ასეთი სათაური აბუსერისძის პრინციპის შესაბამისი იქნება და ამავე დროს საქმის ჯეშმარიტ ვითარებასაც გამოხატავს.

გამოცემაში ამ სათაურთან ერთად შეტანილი გვაქვს შემდეგი ცვლილებებიც: „რიცხუნი“, როგორც ამას აბუსერისძე მიუთითებს, გადმოტანილი გვაქვს იმბიკოების გაგრძელებად. მასთან ერთად გადმოვიტანეთ ორივე მომდევნო ფრაგმენტიც: „იამბიკოს კომენტარი“ და „ტექნიკური შენიშვნა“. მხოლოდ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ მათი სქოლიოში წარმოდგენა შესაბამისი განმარტებით. მკითხველს რომ წარმოდგენა ჰქონდეს დედანში თავდაპირველად წამძღვარებულ ამ „სარედაქტორო დანართის“ წყობაზე, ის უცვლელი სახით მოვიყვანეთ რედაქტორულ შენიშვნებში (იხ. რ.შ. ––№20).

* * *

კრებულში წარმოდგენილი მასალების გათვალისწინებით, თხზულების გამოსაცემი ტექსტი სრული ვერ იქნება, თუ მის შემადგენლობაში არ შევა დღისსაძიებლისადმი მიძღვნილი მეორე თავი, ანუ „საუწყებელი“ („უგანცხადებულესადრე ჯერ––არს გამოთქუმაჲ დღისსაძიებელთაჲ...“). ეს უკანასკნელი, როგორც ადრე აღვნიშნეთ, აბუსერისძემ ერთგვარ შესავლად დაურთო არსენ ბულმაისიმისძის 4 თვის კალენდარ-იამბიკოს. ამავე დროს თავის წარდგინება—სათაურსა და ტექსტში, ისევე როგორც აშიაზე მოყვანილ რედაქტორის ჩანართებში, პირდაპირ არის მინიშნებული, რომ ეს თავი თხზულების ორგანულ ნაწილს წარმოადგენს. ამ მითითებით იხელმძღვანელა თავის დროზე ნიკოლოზ ორბელიანმაც; რომელმაც თავის მიერ გადაწერილ ნუსხაში ეს ტექსტი დღისსაძიებლის პირველი „საუწყებელის“ შემდგომ მოათავსა.[1]

ამის შემდგომ დაზუსტებას მოითხოვს ცალკეული თავებისა და თვით თხზულების დასათაურება. ამ უკანასკნელისათვის შემოგვაქვს სათაური, რომელიც ზანდუკში არის მოყვანილი: „ქრონიკონი სრული მისითა საუწყებელითა განგებითა“. რაც შეეხება თხზულების თავებს, აქ ფაქტობრივად ყველა თავი სინგურით ჩაწერილი სათაურით ან წარდგინება—სათაურით არის მოყვანილი. გამონაკლისს მხოლოდ პირველი თავი შეადგენს, რომელშიც წარმოდგენილია 532-წლიანი პასქალური ცხრილი. ამ ცხრილის წინ მცირე შესავლის ტექსტია, ხოლო ცხრილის შემდგომ განხილულია წელთაღრიცხვის საკითხები ცხრილთან ურთიერთკავშირში. ცხრილის ბოლოს სინგურით ჩაწერილი „აქა უნდა ისივე თავისაჲ“ ამ ცხრილისადმი განკუთვნილ ტექნიკურ შენიშვნას წარმოადგენს და ის მომდევნო ტექსტის სათაურად ვერ ჩაითვლება. თხზულების საერთო სათაურის გათვალისწინებით ჩვენ პირობითად ამ თავს (ფფ. 308r-319 v) „სრული ქრონიკონის“ სახელწოდებით ვასათაურებთ.

---

[1] ცსსა, ხელნ. №264, 268, ფ. 201r-201v.

ყოველივე ზემოთგანხილულის საფუძველზე ტბელ აბუსერისძის „ქართული ქრონიკონის“ ჭეშმარიტი შედგენილობა და თავების თანმიმდევრობა, პირობითი სათაურებისა და ნუმერაციის გამოყენებით, ასეთ სქემას პასუხობს:

1. „სრული ქრონიკონი“ (ფფ. 308r-319v).
2. „ზედნაღებთათჳს“ (ფფ. 319v-320v).
3. „უწყებაჲ დიდისა მცხრალისაჲ, თუ რაჲთა დაიყენების დიდი იგი პასექი და ცხოველმსყოფელი აღდგომაჲ“ (ფფ. 321r-322 v).
4. „დიდისა მცხრალისათჳს“ (ფფ. 322v-323r).
5. „მარხვისა დაყენებისათჳს“ (ფფ. 323r-323v).
6. „უწყებაჲ დღისსაძიებელთათჳს, თუ რაჲსა მიზეზისაგან შეიქმნებიან“ (ფფ. 323v-325r).
7. „უგანცხადებულესადრე ჯერ-არს გამოთქუმაჲ დღისსაძიებელთათჳსვე, რომელთათჳს პირველსა საუწყებელთა შინა აღვწერე“ (ფფ. 221v-323v).
8. „მიზეზისათჳს, თუ რად მოიჴმარებიან ზედნადებნი“ (ფფ. 325r-326r).
9. „უწყებაჲ დასაბამითგანთა წელთაჲთგანცა მასწავებელი, უკუეთუ შეგცილდენ ესე ყოველნივე რიცხუნი ამის ზემოჲთწერილისანი“ (ფფ. 326r-329r).
10. „ძიებისათჳს და შემოწმებისა ბერძენთა და ქართველთა სათუალავისა“ (ფფ. 329r-336r).
11. „ასურული კჳკლოსი მისითა განგებითა“ (ფფ. 336v-338r; 307v).

„ქრონიკონის“ შინაარსი კომენტარებით

გამოსაცემი ლიტერატურული ძეგლის კვლევის მეცნიერული აპარატი ჩვეულებრივ არ ითვალისწინებს ამ ძეგლის შინაარსის გადმოცემას. ამჯერად ამ ტრადიციულ გზას უნდა გადავუხვიოთ, ვინაიდან „ქრონიკონის“ სახით ჩვენ სრულად არატიპურ და თავისი შინაარსით და მნიშვნელობით უნიკალურ თხზულებასთან გვაქვს საქმე. ასეთი სპეციფიური შინაარსის ძეგლების მცირერიცხოვნობის გამო ჯერ კიდევ დაუდგენელი ძველი საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო ტერმინოლოგიის ფონზე ამ ძეგლის მკვეთრად ვიწროდარგობრივი, კერძოდ კი ქრონოლოგიურ-მათემატიკური პროფილი, ძალზე ართულებს მისი ტექსტის დაძლევის შესაძლებლობას. პრობლემას ვერ წყვეტს ცალკე თავში ჩვენს მიერ დაზუსტებული სპეციფიური ტერმინებისა და ცნებების გამოყენებაც, ვინაიდან არ იხსნება მსგავსი თხზულებებისათვის დამახასიათებელი სინდრომი: ტექსტი თითქოს გასაგებად იკითხება, მაგრამ აზრის გამოტანა აშკარად გაძნელებულია. სწორედ ამ გაუჩინარებული აზრის წარმოჩენას და მკითხველამდე მიტანას ისახავს მიზნად ტექსტის თანამედროვე ენაზე გადმოცემა. ეს კი საშუალებას მისცემს ყველა დაინტერესებულ პირს უშუალოდ აღიქვას და შეაფასოს თხზულების ის განსაკუთრებული ღირსებები, რომლებიც ძეგლის გამოცემამდე ფაქტობრივად არც კი იყო ცნობილი.

შინაარსს გადმოვცემთ ტექსტის იმ თანამიმდევრობით, რომელიც წინა თავში არის მოყვანილი. ჩვენი გადმოცემაც თავებად არის დაყოფილი. თითოეული თავი იწყება სტრიქონშივე მოყვანილი და ჩვენს მიერ პირობითად დანომრილი დედნისეული სათაურით. ასევე, პირობით შემოტანილ პირველ და მე-11 თავების სათაურებს კვადრატულ ფრჩხილებში ვსვამთ. ზოგიერთ თავში განხილულია შესატყვისი რიცხვითი მაგალითები, რომლებიც მნიშვნელოვნად აადვილებენ სპეციფიური მასალის ათვისებას.

[„სრული ქრონიკონი“] (1). დასათაურება, როგორც აღვნიშნეთ, პირობითია და შერჩეულია იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ თავის ძირითად ელემენტს დიდი პასქალური წრის ცხრილი, ანუ ქართულად „დიდი“ (იგივე „სრული“) „ქრონიკონი“ შეადგენს.

ცხრილის „წინათქმაში“ („ზედაწარწერილში“) ავტორი საგანგებოდ აფრთხილებს მწერლებს, რომ მათ ტექსტის გადაწერისას ეს შესავალი წარუმძღვარონ ცხრილს და ხელუხლებლივ უნდა იქნეს დაცული მის მიერ შეტანილი დამხმარე ტექნიკური ნიშნების სისტემა. ამ ნიშნების არსი, ანუ ტექსტის სიტყვებით „თუალი“ (რომელიც „სათავის“ მნიშვნელობით იხმარება) ავტორისვე მითითებით მომდევნო ტექსტში („საუწყებელში“) იქნება განმარტებული. გაფრთხილების ობიექტად ტექნიკური ნიშნების გარდა დასახელებულია ფურცლის აშიებზე („პატივსა ზედა“) მოთავსებული ავტორისეული მინაწერები.

ცხრილის სახით წარმოდგენილი პასქალური წრე 10 სვეტისაგან („კაპატონისაგან“) შედგება, რომლებშიც დიდი ინდიქტიონის („სრული ქრონიკონის“) შესაბამისი 532 წლისათვის მოყვანილია ძირითადი პასქალური მახასიათებლები

და დიდმარხვის დაწყების და აღდგომის თარიღები. კონკრეტულად, სვეტების მიხედვით ცხრილის ეს კომპონენტები შემდეგი თანამიმდევრობით არის წარმოდგენილი: I––შვიდეული; II-III-დიდმარხვის თვე და თვის რიცხვი; IV-V ცამეტორის შესაბამისი თვე და თვის რიცხვი; VII––ცამეტორის შესაბამისი თვის რიცხვის კვირის დღე; VIII–IX-აღდგომის შესაბამისი თვე და თვის რიცხვი, X-ზედნადები. რაც შეეხება VI სვეტს, ის VII სვეტის (ცამეტორის შესაბამისი თვის რიცხვის კვირის დღე) დამხმარე ფუნქციებს ასრულებს: აქ შემოკლებით ჩაწერილი ერთი და იგივე სიტყვა „დღე“ კვირის დღის სახელწოდებას გულისხმობს. აშიებზე ყოველი მეოთხე წლის გასწვრივ მეორდება მინაწერი „ნაკი“ და ყოველი მეოცე წლის გასწვრივ მოყვანილია წლების სიტყვიერი ნუმერაცია, ჩვეულებრივი მელნით ქართული, ხოლო სინგურით ბერძნული ქრონიკონული წელთაღრიცხვისათვის[1].

აბუსერისძის ეს ცხრილი, ქართული წყაროებში ცნობილი სხვა ნიმუშებისაგან განსხვავებით, თვალსაჩინოების მიზნით გამოყენებული მინაწერებისა და ტექნიკური ნიშნების მრავალრიცხოვნებით გამოირჩევა.

I და V სვეტებში ჩამოწერილი შვიდეულისა და ცამეტორის რიცხვითი მონაცემები ყოველი 28- და 19-წლის შემდგომ მცირე სინგურის წრით („ჩიტის თვალით“) არის გამოყოფილი. (ამის შესახებ ავტორი სიტყვიერადაც ალნიშნავს მე-9 თავის ბოლოს: „ჩიტისთუალი დამისუამს ყოველთავე განსაყოფელთა ოცდარვეულისა და ცხრამეტეულისათა“). ამასთან ერთად ამ ორი სვეტის მონაცემების ამოსავალი მნიშვნელობის მისანიშნებლად ორივეს თავში ჯვრებია დასმული.

ასორიცხვ და ტექნიკურ ნიშნებთან ერთად დამხმარე საშუალებათა ფუნქციები სიტყვიერ მინაწერებსაც აქვს დაკისრებული.

ცხრილის მომდევნო ტექსტი წელთაღრიცხვისა და მასთან 532-წლიანი პასქალური ციკლის ურთიერთმიმართების საკითხებს ეძღვნება. ვინაიდან ავტორი მხედველობაში იღებს იმ დროისათვის გაბატონებულ რწმენას, რომლის თანახმადაც თითქოს ქვეყანა მხოლოდ 7000 წელს იარსებებს, აღნიშნულ ურთიერთმიმართებას ის წელთაღრიცხვის ამ „კონკრეტიზირებულ“ თარიღს უკავშირებს. ჯერ ნაჩვენებია 532-წლიანი ციკლის თავისებურება. ერთი „ქრონიკონი“, რომელიც ამ შემთხვევაში „დასაბამითგან“ წელთაღრიცხვის ციკლურ საზომ ერთეულად განიხილება, თავის მხრივ 532 წლისგან შედგება. 532 წლის უკანასკნელი წლის გასვლის შემდეგ, ათვლა ისევ თავიდან ციკლის პირველი წლით იწყება („რაჲ დასრულდეს, ბოლოსა ამისსა იგივე შეუთქს, რომელი თავსა დაწყებულა“). „უწინარეს ამისა“ (ე. ი. აწმყო ციკლის წინ) ქრონიკონი 12-ჯერ მოიქცა („ქცეულა“) და მოცემული დროისათვის მე-13 ქრონიკონის 453 წელია გასული. ამ 453 წლის შესაბამისი „დასაბამითგან“ 6837 წელი, მე-13 ქრონიკონის დასრულებისას 6916 წელი გახდება, რომელსაც 7000

---

[1] გამოცემაში ალრევის თავიდან ასაცილებლად ბერძნული ნუმერაცია მარცხენა, ხოლო ქართული მარჯვენა აშიებზეა გატანილი.

წლამდე მე-14 ქრონიკონის 84 წელი დააკლდება (ვინაიდან 532 წლამდე 453-ს 79 წელი აკლია, 6837+79=6916 და 6916+84=7000).

ესქატოლოგიური მოტივაციით „დასაბამითგან“ 7000 წლის ანუ მე-14 ქრონიკონის 84 წლის შემდგომი პერიოდის განხილვას თითქოსდა არ უნდა ჰქონდეს აზრი. აბუსერისძე ამასთან დაკავშირებით მოსაზრებას გამოთქვამს, რომელშიც სკეპტიციზმის გარკვეული ელემენტებიც არის ჩაქსოვილი.

ავტორის თანახმად, მე-14 ქრონიკონიც, თუ ღმერთი დააცდის, მე-13 ქრონიკონის მსგავსად „ესევე თავსა დაიწყებს“ და „იქი დაესრულების“, როგორც ეს ცხრილშია ჯვრით მინიშნებული. მაგრამ არც ის არის გამორიცხული, რომ ალსასრულმა „აწცა მოიწიოს“, სახარების „სიტყჳსაებრ“ „ჟამსა რომელსა არა ვჰგონებდეთ“ (შდრ. ლუკა, 12, 40: „ჟამსა, რომელსა არა ჰგონებდეთ, ძე კაცისა მოვიდეს“). ისე კი პერსონალურადაც („კაცად-კაცადისათჳსცა“) უეჭველად რომელიღაც დროს („ჟამსა არასაეჭველსა“) მოიწევს გარდაცვალების წამი და არც „წმიდანი წერილნი“ ადასტურებენ („წამებენ“) ამ 84 წლის მოქცევას. მაშასადამე, აბუსერისძის მიხედვით, ქვეყნის ალსასრულს ადგილი უნდა ჰქონდეს არა ზუსტად XIV ქრონიკონის 84 წლის გასვლისას (ე. ი. ზუსტად 7000 წელს), არამედ „ჟამსა რომელსა არა ვჰგონებდეთ“, ე. ი. ნებისმიერ დროს, რომელიც შესაძლოა 7000 წელს არ გადასცდეს (7000 წელ'ზე, როგორც ზღვრულ თარიღზე გვხვდება მითითება მე-9 თავში: „შჯდ ათასთა წელთა მეტი არა დაბადებულ არს...“ —ფ. 327v). ამიტომაც, მისივე განმარტებით 84 წელი იმ რიცხვის დაკლების ალსანიშნავად დაიწერა, რომელიც ზღვრული 7000 წლის გამასრულებლის თვალსაზრისით არის საინტერესო (ტექსტისეული „კლებისათვის“ აქ იგივე აზრით არის მოყვანილი, რაც „დააკლდებიან“ ადრე მოყვანილ წინადადებაში —„შჯდ ათას წლად დააკლდებიან ოთხმეოცდა ოთხნი წელნი...“). მაგრამ, როგორც შემდგომი ტექსტიდან ჩანს, ეს ერთადერთი მიზეზი არ არის. 84 წლის მოხსენიების ფონზე აბუსერისძეს საჭიროდ მიაჩნია მკითხველის ყურადღება გაამახვილოს იმ ფაქტზე, რომ ბერძნები „დასაბამითგან“ მოცემულ დრომდე 6741 „წელთა თუალვენ“, ქართველების წელთაღრიცხვა კი ბერძნულ წელთაღრიცხვას („სათუალავსა ბერძენთაჲსა“) 96 წლით წინ უსწრებს „ზემოთმოყვანილი“ რიცხვიდან („იმით რიცხჳთა, რომელი ზემო დამიწერია...“), ე. ი. 6837 წლიდან გამომდინარე.*

ამ ფაქტის ალნიშვნით ავტორი უკვე უშუალოდ წარმოაჩენს იმ ცენტრალურ პრობლემას, რომელიც მისი შემდგომი კვლევის ძირითად ობიექტს წარმოადგენს. აქვე ის გამოყოფს პრობლემასთან დაკავშირებულ ერთ თავისებურებას. კერძოდ, წელთაღრიცხვათაჲ, უთანაზომობის პირობებში მარხვების ანუ, ზოგადად რომ ვთქვათ, აღდგომასთან დავავშირებული მოძრავი მარხვადღესასწაულთა სისტემების თანხვდენას („ერთითა კალიბითა იარების“), რაც თავისთავად ძნელი გასაგებია („ჩუენდა საუწყებელად ძნელ არს“) და ნამდვი-

* აშიაზე გაკეთებულია შენიშვნა ბერძნულ-ქართული სისტემებით წლების ათვლასთან დაკავშირებით (იხ. აქვე, გვ. 32, სქოლიო)

ლი მიზეზის ცოდნას ამიტომაც მხოლოდ ღმერთს მიაწერენ („მან მხოლომან ოდენ უწყის ესეო“).

აქედან გამომდინარე ავტორი საჭიროდ თვლის ერთგვარი „ზეპირ საცოდინელი“ სამახსოვრო ანუ „უწყება“ შეადგინოს ყველა გონიერი დაინტერესებული პირისათვის („გულის ჴმის-მყოფელთათჳს“), ვისაც სწავლის სურვილი აქვს და ვისაც ავტორის მოკრძალებული შენიშვნით შეუძლია აიტანოს მისი „უცოდინარობა“ („სისულელე“). ვინაიდან ასეთი „უწყება“ მკითხველის გარკვეულ წინასწარ მომზადებას მოითხოვს, აბუსერისძე საჭიროდ თვლის საკითხის შესწავლა ძირითადი პასქალურ-კალენდარული ცნებების (ზედნადების, ცამეტორის, დღისსაძიებლის და ა. შ.) განხილვით დაიწყოს.

„ზედნადებთათჳს“ (2). პასქალურ-კალენდარული მახასიათებლების კონკრეტულ განხილვას აბუსერისძე იწყებს ზედნადებით ანუ მთვარის ეპაქტით, რომელსაც ერთ-ერთი ძირითადი როლი ეკისრებოდა მთვარისა და მზის იულიუსისეული კალენდრების ურთიერთშესათანხმებლად.

მზის კალენდარული წელიწადი 12 კალენდარულ თვეს („თუეს“) შეიცავს. მთვარის კალენდრით ანუ „მთუარეულად“ აღრიცხვისას, დროის ამ ინტერვალში 12 სრული მთვარის თვე („მთუარე“) „მოიქცევა“, რომელსაც მზის კალენდარულ თვეთა დღეები („თუესა დღენი“) 11 დღით „დაჰმეტდებიან“. ე. ი. მზის კალენდარული წელიწადის („წელიწადის“) „განრულებისას“, მთვარის მე-13 თვის დღეთა რაოდენობა ანუ ასაკი 11 დღეს შეადგენს. ამიტომაც, თუ 12 მზის კალენდარული თვის დღეთა რაოდენობა („თორმეტისა თჳსა დღენი“) რიცხობრივად 365 დღეს ითვლის, 12 მთვარის თვისათვის („თორმეტის მთუარისა“) ეს რიცხვი 354 დღეს შეესაბამება. აბუსერისძის ამ ინფორმაციაში, ფაქტობრივად, გადმოცემულია ზედნადების ორი განსაზღვრა. კერძოდ, რომ 1. ზედნადები წარმოადგენს ყოველწლიურ დაგროვებას იმ 11-დღიანი ნამეტისა, რომლითაც ყოველი მზის წელიწადი აღემატება მთვარის წელიწადს და 2. ზედნადები არის მთვარის ასაკი (ე. ი. ახალმთვარეობიდან ათვლილი დღეთა რაოდენობა) მზის კალენდარული წელიწადის დასასრულს.[1]

მზის და მთვარის წელიწადების ხანგრძლივობათა აღნიშნული განსხვავება ტექსტის თანახმად განპირობებულია იმ გარემოებით („ესე ამისისა მიზეზისათჳს არს“), რომ მთვარის თვე 29,5 დღე-ღამეს შეიცავს (როგორც შემდგომ თავებში დავინახავთ, ავტორისათვის ცნობილია, რომ ეს სიდიდე ზუსტად არ შეესაბამება სინოდური თვის მნიშვნელობას და მას მიახლოებითი ხასიათი აქვს). ვინაიდან დღე-ღამე 24 საათის („ჟამის“) ტოლია, 29,5-ს მთელ რიცხვამდე ამ 24 საათიდან „დააკლდების“ 12 საათი, მთელი დღის ან ღამის, ანდა ნახევარდღისა და ნახევარღამის (ე. ი. 6-6 საათის) ჯამის სახით. დღელამური პერიოდის ამ სხვადასხვა ინტერვალების დასახელებით აბუსერისძე აქ მიზნად ისახავს იმ ასტრონომიული მოვლენის კონსტატაციას, რომლის თანახმადაც მთვარის ერთი და იგივე ფაზები თუმცაღა კი მოდის იულიუსისეული

[1] შდრ. შტეინგელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 165-166.

კალენდრის ერთსა და იმავე რიცხვებზე, მაგრამ დღე-ღამის არა ერთსა და იმავე მომენტში, არამედ სხვადასხვა საათებში.

„ნახევრისა და ნახევრისა დაკლებულობასა“ გამო მზის ორი კალენდარული თვის მანძილზე („ორთა თუეთა მოქცევასა შინა“), მთვარის ორი თვის 60 დღედ „გასრულებასა ერთი დღე და ღამე დააკლდების“ (მართლაც, 60-2×29,5=60-59=1). 59-დღიანი მთვარის ორი თვის მოხსენიება ამ შემთხვევაში თავისთავად გულისხმობს რომ 6 ასეთი წყვილი მთვარის კალენდარულ წელიწადს შეადგენს (6×59=354) და რომ მთვარის კალენდარული თვე დღეთა მთელ რიცხვს, ე. ი. 30 ან 29 დღეს შეიცავს. თუ მზის წელიწადის თვეებს 30 დღის შემცველობას მივაწერთ („თორმეტნივე თუენი გასრულდენ დღეთა ოცდაათეულობასა შინა“), ისე, რომ თებერვალსაც დაემატოს „ორნი დღენი... ოცდაათეულად გამასრულებელნი“, ასეთი წელიწადის „თჳსა დღეთანი“ ჩ დღით „დაჰმეტდებიან“ მთვარის კალენდარული წელიწადის დღეებს (მართლაც: 12×30-354=360-354=6). ამ „ნამეტს“ რიცხვითი მნიშვნელობის მიხედვით „ექვსეული“ ეწოდება. ვინაიდან რეალურად მზის კალენდარული თვე 31-დღიანიც არის („ზოგნი თუენი ოცდათერთმეტნი არიან“), დამატებით მთვარის წელიწადის დღეებს კიდევ „ხუთნი დღენი სხუანი დაჰმეტდებიან“, რომელთაც შესაბამისად „ხუთეული“ ეწოდებათ (მართლაც: ვინაიდან მზის წელიწადის შვიდი 31-დღიანი თვიდან ორი თვის თითო დღე „ექვსეულთან“ დაკავშირებით უკვე გადასაწილებულად ითვლება თებერვლის 30-დე „გასასრულებლად“, დარჩენილი ხუთი თვის „ნამეტი“ დღეები „ხუთეულს“ შეადგენენ). ამ „ხუთეულის“ და „ექვსეულის“ ჯამი 11 დღეს იძლევა და „ესე არს ზედნადები“.

მთვარისა და მზის წელიწადების ხანგრძლივობათა აღნიშნული სხვაობის შედეგად მთვარის თვის დასაწყისი მზის ერთი ან მიყოლებით 2 წელიწადის ინტერვალში („ორსა წელიწადსა შიგან წართვით“) უკუწაინაცვლებს („ზე-უკუვარდების“). მესამე წელიწადშიც ადგილი ექნება „ზე-უკუვარდნას“ მორიგი 11 დღით, მაგრამ ამჯერად წელიწადის „გასასრულებლად“ მთვარის 12 თვეს მე-13 თვეც უნდა დაემატოს („მეცამეტე მთუარე მოაქციე“). აქ აბუსერისძე უკვე უშუალოდ მთვარე-მზის კალენდრის განხილვაზე გადადის, რომელშიც წელიწადი მზის, ხოლო თვეები—მთვარის მიხედვით აითვლება. ამ კალენდრით, როგორც ცნობილია, მე-13 დამატებითი მთვარის ჩართვა დრო და დრო ისე უნდა წარმოებდეს, რომ თითოეული კალენდარული თვის დასაწყისი რაც შეიძლება ახლოს უნდა იყოს ახალმთვარეობასთან (უფრო ზუსტად, ნეომენიასთან—მთვარის ხილული ნამგლის პირველ გამოჩენასთან, რომელსაც ადგილი აქვს ასტრონომიული ახალმთვარეობიდან 1-2 დღე-ღამის შემდეგ), ხოლო კალენდარული წელიწადის დასაწყისი ასეთივე შესაბამისობაში უნდა იყოს მზის წელიწადის დასაწყისთან. სწორედ ამ შესაბამისობაში მოყვანას ისახავს მიზნად ტექსტის ფრაზა: „წელიწადისა გასასრულებლად... მეცამეტე მთვარე მოაქციე“ (ორ წელიწადს ზედიზედ „მთუარის ზე-უკუვარდნის“ შემდეგ მესამე წელიწადში მორიგი „უკუვარდნით“ კალენდარული წელიწადის დასაწყისი მზის წელიწადის დასაწყისის მიმართ დასაშვები ინტერვალის (30 დღის) ფარგლებიდან რომ არ გამოვიდეს, მის „გასასრულებლად“ მე-13 მთვარის თვე

უნდა დაემატოს). კალენდარული წელიწადის დასაწყისის წანაცვლების პარალელურად ცვლილებას განიცდის მისი ზედნადებიც. თითოეულ უკუწანაცვლებას („ზე-უკუვარდნას"), ზედნადების 11 რიცხვით გადიდება შეესაბამება. როდესაც წელიწადის დასაწყისის ზღვრულ ფარგლებში შესანარჩუნებლად საჭირო ხდება მე-13 თვის დამატება, ზედნადებისათვის ამ დროს მისი ჯამური მნიშვნელობა იყოფა 30-ზე („ოცდაათეულად განუტევე") და ნაშთი („რაჯცა მას დაჰმეტდეს") აიღება მის რიცხვით მაჩვენებლად („ჰაგზომი დღე არს მის წელიწდისა ზედნადები"). თუ წელიწადის დასაწყისი უკუწანაცვლებისას აღნიშნული ფარგლებიდან არ გამოდის, ზედნადების რიცხვითი მაჩვენებელი 30-ზე ნაკლები იქნება („ოცდაათამდე დააკლდებოდეს") და ისიც ამ შემთხვევაში ისევ ნაშთს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, თანამედროვე მათემატიკურ ენაზე ზედნადების მნიშვნელობა შეიძლება ასეთი ფორმულით გამოისახოს:

$$Z = \left| \frac{J}{30} \right| \qquad (1)$$

სადაც Z—ზედნადების რიცხვით სიდიდეს აღნიშნავს, J—„ზე-უკუვარდნების" შესაბამი „თერთმეტეულთა" ჯამია; ხოლო რაც შეეხება სიმბოლოს || (სწორ ფრჩხილებს), ის აღნიშნავს, რომ საძიებელ სიდიდედ აიღება გაყოფის შედეგად მიღებული ნაშთი.

წელიწადის ზედნადების გარკვეული ფიქსირებული სიდიდე „ძალაშია" „იანვარისა დაწყებითგან ვიდრე მეორედ იანვრადმდე". ე. ი. მზის წელიწადი იანვრის სტილით არის და ზედნადების გამოთვლა თუ კალენდარული წლის დასაწყისის შესაბამისობაში მოყვანა 1 იანვრის მიმართ წარმოებს.

თუ ზედნადების თერთმეტ-თერთმეტი დღის „წლითი წლად ზედადართვითა" (იგულისხმება მთვარის 19-წლიანი ციკლის ინტერვალში—„ცხრამეტსა წელიწადსა შინა") „მეცამეტესა მთუარესა უკეთუ არა მოაქცევ, რაჯ ოცდაათად გასრულდებოდეს" (აქ მე-13 „მთვარის მოქცევა" 30-ზე „განტევების" მათემატიკურ ოპერაციას გულისხმობს თერთმეტეულთა იმ ჯამური სიდიდისათვის, როდესაც ის 30-ს გადააჭარბებს, ანუ „რაჯ ოცდაათად გასრულდებოდეს") და ნაშთს („დანამეტებს") ზედნადებად არ ავიღებთ, მაშინ მომდევნო 19-წლიანი ციკლის პირველი დღის, ე. ი. 1 იანვრის დადგომისას მთვარის წელიწადის დასაწყისი მის მიმართ „ორას და ცხრა დღითა ზე-უკუვარდების". ვინაიდან 19-წლიან ციკლში ერთხელ უკუწანაცვლება 11-ის ნაცვლად 12 დღით ხდება („თორმეტსა დღესა დაიკლებს"), ამიტომ უკუწანაცვლებულ 209 დღეს კიდევ ერთი დღე ემატება და ჯამში 210 დღე მიიღება (ტექსტში 209-დან 210-ზე გადასვლა ასე არის გადმოცემული: „ორას და ცხრასა მეათე სხუჯცა შეჰმატე").

19-წლიანი ციკლის იმ წელს, როდესაც „ზე-უკუვარდნა" 12 დღეს შეადგენს, შესაბამის კორექტირებას მოითხოვს ზედნადების სიდიდე. „უკეთუ ზედნადები შვიდი დაჰმეტდებოდეს ოცდაათეულსა", ამ თორმეტდღიანი დაკლების გათვალისწინებით ზედნადების ფაქტობრივ მნიშვნელობად 8 მიიღება („შენ მეათორმეტისა დღისა შეძენითა რვა ჰყავ").

მთვარე-მზის კალენდრის განხილვას აბუსერისძე ამთავრებს ერთგვარი შემაჯამებელი ფრაზით: „მეათცხრამეტესა წელიწადსა ოცდაათეულად არცა რაჲ დააკლდების და არცა რაჲ დაჰმეტდების“. ე. ი. მთვარე-მზის კალენდარში ცხრამეტწლიანი ციკლის ბოლოს კალენდარული წლის დასასრული სრულ შესაბამისობაში მოდის მზის წელიწადის დასასრულთან და, მაშასადამე, ახალი ციკლის დასაწყისში ზედნადები ნულის ტოლი იქნება („ოცდაათეულად არცა რაჲ“ დაკლება და „არცა რაჲ“ დამეტება გულისხმობს, რომ განაყოფის ნაშთი ნულის ტოლია. მაგრამ იმ დროისათვის ნულის ანუ „არაფრის“, როგორც რიცხვის ცნება ჯერ კიდევ არ არსებობდა და ფორმალურად მას ამ კერძო შემთხვევისათვის 30 ცვლის, ვინაიდან თანამედროვე ჩანაწერით რომ გადმოვცეთ $30 \equiv 0 \pmod{30}$).

მთვარე-მზის კალენდრის განხილვის შემდგომ აბუსერისძე ამ უკანასკნელის უპირატესობის წარმოჩენის მიზნით მას უღარებს მაჰმადიანურ სამყაროში გამოყენებულ მთვარის კალენდარს—ე.ი. მთვარის ჰიჯრას. „სხუათავე ზღაპრობათა თანა“ მაჰმადიანები (ე. ი. „სპარსნი“) „ამითცა ცთომილნი არიან“, რომ ზედნადებს (ე. ი. „ოცდაათეულისა დანაკლებსა ან დანამეტებსა“) ყოველწლიურად 11 დღეს „არ დაათუალვენ“ მე-13 მთვარის თვის წელიწადად „გასასრულებლად“. ამიტომ მათი მე-9 თვე-რამადანი, რომელშიც დაწესებულია რამადანის ერთთვიანი მარხვა („რამადანი—მათი ერთისა მთუარისა სამარხავი“) ყოველწლიურად 11 დღით უკან წაინაცვლებს, რის გამოც ის რამდენიმე წელს ჯერ შემოდგომაზე მოდის და შემდეგ კი წელიწადის სხვა სეზონებზე. საწყის მომენტს რამადანი (და საერთოდ სხვა განსაზღვრული თარიღები და თვეები) მაშინ უბრუნდება („მასვე ჟამსა მივარდების“), როდესაც „გასრულდება“ მთვარის 33 წელიწადი, რომელსაც ავტორი „მათგან“ „ოცდაცამეტად საგონებელ წელიწადს“ უწოდებს. დროის ამ ინტერვალს მზის კალენდრით ანუ მზის წელიწადის თვეთა სათვალავით („სათუალავითა თუეთაჲთა“) 32 წელიწადი შეესაბამება, რომელსაც 33 მთვარის წელიწადი 2 დღით აღემატება („ორნი დღენი დაჰმეტდებიან“).

„სპარსთათვის“ ეს მზის კალენდარი და მზის კალენდარული თვეები არ არის ცნობილი („არცა თუეთა სახელნი იციან“). ისინი მხოლოდ მთვარის კალენდრით და მთვარის თვეებით სარგებლობენ. ამ მთვარის თვეებს, რომლებისთვისაც დამახასიათებელია მუდმივი უკუწანაცვლება („უკუღმა მავალთა მთუარეთა“) თავისი სახელწოდებები აქვთ მათ ენაზე („უჴმობენ მათითა ენითა და საზღაპრო ჲთა შჯულითა და ღმრთისმეცნიერებითა“).

აქვე ავტორი საჭიროდ თვლის აღნიშნოს, რომ როდესაც მზის წელიწადში თებერვალს ნაკი დღე ემატება, ერთი დღე მთვარის თვესაც დაემატება. ასე რომ, არც ამ შემთხვევაში ირღვევა მზისა და მთვარის წელიწადთა ხანგრძლიობის 11 დღიანი სხვაობა („თერთმეტისა დღისა უმეტესი არცა მაშინ დააკლდების მთუარის დღეთა, თჳსა დღეთა ოდენობად“).

ებრაელებს წინასწარმეტყველი მოსეს უძველესი სჯულდებით („ძუელითა მით სჯულითა მოსესითა“), თუმცა მთვარის თვეები სახელდებული აქვთ („დაღაცათუ მთუარეთავე უწოდენ სახელსა“), რომელთაგან პირველს ნისანი, ხოლო

უკანასკნელს ადარი ეწოდება, მაგრამ რადგანაც „მეცამეტე მთვარეს მოაქცევდენ თერთმეტეულის დართვითა წელიწადის გასასრულებლად"[1], არც კალენდარული თვეებისათვის, არც დღესასწაულთა თარიღებისათვის რაიმე დაკლებას არა აქვს ადგილი („არაჲვე დაკლებაჲ არს თუეთა ზედა, არა დღესასწაულობაჲ"). ასე რომ, აქ გამორიცხულია „თერთმეტეულის დანაკლებითა სპარსთაებრ" თვეთა და თარიღების „უკუვარდნა" და არც „მეცამეტისა მთუარისა მოუქცევრობით" ცდებიან, როგორც ეს ზემოთ ნახსენები მთვარის კალენდარისათვის („იმით სათვალავითა, ვითარცა ზემოთ ვთქვი") არის დამახასიათებელი.

ძველი ებრაელების მიერ მთვარე-მზის კალენდრის შემოღებას ბიბლიური ცნობების მიხედვით ებრაელების ეგვიპტიდან გამოსვლას უკავშირებენ. მოსეს კანონებით გამოსვლის დღეს (ებრაული თვის ნისანის მე-15 დღეს) აღინიშნება პასექის დიდი დღესასწაული. სწორედ ამ კალენდრის პირველი თვე იგულისხმება აბუსერისძის ფრაზაში: „და ამას ზედა იქმნა დიდი იგი პასექი ეგჳპტით გამოსვლისაჲ". როგორც ცნობილია, პასექის დღესასწაული შემდგომში დაუკავშირეს ქრისტეს ვნებას, სიკვდილს და აღდგომას. ამიტომაც ძველი პასექი „იყო მომასწავებელი აწლისა ამის შჯულისაჲ, რომელსა ზედა იქმნა ვნებაჲ ცხოველსმყოფელი". ებრაული მთვარე-მზის კალენდრის მიმოხილვას აბუსერისძე ამთავრებს ცნობით, რომ ამ კალენდარში („ამისთჳის") როდესაც მე-13 მთვარის თვეს უმატებენ, იმ წელიწადს მთვარის ორ უკანასკნელ თვეს ადარს უწოდებენ („წელს უკანაჲსკნელი ორი მთუარე ადარი არისო"). მართლაც, როგორც ცნობილია, დამატებით მე-13 თვე ჩაირთვება ადარის წინ „ადარ I"-ის სახელწოდებით, ხოლო ძირითადი ადარი შემდგომი თვე ხდება და უკვე „ადარ II" ეწოდება[2].

განხილული თავი მიუხედავად არც თუ ისე დიდი მოცულობისა, საკმაოდ მრავალრიცხოვან ინფორმაციას შეიცავს, რომელთან ზოგიერთი გარკვეულ დამატებით კომენტარს საჭიროებს.

როგორც ცნობილია, პასქალიებში ცნობები პასქალურ-კალენდარული მახასიათებლების შესახებ, ჩვეულებრივ, მათი გამოსათვლელი წესების გადმოცემით შემოიფარგლებიან, რაც ამ წესების მხოლოდ მექანიკური ათვისებისა და გამოყენებისათვის არის გამიზნული. აბუსერიძესთან კი უკვე პირველივე მახასიათებლის—ზედნადების წარმოდგენისას, საკითხისადმი აშკარად განსხვავებულ მიდგომასთან გვაქვს საქმე. ზედნადების გამოსათვლელად წესის რეცეპტურული ფორმით გადმოცემის ნაცვლად ის ჯერ ზოგადად აშუქებს მთვარე-მზის

---

[1] როგორც აქ, ისე ტექსტის წინა ნაწილში კალენდარული „წელიწადის" გასასრულებლად ჩატარებული ღონისძიება ერთდროულად ორ ოპერაციას ითვალისწინებს: მორიგი თერთმეტეულით უკუწანაცვლებას, რასაც ტექსტში „თერთმეტეულის დათვლა" ან „დართვა" ეწოდება და 30 ღღით წინ გადანაცვლებას „მეცამეტე მთვარის მოქცევის" ანუ ჩართვის საშუალებით. უკუ და წინ გადანაცვლებით ეს ორი ოპერაცია ჯამში 19 ღღით წინ გადანაცვლებას იძლევა (-11+30=+19).

[2] Абдурайхан Бируни. Избранные произведения. I, 1957. გვ. 68;

კალენდრის სტრუქტურას და მხოლოდ ამის შემდეგ გადადის უშუალოდ ზედნადების განხილვაზე. ცხადია, რომ კალენდრის მექანიზმში წინასწარ გარკვეული მკითხველისათვის უკვე ძნელი არ იქნება ზედნადების ცნების არსში ჩაწვდომა და მასთან დაკავშირებული წესების შეგნებულად ათვისება.

საინტერესო ცნობები აქვს შერჩეული აბუსერიძეს მთვარის კალენდრის შესახებ, რომელსაც ის მთვარე-მზის კალენდარს უდარებს. ამ უკანასკნელის ღირსებათა უფრო თვალსაჩინოდ წარმოჩენის მიზნით რამადანის თვის „ზეუკუვარდნა“ და მთვარის 33 წელიწადის მზის 32 წელიწადთან ტოლობა-სწორედ ის ყველაზე უფრო სახასიათო მაგალითებია, რომლებსაც ჩვეულებრივ პირველ რიგში მოიხსენიებენ კალენდარულ ლიტერატურაში მთვარის ჰიჯრასთან დაკავშირებით (იხ. ბირუნი I გვ. 82-86; ციბულსკი გვ. 7-8, 15; შტეინგელი გვ. 148; კლიმიშინი გვ. 190). ასევე პირველ რიგში მოიხსენიებენ, მხოლოდ უკვე ებრაული მთვარე-მზის კალენდრის განხილვისას, აბუსერისძის მოყვანილ ცნობებს—„ადარის“ სახელწოდებით 2 თვის აღნიშვნისა და ამ კალენდართან პასექის დღესასწაულის ისტორიული ურთიერთკავშირის შესახებ (შდრე-ბირუნი I გვ. 67-68; შტეინგელი გვ. 149; ციბულსკი გვ. 215-216; სელეშნიკოვი გვ. 115).

როგოც ზემოთ აღვნიშნეთ, ტექსტის მიხედვით მთვარის 33 წელიწადი ზუსტი მნიშვნელობით მზის 32 წელიწადს 2 დღით აღემატება („ორნი დღენი დაჰმეტდებიან“). ეს რიცხვი საგანგებო განხილვას მოითხოვს, ვინაიდან მკაცრი გაგებით ის ზუსტ მნიშვნელობად ვერ ჩაითვლება. დღეთა ჭეშმარიტი სხვაობა სინამდვილეში 6 დღეს შეადგენს, რაც შემდეგი გამოთვლებიდან ჩანს: 33 მთვარის წელიწადი შეიცავს ერთ 30-წლიან ციკლს (ე. წ. „არაბულ ციკლს“) და მომდევნო არასრული ციკლის 3 წელს. როგორც ცნობილია, „არაბულ ციკლში“ 11 ნაკიანი წელიწადი (ე. ი. 365-დღიანი) არის, რომელთაგან პირველი ნაკი ციკლის მე-2 წელიწადზე მოდის. ასე რომ, 33 წელიწადში ნაკიანი წლების რაოდენობა 12 იქნება, ხოლო ჩვეულებრივი წლებისა—21. აქედან გამომდინარე დღეთა ჭეშარიტი საერთო რაოდენობა 33 მთვარის წელიწადში 11694 დღეს შეადგენს (12×365+21×354=4260+7434=11694). 32 მზის წელიწადისათვის (აქ უკვე მზის კალენდრით ნაკიანი წლების რაოდენობა 8 იქნება) დღეთა საერთო რაოდენობა 11688-ს შეესაბამება (8×366+24×365=2928+8760=11688); მაშასადამე, სხვაობის ზუსტი მნიშვნელობა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, 6 დღე იქნება (11694–11688=6).

მიუხედავად ამისა, სხვაობად 2 დღის დასახელება შემთხვევითი ხასიათი არა აქვს. თუ 33 მთვარის წელიწადში ნაკიან წლებს მზის კალენდრის პრინციპით ავითვლით, მაშინ მათი რიცხვი 8-ის ტოლი იქნება და ამის გათვალისწინებით გამოთვლილი დღეთა რაოდენობა 11690 (8×355+25×354=2840+8850==11690) 32 მზის წელიწადის დღეთა რაოდენობასთან, მართლაც, 2 დღის სხვაობას მოგვცემს (11690–11688=2). აბუსერისძეც რომ ამ პრინციპით ხელმძღვანელობს, ამაზე აშკარად მიუთითებს მისივე ფრაზა-„ოდესცა ფებერვალსა ნაკი შეემატოს, ერთი დღე მთუარეთაცა შეემატების“. თუმცა ეს დაშვება მკაცრი არგუმენტირების თვალსაზრისით კორექტული არ არის, მაგრამ ის სავსებით

გამართლებულია ამ კონკრეტული შემთხვევისათვის. აქ აბუსერისძე საჭიროდ არ თვლის მთვარის კალენდრის დეტალებში მკითხველის შეყვანას (ასევე იქცევა, როგორც შემდგომში დავინახავთ, სხვა შემთხვევებშიც, როდესაც რაიმე საკითხი ძირითადთან მიმართებაში მეორეხარისხოვან როლში გამოდის და მასზე მკითხველის ყურადღების გადატანამ შეიძლება ამ უკანასკნელს ხელი შეუშალოს მთავარი საკითხის სრულყოფილ გათვითცნობიერებაში). მზის და მთვარის კალენდრის ურთიერთკავშირის არსს იმდროინდელი მკითხველი (უფრო ზუსტად ქართული საეკლესიო კალენდრის შემსწავლელი) სწორედ აბუსერისძისეული ინტერპრეტაციის საფუძველზე ჩაწვდებოდა უფრო ადვილად. აბუსერისძის ასეთი მიდგომა, მისი როგორც პედაგოგის მაღალ კვალიფიკაციაზე მიუთითებს. მაგრამ ამ შემთხვევაში კიდევ უფრო საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მოყვანილი რიცხვითი მონაცემი სხვა წყაროდან მზამზარეული სახით კი არ არის გადმოღებული, არამედ საკუთარი გამოთვლების შედეგად უნდა იყოს გამოყვანილი. თუ გავიხსენებთ, რომ აბუსერისძეს პირველ თავშიც მოჰყავს რაოდენობრივი გამოთვლების შედეგები, აშკარად იკვეთება ავტორისათვის დამახასიათებელი ტენდენცია: რაიმე საკითხის დასაბუთებისას გამოიყენოს რაოდენობრივი მონაცემები, რომლებსაც საკუთარი გამოთვლების შედეგად იღებს. ეს გარემოება მით უფრო საყურადღებოა, რომ აბუსერისძემდის (და სხვათა შორის შემდგომშიც ვახტანგ VI-ის ეპოქამდე) მსგავსი მოვლენა ქართულ დამწერლობაში ჯერჯერობით არ ფიქსირდება.

დაწვრილებით უნდა შევჩერდეთ აბუსერისძის კიდევ ერთ ინფორმაციაზე, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი არის ქართული საეკლესიო კალენდრის ზოგიერთი დღემდე აუხსნელი მომენტის გარკვევა. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს ზემოთ მითითებული ცნობა, რომლის თანახმადაც ყოველი წელიწადის შესაბამისი ზედნადები 1 იანვრიდან აითვლება და მისი სიდიდე უცვლელი რჩება შემდგომი წლის 1 იანვრის დადგომამდე („ჰაგზომი დღე არს მის წელიწდისა ზედნადები იანვარისა დაწყებითგან, ვიდრე მეორედ იანვრადმდე"). აქედან გამომდინარე აღრიცხვის საფუძვლად ტექსტში აშკარად იანვრის წელიწადი იგულისხმება, თუმცა ლიტერატურაში 532-წლიანი ქრონიკონისათვის ასეთად მარტის წელიწადი არის მიჩნეული (იხ. კეკელიძე I, გვ. 121-124). თხზულების შემდგომ თავებშიც ხშირად მეორდება ანალოგიური ცნობა (იხ. მაგალითად ფფ. 221––223 r; 320r; 323v; 324v-325r და ა. შ.), რომლებსაც დეტალურად შესაბამისი თავებისთვის განკუთვნილ კომენტარებში განვიხილავთ.

„უწყებაჲ დიდისა მცხრალისაჲ, თუ რაჲთა დაიყენების დიდი იგი პასექი და ცხოველსმყოფელი აღდგომაჲ" (3). სათაურშივე მკაფიოდ გამოკვეთილია გაზაფხულის საკვირველების („დიდი მცხრალის") განსაკუთრებული მნიშვნელობა პასქალური გამოთვლების საქმეში: აქ „უწყება" ამ მახასიათებლის შესახებ გაიგივებულია პრობლემასთან თუ როგორ უნდა იქნეს გამოანგარიშებული აღდგომის დღე („თუ რაჲთა დაიყენების... აღდგომაჲ").

დასაწყისში აბუსერისძე ამცნობს მკითხველს, რომ ზედნადების მონაცემებით („იმით სათუალავითა“) გაზაფხულის საკვესთვარეობის დღის დადგენა („ცოდინი დიდი მცხრალისაჲ“ [1]) „გაძნელდების“. ამასთან ერთად წინა თავში ზედნადების საგანგებოდ განხილვას ის იმ მიზეზით ამართლებს, რომ „დიდი მცხრალი“ („ესე“), რომელშიც გაანგარიშებითი გაზაფხულის საკვესთვარეობა იგულისხმება, თავისი წარმოშობით სწორედ ზედნადებისგან („ამისგან“) მომდინარეობს („ამისთჳს დავწერე სათუალავი ზედნადებისაჲ, რომელ მიზეზი ეგრეცა უწყოდეთ, თუ ესე ამისგან იქმნებისო“). ზედნადების ნაცვლად „დიდი მცხრალის“ გამოსათვლელად შემოიღეს ცამეტორი („ამისთჳის დაწერეს ცამეტორი“), რომელიც გაზაფხულის საკვესთვარეობის თარიღის რიცხვით მნიშვნელობას წარმოადგენს („თუ რაჲსა სათუალავსა შინა მიუხუდების დიდი იგი მცხრალი პასექისაჲ“). 19-წლიან ციკლისათვის აღნიშნული რიცხვითი მნიშვნელობები ასორიცხვნიშნების საშუალებით და გარკვეული თანამიმდევრობით („ანბანთა სათუალავითა... წესისაებრ“) „დიდ ქორონიკონში“ ასე არის წარმოდგენილი: იგ(13), ბ(2), კბ(22), ი(10), ლ(30) და ა. შ.

ამ თანამიმდევრობის ზეპირად დასწავლის მსურველს („უკუეთუ ამისი ვისმე დასწავლაჲ გენებოს“) აბუსერისძე მიუთითებს „დიდი ქრონიკონის“ ჸ-სვეტიანი („ათნი კაპატონნი“) ცხრილის მე-5 სვეტის დასაწყისზე, რომელიც საგანგებოდ ჯვრით არის მონიშნული („მეხუთისა კაპატონისა თავსა ჯუარი დამისუამს“). მკითხველმა სწორედ აქედან უნდა დაიწყოს („მას ჩაუდეგ“) და რიცხვითი მონაცემები ზეპირად უნდა „ჩაისწავლოს“ იმ ინტერვალში, რომელიც „ცხრამეტ წელს გააწევს, გინა ცხრამეტ სტიქონამდე“. რიცხვების დასწავლასთან ერთად მკითხველმა უნდა გაიცნობიეროს ამ რიცხვების შესაბამისი თვის შერჩევის წესი: ყოველ ოცზე ნაკლები („უოცოჲ“) რიცხვითი მნიშვნელობა აპრილის, ხოლო ოცზე მეტი („ოციანი“) რიცხვი მარტის თვის შესატყვისია. ეს წესი, ავტორის ჩვენებით, იმ გარემოებით არის განპირობებული, რომ გაზაფხულის საკვესთვარეობის თარიღი 18 აპრილს არ გადასცდება („წინა არ გავალს“) და არც 21 მარტზე ადრე მოვა („მარტსა ოცდაერთსა შიგნით არ შემოვალს“), რაგინდ მცირე სიდიდის რიცხვიც რომ იყოს აღების, ე. ი. დიდმარხვის დადგომის წინა დღის თარიღი („რაოდენიცა მცირანი აღებანი იყუნენ“).

ამ წესთან დაკავშირებით (რომელიც ასევე დამახსოვრებას მოითხოვს „რაჲ ესე ზეპირ დაისწავლო“), აბუსერისძე აღნიშნავს, რომ თუ მკითხველი ცხრილის მე-5 სვეტის წინ („ამათ კაპატონთა ზემოთ“) მოყვანილი მეოთხე სვეტის დასაწყისიდანაც გაეცნობა მონაცემებს („მეოთხისა სტიქონისა დასაწყისსა... რაჲ მასცა ჩაუდგე“), სწორედ ეს სვეტი „მიაჩუენებს“ მათგან „რომელი მარ-

---

[1] „დიდ მცხრალთან“ მიმართებაში მოყვანილი განმარტება—„რომელ არს ვნებაჲ უფლისა ჩუენისა“ იმ საკმაოდ გავრცელებულ შეხედულებას გადმოგვცემს, რომლის თანახმადაც მაცხოვრის წმინდა ვნებებს ადგილი ჰქონდა გაზაფხულის საკვესთვარეობის დღეს (იხ. კლიმიშინი, გვ. 242).

ტია ანუ რომელი აპრილი“. მკითხველის მოწადინების ხელშესაწყობად („შენისა წადილისათვის“), როგორც აბუსერისძე მიუთითებს, მას მე-4 სვეტში საგანგებო ტექნიკური ნიშნებიც შეუტანია („სამნი ჩიტისთუალნი დამისხმან“). აქვე აბუსერისძე განუმარტავს მკითხველს: ცამეტორი (რომელსაც ამჯერად შესატყვისი სავსემთვარეობის განმსაზღვრელს უწოდებს—„ცამეტორი მათისა მცხრალისა საუწყებელი“) და საერთოდ, მთვარის წელიწადის სხვა მახასიათებლები („ხუთეული და ექუსეული, ზედნადები...“), „ამის მიზეზისათჳს გააწევს ცხრამეტ წელ“ რომ ნებისმიერ სავსემთვარეობას მარტ-აპრილის რა რიცხვშიც ექნება ადგილი, ყოველი ცხრამეტ-ცხრამეტი წლის შემდგომ ის ზუსტად ამავე თარიღზე მოდის („რაჲზომსაცა მარტსა შინა სცხრეს, გინა აპრილსა, მისსა მეცხრამეტესა და მეცხრამეტესა წელიწადსა, მასვე თუესა და მისვე თჳსა სათუალავსა შინა სცხრების“).

იმ შემთხვევაში თუ მკითხველს გაუძნელდება ცამეტორის რიცხვების დამახსოვრება („უკუეთუ ცამეტორისა ზეპირ დასწავლაჲ გეწჳრინებოდეს“), აბუსერიძე მას თავაზობს გაზაფხულის სავსემთვარეობის ძალზე იოლად გამოსათველ წესს, რომელიც ამოსავალ სიდიდედ წინა წლის გაზაფხულის სავსემთვარეობის თარიღს იყენებს. კერძოდ 1. თუ წინა წლის გაზაფხულის სავსემთვარეობა აპრილზე მოდის („ოდესცა აპრილსა შინა სცხრეს“), მის რიცხვით მნიშვნელობას 20 ემატება. მიღებული ჯამი რა სიდიდითაც აღემატება 31-ს, ეს დანამეტები აპრილთან მიმართებაში იძლევა გაზაფხულის სავსემთვარობის თარიღს („აპრილსა შინა სცხრების ეგზომსა...“). ხოლო თუ ჯამი 31-ზე ნაკლებია, მაშინ თვით ეს ჯამი შეადგენს საძიებელ თარიღს, მხოლოდ უკვე მარტის თვესთან მიმართებაში. 2. თუ წინა წლის სავსემთვარეობას მარტის თვეში აქვს ადგილი, მის რიცხვით მნიშვნელობას („რაოდენსაცა ამის სათუალავის მოცემითა“) უკვე ცხრამეტს უმატებენ და ჯამს ისევ 31-ით განუტევებენ („ცხრამეტსა დღესა დაურთევდი და მას განუტევებდი“). ვინაიდან გამოთვლის შემდგომი სტადიები ზუსტად თანხვდება ზემოთმოხსენიებულს, აბუსერისძე საჭიროდ არ თვლის მათ გამეორებას. მხოლოდ აღნიშნავს ზოგადი წესიდან ერთ გამონაკლის შემთხვევას, რომელიც 17 აპრილის თარიღთან არის დაკავშირებული. მომდევნო წლის სავსემთვარეობის გამოსათვლელად, მიუხედავად იმისა რომ წინა წლის თარიღი აპრილს უკავშირდება, 17-ს უნდა დაემატოს რიცხვი 19, რომელიც წესის მიხედვით ჩვეულებრივ მარტისათვის არის გათვალისწინებული („მაშინცა ცხრამეტი დღე დაათუალე მარტისაებრ“). თუმცა ამ გამონაკლისის მიზეზს ავტორი არ ასახელებს, მაგრამ ჩვენი აზრით, „გონიერად გულის ჴმამყოფელი“ მკითხველისთვის ისედაც გასაგები უნდა ყოფილიყო, რომ აქ 20-დღის ნაცვლად 19-ის გამოყენება, „მთვარის ნახტომს“ ითვალისწინებს. ტექსტის განხილული ფრაგმენტის ბოლოს აბუსერისძე კიდევ ერთხელ მხოლოდ მოკლედ იმეორებს შემოთავაზებული წესის ძირითად პრინციპებს: წინა წლის აპრილის თუ მარტის სავსემთვარეობის თარიღს შესაბამისად ემატება 20 და 19, და ჯამის 31-თან მიმართებაში მიღებული „დანამეტები“ მიმდინარე წლის აპრილის სავსემთვარეობას წარმოადგენს, ხოლო „დანაკლები“ მარტის სავსემთვარეობის რიცხვს.

თვალსაჩინოებისათვის შემოთავაზებული წესი შეიძლება თანამედროვე ფორმულებით წარმოვადგინოთ (აქ C_{n-1} და C_n შესაბამისად წინა და მიმდინარე წლების ცამეტორს აღნიშნავს):

$$C_n = \left| \frac{C_{n-1} + 20}{31} \right| \qquad (1)$$

$$C_n = \left| \frac{C_{n-1} + 19}{31} \right| \qquad (2)$$

ცამეტორის შესაბამისი თვის დასადგენად ამ ფორმულებს მიესადაგება ნაშთის „დანაკლებთან" ან „დანამეტებთან" დაკავშირებული დამატებითი პირობები: ფორმულა (1)-თვის: ა. როდესაც $(C_{n-1}+20)>31$, C_n აპრილს შეესაბამება; ბ. როდესაც $(C_{n-1}+20)<31$, C_n მარტზე მოდის. ფორმულა (2)-სთვის ყოველთვის „დანამეტები" ნაშთი მიიღება, ამიტომაც ფორმულიდან ძალაში მხოლოდ დამატებითი პირობების ერთი ვარიანტი რჩება: როდესაც $(C_{n-1}+19)>31$, C_n აპრილს შეესაბამება. ამ დამატებით პირობებთან ერთად, ცხადია, რომ ფორმულებს საგანგებო შენიშვნაც მიეწერება, რომელშიც 17 აპრილთან დაკავშირებული შესწორებაც უნდა იყოს მითითებული.

ტექსტის ზემოთ განხილული მასალა (ე. ი. „დიდი მცხრალის" ცხრილური მონაცემები და ამ მონაცემების გამოსათვლელი წესი) მექანიკურ დამახსოვრებასთან ერთად შეგნებულად ათვისებისა და შემოქმედებითად გამოყენებისათვის არის მოწოდებული. ეს აშკარად ჩანს როგორც თვით მასალის გადმოცემის ხასიათიდან, ისე მკითხველისადმი მიმართული ფრაზიდან: „რაჲ ესე ყოველივე ზეპირ დაისწავლო და კარგად მიხუდებოდე ცხრომასა მთუარისასა...". აბუსერისძე სწორედ „დიდი მცხრალის" მექანიზმში ჩაწვდომის შემდგომ თვლის მკითხველს იმდენად მომზადებულად, რომ ტექსტში უშუალოდ პასქალური გამოთვლების მთავარ პრობლემაზე—აღდგომის დღის გამოანგარიშების საკითხებზე გადადის.

ტექსტში წარმოდგენილი წესის თანახმად, ჯერ გამოითვლება გაზაფხულის სავსემთვარეობის კვირის დღე. ამ მიზნით ცხრილიდან აიღება აღნიშნული თარიღის რიცხვითი მნიშვნელობა ანუ ცამეტორი („იპყარ სათუალავი მის თვისაჲ ჰაგზომი, სადაცაღა ამა დასწავლითა მიხუდეს") და მას ემატება გაზაფხულის სავსემთვარეობის შესაბამისი თვის „დღისსაძიებელი" და წელიწადის „შჯდეული". ამ რიცხვების ჯამის („ესე სამივე რიცხჳ რაჲზომიცაღა შეიქმნას") შვიდზე გაყოფით („შჯდეულად და შჯდეულად განუტევე") მიღებული ნაშთი („რაჲცა მას დაჰმეტდეს") გაზაფხულის სავსემთვარეობის თარიღის კვირის დღეს შეესაბამება („იგი დღე არის"). კერძოდ, როდესაც ნაშთი ერთის ტოლია („ერთი დაჰმეტდეს") საძიებელი დღე კვირას შეადგენს, ორი-ორშაბათს შეესაბამება და ა. შ. 7 რიცხვამდე, რომელიც შაბათს აღნიშნავს („უკუეთუ შჯდეულსა არცა რაჲ დაჰმეტდეს და არცა რაჲ დააკლდეს, იგი შაბათი არის ცხრომისა დღე"). ზუსტად ასევე იგივე შინაარსია ჩადებული

ხარებად ანუ შვიდეულად წოდებული მახასიათებლის რიცხვით მონაცემებშიც (ეს მახასიათებელი, ისევე როგორც დღისსაძიებელი შემდგომ თავში დეტალურად არის განხილული.).

თანამედროვე სიმბოლოებით ტექსტში მოყვანილი წესი შეიძლება ფორმულის სახით წარმოვადგინოთ (აქ მახასიათებლების შემდეგი აღნიშვნები გვაქვს გამოყენებული: K-გაზაფხულის საკვირველთმოქმედოს დღესასწაულის კვირის დღე, C—ცამეტორი, a-ხარება-შვიდეული და d-დღისსაძიებელი)

$$K = \left| \frac{c + a + d}{7} \right| \qquad (3)$$

გაზაფხულის საკვირველთმოქმედოს დღესასწაული კვირის 7 დღიდან რომელზედაც არ უნდა მოვიდეს, ის არ გასცდება ბზობის კვირიდან დიდ შაბათამდე მოყოლებულ დროით ინტერვალს („ამა შჯდთა დღეთაგანსა, რომელსაცაღა მიხუდეს ბზობითგან და ვიდრე დიდ შაბათამდე და ამას შუა რომელიცაღა დღე იყოს ცხრომაჲ დიდისა პასექისაჲ ამას არ დასცილდების“).

გაზაფხულის საკვირველთმოქმედოს დღის დადგენის შემდეგ უკვე ძნელი არ არის აღდგომის დღის გამოთვლა. დადგენილი კვირის დღიდან უახლოეს კვირამდე ანუ სააღდგომო კვირამდე („აღვსებამდე“) რამდენი დღეც მორჩება ვნების შვიდეულს კვირითურთ („რაჲცა აღვსებამდე დღენი დარჩებოდნენ მის მზგეფსისანი კჯრიაჲთურთ“)[1], ის ემატება „ცხრომისავე დღესა და მისვე თჯსა სათუალავსა, რაჲზომსაცა იყოს ცხრომაჲ“ და მიღებული თვის რიცხვი აღდგომის საძიებელ თარიღს წარმოადგენს.

ტექსტის თანახმად, შეიძლება ისეც მოხდეს („ეგების ესეცა)“, რომ მარტის საკვირველთმოქმედოდან ვნების შვიდეულის გასრულება კვირამდე აპრილის დღეთა სარჯზე განხორციელდეს („მარტისა ცხრომასა შიგან კჯრიამდე აპრილისა დღენიცა შემოვიდენ, რაჲ––იგი მზგეფსი ვნებისაჲ გასრულდეს“). მაშინ აღდგომა აპრილის შესაბამის რიცხვს („ჰაგზომსა აპრილსა“) დაემთხვევა.

ტექსტის შემდგომ ნაწილში აბუსერისძე კვლავ უბრუნდება გაზაფხულის საკვირველთმოქმედოს თარიღის კვირის დღის გამოსათვლელ წესს და აღნიშნავს, რომ იმის და მიხედვით თუ რომელ თვეზე მოდის ის––მარტსა თუ აპრილში––შესაბამისად დღისსაძიებლისათვის აიღება რიცხვები 3 ან 6. აქვე მკითხველისათვის მოყვანილია დამხმარე წესი, რომელიც ძირითადი წესის კერძო შემთხვევების გამოყენებაზე არის დამკვიდრებული. ამ დამხმარე წესით სარგებლობისას თავისთავად იხსნება იმ დროისათვის საკმაოდ ძნელი და შრომატევადი „განტევების“ (ე. ი. მრავალჯერადი გამოკლების) ოპერაციის საჭიროება, რაც გამოთვლების თვალსაჩინო გაიოლებასთან ერთად გამომთვლელს

---

[1] დიდმარხვის ბოლო შვიდეული (ანუ მზგეფსი)—ვნების შვიდეული, წინა შვიდეულების მსგავსად ორშაბათით იწყება, მაგრამ მათგან განსხვავებით კვირის ნაცვლად შაბათით მთავრდება. მომდევნო დღე-კვირა, რომელზედაც აღდგომა მოდის, ამავე დროს ახალი შვიდეულის (ბრწყინვალე შვიდეულის) დასაწყისია და ამიტომაც ხმარობს აბუსერისძე გამოთქმას „დღენი... მზგეფსისანი კვრაჲთურთ“.

მათი ზეპირად ჩატარების შესაძლებლობასაც აძლევდა. განსახილველი კერძო შემთხვევებიდან პირველი დაკავშირებულია „შვიდეულად განსატევებელი“ სამი მახასიათებლის (ე. ი. ცამეტორის, შვიდეული—ხარების და დღისსაძიებლის) ისეთ ჯამთან, რომელიც შვიდზე ნაკლებ სიდიდეს წარმოადგენს („უკუეთუ ესრე მცირაჲ შეიქმნას ესე სამივე, რომე შჯდამდე ვერ გააწევდეს“). ცხადია, რომ ეს ტრივიალური შემთხვევა „შვიდეულად განტევებას“ არ საჭიროებს და ჯამი უშუალოდ გაზაფხულის საკვირაო დღის შესაბამის რიცხვს წარმოადგენს („იგი რომელიმე დღე არს“). მეორე კერძო შემთხვევა განიხილავს ისეთ ჯამს, რომლის რიცხვითი მნიშვნელობა 7-ს ან მის ჯერად რიცხვს (14, 21, 28, 35 და 42) შეადგენს. ამ შემთხვევაშიც „განტევების“ ოპერაციის ჩაუტარებლად ეს რიცხვები გაზაფხულის საკვირაო დღისათვის ავტომატურად შაბათს აჩვენებენ („ესე ყოველი შაბათი არს“). სწორედ ამ რიცხვებისათვის „საყრდენი“ რიცხვების ფუნქციების დაკისრებით, აბუსერისძე, მკითხველს სთავაზობს დამხმარე წესის განზოგადოებულ ვარიანტს. ვინაიდან სამი მახასიათებლის ნებისმიერი ჯამური რიცხვი შაბათის შესატყვისი „საყრდენი“ რიცხვების გარკვეულ ინტერვალში ხვდება (ან იშვიათად ბოლო „საყრდენ“ რიცხვს 42-ს მცირედ აღემატება), გაზაფხულის საკვირაო დღის დასადგენად საკმარისია მკითხველმა კვირის დღეები მოცემული ინტერვალის ერთ-ერთი „საყრდენი“ რიცხვიდან გადაითვალოს („უკუეთუ შჯიდი შეიქმნეს... გინა ათოთხმეტი... ანუ ორმეოცდაორი, ესე ყოველი შაბათი არს და ამას შუა რომელსაცა ანუ წალმართ რაჲზომიცა დაჰმეტდეს ანუ დააკლდეს, იგი დღე არს გინა ერთი, გინა ორი ვიდრე შჯდამდე“).

შემდეგ ტექსტში განხილულია კვირის დღის გამოსათვლელი წესი სხვადასხვა საეკლესიო თარიღებისათვის (საეკლესიო დღესასწაულებისათვის, საუფლო ან წმინდანთა ხსენების დღეებისათვის), რომელიც გაზაფხულის საკვირაო დღის გამოსათვლელი კერძო წესის განზოგადებულ სახეს წარმოადგენს. ამ შემთხვევაშიც ამოსავალ მონაცემებად სამი მახასიათებელი არის აღებული: საძიებელი თარიღის რიცხვითი მნიშვნელობა (ცამეტორის ნაცვლად), დღისსაძიებელი და წელიწადის შვიდეული („რომლისაცა თჯსა სათუალავსა მიხუდებოდეს, ესრევე დღისსაძიებელი დაურთე მის თჯსაჲ და შჯდეული მის წლისაჲ“). ზუსტად ისევე, როგორც გაზაფხულის საკვირაო დღისათვის („ვითა დიდისა მცხრალისათჯს დამიწერია“), აქაც გათვალისწინებულია ჯამის „შვიდეულად განტევება“, რის შედეგადაც მიღებული ნაშთი მოცემული თარიღის საძიებელ კვირის დღეს იძლევა („იგი დანამეტები არს ანუ დანაკლები იგი დღე“).

ზოგად წესთან დაკავშირებით აბუსერისძე სავსებით საკმარისად მიიჩნევს კერძო წესის დამახსოვრებას, რომელიც სამი მახასიათებლის უკვე ახალ კომბინაციასთან მიმართებაში მკითხველს საშუალებას აძლევს გამოითვალოს ნებისმიერი თარიღის კვირის დღე („რაჲ დიდისა მცხრალისათჲს გაიზეპირო დღისა პოვნაჲ, მერმე ამითვე სამითა სათუალავითა, რომლისაცა დღესასწაულისაჲ გინდეს, საუფლოჲსაჲ გინა წმიდისაჲ, იგი დღეს არს, რომელსაცა ეძიებდე შჯდათვე დღეთაგანსა“).

ზოგადი წესიც, კერძოს მსგავსად, მათემატიკური სიმბოლოების საშუალებით შეიძლება შემდგომი ფორმულის სახით წარმოვადგინოთ (აქ K-ნებისმიერი თარიღის კვირის დღეს აღნიშნავს, n-ამ თარიღის რიცხვით მნიშვნელობას):

$$K = \left| \frac{n + a + d}{7} \right| \qquad (4)$$

შემდეგ ავტორი აღნიშნავს, რომ, ვინაიდან „იანვარსა და ოკდონბერსა დღისსაძიებელი არა აქუს“ (რაც თანამედროვე გაგებით ნიშნავს, რომ დღისსაძიებლის კოეფიციენტი ნულის ტოლია), თვის თარიღს მხოლოდ ხარებაშვიდეული უნდა დაემატოს („დღესასწაულსა ზედა შჯდეულსა დაურთევდი მის წელიწადისასა“). ასე რომ, ამ ორი მახასიათებლის რიცხვითი მონაცემი („ამა თუეთა შინა ესე ორი რიცხჯ“) სავსებით საკმარისია („კმა არს“) საძიებელი კვირის დღის გამოსათვლელად. რაც შეეხება მიზეზს, თუ რატომ „არა აქუს დღისსაძიებელი“ იანვრისა და ოქტომბრის თვეს, ამ საკითხთან დაკავშირებით აბუსერისძე მკითხველს იმ შემდგომი თავების მისამართით აგზავნის, რომლებშიც დაწვრილებით არს განხილული საერთოდ დღისსაძიებელი და კერძოდ, აღნიშნული მიზეზიც.

„დიდისა მცხრალისათჯს“ (4). ეს თავი წინა თავის დამატებას წარმოადგენს (რაც სათაურიდანაც ჩანს), რომელშიც აბუსერისძე გაზაფხულის სავსემთვარეობის კვირის დღის გამოსათვლელად მკითხველს მეორე, გამარტივებულ წესს თავაზობს.

თავის შესავალში საგანგებოდ აღნიშნულია რომ თუ ჩვეულებრივ სავსე მთვარის ფაზის ცხრომა ბუნებაში მთვარის ასაკის მე-15 დღე-ღამის დღის ან ღამის გარკვეული მომენტიდან იწყება („ჟამთა რაოდენთამე შემოიგდებს საცხრომელად, ანუ დღისათა და ანუ ღამისათა“), გაზაფხულის პასქალური სავსემთვარეობისათვის ცხრომის დასაწყისს ადგილი აქვს მთვარის ასაკის მე-17 დღეს. პასქალურ-კალენდარულ პრაქტიკაში მართლაც არ არსებობდა ერთიანი აზრი ამ გამოთვლითი სიდიდის რიცხვით მნიშვნელობასთან დაკავშირებით და მისი ასაკიც სხვადასხვა მონაცემებით 14-დან 17-მდე დღის ფარგლებში მერყეობდა.[1] აბუსერისძეს როგორც ეტყობა, ხელთ ჰქონდა „მუდმივი საეკლესიო კალენდრის“ რომელიღაც ვარიანტი, რომელშიც გაზაფხულის პასქალური სავსემთვარეობის ასაკი 17 დღეს შეადგენდა (ძველი მუდმივი საეკლესიო კალენდრებიდან, 17-დღიანი პასქალური სავსე მთვარე გამოიყენებოდა, მაგალითად, ერთ-ერთ რომაულ კალენდარში, რომელიც მოყვანილია ანანია შირაკაცის (VIIს) კალენდარულ თხზულებაში[2]).

მუდმივ საეკლესიო კალენდარში პასქალური სავსემთვარეობის თარიღები ყოველთვის არ თანხვდებოდნენ ერთმანეთს, მაშინ როდესაც პასქალური სავსემთვარეობისთვის ყველა შემთხვევაში სრულ თანხვდენას ჰქონდა ადგილი.

---

[1] Е. Предтеченский Церковное время исчисление. СПб 1892, გვ. 33.

[2] ანანია შირაკაცი. რჩეული თხზულებები. ერევანი, 1979, გვ. 137-139 (სომხურ ენაზე).

ამის გამო პასქალური სავსე მთვარის ასაკიც შეიძლება ყოფილიყო როგორც 14, ისე 15, 16 და 17 დღიანიც კი. აბუსერისძის დროინდელი საეკლესიო პრაქტიკაში უკვე კარგა ხანია რაც მივიწყებული იყო „მუდმივი კალენდრების“ გაანგარიშებითი სიდიდეების პირობითობა. ამიტომაც არის, რომ ფაქტის კონსტანტირებისას ავტორი მხოლოდ უფლის განგებასთან დაკავშირებული ფრაზით შემოიფარგლება („მიუწდომელობითა ღმრთისადთა“). მაგრამ თავისთავად ძალზე საყურადღებოა, რომ მას შეუმჩნეველი არ დარჩენია ის შეუსაბამობა, რომელსაც ასტრონომიული და გამოთვლითი მონაცემების სხვადასხვაობა იძლევა.

გაზაფხულის საგსემთვარეობის კვირის დღის გამოსათვლელი მეორე წესი წელიწადის შვიდეული-ხარების გამოყენებას ითვალისწინებს, მხოლოდ უკვე არა სამი მახასიათებლის ჯამის შემადგენლობაში, არამედ ცალკე დამოუკიდებელი ამოსავალი მონაცემების სახით. ხარების კვირის დღე, როგორც 25 მარტის კვირის დღე ამავე დროს 1, 8 და 15 აპრილის კვირის დღეებსაც თანხვდება და მათი „საყრდენ“ რიცხვებად გამოყენების საფუძველზე ადვილად შეიძლება მარტ-აპრილის თვეში მოსული საგსემთვარეობის კვირის დღის დადგენა. კერძოდ, თუ „დიდი მცხრალის“ რიცხვითი მნიშვნელობა (ე. ი. ცაბეტორი) ამ რომელიმე თარიღს თანხვდება (8 აპრილის გარდა, რომელზედაც გაზაფხულის საგსემთვარეობა, როგორც ცნობილია, საერთოდ არ მოდის), მაშინ, ცხადია, რომ საძიებელი კვირის დღე ხარების კვირის დღე იქნება („ამათ რომელთაცა შინა სცხრეს, იგი დღე არს“). თუ გაზაფხულის საგსემთვარეობა ამ „საყრდენ“ რიცხვებს შორის მოთავსებულ თარიღზე მოდის („თუ შუა სადმე სცხრეს“), მაშინ საძიებელი კვირის დღე მოსაზღვრე „საყრდენი“ რიცხვებიდან ამ თარიღამდე კვირის დღეების გადათვლით მიიღება („ესე ცოდინი მასცა თანა დაგწურავს და გაპოვნინებს“). „ხარების წინაჲს ოდესცა სცხრეს... ვინაიდან მცირანი დღენი დარჩებიან“, მკითხველს არ გაუჭირდება ხარების კვირის დღიდან უკუგადათვლით სასურველი შედეგის მიღება.

შემდეგ აბუსერისძე მკითხველის ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ „საყრდენი“ რიცხვების სისტემა შეიძლება წლის ნებისმიერ თვეზეც გავრცელდეს უკვე სრული, ე. ი. 1, 8, 15, 22 და 29 რიცხვების მიმდევრობის სახით („ყოველნი დღენი ყოველთა თუეთანი ამითცა შეიგებიან: რომელსაცა დღესა თუუ დადგეს, რომელიცაღა რვაჲ... და ოცდაცხრაჲ, იგივე დღე არს“). ამ შემთხვევაშიც „საყრდენი“ რიცხვების „შუა და წაღმართ“ მოხვედრილი თარიღის კვირის დღესთან მკითხველს აღნიშნული სისტემა მიიყვანს („ესე სათუალავნი მასცა თანა დაგწურვენ“). აქვე „საყრდენი“ რიცხვების სისტემასთან დაკავშირებით („ამის ჯერისათჳს“) აბუსერისძე გონიერ მკითხველს მოუწოდებს, რომ მან თვითონვე გაიცნობიეროს აღნიშნული სისტემის მნიშვნელობა („თჳთცა რაჲმე გულისჴმა-ყავ“) და გამოიყენოს ის ნებისმიერი თარიღის კვირის დღის ანგარიშებში („ჰაგრე პოე მის წმიდისა დღესასწაული“).

„მარხვისა დაყენებისათჳს“ (5). პასქალურ გამოთვლებში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა აღდგომასთან უშუალოდ დაკავშირებული მოძრავი მარხვების

თარიღის დადგენას („მარხვის დაყენებას“). ვინაიდან მათი აღდგომიდან დაშორების დროითი ინტერვალი ყოველთვის მუდმივ სიდიდეს შეადგენს, თითოეული მოძრავი მარხვის გამოსათვლელი წესიც ამოსავალ მონაცემებად აღდგომის თარიღს იყენებს.

მოცემულ თავში თავდაპირველი განხილვის ობიექტს ხორცის აკრების კვირიაკე შეადგენს, ე.ი. ერთ-ერთი იმ ეგრეთწოდებული მოსამზადებელი კვირიაკეებიდან, რომლებიც ჩვეულებრივ წინ უძღვიან მთავარ საეკლესიო მარხვას. ამ კვირიაკეს თარიღის გამოსათვლელად აბუსერისძეს მოჰყავს ძალზე მარტივი და ადვილად დასამახსოვრებელი წესი: საკმარისია აღდგომის თარიღს დაემატოს რიცხვი 3 (ნაკიან წელიწადს—4) და „რაჲზომიცა შეიქმნას“, იმის და მიხედვით თუ აღდგომა რომელ თვეში, მარტსა თუ აპრილში მოდის, შესაბამისად იანვრის და თებერვლის „პაგზომი“ იძლევა საძიებელ თარიღს.

თანამედროვე სიმბოლოებით ეს წესი ჩვეულებრივი და ნაკიანი წლებისათვის შეიძლება შემდეგი ფორმულების სახით წარმოვადგინეთ (აქ P-აღდგომის, ხოლო x-ს ხორცის აკრების კვირიაკეს თარიღებს შეესაბამება):

$$x=P+3 \quad (5) \quad \text{და} \quad x=P+4 \quad (5^1)$$

დიდმარხვის საწყისი თარიღის ანუ „პირმარხვის“[1] გამოსათვლელად ანალოგიური პრინციპია გამოყენებული, მხოლოდ ამჯერად აღდგომის თარიღს რიცხვი 11 (ნაკიან წელიწადს 12) ემატება და ჯამის გარკვეული ზღვრული მნიშვნელობის გადაჭარბებისას დამატებითი ოპერაციის ჩატარება არის გათვალისწინებული. კერძოდ, იანვრის თვისათვის („იანვარისა პყრობასა“) 11 (12)-ის დამატებით ჯამი თუ 31-ს აღემატება („თუ რადმე ოდესმე ოცდათერთმეტსა დაჰმეტდეს“). მისი 31-ით „განტევების“ შედეგად მიღებული ნაშთის რიცხვითი სიდიდე უკვე თებერვლის დიდ-მარხვის საწყის თარიღს განეკუთვნება („იგი დანამეტები რაჲცა შეიქმნას, ჰაგზომსა ფებერვალსა დადგების პირმარხვაჲ“). თებერვლის თვისათვის (ე. ი. როდესაც აღდგომა აპრილის თვეზე მოდის) ჯამი თუ 28 (29)-ს აღემატება, ამ რიცხვს „რაჲცა დაჰმეტდეს, ჰაგზომისა მარტსა“ განეკუთვნება დიდ-მარხვის საწყისის თარიღი. თუ ჯამი 28 (29) რიცხვზე ნაკლებია ან ტოლი („თუ არაჲ დაჰმეტდეს ოცდარვასა ანუ ოცდაცხრასა“), მაშინ მისი მნიშვნელობა პირმარხვის თებერვლისავე თარიღს შეესაბამება.

დიდმარხვის საწყისი თარიღის ზემოთ გადმოცემული წესი შეიძლება შემდგომი ფორმულებით წარმოვადგინოთ

$$y=\left|\frac{P+11}{31}\right| \quad (6) \quad \text{და} \quad y=\left|\frac{P+12}{31}\right| \quad (6')$$

$$y=\left|\frac{P+11}{28}\right| \quad (7) \quad \text{და} \quad y=\left|\frac{P+12}{29}\right| \quad (7')$$

აქვე მხვედველობაში არის მისაღები დამატებითი პირობები, რომლებიც ამ

[1] „პირმარხვა“—კომპოზიტი, რომელშიც „პირი“ დასაწყისის მნიშვნელობით არის მოყვანილი. „პირმარხვა“, როგორც დიდმარხვის დასაწყისი მოხსენებულია „ქართლის ცხოვრებაში“ (იხ. „ქართლის ცხოვრება“, ტ. 1, 1955 წ., გვ. 379, 449).

ფორმულების სრულყოფილ გამოყენებას უზრუნველყოფენ: 1. ფორმულებისათვის (6) და (6¹): ვინაიდან აღდგომის მარტში დადგომისას ყოველთვის ძალაში რჩება უტოლობა (P+11)>31, y-იც ყოველთვის თებერვლის თვისთვის აითვლება. 2. ფორმულირებისათვის (7) და (7¹): თუ (P+11)≤28 და (P+12)≤29, y მარტის თვეს შეესაბამება, ხოლო თუ (P+11)>28 და (P+12)>29, მაშინ y თებერვლის თვისათვის აითვლება.

აქვე აბუსერისძე ერთ-ერთი კერძო შემთხვევისათვის მკითხველს თავაზობს დიდმარხვის თარიღის გამოსათვლელ კიდევ უფრო მარტივ წესს. მარტის რა რიცხვზედაც არ უნდა მოვიდეს აღდგომა, ის 22 რიცხვზე ნაკლები ვერ იქნება („რაჲზომსაცა მარტსა აღვსებაჲ მიხუდეს, ოცდაორსა შიგნით არღეს მიხუდების“). აღდგომის ამ უკიდურესი თარიღის შესაბამისი დიდმარხვის დასაწყისი კი 2 თებერვალზე (ნაკიან წელიწადში 3 თებერვალზე) მოდის („ორსა ფებერვალსა მარხვაჲ დადგების და ნაკიანად სამსა“). ამ თარიღების ურთიერთშედარების საფუძველზე აბუსერიძე დაასკვნის, რომ აღდგომის მარტისეული თარიღის ერთეულების თანრიგი რა რიცხვსაც შეადგენს, ზუსტად ამ რიცხვით დაიწყება თებერვლის თვეში შესაბამისი დიდ-მარხვა („და ოცდარაჲზომსაცა მარტსა აღვსებაჲ იყოს, უოცოდ ჰაგზომსა ფებერვალსა დადგების მარხვაჲ, და თუ ნაკი ჰქონდეს, ერთსა დღესა სხუასა დაათუალეჳდი“). მარტის თვის აღდგომის მიმართ ამ კერძო წესის გამოყენებით („თუ ამას იქმ მარტსა შინა აღვსებისათჳს“) გამომთვლელს აღარ დასჭირდება იანვრის, როგორც შუალედური თვით მანიპულირება („იანვარისა პყრობაჲ არღარა დაგემართების“), რაც „განტევების“ ოპერაციის ჩატარებასა და თებერვლის თვეზე გადასვლასთან არის დაკავშირებული. ეს კერძო წესიც ჩვეულებრივი და ნაკიანი წლებისათვის შეიძლება შემდეგი ფორმულებით გამოისახოს:

y=P−20 (8) და y= P−19 (8¹)

საინტერესო წესი მოჰყვავს აბუსერისძეს მოციქულთა მარხვასთან დაკავშირებით. ამ მარხვის დასაწყისი მოძრავია და აღდგომაზეა დამოკიდებული (მარხვა იწყება აღდგომიდან 8 კვირით ანუ 56 დღით დაშორებული ყოვლად წმიდათა კვირიაკის მომდევნო ორშაბათ დღეს), ხოლო დასასრული „უძრავი“, ვინაიდან ის ყოველთვის 28 ივნისს, პეტრე-პავლეს დღესასწაულის (ე. ი. 29 ივნისის) წინა დღეს მთავრდება. ამის გამო მარხვის ხანგრძლივობა ცვალებადია და აბუსერისძეს სწორედ ამ ხანგრძლივობის გამოსთვლელი წესი აქვს წარმოდგენილი. ამ წესის ამოსავალ მონაცემად აღებულია აღდგომის ის თარიღი, რომელიც 1 აპრილს თანხვდება. ამ შემთხვევისათვის მარხვის ხანგრძლივობა 32 დღეს შეადგენს („ოდესცა აპრილსა ერთსა აღვსებაჲ მიხუდეს, ოცდათორმეტი დღე იქნების მაშინ“). აქ თუმცა არ არის მითითებული თუ საიდან გაჩნდა ეს 32 დღე, მაგრამ მკითხველს ადვილად შეეძლო დაედგინა, რომ 1 აპრილიდან 8 კვირის ანუ 56 დღის გადათვლისას ყოვლად წმიდათა კვირიაკე 27 მაისზე მოდის, მარხვის საწყისი ორშაბათი——28 მაისზე და, მაშასადამე, 28 მაისი——28 ივნისის ინტერვალი სწორედ 32 დღეს შეიცავს.

პირველი აპრილის საყრდენ თარიღად შერჩევის შემდეგ ადვილად გაითვლება აღდგომის სხვა თარიღების შესაბამისი მარხვების ხანგრძლივობა.

კერძოდ, თუ აღდგომა აპრილის პირველის შემდგომ რიცხვებზე მოდის („თუ მას წალმა მიხუდეს"), რამდენ დღესაც შეიცავს ეს თარიღი აღდგომის დღის გამოკლებით („რაოდენიცა დღე აპრილისაჲ იმარხო"—ე.ი. დიდმარხვის რამდენი დღეც მოდის აპრილში), იმდენი დღე უნდა გამოაკლდეს 32-ს, რის შედეგადაც მიღებული სხვაობის რიცხვი მოციქულთა მარხვის საძიებელ ხანგრძლივობას დააფიქსირებს. თუ აღდგომა მარტის თვეზე მოდის, რამდენი დღეც აითვლება შესაბამისი თარიღიდან თვის ბოლომდე („რაჲზომიცა დღე მარტისაჲ სჭამო აღვსებითურთ"—ე.ი. რამდენი ხსნილი დღეც არის აღდგომის დღიდან დაწყებული მარტის დასასრულამდე) იმდენი დღე უნდა დაემატოს 32-ს და ჯამის რიცხვი მარხვის ხანგრძლივობას მოგვცემს.

სიტყვიერად გადმოცემული ეს წესი თანამედროვე სიმბოლოებით შემდეგი ფორმულების სახით შეიძლება იქნეს წარმოდგენილი (აქ მარხვის საძიებელი ხანგრძლივობა ასო F-ით არის აღნიშნული):

$$F=32+[31-(P-1)] \quad (9)$$

$$F=32-(P-1) \quad (10)$$

ფორმულა (9) გამოიყენება, როდესაც აღდგომა მარტის თვეზე მოდის, ხოლო ფორმულა (10), როდესაც აღდგომას აპრილის თვეში აქვს ადგილი.

განვიხილოთ შემოთავაზებული წესების არითმეტიკული საფუძველი. უფრო მეტი თვალსაჩინოებისათვის უშუალოდ სიტყვიერი წესების ნაცვლად თანამედროვე სიმბოლოებით გამოყვანილ მათ ფორმულებს შევეხებით.

ფორმულები (5) და (5¹): აქ ამოსავალ მონაცემებს წარმოადგენს დროითი ინტერვალი, რომელიც ხორცის აკრების კვირიაკედან აღდგომის დღემდე ფიქსირდება და რიცხობრივად 56 დღეს ანუ 8 კვირას შეადგენს. როდესაც აღდგომა მარტის თვეში მოდის, მაშინ მისგან 56 დღის უკუგადათვლით, ხორცის აკრების კვირიაკე იანვრის ფარგლებში იქნება და 56 დღე 3 თვეზე (ე. ი. იანვარზე, თებერვალზე და მარტზე) შემდეგნაირად გადანაწილდება: მარტის თვიდან აიღება აღდგომის თარიღის (P) შესაბამისი დღეთა რაოდენობა, თებერვალზე თვის სრული 28 (ნაკიან წელს 29) დღე მოვა, ხოლო რაც შეეხება იანვარზე გადანაწილებულ დღეთა რიცხვს, ის ხორცის აკრების კვირიაკედან თვის ბოლომდე გადათვლილი დღეთა რიცხვის (ე.ი. (31-x)-ის) ტოლი იქნება, ამ მონაცემების საფუძველზე მიიღება შემდეგი სახის ამოსავალი ტოლობა:

$$P+28+(31-x)=56$$

სწორედ ამ ტოლობის მარტივი გარდაქმნა გვაძლევს ტოლობას x=P+3, რომელიც ფორმულა (5)-ს შეესაბამება. თუ ამოსავალ ტოლობაში 28-ის ნაცვლად 29-ს ჩავსვამთ, მაშინ ნაკიანი წლის შესაბამისი ფორმულა (5¹) მიიღება.

როდესაც აღდგომა აპრილის თვეს თანხვდება, მაშინ 56 დღე თებერვალზე, მარტზე და აპრილზე მოდის და ამოსავალ ტოლობას შემდეგი სახე აქვს:

$$P+31+(28-x)=56$$

ნაკიანი წლისათვის 28-ის ნაცვლად 29 ჩაისმება და ამ ორი ტოლობის მარტივი გარდაქმნებით ისევ (5) და (5¹) ფორმულებს მივიღებთ.

ფორმულები (6), (6¹), (7) და (7¹): ამოსავალი ტოლობებისათვის ამ შემთხვევაში 56-ის ნაცვლად რიცხვი 48 აიღება (დიდ-მარხვის დასაწყისიდან აღდგო-

ის დღემდე დროითი ინტერვალი 48 დღეს ანუ 6 კვირასა და 6 დღეს შეადგენს). ასე რომ, იმის და მიხედვით რომელ თვეზე, მარტში თუ აპრილში მოდის აღდგომა, შესაბამისი ამოსავალი ტოლობები ჩვეულებრივი წლისათვის იქნება: P+28+(31-y)=48 და P+31+(28-y) =48 (ნაკიანი წლისათვის ორიეში 28-ის ნაცვლად 29 რიცხვი იწერება). ამ ტოლობის მარტივი გარდაქმნით მიიღება ერთი და იგივე მარტივი ტოლობა y=P+11 (ნაკიანი წლისათვის y=P+12); ვინაიდან ეს ჯამი შეიძლება თვის რიცხვზე მეტი აღმოჩნდეს (ე.ი. იანვრისათვის 31-ზე, ხოლო თებერვლისათვის 28-ზე და ნაკიანი წლის შემთხვევისათვის 29-ზეც), „განტევების“ოპერაციის მაჩვენებელი სიმბოლოკის შემოტანის შემდგომ ეს ტოლობები საბოლოო სახით (6),(6'), (7) და (7') ფორმულებს გვაძლევენ.

ფორმულები (8) და (8'): ეს კერძო ფორმულები უშუალოდ გამომდინარეობენ (6) და (6') ფორმულებიდან. ფორმულა (6), ე. ი. $y = \left|\frac{P+11}{31}\right|$ შეიძლება ასეთი სახითაც წარმოვადგინოთ: y=(P+11)-31 რაც მუდმივი რიცხვების ერთ რიცხვად წარმოდგენის შემდგომ გვაძლევს ფორმულა (8)-ს: y=P–20 ცხადია, რომ ანალოგიური გზით მიიღება ფორმულა (8')-იც.

ფორმულები (9) და (10): ისევე როგორც აბუსერისძე ჯერ განვიხილავთ იმ შემთხვევას, როდესაც აღდგომა აპრილის თვეში მოდის. ამოსავალ მონაცემებად აქ აიღება დროითი ინტერვალი 1 აპრილიდან 29 ივნისამდე, რომელიც კონკრეტულად 89 დღეს შეადგენს და მოციქულთა მარხვის დასაწყისი, რომელიც აღდგომიდან 8 კვირის ანუ 56 დღის შემდგომ დღეზე მოდის. მაშასადამე, სამ თვეზე (აპრილზე, მაისზე და ივნისზე 28 რიცხვის ჩათვლით) გადანაწილებულ 89 დღეს შეადგენს: აღდგომის თარიღის ტოლი დღეთა რიცხვი, 56 დღე და მოციქულთა მარხვაზე მოსული დღეთა რიცხვი (F). შესაბამისად, ამოსავალი ტოლობა იქნება: P+56+F=89, რომლის მარტივი გარდაქმნების შედეგად მიიღება ფორმულა (10).

როდესაც აღდგომა მარტის თვეზე მოდის, უკიდურესი თარიღიდან, ე.ი. 22 მარტიდან გადათვლილი დროითი ინტერვალი უკვე 99 დღეს შეადგენს, ხოლო ამავე 22 მარტიდან აღდგომის თარიღის ჩათვლით ფიქსირებული დღეთა რაოდენობა (P–21) რიცხვის ტოლი იქნება. აქედან გამომდინარე, ამოსავალ ტოლობას შემდეგი სახე ექნება: (P–21)+56=99. შემდგომი მარტივი გარდაქმნებით კი მიიღება საწყისი ფორმულა (9).

„უწყებად დღისსაძიებელთათჳს, თუ რაჲსა მიზეზისაგან შეიქმნებიან“ (6). წინა თავებში აბუსერისძეს დღისსაძიებლის ანუ თვის კოეფიციენტის ცნება ყოველგვარი განმარტების გარეშე შემოაქვს როგორც ერთ-ერთი დამხმარე პასქალურ-კალენდარული მახასიათებელი, რომლის საშუალებითაც გამოითვლება გაზაფხულის სავსემთვარეობის და საერთოდ ნებისმიერი დღის კვირის დღე. დასახული მიზნიდან გამომდინარე ასეთი მიდგომა სავსებით გასაგებია. მკითხველის ყურადღების კონცენტრირება მაშინ საჭირო იყო თავის ძირითადი საკითხის მიმართ და ზედმეტი დეტალიზაციით ტექსტის გადატვირთვას

შეიძლება სასურველი შედეგი არ მოეტანა. ამჯერად ის კვლავ უბრუნდება ამ მახასიათებელს, მაგრამ არა უტილიტარული, არამედ წმინდა თეორიული თვალსაზრისით, რაც მიზნად ისახავს მკითხველის გაცნობიერებას დღისსაძიებლის შინაარსსა და დანიშნულებაში.

თავი იწყება ძალზე საყურადღებო წინადადებებით: „დაღაცათუ დასაბამად წელიწდისად დადგომაჲ სეკდენბერისაჲ დადებულ არს, გარნა ესევითარისა სათუალავისა და გამოძიებისათჳს და ამის ყოვლისათჳის რომლისა წერასა შინა ვარ, იანვარისა დაწყებაჲ დადებულ არს წელიწდისა დასაბამად“. ჩვენ ზემოთაც აღვნიშნეთ და ახლა ამ წინადადებიდან გამომდინარე კიდევ უფრო დაბეჯითებით უნდა გავიმეოროთ, რომ აბუსერისძის თხზულებაში იანვრის სტილთან გვაქვს საქმე. ფრაზა „ყოვლისათჳს რომლისა წერასა შინა ვარ“ უკვე აძომწურავ და საბოლოო პასუხს იძლევა ქართული საეკლესიო წელიწადის დასაწყისთან დაკავშირებით.

ამ დასაწყისის აღნიშვნის შემდეგ შესაბამისი თანამიმდევრობით და თვის დღეთა რაოდენობის მითითებით ჩამოთვლილია წელიწადის 12 თვე. აქ აბუსერისძე მკითხველს ამცნობს, რომ თვეთა ამ გადანაწილებაზე არის დამოკიდებული დღის ხანგრძლივობის სეზონური ცვლილებები („ამას ჰკიდავს გადიღებაჲ დღეთაჲ საზამთროდ და საზაფხულოდ“) და საეკლესიო დღესასწაულები, იმ დღესასწაულებს გარდა, რომელიც აღდგომას უკავშირდებიან („ამას ზედა ჰკიდავს საჴსენებელი ყოველთა წმიდათაჲ და საუფლოთა დღესასწაულთაჲ, თჳნიერ მისსა, რომელნი დიდსა აღსებასა შეუდგენ“).

თვეების ჩამოთვლა მათი შემცველი დღეთა რაოდენობის მითითებით სავსებით გარკვეულ მიზანს ემსახურება. დღისსაძიებლის არსში მკითხველი რომ ადვილად ჩაწვდეს, აბუსერისძე მას პრაქტიკულად უჩვენებს თუ როგორ გამოითვლება სწორედ ამ მონაცემების საშუალებით თითოეული თვის დღისსაძიებლის რიცხვითი მნიშვნელობა.

ეს ნაწილი ტექსტში იწყება ლაკონური ფრაზით: „ესე არს დღისსაძიებელი ყოველთა თუეთაჲ“, რასაც მოჰყვება აღნიშნული გამოთვლები. პირველი თვის იანვრის დღეთა რაოდენობის „შვიდეულად განტევების“ შედეგად მიღებული ნაშთი („დანამეტები“) თებერვლის თვის დღისსაძიებლის რიცხვით სიდიდეს იძლევა (თვით იანვრის დღისსაძიებელი ნულის ტოლად არის მიღებული და ამიტომაც „შვიდეულად განსატევებლად“ მხოლოდ თვის დღეთა რაოდენობა აიღება „თჳნიერ დღისსაძიებელისაჲ“). თავის მხრივ თებერვლის დღეთა რაოდენობა დღისსაძიებლის მიღებულ სიდიდესთან ერთად „შვიდეულად განტევებისას,“ შემდგომი მარტის თვის დღისსაძიებლის სიდიდეს იძლევა („ფებერვალი განუტევე მისითა დღისსაძიებლითურთ შჳდეულად და იგი არს მარტისაჲ“). ამ ორი თვის მაგალითის შემდგომ, როდესაც გამოთვლის წესი უკვე სავსებით გამოკვეთილი ჩანს, აბუსერისძე ზედმეტად თვლის დანარჩენ თვეებზე კონკრეტულად შეჩერებას („არღარა სიტყუათა ვაგრძელებ“) და მათთვის ერთად იძლევა სამოქმედო ოპერაციების სქემას. ამ სქემით („ამ სათუალავითა“) რომელი თვის დღისსაძიებელიც გამოითვლება („ვითალაცა დღისსაძიებელსა შე-

იგებდე"), ამავე თვის შემცველი დღის რაოდენობასთან ერთად ის „შჯდეულად განტევდება" („მას თუესა მისითა დღისსაძიებლითურთ განუტევებდი შჯდეულად"). ამ ოპერაციის შედეგად მიღებული ნაშთი („რაჲცა დაჰმეტდეს") შემდგომი თვის დღისსაძიებლის სიდიდე იქნება („მისი დღისსაძიებელი იქნების, რომელსაცა თუესა ზედა მიაყენებდე"). აქვე აბუსერისძე ხაზს უსვამს, რომ ნებისმიერი განხილული („გარდასრული") თვე, რომლის მონაცემებიც აღნიშნული ფორმით იქნება „განტევებული", შვიდეულისგან განტევებით მიღებულ ნაშთს მის შემდგომ თვეს „მისცემს დღისსაძიებლად" („გარდასრული თუე ესე კალიბად განტევებული, რასაცა შჯდეულისაგან დაიმეტებს, მისსა შემდგომსა თუესა მისცემს დღისსაძიებლად").

ამ წესის თანახმად „შვიდეულად განტევებული" სექტემბრის დღეთა რაოდენობისა და დღისსაძიებლის ჯამი, ოქტომბრისათვის 7 რიცხვს იძლევა („ოკდონბერისათჯის შჯდსა დაიმეტებს"). შვიდი ამ შემთხვევაში ნულის ჯერადია, რაც უფლებას აძლევს აბუსერისძეს განაცხადოს, რომ ოქტომბერს დღისსაძიებელი „არა აქუს". აქვე აბუსერისძე ასრულებს დაპირებას, რომელიც მან მკითხველს მე-4 თავის ბოლოში მისცა და განმარტავს თუ რა მიზეზით „არა აქუს" ოქტომბერს დღისსაძიებელი: „და ამისთჯს არა აქუს ოკდონბერსა დღისსაძიებელი, რომე მისთჯის დანარჩომი შჯდეულისავე თანა განსატევებელი არს იანვარისა დაწყებითგან გარდასრულთა თუეთა თანა". ე.ი. ოქტომბერს იმიტომ „არა აქუს" დღისსაძიებელი, რომ „მისთვის დანარჩომი" ანუ იანვრიდან და მასთან ერთად ოქტომბრამდე გასულ თვეთა („იანვრისა დაწყებითგან გარდასრულთა თუეთა თანა") დღეების ჯამი შვიდეულად სრულ „განტევებას" ექვემდებარება („შვდეულსავე თანა განსატევებელი არს"). მართლაც ეს ჯამი 273-ს შეადგენს, რომელიც 7-ის ჯერადია (7×39) და მაშასადამე განტევებისას ნაშთში 0(≡7)-ს იძლევა.

ოქტომბრის შემდეგ „დანამეტების" ესტაფეტური გადაცემა ნაჩვენებია მომდევნო ნოემბრის და დეკემბრის თვეებისათვის. აქვე საყურადღებოა შენიშვნა, რომელსაც აბუსერისძე ურთავს ოქტომბრიდან ნოემბერზე გადასვლის ეტაპს: „და ოკდომბერი განუტევე თჯნიერ დღისსაძიებლისა შჯდეულად. და თუ შენ გენებოს, დღისსაძიებელიც მიეც იგი. შჯდი დღე სეკდემბერსა მომეტებული". ე. ი. მკითხველს თავისი ნებით შეუძლია ნოემბრისთვის განსატევებელ ჯამში ოქტომბრის დღისსაძიებელი შეიტანოს 7-ის სახით, ან განსატევებელი სიდიდე საერთოდ მხოლოდ ერთი შემადგენლით––ოქტომბრის დღეთა რიცხვით წარმოადგინოს, „თჯნიერ დღისსაძიებლისა". აქ, როგორც ვხედავთ, ცხადად არის წარმოჩენილი ნულის (ე.ი. „არა აქუს"––ის ანუ არაფრის) და 7-ის ერთიდაიგივე რიცხობრივი დანიშნულება. ოქტომბრისათვის 7-ის გამოყენება თავისთავად გულისხმობს ანალოგიურ მიმართებას იანვრისათვისაც, რის საგანგებო აღნიშვნასაც აბუსერისძე საჭიროდ არა თვლის. ასევე საჭიროდ არა თვლის ის იმ მიზეზების ახსნას, თუ რატომ „არა აქუს" დღისსაძიებელი იანვარს. ამ თვისათვის, როგორც საწყისი თვისათვის, დღისსაძიებელი ავტომატურად ნულს უნდა გატოლებოდა და ეს გარემოება გონიერი მკითხველისათვის თავისთავად გასაგები უნდა ყოფილიყო.

დღისსაძიებლის გამოსათვლელი სიტყვიერი წესი თანამედროვე სიმბოლოებით შეიძლება შემდეგნაირი ფორმულის სახით წარმოვადგინოთ:

$$d_n = \left| \frac{m_{n-1} + d_{n-1}}{7} \right| \qquad (11)$$

სადაც n-ნიშნაკი თვის რიგით ნომერს ალნიშნავს, d_n და d_{n-1}—შესაბამისად მიმდინარე და წინა თვის დღისსაძიებელს, ხოლო m_{n-1} წინა თვის შემცველ დღეთა რაოდენობას.

დღისსაძიებლის გამოსათვლელი წესი აბუსერიძის ჩანაფიქრით მხოლოდ დღისსაძიებელის არსში ჩასაწვდომად როდი იყო გამიზნული. ისევ როგორც სხვა პასქალურ-კალენდარული მახასიათებლებისათვის, დღისსაძიებლისთვისაც რიცხვითი მონაცემები გონიერ მკითხველს ზეპირად უნდა სცოდნოდა. თუ მკითხველს ეს გაუჭირდებოდა („გეწყინებოდეს“), ან „ზეპირ დასწავლილი“ დაავიწყდებოდა, მაშინ ის ამ ადვილად დასასწავლი წესის საშუალებით გაერკვეოდა პრობლემაში („ამით შეიგებდი“) და „ამითვე სათუალავითა“ გაიანგარიშებდა ნებისმიერი თვის დღისსაძიებელს. ამ მიდგომითვე უთუოდ საყურადღებო იყო სხვა ხერხიც; კერძოდ, მოცემული თვის დღისსაძიებლის ნაცვლად მკითხველს შეიძლება აეღო დღეთა საერთო რაოდენობა, იანვრის დასაწყისიდან მოყოლებული წინა თვის დასასრულამდე („იანვარის დაწყებითგან გარდასრულნი ყოველნი დღენი წინაჲსთა თუეთანი ზედა დაათუალენ“). კონკრეტულად ამ ახალი მონაცემის გამოყენება დღისსაძიებლის ნაცვლად („ნაცვლად დღისსაძიებლისა“) შეიძლებოდა ნებისმიერი საეკლესიო თარიღის კვირის დღის გამოსათვლელ წესში. ამ წესს აბუსერისძე აქ კვლავ შეახსენებს მკითხველს: მოცემული თვის მოცემულ რიცხვს („რაოდენსაცა თჳსასა, რომელიცა იყოს ერთითგან ვიდრე გარდამავალამდე, ამას ეგზომსა..“) ემატება ეს ახალი მონაცემი და ხარება-შვიდეული და მიღებული ჯამის „შვიდეულად განტევებით“ მიიღება მოცემული თარიღის საძიებელი კვირის დღე („იგი დღე იქნების მის თჳსა ჰაგზომი“).

ვინაიდან დღეთა საერთო რაოდენობის გამოყენება საკმაოდ დიდი რიცხვებით ოპერირებასთან არის დაკავშირებული, აბუსერისძეს შემოაქვს კიდევ ერთი დამატებითი წესი, რომელიც გამოთვლების გასაადვილებლად („ესე სათუალავი ამითა გაგიადვილდების“) ამ დიდი რიცხვების წინასწარ ერთეულის თანრიგში დაყვანას ითვალისწინებს. კერძოდ, მოცემული თვეების შემცველ დღეთა შეკრების ნაცვლად თითოეული თვიდან აიღება: 31-დღიანიდან 3 დღე, ხოლო 30-დღიანიდან 2 დღე („რომელიცა თუე ოცდათერთმეტი იყოს, სამთა დღეთა აიხუემდი და რომელიცა ოცდაათი იყოს, ორთა აიხუემდი გარდასრულთა თუეთაგან“) და მათი შეკრებით მიღებული ჯამი კვირის დღის გამოსათვლელ წესში გამოიყენება დღეთა საერთო რაოდენობის ნაცვლად. ცხადია, რომ 3 და 2 რიცხვები შესაბამისად 31-ისა და 30-ის „შვიდეულად განტევების“ შედეგად მიიღება. რაც შეეხება თვეთა სრული დღეების საერთო რაოდენობას, საბოლოო ჯამში „შვიდეულად“ ისიც „განტევდება“, მხოლოდ უკვე კვირის დღის გამოსათვლელი სამი მახასიათებელის შემადგენლობაში. ასე რომ, აბუსე-

რისძე დღისსაძიებლის და მისი „ნაცვალის“ გამოსათვლელად სამ წესს იძლევა.

შემდგომი ტექსტი დღისსაძიებელს კვლავ განიხილავს კვირის დღის გამოსათვლელ წესთან მიმართებაში. აბუსერისძე საგანგებოდ ხაზს უსვამს, რომ ნაკიან წელს თებერვალზე მოსული დამატებითი დღე დღისსაძიებლით არ ფიქსირდება („ფებრვალისა ნაკსა, შჯდეულად განსატევებელთა თანა ნუ დაათუალავ, ოდესცა ჰქონდეს“), ვინაიდან ეს ფუნქცია ხარება-შვიდეულს აქვს დაკისრებული. ხარება-შვიდეული, ისევე როგორც ნებისმიერი დღის კვირის დღე სამი წლის მანძილზე ყოველწლიურად ერთი დღით წაინაცვლებს. ძველ ნაკიან წელიწადს თებერვლის დამატებითი დღის ხარჯზე ხარება-შვიდეულის წანაცვლება უკვე ორ დღეს შეადგენს („ფებერვალისა ნაკმან ორი დღე წააცვალებიოს ხარებასა“). ასე რომ, აქ კვირის დღის გამოთვლისას ხარება–შვიდეულის ეს მონაცემი უკვე საკმარისია ნაკიანი წლის ფაქტორის გასათვალისწინებლად („მის წელიწდისა ხარებაჲ რაჲ დაურთო მის ნაკისა ნაცვალად, იგი ეყოფის“).

აბუსერისძე ხაზს უსვამს, რომ ხარება-შვიდეულის რიცხვითი სიდიდე, როგორც შესაბამისი წელიწადის შვიდეულის მნიშვნელობა, ძალაში შედის პირველი იანვრის დადგომისთანავე („იანვარი რაჲ დადგეს, წინამდებარესა ხარებასა უნდა პყრობაჲ შჯდლად მის წელიწდისად“). ამ საყოველთაო წესიდან გამონაკლისს შემთხვევასთან გვაქვს საქმე ნაკიანი წელიწადის პირველი ორი თვის ინტერვალში. ნაკიანი წლის იანვარ-თებერვლის ნებისმიერი დღის კვირის დღის დასადგენად, სამი მახასიათებლის შემადგენლობაში ხარება-შვიდეულად „ხარების წინა დღე“, ე.ი. 24 მარტი აიღება („უკუეთუ ნაკი ჰქონდეს, იანვარისა და ფებერვალისათჳს დღისა საპოვნელად, რომე დღისსაძიებელსა და თჳსა რიცხვსა ზედა დაურთო, ხარებისა წინა დღე იპყარ შჯდეულად“). ალნიშნულ ინტერვალში ხარება-შვიდეულის ერთი დღით დაკლებული მნიშვნელობის გამოყენებას აბუსერისძე იმ გარემოებით ხსნის, რომ რეალურად ინტერვალის კვირის დღეთა წანაცვლება მორიგ ერთ დღეს შეადგენს და ნაკის დამატებითი დღის ფაქტორი მხოლოდ მარტის დადგომიდან იჩენს თავს („ამისთჳის რომელ მარტისა დადგომამდე თჳთო დღისა მეტსა არა წაიცვალებენ ამა ორთა თუეთა დღესასწაულნი“). რადგანაც მარტიდან ხარება-შვიდეული ნაკის ხარჯზე უკვე 2 დღით წაინაცვლებს, წინა ორი თვისათვის მისი ახალი მნიშვნელობა ჭეშმარიტისაგან „შეცილვებული“ აღმოჩნდება („რაჲ ნაკმან ხარებაჲ ორსა დღესა წაცვალოს, ამათ ორთა თუეთა შინა შეაცილვებს“). ამიტომაც, ამ ორთვიანი გამონაკლისი ინტერვალისათვის, რომელზედაც ჯერ კიდევ ვრცელდება უნაკო წელიწადის „რეჟიმი“, მკითხველმა შესაბამის „უნაკო ხარებად“ ხარების წინა დღე უნდა აიღოს და ეს მხოლოდ ერთი დღით წანაცვლებული სიდიდე გამოიყენოს შვიდეულად („იგი ხარებისა წინა დღე უნაკოსა ხარებასა ენაცვალების და მას მოიჴმარებდი შჯდეულად ამათ ორთა თუეთათჳს“).

ხარება-შვიდეულის შესახებ მოყვანილი ეს ცნობები კიდევ ერთხელ ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ „დიდ ქრონიკონში“ და საერთოდ თხზულებაში

საეკლესიო წელიწადად იანვრის წელიწადი არის მიღებული. ეს ცნობები იმათაც არის საყურადღებო, რომ ისინი გადმოგვცემენ კალენდარულ პრაქტიკაში დამკვიდრებულ ერთ საინტერესო წესს, რომელიც იანვრის წელიწადთან არის დაკავშირებული.

როგორც ცნობილია, ნაკიანის მომდევნო პირველი ჩვეულებრივი წელიწადი 365 დღე-ღამეს ანუ 52 კვირასა და 1 დღეს შეიცავს. ამის გამო წელიწადის დასრულებისას მომდევნო წლის კვირის დღეთა სათვალავი 1 დღით წინ წაინაცვლებს და თუ მაგალითად პირველი წელი კვირით იწყებოდა, მეორე წლის დასაწყისი უკვე ორშაბათს იქნება. ვინაიდან მეორე წელიწადიც 1 დღის ნაშთს იძლევა, მესამე წელიწადი სამშაბათს დაიწყება. თავის მხრივ ეს მესამე წელიწადიც ისევ 1 დღის ნაშთს იძლევა. ასე რომ, მეოთხე, უკვე ნაკიანი წლის დასაწყისი ოთხშაბათზე მოდის, მაგრამ ნაშთი ამ წლის დასრულებისას ამჯერად 2 დღეს შეადგენს.

ვინაიდან 29 თებერვლის დამატებითი დღის ჩართვას ამ წლის დასაწყისთან ახლოს, ორიოდე თვის შემდგომ აქვს ადგილი, უფრო მოსახერხებლად მიიჩნიეს პირობითად ჩაეთვალათ, რომ დამატებითი დღე წინა, ე.ი. მესამე ჩვეულებრივი წლის ბოლოს ჩაირთვება და რომ ნაკიანი წელიწადი ისევ ოთხშაბათს, მაგრამ ამჯერად უკვე 2 დღის წანაცვლებით იწყება. ცდომილებებთან დაკავშირებით, რომელიც ამ დროს იანვრისა და თებერვლისათვის აღიძვრება, შეიანიშნდნენ, რომ ისინი წესისადმი საგანგებოდ დართულ მითითებებში უნდა ყოფილიყვნენ გათვალისწინებული[1]

აბუსერისძეს ხარება-შვიდეულზე მსჯელობისას სწორედ ეს წესი აქვს მხედველობაში. მისი მონაცემების თანახმად ხარება-შვიდეული, რომელიც წელიწადის დასაწყისის კვირის დღის მახასიათებელს (და არა უშუალოდ მაჩვენებელს!) წარმოადგენს, ყოველწლიურად ზუსტად ასეთივე თანამიმდევრობით წაინაცვლებს: პირველ სამ წელიწადს ეს წანაცვლება ერთ დღეს შეადგენს, ხოლო მეოთხე ნაკიან წელიწადს კი––2 დღეს (ასევეა წარმოდგენილი ხარება–შვიდეულის ყოველწლიური ცვლილება „დიდ ქრონიკონშიც“, სადაც ხარება-შვიდეულის 2-დღიანი წანაცვლება ყოველთვის მეოთხე ნაკიან წელიწადზე მოდის). ზუსტად ასევე მოჰყავს აბუსერისძეს საგანგებო მითითებაც, რომელიც ნაკიანი წელიწადის იანვარ-თებერვალთან დაკავშირებული ცდომილებების თავიდან ასაცილებლად საჭიროდ თვლის ამ ინტერვალში ხარების წინა დღის გამოყენებას.

„უგანცხადებულესადრე ჯერ-არს გამოთქუმაჲ დღისსაძიებელთათჳსვე, რომელთათჳს პირველსა საუწყებელთა შინა აღვწერე“ (7) სათაურშივე აბუსერისძე მიუთითებს, რომ საჭიროდ თვლის უფრო აშკარად განმარტოს დღისსაძიებელის არსი („უგანცხადებულესადრე ჯერ არს გამოთქუმაჲ დღისსაძიებელთათჳსვე“), რომელიც უკვე „პირველსა საუწყებელთა შინა“, ანუ მე-6 თავში განიხილა. მისი რჩევით, „მეძიებელმა“ მკითხველმა დღისსაძიებლისათვის ჯერ მე-6 თავი უნდა წაიკითხოს და, როდესაც უშუალოდ მომდევნო თავის სათაუ-

[1] ბუტკევიჩი, ზელიკსონი. დასახ. ნაშრომი, გვ. 17.

რამდე („წითლულამდე“) მიაღწევს, შემდგომ ამ თავზე გადავიდეს („რაჲ მისთვის ჰლიოთ ამის ჯერისა კითხვაჲ, ვიდრე მეორედ წითლულადმდე, უკუანის ესე შეუდგინე მეძიებელმან“).

საკითხის განხილვა თავში იწყება წელიწადში კვირის დღეთა წანაცვლების გარჩევით. თუ იანვარი კვირით იწყება, 7-ის ფარგლებში კვირის დღეთა გადათვლით უკანასკნელი რიცხვი 7 შაბათს იძლევა („შჯდი მის თჯსა შაბათი არს“). ამ საწყისი ერთიდან შვიდამდე უბრალო გადათვლით „ადვილად იცნობების“ ნებისმიერი საეკლესიო დღესასწაულის კვირის დღე („ერთითგან ვიდრე შჯდამდე ადვილად იცნობების დღესასწაული, რომელიცაღა რომელსაცა დღესა იყოს“). შვიდი იანვრის შემდგომ („წალმა“), იმავე ან ძომდევნო თვეებში 31 დეკემბრის ჩათვლით („ვიდრე გარდამავალამდე დეკენბერისა და დაწყებამდე მეორისა იანვარისა“), რომელიმე დღესასწაულის ანუ ზოგადად ნებისმიერი თარიღის კვირის დღის დასადგენად, პირველი იანვრიდან ამ თარიღის ჩათვლით აღებული დღეთა საერთო რაოდენობა („ყოველნი დღენი... მად დღესასწაულამდე“) „შვიდეულად“ უნდა იქნეს „განტევებული“. აქ, როგორც ვხედავთ, საქმე გვაქვს ნებისმიერი თარიღის კვირის დღის გამოთვლის კერძო შემთხვევასთან. კვირის დღის გამოსათვლელი სამი მახასიათებლიდან ორი, დღისსაძიებელი და თვის თარიღი ერთი სიდიდით––დღეთა საერთო რაოდენობით არის შეცვლილი. რაც შეეხება ხარება-შვიდეულს როგორც ამას ტექსტის შემდგომი ნაწილი გვიჩვენებს, ის ამ შემთხვევაში 7-ის ანუ ნულის ტოლია და, მაშასადამე, „შვიდეულად განსატევებელი“ ჯამი სინამდვილეში ერთი მონაცემით არის წარმოდგენილი.

ხარება-შვიდეულის აღნიშნული მნიშვნელობა მოყვანილია ტექსტის ფრაგმენტში, რომელიც, სამწუხაროდ, მხოლოდ ნაწილობრივ იშიფრება: „და უკუეთუ შჯდეულსა არცა რაჲ დააკლდებოდეს და არცა დაჰმეტდებოდეს, სხუაჲ დღეს არს, ვითა ზემოჲთ დამიწერია და მას წელიწადსა ხარებისა დართვაჲ არ უნდა იანვრისა დაწყებისა კჯრიაკეობისათჯს“ აქ ბოლო წინადადება სავსებით გასაგებია. წელიწადისთვის, რომელიც, როგორც ზემოთ მოყვანილ მაგალითში კვირადღით იწყება, ხარება-შვიდეული ნულის ტოლია და, მაშასადამე, „შვიდეულად განსატევებელ“ მონაცემებს მისი „დართვა არ უნდა“; ეს კარგად ჩანს 1 იანვრის მაგალითისათვის: ვინაიდან დღეთა საერთო რაოდენობა აქ 1-ს უდრის, „შვიდეულად განტევების“ შედეგად ისევ 1 რომ მივიღოთ (პირობის თანახმად 1 იანვარი კვირა დღეს შეესაბამება!), ხარება-შვიდეული 0-ის ანუ 7-ის ტოლი უნდა იყოს.

რაც შეეხება ფრაგმენტის წინა ნაწილს, აქ მთლად გარკვევით არ ჩანს თუ რომელი შვიდეული მიიღება მხვედველობაში––ხარება-შვიდეული თუ „შვიდეულად განტევების“ შედეგად მიღებული ნაშთი. ამასთან ერთად არც „ვითარცა ზემოჲთ დამიწერია“-ს მისამართის კვალი ჩანს როგორც ამ, ისე მე-6 თავში. მიუხედავად აღნიშნული ხარვეზისა, რომელიც გადამწერისაგან უნდა მომდინარეობდეს, ფრაგმენტიდან მთავარი აზრის გამოტანა მაინც ხერხდება.

ტექსტის შემდგომ ნაწილში უკვე ზოგადად გადმოცემულია ხარება-შვიდე-

ულის არსი და დანიშნულება. კვირით დაწყებული წელიწადის მომდევნო წლის ხარება-შვიდეული ამჯერად ნულისგან განსხვავდება და რაიმე თარიღის კვირის დღის გამოსათვლელად მისი მნიშვნელობა უკვე უნდა დაემატოს შვიდეულად განსატევებელ დღეთა რაოდენობას („შჯდეულსა დაათუალავ შემდგომსა წელიწადსა მის წმიდისა დღესასწაულსა ზედა იანვარისა დაწყებითგან შჯდეულად განტევებულისასა"). ნებისმიერი ფიქსირებული თარიღის კვირის დღე „წლითი-წლად" იცვლება. სწორედ ამიტომაც უმატებენ ხარება-შვიდეულს, რომელიც, როგორც თვითონ წაინაცვლებს, ასევე შესაბამისად ყოველი წლის „დღეთა წასცვალება" („რომელიცა რომელსაცა დღისა იყოს, წლითი-წლად სხუად და სხუად დღე ცვალებისათჯს დაათუალვენ შჯდეულსა, რომელ არს ხ̣არებაჲ. და ვითა იგი წაიცვლებს, ეგრეთვე ყოველთა წელიწადისა დღეთა წასცვალებს").

აქვე აბუსერისძე ხელმეორედ შეახსენებს მკითხველს („და ესეცა კუალად-ცა მითქუამს"), რომ ნაკიანი წლის იანვრისა და თებერვლისათვის შვიდეულად მან ხარების წინა დღე (ე.ი. 24 მარტის კვირის დღე) უნდა აიღოს და უკვე „ვითარცა ხარება", დღეთა საერთო რაოდენობასთან ერთად „შვიდეულად განუტევოს".

ტექსტის შემდგომი ნაწილი კვლავ უბრუნდება დღის საძიებლის საკითხს. ჯერ გადმოცემულია დღისსაძიებლის განსაზღვრა. აბუსერისძის მიხედვით ამ კალენდარული მახასიათებლის გამოყენება („დღისსაძიებელნი ამისთჯს არიან") იმ გარემოებით არის განპირობებული რომ, თუ იანვრიდან მოცემულ თარიღამდე ათვლილი და „შვიდეულად განსატევებელი" დღეთა რაოდენობა დიდ რიცხვს შეადგენს („რაჲ იანვარისა დაწყებითგან რომელადცა დღესასწაულადმდე შჯდეულად განსატევებელნი დღენი განრავლდებოდნენ"), მაშინ ასეთი დიდი რიცხვი გამოსაანგარიშებლად ძნელი და მოსაწყენი („განსაწყინოვდების") გახდება და მის ნაცვლად დღისსაძიებელი და თვის თარიღი გამოიყენება („და ნაცვლად ამისსა მას დღესასწაულსა ზედა დღისსაძიებელი დაურთე მის თჯსაჲ... და მის წელიწდისა ხარებითურთ შჯდეულად განუტევე"). აქვე ტექსტში მოყვანილია თვეთა დღისსაძიებლის კონკრეტული რიცხვითი მონაცემები. ამ მონაცემებიდან საინტერესოა ოქტომბრის თვისათვის მოყვანილი მნიშვნელობა: „ოკდონბერსა არაჲ გინა შჯდი". ე.ი. ამ შემთხვევაშიც აბუსერისძე განმეორებით მიუთითებს, რომ 0 (ე.ი. „არაჲ") და 7 ურთიერთშემცვლელ სიდიდეებს წარმოადგენენ. იანვრის თვისათვისაც დღისსაძიებელი ნულის ტოლია და ამის მიზეზის ახსნა ტექსტის მიხედვით პირველ საუწყებელში არის წარმოდგენილი („იანვარსა რომელ არა აქუს, მიზეზი ზემოჲთ დამიწერია"). აქვე მითითებულია, რომ ის წესი, რომლის საფუძველზედაც დღისსაძებლის ეს კონკრეტული მონაცემები მიიღება, იმავე თავში არის გადმოცემული („და ამისი მიზეზი ზემოსა საუწყებელსა შინა დამიწერია, თუ რაჲსგან შეიქმნებიან").

რიცხვითი სიდიდეების წარმოდგენის შემდეგ, აბუსერისძე საგანგებოდ ჩერდება მათთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან მომენტზე. პირველ რიგში,

ის მკითხველის ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ თვეებს, რომლებიც ერთნაირი კვირის დღეებით იწყებიან, დღისსაძიებლებიც ერთნაირი აქვთ. ასეთი თვეებია: იანვარი და ოქტომბერი (დღისსაძიებელი d=0), თებერვალი „უნაკოდ“, მარტი და ნოემბერი (d=3); აპრილი და ივლისი (d=6). რაც შეეხება მაისს, ივნისს და აგვისტოს, ისინი ერთმანეთისაგან და სხვა თვეებისგან განსხვავებული კვირის დღით იწყებიან და შესაბამისად თითოეულ მათგანს „თავის თავისი“ და ერთმანეთისგან განსხვავებული („უზიაროდ“) დღისსაძიებელი შეესაბამება („მაისი, ივნისი და აგვსტოსი სხუასა და სხუასა დღესა დადგებიან და არცა რომელი სხუად თუე დადგების ამათისა დადგომის დღესა და ამისთჳს თავის-თავისად აქუს დღესსაძიებელი უზიაროდ“). კერძო მაგალითების მოყვანის შემდგომ აბუსერისძე რეზიუმეს სახით ურთავს ასეთ ზოგად განმარტებას: „რომელნიცა თუენი, გინა ორნი, გინა სამნი, ერთსა დღესა დადგებიან, ერთის რიცხვისად აქუს დღისსაძიებელი“.

თვეების დღისსაძიებლის მნიშველობების გამოთვლასთან ერთად აბუსერისძე მკითხველს შეახსენებს მათ გამოსაანგარიშებელ წესს. თუ მკითხველი იმ მონაცემებით გამოითვლის დღისსაძიებელს („უკუეთუ იმით რიცხჳთა იძიო“), რომელთა გამოყენებაც პირველ „საუწყებელში“ მოყვანილი წესების მიხედვით არის გათვალისწინებული, ის ზუსტად იმავე რიცხვით მნიშვნელობებს მიიღებს, რაც ამ თავში არის წარმოდგენილი („უკუეთუ იმით რიცხჳთა იძიო, ვითა პირველსა საუწყებელსა შინა დღისაძიებელთასა დამიწერია ზეპირ უცოდინელსა, ეგრეცა გუაუწყებს ამათავე რიცხუთა დღისსაძიებელისათა, რომელსაცა თუესა რაოდენიცა აქუს და რომელსაცა არა აქუს, რომელი ქრონიკონსა ქუემოდთ დავწერე“). გამოთქმით „ზეპირ უცოდინელსა“, აბუსერისძე კვლავ მიანიშნებს იმ გარემოებაზე, რომ თუ მკითხველი რაღაც მიზეზით დღისსაძიებლის რიცხვით მონაცემებს არ დაიზეპირებს, საჭიროების შემთხვევაში მას ადვილად შეუძლია მათი „გახსენება“ იმ გამოთვლების საშუალებით, რომლებსაც „ზეპირ უცოდინელის“ მკითხველისათვის შეთავაზებული „ზეპირ საცოდინელი“ წესები ითვალისწინებენ.

თავის დასასრულს აბუსერისძეს მოჰყავს ზოგიერთი საინტერესო ცნობა ბიზანტიური პასქალურ-კალენდარული სისტემიდან. ბიზანტიელები გაზაფხულის ვსვემთვარეობის თარიღის კვირის დღის დასადგენად ანალოგიურ წესს იყენებენ. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქ „შვიდეულად განსატევებელი“ დღეთა რაოდენობა ოქტომბრის თვიდან აითვლება, ხოლო ხარება-შვიდეულად ხარების წინა დღე (ე.ი. 24 მარტი) აიღება („ბერძენნი დიდისა მცხრალისა დღისა საპოვნელად ოკდონბერისა დაწყებითგან განუტევებენ ცხრომისა დღითურთ შჳდეულად და ხარებისა ნაცვალად წინა დღესა დაათუალვენ მას თანავე შჳდეულად განსატევებლად“). აქვე მოყვანილია ბიზანტიური დღისსაძიებლის მნიშვნელობა რამდენიმე თვისათვის. კერძოდ, ოქტომბრის თვის ეს მნიშვნელობა ნულის ტოლია. ეს თვე, ისევე როგორც იანვარი ქართულ'ში, საწყისი თვეა და ამიტომაც დღისსაძიებლის ნულთან ტოლობა შემდეგნაირად არის ფორმულირებული: „ბერძულად დღისსაძიებელი ოკდონბერსა არცა აქა“

ე.ი. იგულისხმება, რომ, ისევე როგორც ქართულის საწყის თვეს, ისევე „არცა აქა“ „აქუს“ დღისსაძიებელი საწყის თვეს. ამის გარდა მითითებულია, რომ დღისსაძიებელი იანვრისთვის 1-ს შეადგენს, თებერვლისა და მარტისათვის 4-4-ს, ხოლო აპრილისთვის ნულს („აპრილსა არაჲ“). სწორედ ამით ხსნის აბუსერისძე იმ გარემოებას, რომ აპრილის სავსემთვარეობის კვირის დღის გამოსათვლელად („რომელსაცაღა დღეს იყოს“) სავსებით საკმარისია („კმა არიან“) გაზაფხულის სავსემთვარეობის თარიღისა და ხარების წინა დღის ჯამური სიდიდის „შვიდეულად განტევება“ („მისთჳს დიდისა მცხრალისა რიცხჳ და ხარებისა წინა ღღე კმა არიან, რომელსაცაღა დღესა იყოს ანუ რაოდენსაცა აპრილსა სცხრეს შჳდეულისა განსატევებლად“).

ამ მცირე მოცულობის ფრაგმენტში მოყვანილი ცნობები ისეთ საკვანძო მონაცემებს შეიცავენ, რომელთა საშუალებითაც მკითხველს ადვილად შეეძლო მთელი რიგი დამატებითი ინფორმაციის მიღება. კერძოდ, წელიწადის საწყის თვედ ოქტომბრის დასახელება საშუალებას იძლევა დადგინდეს დღისსაძიებლის მნიშვნელობები თვეთა სრული სპექტრისათვის, მით უმეტეს რომ ზოგიერთი მათგანისთვის (და მათ შორის ოქტომბრისათვის) ეს უკვე გაკეთებულია.

ასევე თავისთავად ცხადია, რომ ბიზანტიელებიც გაზაფხულის სავსემთვარეობის კვირის დღის გამოსათვლელად „შვიდეულად განსატევებელი“ სამი მახასიათებლის ჯამს იყენებდნენ, რომელთაგან ერთი გაზაფხულის სავსემთვარეობის თარიღს შეადგენდა, ხოლო დანარჩენი ორი კი ბიზანტიური წესით ათვლილ დღისსაძიებელსა და შვიდეულს.

გაზაფხულის სავსემთვარეობის თარიღის კვირის დღის გამოსათვლელი წესის ცოდნა ავტომატურად ნიშნავს ნებისმიერი თარიღის კვირის დღის გამოსათვლელი წესის ცოდნას. ასე რომ, ბიზანტიური სისტემისათვის ეს უკანასკნელი წესი ნებისმიერი თარიღის, შესაბამისი ბიზანტიური დღისსაძიებლის და ხარების წინა დღის კვირის დღის ჯამის „შვიდეულად განტევების“ ოპერაციას ითვალისწინებს.

გაზაფხულის სავსემთვარეობის თარიღის და საერთოდ ნებისმიერი თარიღის კვირის დღის გამოსათვლელი წესები შეიძლება შემდეგი ფორმულების სახით წარმოვადგინოთ:

$$K = \left|\frac{c + a' + d'}{7}\right| \qquad (3')$$

$$K = \left|\frac{n + a' + d'}{7}\right| \qquad (4')$$

ეს ფორმულები, ფაქტობრივად, ქართული სისტემის (3) და (4) ფორმულებს თანხვდებიან, მხოლოდ ამ შემთხვევაში a' ხარების წინა დღით წარმოდგენილ შვიდეულს აღნიშნავს, ხოლო d' ბიზანტიურ დღისსაძიებელს, რომელიც ოქტომბრის თვიდან აითვლება.

აბუსერისძის მონაცემები ბიზანტიური კალენდარულ-პასქალური სისტემის შესახებ სხვა ლიტერატურული წყაროებითაც დასტურდება. კერძოდ, ბიზანტიური წელიწადის შვიდეული თავის ძირითად დანიშნულებასთან ერთად, 24 მარტის კვირის დღესაც აღნიშნავდა[1] და სწორედ ამ გარემოებაზე მიუთითებს აბუსერისძის მიერ ამ შვიდეულის მიმართ ნახმარი გამოთქმა „ხარების წინა დღე". თვეთა დღისსაძიებლის გამოსათვლელად საწყის თვედ ბიზანტიურ სისტემაში მართლაც ოქტომბერი იყო მიღებული[2]. ასე რომ, შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ აბუსერისძის მიერ წარმოდგენილი დღისსაძიებლის მონაცემები ზუსტად თანხვდება ბიზანტიურ პრაქტიკაში გავრცელებული ანალოგიური სახის მონაცემებს. ნებისმიერი თარიღის კვირის დღის გამოსათვლელი ზოგადი ბერძნული წესიც ლიტერატურაში ზუსტად ისევე არის წარმოდგენილი, როგორც აბუსერისძის თხზულებაში.

„მიზეზისათჳს, თუ რად მოიჴმარებიან ზედნადებნი" (8). ზედნადებს ცალკე თავი ჯერ კიდევ თხზულების საწყის ნაწილში მიეძღვნა (იხ. 2. „ზედნადებთათჳს"), რომელშიც ის განხილული იყო არა გამოყენებითი, არამედ ზოგადთეორიული თვალსაზრისით, როგორც მთვარე-მზის კალენდარული სისტემის საკვანძო ელემენტი. ეს ფაქტი სათანადო განმარტებით მე-3 თავის შესავალშიც აღინიშნა. ამ განმარტების თანახმად გამოყენებით სფეროში ზედნადები ვერ ამართლებს თავის მთავარ დანიშნულებას, ვინაიდან მისი საშუალებით გაზაფხულის სავსემთვარეობის კვირის დღის გამოთვლა გაძნელებული და არა პერსპექტიულია. მიუხედავად ამისა ზედნადების განხილვა მაინც საჭირო იყო, რადგან გაანგარიშებითი გაზაფხულის სავსემთვარეობის თუ საერთოდ მთვარე-მზის სხვა მახასიათებლების თეორიული გააზრება უშუალო ზედნადების შინაარსთან არის დაკავშირებული.

დაახლოებით იგივე აზრია გამეორებული განსახილველი თავის შესავალშიც: თუმცა გაანგარიშებითი გაზაფხულის სავსემთვარეობა თავისი წარმოშობით ზედნადებს უკავშირდება („დაღაცათუ დიდი იგი მცხრალი ვნებისაჲ ამათ ზედნადებთაგან იქმნების"), მისი გამოთვლა მაინც ცამეტორს „მიანდეს" ხარება-დღისსაძიებლითურთ („ცამეტორისა მინდობისა და სხუათაცა სათუალავთათჳს, რომელნი დიდსა მცხრალსა ჰპოებენ"), ვინაიდან ზედნადებს „აღარავინ მოიჴმარებს გამოსათუალავად სიძნელისათჳს", როგორც ეს ადრევე იყო საგანგებოდ აღნიშნული („ვითარცა—ესე ზემოჲთ დავწერე").

ყოველივე ამის მიუხედავად ზედნადები გამოყენებითი თვალსაზრისით მაინც მოქმედ მახასიათებლად დარჩა, მხოლოდ უკვე მთვარის ასაკის გამოსათვლელ წესთან მიმართებაში. მთვარის ასაკის გამოსათვლელი ეს წესიც („სხუათა დღეთა შინა რომე იძიებდენ მთუარესა, თუ რაჲზომისა დღისა იქმნებისო"), ისევე, როგორც ადრე გარჩეული სხვა წესები, რიტორიკულ (სიტყვიერ) ფორმულას წარმოადგენს. ეს წეს-ფორმულაც შესაბამისად შემდგომ ოპერაციებს ითვალისწინებს: 1. ნებისმიერი დღესასწაულის შესატყვის თარიღს („დღესას-

---

[1] კლიმიშინი, დასახ. ნაშრომი, გვ. 292.

[2] იქვე, გვ. 276

წაული, რომელიცა გენებოს, და მის თჳსა ჰაგზომსა“) ემატება ზედნადების რიცხვითი მნიშვნელობა და „იანვრითგან გარდასრულთა თუეთაგან“ (მიმდინარე თვის ჩათვლით) თითო-თითოდ აღებული დღეების საერთო რაოდენობა. 2. ამ სიდიდეთა შეკრებით მიღებული ჯამი თუ 30-ზე ნაკლებ რიცხვს შეადგენს, მაშინ ის მთვარის ასაკს უშუალოდ განსაზღვრავს, ხოლო თუ ჯამის რიცხვი 30-ზე მეტია, მაშინ მისი „ოცდაათეულად განტევების“ შედეგად მიღებული ნაშთი ასრულებს ამ ფუნქციას („ესე სამივე რიცხჳ რაზომიცა შეიქმნას, ოცდაათამდე თუ დააკლდეს, ჰაგზომისა დღისაჲ იქმნების. და თუ ოცდაათეულსა ანუ სამოცეულსა რაჲცა დაჰმეტდეს, იგი ოცდაათეულად განუტევე და რაჲცა დარჩეს, ჰაგზომისა დღისა იქმნების მთუარე“). თუ განსატევებელი ჯამი 30-ს ან 60-ს შეადგენს, „რომელ ამას ორსავე რომელსამე არცა რაჲ დაჰმეტდეს, არცა დააკლდეს“, მაშინ მთვარის ასაკი 30 დღით განისაზღვრება.

იანვრის და თებერვლის თვეებისთვის ეს წესი, როგორც აბუსერიძე ხაზს უსვამს, „არ კარგა შეიგების, თუ გონიერად გულის ჴმის—მყოფელი კაცი არ იქნების“. ამ წესით აღნიშნული თვეებისათვის ჯერ კიდევ გასული წლის მონაცემები რჩება ძალაში. კერძოდ კი ზედნადებად გასული წლის ზედნადები აიღება, ხოლო თითო-თითო დღე გასული წლისავე იანვრიდან აითვლება („ამით წესითა შრანდელთა თუეთა და შრანდელსა ზედნადებსაცა წარმოსთუალავენ. და იანვარსა ანუ ფებერვალსა შინა რომელსაცა დღესა გინდეს, ესე ორივე შრანდელი მას ზედა დაათუალე თჳსა ჰაგზომსა და ოცდაათეულად განუტევე იგიცა“). თანამედროვე სიმბოლოებით ეს წესი შემდეგი ფორმულის სახით წარმოვადგინოთ:

$$f = \left| \frac{n + m + z}{30} \right| \qquad (12)$$

სადაც f-მთვარის ასაკს, ხოლო n—„დღესასწაულის“ თარიღს, z—ზედნადებს და m-თვის რიგით ნომერს აღნიშნავს (ეს უკანასკნელი მარტ-დეკემბრის ინტერვალში 3-დან 12-მდე იცვლება, ხოლო იანვარსა და თებერვალში შესაბამისად 13-ის და 14-ის ტოლია. ამავე ორი თვისათვის წინა წელიწადის ზედნადები აიღება).

შემოთავაზებული წესი მხოლოდ მიახლოებით განსაზღვრავს მთვარის ასაკს, ვინაიდან არ ითვალისწინებს არც კალენდარული თვეების სხვადასხვა ხანგრძლივობას და არც მთვარის თვეთა 30 და 29 დღიან მონაცვლეობას. ანალოგიური მიახლოებითი წესი ცნობილია ერთ-ერთი ლიტერატურული წყაროდან, მხოლოდ ამ შემთხვევაში თითო-თითო დღის აღება მარტის თვიდან იწყება, ხოლო ჯამის „განტევება“ როგორც 30-ით ისე 29-თაც წარმოებს, იმის და მიხედვით, თუ რამდენ დღეს შეიცავს მოცემული თვე (30 თუ 29-ს)[1].

აღსანიშნავია, რომ შემოთავაზებული წესისადმი თვითონ აბუსერიძეც საკმაოდ სკეპტიკურადაა განწყობილი. მისი კომენტარი: „განა გულსა შინა უთანაღროდ არ რომელი დღე შეიგების“ იანვარ-თებერვლის კერძო შემთხვევას-

[1] შტეინგელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 209-210

თან ერთად საერთოდ მთელ წესს გულისხმობს, რომელიც არცთუ ისე საიმედო მახასიათებელს--ზედნადებს ემყარება. კიდევ უფრო მეტიც, აბუსერისძე სწორედ ამ წესის ასეთი შეფასების შემდგომ იწყებს იმ წესების და საკითხების ახსნა-განმარტებით ჩამოთვლას, რომლებსაც ასევე არაპრაქტიკულობის ან სხვა დამაბრკოლებელი თუ სპეციფიკური მიზეზების გამო, ის თხზულებაში მხოლოდ გაკვრით ან საერთოდ არ ეხება.

ზედნადების არასაიმედობის ფაქტორითვე ხსნის აბუსერისძე გაზაფხულის სავსემთვარეობასთან დაკავშირებული წესის გამოუსადეგარობას: „ამისთჳს არავის მიანდო ზედნადებითა გამოთუალვასა დიდი მცხრალი“ და ეს მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაშიც გამოთვლის ობიექტი გაანგარიშებითი თვალსაზრისით ზედნადებიდან მომდინარეობს („თუცა მიზეზი ეგრეცა ზედნადები არს დიდი პასექისა, ოდესმე მარტსა შინა ცხრომისაჲ, ოდესმე აპრილისა“).

ზედნადების პრაქტიკულად გამოყენების ერთ-ერთ დამაბრკოლებელ მიზეზად დასახელებულია ასტრონომიული დაკვირვებებით ფიქსირებული ბუნებრივი მოვლენაც, როდესაც „მთვარე გამოჩნდების ოდესმე ორისა დღისა და ოდესმე სამისა“ (მართლაც, როგორც ცნობილია, ამომავალი მზის სხივებში მთვარის გაქრობიდან და მზის ჩასვლის შემდეგ მის გამოჩენამდე საშუალო ხანგრძლივობა 2-3 დღეს შეადგენს[1]). როგორც ვხედავთ, აქ აბუსერისძე მიანიშნებს იმ გარემოებაზე რომ გაანგარიშებითი კალენდარულ-პასქალური მახასიათებლები ყოველთვის ზუსტად არ შეესაბამებიან მათ ასტრონომიულ პირველსახეებს, რაც გარკვეულად აძნელებს ამ მახასიათებლების გამოყენებას.

ზედნადებთან ერთად ტექსტში მასთან დაკავშირებული მახასიათებლები -- ხუთეული და ექვსეულიც მოიხსენებიან. ეს მახასიათებლები, აბუსარისძის თანახმად, „ამისთჳს აღრაცხეს“, რომ მათი საშუალებით 19-წლიან ციკლში დაფიქსირდეს თუ „რაოდენი დღე მორჩების თჳსა დღეთაჲ მთუარისა დღეია უმეტესად“. ხუთეულ-ექვსეული გამოიყენებიან, აგრეთვე, ზოგიერთ „სხუათაცა“ სათვალავებშიც („სხუათაცა სათუალავთა შინა რადმე“). მაგრამ მათზე ამის მეტად აქ შეჩერებას აბუსერიძე საჭიროდ არ თვლის („რომელი აქა არა მეტად საჴმარ არს“), ტექსტი რომ „გრძელად მეტყუელების“ გამო მოსაწყენი არ გახდეს. მითუმეტეს რომ ის ამ მახასიათებლების არც პრაქტიკულად გამოყენებას ისახავს მიზნად, გარდა ზოგადად მათ შესახებ გარკვეული ცოდნის მიღებისა („და მოჴმარებასა არცა რადმე უკანა შედგომილ ვარ, თჳნიერ მიზეზის მცოდნელობისა“).

ბოლოს აბუსერისძე ერთგვარ რეზიუმესავით დასძენს, რომ მას თხზულებაში არც „ინდიკტიონი“ უძებნია არც „ანაკრებნი“ (ისევ ზედნადებთან დაკავშირებული თვიური ზედნადებები) და არც „მარცვალი“ (საათზე მცირე დროის ერთეული, ე.ი. 12 წუთი). ეს კი იმითაა განპირობებული, რომ „საეკლესიოდ“, პრაქტიკულად მარხვების გამოთვლისათვის თუ თეორიულად პასქალურ-კალენდარული სისტემის საფუძვლების ცოდნისათვის სავსებით საკმა-

---

[1] იხ. მაგ. კლიმიშინი, დასახ. ნაშრომი, გვ. 35-36, 40.

რისია ის მასალაც, რომელიც „გონიერ მკითხველს“ მიეწოდა ავტორისაგან („ამისთჳს, რომე საეკლესიოდ და მარხვათა დაყენებისათჳს და მის ყოვლისავე მიზეზისა მცოდნელობისათჳს, ესეცა კმა-იყო გონიერად გულის ჴმის-მყოფელთათჳს“).

„უწყებაჲ დასაბამითგანთა წელთაჲთგანცა მასწავებელი, უკუეთუ შეგცილდენ ესე ყოველნივე რიცხუნი ამის ზემოჲთწერილისანი“ (9). თავის დანიშნულება სათაურშივეა დეკლარირებული: მკითხველს, რომელსაც ზემოთ მოყვანილი მაჩვენებლებიდან მოცემული დროის შესაბამისი სიდიდეების შერჩევა შეეშლება („უკუეთუ შეგცილდენ ესე ყოველნივე რიცხუნი ამის ზემოჲთწერილსანი“), ამ თავით შეუძლია ისწავლოს, თუ როგორ მიიღება ჭეშმარიტი მნიშვნელობები „დასაბამითგან“ წლების საშუალებით.

ტექსტში ეს ახალი წესი ჯერ განხილულია მახასიათებლებისათვის, რომელთა სიდიდეების განმეორადობა 19-წლიან ციკლს თანხვდება. ავტორი თვითონვე მიუთითებს, რომ აღნიშნული მეთოდი „პირველად“ „დიდი მცხრალისა“ და „ზედნადებისათჳს“ უნდა იქნეს განხილული (გადამწერმა ეს მითითება სინგურით დაწერა, რის გამოც ფორმალურად ფრაზა „პირველად დიდისა მცხრალისათჳს და ზედნადებისა“ სათაურის კუთვნილებად გადაიქცა). აღნიშნული მახასიათებლებისათვის, აიღება მოცემულ წლამდე (ამ უკანასკნელის ჩათვლით) ათვლილი წლების საერთო რიცხვი („წელნი იპყრენ დაბადებითგანნი მათ ჟამადმდე, რომელსაცა წელიწადსა შინა სდგი, რაჲსთენიცალა გარდასრული იყუნენ“) და ის ცხრამეტეულად „განტევდება“ („ყოველნივე ცხრამეტეულად განუტევე“). განტევების შედეგად ნაშთში მიღებული სიდიდე („რაჲცა მას დაჰმეტდეს“) წარმოადგენს ახალ კალენდარულ-პასქალურ მახასიათებელს—წლის ნომერს 19-წლიან მთვარის ციკლში, რომელსაც თანამედროვე ტერმინოლოგიით მთვარის წრე ეწოდება. თხზულებაში ის რამდენიმე სახელწოდებით არის მოხსენებული. აბუსერისძე მას ხან „ცხრამეტეულის განტევებულისა დანამეტებს“ (ზოგჯერ შემოკლებით „ცხრამეტეულის დანამეტებს“) და ზოგჯერ „მთვარის მოქცევას“ უწოდებს. მოცემული წლისათვის მთვარის წრის დასადგენი რიტორიკული ფორმულა თანამედროვე სახით შეიძლება ასე წარმოვადგინოთ:

$$L = \left|\frac{A}{19}\right| \qquad (13)$$

სადაც L-ით მთვარის წრე გვაქვს აღნიშნული, ხოლო A-თი „დასაბამიდან“ ათვლილი წლების რიცხვი.

მოცემული წლის მთვარის წრის დადგენის შემდგომ უკვე ადვილად შეიძლება „დიდი ქრონიკონის“ ცხრილიდან 19-წლიან ციკლში ცვალებადი მახასიათებლების შესაბამისი მნიშვნელობების პოვნა. კერძოდ, ცამეტორის სვეტში (მე-5 სვეტი) მონაცემების მთვარის წრის შესატყვისი რიცხვით გადათვლისას („ჰაგზომისა წელიწდისა ცამეტურნი ქუე ჩაათუალენ“), რომელ სტრიქონზედაც შეჩერდება მკითხველი, ის მე-4 სვეტთან ერთად უჩვენებს მას გაზაფხულის სავსემთვა-

რეობის საძიებელ თარიღს („ჰაგზომისა წელიწდისა ცამეტურნი ქუე ჩაათუალენ. და რომელსაცა ზედა მიაყენო, შეგაგებიებს, რომელი მარტსა სცხრების ანუ აპრილსა"). აქვე მითითებულია ერთი კერძო შემთხვევაც, სახელდობრ, როდესაც „ცხრამეტეულსა არაჲ დაჰმეტდეს" (ე.ი. როდესაც „განტევების" შედეგად ნაშთი არ მიიღება). ამ შემთხვევაში 19-წლიანი ციკლის დასრულებას აქვს ადგილი („ერთი კჳკლოსი იქმნების სრული") და ცამეტორის საძიებელი მნიშვნელობა ცხრილში ციკლის მე-19 რიგით ნომრის შესაბამისად მოიძებნება („და ცხრამეტი წელიწადი ერთობ ქუე ჩაათუალე მითვე ცხრამეტურითა").

თუ საჭიროა „ზედნადებისაჲცა...ჰაგრევე დაკარგულისა პოვნაჲ" (იგულისხმება ცამეტორის მსგავსად ზედნადების მნიშვნელობათა განრიგება 19-წლიან ციკლში) ან ხუთეულისა და ექვსეულის „პოვნა", ამისათვის აბუსერიძე მკითხველს საგანგებო ანალიზურ წესებს თავაზობს (თავისთავად იგულისხმება, რომ ზედნადებისათვის, ცამეტორის ანალოგიურად, ცხრილური მონაცემებითაც შეიძლება საძიებელი მნიშვნელობის დადგენა).

ამ წესებიდან ტექსტში თავდაპირველად ხუთეულ-ექვსეულთან დაკავშირებული წესი არის მოყვანილი. ამ წესის თანახმად ჯერ გამოითვლება მთვარის წრე, ზუსტად ისევე, როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული. დადგენილი. მთვარის წრის ყოველი წლისათვის 11 დღე აიღება („თითო წელიწდისაჲ თერთმეტი და თერთმეტი დღე ზე აიღე"). თითოეული 11 დღე ავტორის შენიშვნის თანახმად, „შუა გაყოფით[1] ხუთეულად და ექუსეულად შეიქმნების", ხოლო „ერთბამად და განუყოფელად" 209 დღეს იძლევა, რომლითაც 19-წლიანი ციკლის ბოლოს კალენდარული თვეების დღეთა რაოდენობა აღემატება მთვარის თვეების რაოდენობას („ორას და ცხრაჲ დღე შეიქმნების თჳსა დღეთაჲ, რომელნი მთუარისა დღეთა დაჰმეტდებიან ცხრამეტ წელ"). თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ამ 11-11 დღეთა ჯამი ხუთეულის და ექვსეულის ჯამურ მნიშვნელობას შეესაბამება და თუ ტოლი რიცხვების მიმდევრობითი შეკრების ნაცვლად გამრავლების ოპერაციას გამოვიყენებთ, მაშინ სიტყვიერი წესი შეიძლება ფორმულის სახით წარმოვადგინოთ:

$$Z' + Z'' = 11 \times \left| \frac{A}{19} \right| \qquad (14)$$

სადაც Z' და Z'' შესაბამისად ხუთეულს და ექვსეულს აღნიშნავენ.

ხუთეულის და ექვსეულის ჯამური სიდიდის გამოსათვლელი წესის ფორმულირების შემდგომ, აბუსერისძე ზედნადების გამოსათვლელ წესზე გადადის. ეს უკანასკნელი მას, ფაქტობრივად, წინა წესიდან გამოჰყავს, მხოლოდ წინასწარ ითვალისწინებს ზედნადებისთვის დამახასიათებელ ერთ თავისებურებას. კერძოდ, როდესაც მთვარის წრე 17,18 ან 19-ის ტოლია, 11-11 დღის ჯამს ერთი

---

[1] მათემატიკურ პრაქტიკაში ძველად „გაყოფა" ორი მნიშვნელობით იხმარებოდა. პირველით ის რიცხვის ტოლ ნაწილებად დაშლას გალისხმობდა, ხოლო მეორეთი რიცხვის ისეთ ნაწილებად დანაწევრებას, რომლებიც შეიძლება არც ყოფილიყვნენ ერთმანეთის ტოლი. აბუსერისძე აქ „შუა გაყოფას" სწორედ ამ მეორე გაგებით ხმარობს.

დღე უნდა დაემატოს („უკუეთუ კიკლოსი ჩჯდმეტი, ანუ თურამეტი, ანუ ცხრამეტი დაჰმეტდებოდეს თერთმეტეულად აკრებულთა დღეთა თანა, ერთსა დღესა სხუასა შესძენდი"). „მთვარის ნახტომით" განპირობებულ ამ დამატებასთან დაკავშირებით აბუსერისძე იქვე აღნიშნავს, რომ „შეძინებისა მიზეზი ზემოვე მითქუამს"-ო (მართლაც მე-2 თავში, როგორც უკვე განვიხილეთ, მას მოყვანილი აქვს აღნიშნული მოვლენის სათანადო განმარტება). ხუთეულ-ექვსეულისგან განსხვავებით, მხოლოდ ზედნადებისათვის განკუთვნილი დამატებითი პირობის ფორმულირების შემდგომ აბუსერიძე უშუალოდ ზედნადების გამოსათვლელ წესს განიხილავს. ამ წესის თანახმად „თერთმეტეულად აკრებულთა დღეთა" ჯამის (ციკლის ბოლო სამი წლისათვის კი ერთი დღით გადიდებული ჯამის) „ოცდაათეულად განტევებით" მიღებული ნაშთი მოცემული წელიწადის ზედნადებს შეადგენს („მას ყოველსავე ზედნადებისათჳს ოცდაათეულად განუტევებდი. და რაჲსთენიცალა დაჰმეტდეს ანუ დააკლდეს, გინა ოცდაათეული შეიქნას, რაოდენიცალა ჰაგზომი იქმნების ზედნადები მის წელიწდისაჲ"). თანამედროვე სახით ეს წესი შემდეგი ფორმულით გამოისახება:

$$Z = \left| \frac{11 \times \left| \frac{A}{19} \right|}{30} \right| \qquad (15)$$

დამატებითი პირობით: როდესაც $\left|\frac{A}{19}\right| = 17 \div 19$, ოცდაათეულად განსატევებული იქნება $(11 \times \left|\frac{A}{19}\right| + 1)$.

ზედნადებით, ფაქტობრივად, მთავრდება „დასაბამითგან" წლების საშუალებით 19-წლიანი ციკლის მახასიათებლების გამოსათვლელი წესების განხილვა, რაც ტექსტში შემდეგი წინადადებით არის აღნიშნული: „ესე ყოველივე შეცილებული ამითა გეპოების მას წელიწადსა, რომელსაცა შინა სდგე".

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ტექსტის შემდგომი ნაწილი, რომელიც მთვარის წრის გამოსათვლელი წესის მათემატიკურ მხარეს ეხება და მიზნად ისახავს მკითხველს აჩვენოს (და შეასწავლოს კიდეც), თუ რა ოპერაციების საფუძველზე ხორციელდება „ცხრამეტეულად განტევება". ამასთან დაკავშირებით ავტორი წერს: „ცხრამეტეულად ესრეთ განუტევებდი: ოცეულისგან თჳთოსა აიღებდი, და ასისა და ასისაგან ხუთთა და ხუთთა. და ათასისგან ორმოცდაათი აკრიბის ცხრამეტეულის დანამეტები. და მის ორმოცისაგან ორნი აიხუენ და მის ათსა მიჰმატენ და იგიცა ცხრამეტეულად წავა. და ესე ათასისგან თორმეტი ადგების ცხრამეტეულისა დანამეტები. და თჳთო ათასეულთაგან თორმეტსა და თორმეტსა აიღებდი და რაჲსთენიცალა შეკრბებოდეს, მასცა ცხრამეტეულად განუტევებდი" (ფ. 327რ). აქედან ჩანს, რომ „ცხრამეტეულად განტევების" პირველ სტადიაზე უნდა შეედგინათ დამხმარე ცხრილი, რომელშიც სხვადასხვა თანრიგის დამრგვალებული რიცხვებისათვის უკვე წინასწარ მოყვანილი იქნებოდა შესაბამისი ნაშთები. ზემოთ მოყვანილი მონა-

ცემების მიხედვით ქვემოთ მოგვყავს ეს ცხრილი. აქ პირველ სტრიქონში წარმოდგენილია დასახელებული „განსატევებელი“ რიცხვები, ხოლო შეორე სტრიქონში მათი ცხრამეტეულად განტევების შედეგად მიღებული ნაშთები. 1000-ის ქვემოთ ხაზით გამოყოფილი ნაშთის ორი მნიშვნელობიდან პირველი შუალედურ სტადიაზე მიღებულ რიცხვს წარმოადგენს, რომელიც შემდგომი „განტევებით“ მეორე, ძირითად მნიშვნელობაზე დაიყვანება:

20	40	50	100	1000
1	2	12	5	50|12

როგორც ვხედავთ, ეს, და საერთოდ ამ ტიპის ცხრილები, სხვადასხვა თანრიგის მხოლოდ დამრგვალებულ რიცხვებს უნდა შეიცავდნენ. ეს კი საკმაოდ მოხერხებული უნდა ყოფილიყო იმდროინდელი გამომთვლელებისათვის, რომლებიც ანბანური ნუმერაციით სარგებლობდნენ. ასორიცხვნიშნებით ჩაწერილ რიცხვში საკმაოდ ადვილად გამოსაყოფია მისი სხვადასხვა თანრიგის მქონე დამრგვალებული შემადგენლები. მაგალითისთვის ავიღოთ ჯერ თანამედროვე ციფრებით ჩაწერილი თარიღი „დასაბამითგან“ 6837 წელი, ე.ი. „ქრონიკონის“ დაწერის დრო. იგივე ჩანაწერი ასორიცხვნიშნებით არის **ხყლზ**, რაც ვიზუალურად თითქმის ისევე ალიქმება, 6837 რომ წარმოგვედგინა ამგვარი ჩანაწერით: 6000+800+30+7.

ცხადია, რომ ზემოთ მოყვანილი ცხრილი კონკრეტული შემთხვევებისათვის უკვე ამ კონკრეტიკის შესაბამისი რიცხვებით უნდა იყოს წარმოდგენილი. მაგალითად, თუ „ცხრამეტეულად განტევებისთვის“ ისევ 6837-ს ავიღებთ, მისი ცხრილის შემადგენლობაში უნდა შედიოდეს, ასე ვთქვათ, საყრდენი რიცხვები 6000, 800 და 30; მაშინ ცხრილის ერთ-ერთი ვარიანტი (გამომთვლელის ინდივიდუალური მანერის მიხედვით აქ შესაძლებელია საყრდენ რიცხვებამდე სხვადასხვა გზით მისვლა) შეიძლება ასეთი სახით წარმოვადგინოთ:

20	30	40	50	60	90	100	200	400	800	1000	2000	6000	6837
1	11	2	12	3	14	5	10	20|1	2	50|12	24|5	15	35|16

აქ მოყვანილი საყრდენი რიცხვების შესაბამისი ნაშთების შეკრებისას მიიღება 6837-ის ნაშთის შუალედური მნიშვნელობა, რომელიც ცხრილის მეორე ვერტიკალური ხაზით გამოყოფილ ნაწილში გვაქვს ჩაწერილი 35-ის სახით. რაც შეეხება საბოლოო მნიშვნელობას, მისი გათვლა სიძნელეს არ წარმოადგენს, ვინაიდან 35-ის შემადგენელი უდიდესი მნიშვნელობის დამრგვალებული ნაწილისათვის, ე.ი. 30-სთვის ისევე ცხრილის თანახმად ნაშთი 11-ს შეადგენს. ამ რიცხვის 5-თან (=35-30) შეჯამებით მიიღება დაყვანილი ანუ საბოლოო მნიშვნელობა რიცხვი 16-ის სახით. ვინაიდან ნაშთის იგივე მნიშვნელობა ჩვეულებრივი გაყოფის შედეგადაც მიიღება, შემოთავაზებული მეთოდიც გაყოფის წესს განეკუთვნება. მხოლოდ თანამედროვე გაყოფისგან განსხვავებით, ის არ ითვალისწინებს არასრული განაყოფის (ანუ განაყოფის მთელი ნაწილის) მიღებას და მხოლოდ ნაშთის გამოთვლით შემოიფარგლება. აღსანიშნავია, რომ მსგავსი შემთხვევა, როდესაც კალენდარულ-ქრონოლოგიურ ნაშრომში გაყო-

ფის მოქმედება განხილვის საგანგებო საგანს შეადგენს, საერთოდ არ არის ცნობილი ბიზანტიისა და მისი გავლენის ქვეშ მოქცეული ქვეყნების კალენდარულ პრაქტიკაში.

მომდევნო ფრაგმენტში განხილულია მზის ციკლის მახასიათებლის ხარება-შვიდეულის „შეცილებასთან" დაკავშირებული საკითხები. ამ შემთხვევაში „დასაბამითგან" წელთა რიცხვის „განტევება" უკვე „ოცდარვეულად" ხორციელდება. აბუსერისძე ჯერ იმეორებს ადრე აღნიშნულ მითითებას ხარება-შვიდეულის რიცხვითი მნიშვნელობების (1,2,3 და ა. შ.) კვირის დღეებთან (კვირა, ორშაბათი, სამშაბათი და ა. შ.) დაკანონებული შესაბამისობის შესახებ. შემდეგ კი აყალიბებს ხარება-შვიდეულის გამოსათვლელ რიტორიკულ ფორმულას. ფორმულის შედგენის შუალედური ეტაპები ამ შემთხვევაში ასე გამოიყურება (ოპერაციების სიტყვიერი განმარტების პარალელურად ვიძლევით მათ გამოხატულებას თანამედროვე სიმბოლოების საშუალებით):

1. „დასაბამითგან" წლების „ოცდარვეულად განტევებისას" მიიღება მზის წრის რიცხვითი სიდიდე--ე.ი. $S = \left|\frac{A}{28}\right|$, რომელსაც ამ ფრაგმენტში აბუსერისძე პირობით „დანამეტებს" უწოდებს.

2. ნაკიანი წლების გასათვალისწინებლად მოყვანილი მითითება: „ოთხეულთაგან თჳთო დღესა ზე აიღებდი", თანამედროვე მათემატიკური სიმბოლოებით ამგვარად გამოისახება: $\left[\frac{S}{4}\right]$ –აქ კვადრატული ფრჩხილი სწორი ფრჩხილებისგან განსხვავებით გულისხმობს, რომ ამ შემთხვევაში აიღება არა ნაშთი, არამედ მთელი ნაწილი, (ე.ი. არასრული განაყოფი). მიღებულ სიდიდეს აქ პირობით „ნაკი" ეწოდება.

3. მესამე სტადია „ნაკის" და „დანამეტების" შეჯამებას („დაჰმატებას") ითვალისწინებს („ოთხეულთაგან თჳთო დღესა ზე აიღებდი და მასვე ზედა დაჰმატებდი, რაჲსთენიცაღა ოცდარვეულსა დაჰმეტდებდეს")--რაც ასეთ გამოსახულებას მოგვცემს: $S + \left[\frac{S}{4}\right]$.

4. ბოლო სტადიაზე ამ ჯამს ანუ „დანამეტებსა ნაკებითურთ" შვიდეულად „განუტევებენ", რის შედეგადაც მიიღება ხარების საძიებელი მნიშვნელობა (a). თანამედროვე სიმბოლოებით საბოლოო ფორმულას ექნება ასეთი სახე:

$$a = \left|\frac{S + \left[\frac{S}{4}\right]}{7}\right|.$$

აქ ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ „შვიდეულად განტევებისათვის" აბუსერისძე საგანგებოდ აღნიშნავს „შჯდეულად ჰასრევე განუტევებდე, ვითარცა დასაწყისსა დამიწერია" (ფ. 327r). „ცხრამეტეულად განტევების" დაწვრილებით გადმოცემის შემდეგ ასეთი მითითება თითქოს უადგილო უნდა

იყოს, მაგრამ მინიშნებულ ადგილას (ე.ი. დასაწყისში მოყვანილი განმარტება) გვაფიქრებინებს, რომ აღნიშნულ მითითებას გარკვეული საფუძველი გააჩნია: აქ კვირის დღის გამოსათვლელ ფორმულასთან დაკავშირებით რეკომენდებულია არა მორიგი ფრაზა „შჯდეულად განუტევე", არამედ „შჯდეულად და შჯდეულად განუტევე" (ფ. 322r). „შვიდეულის" ორჯერ მოხსენიება წინადადებაში, რომელიც შემდეგ საგანგებოდ არის დამოწმებული, მხოლოდ იმ ფაქტზე უნდა მეტყველებდეს, რომ „განტევება" ამჯერად არა გაყოფის, არამედ მიმდევრობითი გამოკლების ოპერაციას გულისხმობს (როგორც ეტყობა, ერთეულოვანი თანრიგის გამყოფი რიცხვებისათვის და გასაყოფი რიცხვების მცირე მნიშვნელობებისათვის გამოსათვლელი წესებიდან იმ დროს გამოკლებას ეხმიჭებოდა უპირატესობა).

შემდგომ, 19-ის ანალოგიით „ოცდარვეულად განტევების" მექანიზმი არის განხილული. ამ შემთხვევაში დამხმარე ცხრილს ზოგად ფარგლებში ასეთი სახე აქვს:

30	60	100	1000	5000
2	4	16	20	100|16

ცხრილში ნაჩვენები ბოლო წევრი (5000) თუმცა ტექსტში პირდაპირ არ მოიხსენიება, მაგრამ მას გულისხმობს ოცების (ათასის ნაშთების) შეკრებასთან დაკავშირებული წინადადება: „და რაჲ ასათ გაჴდებოდეს, მაშინცა თექუსმეტსა წელიწადსა აიღებდი ოცდარვეულთა დანამეტებად" („ასი" კი მიიღება იმ ხუთი „ოცის" შეკრებით, რომელსაც ნაშთში იძლევა ხუთი 1000 ანუ 5000).

თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა აბუსერისძე ტექსტში გადმოცემულ გაყოფის წესს, ჩანს მომდევნო ფრაგმენტიდან. ამ წესით (ანუ „რიცხვებით") აბუსერისძის თანახმად, არა მარტო მიმდინარე წლის („ოროდენ წლეული წელიწადი") მონაცემების პოვნა შეიძლება („გეპოვნების"), არამედ ანალოგიური ამოცანა „დასაბამითგან" აღსასრულამდე (ე.ი. 7000 წლამდე) ნებისმიერი უკვე „გარდასრული" ან მომავალი („წინამდებარე") წელიწადისთვისაც გადაიჭრება. მისი განცხადებით, ამ წესით („ამ საქმით") „აღსასრულის" (ე.ი. 7000 წლის) შემდგომ მილიონობით („ბევრის ბევრეულისაცა") წლებსაც შეიძლება გადასწვდეს კაცის გონება, თუ ის ბუნების რეალობას არსებობის თვალსაზრისით მხედველობაში არ მიიღებს („უკუეთუ ბუნებასა რადმე შეაქცევდე"). ამ ანგარიშებით გამომთვლელი „რიცხვის სიმართლესაცა უკეთუე ცხადჰყოფს და შეუცილებლობასა", რამდენად დიდი პერიოდისათვისაც არ გამოიძიოს ვითარება („რაოდენისაცა ბევრისაჲ დასაბამობითგან გწადდეს,—თუ მაშინ ვითა იქნებისო"). ამასთან აბუსერისძე განუმარტავს თუ შეახსენებს მკითხველს რომ „ათჯერ ათასსა... ბევრი ჰქვიან" (ფ. 327v) და იქვე ანგარიშების პრაქტიკულად ჩატარებისათვის ბევრისთვის განკუთვნილ საყრდენ რიცხვებს იძლევა (ბევრის „ცხრამეტეულად განტევებისას" ნაშთი 6-ს შეადგენს, ხოლო ოცდარვეულად განტევებისას—4-ს).

განხილულ ფრაგმენტს უშუალოდ მოსდევს რამდენიმე წინადადება, რომელთა შინაარსიც კალენდარული მონაცემების ბიბლიურ ცნობებთან შესაბამი-

სობაში მოყვანის საინტერესო ცდად უნდა ჩაითვალოს. მთვარის ციკლის მახასიათებლის გამოთვლისას „დასაბამითგან“ წლების „ცხრამეტწულად განტევება“ აბუსერისძის მითითებით ამ წლების ერთი წლით დაკლებული მნიშვნელობისთვის უნდა ჩატარდეს. მიზეზად დასახელებულია ბიბლიური ცნობა, რომლის თანახმადაც მნათობები ღმერთმა ქვეყნის შექმნიდან მეოთხე დღეს გააჩინა „განმყოფელად დღისა და ღამისა ჟამთა და წელიწადთა“ (შდრ., დაბადება, 1, 14). მაშასადამე, 11-დღიანი განსხვავების ფაქტორს მზისა და მთვარის წელიწადებს შორის მხოლოდ მეორე წელიწადის დასაწყისისთვის უნდა ეჩინა თავი და შესაბამისად ზედნადების „ამოქმედებაც“ ამ დროიდან უნდა დაწყებულიყო. აქედან გამომდინარე, ეს ფაქტი შესაბამისად უნდა ასახულიყო კალენდარულ გამოთვლებში და აბუსერისძეც სწორედ ამასთან დაკავშირებით უცხადებს მკითხველს: „რომლისა მიზეზისათჳს თჳთო წელიწადი დავანაკლულე“. აქ აბუსერისძე თუმცა პირდაპირ არ ამბობს, მაგრამ აშკარად მიანიშნებს, რომ ბიბლიისეულ ცნობასთან ზედნადების ქართული და არა ბიზანტიური სათვალავი არის შესაბამისობაში (ქართული სათვალავით ზედნადების რიცხვითი მნიშვნელობა ციკლის პირველ წელს ნულია, ე.ი. ის არ არსებობს და მეორე წელს კი 11-ს შეადგენს მაშინ, როდესაც ბიზანტიური ციკლი უშუალოდ 11-ით იწყება).

„დასაბამითგანი“ წლებით სარგებლობისას, გამომთვლელს შედარებით დიდი რიცხვებით ოპერირება უხდებოდა, რაც აღნიშნული გაყოფის წესის ცოდნის მიუხედავად, არ გამორიცხავდა გამოთვლით პროცესში მთელი რიგი გართულებების აღძვრას. როგორც ეტყობა ეს გარემოება აქვს მხედველობაში აბუსერისძეს, რომელიც ურჩევს მკითხველს „დასაბამითგანი“ წლებით ანგარიშის გაძნელებისას („უკუეთუ დასაბამობითგანთა წელთა პყრობაჲ გეწყინებოდის“), „ქრონიკონის“ წლების გამოყენებაზე გადავიდეს. ამასთან დაკავშირებით ის აღნიშნავს, რომ მოცემულ წელს შესაბამისი „დასაბამითგანი“ (შესატყვისი ქრონიკონის წლით) მას პასქალურ ცხრილში („დიდ ქრონიკონში“) აქვს შეტანილი (იხ. ფ. 317რ) და ყოველი წლის გასვლისას ამ საწყის თარიღს თითო-თითო წელი ემატება.

ქრონიკონის წელიც „ესრეჳ ოცდარვეულად და ცხრამეტწულად“ „განტევდება“, როგორც „დასაბამითგანი“ წელი. „ოცდარვეულად განტევებასთან“ დაკავშირებით აქ აბუსერისძეს მოყავს ზოგიერთი დამატებითი ცნობა: შვიდეული 28 წელს ისევე „გააწევს“, როგორც 19 წელს „დიდი მცხრალი ზედნადებითურთ და ხუთეულ-ექუსეულითურთ“. ამ ციკლის ყოველი 4 წლიდან პირველი სამი უნაკო წლებზე მოდის, მე-4 ნაკიანზე. ხარება––შვიდეული ოთხწლეულის პირველ უნაკო წელს კვირას თანხვდება ციკლის დასაწყისში და შაბათით მთავრდება 28-ე ნაკიან წელიწადს. აბუსერისძე აღნიშნავს, რომ პასქალურ ცხრილში ეს ვითარება ზუსტად აისახება: ხარება-შვიდეულისათვის პირველ სტრიქონში ასორიცხვნიშანი ა(1) არის მოთავსებული, ხოლო 28-ე სტრიქონში ზ(7). ერთი 28-წლიანი ციკლის თითოეული წევრი მეორე ციკლის შესაბამისი რიგითი ნომრის წევრს თანხვდება ანუ „ემოწმების“. თითოეული წევრის ამგვარ თანხვდენაში მკითხველი შეიძლება დარწმუნდეს ორივე

ციკლში თითების სინქრონული ჩამოყოლებით. იგივე მანიპულაცია შეიძლება ჩატარდეს „დიდი მცხრალის“ მნიშვნელობების მიმართაც, რომლებიც მე-5 სვეტშია ჩამოწერილი და „რომელნი ჩათუალვითა ცხრამეტ სტიქონამდე გააწევენ“.

შემდეგ აბუსერისძე აუწყებს მკითხველს, რომ, როგორც „ოცდარვაჯერ იქცევის ცხრამეტეული“, ისე „ოცდარვაჯ ცხრამეტზე“. ამ ორი ციკლის ნამრავლი იძლევა 532 წელს, რომლის დასაწყისიდანვე („თავსა“) იწყება ორივე ციკლი და ისინი მეოცე სტრიქონიდან „გაიყრებიან“, ვინაიდან ამ სტრიქონიდან მთვარის ახალი ციკლი იწყება. ხოლო ქრონიკონის „დასრულებასას“ ამ ციკლების „ბოლონი ერთგანვე შეიყრებიან“, რითაც ადასტურებენ იმავე კანონზომიერებით უკვე ახალ დიდ ციკლში მათ ერთდროულად დაწყებას. 532-წლიან ციკლში 28 და 19-წლიანი ციკლების სრული თავსებადობა თავის მხრივ განაპირობებს ამ ციკლების წრეების გამოსათვლელად როგორც „დასაბამითგანი“, ისე ქრონიკონული წლების გამოყენებას. ამ საკითხებთან დაკავშირებით („ამის ჯერისათჳს“) როგორც აბუსერისძე აღნიშნავს, იოანე შავთელს „შეწყობითა იანბიკონთაჲთა კეთილად და ღმრთივშუენიერად“ „წარმოუჩენია“ განსახილველი პრობლემა.

თავის ბოლოს აბუსერისძე მიუთითებს მკითხველს, რომ თითით „მიჩუქნების“ ნაცვლად ცხრილის თავისებურებებში გარკვევა მას შეუძლია ჩიტისთვალების საშუალებით, რომლებიც საგანგებოდ დასმულია „ყოველთავე განსაყოფელთა ოცდარუჱულისა და ცხრამეტეულისათა“.

„ძიებისათვის და შემოწმებისა ბერძენთა და ქართველთა სათუალავისა“ (10). ეს თავი წარმოადგენს მთელი თხზულების ცენტრალურ და შემაჯამებელ თავს, რომელშიც, აბუსერისძის ჩანაფიქრით, უკვე სათანადოდ მომზადებულ მკითხველს პასუხი უნდა გაეცეს თხზულების დასაწყისში დასმულ კითხვებზე. ვინაიდან ამჯერად აბუსერისძის განმარტებები საყოველთაოდ ცნობილ ჭეშმარიტებებთან ერთად საკუთრივ მის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს ეფუძნება, მთელი თხზულების მეცნიერულ-კვლევითი ნაწილი ძირითადად ამ თავში არის მოქცეული. ამ ვითარებას ასახავს სათაურიც, რომლის სიტყვებიც „ძიება და შემოწმება“, უკვე პირდაპირ მიუთითებს გადმოსაცემი მასალის ხასიათზე.

ტექსტი იწყება ავტორის უშუალო მიმართვით მკითხველისადმი, რომელსაც სურს გაერკვეს, თუ რატომ უსწრებს ბერძნულ წელთაღრიცხვას 96 წლით ქართული, რომლის შემოღებაც ჩვენი უცოდინარობის გამო საჭიროდ მიიჩნიეს წინაპრებმა („იგი სისულელისა ჩუენისა გასაგონებლად საჭირო უჩნდა წმიდათა ღმრთისათა“) და რომელიც შემდგომში უფლის განგებას მიაწერეს („მის მხოლოჲსავე კაცთმოყუარისა ცოდინსა ოდენ მიაჩემეს“) და არა მათ შემოქმედებას („არღარა მათსა მეცნიერებასა“). ამიტომაც აბუსერისძე გასაკვირად არ მიიჩნევს „მათგან დატოვებულისა ნეშტისა“ ხელყოფას და ხატოვანი გამოთქმაც კი მოაქვს თავის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით (ერთი გამოთქმა სახარებისეულის პერიფრაზს წარმოადგენს—იხ. მათე 15, 27; ხოლო მეორე ძალზე უახლოვდება რუსთველის ცნობილ აფორიზმს და

უფრო მეტად კი „ქართლის ცხოვრებაში“ დადასტურებულ ფრაზას: „ვითარცა მზე სწორ--პატიობით ყოველთა ზედა განუტეობდა ნათელსა თჳსთა შარავანდედსა“ —იხ. „ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 147).

საკითხის უშუალოდ განხილვას აბუსერისძე იწყებს ბერძნული მონაცემებით, რომელიც მას შემდგომში ქართული სისტემის შესამოწმებლად სჭირდება. ბერძნული „დასაბამითგანი“ წლები, „უნაკლულესნი ქართველთა სათუალავისასა“, მოცემული დროისათვის 6741 წელს შეადგენს. ავტორი მკითხველს თავაზობს მის „ცხრამეტეულად განტევებას“, რათა მიღებული ნაშთის („დანამეტების“). საშუალებით გამოთვლილი იქნეს ზედნადები. ამ მახასიათებლის სიტყვიერი ფორმულა, რომელიც მას მე-9 თავშიც აქვს გადმოცემული (რის შესახებაც თვითონ მიუთითებს: „ვითარცა—ესე ზემოჲთ დავწერე“), თანამედროვე სიმბოლოებით ასე არის წარმოდგენილი: $z = \left| \begin{array}{cc} 11 & A \\ & 19 \\ 30 & \end{array} \right|$ ისევე როგორც მე-9 თავში (იხ. ფ. 326v), აქ ყურადღება ექცევა ციკლის XVII-XIX რიგითი ნომრებისათვის ზედნადების ერთი დღით ცვლილების ფაქტს. ამ ცვლილების მიზეზად დასახელებულია 19 წლიან ციკლში („ცხრამეტეულსა“) „ერთგზის“ მთვარის წელიწადის („მთუარეთა“) 12 დღით დაკლება მზის წელიწადთან შედარებით („წელიწდსა დღეთა ოდენობად“), რაც განპირობებულია იმ გარემოებით, რომ მთვარის თვის ხანგრძლივობა სინამდვილეში 29,5 დღეზე ნაკლებია („მთუარე ოცდაცხრა დღედ და ნახევრად ვერა სრულებით განაწევს“). თუ ისხულების წინა ნაწილში მკითხველის „ადვილად უწყებისათჳს“ ეს მონაცემები ზუსტად 29,5 დღედ იყო წარმოდგენილი („დაღაცათუ ზემოჲთ გაწევნად დავწერე“), სინამდვილეში მას „მარცვალნი და კერატნი დააკლდებიან, გინა ჟამი რადმე“. მარცვალი აქ ძველად გამოყენებულ და 12 წუთის შემცველ დროის საზომ ერთეულს აღნიშნავს. კერატი ჩვენი აზრით მარცვლის მეხუთედი ერთეული უნდა იყოს და $2\frac{2}{5}$ წუთს უნდა შეიცავდეს[1]. სწორედ ეს გაუთვალისწინებელი დანაკლები აბუსერისძის თანახმად 19 წელიწადში მთელ ერთ დღე-ღამეს შეადგენს, რაც შესაბამისად აისახება ზედნადების 12-დღიან ნახტომში. მე-16 მთვარის წრიდან მე-17 მთვარის წრეზე გადასვლისას პირველის შესაბამისი ზედნადები, რომელიც 26-ის ტოლია, მე-17 მთვარის წრისათვის უკვე 7 კი არ იქნება, როგორც ამას მოითხოვს 11-დღიანი გადასვლა, არამედ 8 („არღარა შჯდი ოდენ დაჰმეტდეს ზედნადებად, რომელ რვაჲ იყოს მის წელიწდისა ზედნადები“). ამ თორმეტდღიანი კლების გარდა („თჳნიერ ამისსა“) მთვარის დღეთა 11-დღიანი მუდმივი კლება მე-19 წლის ბოლო 210 დღეს იძლევა ჯამში (12+18×11=210), რომელიც „ოცდაათეულად უნაშთოდ „განტევდება“. აქვე მითითებულია, რომ ამ რიცხვიდან ერთის გამოკლებით მიღებული რიცხვი

[1] ბიზანტიურ პრაქტიკაში, კირიკ ნოვგოროდელის ცნობით, დროის საზომი მცირე ერთეულები საათის და უფრო მცირე ფრაქციების ხუთზე მიმდევრობითი გაყოფით მიიღებოდა (იხ. Р. А. Симонов "Кирик Новгородец" М., 1980 გვ. 100) ამ ხუთობითი პრინციპის საფუძველზევე უნდა იყოს შემუშავებული ქართული „მარცვალი“, როგორც საათის მეხუთედი და „კერატი“ როგორც „მარცვლის“ მეხუთედი ნაწილი.

209 თავის მხრივ ხუთეულებისა და ექვსეულების ჯამს შეიცავს (19×5+19×6= 95+114=209). ტერმინი „განყოფა“ ამ შემთხვევაში ორ ტოლ ნაწილად დაშლას კი არ გულისხმობს, არამედ მის დანაწევრებას არა აუცილებლად ტოლ შემადგენლებად, კონკრეტულად კი 95-ად და 114-ად[1].

შემდეგ ბერძნულ მთვარის ციკლთან მიმართებაში განხილულია ქართული „სათუალავი“, რომელიც მიზნად ისახავს ამ უკანასკნელის შემოწმებას და პასუხის გაცემას კითხვაზე: „თუ ვითარ და რაჲთა მიზეზითა“ ეს ორი სათვალავი თანხვდება ერთმანეთს („ერთბამად შეიყრების და შეუცილებელად“). ამ საკითხს აბუსერისძე კონკრეტული მაგალითების საშუალებით აშუქებს: ბერძნული „დასაბამითგანი“ წლების შესაბამისი რიცხვი 6741 და 96 წლით „დაძეტებული“ ქართულის შესაბამისი 6841 იყოფა 19-ზე მთვარის წრის (მთვარის 19 წლიან ციკლში რიგითი ნომრის) გამოსათვლელად. მთვარის წრე ანუ „ციკლისი“ (ამ შემთხვევაში, ისევე როგორც წინ, ეს ტერმინი მთვარის წრის ცნებას გამოხატავს—შდრ. ფ. 326v) ბერძნულისთვის 15-ს, ხოლო ქართულისთვის 16-ს შეადგენს. თუ ქართული მონაცემიდან ერთს გამოვაკლებთ („შენ ერთი მისგანიცა განუტევე“), ეს იმავე მოქმედების ტოლფასია, რომ 96 წლიანი ინტერვალი 95-ზე იქნეს დაყვანილი („რომელ ოთმეოცდათხუთმეტთა წელთა უმეტესთა ვიპყრობდეთ და არა ათექუსმეტთა“). 95 წელიწადი კი 19-ზე უნაშთოდ იყოფა („რომელ არცა რაჲ დააკლდების და არცა დაჰმეტდების“) და აქედან გამომდინარე აბუსერისძის ზოგადი განცხადებით მთვარის ციკლზე დამყარებული „დიდი მცხრალი“ ქართული და ბერძნული სათვალავით ერთმანეთს „ამით ეწამების“ (ცხადია, აქ იგულისხმება ერთდაკლებული ქართული „დასაბამითგანი“).

ამ ზოგად განცხადებას მოჰყვება კონკრეტული დასაბუთება, რომელიც „დიდი მცხრალის“ ბერძნული და ქართული გამოსათვლელი მეთოდების თავისებურებებსა და ურთიერთმიმართებას ეხება.

ბერძნულ და ქართულ სათვალავებში „დიდი მცხრალის“ თანხვდენის ფაქტის კონკრეტულად ჩვენებისათვის აბუსერისძეს ჯერ მოჰყავს ამ კალენდარული მახასიათებლის გამოთვლის ბერძნული წესი. ეს წესი სიტყვიერი ანუ რიტორიკული ფორმულის სახით არის გადმოცემული, რომელიც თანამედროვე სიმბოლოებით შეიძლება ასე წარმოვადგინოთ:

$$C = 50 - (Z + 6), \text{ როდესაც } (Z + 6) = 20 \div 30$$

$$C = 50 - \left[(Z + 6) + 31\right] \text{ როდესაც } (Z + 6) < 20$$

$$C = 50 - \left[\left|\frac{Z + 6}{30}\right| + 31\right] \text{ როდესაც } (Z + 6) > 30$$

---

[1] ძველად „გაყოფის“ ორი მნიშვნელობით ხმარების შესახებ იხ. „Начала Эвклида.“ т. VII-X М.-Л., 1948, გვ. 264.

აქ C——„დიდი მცხრალის“ თარიღის რიცხვითი მნიშვნელობაა (ე.ი. იგივე „ცამეტორი“ ქართული ტერმინოლოგიით), ხოლო მისი შესაბამისი თვე (ე.ი. მარტი ან აპრილი) შეირჩევა 20 რიცხვთან დამოკიდებულების პრინციპით. კერძოდ, თუ C>20 ანუ, რაც იგივეა, რომ 50-ის მაკლებს „ორმეოცდაათამდე ოცდარაოდენიცა დააკლდეს“, მაშინ აიღება მარტი, ხოლო თუ C<20 („რაოდენიცა ოცისგან უმცირესი დააკლდეს ვიდრე ორმეოცდაათადმდე“)——მაშინ აპრილი.

მეორე ფორმულის კვადრატულ ფრჩხილებში შეტანილი რიცხვი 31 მარტის დღეთა რაოდენობაა (ტექსტში „მარტი“ ზოგჯერ ამ რიცხვს გულისხმობს). მესამე ფორმულაში გამოყენებული სწორი ფრჩხილები კი ნიშნავს, რომ z+6, რომელიც ამ შემთხვევაში ყოველთვის 30-ზე მეტია, „ოცდაათეულად“ უნდა იქნეს „განტევებული“.

ქართული სათვალავის შესამოწმებლად ჯერ ზედნადები გამოითვლება „დასაბამითგანი“ წლების „ცხრამეტეულად განტევების“ შემდგომ. აქ აბუსერისძე პირველად იძლევა ქართული ზედნადების გამოსათვლელ რიტორიკულ ფორმულას (ადრე ის მხოლოდ ბიბლიურ ცნობასთან დაკავშირებით ზოგადად მოიხსენიებს ამ კალენდარული მახასიათებლის მიღების წესს ქართული ერთდაკლებული „დასაბამითგანი“ წლების მეშვეობით. იხ. ფფ. 327v-328r). თანამედროვე სიმბოლოებით ამ ფორმულას შემდეგი სახე აქვს: $Z = \left| \frac{11 \times (L - 1)}{30} \right|$

ამის შემდეგ ბერძნულ წესზე გადართვით, მიღებულ ზედნადებს ემატება 6 და „დიდი მცხრალის“ თარიღისა და თვის გამოთვლა უკვე ზემოთ მოყვანილი ფორმულებით ხორციელდება. ხოლო „უკუეთუ ბერძულსა და ქართულსა არა შეაწამებდე“, მაშინ ქართული „დასაბამითგანი“ წლების „ცხრამეტეულად განტევებისას“ მიღებულ ნაშთს ერთს აღარ აკლებენ და უშუალოდ ცამეტორის ცხრილში ეძებენ მის შესაბამის მნიშვნელობას.

ქართული და ბერძნული სათვალავების „განყოფის“ მიზეზად აბუსერისძე ასახელებს იმ გარემოებას, რომ „დასაბამითგანი“ წლების „ოცდარვეულად“ განტევებისას ქართული სათვალავით „ხარება იპოვნების“, ხოლო ბერძნულით „ხარებისა წინა დღეს ჰპოებენ“. აბუსერისძე აქვე იმეორებს ხარება-შვიდეულის მისაღებ რიტორიკულ ფორმულას, რომელიც მას ზემოთ ჰქონდა გადმოცემული (იხ. ფ. 327r). აქვე გადმოსცემს ის ბერძნულ წესსაც, რომელიც ზუსტად თანხვდება ქართულს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ერთი და იგივე რიცხვითი სიდიდის მქონე ამ ორი შვიდეულიდან ერთის მნიშვნელობა 25 მარტთან, ხოლო მეორის ——24 მარტთან არის დაკავშირებული (მაგ. თუ ქართულში ხარება 1-ის ტოლია, ეს ნიშნავს, რომ 25 მარტი კვირაა, ხოლო თუ ბერძნულით შვიდეული 1-ის ტოლია, მაშინ აქ 24 მარტის კვირასთან დამთხვევის ფაქტი იგულისხმება). აქედან გამომდინარე აბუსერისძე აღნიშნავს, რომ ქართული „დასაბამითგანი“ წლებით ხარების წინა დღის, ე.ი. ბერძნული შვიდეულის გამოსათვლელად, ამ „დასაბამითგან“ წლებს 96 წელი უნდა გამოაკლდეს.

შემდეგ აბუსერისძე ამ 96 წელთან კავშირში განიხილავს „დასაბამითგან“ 96-ე წელს, რაც ქრონიკონითაც 96-ს შეესაბამება. „ცხრამეტეულად განტევებისას“ 95 წელიწადი, აბუსერისძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ცხრამეტეულად წარვალს“, ე.ი. როგორც სრული ციკლების შემცველი რიცხვი (19×5) „განტევდება“, ხოლო დარჩენილ ნაშთს–1-ს ცამეტორის ცხრილში 13 აპრილი ესადაგება.

ქართული წელთაღრიცხვის 97-ე წელს შეესაბამება ბერძნული „დასაბამითგანი“ წლების დასაწყისი („აქა ბერძენნი სოფლისა დასაბამად იწყებენ...“). ბერძნული წელთაღრიცხვით პირველი წელი, ფაქტობრივად, იმავე კალენდარული მახასიათებლების მნიშვნელობით არის წარმოდგენილი, რაც ქართული წელთაღრიცხვით 97-ე წელი. ზედნადები ამ დროს 11-ია. შესაბამისად ჯამი, რომელიც „დიდი მცხრალის“ გამოსათვლელად გამოიყენება 48-ს შეადგენს (11+6+31) და ვინაიდან მას „ორმეოცდაათამდე ორი დააკლდების, ამისთჳს აპრილსა ორსა სცხრების მთოარე“ (ფ. 332v). ხოლო რაც შეეხება შვიდეულს, ის აბუსერისძემ უკვე მოიხსენია წინა წინადადებებში, როდესაც 97-ე წლისათვის აღნიშნა, რომ „ხარებაჲ ორშაბათსა დღეს იპოების და წინა დღე კჳრესა“ (ფ. 332v).

მთვარის ახალი ციკლი, ბერძნული აღრიცხვით რომ მეოცე წელიწადს დაიწყება, ქართული სათვალავით ის 116-ე წელს შეესაბამება. ეს ინტერვალი მუდმივად დარჩება და 97-ე (ბერძნულით პირველი) წლიდან მოყოლებული „ქრონიკონის“ შედგენის თარიღამდე („და მას წამოღმა ვიდრე წლეულამდე“), გამოთვლები ორივე წესით შეიძლება ჩატარდეს.

ქართული წესით ქართული „სათვალავის“ ანუ „დასაბამითგანი“ წლების რიცხვის „ცხრამეტეულად განტევების“ შედეგად ჯერ მიიღება შესაბამისი მთვარის წრის სიდიდე („დანამეტები“), შემდეგ კი ამ სიდიდის მეშვეობით ცამეტორის ცხრილში („დანამეტებსა ცამეტორითა ჩასთულიდი“) „დიდი მცხრალის“ საძიებელი მონაცემი დგინდება.

ბერძნული წესით იგივე „დიდი მცხრალი“ ასევე „ცხრამეტეულად განტევების“ ოპერაციის გამოყენებით, მაგრამ შუალედურ სტადიაზე მიღებული ზედნადების საშუალებით გამოითვლება. პარალელურად შეიძლება ანგარიში ქართული „დასაბამითგანი“ წლების გამოყენებითაც ჩატარდეს. მხოლოდ ამ შემთხვევაში ეს ამოსავალი სიდიდე ერთი წლით უნდა იყოს შემცირებული („ერთისა წელიწდისა დაკლებითა“). აქაც აბუსერისძე აღნიშნავს, რომ ეს პარალელური ანგარიში ქართული სისტემის შემოწმებას ისახავს მიზნად („ქართულსაცა შეამოწმებდე“). ერთი წლის დაკლებასთან დაკავშირებით ის კვლავ იმეორებს, რომ ეს ღონისძიება ქართულ-ბერძნული წელთაღრიცხვების 96-წლიანი ინტერვალის 95 წლამდე ანუ მთვარის სრული ციკლების შემცველ სიდიდემდე დაყვანას ისახავს მიზნად (95-წლიანი ინტერვალის გამოყენებისას აბუსერისძის სიტყვებით „ცხრამეტეულნი არღარა მოიშალნენ“, რასაც ადგილი აქვს 96 წლის „შეძენისას“).

„დიდი მცხრალის“ თარიღის დადგენის შემდგომ აბუსერისძე გადადის ამ

თარიღის კვირის დღის გამოანგარიშების საკითხზე, რომლითაც ფაქტობრივად პასუხი უნდა გაეცეს ჯერ კიდევ თხზულების დასაწყისში (ფ. 319r) დასმულ მთავარ კითხვას „თუ რადღა ერთითა კალიბითა იარების მარხვაჲ ბერძენთაჲ და ჩუენი“. ბერძნული წესით კვირის დღის გამოსაანგარიშებლად აბუსერისძე მკითხველს თავაზობს უკვე კარგად ცნობილი გამოთვლითი ოპერაციების ჩატარებას. „დიდი მცხრალის“ თარიღს („რავდენსა აპრილსა მთოვარე სცხრეს, გინა მარტსა“) უნდა დაემატოს ბერძნული შვიდეულისა და ოქტომბრის თვიდან „დიდი მცხრალის“ წინა თვის ჩათვლით ათვლილი დღეთა რიცხვები. ბერძნული შვიდეული, მითითების თანახმად ––„ხარებისა წინა დღეც დაათუალე იმით წესითა პოვნილი“, გამოითვლება ზემოთ მოყვანილი ფორმულის $a = \left|\frac{S + \left[\frac{S}{4}\right]}{7}\right|$ მიხედვით. რაც შეეხება დასამატებელ დღეებს, მათთან დაკავშირებით ჯერ მოყვანილია ზოგადი მითითება: „ოკდონბერისა დაწყებითგან გარდასრულნი თუენი ზედავე დაათუალენი, და შჯდეულად განუტევე, მის თჯსა ჰაგზომითურთ, რაზომსაცა მთოვარე სცხრეს“. აქ მხოლოდ ოქტომბრიდან ათვლილი სრული თვეების დღეთა ჯამი იგულისხმება, ხოლო შვიდეულად განტევება „მის თჯსა ჰაგზომითურთ“ უკვე სამივე მახასიათებლის (ე.ი. შვიდეულის, დღეთა ჯამის და ორჯერ დასახელებული „დიდი მცხრალის“ თარიღის) ჯამს ეხება. ამაზე მიუთითებს მომდევნო წინადადებაც, რომლის თანახმადაც „შჯდეულსა რაჲცა დაჰმეტდეს“, ეს იქნება ცხრომის თარიღის კვირის დღე („იგიცა დღე არს ცხრომისაჲ“). საკუთრივ დღეთა ჯამის შვიდეულად განტევების საკითხს აბუსერისძე მხოლოდ ამის შემდგომ აზუსტებს. აქაც ისევე როგორც დღისაძიებლისადმი მიძღვნილ მე-6 თავში თვის 30 ან 31 დღის რიცხვის ნაცვლად რეკომენდებულია შესაბამისად 2 ან 3 რიცხვის აღება. მხოლოდ ამ განმარტებაში უკვე სიახლეა შემოტანილი. მე-6 თავში „დღისსაძიებლის ნაცვლად“ ამ დაყვანილი რიცხვების ჯამი ანუ „ანაკრები“[1] იყო გათვალისწინებული (იხ. აქვე, ფ. 324v). აქ კი უკვე თვით დღისსაძიებელი იგულისხმება, ვინაიდან დაყვანილი რიცხვების ჯამის ანუ „ანაკრებთა“ შვიდეულად განტევებით („ამათ ანაკრებთაცა შჯდეულად განუტევებდი“) სწორედ ეს მახასიათებელი მიიღება (ასე რომ, აქ აბუსერისძეს ფაქტობრივად ჩამოყალიბებული აქვს დღისსაძიებლის გამოსათვლელი მეორე წესიც).

მოყვანილ განმარტებასთან ერთად აბუსერისძე კვლავ მოიხსენიებს იმ სამ შესაკრებს, რომელთა ჯამის შვიდეულად განტევებით უნდა იქნეს მიღებული „დიდი მცხრალის“ თარიღის კვირის დღე („ამ ანაკრებთაცა შჯდეულად განუტევებდი, და რაჲცა დაჰმეტდეს, დიდსა მცხრალსა ზედა დაურთევდი, ხარებისა წინადღითურთ, რომელსაცაღა დღესა იყოს“).

მომდევნო წინადადებაში იგივე გამოთვლები უკვე ქართული სისტემისათ-

---

[1] „ანაკრები“, რომელიც აქ ჯამის მნიშვნელობით იხმარება, ამავე დროს ტერმინადაც გამოიყენება თვეთა ზედნადებთან მიმართებაში.

ვის არის რეკომენდებული: „და უკუეთუ ქართულად გინდეს, ხარებითა ძებნე დიდი მცხრალი ისე კალიბად პოვნილითა“. ბოლო ფრაზა––„ისე კალიბად პოვნილითა“ „დიდი მცხრალის“ თარიღის კვირის დღის იმ გამოსათვლელ წეს-ფორმულას გულისხმობს, რომელიც ჯერ კიდევ მე-3 თავში („უწყებაჲ დიდისა მცხრალისაჲ...“) იყო მოყვანილი (ფფ. 321v-322r).

ამ ორი ფორმულით ერთდროულად გამოთვლითი პროცედურის ჩატარებას, რაც უშუალოდ მკითხველს ეკისრებოდა, ეს უკანასკნელი თავისთავად უნდა მიეყვანა თხზულებაში დასმული მთავარი კითხვის პასუხამდე. ავტორს შეეძლო ეს თვითონაც გაეკეთებინა თუნდაც ქართული „დასაბამითგან“ 97 და მისი შესატყვისი ბერძნული 1-წლის მაგალითზე, რომელთათვის მითუმეტეს ზოგიერთი საჭირო რიცხვითი მონაცემი უკვე მოყვანილი იყო ტექსტში. კერძოდ, ამ მონაცემებით ქართულ 97 წელს შეესაბამებოდა ხარება–შვიდეული(a) 2-ს და „დიდი მცხრალი“ 2 აპრილს, ხოლო ბერძნულ 1 წელიწადს შვიდეული(a^1) 1-ს და ცხადია, იგივე „დიდი მცხრალი“ 2 აპრილს. რჩებოდა მხოლოდ დღისსაძიებლების რიცხვითი მონაცემების დასახელება, რომელიც აპრილის თვისათვის ქართულ სისტემაში 6-ს, ხოლო ბერძნულში 7(≡0)-ს შეესაბამება (იანვრიდან და ოქტომბრიდან ათვლილი ეს კოეფიციენტები მკითხველს ზეპირადაც უნდა სცოდნოდა). ამ ორი სამეულის შედარებით მკითხველს თვალსაჩინოდ შეეძლო დაენახა, რომ ბერძნულთან მიმართებაში ქართული ხარება–შვიდეულის „ერთმეტობას“ (a-a^1=2-1=1), დღისსაძიებლის „ერთნაკლებობა“ აკომპენსირებს (d-d^1=6-7=-1), ხოლო საერთო ჯამი ორივე შემთხვევაში ტოლია და უდრის 3-ს (ე.ი. $a+c+d=2+2+6=10\equiv 3$ და $a'+c+d'=1+2+7=10\equiv 3$). 2 აპრილის სამშაბათთან შესაბამისობა (K=3) კი უახლოეს კვირამდე დღეების გადათვლით ორივე სისტემისათვის აღდგომის დღესასწაულის ერთი და იმავე თარიღს––7 აპრილს იძლევა.

ამ კონკრეტული სქემის ბოლომდე მიყვანის ნაცვლად, როგორც აღვნიშნეთ, აბუსერისძემ უმჯობესად მიიჩნია მაორიენტირებელი ზოგადი ცნობების მოყვანა, რათა მათი საშუალებით მკითხველს დამოუკიდებლად ჩაეტარებინა გამოანგარიშებები და სათანადო დასკვნებიც გამოეტანა. ამიტომაც მკითხველისათვის უკვე არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა მის წინაშე დასმული ამოცანის დაძლევა. მითუმეტეს, რომ მთელი გამოანგარიშებების პროცედურა მხოლოდ „დიდი მცხრალის“კვირის დღის გამოსათვლელი წეს-ფორმულის ორი ვარიანტის $K = \left|\frac{a + c + d}{7}\right|$ და $K = \left|\frac{a' + c + d'}{7}\right|$ რიცხვითი მონაცემებით შემოწმებასა და ურთიერთშეჯერებაზე დაიყვანებოდა.

მას შემდეგ, რაც თხზულებაში დასმულ მთავარ კითხვას პასუხი ასეთი სახით გაეცა, ავტორი საჭიროდ თვლის მკითხველის ყურადღების გამახვილებას მთელ რიგ საკითხებზე, რომლებიც ამ უკანასკნელმა საერთოდ უნდა გაითვალისწინოს პასქალურ-კალენდარული გამოანგარიშებების ჩატარებისას.

თუ ოცდარვეულად და ცხრამეტეულად „განტევებისათვის“ გამომთვლელს „დასაბამითგან“ ათვლილი მიმდინარე წლის რიცხვი არ ახსოვს („თუ დაგვიწყდებოდეს“), მაშინ მან პასქალური ცხრილის აშიაზე მოყვანილი ავტორისეული მონაცემით უნდა ისარგებლოს („ესე სიტყვაჲ დიდისა ქრონიკონისა პატივსა ზედა დამიწერია, რომელ დასაბამითგან ბერძულითა წელს ექუს ათას შჯდას ორმოცდაერთნი წელნი და ქართულად ექუს ათა რვაას ოცდაჩჯდმეტნი..“). ჩანაწერში მოყვანილი ეს თარიღები შემდგომი წლების ათვლის საწყისადაც შეიძლება გამოდგეს („ვითარცა წელნი გარდაჴდებოდენ, ზედა მიათუალიდით“). თუმცა იქვე, საკითხებში ღრმად ჩაწვდომის მსურველს („ვისცა დასწავლაჲ გწადდეს“) ავტორი ურჩევს არ დაივიწყოს „არცა ბერძენთა სათუალავი და არც ქართველთასა“ და პასქალურ 532-წლიან ცხრილში ბერძენთა წელთაღრიცხვის დასაწყისი 97-ე წლიდან აითვალოს.

ერთგვარ შემაჯამებელ დასკვნად აღიქმება ავტორისეული შეგონების შემდგომი სიტყვები: როგორც ანბანის გარეშე არ შეიძლება კითხვის დაუფლება, ისე „თჯნიერ ამის ყოვლისა წულილადად და გამოძიებით დასწავლისა“ არ შეიძლება შემეცნება თუ „რაჲ შეჰყრის ერთგან“ ქართველთა და ბერძენთათვის აღდგომის დღეს. ქვეყნის დასაბამიდან 96 წლის გასვლის შემდგომ 97-ე წელს იწყება ბერძენთა წელთაღრიცხვა და აქედან მოყოლებული ისინი და ქართველები ერთად „იარებიან“. თუმცა „რომელთამე კაცთა სისულელისათჯს“ 96 წელიწადი ქართველთაგან „წინაძღომად დაწერეს“, მაგრამ, ვინაიდან ამ გარემოებას მოძრავი საეკლესიო დღესასწაულების თარიღების თანხვდენაზე რაიმე უარყოფითი გავლენა არ მოუხდენია, გაკვირვების გარდა „განსამარტებელი აღარაჲ დაწერეს სათუალაობის უმეტესობასა შინა“. აქვე შეხსენება, რომ „ქრონიკონი მეცამეტე ოთხასორმეოცდაცამეტი არს წელს“, ერთგვარად მიანიშნებს იმ ზღვრულ თარიღზე, სანამდისაც გრძელდებოდა საკითხის გაურკვევლობის პერიოდი.

ამის შემდეგ, აბუსერისძე უბრუნდება საკითხებს, რომლებსაც ის საგანგებოდ აღნიშვნის ღირსად მიიჩნევს.

პირველი ამ საკითხებიდან აღდგომის დღესასწაულის თარიღს შეეხება და მიზნად ისახავს აჩვენოს მკითხველს, თუ რამ განაპირობა მისი მოძრავი ხასიათი. აბუსერისძე ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ რამდენადაც ადრე ან გვიან არ უნდა იყოს აღება (ე.ი. დიდმარხვის დადგომის წინა დღე), აღდგომის დღესასწაული 22 მარტითა და 25 აპრილით შემოსაზღვრულ ინტერვალს არ გასცდება. სხვა საუფლო და წმინდანთა დღესასწაულების მსგავსად აღდგომაც რომ თვის უძრავ თარიღზე იყოს დამოკიდებული („უკუეთუმცა თჯსა დამოკიდებულ იყო“), მაშინ წლითი-წლად „ცხოველსმყოფელი ვნებაჲ“ აღარ იქნებოდა პარასკევს და რომელ დღესაც აბუსერისძის სიტყვებით „ექსორია ვიქმნენით, მასვე დღესა ჯერ-იჩინა ჴსნაჲ ჩუენი“. ამ უკანასკნელ წინადადებაში „ექსორია“ ეგვიპტიდან გამოსვლას, ხოლო „ჴსნაჲ“ ჩვენი ხსნისათვის მაცხოვრის ჯვარცმას გულისხმობს. ამიტომაც, „განგებულებით იქმნა“ ძველი და ახალი პასექის მცხრალზე დამთხვევა (ძველი პასექი—ებრაელთა

გამოსვლა ეგვიპტიდან, ხოლო ახალი პასექი—მაცხოვრის ვნება). მაგრამ ვინაიდან პასქალური მთვარე ყოველთვის პარასკევს არ ცხრება, ხოლო მაცხოვრის აღდგომა კვირა დღეს დაემთხვა (ლუკა, 24, 46), ბზობიდან დიდ შაბათამდე რომელიმე დღეზე „უცილობლად“ იქნება სჯულიერი პასექი.

მეორე საკითხად აბუსერისძეს წარმოდგენილი აქვს გადამწერებისათვის გასათვალისწინებელი რეკომენდაციები. რიცხვითი მნიშვნელობები პასქალური ცხრილის გარდა, სიტყვებით უნდა ჩაიწეროს, ხოლო თვით ცხრილი სრულად უნდა იქნეს გადაწერილი, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში მკითხველი ავტორისაგან „თქუმულისა ძალსა ვეღარას“ გაიგებს.

დაუშვებლად მიაჩნია აბუსერისძეს, აგრეთვე, მისეული მინაწერების („შეისწავეთას“) და ტექნიკური ნიშნების დაკლება ან პირიქით გადამწერისგან ახალი ნიშნების შემოტანა, კინკლოსური ჩანაწერების გაკეთება („ნუცაღა-რას თქუენ დასწერთ, თუ ამას წელიწადსა ესე რაჲ იქმნა და ეგე რაჲმე იქმნა“). წინააღმდეგ შემთხვევაში ეს დანამატი მასალა ავტორისეულ ნიშნებს გაერევა, რომლებსაც „საუწყებელი ეწამების“ და „ცუდ“ შედეგს მოიტანს ტექსტისთვის.

მომდევნო ფრაგმენტში აბუსერისძე საჭიროდ თვლის კიდევ ერთხელ დაუბრუნდეს მთვარის ნახტომთან დაკავშირებულ საკითხს („დაღაცათუ ესე სიტყუაჲ ერთგზის კუალადცა დამიწერია..“). სამწუხაროდ, ტექსტი აქ ისე ბუნდოვნად არის გადმოცემული, რომ ავტორის არგუმენტაციაში გარკვევა საკმაოდ გაძნელებულია. დარწმუნებით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ წარმოდგენილი განმარტება მცდარ ამოსავალ მონაცემებზე არის დაფუძნებული. კერძოდ, ისევე როგორც თავის დასაწყისში (იხ. ფ. 330r), აქაც მთვარის თვის ჭეშმარიტ ხანგრძლიობად 29,5 დღეზე ნაკლები დროითი ინტერვალი არის მიჩნეული („მთვარე ოცდაცხრად და ნახევრად არა განაწევს“). ამასთან ერთად 19-წლიანი ციკლის შემადგენლობაში ნაკიანი წლებიც არის გათვალისწინებული, მაშინ როდესაც ეს ციკლი სწორედ უნაკო წლების საფუძველზე არის შედგენილი (ამის შესახებ იხ. აქვე გვ. 172-173 და სპეციალური ლიტერატურა[1]). რჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ აბუსერისძეს შემოთავაზებული სქემისათვის წინასწარი საკონტროლო გამოანგარიშებები არ ჩაუტარებია და ამის გამო ნდობით მოჰკიდებია იმ მცდარ ამოსავალ მონაცემებს, რომლებიც რაოდენობრივი ფაქტორის დაზუსტების გარეშე ფორმალურად მართლაც იძლევიან მთვარის ნახტომის მიზეზის ახსნას.

თხზულებაში ერთი და იგივე საკითხების ხშირად გამეორების ტენდენცია რომ შემთხვევით მოვლენას არ წარმოადგენს, ამას თვით ავტორიც ადასტურებს ამავე თავის ბოლო ფრაგმენტში („ესე რომელ თჳთოეულისა ჯერისათჳს მრავალგზის დამიწერია“). იქვე მოყვანილი განმარტება, თუ რამ განაპირობა ეს თავისებურება, ამავე დროს საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის აბუსერისძის, როგორც ავტორისა და პედაგოგის შემოქმედებით ხელწერასთან დაკავშირებით. მთელი რიგი ადრე განხილული საკითხები („პირველად

[1] ე. პრედტეჩენსკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 26-27; ი. კლიმიშინი, დასახ. ნაშრომი, გვ. 77-78.

ამის წერასა შინა"), რომლებიც შემდგომში აბუსერისძეს გადმოცემის თვალსაზრისით არადამაკმაყოფილებლად მიუჩნევია, ხელახლა, მაგრამ ახლა უკვე სრულყოფილი სახით („უმჯობესად გულის ჴმა-ყოფილითა") ჩამოუყალიბებია და ამით, როგორც თვითონვე ამბობს, „ჩემგანვე ნაკლულევანი აღმომიკაზმავს". რაც შეეხება თავიდანვე „უნაკლულოდ და კეთილად" დაწერილ საკითხებს, მათი გამეორება უკვე მკითხველის მხრივ გადმოცემული მასალის „უკლებადრე უწყებისათჳს და წულილადრე გამოძიებისათჳს" არის გათვალისწინებული.

აღნიშნული განმარტება ზუსტად გამოხატავს თხზულების საერთო სულისკვეთებას და კიდევ უფრო გამოყოფს მისთვის დამახასიათებელ იმ მხარეს, რომელმაც სხვა თვალსაჩინო მონაცემებთან ერთად თავისი დროისათვის უნიკალური საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო ნაწარმოების შექმნა განაპირობა.

„ასურული კჳკლოსი მისითა განგებითა"(11). „ასურული კჳკლოსი" წარმოადგენს კომპაქტურ ცხრილს, რომლის საშუალებითაც გამოითვლება აღდგომის თარიღი. ცხრილის მარცხენა ნაწილის სამ სვეტში შესაბამისად ჩამოწერილია ზედნადების, მთვარის წრის („მოქცევი მთოვარისა") და დიდი მცხრალის („პასექი სჯულიერი") მონაცემები. ცხრილის ზედა ნაწილში ზემოდან ქვემოთ განთავსებულია ჯერ ქართული შვიდეული ანუ „ხარება", შემდგომ 4 სტრიქონში მზის წრეები და ბოლოს სახელწოდებით „ზედა ნადებნი მზისანი"--ბერძნული შვიდეული. რაც შეეხება ცენტრალურ ნაწილს, აქ განთავსებულია აღდგომის საძიებელი თარიღები.

ტექსტი იწყება მოკლე პროზაული განმარტებით, თუ როგორ შეიძლება ცხრილით სარგებლობა ანუ „კჳკლოსისა...კითხვაჲ". ცხრილის ზემოთა ნაწილში მოიძებნება საძიებელი წლის შესაბამისი მზის წრე ანუ „მოქცევი მ'ზისაჲ" და ის მარჯვენა ხელის თითის დადებით ფიქსირდება. შემდეგ ცხრილის მარცხენა ნაწილში ასევე მოიძებნება და მარცხენა თითით ფიქსირდება შესაბამისი მთვარის წრე ანუ „მოქცევი მთოვარისაჲ". მარჯვენის ზემოდან ქვემოთ ვერტიკალური („შთამოღმართ") და მარცხენის მარცხნიდან მარჯვნივ ჰორიზონტალური („წალმა") გადაადგილებისას, მათი გადაჯვარედინების ადგილზე ანუ ცხრილის უჯრედში („კარსა ზედა") „არს მის წლისა სჯულიერი პასექი, რომელი არს წმიდა აღსებაჲ". აქ უცნაურად ჩანს აღდგომასთან „სჯულიერი პასექის" მოხსენიება, ვინაიდან ბერძნულ ძეგლებში კანონიერი პასექის (Τον νομικον πασχα) აღმნიშვნელი ეს ტერმინი პასქალური საკვირველთმოქმედების ანუ „დიდი მცხრალის" მიმართ გამოიყენება[1]

იამბიკური ნაწილი იწყება ჩამონათვალით, რომელშიც შემოკლებული ფორმით დასახელებულია თვეების სახელწოდება და შესაბამისი დღეთა რაოდენობა, რაც ჯამურად 365 რიცხვს იძლევა. მეორე მუხლი კვირის დღეებს ეძღვნება. აქ მოყვანილია შემდეგი ცნობები: წელიწადი შეიცავს 52 კვირას („შვიდეულს"), კვირა კი არის ყოველი დღის „დასასრულ-დასაბამი" (იგულისხმება კვირის დღეთა ცვლილება 7-დღიანი ციკლის ფარგლებში); შაბათით

[1] Е. Предтеченский, Церковное времясчисление, СПБ, 1902 გვ. 18.

დაწყებული გასული უნაკო წელი („შარშა თუ შაბათ“) მიმდინარე წელს („აწ“) კვირით იწყება. ასევე სხვა კვირის დღეებით („ეგრეთვე სხუებცა დღეებ“) დაიწყება მომავალი წლები. მომდევნო ფრაზა „ნაკით სამ დღის დღე“ ამ შემთხვევაში კონკრეტულად გულისხმობს მომავალი წლის სამშაბათის დღით დაწყებას, თუ მიმდინარე წელი ნაკიანი იყო.

ხორცთაკრების დღის გამოსათვლელად რეკომენდებულია ცნობილი წესი (შდრ. ფ. 323r), რომლის მიხედვით მარტის ან აპრილის აღდგომის რიცხვს („ორთა ამათ რიცხვთა“) უნაკო ან ნაკიან წელიწადის შესაბამისად 3 ან 4 უნდა დაემატოს. ამ 3-ის ან 4-ის დამატებით („მეტ-ყოფით“), რა სიდიდეც მიიღება აღდგომის რიცხვისათვის („სადა მივიდეს რიცხჳ აღვსებითგანი“), ის მარტში აღდგომისას—იანვარს და აპრილში აღდგომისას-თებერვალს განეკუთვნება („სწორ რიცხუ ყავ“). აქედან მოყოლებული 7 დღე ყველიერის კჳრაა („შჳდ დღე ყველიერობდი“). მომდევნო მუხლები უკვე უშუალოდ კომპაქტური ცხრილის სტრუქტურას ეძღვნება და მისი ელემენტები შეშდეგნაირად არის განმარტებული: წითელი მელნით ჩაწერილი 28 მზის წრე, 4 სტრიქონის გასრულების შემდგომ („დაასრულოს რად“) კვლავ იწყებს ახალ ციკლს (ამჯერად ტექსტში „კჳკლოსი“ სწორედ ციკლის მნიშვნელობით იხმარება). ქვედა მეოთხე სტრიქონი ნაკიან, ხოლო ზედა სამი სტრიქონი ჩვეულებრივ („უნაკო“) წლებს შეესაბამება. რაც შეეხება „იატაკს“ ე.ი. გადატანითი მნიშვნელობით ამ 4 სტრიქონის საყრდნობ ზოლს, ის „ზედაწარწერილს“ ანუ სათაურს წარმოადგენს (ამ შემთხვევაში ასეთი სახისას—„ზედანადებნი მზისანი“).

ყველაზე მაღლა განთავსებულ და შავი მელნით შესრულებულ ჩანაწერში („ზეშთა თხემისაჲ და მელნისამიერი“) მოყვანილია შვიდეულების მიმდევრობა, რომელიც ჩვეულებრივი მიმდევრობის მეორე წევრით იწყება და პირველი წევრით მთავრდება („შჳდეულისა დასასრულით დაწყებაჲ“). ჩვეულებრივი თანამიმდევრობის წევრების ერთი ერთეულით გადიდების შედეგად მიღებული ეს მნიშვნელობები ბერძნული სათვალავით ქართული შვიდეულის თანამიმდევრობას გამოხატავს. ამიტომაც არის ტექსტში აღნიშნული, რომ ეს „შჳდეული არს იგივე ხარებაჲცა“. რაც შეეხება წითელი მელნით ქვედა უკიდურეს სტრიქონში მოყვანილ ასორიცხვნიშანთა „მიწყებით“ (ე.ი. უმცირესიდან უდიდესამდე მონოტონურად ზრდად) მიმდევრობას, ის, ტექსტის თანახმად, ბერძნულ შვიდეულებს („ზედნადებთა... მნათობისა დღისაჲთ“) შეესაბამება. ცხრილის ჩვენი ნაწილის განხილვის შემდგომ ტექსტი მარცხენა ნაწილის შემადგენელ ელემენტებს განმარტავს. აქ მხატვრულად პირველი სვეტი „კართან“, მისი შემცველი ზედნადების დასახელება კი „შესავალთან“ არის გაიგივებული; ხოლო ზედნადების რიცხვითი მნიშვნელობებისათვის აღნიშნულია 11-ით დაწყება და 30-ით დამთავრება. შავი მელნით („შავისაჲ“) ჩაწერილ ამ მონაცემებს მთვარის წრის წითელი მელნით შესრულებული მონაცემები ენაცვლება მეორე სვეტში. მესამე სვეტში მოთავსებული დიდი მცხრალის ანუ გაზაფხულის სავსემთვარეობის თვე და რიცხვი. მხატვრული ფორმების გამოყენებით არის წარმოდგენილი. პირველი ორი სვეტის მონაცემებთან მიმართებაში მისი „სხუად

და მესამედ“ წარმოდგენა სრულიად ბუნებრივია მთვარის კალენდრის მახასიათებლებისათვის. ასევე ბუნებრივია მისი „ქრონიკონის“ დედაქალაქად მიჩნევა, ვინაიდან „დიდი მცხრალი“ კონკრეტული ცამეტორის სახით პასქალური ცხრილის („ქრონიკონის“) ცენტრალურ მახასიათებელს შეადგენს. რაც შეეხება „დედაქალაქთან“ ერთად მოხსენიებულ „გზავნაჲ“-ს, ისიც ცამეტორის გამორჩეულ ფუნქციას უნდა მიანიშნებდეს, იმ თვალსაზრისით, რომ სვეტებიდან აღდგომის დღემდე ჰორიზონტალური გადაადგილება ანუ „გზავნაჲ“ უშუალოდ ცამეტორიდან ხორციელდება (ქვემო სტროფში ამ გარემოებაზე პირდაპირ მიუთითებს აღდგომის მიმართ გამოყენებული ფრაზა: „მიმგზავრებული მუნადმი ცამეტორით“). აქვე აღნიშნულია, რომ ცამეტორს, რომელიც ამ შემთხვევაში პასქალური სავსემთვარეობის ცნებასთან არის გაიგივებული, „შჯულიერი პასექი“ ეწოდება.

შემდგომ სტრიქონებში უკვე ცხრილის სამივე სვეტთან დაკავშირებით ავტორი მკითხველს მიუთითებს, რომ მან ყოველწლიურად („წლითი წლადობით“) მათი შესაბამისი მონაცემი უნდა გამოიყენოს. თვითონ ეს მითითება სატოვნად არის გადმოცემული სახარებისეული ცნობილი გამოთქმის[1] გამოყენებით: „წლითი წლადობით სამოსლისა მისისა ფესუსა უპყრობდი რუკათა მათ ჴელითა“. „ფესჯ“, რომელიც ძველქართულში სამოსლის კალთის მნიშვნელობით იხმარებოდა, ამ შემთხვევაში კალთიდან ჩამონახევ მცირე ზოლს ანუ ნაწილს უნდა გულისხმობდეს[2]. აქედან გამომდინარე ციტირებული წინადადება ასე უნდა გავიგოთ: მკითხველმა როგორც სამოსლის მცირე ნაწილს ისე უნდა შეახოს ხელი მთლიანი ჩანაწერის („რუკათა მათ“) შემადგენელ ნაწილს შესაბამისი წლის მონაცემების სახით.

მომდევნო ორ სტრიქონში, აღდგომის თარიღის მოსაძებნად ჯერ მოხსენებულია ცამეტორის სვეტი––„მას კაპპატონსა სადა დადგას საყდარი ცამეტორისაჲ .თჯთოეულებამან“ (სვეტში ცამეტორის თითოეული მაჩვენებლის განთავსება „საყდრის დადგმასთან“ არის შედარებული). აქ დროებით შეწყვეტილ წინადადებას ცვლის მითითება ზემოთა ცხრილში მზის წრის შესაბამისი მნიშვნელობიდან („საყდრით ოცდარვათაგანისაჲთ“) ვერტიკალური „შთამოყოლის“ შესახებ. მხოლოდ ამის შემდეგ გრძელდება შეწყვეტილი წინადადება ცამეტორის შესახებ. ამ გაგრძელების თანახმად, პარალელურად ცამეტორის სტრიქონიდან ჰორიზონტალური გადაადგილებაც („მიმგზავრებული ... ცამეტორით“) არის გათვალისწინებული „შთამოყოლილი“ ვერტიკალის („მუნადმი“) გადაკვეთამდე (როგორც ეტყობა, პრაქტიკულად ეს გადაადგილებები ტექსტის დასაწყისში უკვე აღწერილ თითებით მანიპულაციას ითვალისწინებდა).

გადაკვეთის ანუ „შეკრების“ ადგილზე საძიებელი თარიღის ფიქსაციის

---

[1] „შეახო ფესუსა სამოსლისა მისისა“ —მათე 9, 20

[2] იხ „ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი“ ტექსტი გამოსცა მზ. შანიძემ, თბ. 1992, გვ. 126-127.

ფაქტი ხატოვანი გამოთქმით („აღვსებად გემასპინძლოს“) არის გადმოცემული.

ამის შედგომ შავთელი განუმარტავს მკითხველს, რომ აღმდგომის დასადგენად დამხმარე ცხრილებში მოყვანილი სხვა ძონაცემების გამოყენებაც შეიძლება. ცამეტორთან ერთად მთვარის ციკლის დანარჩენ მახასიათებლებსაც –ზედნადებსა და მთვარის წრეს („მოქცევი“) აღდგომის საძიებელ თარიღამდე ერთნაირი გზა აქვთ („ყოველი გზად ერთ“). ეს გზა კი ჰორიზონტალურ გადაადგილებას ითვალისწინებს სტრიქონის გასწვრივ („წიაღსავლელი სტრიქონისა წესითა“). იგივე აზრია გატარებული „მზისეული აღრიცხვის“ მახასიათებლებისათვისაც, მხოლოდ ამ შემთხვევაში ქვემოდან ზემოთ მათი დასახელება მხატვრულად „აღფრენასთან“ არის შედარებული. თანამიმდევრულად დასახელებული „ზედნადები მზისად“, „ოცდარვა“ და „ხარება“, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბერძნულ შვიდეულს, 28 მზის წრეს და ქართულ ხარება-შვიდეულს გულისხმობს.

ცხრილთან დაკავშირებით ერთგვარ დასკვნით ნაწილს წარმოადგენს მომდევნო მუხლი, რომელშიც დაახლოებით ასეთი აზრი უნდა იყოს გატარებული: 28-წლიანი ციკლის („რვა და ოცებად“) მზესთან კავშირში და მთვარის ცხრამეტწლიანი ციკლის დაცვით („მოლოდებითთა“) გაოთხკეცებისაგან (მრჩობლშეკეცათა მიერ“) ერთმანეთს შეუთავსა ისინი „მზე-მთოვარებრმან ასურთა გონებამან“ ამ წინასწარსაცნობელ ცხრილში („მარაგსა შინა“—აქ მარაგი რაღაც წინასწარსაცნობელს უნდა ნიშნავდეს, ვინაიდან ცნობილია „მარაგება“ და „მემარაგე“—შესაბამისად წინასწარცნობის და წინასწარმცნობელის აზრით).

აღნიშნული მუხლით მთავრდება ცხრილის განხილვა და შემდგომ ორ მუხლში შავთელი განიხილავს დღისსაძიებელს. პირველი მუხლის საწყის ორ სტრიქონში გადმოცემულია დღისსაძიებლის გამოთვლის ზოგადი პრინციპი. აქ „ნეშტი ერთისა თჳსად“ გულისხმობს ნაშთს, რომელიც ამ თვის დღეთა რიცხვისა და დღისსაძიებლის ჯამის „შვიდეულად განტევების“ შედეგად მომდევნო თვის („თთუე მეორისად“) დღისსაძიებელს იძლევა. სწორედ ამ ჯამის „შვიდეულად განტევებას“ აღნიშნავს „შჯდ აღრიცხუვითა“, რის შედეგადაც მიიღება მეორე თვის დღისსაძიებელი. რაც შეეხება „უდღისსაძიებლობას“, ის ზოგადად აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ პირველი თვის „ნეშტი“ მომდევნო თვის დღისსაძიებლის წარმოქმნას განაპირობებს. მომდევნო სტრიქონებში ამ წესით მიღებული რიცხვითი მონაცემებია ჩამოთვლილი ყველა თვისათვის. „მით იანვარსა არად“ გულისხმობს, რომ იანვრისათვის, როგორც რიგით პირველი თვისათვის წინა თვის „ნეშტი“ საერთოდ არ არსებობს და ამიტომ („მით“) მას არა აქვს („არად“) დღისსაძიებელი (ანუ დღისსაძიებელი ნულის ტოლია). აპრილის თვისათვის ფრაზა „ხოლო სწორ ორთავე“ გულისხმობს მისი დღისსაძიებლის ტოლობას („სწორ“) თებერვალ-მარტის დღისსაძიებლების ჯამურ სიდიდესთან. ვინაიდან ამ თვეთა დღისსაძიებელი სამ-სამია, აპრილის დღისსაძიებლისთვის მიიღება 6. რაც შეეხება ივნისს, სტრიქონში მარცვალთა შესაბამისი რაოდენობის უზრუნველყოფის მიზნით, რიცხვი 4 გადმოცემულია „ორი-ორით“. მუხლის ბოლო ორ სტრიქონში, რომლითაც მთავრდება ტექ-

სტის იამბიკური ნაწილი, ზოგადი ინფორმაცია არის მოყვანილი დღისსაძიებლის შესახებ. აქ აღნიშნულია რომ დღისსაძიებელიც („ესეცა“) მომავლის ყოველი დღისათვის („რაჲ დღეთად“) დამხმარე საშუალებად („საჴმრად“) აღიწერა, „შორიელთა“ კვირის დღეთა („რათ დღეთა“) მოძიებისათვის.

იამბიკოებს უშუალოდ მოსდევს პროზაული ტექსტი რომელიც აბუსერისძის მითითების თანახმად თხზულების პირველი გვერდიდან (ფ. 307v) აქ უნდა ყოფილიყო გადმოტანილი. ეს ტექსტი, უფრო ზუსტად კი ფრაგმენტი ორი ნაწილისაგან შედგება.

პირველი ნაწილი, როგორც ეს გამოკვლევაში გვქონდა აღნიშნული, გადამწერის მიერ გამოტოვებული ფრაგმენტის, ე.წ. „ჟამთა თჳსთა ქრონიკონის“ შესავალს უნდა წარმოადგენდეს (იხ. აქვე გვ. 212). ამ შესავალში მოყვანილი მასალა პირველივე წინადადებით, რომელიც ერთგვარ წარდგინება-სათაურადაც შეიძლება ჩაითვალოს, „დივანთა“ საფუძვლად („თავად“) არის კვალიფიცირებული: „უკუეთუ გინდეს ცნობის, ესე არს თავი დივანთაჲ“. საბას მიხედვით „დივანი––რიცხვთ წერილია“. აბუსერისძეც „დივანს“, ფაქტობრივად, ამავე მნიშვნელობით ხმარობს, ვინაიდან „ტექნიკურ შენიშვნაში“ შესავალს თვითონვე უწოდებს „რიცხუნს“. რიცხვებთან დაკავშირებული „დივანის“ ცნება უფრო კონკრეტულ მნიშვნელობას იძენს, თუ მხედველობაში მივიღებთ იოანე-ზოსიმეს მიერ X საუკუნეში გადაწერილი კალენდარულ-პასქალური ტრაქტატის ერთ ცნობას.[1] კერძოდ, აქ მთვარის ასაკის დადგენასთან დაკავშირებით შემოთავაზებულია ორი წესი, რომელთაგან ერთი „სათუალავითა საეკლესიოჲთა“ მიახლოებით, ხოლო მეორე––„დივანითა“ ზუსტ გამოთვლებს ითვალისწინებს.* აქედან ჩანს, რომ იოანე-ზოსიმე და მაშასადამე, აბუსერისძეც სიტყვა „დივანს“ ასტრონომიულ-კალენდარული გამოთვლების ცნებასთან დაკავშირებული წიგნის თუ წესების მნიშვნელობით ხმარობენ. ასე რომ, „თავი დივანთაჲ“ სწორედ ამ სახის გამოთვლების საფუძველს გულისხმობს, რომელიც ტექსტში, მართლაც, წარმოდგენილია დროის საზომი ერთეულების რიცხვითი მნიშვნელობების სახით. კიდევ უფრო მეტი, წინადადებას „რიცხჳ თუეთა და კჳრიაკეთაჲ, დღეთა, ჟამთათა და მარცვალთაჲ...“ უშუალოდ აგრძელებს მომდევნო ფრაზა „თუ რაჲზომ არიან“. ე.ი. უკვე დასაწყისშივე ჩამოყალიბებულია დებულება: „დივანის“ საფუძველს შეადგენს იმის „ცნობა“, „თუ რაჲზომ არიან“ წარმოდგენილი დროის საზომი ერთეულები (ფრაზაში „თუ რაჲზომ არიან“–– საწყისი ასომთავრული თ რატომღაც სინგურით არის ჩაწერილი. ამით, როგორც ეტყობა, ავტორი ფრაზას კი არ გამოყოფს პირველი წინადადებიდან, არამედ მასთან ურთიერთკავშირში აქცენტს აკეთებს ამ უკანასკნელზე).

ტექსტის მომდევნო ნაწილში რიცხვების ჩამონათვალიდან აშკარად გამორ-

---

[1] იხ. ბროსე, დასახ. ნაშრომი, გვ. 5

* ამ ორი წესიდან თვით აბუსერისძეს „ქრონიკონში“ მხოლოდ პირველი წესი მოჰყავს. ეს სავსებით მისაღებია, ვინაიდან ის სრულიად შეგნებულად მხოლოდ იმ მასალით შემოიფარგლა, რომელიც მისივე განცხადებით „საეკლესიოდ და მარხვათა დაყენებისათჳს და მის ყოვლისავე მიზეზისა მცოდნელობისათჳს ესეცა კმა-იყო“ (იხ. ფ. 326r).

ჩენილია წელიწადის თვეთა რაოდენობის აღმნიშვნელი სიტყვა თუ ასორიცხვნიშანი.

რაც შეეხება შინაარსობრივ მხარეს, ჩამონათვალი შემდეგ ინფორმაციას შეიცავს: წელიწადში თვეთა რიცხვი––12, კვირა––52, დღეები $365\frac{1}{4}$, დღის საათების რიცხვი––12, ღამის––[12], დღე-ღამის––24; წელიწადში დღის საათების რიცხვი––4380, „ერთრიცხუად" დღე-ღამის საათების რიცხვი––8760; წელიწადში დღის მარცვლების რიცხვი ––21900 (ტექსტში შეცდომით 20908), ღამის მარცვლების რიცხვი––21900 („იგივე"), დღე-ღამის მარცვლების რიცხვი––43800.

თხზულების პირველი გვერდიდან (ფ. 307v), „რიცხუნის" ტექსტთან ერთად დანარჩენი ფრაგმენტების, ე.ი. „იამბიკოს კომენტარის" და „ტექნიკური შენიშვნის" ტექსტიც ამავე ნაწილში გადმოვიტანეთ, მხოლოდ სქოლიოში გატარილი დამატების სახით. მათ შესახებ საკმაოდ დაწვრილებით გვქონდა მსჯელობა გამოკვლევაში, მაგრამ მიუხედავად ამისა, ზოგიერთი საკითხის გამეორება აქ მაინც მოგვიწევს.

„იამბიკოს კომენტარი" იწყება წინადადებით, რომელშიც აბუსერისძე განმარტავს თუ რატომ შეიტანა („დავწერე") ტექსტში შავთელის იამბიკოები. როგორც გაირკვა, აქ მოხსენებული სათაური „ასურული კჯკლოსის საძიებელი და მასწავებელი" შავთელის სრულ იამბიკურ ტრაქტატს განეკუთვნება, ხოლო კომენტარში ის ციტირებული ფრაგმენტის (13-მუხლიანი იამბიკოს) აღსანიშნავად არის გამოყენებული. ფრაგმენტის ციტირების მიზეზად კი დასახელებულია ის გარემოება, რომ შავთელის თხზულება ავტორმა „ზემო საუწყებელსა შინა", ე.ი. მე-9 თავში მოიხსენია.

ტექსტის შემდგომი ნაწილი უკვე საკუთრივ კომპაქტურ ცხრილს შეეხება: „ამას კჯკლოსსა თანა ქრონიკონსაცა დაუწერენ დიდსა წინამდებარეთა წელთასა, უკუეთუ ჯავთაგად ვინმე დასწერდეს". „ჯავთაგი", როგორც გამოკვლევაში აღვნიშნეთ, კომპაქტური ცხრილის რაღაც საცნობარო დანიშნულებაზე უნდა მიანიშნებდეს (იხ. აქვე. გვ. 210).

აქედან გამომდინარე „თანა" „დაწერა", კომპაქტური ცხრილისა და 532-წლიანი დიდი პასქალური ცხრილის ერთად წარმოდგენას უნდა გულისხმობდეს იმ შემთხვევისათვის, როდესაც ორივე ცხრილის გამოყენება საცნობარო მიზნით არის გათვალისწინებული. ვინაიდან ორივე ცხრილი „ერთი მეორისა მოწამე არს", აბუსერისძეს საცნობარო ფუნქციები დიდი ცხრილისათვის „მიუნდვია", ხოლო კომპაქტური ცხრილი დიდ ცხრილთან „თანა" აღარ დაუწერია და, როგორც ეტყობა, ბოლოს გადმოუტანია უკვე საგანგებო შესწავლის ობიექტად.

„იამბიკოს კომენტარის" შემდგომ სქოლიოშივე წარმოდგენილი გვაქვს „ტექნიკური მითითებაც", რომლის თანახმადაც მკითხველმა ჯერ იამბიკოები უნდა წაიკითხოს და შემდეგ „რიცხუნი".

„ბოლოსიტყვაობა“, რომელიც „ჟამთა თჳსთა ქრონიკონის“ უშუალო გაგრძელებად იყო ჩაფიქრებული, საინტერესო ცნობას შეიცავს ამ უკანასკნელის შესახებ. ამ ცნობის განხილვამდე მოკლედ უნდა შევეხოთ ფრაგმენტის შინაარსს. ამ მხრივ ფრაგმენტის პირველი ნაწილი ძირითადად „სულმცირედ აღწერილი პიტაკის სახის“ ტექსტის ღირსებების ჩამოთვლას ეძღვნება („პიტაკი“—ე.ი. დაწერილი ეტრატი). დასახელებულია ნაწერის იაფად „მოგების“ შესაძლებლობა, სათანაო დანიშნულება, ადვილად შელევა გასანათხოვრებლად, ჯიბით („ფარაგით“) ტარების შესაძლებლობა და სხვა.

ტექსტის დამაბოლოებელ წინადადებებში მოულოდნელი ჩანს რომელიღაც „მცირედი“ და „ჟამთა თჳსთა“ „ქრონიკონის“ მოხსენიება. თუმცა ადრე ის საერთოდ არ ყოფილა დასახელებული, აქ უკვე წარმოდგენილია მკითხველისთვის კარგად ცნობილი ობიექტის სახით: „ხოლო ქართულიცა ესე მცირედი და ჟამთა თჳსთა ქრონიკონი ახლად მოსწავლე ქმნილთათჳს კჳკლოსისათა, რეცა ძძევლად და გზის მასწავლელად აღვწერე მუჴლებსაევე თანა იამვბიკოთასა“.

აქ ერთდროულად იმდენი საგანგებო მახასიათებელი არის მოყვანილი, რომ ერთმნიშვნელოვნად ადრესატის დასახელება თითქოს არ უნდა იყოს ძნელი. მიუხედავად ამისა, განმარტებითი ტექსტის ფარგლებში „ესე... ქრონიკონი“ აშკარად არ ჩანს. არც „მოკლე ინსტრუქცია“ და არც იამბიკოს „მოსაკიდებლად“ გათვალისწინებული „რიცხუნი“ ვერ პასუხობენ იმ მოთხოვნებს, რომლებიც ამ იამბიკოებთან „თანა“ აღწერილ ტექსტს უნდა ჰქონდეს. ამიტომაც ერთადერთი ახსნა, რომელიც ბოლოსიტყვაობის ამ თითქოსდა მოულოდნელ განაცხადს შეიძლება მოეძებნოს მხოლოდ ის არის, რომ აღნიშნულ „ჟამთა თჳსთა ქრონიკონში“ რაღაც გამოტოვებული ტექსტი უნდა იგულისხმებოდეს (ხელნაწერის გადანუსხვისას რომ ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი, ამას „ტექნიკური შენიშვნის“ ცნობაც ადასტურებს).

ბოლოსიტყვაობის მონაცემებზევე დაყრდნობით ამ გამოტოვებული ტექსტის ანუ „ჟამთა თჳსთა ქრონიკონის“ საერთო კონტურების ზოგადი აღდგენა ძნელი არ არის. ის წარმოადგენდა „ახლად მოსწავლე ქმნილთათჳს“ განკუთვნილ „გზის მასწავლელს“ ანუ მოკლე სახელმძღვანელოს, რომელიც დაფუძნებული უნდა ყოფილიყო ქართულ პასქალურ სისტემაზე („ქართულიცა“) და მის შესატყვისის წელთაღრიცხვაზე („ჟამთა თჳსთა“).

ცხადია, რომ სრული სახით, ე.ი. ამ „ჟამთა თჳსთა ქრონიკონის“ წარმომადგენლობით, განმარტებითი ტექსტი გაცილებით უფრო ქმედითი საშუალება იქნებოდა კომპაქტურ ცხრილთან დაკავშირებული საკითხების ასათვისებლად. მიუხედავად ასეთი დანაკლისისა „მოკლე ინსტრუციის“ და „იამბიკოების“ საშუალებით მკითხველს ასე თუ ისე მაინც შეეძლო წარმოდგენილი მასალის დაძლევა. მხოლოდ, ცხადია, ერთი აუცილებელი პირობით: მას ჯერ საფუძვლიანად უნდა შეესწავლა ის საკითხები, რომელიც აბუსერისძეს თხზულების წინა თავებში ჰქონდა გადმოცემული.

„ქრონიკონის“ სასწავლო-პედაგოგიური და მეცნიერული მნიშვნელობა

532-წლიანი პასქალური ცხრილი ჩვეულებრივ კალენდარულ-პასქალურ ძეგლებში წარმოდგენილია ძირითად ნაწილად, რომელსაც დამატებად დართული აქვს პასქალურ-კალენდარული მახასიათებლების გამოანგარიშების წესები. ცხრილს და ამ წესებს ერთმანეთთან ფაქტობრივად არაფერი არ აკავშირებს, თუ არ ჩავთვლით იმ ფაქტს, რომ ორივეში ერთი და იგივე ობიექტებია წარმოდგენელი, ზემოთ აღნიშნული პასქალურ-კალენდარული მახასიათებლების სახით. ამგვარი კრებული, რომლებსაც პასქალიას უწოდებდნენ, ქართული სინამდვილისთვისაც არის ცნობილი და ისინი ძირითადად X-XI სს. სინურ ხელნაწერებში გვხვდება.

აბუსერისძის თხზულებაშიც ორივე ნაწილი არის წარმოდგენილი, ასე რომ „პასქალიების“ მსგავსად. ისიც აკმაყოფილებს ცნობარისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. მაგრამ მათგან განსხვავებით ის სხვა შინაარსის მასალასაც შეიცავს, რომლის მეშვეობითაც ეს ძეგლი როგორც სასწავლო-პედაგოგიური, ისე ძიებნიერულ-კვლევით შრომად უნდა ჩაითვალოს. გარდა ამისა, ძეგლის კიდევ ერთ განსაკუთრებულ მხარეს წარმოადგენს აშკარად გამოკვეთილი მათემატიკური ორიენტაცია, რომლის ანალოგიც კალენდარულ-მათემატიკური შინაარსის შრომებში საერთოდ არ მოიპოვება. აქედან გამომდინარე, აბუსერისძის ნაშრომის საერთო შეფასება, პირველ რიგში, აღნიშნული საკითხების გაშუქებას უნდა ითვალისწინებდეს. ჩვენც შესაბამისად ასეთი თანამიმდევრობით განვიხილავთ ამ შრომას: ჯერ შევეხებით მას როგორც სასწავლო სახელმძღვანელოს, შემდეგ როგორც სამეცნიერო-კვლევით ნაშრომს და ბოლოს მასთან დაკავშირებულ მათემატიკურ საკითხებს გავარჩევთ.

„ქრონიკონს“, როგორც სასწავლო სახელმძღვანელოს, განსაკუთრებული ადგილი უკავია ძველქართული პედაგოგიური ლიტერატურის ძეგლებს შორის. ძნელია დავასახელოთ სხვა ნაშრომი, თუნდაც არა საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო დარგებიდან, რომელშიც ასე გამიზნულად და მეთოდურად იყოს გადმოცემული შესასწავლი მასალა. ცნობილი ჭეშმარიტებების მშრალი დეკლარირების ნაცვლად, რომელიც ასე დამახასიათებელი იყო შუასაუკუნეების სასწავლო ლიტერატურისათვის, აქ ყველა საკითხს სათანადო განმარტებები ახლავს და, რაც მთავარია, დასაბუთებებიც. აბუსერისძე, როგორც ავტორი და პედაგოგი, ტექსტის პირველივე სტრიქონებიდან ბოლო სიტყვებამდე მუდმივ კონტაქტშია მკითხველთან და თავიდან ბოლომდე გზისმკვლევის ფუნქციებს განუხრელად ასრულებს.

უკვე შესავალ ნაწილში მკითხველს აგრძნობინებს, რომ სათანადო მომზადების გარეშე შეუძლებელია ერთმნიშვნელოვანი პასუხი გაეცეს კითხვას, თუ რამ განაპირობა ქართულ-ბერძნული წელთაღრიცხვების 96-წლიანი განსხვავება და მიუხედავად ამისა, რატომ თანხვდება ერთმანეთს მოძრავი საეკლესიო დღესასწაულების და მარხვების თარიღები. ამ მომზადებასთან დაკავში-

რებით ის აღნიშნავს, რომ ჯერ უნდა ათვისებულ იქნას პასქალურ-კალენდარული სისტემის საფუძველი, სხვადასხვა კალენდარული მახასიათებლების არსში ჩაწვდომის გზით. „პირველად ჯერ-არს გამოთქუმად მიზეზისა, თუ რაჲ არს ზედნადები ანუ ცამეტორი, გინა ხუთეული, ანუ ექუსეული, ანუ დღისაძიებელი“--აღნიშნავს ის და მთელი თხზულების განმავლობაში გამოთქმა „რაჲ არს მიზეზი“ მუდმივად ფიგურირებს ტექსტში სათანადო განმარტებით თუ დასაბუთებით.

თხზულების ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშნად უნდა მივიჩნიოთ მასალის ხშირი გამეორება. ამას აბუსერისძე პედაგოგიური მოსაზრებით შეგნებულად აკეთებს. და ამის შესახებ განმარტებასაც იძლევა თხზულების დასასრულს. ერთის მხრივ, ეს გამეორებები მიზნად ისახავენ იმ საკითხების უფრო სრულყოფილად გადმოცემას, რომლებიც ტექსტში უკვე განიხილა აბუსერისძემ, მაგრამ, მისი აზრით, არადამაკმაყოფილებლად. გამეორებების მეორე ნაწილი განხილულ საკითხში უფრო ჩასაღრმავებლად იყო გათვალისწინებული მკითხველის „უკლებადრე უწყებისათჳს და წულილადრე გამოძიებისათჳს“ (ფ. 336r).

ძალზე ხშირად ამა თუ იმ კალენდარული მახასიათებლის გამოსათვლელი წესი რამდენიმე ვარიანტით არის მოყვანილი, რაც მკითხველს საშუალებას აძლევს მათგან შეარჩიოს მისი ინდივიდუალური საგამომთვლელო მანერისთვის უფრო მისაღები წესი (იხ. მაგალითად დღისსაძიებლის, ცამეტორის და „დიდი მცხრალის“ კვირის დღის გამოსათვლელი წესები).

მთელ რიგ შემთხვევებში ერთ-ერთი ასეთი ვარიანტი საშუალებას იძლევა გაცილებით გააიოლოს გამოთვლის პროცედურა და ამავე დროს კონტროლი გაუწიოს ძირითადი წესით მიღებულ შედეგებს (იხ. მაგ. დიდი მცხრალის კვირის დღის გამოთვლის. წესი მხოლოდ ხარება-შვიდეულის მონაცემის საშუალებით).

სწავლების გაადვილების მიზნით აბუსერისძე სისტემატურად იყენებს თვალსაჩინოების საშუალებას, რომლის როლსაც მის მიერვე საგანგებო დამატებებით აღჭურვილი 532-წლიანი ცხრილი ასრულებს. „პასქალიებისგან“ განსხვავებით, ტექსტის ცხრილთან მჭიდრო ურთიერთკავშირი თხზულებას ბოლომდე წითელ ხაზად გასდევს.

თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდა აბუსერისძე ამ ცხრილს, როგორც თვალსაჩინოების საშუალებას, ეს კარგად ჩანს იმ ფაქტიდან, რომ ცხრილს საგანგებოდ ეძღვნება ორი ფრაგმენტი: ერთი თხზულების დასაწყისში „ზედაწარწერილის“, ხოლო მეორე--ტექსტის ბოლოს ერთ-ერთი შემაჯამებელი შენიშვნის სახით (იხ. ფფ. 308r, 334v-335r).

„ზედაწარწერილში“ ავტორი გადამწერებისგან კატეგორიულად მოითხოვს გადანუსხვისას არ გამოტოვონ ცხრილის დედნისეული ტექნიკური ნიშნები („რანიცა ნიშანნი“) და „პატივსა ზედა სიტყუად რაჲმე“ ჩაწერილი მითითებები. ამ ნიშნების მნიშვნელობა, როგორც იქვეა აღნიშნული, ცხრილისადმი დართულ ტექსტშია განმარტებული („საუწყებელსა შინა გამოაჩინებს, თუ რაჲ არს თუალი ამათ ნიშანთაჲ“).

შემაჯამებელ შენიშვნაში კვლავ გამეორებულია ცხრილში სიტყვიერი მითითებებისა და ტექნიკური ნიშნების („შეისწავეთა... ანუ სხუათა რათმე ნიშანთა“) გამოტოვების გამომრიცხველი მოთხოვნა. დაუშვებლად არის მიჩნეული, აგრეთვე, თვითნებური დამატებების შეტანაც „კინკლოსური მინაწერების“ სახით („ნუცალა-რას თქვენ დასწერთ, თუ ამას წელიწადსა ესე რაჲ იქმნა და ეგე რაჲმე იქმნა“). ამ შემთხვევაში, როგორც ავტორი აღნიშნავს, ადგილი ექნება მათ არასასურველ აღრევას ტექნიკურ ნიშნებთან, რომლებიც ტექსტისეული ინფორმაციის დასამოწმებლად არიან გამოყენებული („რომელსა--ესე საუწყებელსა ეწამების“).

„ზედაწარწერილში“ 532-წლიანი პასქალური ცხრილის სრულად წარმოდგენის აუცილებლობას აბუსერისძე თუ ზოგადად აღნიშნავდა („ნურას დააკლებთ, ნუცა ამას ზედაწარწერილსა და ნუცა-რას ქუემოსა ამისსა“), აქ ის უკვე კონკრეტულად აცხადებს: „ამას ქრონიკონსაცა სრულებით დასწერდით ხუთას ოცდათორმეტსა წელიწადსა, თუ არა ამა ჩემგან თქუმულისა ძალსა ველარას შეიგებთ“. სრული სახით ცხრილის მოყვანის ეს მოთხოვნა, ცხადია, მისი სასწავლო დანიშნულებით არის განპირობებული. საცნობარო თვალსაზრისით, პრაქტიკულად ნებისმიერი ინტერვალის არასრული ცხრილი გაძღდგება, მაშინ როდესაც პასქალურ-კალენდარული სისტემისა და მისი ციკლური მახასიათებლების თვალსაჩინოებითი შესწავლისათვის მხოლოდ სრული (532-წლიანი) ცხრილი არის აუცილებელი. აქვე წინასწარ უნდა აღვნიშნოთ, რომ სწორედ სასწავლო დანიშნულების გათვალისწინებით ცხრილში ტექნიკური ნიშნები დართული აქვთ არა აღდგომისა და პირმარხვის თარიღებს (ე.ი. საცნობარო თვალსაზრისით უშუალოდ გამოსაყენებელ მონაცემებს), არამედ ციკლური ხასიათის სხვა დამხმარე კალენდარულ-პასქალური მახასიათებლების მონაცემებს.

ტექსტში გვხვდება ცხრილით სარგებლობის კონკრეტული მითითებებიც. პირველი ასეთი მითითება მოყვანილია მესამე თავის („უწყებაჲ დიდისა მცხრალისაჲ...“) შესავალში, საიდანაც, ფაქტობრივად, იწყება პასქალურ-კალენდარული მახასიათებლების განხილვა. აქ ცამეტორის 19-წლიანი რიცხვითი მონაცემების ზეპირად დასასწავლად მითითებულია ცხრილის შესაბამისი სვეტი („მეხუთისა კაპატონისა თავსა ჯუარი დამისუამს. და მას ჩაუდეგ და ზეპირ იგი ჩაისწავლე“--ფ. 321r). აღსანიშნავია, რომ ეს სვეტი, ხარება-შვიდეულის შემცველ პირველ სვეტთან ერთად, საგანგებოდ თავშივე ჯვრით არის მონიშნული.

ცამეტორის რიცხვითი მონაცემების დასწავლასთან ერთად, მკითხველმა ცამეტორის რიცხვების მარტ-აპრილზე გადანაწილების წესის მართებულობა მე-4 სვეტის მონაცემებით უნდა შეამოწმოს. ამასთან დაკავშირებით მოწადინებული მკითხველისათვის აბუსერისძეს ეს სვეტიც მოუნიშნავს („შენისა წადილისათჳს, ცამეტორსა ზემოჲთ რომე მეოთხე კაპატონი არს, სამნი ჩიტისთუალნი დამისხმან“—ფ. 321r).

ცხრილის, როგორც თვალსაჩინოებითი საშუალების როლი კიდევ უფრო

გამოკვეთილია მე-9 თავში („უწყებაჲ დასაბამითგანთა წელთაჲთგანცა მასწავებელი...“). აქ ქრონიკონულ წელთაღრიცხვასთან დაკავშირებით, განიხილება 532-წლიანი დიდი ციკლის სტრუქტურა და მასში მზისა და მთვარის ციკლების განთავსების საკითხები. მზის ციკლთან დაკავშირებული ხარება-შვიდეულის 28-წლიანი პერიოდულობა და ყოველი ოთხწლეულის ბოლოს ნაკიან წელთან შესაბამისობა, მკითხველს ევალება ცხრილის მონაცემებზე შეამოწმოს („რაჲ ორგანვე თითი დასდვა თავსა და ბოლოსა და ოცდარვაჲ სტიქონი ჩასთუალო ხარებისაჲ, ოცდამეცხრესა ზედა შეიგებ თითის მიჩუენებითა“—ფ. 328v). ასევე მოწმდება მე-5 სვეტში წარმოდგენილი დიდი მცხრალის (უფრო ზუსტად ცამეტორის) მონაცემები, „რომელნი ჩათუალვითა ცხრამეტ სიქონამდე გააწევენ და თითის მიჩუენებითა მასვე თუესა და მისვე თჳსა სათუალავსა ზედა აცხრომებს“ (ფ. 329r-v).

უშუალოდ ცხრილშივე მოწმდება 532-წლიან ინტერვალში ორივე ციკლის ურთიერთრმიმართება, იმ ფაქტის თვალსაჩინოდ წარმოდგენისათვის, რომ ცხრილში ერთად დაწყებული ეს ციკლები „მეოცესა სტიქონსა ზედა გაიყრებიან და ქრონიკონისა დასრულებასა ბოლონი ერთგანვე შეიყრებიან იგივე მოწამენი დასაწყისისანი“. აქვე ავტორი აღნიშნავს რომ მკითხველს თითის „მიჩუენების“ გარეშეც შეუძლია გაერკვეს ამ კანონზომიერებაში, ვინაიდან მას საგანგებოდ ჩიტისთვალები დაუსვამს „ყოველთავე განსაყოფელთა ოცდარვეულისა და ცხრამეტეულისათა“ და „ესე ჩიტისთუალნი დასაწყისისა და ბოლოჲსგან კიდე ერთგან აღარსად შეიყრებიან“ (ფ. 329r).

ცხრილის თვალსაჩინოების საშუალებად გამოყენების მსგავსი მაგალითი კალენდრის სწავლების თანამედროვე პრაქტიკაშიც არის ცნობილი. კერძოდ წლების იულიუსისეული ათვლის ბუნებისაგან ჩამორჩენის თვალსაჩინოდ ჩვენებისათვის ხშირად მიმართავენ ცხრილის დემონსტრირებას, რომელშიც ერთი საწყისიდან დაწყებული ორივე წლები პარალელურად არის ჩამოწერილი.[1]

ტექსტის დამხმარე მასალა ცხრილში მარტო ციკლების პრობლემატიკით არ ამოიწურება. 84-ე სტრიქონის გასწვრივ, საგანგებოდ ჯვრით მინიშნებული მინაწერი, რომელი ამჟამად სავსებით წარხოცილია, როგორც ეტყობა რალაც ცნობებს შეიცავდა „დაბადებიდან“ ათვლილი 7000 წლის შესახებ. 7000 წლის პრობლემა ტექსტში თავიდანვე არის განხილული და მისი შესაბამისი ქრონიკონული წლის ცხრილში საგანგებოდ ფიქსაცია ისევ თვალსაჩინოების მიზანს უნდა ემსახურებოდეს (ცხრილში უფრო ნათლად ვიდრე ტექსტში ჩანს ქრონიკონულ სისტემაში ამ წლამდე გასავლელი ეტაპები—ქრონიკონის 453 წლიდან მე-13 ქრონიკონის დასასრულამდე 79 წლის და ახალი მე-14 ქრონიკონის 84 წლის სახით).

კიდევ უფრო მეტი დატვირთვა აქვს 453 წელთან მოთავსებულ ჩანაწერს, რომელსაც ხშირად იმორწმებს ტექსტი (იხ. ფფ. 328r, 333v, 335r). მინაწერის იმ ნაწილში, რომლის ამოკითხვაც სირთულის მიუხედავად მაინც შეიძლება,

[1] М. Е. Набоков. Методика преподования астрономии М., 1947, გვ. 107.

მოყვანილია აღნიშნული ქრონიკონის შესაბამისი წლები ქართული და ბერძნული „დასაბამითგანით“ (ფ. 317რ). ამ ჩანაწერს ცხრილში ერთგვარი საწყისი ორიენტირის ფუნქციები აქვს დაკისრებული. მკითხველს რომ აქედან უნდა ეწარმოებინა შემდგომი წლების ათვლა და საჭირო ანგარიშების ჩატარება, ამაზე მიანიშნებს ტექსტისეული მითითება „და ვითაცა წელიწადი გარდაჴდებოდეს, ზედა მიათულიდი“ (ფ. 328რ). როგორც ეტყობა იგივე აზრი იყო გატარებული ჩანაწერის წარხოცილ ნაწილში, რომელიც დღეს საერთოდ არ იკითხება.

ცხრილში წლების ნუმერაცია ქართულთან ერთად ბერძნული ქრონიკონული წელთაღრიცხვითაც არის მოყვანილი. მსგავსი ორმაგი ნუმერაცია X ს. სინურ „პასქალიაშიც“ დასტურდება. მაგრამ იქ, ქართულის პარალელურად მოყვანილ იერუსალიმური სისტემის ნუმერაციას მხოლოდ საცნობარო დანიშნულება აქვს. ამასვე იუწყება გადამწერის შენიშვნაც: „რომელ თავათ სათუალავნი არიან, ქართულად არიან, რომელი ბოლოთ-იერუსალიმურად. ხოლო შენ გულის-ჴმა ყავ და რომელიცა გინდეს, მიუდეგ“.[1]

სინური „პასქალიისგან“ განსხვავებით აბუსერისძის ცხრილს საცნობარისთან ერთად დამხმარე-თვალსაჩინოების დანიშნულებაც აქვს და ვიზუალურად საკმაოდ თვალსაჩინოდ ასახავს 532-წლიანი დიდი ციკლის ფარგლებში ქართული და ბერძნული წელთაღრიცხვების ურთიერთრმიმართებას. ამ წელთაღრიცხვების განმასხვავებელი 96 წელი, მოდელური სახით ცხრილში წარმოდგენილია როგორც ქართული „დასაბამითგანის“ და ქრონიკონის პირველი მოქცევის შესაბამისი 96-ე წელი. ცხრილში თვალსაჩინოდ ჩანს თუ რამდენჯერ „მოიქცა“ ამ დროის ინტერვალში მზის და მთვარის ციკლი შესაბამისი მახასიათებლებით და რა მდგომარეობა იყო 97-ე წლისათვის, როდესაც წლების ათვლის სისტემაში ბერძნული წელთაღრიცხვაც ჩაერთო. ამ ჩართვაზე მიუთითებს აშიაზე, 97 წლის გასწვრივ დატანებული მინაწერიც („აქა და|იწყ|ებს სათ[უალავი] ბ[ერძენთა]...“ ფ. 310-რ).

მკითხველს ასევე ცხრილის საშუალებით უნდა შეექმნა სრული წარმოდგენა შედგომ წლებშიც ამ ინტერვალის მუდმივ ხასიათზე. ტექსტში ამასთან დაკავშირებით აღნიშნულია რომ ბერძნული სისტემით, მთვარის ერთი 19-წლიანი ციკლის გასვლის შემდგომ, ე.ი. მე-20 წლისათვის, ქართული წელთაღრიცხვა 116 წელს შეადგენს. ასევე საინტერესო ინფორმაციას შეიცავს ბერძნული სისტემით წლების ნუმერაცია ზემოთ აღნიშნული პირველი 96 წლის ფარგლებში. აქ ეს სისტემა ჯერ კიდევ წინა მოქცევის ათვლას განაგრძობს, მაშინ როდესაც ქართული ნუმერაციით უკვე ახალი (ე.ი. მე-14) მოქცევის წლები აღინიშნება. ბერძნული ათვლით, ამ წინა (ე.ი. მე-13) მოქცევის დასრულებას აფიქსირებს 96-ე წლის გასწვრივ მითითებული ჩანაწერის ფრაგმენტი „ხუთას ოცდა.“ ანუ აღდგენილი სახით „ხუთას ოცდათორმეტი“.

ზემოთ მოყვანილი მონაცემები აშკარად მეტყველებენ იმ გარემოებაზე, რომ ცხრილის სახით, აბუსერისძეს გამოუნახავს კიდევ ერთი ეფექტური დამხმარე

---

[1] ბროსე, დასახ. ნაშრომი, გვ. 9

საშუალება მასალის შეგნებული ათვისების მიზნით. ამ შემთხვევისათვის შეიძლება ერთმნიშვნელოვნად დავასკვნათ, რომ აბუსერისძემ პასქალურ ცხრილში შეტანილი დამატებების მეშვეობით, ფაქტობრივად, შექმნა სრულიად ახალი, უკვე სასწავლო-საცნობარო დანიშნულების პასქალური ცხრილი, რომლის ანალოგიც ჩვენთვის არა მარტო ქართულ, არამედ სხვა ქვეყნების პასქალურ-კალენდარული ლიტერატურიდანაც ცნობილი არ არის.

თხზულების, როგორც სასწავლო სახელმძღვანელოს სრული დახასიათებისათვის, აუცილებელია ტექსტში მოხსენებული „ზეპირ საცოდინელი უწყების“ მნიშვნელობის დადგენა. ამ „უწყებას“ ავტორი შესავალ ნაწილში მოიხსენიებს შემდეგი წინადადების შემადგენლობაში: „ხოლო რომელი დაეტევის სისულელესა ჩემსა, ზეპირ საცოდინელი უწყებაჲცა შეუდგინო გონიერად გულისჴმის-მყოფელთათჳს, უკეთუ ვისმე ენებოს სწავლაჲ“ (ფ. 319v).

ტექსტის შემდგომ ნაწილში ეს „ზეპირ საცოდინელი უწყება“ აღარ მოიხსენება. ამის ნაცვლად გვხვდება უდაოდ მასთან დაკავშირებული ფრაზები: „გონიერად გულისჴმის-მყოფელთათჳს“, „ესე არ შეიგების“, „ზეპირ დასწავლაჲ“ და სხვ. სწორედ აღნიშნული ფრაზების საშუალებით შეიძლება დავაზუსტოთ „ზეპირ საცოდინელი უწყების“ მნიშვნელობა. მხოლოდ უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვა „ზეპირი“ ხშირად სხვადასხვა გაგებით იხმარება, რაც ერთგვარად ართულებს ამ ამოცანას. აღნიშნული გარემოების თვალსაჩინო ნიმუშს წარმოადგენს მე-3 თავის („უწყებაჲ დიდისა მცხრალისაჲ...“) ფრაგმენტი, რომელიც ცამეტორისა და დიდი მცხრალის შესწავლის პრობლემას ეხება. აქ რამდენჯერმე მითითებულია „ზეპირი დასწავლა“, რომელიც მონაცვლეობით არის ჩართული სხვადასხვა წინადადებებს შორის. ამ ფრაზების ჩამონათვალი, თანმიმდევრობის დაცვით ასე გამოიყურება: 1. „უკუეთუ ამისი ვისმე ზეპირ დასწავლაჲ გენებოს“, 2. „რაჲ ესე ზეპირ დაისწავლო“, 3. „რაჲ ესე ზეპირ დაისწავლო“, 4. „უკუეთუ ცამეტორისა ზეპირ დასწავლაჲ გეწყინებოდეს“, 5. „რაჲ ესე ყოველივე ზეპირ დაისწავლო და კარგად მიხუდებოდე ცხრომასა მთუარისასა“ (ფფ. 321r-321v). აქედან პირველი, მეორე და მეოთხე მითითება ცამეტორის მონაცემების დასწავლას ანუ მათ მექანიკურად დაზეპირებას ეხება. ამ მითითებისაგან განსხვავებით, მესამე მითითების ობიექტს უკვე ცამეტორის ოცზე მეტ-ნაკლები რიცხვების მარტ-აპრილზე გადანაწილების წესი და ამ წესის განმაპირობებელი კანონზომიერება შეადგენს (ეს კანონზომიერება ეხება დიდი მცხრალის თარიღების ინტერვალს, რომელიც 21 მარტითა და 18 აპრილით არის შემოსაზღვრული). ასევე ბოლო მითითებაც კონკრეტულად მის წინ გადმოცემულ ცამეტორის გამოსათვლელ ანალიზურ წესს, ხოლო ზოგადად ფრაგმენტში მოყვანილი წესების „გაზეპირებას“ გულისხმობს. „ყოველივეს“ რომ ამ შემთხვევაში რიცხვის მექანიკურ დაზეპირებასთან რაიმე კავშირი არა აქვს, ეს ჩანს მომდევნო ფრაზიდანაც. აქ კი შედეგად ამგვარ დაზეპირებასთან შეუთავსებელი, საგნის არსში ჩაწვდომის შესაძლებლობა არის დასახელებული („კარგად მიხუდებოდე ცხრომასა მთუარისასა“.)

ამავე მნიშვნელობით „ზეპირი“ თუ „გაზეპირება“ ტექსტის სხვა ნაწი-

ლებშიც გვხვდება. იგივე „დიდი მცხრალის“ კვირის დღის გამოსათვლელი წესის (სიტყვიერი ფორმულის) დამახსოვრებასთან დაკავშირებული შენიშვნა, ტექსტში ასეთი სახით არის გადმოცემული: „რაჲ დიდისა მცხრალისა გაიზეპირო დღისა პოვნაჲ...“ (ფ. 322v).

საინტერესო არის ამ მხრივ წარმოდგენილი დღისსაძიებლის გამოსათვლელი წესი, რომელიც ნებისმიერი თვისათვის, დღისსაძიებლის გამოყვანას წინა უკვე „გარდასრული“ თვეების დღეთა რიცხვის ჯამის შვიდეულად განტევების ოპერაციით ითვალისწინებს. ამ წესის გამოყენება მე-6 თავში („უწყებაჲ დღისსაძიებელთათჳს...“) რეკომენდებულია იმ შემთხვევაშიც, თუ მკითხველს დღისსაძიებლის ცხრილური მონაცემების გაზეპირება გაუძნელდება: „უკუეთუ ზეპირ დასწავლაჲ გეწყინებოდეს, ამით შეიგებდი...“ (ფ. 324v). დღისსაძიებლისადმი მიძღვნილ მეორე „საუწყებელში“ („უგანცხადებულესადრე ჯერ-არს...“), ცხრილური მონაცემების განხილვის შემდგომ, აღნიშნული წესი უკვე ამდაგვარად არის მოხსენებული: „უკუეთუ იმით რიცხჳთა იძიო, ვითა პირველსა საუწყებელსა შინა დღისსაძიებელთასა დამიწერია, ზეპირ უცოდინელსა ეგრეცა გუაუწყებს ამათვე რიცხუთა დღისსაძიებელისათა...“ (ფ. 223v). ამ შემთხვევაში როგორც ვხედავთ დღისსსაძიებლის გამოსათვლელ ანალიზურ წეს-ფორმულას, მექანიკურად დაზეპირების ცნებისაგან განსამიჯნავად, ავტორი „ზეპირ უცოდინელის“ ლოგიკურად აზროვნების უნარს უკავშირებს. ვინაიდან ტექსტში „ზეპირი“ ან „გაზეპირება“ ჩვეულებრივ ამგვარი წესების მიმართაც იხმარება, გამოთქმა „ზეპირ უცოდინელი“ საბოლოოდ ადასტურებს ამ სიტყვების ორი მნიშვნელობით გამოყენებას.

საერთოდ მექანიკური დაზეპირებისაგან არც წეს-კანონზომიერებები შეიძლება იყვნენ დაზღვეული, მაგრამ ეს რომ ტექსტში მოყვანილ მასალებს არ ეხება, ნათლად ჩანს მათი გადმოცემის ხასიათიდან და ავტორისეული შენიშვნებიდან. ამ მხრივ მრავლის მეტყველია უკვე ზემოთ განხილული წინადადება: „რაჲ ესე ყოველივე ზეპირ დაისწავლო და კარგად მიხუდებოდე ცხრომასა მთუარისასა“. ცხადია რომ ცხრომის არსში ჩასაწვდომად, არც წესების დამახსოვრება იქნებოდა საკმარისი. აქ „ზეპირი“ გულისხმობს უკვე მთელი იმ კომპლექსის შეგნებულად ათვისებას, რომელიც ტექსტში ამა თუ იმ წესს თან ახლავს თეორიული წანამძღვრების, ახსნა-განმარტებების თუ დასაბუთებების სახით (ამიტომაც არის, რომ მიზეზობრივი კავშირის გამომხატველი სიტყვა „მიზეზი“ ძალზე ხშირად ერთვის ყველა ჩამოყალიბებულ წეს-ფორმულას: „მიზეზი ეგრეცა უწყოდეთ“, „ამის მიზეზისათჳს“, „რაჲსა მიზეზისათჳს“, „ვითარ ანუ რაჲთა მიზეზითა“ და ა. შ.). აქ შეიძლება რამდენიმე კონკრეტული მაგალითი მოვიყვანოთ ამ სიტყვის ხმარებასთან დაკავშირებით. უკვე შესავალშივე, „ზეპირ საცოდინელი უწყების“ მასალის გადმოცემის თანმიმდევრობისათვის, აღნიშნულია რომ „პირველად ჯერ-არს გამოთქუმად მიზეზისა“. ე.ი. აქ ხაზი ესმება მიზეზს „თუ რაჲ არს“ კალენდარული მახასიათებელი (მახასიათებლები), და არა თვით მახასიათებლის ფორმალურ ცნებას. ტექსტში დაფიქსირებულ მიზეზობრივ კავშირებს, ჩვენ საკითხის ან ცნების გად-

მოცემით და იქვე შესაბამისი მიზეზის დასახელებით ვიძლევით: 1. მთვარის წელიწადი 354 დღეს შეიცავს—მიზეზი: მთვარის თვის 29,5 დღიანი ხანგრძლივობა (ფ. 319v); 2. ცამეტორისა და მთვარის ციკლის სხვა კალენდარული მახასიათებლების 19-წლიანი განმეორადობა––მიზეზი: 19 წლის შემდგომ მთვარის ფაზები (ამ შემთხვევაში სავსემთვარეობა) იმავე კალენდარულ თარიღებს თანხვდება (ფ. 321r-v); 3. ოქტომბრის თვის დღისსაძიებელი ნულის ტოლია („არა აქუს")––მიზეზი: იანვრიდან ოქტომბრამდე გასულ დღეთა რიცხვის ჯამი „შვიდეულად განტევებისას" უნაშთოდ იყოფა (ფ. 324 r); 4. ქართული ზედნადების ერთი წლით წანაცვლება––მიზეზი: ბიბლიური მონაცემებით მზის და მთვარის წლებს შორის 11-დღიანი სხვაობის „დასაბამიდან" მეორე წელს „ამოქმედება" (ფ. 328r). 5. ბერძნულ მთვარის 19-წლიან ციკლში ბოლო სამი მთვარის წრისათვის ზედნადების მნიშვნელობის ერთი ერთეულით გადიდება —მიზეზი: ე.წ. „მთვარის ნახტომი" ანუ 19-წლიან ციკლში ერთხელ მზის წელიწადთან შედარებით მთვარის წელიწადის 12 დღით დაკლება (ფ. 330r) და სხვ.

ამ ჩამონათვალის გაგრძელება კიდევ შეიძლებოდა, მთელი რიგი მაგალითებით. თუ გავითვალისწინებით, რომ ტექსტში სიტყვა მიზეზის ნაცვლად უფრო ხშირად „ამისთჳს" ან „ამისთჳს რომე" იხმარება, ფაქტობრივად, არც ერთი ცნება თუ საკითხი არ არის შესაბამისი განმარტება-დასაბუთების გარეშე დატოვებული. ცხადია, რომ ასეთი მიდგომით მკითხველს რომელიმე წესფორმულა კიდევაც რომ დავიწყებოდა, მასთან დაკავშირებული ცოდნის კომპლექსის მეშვეობით, მისი აღდგენა-გახსენება აღარ გაუჭირდებოდა.

ტექსტში მასალის შეგნებულად ათვისების პრიორიტეტულ მიმართულებაზე მეტყველებს ავტორისეული ხშირი მიმართვები იმ გონიერად მოაზროვნე მკითხველისადმი („გონიერად გულისჴმის-მყოფელი"), რომლის მომზადების მიზნითაც დაიწერა „ზეპირ საცოდინელი უწყება": „ამის ჯერისათვის გონიერმან კაცმან თჳთცა რაჲმე გულისჴმა-ყავ და ჰაგრე პოე მის წმიდისა დღესასწაული" (ფ. 323r), „და იანვარსა და ფებერვალსა შინა არ კარგა შეიგების, თუ გონიერად გულისჴმის-მყოფელი კაცი არ იქმნების" (ფ. 325v), „საეკლესიოდ და მარხვათა დაყენებისათჳს და მის ყოვლისავე მიზეზისა მცოდნელობისათჳს, ესეცა კმა-იყო გონიერად გულისჴმის-მყოფელთათჳს" (ფ. 326r).

მოყვანილი მასალის საფუძველზე ერთგვარად იკვეთება „ზეპირ საცოდნელი უწყების" კონტურები. ეს არის, ფაქტობრივად, თვითმასწავლებელი, რომლის მიხედვითაც დაინტერესებულმა მკითხველმა შეიძლება არა მარტო შეგნებულად აითვისოს პასქალურ-კალენდარული სისტემის საფუძვლები, არამედ მახსოვრობაში გადაიტანოს მასთან დაკავშირებული რაოდენობრივი საკითხები და გამოთვლითი აპარატიც. ავტორის ჩანაფიქრით, ამგვარი ცოდნისა და გამოთვლითი აპარატის მეშვეობით, უკვე მომზადებულ მკითხველს უნდა შესძლებოდა ნებისმიერი წლისათვის სათანადო პასქალური გამოთვლების ჩატარება, როგორც ქართული ისე ბერძნული „სათვალავების" გამოყენებით.

ისევე როგორც „ზეპირ საცოდინელი უწყება", მასალის შეგნებულად ათვისებას ისახავდა მიზნად „ასურული კჳკლოსის" განმარტებითი ტექსტიც.

მხოლოდ „ზეპირ საცოდინელი უწყებისაგან“ განსხვავებით ამ უკანასკნელში აქცენტი თვით კომპაქტურ ცხრილზე და მისი შედგენილობის პრინციპებზე უნდა ყოფილიყო გადატანილი. ამგვარი მიდგომა აბუსერისძემ, როგორც ეტყობა, იმ ფრაგმენტის საშუალებით განახორციელა, რომელსაც თვითონვე ზოგადად „ჟამთა თჳსთა ქრონიკონს“ უწოდებს. სამწუხაროდ, როგორც დადგინდა, გადამწერის მიერ დაშვებული შეცდომის შედეგად ეს მთავარი ფრაგმენტი ხელნაწერის ტექსტში საერთოდ ვერ მოხვდა. ამავე დროს, ისევ ძირითადად აბუსერისძის მონაცემების საშუალებით გამოვლინდა, რომ მის წინამორბედს—იოანე შავთელს—თავის დროზე იამბიკური ფორმით შედგენილი ჰქონია ვრცელი ტრაქტატი, რომელიც, როგორც ეს სათაურიდანვე ჩანს, „ასურული კჳკლოსის საძიებელსა და მასწავებელს“ წარმოადგენდა. ეს ფაქტი თითქოს იმ გარემოებაზე უნდა მიუთითებდეს, რომ „ჟამთა თჳსთა ქრონიკონი“ შავთელის თხზულების მიხედვით უნდა ყოფილიყო შედგენილი. ცხადია, საერთო თემატიკასთან დაკავშირებით გარკვეულ თანხვედენებს მართლაც უნდა ჰქონოდა ადგილი, მაგრამ მიუხედავად ამისა, განსხვავებული მიზნების გამო „ჟამთა თჳსთა ქრონიკონი“ „საძიებლისა და მასწავებლის“ შემოკლებული ასლი ვერ იქნებოდა. შავთელის მაღალმხატვრული თხზულება მხოლოდ იმ აუდიტორიისათვის იყო განკუთვნილი, რომელიც საფუძვლიანად ერკვეოდა პასქალურ-კალენდარულ პრობლემებში. „ჟამთა თჳსთა ქრონიკონი“ კი, ავტორისვე მითითებით, კომპაქტური ცხრილის „ახლად მოსწავლე ქმნილთათჳს“ იყო დაწერილი და იმავე სასწავლო პრინციპებით იქნებოდა გადმოცემული, რომელიც „ზეპირ საცოდინელ უწყებას“ ედო საფუძვლად. ამგვარი ფრაგმენტის განმარტებით ტექსტში წარმოდგენისას უკვე არც „არასასწავლო“ დანიშნულების 13-მუხლიანი იამბიკოს ციტირება იქნებოდა უადგილო. პირიქით, ამ უკანასკნელს მასალის ასათვისებლად გასაადვილებელი სახალისო ელემენტების შემოტანაც შეეძლო საერთო ტექსტში. ასე რომ, აბუსერისძის ჩანაფიქრით კომპაქტურ ცხრილს დართული უნდა ჰქონოდა მეტად საინტერესო მოკლე სახელმძღვანელო, რომელიც სასწავლო-პედაგოგიური თვალსაზრისით კიდევ უფრო წარმოაჩენდა მთელ\თხზულებას. სამწუხაროდ, ამ ჩანაფიქრის განხორციელება ვერ მოხერხდა და ტექსტმა ჩვენამდე ნაკლული სახით მოაღწია.

ეს დანაკლისი უფრო მეტად აბუსერისძის შემოქმედების სრულყოფილად წარმოდგენის თვალსაზრისით უნდა იყოს საგრძნობი და არა კომპაქტური ცხრილის შემსწავლელი მკითხველისათვის. თხზულების წინა ნაწილში გადმოცემული მასალა ისედაც საკმარისი იყო, რომ ეს უკანასკნელი ადვილად გარკვეულიყო ცხრილთან დაკავშირებულ საკითხებში. კიდევ უფრო მეტი, ამგვარი მკითხველისათვის უკვე შეიძლებოდა იმ ინფორმაციის მიწოდება, რომელიც აბუსერისძის კვლევის საგანგებო საგანს შეადგენს და მოწოდებულია პასუხი გასცეს თავიდანვე დასმულ კითხვაზე: რატომ თანხვდება აღდგომისა და მასთან დაკავშირებული მოძრავი მარხვა-დღესასწაულების თარიღები ერთმანეთს, მაშინ როდესაც განსხვავება ქართულ და ბერძნულ წელთაღრიცხვებს შორის 96 წელიწადს შეადგენს.

ეს კვლევითი ნაწილი, რომელიც ძირითადად მოყვანილია მე-10 თავში („ძიებისათჳს და შემოწმებისა ქართველთა და ბერძენთა სათუალავისა"), „ზეპირ საცოდინელი უწყების" მთავარ და შემაჯამებელ ნაწილს წარმოადგენს.

თუმცა ამგვარი დაყოფაც პირობითად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან საკითხის გამოკვლევა ფაქტობრივად თავიდანვე იწყება, როდესაც მოსამზადებელი სამუშაოს სახით იმ ძირითადი კალენდარული ცნებების და საკითხების დაზუსტება მიმდინარეობს, რომელთაც სასწავლოსთან ერთად კვლევითი დანიშნულება აქვთ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სასწავლო-პედაგოგიური თვალსაზრისით თუ ეს მოსამზადებელი სამუშაო სასწავლო სახელმძღვანელოს დანიშნულებას პასუხობს, მეცნიერული გამოკვლევის პოზიციებიდან ის კვლევისათვის აუცილებელ საწყისი მონაცემების გამოსავლენ ღონისძიებად უნდა იყოს გაცნობიერებული. ასე რომ „ზეპირ საცოდინელი უწყება", რომელიც „ქრონიკონის" ათივე თავს მოიცავს (ამ მხრივ მე-II აშკარად ცალკე უნდა გამოიყოს, როგორც საცნობარო ხასიათის თავი), ლოგიკურად შეკრულ შრომას წარმოადგენს, რომელიც თავისთავში ერთდროულად სასწავლო-პედაგოგიურ სახელმძღვანელოსა და მეცნიერულ გამოკვლევას ითავსებს.

კითხვას, რომელმაც განაპირობა აბუსერისძის კვლევითი სამუშაო, თანამედროვე გადასახედიდან ზოგადად შეიძლება პასუხი გაეცეს შემდეგი სქემის სახით. წელთაღრიცხვების სხვაობის მიუხედავად, აღდგომის დღესასწაულის ერთდროულად აღნიშვნის მიზეზი საძიებელია ბერძნულ-ქართული კალენდარული მახასიათებლების ისეთ ურთიერთმიმართებაში, რომელიც უზრუნველყოფს ერთიანური შედეგების მიღებას აღდგომის თარიღთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, ამ თარიღის გამოსაანგარიშებლად, ჯერ გამოითვლება პასქალური სავსემთვარეობის ანუ „დიდი მცხრალის" კვირის დღე და შემდეგ უახლოეს კვირამდე დღეების გადათვლით დგინდება აღდგომის თარიღი. აქ და საერთოდ პასქალურ გამოთვლებში, მთავარი მნიშვნელობა ენიჭება დიდი მცხრალის კვირის დღის (K) გამოთვლას, რომელიც თანამედროვე სიმბოლოებით შეიძლება ასეთი ფორმულის სახით წარმოვიდგინოთ:

$$K = \left| \frac{a + c + d}{7} \right|$$

აქ a--შვიდეულია, c--მცხრალის თვის რიცხვი ე.ი. ცამეტორი და d--დღის საძიებელი.

ფორმულა გვიჩვენებს რომ გადასაწყვეტი პრობლემა კონკრეტულად ამ კალენდარულ მახასიათებლებზე დაიყვანება, რომელთა ჯამიც ბერძნული და ქართული მონაცემებითაც საბოლოოდ ერთი და იგივე სიდიდეს უნდა შეადგენდეს.

თავის გამოკვლევაში ზუსტად ამ გზას მიმართავს აბუსერისძე, რომელიც საკითხის განხილვას „დიდი მცხრალით" იწყებს.

ბერძნული წესით „დიდი მცხრალის" გამოსათვლელად გამოიყენება ანალიზური მეთოდი. სიტყვიერი ფორმულებით, მოცემული წლისათვის ჯერ გამო-

ითვლება მთვარის წრე (L'), მთვარის წრის საშუალებით ზედნადები (Z) და ზედნადების მეშვეობით კი „დიდი მცხრალი“ (M). ეს ფორმულები თანამედროვე სიმბოლოებით შეიძლება ასე გადმოვცეთ:

$$L' = \left|\frac{A'}{19}\right|, \quad Z = \left|\frac{11 \times L'}{30}\right| \text{ და } M=50-|(Z+6)+31| \text{ როდესაც } (Z+6)<20$$

$$M=50-(Z+6) \text{ როდესაც } (Z+6)=20\div30$$

$$M = 50 - \left[\left|\frac{Z+6}{30}\right| + 31\right] \text{ როდესაც } (Z+6)>30$$

ქართულ წესთან დაკავშირებით აბუსერისძე ჯერ განიხილავს მთვარის წრის საკითხს. მკითხველისათვის რომ უფრო გასაგები იყოს, ის რიცხვით მაგალითებს მიმართავს. კერძოდ, მიმდინარე წლისათვის (ე.ი. 1233 წ.), რომელიც „დასაბამითგანი“ წლებით ბერძნულად და ქართულად შესაბამისად 6741 და 6837 წლებს შეადგენს, ის ანგარიშობს მთვარის წრეს ბერძნული (L') და ქართული (L) სისტემებისათვის:

$$L' = \left|\frac{6741}{19}\right| = 15 \quad \text{და} \quad L = \left|\frac{6837}{13}\right| = 16$$

ვინაიდან ქართული მთვარის წრე ერთი ერთეულით აღემატება ბერძნულს (L–L'=1), ქართულიდან ბერძნულ სისტემაზე გადასვლისათვის საკმარისია ეს ერთეული გამოაკლდეს ქართული მთვარის წრეს. ეს კი იგივეა რომ ქართული „დასაბამითგანი“ წლები ერთნაკლები სიდიდით წარმოვადგინოთ. მაშინ 96 წლის ნაცვლად ინტერვალი უკვე 95 წელი იქნება და ვინაიდან ეს რიცხვი 19-ზე უნაშთოდ იყოფა, მთვარის კალენდრის პოზიციებიდან ასეთი ინტერვალი უკვე წელთაღრიცხვების გამმიჯნავ ბარიერს აღარ წარმოადგენს. ამასთან დაკავშირებით აბუსერისძე აღნიშნავს, რომ „ამით ეწამების დიდი მცხრალი ურთიერთარს ბერძენთა სათუალავითა და ქართველთაჲთა სოფლის დასაბამითგანითა“ (ფ. 330v). ამ შემთხვევაში აქ ის გულისხმობს იმ ფაქტს, რომ წარსულში, როდესაც ზედნადებს გამოთვლებში ქართული პრაქტიკაც იყენებდა, მის გამოსაანგარიშებლად გამოიყენებოდა ერთი ერთეულით შემცირებული მთვარის წრე (ანუ ერთნაკლები „დასაბამითგანი“ წლები თუ ის მთვარის წრის მისაღებად უნდა „განტევებულიყო ცხრამეტეულად“). ამ საკითხს ის კვლავ უბრუნდება ბერძნული დიდი მცხრალის გამოსათვლელი ფორმულის გადმოცემის შემდეგ და უკვე პირდაპირ უჩვენებს, თუ რაში გამოიხატება აღნიშნული თანხვდენა.

.ამ მიზნით მას მოჰყავს ქართული წესით მთვარის წრისა და ზედნადების გამოსათვლელი ფორმულები. ზედნადების ფორმულა, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ერთნაკლები მთვარის წრის გამოყენებაზეა დაფუძნებული. ასე რომ ამ სიტყვიერი ფორმულების თანამედროვე ჩანაწერს ასეთი სახე აქვს:

$$L = \left|\frac{\Lambda}{19}\right| \text{ და } Z = \left|\frac{11 \times (L - 1)}{30}\right|$$

ამ წესით გამოთვლილ ზედნადებს, რომელსაც იმ დროისათვის ქართულ გაჲმოთვლით პრაქტიკაში უკვე დაკარგული ჰქონდა თავისი საგამომთვლელო ფუნქციები, აბუსერისძე ქართული სათვალავის („დასაბამითგანი“ წლების) შესამოწმებლად იყენებს. ამ მიზნით ამ ზედნადების მნიშვნელობა მას შეაქვს „დიდი მცხრალის“ გამოსათვლელ ფორმულაში. ვინაიდან მოცემული წლისათვის ქართული ზედნადები თანხვდება ბერძნულს, ორივე ზედნადებით გამოთვლილმა ფორმულამ ერთი და იგივე შედეგი უნდა უჩვენოს მკითხველს (წინა-ალმდეგ შემთხვევაში „შემოწმებით“ დადასტურდება, რომ ქართული „დასაბამითგანი“ წლები სწორად არ იყო აღებული).

აღნიშნული „შესამოწმებელი“ და ასე ვთქვათ კომბინირებული ბერძნულ-ქართული წესის გარდა, აბუსერისძეს მოყავს ძირითადი (ქართული) ნახევრად ანალიზური წესიც, რომელიც მთვარის წრის გამოსათვლელ ფორმულასთან ერთად ცამეტორის ცხრილის გამოყენებას ითვალისწინებს. ქვემოთ მოგვყავს ცამეტორის ანუ პასქალური სავსემთვარეობების 19-წლიანი განაწილების ცხრილი. პირველ სტრიქონში წარმოდგენილია 19-წლიანი ციკლის რიგითი ნომრები ანუ მთვარის წრეები; მეორეში––ცამეტორი, ანუ სავსემთვარეობის მნიშვნელობები, რომელთა ათვლა 13 აპრილიდან იწყება; მესამეში იგივე მონაცემები მხოლოდ ბერძნულ სისტემაში, რომლის საწყისსაც 2 აპრილი შეადგენს.

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19
ιγ	κα	κβ	λ	λ	μ	μ	ν	ν	ξ	ξ	ο	ο	π	π	ρ	ρ	σ	σ
2ა	22მ	10ა	30მ	18ა	7ა	27მ	15ა	4ა	24მ	12ა	ს	21მ	9ა	29მ	17ა	5ა	25მ	13ა

როგორც ცხრილიდან ჩანს, ქართული და ბერძნული „დიდი მცხრალის“ მონაცემები ერთმანეთისგან მხოლოდ მიმდევრობის ერთი ნომრის წანაცვლებით განსხვავდებიან. ეს წანაცვლება, ანალიზური წესით გამოთვლილი ქართული მთვარის წრისათვის ბერძნულთან შედარებით ერთი ერთეულით მეტობას ითვალისწინებს და ამიტომაც ცხრილის საშუალებითაც მიღებული „დიდი მცხრალის“ მნიშვნელობა ბერძნული ანალიზური წესით მიღებულ მნიშვნელობას თანხვდება.

მეორე კერძო მაგალითად აბუსერისძეს მოყავს წელთაღრიცხვების 96-წლიანი ინტერვალი, მხოლოდ ამჯერად ეს ხანგრძლიობა „დასაბამითგანი“ წლების ანუ რაც იგივეა, ქართული ქრონიკონის პირველი მოქცევის საწყის 96 წლად აქვს წარმოდგენილი. ამ შემთხვევაში 96 წლის „ცხრამეტეულად განტევებას“ ავტორი ზეპირად ასრულებს, ვინაიდან 95 წელი, როგორც უკვე ცნობილია „ცხრამეტეულად წარვალს“. ერთი ერთეულის სახით დარჩენილ ნაშთს ანუ მთვარის წრეს ცამეტორის ცხრილში („ცამეტორის ცოდნასა შინა“) 13 აპრილი შეესაბამება.

97-ე წლისათვის, როდესაც ბერძნული წელთაღრიცხვაც ერთვება ათვლის სისტემაში, ქართული წესით გამოთვლილი პასქალურ-კალენდარული მახასი-

ათებლების სიდიდე შეადგენს: L=2; Z=11 რადგან $\left|\frac{11 \times (2-1)}{30}\right| = 11$ და M=2

აპრილს. ბერძნული წესით შესაბამისად: L'=1; Z=11 რადგან $\left|\frac{11 \times 1}{30}\right| = 11$ და

M=2 აპრილს. ე.ი. ზედნადებისათვის და რაც მთავარია „დიდი მცხრალისათვის" ადგილი აქვს სრულ თანხვდენას, რაც განპირობებულია მათ გამოთვლისას მთვარის წრის ერთი ერთეულით დაკლებით. სწორედ ამ ღონისძიების განხორციელების შედეგად აბუსერისძის სიტყვებით შესაძლებელი გახდა „რომელ ოთხმეოცდათხუთმეტითა წლითაღა უმეტესთა ვთულიდეთ ქართველნი და მეთექუსმეტისა შეძენითა ცხრამეტეულნი არღარა მოიშალნენ" (ფ. 333r).

„დიდი მცხრალისაგან" განსხვავებით, შვიდეულებისათვის ასეთ თანხვდენას უკვე აღარა აქვს ადგილი. ამის მიზეზად აბუსერისძე იმ გარემოებას

ასახელებს, რომ ერთი და იგივე ფორმულით $a = \left|\frac{S + \left[\frac{S}{4}\right]}{7}\right|$ გამოთვლილ სი-

დიდეს, ბერძნულ და ქართულ სისტემებში სხვადასხვა შინაარსობრივი დატვირთვა აქვთ. კერძოდ ქართული სისტემით მიიღება შვიდეული, რომელიც ხარების ანუ 25 მარტის თარიღის კვირის დღეს გამოხატავს, ხოლო ბერძნულით-ხარების წინა დღის ანუ 24 მარტის კვირის დღის აღმნიშვნელი შვიდეულია („ესე ბერძული სათუალავი და ქართული ამან მიზეზმან განყო, რომელ დასაბამითგან ოცდარვეულად განტევებითა ხარებად იპოვნების... და ბერძენნი ესრევე ოცდარვეულად განუტეობენ... და ამით ხარებისა წინა დღესა ჰპოებენ"—ფ. 332r).

პასქალურ-კალენდარული საკითხებისადმი მიძღვნილ როგორც ძველ, ისე თანამედროვე ლიტერატურაში შვიდეულის კალენდარულ-ასტრონომიული არსი და დანიშნულება ბოლომდე არ არის სათანადოდ გაშუქებული. ამიტომაც, ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს აბუსერისძის ერთი შენიშვნა, რომელიც მე-7 თავში („უგანცხადებულესადრე ჯერ-არს გამოთქუმად დღის საძიებელთათჳსვე...") არის მოყვანილი. აქ 1 იანვრის კვირის დღის გამოთვლის საკითხებთან დაკავშირებით, იმ შემთხვევისათვის, როდესაც კვირის დღე წინასწარ ცნობილია, აბუსერისძე აღნიშნავს: „მას წელიწადსა ხარებისა დართვად არ უნდა იანვარისა დაწყებისა კჳრიაკეობისათჳს" (ფ.222r). „ხარების" დართვის საჭიროების მოხსნა ნიშნავს რომ ხარება-შვიდეული ნულის ტოლია, რაზედაც 1 იანვრის „კვირიაკეობაც" მეტყველებს. ვინაიდან გამოსათვლელ წეს-ფორმულაში სხვა სიდიდეები არ არის მოყვანილი, აქედან ჩანს რომ ხარება-შვიდეულს წელიწადის დასაწყისის (1 იანვრის) კვირის დღის გამოსათვლელი კალენდარული მახასიათებლის ფუნქციები აკისრია. ხოლო თვითონ, საკუთრივ, წლის დასაწყისის წინა დღის (31 დეკემბრის) კვირის დღეს აღნიშნავს. ე.ი. ფაქტობრივად, ის მთვარის ზედნადების ანალოგიურ ფუნ-

ქციებს ასრულებს. მხოლოდ თუ ზედნადები მთვარის ასაკს აფიქსირებს წლის დასაწყისის წინა დღისათვის, შვიდეული კვირეულის „ასაკს“ უჩვენებს ამავე დღისათვის და 1 იანვარი უშუალოდ აგრძელებს ამ კვირეულის ანათვალს.

შვიდეულის სწორედ ამგვარ დანიშნულებაზე უნდა მიუთითებდეს შენიშვნა მისი ცვალებადობის შესახებ--„ვითა იგი წაიცვალებს, ეგრეთვე ყოველთა წელიწადისა დღეთა წასცვალებს“ (ფ. 222v) და მისი მეორე სახელწოდებაც--„მზის ზედნადები“ (იხ. ფფ. 336v, 337v).

გადამწყვეტი მნიშვნელობა ამ შეჯთხვევაში უნდა მიენიჭოს იმ ფაქტს, რომ ქართული შვიდეულის ცნებასთან დაკავშირებული 25 მარტის კვირის დღე 1 იანვრის წინა დღის 31 დეკემბრის კვირის დღეს თანხვდება. ქართულ პასქალურ ანგარიშებში რომ მზის ციკლი, ისევე როგორც სხვა ასათვლელი სისტემები პირველი იანვრიდან იწყება, ეს ეჭვგარეშეა (ამის შესახებ აბუსერისძე ხაზგასმით აღნიშნავს „დაღაცათუ დასაბამად წელიწდისად დადგომად სეკლენბერისად დადებულ არს, გარნა ესევითარისა სათუალავისა და გამოძიებისათჳს და ამის ყოვლისათჳს, რომლისა წერასა შინა ვარ, იანვარისა დაწყებად დადებულ არს წელიწდისა დასაბამად“—ფ. 323v). ამიტომაც ეს თანხვდენა შემთხვევითი არ უნდა იყოს.

კიდევ უფრო მეტი, ბერძნული სათვალავისათვის, რომლისთვისაც ცნობილია რომ მზის ციკლი 1 ოქტომბერს იწყება (ასევე ოქტომბრით იწყება დღისაძიებლების ათვლაც), 24 მარტის კვირის დღე 1 ოქტომბრის წინა დღის, 30 სექტემბრის კვირის დღეს თანხვდება.

შვიდეულის ნამდვილი შინაარსის დადგენის შემდგომ ძნელი არ არის ავხსნათ თუ რატომ „შეითავსა“ 24 და 25 მარტმა წლის დასაწყისის მახასიათებლის ფუნქციები. ვინაიდან პასქალური გამოთვლებისას ძირითად ობიექტს მარტ-აპრილის თვეები შეადგენენ, უფრო მოხერხებული იყო შვიდეულის ამ თვეებთან, კერძოდ კი მარტთან დაკავშირება (24 ან 25 მარტის კვირის დღის ცოდნით უკვე ადვილია მახლობელ დღეებში „დიდი მცხრალის“ კვირის დღის დადგენა).

ქართულად ხარების, ხოლო ბერძნულად ხარების წინა დღესთან შვიდეულების დაკავშირება რაოდენობრივად იმ ფაქტში აისახა, რომ ქართული ხარება-შვიდეულის რიცხვითი მნიშვნელობა ერთი ერთეულით მეტი აღმოჩნდა ბერძნული შვიდეულის რიცხვით მნიშვნელობაზე. ამ გარემოებაზე მიუთითებს აბუსერისძე, როდესაც დასაბამის 97-ე წქლთან დაკავშირებით ოცდარვეულად განტევების შედეგები მოყავს. ანგარიშით ხარებისათვის ამ დროს მიიღება რიცხვი 2, რომელიც ორშაბათს შეესაბამება. იქვე აბუსერისძე აღნიშნავს, რომ წინა დღეს (ე. ი. 24 მარტისათვის) ამ შემთხვევაში კვირა შეესაბამება. ეს კი იმის ნიშნავს, რომ ბერძნული წესით შვიდეულს რიცხვი 1 შეესაბამება. იგივე რიცხვი მიიღება 1-ის (ბერძნული წელთაღრიცხვით დასაბამითგან პირველი წლის) „ოცდარვეულად განტევებისას“. ასე რომ ნებისმიერ წელს ქართული და ბერძნული შვიდეულებისთვის ერთი ეროეულით განსხვავება მუდმივი დარჩება.

ერთმეტი მნიშვნელობით შედის ქართული ხარება-შვიდეული „დიდი მცხრალის“ გამოსათვლელ ფორმულაშიც. ვინაიდან „დიდი მცხრალის“ კალენდარული თარიღები ორივე წელთაღრიცხვაში ერთნაირია, ერთად-ერთი კოეფიციენტი ფორმულის შემადგენლობაში, რომლის მეშვეობითაც შეიძლება კომპენსირება გაუკეთდეს ქართული შვიდეულის ერთმეტობას--ეს არის დღისსაძიებელი. აბუსერისძე ამ შემთხვევაში უკვე აღარ შედის დეტალებში, მხოლოდ აღნიშნავს რომ „დიდი მცხრალის“ კვირის დღის გამოთვლა უნდა ჩატარდეს ორივე, ბერძნული და ქართული წესით. ქართულთან დაკავშირებით მხოლოდ მიუთითებს, რომ ფორმულა-წესში გამოყენებული უნდა იქნეს ხარება-შვიდეული. რაც შეეხება ბერძნულს, ტექსტით ფორმულაში შესატან წევრებთან--საკუთარეობის თარიღთან და „ხარების წინა დღესთან“ (ე.ი. შვიდეულთან) ერთად, საგანგებოდ მოიხსენებს დღისსაძიებელს, რომელიც „ოკდონბერისა დაწყებითგან“ ათვლილ თვეთა დღეების ჯამს უნდა შეიცავდეს (გამოთვლების გაიოლებისათვის თითოეული თვიდან აიღება „ოცდარვეულად განტევების“ შემდეგ მორჩენილი ნაშთი). ვინაიდან ამ ორი წესით გამოთვლისას ერთი და იგივე შედეგის მიღება აბუსერისძეს უცილობელ ფაქტად მიაჩნია და ამავე დროს ის საგანგებოდ მიუთითებს ბერძნულ დღისსაძიებლის ოქტომბრის თვიდან ათვლაზე, ყოველივე აქედან გამომდინარეობს რომ დღისსაძიებლების მაკომპენსირებელი „ეფექტის“ გამოვლენა მან თვით გამომთვლელებს მიანდო.

მართლაც, არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს იმ ფაქტის გააზრება, რომ ვინაიდან დღისსაძიებელი მარტ-აპრილისათვის ქართული სისტემით შესაბამისად 3-ის და 6-ის, ხოლო ბერძნული სისტემით 4-ის და 7-ის ტოლია, ამჯერად უკვე ბერძნული დღისსაძიებელი აწონასწორებს ქართული შვიდეულის ერთმეტობას. აქედან გამომდინარე თავისთავად ცხადია, რომ „დიდი მცხრალის“ კვირის დღის გამოსათვლელი ფორმულა, ორივე სისტემის მონაცემების გამოყენებისას ერთი და იგივე შედეგს იძლევა. ამ მთავარი მონაცემის მიღების შემდგომ თავიდანვე დასმულ კითხვაზე ფაქტობრივად პასუხი გაცემულია, ვინაიდან „დიდი მცხრალის“ კვირის დღის ერთნაირი მნიშვნელობა უკვე თავისთავად განაპირობებს აღდგომისა და მასთან დაკავშირებული მარხვა-დღესასწაულების თარიღების თანხვდომას.

ამრიგად, აბუსერისძის მიერ ჩატარებული გამოკვლევის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ბერძნული და ქართული პასქალურ-გამოთვლითი სისტემები თავიდანვე შემუშავებული იყო ამოსავალი მონაცემების („დასაბამითგანი“ წლების) კონკრეტული რიცხვითი მონაცემების გათვალისწინებით და მათთან საგამომთვლელო კოეფიციენტების შესაბამისობაში მოყვანით. მკაცრ მათემატიკურ წანამძღვრებზე დაფუძნებული ეს ღონისძიება, უკვე თავისთავად უზრუნველყოფდა გამოთვლით ციკლებში ერთნაირი შედეგის მიღებას და პრაქტიკაში მოძრავი საეკლესიო დღესასწაულების ერთდროულად ჩატარებას. სწორედ ამიტომაც იყო რომ ქართულ საეკლესიო პრაქტიკაში უფრო ადრეც (X-XI საუკუნეში) არ ჰქონია ადგილი რაიმე გადახრას მასთან დაკავშირებულ „იერუსალიმურ“ პრაქტიკასთან მიმართებაში (მიუხედავად იმისა, რომ „იერუ-

სალიმური“ წელთაღრიცხვა „დასაბამითგან“ 5492 წელს ანგარიშობდა და ქართული წელთაღრიცხვიდან 112 წლით იყო დაცილებული).

ასე რომ ჯერ კიდევ IX-X საუკუნეებში წამოჭრილ კითხვას, რომელთანაც დაკავშირებით „თჳნიერ კჳრვებისა განსამარტებელი აღარად დაწერეს“, მხოლოდ რამდენიმე საუკუნის შემდეგ გაეცა საბოლოო პასუხი აბუსერისძის გამოკვლევით.

აბუსერისძის გამოკვლევა ერთდროულად პასუხს სცემს იმ კითხვასაც, თუ 96-წლიანი ინტერვალის მიუხედავად, რატომ მიიღება ნებისმიერი დღის კვირის დღის გამოსათვლელ წეს-ფორმულითაც ასევე ერთნაირი შედეგები. ეს ფორმულა $K = \left|\frac{a+ n+ d}{7}\right|$ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ „დიდი მცხრალის“ კვირის დღის გამოსათვლელ ფორმულისგან მხოლოდ მეორე წევრით განსხვავდება (აქ „დიდი მცხრალის“ თარიღის ანუ ცამეტორის რიცხვის მაგიერ საძიებელი დღის თარიღია მოცემული). რაც შეეხება დღისსაძიებელს (***d***) ამ შემთხვევაში მხოლოდ მარტ-აპრილის ნაცვლად უკვე ყველა თვის დღისსაძიებლის რიცხვითი მნიშვნელობის გამოყენება არის გათვალისწინებული. ქვემოთ მოგვყავს დღისსაძიებლის მნიშვნელობები ორივე სისტემისათვის. პირველ სტრიქონში მითითებულია თვის ნომრები რომაული ციფრებით, ხოლო მეორე და მესამე სტრიქონი შესაბამისად ქართული და ბერძნული დღისსაძიებლების რიცხვით მნიშვნელობებს ეთმობა:

I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
0	3	3	6	1	4	6	2	5	0	3	4
1	4	4	0	2	6	0	3	6	0	3	4

როგორც ცხრილიდან ჩანს იანვარ-სექტემბრის ფარგლებში ბერძნული დღისსაძიებელი ყოველთვის ერთი ერთეულით აღემატება ქართულს და ამით წონასწორდება ხარება-შვიდეულის ერთმეტობა ბერძნულ შვიდეულთან შედარებით. რაც შეეხება ოქტომბერ-დეკემბრის ფარგლებს, აქ თუმცა ტოლობასთან გვაქვს საქმე, მაგრამ სამაგიეროდ ოქტომბრიდან, როგორც ბერძნული პასქალური სისტემის წელიწადის საწყისი თვიდან, შვიდეულის მნიშვნელობა ერთით მატულობს და უკვე ამის ხარჯზე ხდება ქართული ხარება-შვიდეულის ერთმეტობის კომპესირება. ასე რომ, მათემატიკურ-კალენდარული თვალსაზრისით ამ უფრო ზოგად შემთხვევასთან დაკავშირებული კითხვის პასუხიც ფაქტობრივად აბუსერისძის გამოკვლევაში არის ჩადებული.

თავისი დროისათვის აბუსერისძის გამოკვლევა უდაოდ განსაკუთრებულ შენაძენს წარმოადგენდა ქართული მეცნიერული აზროვნების საგანძურისათვის. თავისი მეცნიერული სიახლე ნაშრომს სადღეისოთაც არ დაუკარგავს, ვინაიდან 96-წლიან ინტერვალთან დაკავშირებული პრობლემები ჩვენ დროში არ ყოფილა საგანგებო განხილვის საგანი. ასე რომ თითქმის 1000-წლოვანი „კჳრვება“ შესაძლოა მომავალშიც გაგრძელებულიყო, რომ შვიდნახევარ საუ-

კუნეზე მეტად დაცილებული წარსულის სიღრმიდან, აბუსერისძეს არ მოეწვდინა თავისი მეცნიერული ნააზრევი.

შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ აბუსერისძის შესანიშნავი თხზულება კიდევ უფრო მაღალ დონეზე წარმოჩინდებოდა, რომ შემორჩენილიყო „ჟამთა თჳსთა ქრონიკონის“ ტექსტი. თუ აბუსერისძის შემოქმედებით შესაძლებლობებს გავითვალისწინებთ, „ახლად მოსწავლე ქმნილთათჳს“ დამხმარე სახელმძღვანელოდ დაწერილი ეს მცირე თხზულება, უდაოდ საყურადღებო მასალებს შეიცავდა როგორც სასწავლო-პედაგოგიური, იბე საცნობარო თვალსაზრისით. ყოველ შემთხვევაში, სასწავლო პროცესში სახალისო ელემენტების შემოტანა იამბიკური ფრაგმენტის ჩანართის სახით, თავისთავად მეტყველებს ამ ნაშრომის არაორდინარულ ხასიათზე. მიუხედავად ასეთი დანაკლისისა, აღდგომის გამოსათვლელი კომპაქტური ცხრილი („ასურული კჳკლოსი“) „ქრონიკონის“ ტექსტის მეშვეობით მაინც ინარჩუნებს მასზე თავიდანვე დაკისრებულ ფუნქციებს და თავის მხრივ საგრძნობლად ზრდის მთელი თხზულების საცნობარო შესაძლებლობებს.

„ქრონიკონის“ ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშან-თვისებას წარმოადგენს ამკარად გამოკვეთილი მათემატიკური ორიენტაცია. ამ მხრივაც თხზულება თვალსაჩინოდ გამოირჩევა ყველა ცნობილი ქართული საბუნებიმეტყველო-სამეცნიერო შინაარსის ნაწარმოებებიდან. თუნდაც ის ფაქტი, რომ ტექსტში მოყვანილი რიტორიკული ანუ სიტყვიერი ფორმულების რაოდენობა სამ ათეულს აჭარბებს უკვე თავისთავად მეტყველებს ნაშრომის ხასიათზე. ამიტომაც, თხზულების დარგობრივი პროფილის დადგენისას ყველაზე უფრო ზუსტად მას მათემატიკურ-კალენდარული შრომის კვალიფიკაცია მიესადაგება.

თხზულების ავტორს ტბელ აბუსერისძეს რომ თავის დროისათვის ძალზე საფუძვლიანი მათემატიკური განათლება აქვს მიღებული, ამის დამადასტურებელ ფაქტებს თხზულებაში ხშირად ვხვდებით და სათანადო კომენტარებით ყველა მათგანი მოგვყავს ქვემოთ.

აბუსერისძის ცნობების ერთი წყება, მის მიერ ჩატარებული გამოთვლების შედეგებზეა დაფუძნებული. უკვე შესავალშივე, ქრონიკონული წელთაღრიცხვის „დასაბამითგან“ 7000 წელთან ურთიერთმიმართების განხილვისას, მას მოყავს სწორედ ასეთი გამოთვლების შედეგები (ეს გამოთვლებია: 12×532+453=6837; 13×532=6916; 7000-6916=84; იხ. ფ. 318v-319r). საინტერესოა რომ აქ „დასაბამითგანი“ წლებით აბუსერისძეს დაფიქსირებული აქვს მეცამეტე მოქცევის, ე.ი. 781-1312 წლების ზედა ზღვარი (6916-5604=1312).

უდაოდ თვითონვე აქვს შემოწმებული აბუსერისძეს მთვარის წელიწადის 354-დღიანი შემცველობის ფაქტი (29,5×12=354), ისევე როგორც მზის 32 წელიწადის მთვარის 33 წელიწადთან ტოლობა 2 დღის დანაკლისის აღნიშვნით (354×33-365×32=11682-11680=2). 28-ზე და 19-ზე გაყოფის ოპერაციები აქვს ჩატარებული აბუსერისძეს ისეთ რიცხვებზე როგორც არის 6741 და 6837 (1233 წ. ბერძნული და ქართული „დასაბამითგანი“ წლებით), 453 (1233 წ. ქრონიკო-

ნული წელთაღრიცხვით), 96 და 97 (წელთაღრიცხვების ინტერვალი და საერთო ათვლის პირველი წელი).

ერთ-ერთ, კერძოდ კი მე-8 თავში აბუსერისძე აცხადებს რომ თავის თხზულებაში ის შემოიფარგლა იმ საკითხების გარჩევით, რომელიც „საეკლესიოდ და მარხვათა დაყენებისათჳს და მის ყოვლისავე მიზეზის მცდოდნელობისათჳს... კმა-იყო გონიერად გულისჴმის-მყოფელთათჳს“ (ფ. 326r). ამ ხაზს ის ტექსტში განუხრელად იცავს, მაგრამ ზოგჯერ სწორედ მათემატიკურ საკითხებთან დაკავშირებით მას ასე ვთქვათ ხელი წასცდება და ის უხვევს მონიშნულ გზას. ამ მხრივ ძალზე საინტერესოა ფრაგმენტი, რომელიც მას გაყოფის წესის გადმოცემის შემდგომ მოყავს: „დაღაცათუ შჯდ ათასთა წელთა მეტი არა დაბადებულ არს, განა შენ ამით საქმითა დასაბამითგან და აღსასრულსა წადმა ბევრის ბევრეულსაცა შეიგებ, უკუეთუ ბუნებასა რადმე შეაქცევდე. და რიცხჳსა სიმართლესაცა უკეთუე ცხად-ჰყოფს და შეუცილებლობასა, რაოდენ გინდა დიდნი წელიწადნი გამოიძივნე––თუ მაშინ ესე ყოველივე ვითა ყოფილაო. და ათჯერ ათასსა, ვინაჲთგან ბევრი ჰქჳან, რაოდენისაცა ბევრისაჲ დასაბამობითგან გწადდეს,––თუ მაშინ ვითა იქნებისო, ბევრეულისაგან ექუსსა და ექუსსა აიღებდი და მასცა ცხრამეტეულად განუტევებდი. და ოცდარვეულისა განსატევებლად ბევრეულისაგან ოთხ-ოთხსა წელიწადსა აიღებდი და მასცა ოცდარვეულად განუტევებდი“ (ფ.327v).

როგორც ვხედავთ ამ შემთხვევაში მოყვანილი მასალა საგრძნობლად სცილდება ავტორის მიერ თავიდანვე დაწესებულ ჩარჩოებს. 7000 წლის „წადმა“ ანუ შეძლეგ, როდესაც ესქატოლოგიური წარმოდგენებით სამყაროს უკვე აღარ უნდა ეარსება, რაიმე გამოთვლებზე მსჯელობა, მხოლოდ რეალობიდან რიცხვების აბსტრაქტულ სამყაროში მიწვევად თუ შეიძლება იქნეს აღქმული. აქ რომ სწორედ აბსტრაქციასთან გვაქვს საქმე, ამას ადასტურებს შენიშვნა „უკუეთუ ბუნებასა რადმე შეაქცევდე“, იმ დროისათვის ასე თუ ისე მაინც აღსაქმელი ათი ათასეულების („ბევრის“) ნაცვლად ერთბაშად ასეული მილიონების („ბევრის ბევრეულის“) დასახელება და საერთოდ პრაქტიკისათვის უჩვეულო დიდი რიცხვების მოზიდვა. აღნიშნული ღონისძიების მიზანიც––„თუ მაშინ ვითა იქნებისო“ მხოლოდ გონებაჭვრეტით და არა გამოყენებით ასპექტშია დასახელებული. მთავარი მკითხველისათვის არის ისევ რიცხვის შემეცნება („ბევრის ბევრეულსაცა შეიგებ“) ან მისი უნივერსალური ხასიათის წარმოჩენა („რიცხჳსა სიმართლესაცა უკეთე ცხადჰყოფს და შეუცილებლობასა“).

ამასთან ერთად ამ „დიდთა წელიწადთა გამოძიებას“ აბუსერისძე მკითხველს არა ზოგადად თავაზობს, არამედ სავსებით კონკრეტულად და გზის საკვლევ საშუალებასაც აწვდის: „ბევრის“, როგორც ათი ათასის განსაზღვრის შემდეგ (რომელსაც სათანადო გამოთვლებში უკვე საყრდენი რიცხვის მნიშვნელობა ენიჭება) ის ამ თანრიგის რიცხვებზე გაყოფის მოქმედების ჩასატარებლად შესაბამისი დამხმარე რიცხვების მნიშვნელობებსაც იძლევა: „თჳთო ბევრეულისაგან ექუსსა და ექუსსა აიღებდი და მასცა ცხრამეტეულად განუტევებდი

და ოცდარვეულისა განსატევებლად ბევრეულისაგან ოთხ-ოთხსა წელიწადსა აიღებდი.“ მართლაც $\left|\frac{10000}{19}\right| = 6$ და $\left|\frac{10000}{28}\right| = 4$.

აშკარად არაგამოყენებით ჭრილში განყენებული რიცხვისადმი ამგვარ დაინტერესებას და თანაც მე-13 საუკუნეში, ცხადია რომ მათემატიკის რიგით მოყვარულს ვერ მივაწერთ. მსგავსი დაინტერესების კიდევ ერთ გამოვლინებად უნდა ჩაითვალოს აბუსერისძის შენიშვნა 84 წელთან დაკავშირებით. მას შემდგომ, რაც ის გამოთქვამს ეჭვს ქრონიკონის 84-ე წლის ქვეყნის აღსასრულთან კავშირზე, ტექსტში მისი მოხსენიების მიზეზებს ასე განმარტავს: „მე ამის რიცხჳსა კლებისათჳს დავწერე, რომელ არს შჯდ ათას წლად გამასრულებელი“. (ფ. 319r).

მეორეს მხრივ, აბუსერისძის განსაკუთრებული დამოკიდებულება რიცხვების მიმართ არც უნდა იყოს მოულოდნელი. ფაქტობრივად მათემატიკური შინაარსის მისი გამოკვლევა, არა მარტო საგნის მცოდნის, არამედ მათემატიკურ დარგში დამოუკიდებელი შემოქმედების უნარის მქონე ავტორის ხელწერას ამჟღავნებს.

ეს უნარი კიდევ უფრო გამოკვეთილად ჩანს ავტორის მიერ ზოგიერთი კონკრეტული საკითხის განხილვისას. კერძოდ, ვინაიდან ქართული წესით გამოთვლილი ზედნადების მნიშვნელობა ბერძნულისას თანხვდება, ამ გარემოებას ის იყენებს ქართული „დასაბამითგანი“ წლების რიცხვითი მნიშვნელობის შესამოწმებლად. ამ მიზნით მას „დიდი მცხრალის“ კვირის დღის გამოსათვლელ ბერძნულ ფორმულაში ამოსავალ მონაცემად ქართული წესით გათვლილი ზედნადების მნიშვნელობა შეყავს და მიღებული შედეგის მიხედვით აკონტროლებს ქართული სისტემის საწყის რიცხვს (იხ ფფ. 331v, 333r)

კონკრეტული საკითხების სფეროს განეკუთვნება აგრეთვე აბუსერისძის მთელი რიგი ცნობები, რომლებშიც რიცხვების გამოყენებითი მხარე ბუნებასთან შესაბამისობის პოზიციებიდან არის გადმოცემული.

მზის და მთვარის ერთდროულად წარმოქმნის ბიბლიურ ცნობაზე დაყრდნობით, აბუსერისძე დაასკვნის, რომ მზის და მთვარის წელიწადების II-დღიან განსხვავებას, თავი უნდა ეჩინა მხოლოდ სამყაროს გაჩენიდან მეორე წელიწადის დაწყების წინ. შესაბამისად, ამ განსხვავების მაჩვენებელი ზედნადების ამოქმედებას, მისი აზრით, მხოლოდ მეორე წლიდან უნდა ჰქონოდა ადგილი. ამიტომაც „ბუნებასთან“ შესაბამისობაში მოსაყვანად, აბუსერისძე განუმარტავს მკითხველს, რომ მან ცხრამეტეულად განსატევებელი „დასაბამითგანი“ წლები ერთი წელიწადით „დაანაკლულა“ („ზედნადები მეორესაღა წელიწადსა დაიწყებს, რომლისა მიზეზისათჳს თჳთო წელიწადი დავანაკლულე“—ფ. 328r). როგორც ცნობილია, წლის დაკლებას ზედნადების გამოსათვლელი ქართული ფორმულაც ითვალისწინებს და თუ აბუსერისძე ამ ღო-

ნისძიებას თავის თავზე იწერს, ამას ის მხოლოდ მისეული ინტერპრეტაციის ჭრილში აკეთებს.

ბუნებასთან შესაბამისობის პოზიციებიდან უდგება აბუსერისძე იმ ფაქტსაც რომ პასქალური სავსე მთვარის გამოანგარიშებითი ასაკი მის ასტრონომიულ ანალოგს არ თანხვდება: „ყოველი მთუარე მეთხუთმეტისა დღისათა ჟამთა რაოდენთაძე შემოიგდებს საცხრომელად, ანუ დღისათა და ანუ ღამისათა. და ესე დიდი მცხრალი ცხოველსმყოფელისა ვნებისაჲ ჩჳდმეტისა დღისაჲ სცხრების მიუწდომელობითა ღმრთისაჲთა“ (ფ. 322v). აბუსერისძე თუმცა ვერ ხსნის ამ წინააღმდეგობას და მას იმდროინდელი სულისკვეთებით უფლის „მიუწდომლობას“ მიაწერს, მაგრამ თანამედროვეთაგან განსხვავებით ის მაინც საჭიროდ თვლის ამგვარ შეუსაბამობაზე ყურადღების გამახვილებას. ტექსტის სხვა ადგილზე ის მაინც მიანიშნებს გამოანგარიშებითი მონაცემის არასაიმედოობაზე. იგივე პასქალურ სავსე მთვარესთან დაკავშირებით ის აღნიშნავს, რომ „მთუარე გამოჩნდების ოდესმე ორისა დღისაჲ და ოდესმე სამისაჲ“ (ფ. 325v). ასტრონომიული ახალმთვარეობიდან ნეომენიის დასაფიქსირებელი დროის ცვალებადობის მოქლენა აქ შეშფოთებით არ უნდა იყოს მითითებული. ვინაიდან მთვარის თვის ათვლას ნეომენიიდან აწარმოებდნენ, აღნიშნული ფაქტით აბუსერისძე გაანგარიშებითი მონაცემის პირობით ხასიათზე მიანიშნებს.

ძალზე საინტერესოა აბუსერისძის მხრივ „მთვარის ნახტომის“ კალენდარულ-მათემატიკური ახსნის მცდელობა. როგორც ეტყობა, მკვლევარს ხელთ არ გააჩნდა სათანადო ასტრონომიულ-კალენდარული ცნობები, რის გამოც ის მცდარ მონაცემს დაეყრდნო და მასზე ააგო თავისი მოსაზრება.

როგორც ცნობილია, მთვარის 19-წლიან ციკლში ამოცანის გაიოლების მიზნით ნაკიანი წლები არ არის შეტანილი. ამიტომაც 365-დღიანი მზის და 354-დღიანი მთვარის წელიწადები 19 წლის განმავლობაში შესაბამისად 6935 და 6726 დღე-ღამეს შეადგენენ. ამ განსხვავების კომპესაციას ისახავს მიზნად ციკლში 7 ემბოლისმური მთვარის თვის შეტანა. ვინაიდან ეს 7 თვე 210 დღეს შეიცავს (7×30), 6935 დღეღამესთან ზუსტ შესაბამისობაში მოსაყვანად ეხლა 6936 დღე-ღამეს აკლდება 1 დღე-ღამე. სწორედ ამ ერთი დღე-ღამის დაკლებას გამოხატავს „მთვარის ნახტომი“, რომელიც 11 დღიანი ინტერვალის ნაცვლად 19 წელიწადში ერთხელ 12 დღიან კლებას აჩვენებს.

აბუსერისძის განმარტებით 19-წლიან ციკლში ნაკიანი წლებიც არის შეტანილი, ხოლო მთვარის „ჭეშმარიტი“ ხანგრძლიობა 29,5 დღე-ღამეზე ნაკლებია (მაშინ როდესაც სინოდური თვის ხანგრძლიობა 29,53058822 დღე-ღამეს შეადგენს). ცხადია, რომ ამ მცდარი საწყისი მონაცემებით, განმარტებაც ვერ იქნება მართებული. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ როგორიც არ უნდა იყოს ამგვარი განმარტება, ის მაინც ყურადღებას იმსახურებს, ვინაიდან რაოდენობრივი კუთხით განიხილავს პრობლემას. ეს მაშინ როდესაც იმდროინდელ ევროპაში იგივე პრობლემა გაკვირვებას იწვევდა და ბუნების საოცრებადაც კი იყო მიჩნეული.

გამორიცხული არ არის რომ აბუსერისძეს ეკუთვნოდეს ხარება-შვიდეუ-

ლით უშუალოდ აღდგომის გამოთვლის წესი (ხარება-შვიდეულით ცნობილი 25 მარტის კვირის დღის 7-დღიანი ინტერვალით 1,8 და 15 აპრილს გამეორება, ამ საყრდენი თარიღების შუალედებში „დიდი მცხრალის“ მომდევნო კვირის დაფიქსირების და მაშასადამე აღდგომის ადვილად გამოთვლის საშუალებას იძლევა—იხ. ფ. 322v). ყოველ შემთხვევაში, ამ წესის პრინციპს აბუსერისძე სხვა კალენდარული მახასიათებლების მოსაძებნადაც იყენებს (ფფ. 322r-323r). ქართულ პასქალურ-კალენდარულ ლიტერატურაში ამგვარი მეთოდი საერთოდ არც არის მოხსენებული.

საერთოდ გამოთვლების გაადვილების საკითხს, აბუსერისძე როგორც პედაგოგი დიდ ყურადღებას აქცევს. მაგალითად დღისსაძიებლის გამოსათვლელ ერთ-ერთი წესთან დაკავშირებით, რომელიც დიდი რიცხვებით ოპერირებას ითვალისწინებს, ის მკითხველს მათი მცირე რიცხვებზე დაყვანის ხერხს თავაზობს, წინ დართული მითითებით: „ესე სათუალავი ამითა გაგიადვილდების“ (ფ. 324v). დიდი რიცხვების შემცველობის გამო აღნიშნული წესით მიღებულ ჯამს (ე.ი. პირველი იანვრიდან მოცემულ თარიღამდე ათვლილ დღეებს) აბუსერისძე ფორმალურად არც კი თვლის დღისსაძიებლად. მისი აზრით ათვლილ დღეთა დიდი რაოდენობისა გამო, ამ ჯამის რიცხვი საანგრიშოდ გაძნელდება ანუ „განსაწყინოვდების“. სწორედ აქედან გამომდინარე, „ნაძღვილი“ დღისსაძიებლის დანიშნულებას ის ასე განმარტავს: „დღისსაძიებელნი ამისთჳს არიან: რაჲ იანვარისა დაწყებითაგან რომელადცა დღესასწაულადმდე შჯდეულად განსატევებელნი დღენი განმრავლდებოდენ, რიცხჳ განსაწყინოვდების და ნაცვლად ამისსა მას დღესასწაულსა ზედა დღისსაძიებელი დაურთე მის თჳსაჲ“ (ფ. 322v).

გამოთვლების გაადვილების მიზნით, აბუსერისძე მკითხველს თავაზობს „დასაბამითგანი“ წლების ნაცვლად, რომელიც ათასეულის თანრიგს შეიცავს, გამოანგარიშება ასეულების თანრიგის შემცველ ქრონიკონის წლებით აწარმოოს („უკუეთუ დასაბამობითგანთა წელთა პყრობაჲ გეწყინებოდის, ამის ქრონიკონისანი იპყრენ...“—ფ. 328r). ამავე დროს ის ასაბუთებს თუ რატომ შეიძლება „დასაბამითგანის“ ნაცვლად „ქრონიკონული“ წლების რიცხვის გამოყენება. 532-წლიან ციკლში მზის 28 და მთვარის 19 წლიანი ციკლების სრული თავსებადობების მითითებით, მას ფაქტობრივად გამოყავს შედარებები, რომლებსაც თანამედროვე სიმბოლოებით ასეთი სახე აქვთ: $Q \equiv A \pmod{19}$ და $Q \equiv A \pmod{28}$.

ყურადღებას იქცევს, აგრეთვე, ზოგიერთი განმარტებები, რომლებსაც აბუსერისძე რიცხვებთან დაკავშირებით იძლევა. დღისსაძიებლისადმი მიძღვნილ ფრაგმენტში, ოქტომბრის დღისსაძიებლისათვის გამოსათვლელი სიდიდის „შჯიდეულად განტევებისას“, ამ თვის დღისსაძიებლად ის შვიდსაც მიიჩნევს და ნულსაც (ამ ცნებას გამოხატავს ქართულ ტექსტში სიტყვა „დღისსაძიებლის“ წინ დართული „თჳნიერ“ ან „არა აქუსს“ ან სიტყვა „არაჲ“ (იხ. ფფ. 223r, 223v, 324r). ამათან დაკავშირებით ის აღნიშნავს: „სეკდენბერი... ოკდონბერისათჳის შჯდსა დაიმეტებს; და ამისთჳს არა აქუს ოკდონბერსა დღისსაძიებელი,

რომე მისთჳს დანარჩომი შჯდეულსავე თანა განსატევებელი არს“ (ფ. 324r). მომდევნო წინადადებაშიც ოკტომბერი წარმოდგენილია „თჳნიერ დღისსაძიებლისა“, მაგრამ იქვე აბუსერისძე ალტერნატივასაც თავაზობს მკითხველს „და თუ შენ გენებოს, დღისსაძიებელიცა მიეც იგი შჯდი“. ტექსტის სხვა ნაწილში ამ საკითხთან დაკავშირებით უფრო მოკლე ჩანაწერია მოყვანილი: „ოკდონბერსა არაჲ გინა შჯდი“ (ფ. 223r), რომელიც შეიძლება ასე წარმოვადგინოთ 7≡0 (mod7).

532-წლიან ციკლში ყურადღებას იქცევს წინადადება, რომელიც, ფაქტობრივად, შენიშვნას წარმოადგენს გამრავლების კომუტატორობის შესახებ: „ოცდარვაჯერ იქცევის ცხრამეტეული, გინა ოცდარვაჲ ცხრამეტჯერ, რომელ არს ერთბამად ხუთასოცდათორმეტი წელიწადი“ (ფ. 329 r). აღსანიშნავია რომ თანამამრავლთა გადაადგილებით ნამრავლის მნიშვნელობის უცვლელად შენარჩუნება (19×28=28×19=532) მკითხველს შეეძლო დამატებით თვით ცხრილის მონაცემებითაც გაეცნობიერებინა.

ტექსტში ხშირად იხმარება ტერმინი „განტევება“, რომელიც ძირითადად გაყოფის მოქმედებასთან არის დაკავშირებული. რამდენიმე შემთხვევისათვის ეს ტერმინი გამოკლების მიმართაც იხმარება და ჩვენ ჯერ სწორედ ამ შემთხვევებს განვიხილავთ.

„დიდი მცხრალის“ კვირის დღის გამოსათვლელ წეს-ფორმულაში „შვიდეულად განტევების“ ოპერაცია ამგვარად არის წარმოდგენილი: „ესე სამივე რიცხჳ რაჲზომიცაღა შეიქმნას, შჯდეულად და შჯდეულად განუტევე“ (ფ. 321v). აქ რომ „შჯდეულად“ ორჯერ შემთხვევით არ არის ნახსენები და ის ამ შემთხვევაში „განტევების“ რაღაც თავისებურებაზე უნდა მიუთითებდეს, ეს ჩანს ტექსტის მოყვანილი შენიშვნებიდან. კერძოდ, უფრო ზოგად, ნებისმიერი დღის გამოსათვლელი ფორმულისათვის ეს „განტევება“ საგანგებოდ არის დამოწმებული: „და ესრეცე შჯდეულად განუტევე, ვითა დიდის მცხრალისათჳს დამიწერია“ (ფ. 322v). ამავე „განტევებას გულისხმობს აგრეთვე ხარებაშვიდეულის გამოსათვლელ წესში მოყვანილი შენიშვნაც: „შჯდეულსა ჰაჲსრეცე განუტევებდი, ვითარ დასაწყისსა დამიწერია“ (ფ. 327 r).

აქედან გამომდინარე „შჯდეულად და შჯდეულად განტევება“ კონკრეტული მნიშვნელობით „შვიდეულის განტევების“ ჯერად ხასიათზე უნდა მიგვითითებდეს ეს კი იმას ნიშნავს, რომ „განტევება“ გამოკლებით, უფრო ზუსტად მიმდევრობითი გამოკლებით სრულდება.

ვინაიდან სამივე წეს-ფორმულისათვის „განსატევებელი“ რიცხვის მნიშვნელობა 30-40-ს არ აჭარბებს, მიმდევრობითი გამოკლება, რომელიც ამ შემთხვევაში შრომატევად სამუშაოს არ მოითხოვს, როგორც ეტყობა, ყველაზე მოსახერხებელი მეთოდი იყო იმ დროინდელი გამოთვლებისათვის. სხვათა შორის მიმდევრობითი გამოკლების წესის გამოყენება ბიზანტიურ პასქალურ-საგამომთვლელო პრაქტიკაშიც დასტურდება.[1] დიდი რიცხვებისათვის ცხადია

[1] ბირუნი, VI, დასახ. ნაშრომი, გვ. 252-253.

რომ მეთოდი უკვე კარგავს თავის მნიშვნელობას ვინაიდან აქ უკვე გამოკლების ოპერაციის ჯერადობა მკვეთრად იზრდებოდა. სწორედ ამიტომაც, „განსატევებელი“ რიცხვის „განსაწყინოება“ რომ გამორიცხულ იქნეს, დღეთა ჯამის გამოყენების ნაცვლად მუდმივად აბუსერისძე მკითხველს ყოველი თვის დღეთა რიცხვის წინასწარ „შჯდეულად განტევებას“ თავაზობს (ფფ. 324 v, 332 r). აბუსერისძის მონაცემების მეშვეობით შეიძლება ზუსტად მივუთითოთ ძიძღვრობითი გამოკლების გამოყენების ფარგლები. მას იყენებდნენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც „განმტევებელი“ რიცხვი ერთეულის თანრიგს შეესაბამებოდა. თავის მხრივ „განსატევებელი“ რიცხვიც რაც შეიძლება მცირე სიდიდის უნდა ყოფილიყო, რისთვისაც გათვალისწინებული იყო წინასწარ მისი ანგარიშისთვის მისაღებ მნიშვნელობებამდე დაყვანის ხერხებიც.

„განმტევებელ“ რიცხვად ერთეულ თანრიგზე უფრო მაღალი რიცხვების გამოყენებისას, მიმდევრობითი გამოკლების წესის ნაცვლად რეკომენდებულია სხვა წესი, რომელიც თხზულებაში საგანგებო განხილვის საგანს წარმოადგენს. „ოცდარვეულად“ და „ცხრამეტეულად“ განტევებასთან დაკავშირებით მოყვანილი ეს წესი დ. ცხაკაიამ დიოფანტეს მიმდევრობითი გამოკლების წესად მიიჩნია,[1] რაც საქმის ჭეშმარიტ ვითარებას არ უნდა ასახავდეს. სინამდვილეში აქ საქმე გვაქვს გაყოფის წესთან, რომელშიც მხოლოდ ნაშთი ფიქსირდება და თვით გაყოფა კი გამრავლება-შეკრების მოქმედებებით არის შეცვლილი.

აღსანიშნავია, რომ თვით აბუსერისძეც ამ წესს გაყოფის წესად მიიჩნევს. ეს ნათლად ჩანს შემდგომი მითითებიდან: „ოთხმეოცდაათხუთმეტი წელიწადი ცხრამეტეულად განიყოფების, რომელ არცა რად დააკლდების და არცა დაჰმეტდების“ (ფ. 330v). ვინაიდან აქ რიცხვის გაყოფა ანუ „განყოფა“ უნაშთოდ გაყოფადობის თვალთახედვით არის განხილული, ნაშთის მოძებნის საჭიროება ამჯერად თავისთავად მოხსნილია და შესაბამისად არც „განტევება“ არის მოხსენებული. დანარჩენ შემთხვევებში, როდესაც გაყოფის ერთადერთ მიზანს ნაშთის დადგენა წარმოადგენდა, ტექსტში სისტემატურად იხმარება ტერმინი „განტევება“.

განაყოფის მხოლოდ ნაშთის სახით წარმოდგენა უშუალოდ პასუხობდა თხზულებაში დასმულ კონკრეტულ ამოცანას, ვინაიდან სწორედ ეს ნაშთი გამოხატავს მზის და მთვარის წრეების რიცხვით მნიშვნელობასთან დაკავშირებულ სიდიდეებს.

ასე რომ, გაყოფის ეს არასრული წესი თანამედროვე სიმბოლოებით ზოგადად შეიძლება გამოისახოს შედარებით $a \equiv b (\mathrm{mod} m)$ ან კალენდარულ ლიტერატურაში გავრცელებული ფორმულით $a = \left|\frac{b}{m}\right|$, სადაც a, b და m-ით შესაბამისად ნაშთის, გასაყოფის და გამყოფის სიდიდეებია წარმოდგენილი.

---

[1] დ. ცხაკაია, მათემატიკის ისტორია. თბ. 1948 გვ. 204.

აბუსერისძის მიერ გადმოცემული ეს წესი თავისთავად ძალზე საყურადღებოა, ვინაიდან, როგორც ქართულ, ისე ბიზანტიურ პასქალურ-კალენდარულ ლიტერატურაში საერთოდ ვერ ვხვდებით განმარტებას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ჩატარებულიყო გაყოფის საშუალებით აღნიშნული მახასიათებლების გამოთვლითი ოპერაციები.

აბუსერისძის მიერ მოყვანილი არასრული გაყოფის წესი საშუალებას იძლევა სრული სახით აღვადგინოთ გაყოფის სქემა, რომელიც გამოიყენებოდა ძველ ქართულ გამოთვლით პრაქტიკაში. ეს შესაძლებლობა კი აბუსერისძის მონაცემებს კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს, ვინაიდან, როგორც ქართულ ისე ბიზანტიურ საბუნებისმეტყველო-მათემატიკურ წყაროებიდან ჩვენამდე გაყოფის სქემის ამსახველ თხზულებას საერთოდ არ მოუღწევია. [2]

გაყოფის სრული სახით ჩატარებისათვის დამხმარე ცხრილში, ცხადია, ნაშთთან ან ერთად არასრული განაყოფიც ანუ განაყოფის მთელი ნაწილიც იქნებოდა წარმოდგენილი. ნაშთისგან განსხვავებით მასთან დაკავშირებული შუალედური გამოთვლები უკვე გაცილებით გაიოლებულია, ვინაიდან ცხრილის ამოსავალი სიდიდისათვის, ე.ი. პირველი, ერთ ნიშნად ციფრამდე დამრგვალებული გამყოფის მნიშვნელობისათვის ის ყოველთვის 1-ის ტოლია. ეს კარგად ჩანს ჩვენს მიერ შედგენილი ცხრილიდანაც, რომელშიც 453-ის (ქრონიკონული წელთაღრიცხვით 1233 წლის შესაბამისი რიცხვის) 19-ზე გაყოფისათვის საჭირო მონაცემებია წარმოდგენილი.

20	30	40	50	100	200	400		400	50	3	453
1	11	2	12	24 | 5	10	20 | 1		1	12	3	16
1	1	2	2	4 | 5	10	20 | 21		21	2	–	23

დიდი ვერტიკალური ხაზით გამოყოფილ ცხრილის პირველ ნაწილში მოყვანილია დამრგვალებული რიცხვების (პირველი სტრიქონი) და მათი შესაბამისი ნაშთებისა (მე-2 სტრიქონი) და არასრული განაყოფების (მე-3 სტრიქონი) მნიშვნელობათა მიმდევრობები. თვალსაჩინოებისთვის მცირე ხაზებით მონიშნულია გასაყოფის თანრიგების შესაბამისი ე.წ. საყრდენი რიცხვები (ე.ი. 50 და 400). იგივე რიცხვები „დამრგვალების“ გარეშე დარჩენილი გასაყოფის ერთეულოვანი თანრიგის რიცხვთან (ე.ი. 3-თან) ერთად ასევე თვალსაჩინოების მიზნით ცალკეა გატანილი ცხრილის მეორე ნაწილში. ეს ნაწილი გამოთვლის მეორე ეტაპს შეესაბამება, რომელიც საყრდენი რიცხვებისათვის მიღებული ნაშთის და არასრული განაყოფის რიცხვითი მნიშვნელობების შეკრებას ითვალისწინებს. შეკრების შედეგები მოყვანილია მესამე, წყვეტილი ვერტიკალით გამოყოფილ ნაწილში, სადაც არასრული განაყოფი 23-ს, ხოლო ნაშთი 16-ს შეესაბამება (მართლაც $453:19 = 23\frac{16}{19}$).

[1] М. Я. Выгодский. Арифметика и алгебра в древнем мире. М., 1967 გვ. 267, 297.

[2] Г. П. Матвиевская. Учение о числе на средневековом Востоке, Ташкент, 1967. გვ. 15.

ჩვენს მიერ რესტავრირებულ ცხრილს, ცხადია, პირობითი სახე აქვს, ვინაიდან ჩვენ არ ვიცით, თუ როგორი სახით მოჰყავდათ ის იმდროინდელ გამომთვლელებს; ე.ი. ვერტიკალური თუ ჰორიზონტალური განლაგება ჰქონდა მას, აღინიშნებოდა თუ არა საყრდენი რიცხვები და მათი შეკრება ცხრილის პირველ ნაწილშივე თუ ცალკე ამონაწერში ხორციელდებოდა და ა.შ. მაგრამ ეს მხოლოდ ცხრილის გარეგნულ გაფორმებას შეეხება, თვით გამოთვლის პრინციპი კი, ცხადია, რომ იგივე უნდა ყოფილიყო.

რესტავრირებული ძველქართული გაყოფის წესი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნაკლებად ეფექტურია იმ შემთხვევისათვის, როდესაც გამყოფი ერთეული თანრიგის რიცხვს წარმოადგენს. დანარჩენ შემთხვევებში მისი გამოყენება ყოველთვის შეიძლებოდა, მხოლოდ საწყისი წევრისათვის ნებისმიერი თანრიგის გამყოფის დამრგვალება ყოველთვის ერთ ნიშნად ციფრამდე უნდა ყოფილიყო განხორციელებული.

აღნიშნული წესის გამოვლენა კიდევ ერთხელ მიუთითებს იმდროინდელი კალენდარულ-მათემატიკური კულტურის მაღალ დონეზე, რომელმაც განაპირობა ისეთი უნიკალური თხზულების შექმნა, როგორიც არის აბუსერისძე ტბელის „ქრონიკონი სრული მისითა საუწყებელითა განგებითა“.

ახალი სასწაულნი წმიდისა გიორგისნი

მოსახსენებელნი

ლ. მუსხელიშვილისა და ი. სიხარულიძის კვლევების საფუძველზე „წმინდა გიორგის სასწაულები“ იმდენად ამომწურავად არის შესწავლილი, რომ რაიმე დამატებითი მოსაზრებების მოყვანა ამ თხზულების შესახებ გამორიცხული უნდა იყოს. A-85 ხელნაწერში უცნობი მასალების გამოვლენამ, აბუსერისძის რედაქტორული საქმიანობის წარმოჩენამ თხზულებასთან დაკავშირებით მთელი რიგი საკითხების ახლებურად გააზრების საშუალება მოგვცა.

აბუსერისძე ტბელის მიერ შედგენილი კრებული თავიდანვე გათვალიწინებული იყო ხიხანის წმ. გიორგის ეკლესიაში მოსახმარებლად. ამიტომაც წმინდა გიორგის თემა მასთან დაკავშირებული თხზულებისა და ანდერძის სახით ერთგვარ შემაჯამებელ ნაწილად შევიდა კრებულში. თხზულებაცა და ანდერძიც ორმაგ კავშირში აღმოჩნდა წმ. გიორგის ეკლესიასთან და თვით კრებულთან და ამ გარემოებამ ტექსტში შესაბამისი ასახვა ჰპოვა.

თხზულების ტექსტს კრებულში წამძღვარებული აქვს სინგურით შესრულებული შემდეგი ჩანაწერი: „ჯერ-არს ქებენებად შუენიერისა და დიდისა ახოვნისად, რამეთუ ესე არიან სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისნი და ანდერძი მისისა სასოებით შევედრებულისა და ამათ სიტყუათა შესაკადრებლად ღირსებისაებრ მთქუმელისად“ (ფ. 342 რ).

ამ უცნაურმა ჩანაწერმა სათაურთან დაკავშირებით მკვლევართა შორის აზრთა სხვაობა გამოიწვია. თ. ჟორდანიამ თხზულების სათაურად ჩანაწერის პირველი სტრიქონი („ჯერ-არს ქებენებად... ახოვნისად“) გაიტანა[1]. ივ. ჯავახიშვილმა სათაურად ჩანაწერის ის ნაწილი მიიჩნია, რომელიც მოსდევს სიტყვებს „რამეთუ ესე არიან“ (ე.ი. „სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისნი და ანდერძი... მთქუმელისად“)[2]. კ. კეკელიძემ „ანდერძის“ სათაურში გატანა ზედმეტად ჩათვალა და ორივე ნაწილი დაასათაურა „სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისნი“[3]. ლ. მუსხელიშვილი აღნიშნავს, რომ აბუსერისძე ტბელმა თხზულება დაასათაურა „სასწაულნი წმიდისა... გიორგისნი და ანდერძი... მთქუმელისად“, მაგრამ გამოცემაში სათაურად შეარჩია „ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატიანე“[4]. ი. სიხარულიძე თვლის, რომ თხზულება, საერთოდ, არ არის დასათაურებული და სინგურით შესრულებული ჩანაწერი ძირითადი ტექსტის პირველ სტრიქონებს შეადგენს. ამიტომაც შესაბამისად გმოკვლევასა და გამოცემულ

---

[1] თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, 1897, გვ. 111.

[2] ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, VIII, 1977, გვ. 242.

[3] კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, 1951, გვ. 310

[4] ლ. მუსხელიშვილი, ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატიანე, 1941, გვ. 1.

ტექსტში სათაურის ახალი ვარიანტი შემოიტანა „ცხოვრება ქვითხუროისა ბასილისა“[1].

სინამდვილეში სინგურით შესრულებული ჩანაწერი კრებულის ამ მონაკვეთის საერთო სათაურ-წარდგინებას წარმოადგენს, რომლის ანალოგებიც ხშირად გვხვდება კრებულში. ჩვენს გამოცემაში დღემდე გამოუქვეყნებელი ზანდუკის საფუძველზე თხზულებას აღვუდგინეთ ავტორისეული დასათაურება—„ახალნი სასწაულნი წმიდისა გიორგისნი“.

ზანდუკში ანდერძის მოუხსენებლობა ორგვარად შეიძლება იქნას გაგებული: ან ავტორმა ის ავტომატურად ერთიანი თხზულების შემადგენლობაში იგულისხმა, ან საჭიროდ არ ჩათვალა მისი როგორც სპეციფიკური ნაწარმოების ზანდუკში შეტანა.

„სასწაულნის“ და ანდერძის ურთიერთმიმართება თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში განიხილება, როგორც ერთიანი თხზულების ორი ნაწილის ურთიერთობა. ლ. მუსხელიშვილმა დააზუსტა, რომ ამ ორ ნაწილს „აკავშირებს და ერთმანეთთან აბამს“ ე.წ. გარდამავალი ნაწილი, რომელიც შეიცავს ხიხანის წმ. გიორგის ეკლესიის მშენებლობასთან დაკავშირებულ თავებს (ლ. მუსხელიშვილით თთ. XX-XXII, ჩვენი გამოცემით თთ. XXV-XXVII: „უწყი, რამეთუ არა ვარ შესარაცხავი ღმრთივ მონიჭებულისა კეთილისაჲ... მუნ შინა მისრულთა სალოცავად, ჭიდროებისა მათისა ნუგეშინის-საცემელად“). სხვა მხრივ კი, მკვლევარის აზრით, ეს ორი ნაწილი „არავითარ დამოკიდებულებას ურთიერთშორის არ გვიჩვენებენ“[2].

ი. სიხარულიძის თანახმად, ეს დამოკიდებულება ერთის შეხედვით შეიძლება მართლაც ასე ჩანდეს, მაგრამ თხზულებაში ღრმად ჩაკვირვება ამ ნაწილების მჭიდრო ურთიერთკავშირის გამოვლენის საშუალებას იძლევა. ესეც რომ არ ყოფილიყო, მწერალი საჭიროდ არ ჩათვლიდა საწყის ჩანაწერში „სასწაულისა“ და „ანდერძის“ ერთიანობაში დასახელებას.[3]

ამ საკითხის დაზუსტებაც ისევ აბუსერისძის მონაცემების საშუალებით ხერხდება. ჩვენი ყურადღება მიიქცია ე.წ. გარდამავალი ნაწილის პირველი თავის (ე.ი. ლ. მუსხელიშვილით თ. XX, ჩვ. გამოცემით თ. XXV) გასწვრივ მოყვანილმა მინაწერმა, რომელსაც ლ. მუსხელიშვილი ასე კითხულობს: „ამას ზემოჲთსა სსწლთა ვენა (**sic**) აღსწერდით წსა გისთა ვისცა გენებოს“[4]. მინაწერს რაღაც კავშირი უნდა ჰქონდეს ძირითად ტექსტთან, მაგრამ წარმოდგენილი წაკითხვა კონკრეტულად ამ კავშირის შესახებ ვერაფერს გვეუბნება.

თვით ძირითადი ტექსტი, რომლის გასწვრივაც ეს მინაწერია მოყვანილი, ანდერძის შესავალს წარმოადგენს. მასში მოკლედ გადმოცემულია ის, ასე ვთქვათ, უახლესი სასწაულები, რომლებიც წმინდა გიორგიმ მოიმოქმედა ანდერძის მთავარი მიზეზის, მისივე სახელობის ხიხანის ეკლესიის მშენებლობისას.

---

[1] ი. სიხარულიძე, ცხოვრება ქვითხუროისა ბასილისა, ბათუმი, 1981, გვ. 316.

[2] ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 1.

[3] ი. სიხარულიძე, დასახ. ნაშრომი გვ. 16.

[4] ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 33.

მინაწერის——„სსწლთა ვენა“ ხელნაწერში გულდასმითმა შესწავლამ გაარკვია, რომ სინამდვილეში აქ სწერია „სსწლთავე თა“. აქედან გამომდინარე, მინაწერი ქარაგმების გახსნით შემდეგნაირად უნდა იკითხებოდეს: „ამას ზემოდთსა სასწაულთავე თანა აღსწერდით წმიდისა გიორგისთა, ვისცა გენებოს“. ამ სახით მინაწერი არა მარტო ძირითად ტექსტთან (ანდერძის შესავალთან) უშუალო კავშირში ჩანს, არამედ ერთდროულად რამდენიმე კითხვაზე პასუხის გაცემის საშუალებას იძლევა.

ავტორის შენიშვნა ეხება იმ გადამწერებს, რომლებსაც არა მთელი კრებულის, არამედ მხოლოდ „სასწაულნის“ გადმოწერა აქვთ გათვალისწინებული. უკვე ეს ფაქტი მეტყველებს იმ გარემოებაზე, რომ თვითონ ავტორი „სასწაულნის“ დამოუკიდებელ თხზულებად მიიჩნევს და საჭიროდ არ თვლის მასთან ერთად ანდერძის გადაწერას. ვინაიდან ამ ანდერძის შესავალი თხზულების შესაძლო დამატებად ანუ ბოლოსიტყვაობად არის ჩაფიქრებული; ეს გარემოება ავტომატურად აფიქსირებს თხზულების ტექსტის ქვედა საზღვარს (ცხადია, რომ ტექსტი მთავრდება სიტყვა „ამინ“-ით, რომლის შემდგომაც იწყება შესავალი). შესავლის დამატების შემთხვევაში ეს საზღვარი კიდევ უფრო ქვემოთ გადაინაცვლებს იმ ადგილამდე, სადაც საგანგებოდ დასმულია ნიშანი წითელი რგოლის ანუ ჩიტისთვალის სახით (ჩვ. გამოცემის 67,19 გვერდზე მოყვანილ ამ და საერთოდ ანდერძში განთავსებული ჩიტისთვალების შესახებ უფრო დაწვრილებით ჩვენ მოგვიანებით გვექნება მსჯელობა).

თხზულების ბოლოსიტყვაობად ანდერძის შესავალის დამატება სავსებით უპასუხებს თხზულების მთავარ ქარგას და მის ერთგვარ ლოგიკურ განვითარებად გამოიყურება; თუ თხზულებაში გადმოცემულია წმინდა გიორგის სასწაულები შუარტყლის წმინდა გიორგის ეკლესიის მშენებლობასთან დაკავშირებით, ბოლოსიტყვაობა აგრძელებს სასწაულების ჩამოთვლას უკვე ხიხანის ამავე წმინდანის სახელობის ეკლესიასთან მიმართებაში.

კრებულის შემადგენლობაში, სადაც თხზულება და ანდერძი ერთად არის გადმოცემული, ამ ფრაგმენტს, როგორც ანდერძის შესავლის, ისე თხზულებიდან ანდერძზე გარდამავალი თავის ფუნქციები აქვს დაკისრებული. ამიტომაც ავტორის მონაცემებზე დაყრდნობით ჭეშმარიტი გარდამავალი ნაწილის საზღვრები მხოლოდ ამ ფრაგმენტით უნდა შემოიფარგლოს.

თხზულების კრებულიდან ცალკე გამოყოფისას მისი დასათაურება უკვე ზანდუკის მონაცემის მიხედვით უნდა განხორციელდეს. „ახალნი სასწაულნი წმიდისა გიორგისნი“ აშკარად ცალკე თხზულებისათვის არის განკუთვნილი და აქედან ისიც ირკვევა, რომ აბუსერისძეს საჭიროდ არ ჩაუთვლია „ანდერძის“ ზანდუკში მოხსენიება. რაც შეეხება კრებულში მოყვანილ წარდგინება-სათაურს, თუმცა ავტორი არ აღნიშნავს, მაგრამ ისედაც ცხადია, რომ ცალკე ნუსხაში გადამწერს ის უკვე აღარ უნდა შეეტანა.

საკუთრივ თხზულებიდან ჩვენ მხოლოდ ტექსტის იმ ნაწილების განხილვით შემოვიფარგლებით, რომლებიც ჩვენი ვარაუდით გარკვეულ დაზუსტებასა და ახლებურად გააზრებას მოითხოვენ.

პირველ რიგში, ეს ეხება თხზულების შესავალს, რომელიც აქამდე დეტალურად გარჩეული არ ყოფილა, მიუხედავად იმისა, რომ ის თხზულების ერთერთ ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს.

ჩვეულებრივ წმინდა გიორგის სახე თხზულებებში მისი მოწამეობის და სასწაულმოქმედებების კუთხით არის გადმოცემული. როგორც ლ. მუსხელიშვილი აღნიშნავდა „ორიგინალობა აბუსერისძე ტბელის ნაწარმოებისა იმაში მდგომარეობს, რომ ის წმინდანის ცხოვრებასა და სიკვდილთან დაკავშირებულ სასწაულთმოქმედებას კი არ ასწერს, არამედ გადმოგვცემს ამბებს, რომელიც წმინდანს მოუხდენია ავტორის და მისი წინა თაობის დროს, ავტორის სამშობლოში". აბუსერისძის თხზულებაც სასწაულების გადმოცემას ისახავდა მიზნად მხოლოდ ისეთ ჭრილში, რომელსაც, ფაქტობრივად, ანალოგი ვერ მოეძებნება. აბუსერისძის თხზულება წმინდანის სასწაულებს მისი სახელობის ეკლესიას უკავშირებს. თხზულების თითქმის ყველა ეპიზოდის ცენტრში ეს მშენებარე ან უკვე აშენებული ტაძარია, რომელთან უშუალო კავშირში ავლენს წმინდა გიორგი თავის სასწაულებს. თხზულებას საფუძვლად დაედო ფოლკლორული მასალა ქვითხურო ბოლოკ-ბასილის შესახებ, რომელსაც გადმოცემით სხვათა დაუხმარებლად და მხოლოდ წმინდა გიორგის შეწევნით მარტოდმარტოს აუშენებია მისი სახელობის ტაძარი.

არ არის გამორიცხული, რომ თხზულების იდეა აბუსერისძის მხოლოდ ბოლოკ-ბასილის ისტორიის გაცნობისას აღძროდა. შესაძლოა აქ გარკვეული როლი ითამაშა იმ ფაქტმაც, რომ „არც სამება ღმერთის, არც იესო ქრისტეს და არც ერთი წმინდანის სახელობაზე არ მოიპოვება იმდენი ტაძარი საქართველოში რამდენიც წმინდა გიორგის სახელზეა აშენებული"[2]. თითოეულ ასეთ ტაძარს აბუსერისძე წმინდა გიორგის სასწაულმოქმედებათა სისტემატური გამოვლინების თავისებურ ეპიცენტრად მიიჩნევს და ამ მოსაზრებას ერთგვარ დებულებადაც კი აყალიბებს სახარებისეული გამონათქვამის (იოანე, 21, 25) პერიფრაზის სახით. ამ დებულების თანახმად წმინდა გიორგის სასწაულებს „ვერცა ყოველი სოფელი აღჰრაცხავს აღწერილსა წიგნებსა თჳთოეულისა ეკლესიისასა, რაოდენცა არს სახელსა ზედა წმიდისა გიორგისსა" (იხ. ჩვ. გამოცემა, თ. XXIII).

ეკლესია-წმინდა გიორგის შედარებით უჩვეულო თემის გადმოცემასთან დაკავშირებით აბუსერისძე საჭიროდ თვლის მკითხველს გარკვეული წინასწარი განმარტებები მიაწოდოს და ამას ის შესავალში აკეთებს. ეს შესავალი ტექსტის კიდევ უფრო მეტ ნაწილს უნდა შეიცავდეს, ვიდრე ეს ლ. მუსხელიშვილს აქვს მითითებული.[3] მკვლევარის მიერ მითითებული მონაკვეთი (ლ. მუსხელიშ-

---

[1] ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 2-3.

[2] იხ. წმინდა გიორგი ძველ ქართულ მწერლობაში. შეადგინა და გამოსცა ე. გაბიძაშვილმა, თბ. 1992, გვ. 5-6. იქვე მკვლევარს მოჰყავს ვახუშტი ბატონიშვილის ძალზე საინტერსო ცნობა: „არ არიან ბორცუნი და მაღალნი გორაკნი, რომელსა ზედა არა იყოს შენნი ეკლესიანი წმიდა გიორგისანი".

[3] ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 1

ვილით, თ. I, ჩვენი გამოცემით თთ. I-II) შესავალის პირველ, ზოგად ნაწილს წარმოადგენს, რომელსაც უნდა დაემატოს მომდევნო მონაკვეთი (ლ. მუსხელიშვილით, თ. II, ჩვ. გამოცემით თ. III), რომელშიც უკვე კონკრეტულ ჭრილში განიხილება წინა ნაწილში დასმული საკითხი.

პირველ ნაწილში განსახილველი თემის შემოყვანას ავტორი ერთგვარი წინაისტორიით იწყებს: უფალმა „მეოხებად ჩუენთვის“ განაჩინა „წმიდანი თჳსნი“ ––„ცხრანივე დასნი წმიდათა ანგელოსთანი და მეათე კაცთანი“ და როგორც ეს ალუთქვა პეტრე მოციქულს, შემდგომ წმინდანებს, და მათ შორის, წმინდა გიორგის, „ამათსაცა სახელსა ზედა აღეშენნეს ეკლესიანი“. პეტრეს ალნათქვამად მოყვანილი სახარებისეული ცნობილი ფრაზა: „შენ ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი“ (მათე, 16, 18), აქ წმინდანისა და მისი სახელობის ეკლესიის თემის პირველსაწყის წანამძღვრად არის დასახელებული. რაც შეეხება წმინდა გიორგისადმი ალნათქვამს, „რომლისათჳს“, როგორც ავტორი ალნიშნავს, „არს მიზეზი სიტყჳსა ჩემი“-ო, მასში, ფაქტობრივად, ჩამოყალიბებულია დებულება, რომელიც წითელ ხაზად გასდევს მთელ თხზულებას და „ანდერძში“ კი პოულობს უშუალო გამოძახილს. თუმცა უფლის ადრესატს ამ შემთხვევაში წმინდა გიორგი წარმოადგენს, მაგრამ მისი მიმართვა აშკარად მორწმუნეებისათვის არის გამიზნული: „რომელმან აჴსენოს წმიდაჲ სამებაჲ შენ მიერ ჩემდა მომართითა მეოხებითა და სახელსა შენსა ზედა აღშენებითა ეკლესიისაჲთა და აღმართებითა ჯუარისა გინა ხატისაჲთა... მას აღესრულოს ყოველივე თხოვაჲ ორისავე კერძოჲსაჲო და თავისაცა თჳსისათჳს გინა სხუათათჳს“.

პირველი წინადადება ძალზე მოხერხებულად გადმოსცემს ვედრების იმ დაკანონებულ ფორმულას, რომელიც მლოცველისაგან სამების ხსენებას ქრისტესადმი წმ. გიორგის შუამდგომლობით ითვალისწინებს („შენ მიერ ჩემდა მიმართითა მეოხებითა“). ნიშანდობლივია აგრეთვე წმ. გიორგის სახელზე ეკლესია-ჯვარ-ხატების აშენება-აღმართვის მოხსენიებაც, რაც დამახასიათებელი იყო სწორედ ქართული სინამდვილისათვის. საერთოდ კი წმინდა სამების ნებისმიერი სახით „ხსენება“, როგორც ეს ფრაგმენტის ბოლო წინადადებიდან ჩანს, უცილობლად უზრუნველყოფს „მომხსენებლის“ ყოველი თხოვნის შესრულების საკუთარი თავისა თუ მისგან შევედრებული ნებისმიერი პირისათვის. ამიტომაც არის, რომ ანდერძში აბუსერისძე ტბელი, როგორც წმინდა გიორგის ტაძრის აღმშენებელი, თავს უფლებას აძლევს ანდერძში მოხსენებული საგვარეულოს მთელი თაობები უფალს შეავედროს ზუსტად ზემოთ დასახელებული ფორმით: „ამათ ყოველთა ზემოჴსენებულთა მეოხებითა წმიდისა მთავარმოწამისაჲთა და ყოველთა წმიდათაჲთა, მიუტევენ, მეუფეო იესუ ქრისტე, ღმერთო ჩუენო თანაარსო მამისაო და ყოვლად წმიდისა სულისაო“ (იხ. თ. XXXIV).

აღმშენებლობასთან ერთად შესავლის პირველ ნაწილში სამების „ხსენება“ გათვალისწინებულია სხვა ღონისძიებებითაც: „შესაწირავით“ „ქურივის მწულილებით“, „ცრემლით და მჴურვალედ თაყუანის-ცემით“ და სხვ. ჩამონათვალში ინტერესს იწვევს „ქურივის მწულილების“ მოხსენიება, რომელიც შემთხვე-

ვითი არ უნდა იყოს. წმინდა გიორგის სასწაულების ბიზანტიურ ციკლში ქვრივთან დაკავშირებული თქმულება, ფაქტობრივად, ერთადერთია, რომელიც ეკლესიის მშენებლობის თემას ეხება (წმინდა გიორგის სახელზე მშენებარე ეკლესიისათვის ქვრივის მიერ შეწირულ სვეტს წმინდანმა თავისი ხელით წააწერა—ჩემს ტაძარში დადგითო და სასწაულებრივი ძალით უზრუნველყო მისი ტაძარში გადატანა).

შესავლის მეორე ნაწილზე გადასვლა ავტორს სწორედ ქვრივის თემის საშუალებით აქვს განხორციელებული. ავტორის სიტყვებით, როგორც თავის დროზე წმინდა გიორგიმ ქვრივის სვეტი თავის ტაძარში „მიითუალა", ისევე „ესერა ყამთაცა ამათ ჩუენთა" ერთ ერისკაცთაგანს, ე.ი. ბოლოკ-ბასილის სასწაულებრივად თავის სახელზე ტაძარი აღაშენებინა. ამით აბუსერისძე აღმშენებლობასთან დაკავშირებული სასწაულქმედებების თავისებურ მემკვიდრეობით ხაზს გამოჰყოფს, რომელშიც წმინდა გიორგის ადრეული სასწაულების გაგრძელებად ახალი სასწაულებია დასახელებული. ამის შემდგომ ტექსტში მოკლედ წარმოდგენილია თხზულების ფაბულა, რომელიც მკითხველს აცნობს მომდევნო თავებში განსახილველი მასალის ხასიათს. ამ ფაბულის მიხედვით ეს ახალი სასწაულები თავიდანვე დაებედა ეკლესიის მშენებლობას, ვინაიდან წმინდა გიორგის მოთხოვნით მისი სახელობის ტაძარი ბოლოკ-ბასილს მხოლოდ ერთს, სხვების დაუხმარებლად უნდა აეშენებინა. ერთი კაცისათვის პრაქტიკულად შეუძლებელი ამოცანის დაძლევა ბოლოკ-ბასილს ისევ წმინდა გიორგის თანადგომამ და მისმა სასწაულთქმედებებმა შეაძლებინეს.

შესავლის გარდა თხზულებაში ჩვენი ყურადღება მიიქცია ორმა ფრაგმენტმა, რომლებიც ტექსტში აშკარად თავის ადგილზე არ უნდა იყვნენ მოხვედრილნი.

პირველ ფრაგმენტთან დაკავშირებით ჯერ უნდა განვიხილოთ ის ეპიზოდი, როდესაც ბოლოკ-ბასილი შუარტყალში შეუდგა ტაძრის მშენებლობას. ამასთან დაკავშირებით ტექსტში შემდგომი ინფორმაცია არის მოყვანილი: „და ესრეთ უწყებულ იყო წმიდისა მიერ: „ქვასა, რომელსაცა მიწითა აღმოიღებდე, ანუ კლდისაგან აღმოჰკაფდე, მას ადგილსა მფრინველი დაჯდების, უკუეთუ განგემარჯუებოდეს. და თჳნიერ მის მფრინველისა გამოჩინებისა და მუნ ზედა დაჯდომისა ცუდ იქმნას ყოველი ჭირი შენი, რაოდენ გინა დიდითა იძულებითა იმუშაკო". და სახეცა მის მფრინველისაჲ ეუწყა და ვითარებაჲ წმიდისა მიერ, და მისი ხილვაჲცა მისცემდის სასოებასა ამის საკჳრველისა მუშაკობისასა" (იხ. თ. VI).

ამ ეპიზოდის მომდევნო თხრობა ტაძრის მშენებლობის დროს მომხდარ სხვადასხვა სასწაულებს ეხება და მხოლოდ ამის შემდეგ მოულოდნელად ტექსტი კვლავ უბრუნდება „მფრინველის" თემას ჩვენს მიერ განსახილველი ფრაგმენტის სახით: „ხოლო ესე მფრინველი შემდგომად აღშენებისა მრავალთა წელთა მახლობელად მის ეკლესიისა იხილვებოდეს სახლეულთა მისთაგან" (თ. XV). ფრაგმენტი რომ აშკარად თავის ადგილას არ არის ჩართული ეს ეჭვსგარეშეა. ასევე ეჭვგარეშეა მისი პირდაპირი დამოკიდებულება ზემოთ

ციტირებულ ეპიზოდთან: როგორც შინაარსით, ისე წინადადების ფორმით ის აშკარად მის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს. მეორე მხრივ, საკითხს კიდევ უფრო აბუნდოვნებს ის გარემოება, რომ ფრაგმენტი ტექსტში საგანგებოდ გადაფხეკილ ადგილზე არის შეტანილი, ასე ვთქვათ, მეორადი ტექსტის სახით.

თითქმის მსგავს მოვლენასთან გვაქვს საქმე მეორე ფრაგმენტთან დაკავშირებითაც, მხოლოდ ამ შემთხვევაში ტექსტში ჯერ ეს ფრაგმენტია წარმოდგენილი, ხოლო შემდგომ საკმაოდ დაცილებით ის ეპიზოდი, რომლის უშუალო გაგრძელებასაც აღნიშნული ფრაგმენტი წარმოადგენს.

ეს ფრაგმენტიც აშკარად უადგილო ადგილას არის ჩართული და თხზულებაში მას მოულოდნელად შემოაქვს ქვის ჯვრის თემა: „და ვიდრე ჯუარი ესე წმიდისაჲ გარეთ ესუენა, მას ზედა მფრინველმან ვერ იკადრის გადაფრენად“ (თ. XVI). ამავე დროს ძირითად, ასე ვთქვათ, საბაზო ეპიზოდში დაწვრილებით გადმოცემულია ამ ქვის ჯვრის ისტორია. ეს ჯვარი ორი თაობისათვის (ბოლოკ-ბასილი და მისი შვილი იოანე) „არა დამორჩილებულ იყო ტაძარსა შინა საკჳრველებით აღშენებულსა დასუენებასა“ და მხოლოდ მესამე თაობის წარმომადგენლის იოსების მიერ „ესევითარითავე საკჳრველებითა დაესუენა ნამუშაკევსა თჳსსა წმიდასა, რამეთუ ამად ჟამამდე გარეთ ესუენა კარსა ტაძრისა მისისასა“ (თ. XXI). ამ შემთხვევაშიც მეორე ფრაგმენტი აშკარად ციტირებული ეპიზოდის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს.

როგორც ვხედავთ, ორივე ფრაგმენტი სრულიად გაუგებარი მიზეზით აშკარად დაცილებულია მათ შესატყვის ეპიზოდებს და განთავსებულია ტექსტის სხვა ადგილებში. ამავე დროს ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ორივე კომენტარის ფორმით არის შედგენილი. თანაც ორივე კომენტარში დროის თვალსაზრისით უფრო გვიანდელი სასწაულებია მოხსენებული, ვიდრე მათ საბაზო ეპიზოდებში. „მფრინველის“ თავდაპირველი „გამოჩინება“ და ჯვრის ტაძარში შეტანასთან წამოჭრილი პრობლემა ბოლოკ-ბასილის დროს განეკუთვნება. ფრაგმენტებში კი ამ „მფრინველის“ ეკლესიის მახლობლობაში დრო და დრო გამოჩენას, ისე როგორც ქვის ჯვრის ტაძარში შესვენებას უკვე ბოლოკ-ბასილის შვილიშვილის იოსების დროს აქვს ადგილი. ამიტომაც არ არის გამორიცხული, რომ თავდაპირველად ეს ორი ფრაგმენტი, რომელიც ფაქტობრივად უახლეს სასწაულებზე შეიცავს ცნობებს, აშიაზე გასატან კომენტარებად ყოფილიყო გათვალისწინებული (ისევე როგორც ანდერძის ტექსტში უახლეს სასწაულებთან დაკავშირებული ორი მინაწერი). ამ შემთხვევაში კი ისინი ძირითად ტექსტის გადაწერის დროს ან შემდგომ უნდა შეეტანათ. ერთ-ერთი მათგანი გადამწერის დაუდევრობით გადაწერის პროცესში ძირითად ტექსტში აღმოჩნდა, ხოლო მეორე, მასში მხოლოდ რაღაც ნაწილის გაუქმების შემდგომ შეიტანეს მის გადანაფხეკ ადგილზე. უკანასკნელი ღონისძიება კიდევ უფრო მეტად გაუგებარია და იმ აუხსნელ ლაფსუსებს მიეკუთვნება, რომლებიც „ქრონიკონშიც“ და საერთოდ მთელი კრებულის ტექსტში, არც თუ ისე იშვიათად გვხვდება.

ანდერძი, ისევე როგორც თხზულება მჭიდროდ არის დაკავშირებული წმინდა გიორგის სახელთან, მხოლოდ, როგორც აღვნიშნეთ, თუ თხზულებაში ეს კავშირი წმინდანის ახალი სასწაულების ფონზეა წარმოდგენილი, ანდერძში მათ უკვე უახლესი სასწაულები ცვლის.

დროის თვალსაზრისით ანდერძი აშკარად ორი ნაწილისაგან შედგება. აქედან პირველი ჯერ კიდევ ხიხანის ეკლესიის მშენებლობის დროს არის ჩაწერილი, ხოლო მეორე ნაწილი უკვე მშენებლობის დამთავრების შემდგომ არის დამატებული. ამ გარემოებაზე მიანიშნებენ მთელი რიგი გამოთქმები, რომლებიც ორივე ნაწილის შესაბამის ადგილებზე მოიპოვება.

ანდერძის შესავალი, რომელიც, როგორც თხზულების სათაურის განხილვისას შევნიშნეთ, ავტორისვე მიერ მიჩნეულია „გარდამავალ თავად", სწორედ დროის მიმანიშნებელი წინადადებით იწყება. ტბელი იმედს გამოთქვამს, რომ ისიც შეძლებს ხიხანთა ეკლესიის დამთავრებას და ისევე როგორც მთელი თხზულების შესავალში, აქაც იმეორებს „მეოხების თემას": „ამათ წმიდათა ღმრთისათა მეოხებამან მეცა მომანიჭოს სრულ-ქმნად ჩემგან კადრებულისა ხიხათა ეკლესიისად" (თ. XXV). მომდევნო ტექსტი კი უკვე ამ ეკლესიის კონკრეტულ მაგალითზე ანვითარებს თხზულების ბოლოში ავტორისვე წამოყენებულ დებულებას წმინდა გიორგის სასწაულებთან დაკავშირებით: „ყოველი სოფელი აღჰრაცხავს აღწერილსა წიგნებსა თჳთოეული ეკლესიისასა, რაოდენცა არს სახელსა ზედა წმიდისა გიორგისსა" (თ. XXIII). აქ ჩამოთვლილია „მრავალნი სასწაულნი", რომლებიც ეკლესიაზე „მუშაკობას შინა... აღესრულნეს" (სამშენებლო ქვების და კლდეთა დაცემა-წამოქცევათაგან თავის არიდება, უფსკრულში გადაჩეხილთა „ჴსნანი", მძიმედ დასნეულებულ მუშაკთა „მეყსეულად კურნებანი", „კაცის მჭამელთა მგელთა ოტებანი" და სხვ.).

ამ შესავლის თხზულების ბოლოსიტყვაობად გამოყენების საკითხთან დაკავშირებით, ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ მისი ტექსტის დასასრული საგანგებო ტექნიკური ნიშნით—ჩიტისთვალით არის მონიშული. ვინაიდან ჩიტისთვალი ანდერძის მომდევნო ტექსტშიც საკმაოდ ხშირად გვხვდება, წინასწარ დაზუსტებას მოითხოვს ამ ტექნიკური ნიშნის დანიშნულება.

თავის დროზე ეს ჩიტისთვალები ლ. მუსხელიშვილმა მუსიკალურ ნიშნებს დაუკავშირა. მან ყურადღება მიაქცია ორ ჩიტისთვალს, რომელთაგან ერთი დასმულია იმ ფრაგმენტის წინ, რომელიც იწყება წინადადებით: „ესე ძლისპირნი და სტიქარონნი მე დავსხენ ამით ყოვლითა შემატებულითა..." (მკვლევარის ნუმერაციით §172), ხოლო მეორე ანდერძის ერთ-ერთი ბოლო ფრაგმენტის ასომთავრულ დ-ონშია ჩასმული (§185). ვინაიდან ტექსტის ბოლოს მოთავსებული იყო განკარგულება (§186): „უკუეთუ ვინმე მღდელი არკარგი მკითხველი დახუდებოდეთ, ამა ასომთავრად დონადმდე კარგსა მკითხველსა წაკითხვებდით", მკვლევარმა შედგომი დასკვნა გამოიტანა: „ეს განკარგულება, ცხადია, ჰგულისხმობს მოსახსენებლებს მე-172 პარაგრაფიდან მოყოლებით, მე-185 პარაგრაფამდე, ე.ი. კარგ მკითხველს ავტორის მიერ დასმული ძილის-

პირნი და სტიქარონნი უნდა წაეკითხა და, ამგვარად, სინგურით დასმულ რგოლებს სამუსიკო მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა".[1]

ტექსტში მოყვანილ სხვა ორ ჩიტისთვალთან დაკავშირებით, რომელთაგან ერთი დასმულია 153-ე პარაგრაფში სიტყვა „ლიტანიობის" ზემოთ, ხოლო მეორე 155-ე პარაგრაფის ბოლოს ასევე სტრიქონს ზემოთ, მკვლევარი განმარტებას ვერ იძლევა (როგორც თვითონ აღნიშნავს: „იქ კი უკვე მათი დანიშნულება სრულებით გაუგებარია"). თუმცა გამოკვლევის სხვა ადგილას ის მიუთითებს, რომ გვერდით აშიაზე მოყვანილი ძნელად ამოსაკითხი რაღაც მინაწერი „სწორედ რგოლიდან რგოლამდე მიდის" და აქედან გამომდინარე ვარაუდობს, რომ ეს მინაწერი „ეგებ მაგ ნიშნებთან როგორმე დამოკიდებული იყოს".[2]

აბუსერისძე ტბელი წითელ რგოლებს ანუ მისივე ტერმინოლოგიით „ჩიტისთვალებს" ინტენსიურად იყენებს თავის „ქრონიკონში". აქ ამ ნიშანს ძირითადად შემდეგი ფუნქციები აქვს დაკისრებული: ის იხმარება ზოგჯერ საყურადღებო ადგილის მოსანიშნად, ზოგჯერ ტექსტების ერთი მეორისაგან გასამიჯნად. ზოგჯერ ორი ჩიტისთვალით გამოიყოფა ერთგვაროვან ტექსტში ჩარიული მასალა. ამ შემთხვევაში ორივე ჩიტისთვალი ერთდროულად ტექსტების გამმიჯნავი ნიშნის ფუნქციებსაც ასრულებს. ანდერძში ეს ნიშანი ზუსტად ამავე დანიშნულებებით იხმარება და მას ამ შემთხვევაში არავითარი კავშირი არა აქვს სამუსიკო ნიშნებთან.

ანდერძის ტექსტში ჩვენ უკვე განვიხილეთ ერთი ჩიტისთვალი, მხოლოდ შესავალთან მიმართებაში, როგორც მისი ტექსტის დასასრულის მომნიშვნელი ნიშანი. მომდევნო ტექსტიდან, რომელიც ბოლოს ასევე ჩიტისთვალით არის შემოსაზღვრული, ირკვევა, რომ პირველ ჩიტისთვალს მეორესთან კომბინაციაში კიდევ სხვა დანშნულებაც აქვს (ეს ორი ჩიტისთვალი, როგორც აღვნიშნეთ, ლ. მუსხელიშვილმა მათ გასწვრივ აშიაზე მოთავსებულ დაზიანებულ ჩანაწერთან რაღაც ურთიერთდამოკიდებულებაში ივარაუდა). ჩიტისთვალებს შორის მოთავსებული ტექსტი აშკარად პირადული შინაარსისაა. აქ მოხსენებული ღმრთისმშობლის ხატი, „რომელსა სასოებდა" ტბელის დედა მრავალფეროვანი სარიტუალო მომსახურებით და რომელიც ანდერძით ტბელს დაუტოვა მისი „ორისავე ცხორებისა" „მფარველად". აშიაზე მოთავსებულ მინაწერს უდაოდ კავშირი აქვს ტექსტთან, რასაც ადასტურებს ზოგიერთი სიტყვა, რომელთა ამოკითხვაც მინაწერის დაზიანების მიუხედავად მაინც ხერხდება.

„ამას ხატსა |განრყუნ...|რბი მარჯ... |ჴელით... |განეკურ... |შა რი...|აღარა...|ნით• და...|თ¯ქნ ესე... |დეთ ღ¯ი... |ენო ე..." (ფ. 351r). აქ მითითება უნდა იყოს ავადმყოფთა („განრყუნილთა") ხატზე „მარჯუენე ჴელით" შეხებისას, სასწაულმოქმედ განკურნების („განეკურ...") შესახებ. შესაძლოა ჩვენი წა-

[1] ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 30.

[2] იქვე, გვ. 34

• აქაც შეიმჩნევა შედარებით პატარა რგოლი, რომელიც მინაწერის ორი ნაწილის ერთმანეთისაგან გასამიჯნავად უნდა იყოს დასმული.

კითხვა ზუსტად არ შეესაბამებოდეს საქმის ჭეშმარიტ ვითარებას, მაგრამ აქ რომ ძირითად ტექსტში მოხსენებული ხატის სამკურნალო თვისებები არის მითითებული ეს ეჭვს არ იწვევს. ე.ი. აშიაზე ტბელს მოყვანილი აქვს კიდევ ერთი ცნობა უახლესი სასწაულების შესახებ მხოლოდ ამჯერად არა წმინდა გიორგისთან, არმედ ღვთისმშობლის ხატთან დაკავშირებით.

რაც შეეხება ჩიტისთვალებს, სინამდვილეში ტბელი მათ აშიაზე ჩასაწერი შენიშვნის მოსანიშნად კი არ იყენებს, არამედ ძირითადი ტექსტიდან განსხვავებული, კერძოდ კი პირადული შინაარსის ნაწილის გამოსაყოფად. ზედა ჩიტისთვალი ამ შემთხვევაში გამომყოფთან ერთად გამმიჯნავი ტექნიკური ნიშნის ფუნქციებსაც ასრულებს. ის ზუსტად მიუთითებს იმ ადგილ'ზე, სადაც მთავრდება ანდერძის შესავალი და, მაშასადამე, ის მასალაც რომელიც თხზულების ცალკე გადაწერისას შეიძლება უახლესი სასწაულების სახით დაემატოს ძირითად ტექსტს.

შესავლისა და პირადული ხასიათის ჩანართის შემდგომ იწყება ანდერძის კონკრეტული ნაწილი. ტბელი ჯერ ასახელებს თავის თავს, მშობლებს, ძმებს, რომელთა ბრძანებითაც მას დაუწყია წმინდა გიორგის ეკლესიის მშენებლობა ხიხანში და გადადის მოსახსენებელზე. აქ ის პირადაპირ მიუთითებს, რომ მშენებლობა ხორციელდებოდა „სალოცველად გარდასრულთა ჩუენთა და ცოცხალთა და მშობელთა ჩუენთა და საჴსენებელად პაპისა ჩუენისა აბუსერისსა და ძმისა მისისა სანანოჲსთჳს“ (თ.XXVI). წინადადების მეორე ნაწილით („საჴსენებელად პაპისა ჩუენისა აბუსერისსა და ძმისა მისისა სანანოჲსთჳს“) უკვე იწყება კონკრეტულ პირთა მოხსენიება და ტექსტის შემდგომ ნაწილში სხვა პირთა მოსახსენებელები ამ მოსახსენებლის უშუალო გაგრძელებად არის წარმოდგენილი. აქვე მოყვანილია მიზეზი, თუ რატომ იწყება სახელობითი მოსახსენებელი ამ ძმებით და აგრეთვე მინიშნებულია, თუ რატომ შენდება ხიხანის ეკლესია წმინდა გიორგის სახელზე. თავის დროზე „ამათ“, ე.ი. აბუსერ I-ს და სანანოს, „ხიხანი მტერთა ზედა გაცემულნი, ბრძანებითა ღმრთისა სწორთა პატრონთაჲთა“ უკან დაუბრუნებიათ. ამ საქმეში გადამწყვეტი როლი უთამაშია წმინდა გიორგის გამოცხადებას, რომელიც „მიპარვით შესულასა შინა... ღამითა ვარსკულავის სახედ გამოუჩნდის და ჴმა-უყვის, ვითარცა ჴორციელმან, და ასწავის გზა შესასულელი“. როგორც ეტყობა, ძმებს მაშინ აღძვრიათ სურვილი ხიხანში წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის აგებით თავისი მადლიერება გამოეხატათ წმინდანისათვის. მაგრამ, როგორც ავტორი აღნიშნავს, „მას აქაჲთ, მრავალთა უცალოებათა და დამართებათაგან, ვერცა მათ მოიცალეს და ვერცა ბიძამან და მამამან ჩუენმან და ვერცა ძმათა და ვერცა მე, ღირსებისაებრ ამათ სიტყუათა კადნიერმან“ (თ. XXVII). როგორც ვხედავთ, ტაძრის აშენების მცდელობას ტბელი აბუსერი-სანანოდან („მათ“) მოყოლებული თითქოს საგვარეულოს ყველა თაობის მაძაკაცთა შტოს უკავშირებს. ქრონოლოგიურად ესენი არიან: ტბელის (ე.ი. სამი ძმის) ბიძა, მამა და თვითონ სამი ძმა (მოგვიანებით ერთის გამონაკლისით, მათთვის მოსახსენებლებია დადებული).

აღთქმულის ასრულება საბოლოოდ ისევ აბუსერისძე ტბელს აულია თავის თავზე. მართალია, ანდერძის წინა ნაწილში ის აღნიშნავს, რომ მან ძმების აბუსერის და ვარდანის ბრძანებით „ჴელ-ყო“ „შენებაჲ ეკლესიისაჲ“, მაგრამ ეს მისი მორიგი თავმდაბალი განცხადებაა. ამ წამოწყების ინიციატორი რომ სწორედ ის არის, ეს ნათლად ჩანს მის მიერ იმ მიზეზების დასახელებისას, რომლებმაც მკვდარი წერტილიდან საქმის დაძვრა განაპირობეს: „მაიძულა ეკლესიისა მცირაობითა ერისა ვერდატევნამან და ჯარვის მიზეზითა გულ-მოდგინებისა მათისა ნაკლულევანებამან და ძუელი სახელოვანი დაშლილ იყო და ამისთჳს ჴელ-ვყავ შეკადრებად აღშენებისა, რომლისა სრულქმნაჲ მანვე ახოვანმან მოგუანიჭოს“ (თ. XXVII). ცხადია, რომ მრევლთან დაკავშირებული პრობლემები, რომელიც ამ ფრაგმენტიდან გამოსჭვივის, ყველაზე უფრო ადრე გულთან სასულიერო პირს--აბუსერისძე ტბელს უნდა მიეტანა და ერისკაცი ძმების მატერიალური დახმარებით (და არა ინიციატივით!) გადამწყვეტი ზომები მიელო მათ გადასაჭრელად. გარდა ამისა ეკლესიის მშენებლობაში აქტიურად მონაწილე სოფელ ბაკოს მცხოვრებთა თხოვნით აბუსერისძე ტბელს მრავალრიცხოვანი „სახლოვნების“ (სადგომების) მშენებლობაც წამოუწყია. მიუხედავად იმისა, რომ ეკლესია, ფაქტობრივად, მან ააშენა, ის საჭიროდ თვლის ეს ღონისძიება მთელ საგვარეულოს და თანაც რამდენიმე თაობას მიაწეროს.

ანდერძის პირველი ნაწილის დასასრულს მაშენებლების რანგში ტბელს ჰოჰყავს იმ პიროთა მოსახსენებლები, რომელთა უმრავლესობაც ცოტა ზემოთ მან ტაძრის აშენების მცდელობის საკითხთან დაკავშირებით დაასახელა. მოსახსენებელთა ეს ჩამონათვალი, ვინაიდან აბუსერ-სანანო უკვე ადრე იყვნენ მოხსენებული მათი შემდგომი თაობის დასახელებით იწყება. აქ წარმოდგენილია ტბელის მშობლები ორი მამიდით. შემდეგ მოხსენებულია სამივე ძმა სამი დითურთ და ჩამონათვალი მთავრდება დიოფალ-დიოფალის ნისიმეს მოსახსენებლით, რომელიც ტბელის თანახმად არის „პაპის ჩუენისა პაპისდაჲ“.

ყველა ჩამოთვლილი პირი აბუსერისძეთა საგვარეულოს წარმომადგენელია გარდა ტბელის დედისა, რომელიც, როგორც ფაქტობრივი მაშენებლის მშობელი, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე ისედაც უნდა მოხვედრილიყო ამ მოსახსენებელში. სამაგიეროდ მოულოდნელი ჩანს ჩამოანათვალში პაპის პაპისდის შეყვანა, მაშინ როდესაც უფრო ახლო ნათესავი, ეკლესიის აშენების „მცდელობის“ ეპიზოდში დასახელებული ბიძა აქ ვერ მოხვდა.

მოსახსენებელი და საერთოდ ანდერძის პირველი ნაწილი მთავრდება მკითხველისადმი მიმართვით: „და წამკითხველნი ამისნი გუანჴსენებდით ამათ ყოველთავე ცოცხალთა და მიცვალებულთა წესისაებრ“. ინდივიდუალური მკითხველისადმი გათვალისწინებული მოხსენიების ეს თხოვნა თხზულებების ანდერძისათვის დამახასიათებელ ჩვეულებრივ ფორმას წარმოადგენს. ანდერძის მეორე ნაწილში კი, როდესაც ხელნაწერი აშენებულ ეკლესიაში დაიდო, მკითხველთა კოლექტიური აუდიტორიის გათვალისწინებით, მოსახსენებლის

შევსება-გაგრძელებასთან ერთად აბუსერისძემ მიზანშეწონილად ჩათვალა ამ ფორმის შესაბამისად გადაკეთებაც.

მეორე ნაწილში აბუსერისძეს, როგორც ეტყობა, ჯერ კრებულის ეკლესიაში დადებასთან დაკავშირებული რაღაც ცნობის მოყვანა ჰქონდა განზრახული, შემდეგ კი მოსახსენებლის გაგრძელება სამი ძმის ოჯახის წევრების ხარჯზე. ამ გეგმის შესრულებისას, ავტორს მიზანშეწონილად უცვნია საკმაოდ დიდი ფრაგმენტის გაუქმება და წინასწარ გაუთვალისწინებელი მასალის ჩართვა, რის გამოც თავდაპირველი ჩანაფიქრის ბოლომდე მიყვანა ვერ მოხერხდა.

ანდერძის მეორე ნაწილი, რომელიც პირველისაგან ჩიტისთვალით არის გამიჯნული, იწყება წინადადებით ეკლესიაში კრებულის დადების შესახებ: „ესე ძლისპირნი და სტიქარონნი მე დავსხენ ამით ყოველითა შემატებულითა და ვირე ცოცხალ ვარ, ოდესცა მინდან მე მოვიჴმარებ და დასაგულებელად განაღამცა...“. ამის შემდეგ საგულდაგულოდ გადაფხეკილია ამ გვერდზე დარჩენილი 3,5 სტრიქონი და მომდევნო ფურცლის 19,5 სტრიქონი. ამ უკანასკნელში მოგვიანებით (XVI-XVII სს.) შეტანილია ჩანაწერები, მათ შორის მკვლევართაგან სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირებული ორსტრიქონიანი მინაწერი[1], რომელიც სინამდვილეში დღისსაძიებლის რიცხვითი მნიშვნელობების ცხრილს წარმოადგენს.*

ხელშეუხებლად დატოვებულ ტექსტის პირველსავე წინადადებაში დასახელებულია ტბელის მეუღლე (უფრო ზუსტად მეუღლე-ყოფილი) ბაგულ, რომელსაც, როგორც ირკვევა, საკმაოდ დიდი თანხა დაუხარჯავს „საშენსა შინა“ ეკლესიისა. ამასთან დაკავშირებით ტბელი ითხოვს მის მოხსენიებას შვილებთან ერთად და დასძენს „თუღა რაჲ მიეცეს, სხუასა ანდერძსა შინა ალვსწერ“-ო. ამის შემდგომ მოულოდნელი ჩანს ჯერ ძმისწულის—გრიგოლის და შემდეგ საკუთარი გარდაცვლილი ჩვილი ქალ-ვაჟის მოხსენიება.

მეორე ნაწილის ამ მცირე მონაკვეთში, რომელსაც პირობით შეიძლება ტბელის ოჯახის მონაკვეთი ვუწოდოთ, საკმაოდ მრავალრიცხოვანი და განსხვავებული შინაარსის ინფორმაციაა ჩადებული. ტექსტის ნაწილის გადაფხეკისა და ზოგიერთი მოულოდნელი გამოთქმებისა და წიაღსვლების მიუხედავად, ყველა სახის ბუნდოვან მომენტს აქ მაინც თავის ახსნა მოეძებნება.

იმ სახით, რომელიც ჩიტისთვალის მომდევნო ფრაგმენტმა მიიღო ტექსტის გადაფხეკის შედეგად, ის უფრო ეკლესიისადმი ტბელის შეწირულების ცნობას განეკუთვნება, ვიდრე კრებულის ეკლესიაში გამოსაყენებელ განწესებას. ამ

---

[1] ლ. მუსხელიშვილი, გვ. 34-35; ი. სიხარულიძე, გვ. 18-20.

* ზედა და ქვემო ამიაზე ორ მწკრივად გაშლილი ცხრილი იწყება ქვედა და გრძელდება ზედა მწკრივში (ამ უკანასკნელს ბოლოს დასასრულის ნიშნად დართული აქვს ორი შტრიხი წერტილით). თანამედროვე ციფრებითა და ჩვენი აღდგენით ამ ცხრილს ერთ მწკრივად ასეთი სახე აქვს: მ̃ტ-5; აჳ-1; მ̃ს-3; ი̃ვ-6; იჳლ–|1; ა̃გ-4; ს̃კ-7|;| უ̃კ-2; ნ̃ბ-5; |დ̃კ-7|; ი̃ნ-3; ფ̃ბ-6. ჩანაწერი შეიძლება ეკუთვნოდეს ს. კარგარეთელს, რომლის ანდერძიც და ზუსტად ეს ცხრილი (სრული სახით) მოყვანილია კრებულის გვიან დამატებული ნაწილის ბოლოს (იხ. A-85, ფ. 488r).

შემთხვევაში ტბელი ისევე როგორც ტექსტის მომდევნო ნაწილში მისი ძმა აბუსერი უკვე აშენებული ეკლესიის შემომწირველების როლში გაშოდიან. ფაქტობრივად, ტბელთან ერთად (ყოველ შემთხვევაში ერთი ოჯახის ფარგლებში) დასახელებული ბაგულ პირველია იმ სხვა გვარის მატარებელ პირთაგან, რომელიც აშენებული ეკლესიისათვის გაღებული საბოძვრის („საშენი") გამო მოსახსენებელში არის შეყვანილი. „სხვა ანდერძის" მოხენიება კი იმ ფაქტზე უნდა მიუთითებდეს, რომ ტბელს მომავალში ჩაფიქრებული ჰქონდა წმინდა გიორგის ეკლესიის ერთგვარი სააღაპე წიგნის შედგენა ამ ეკლესიაზე მზრუნველი და ქველმოქმედი პირების მოსახსენებლების შესატანად.

ტექსტში ყურადღებას იპყრობს ბაგულის მიმართ გამოყენებული გამოთქმები „ჩემთა შვილთა დედამან" და „მისთა შვილთაცა".

ჩვენი აზრით ეს გამოთქმები პირდაპირ ადასტურებენ იმ გარემოებას, რომ ტბელი ბერად არის შემდგარი და შესაბამისად მას გაწყვეტილი აქვს ბაგულთან ცოლქმრული ურთიერთობა. ზუსტად მსგავსი გამოთქმები გვხვდება იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ორ აღაპში; რომლებიც XV საუკუნის დამდეგით თარიღდება. ერთში „ფანასკერტელის ცოლ-ყოფილი" რიფსიმეს მიერ შემოწირულია ორი ძვირფასი ნივთი, „ერთი ამილამბარის სულისა სამლოცველოდ და ერთი მათისა შვილისა ზაქარიას სადღეგრძელოდ". ამ აღაპით ზაქარია თითქოს მხოლოდ ამილამბარის შვილად გამოდის. მაგრამ ყველაფერს თავის ადგილას აყენებს მეორე, უკვე მონასტრის კრებულის მიერ დადებული აღაპის ტექსტი: „გაუჩინეთ ხარებასა ზედა დალოცვაჲ ფანასკერტელსა ამილამბარს და მისსა მეუღლე-ყოფილსა რიფსიმეს და მათსა შვილსა ზაქარიას"[1].

ბაგულისა და შვილების მოხსენიების შემდგომ მოსალოდნელი იყო ჯერ ამავე ოჯახის წევრების ჩვილი ქალ-ვაჟის სულთა მოხსენება, მაგრამ რატომღაც მათ წინ ძმისწული გრიგოლი არის დასახელებული (აბუსერ II-ის ვაჟი). აბუსერის ოჯახზე გადასვლისას კი ანდერძი ამ უკანასკნელის ორი გარდაცვლილი მეუღლის დასახელებით იფარგლება, მაშინ როდესაც მისი ოჯახის მეორე შვილი ნათელი რატომღაც ანდერძის თითქმის ბოლო ნაწილში, ტბელის მეორე ძმის ვარდანის ოჯახის წევრებთან ერთად არის დასახელებული.

ეს თავისებურებები გამოწვეული უნდა იყოს გარდაცვლილი პირების ცალკე გამოყოფის სურვილით. ტბელის და მის მომდევნო თაობაში ოთხი გადაცვლილი პირი ჩანს——ორი მისივე ჩვილი ქალ-ვაჟი და ორიც აბუსერ II-ის მეუღლე. აბუსერ II-ის მეუღლეების მოხსენიებას წინ უძღვის ძვირფასი ხატების ჩამონათვალი, რომელიც აბუსერმა ეკლესიაში „დაასუენა" (ეჭვს არ იწვევს, რომ ეს ძვირფასეულობა აბუსერ II-მ ეკლესიას კონკრეტული მიზნით, თავისი გარდაცვლილი მეუღლეების მოსახსენებლად შემოსწირა). ამ შემონაწირის დანიშნულება რომ თვალსაჩინოდ დარჩენილიყო, ტბელმა ოჯახის დარჩენილი ორი ცოცხალი წევრი მათი რანგის შესაბამისად „განთესა" ანდერძში. გრიგო-

---

[1] ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ. 1962 წ. გვ. 92, №136, №138.

ლი, მომავალში საგვარეულოს თავი, მან უშუალოდ თავისი მეუღლე-ყოფილისა და ცოცხალი შვილების შემდგომ მოიხსენია. გამოთქმა „და ჩუენ სამთავე თანა ძმისწულსა ჩემსა გრიგოლსცა მოიჴსენებდით“ ნიშნავს, რომ გრიგოლი, ასე ვთქვათ, „კოოპტირებულია“ მაშენებელთა ჩამონათვალში სამივე ძმასა და, მაშასადამე, სამივე დასთან „თანა“, ანუ რაც იგივეა მათ შემდგომ, როგორც მომდევნო თაობის წარმომადგენელი.

გრიგოლის შემდეგ ანდერძი, როგორც აღვნიშნეთ, გადადის გარდაცვლილ პირებზე. ამიტომ ჯერ ტყუპი ქალ-ვაჟი მოიხსენებიან, როგორც პირველად დასახელებული ოჯახის წევრები და შემდეგ აბუსერ II-ის მეუღლეები. ცოცხალი პირების მოსახსენებლებზე გადასვლამდე ტბელმა საჭიროდ ჩათვალა მაშენებელთა ჩამონათვალის გარდაცვლილ პირთა შემადგენლობაც შეევსო. ამასთან დაკავშირებით ის აღნიშნავს: „და ესე უწინარეს ჯერ-იყო: სულსა პატრონისა ხუაშაჲსსა, ერისთავთ-ერისთავით, მისი ქმრით გრიგოლითურთ, რომელნი იყვნენ მშობელნი აბუსერისნი, პაპისა ჩუენისანი და სანანო ახოანისანი, პატრონთა დათა მათთა——ცუარისა და აგუტსანი, რომელთა სულნი ეგრეთვე მოჴსენებითა დიდებულ-ყოს ღმერთმან პატრონით ერისთავთ-ერისთავით ბიძაჲთ ჩეუნით გრიგოლითურთ და ბებერსა ჩუენსა პატრონსა ბალიანდის მოიჴსენებდით“ (თ. XXXII). მაშენებელთა ჩამონათვალის ერთი თაობით უკან გადაწევა, როგორც ეტყობა, პირველ მაშენებლებად გამოცხადებული აბუსერ I-ის და სანანოს მშობლების მოხსენიების აუცილებლობით უნდა იყოს გამოწვეული. შესაძლოა აქ თავისებური როლი იმ გარემოებასაც ეთამაშა, რომ ამ თაობაში აბუსერისძეთა საგვარეულო ხაზი, როგორც ჩანაწერის ფორმიდან ჩანს, ქალის საშუალებით გრძელდება (პირველ პლანზე როგორც აბუსერისძე წამოწეულია ხუაშა, ხოლო გრიგოლი მასთან მიმართებაში არის დასახელებული).

როგორც ვხედავთ, ჩანართი მიზნად ისახავს მაშენებელთა მოსახსენებლის შევსებას. პირველმაშენებლების აბუსერ I-ისა და სანანოს დამსახურების გათვალისწინებით, პირველ რიგში, დასახელებულია მათი მშობლები. აბუსერთან, როგორც საგვარეულოს პირდაპირი შტოს წარმომადგენელთან დაკავშირებით მოსახსენებელში მისი მეუღლე ბალიანდიც არის შემოყვანილი*. ამ ღონისძიებებით, ფაქტობრივად, მოიხსნა ის შეზღუდვა, რომელიც გვარის ფაქტორთან დაკავშირებით ძალაში იყო წინა მოსახსენებლისათვის. ამის შედეგად ერთიან მოსახენებელში ეკლესიასთან უშუალოდ დაკავშირებული წინა თაობებისათვის, პირდაპირი შტოს ყველა წარმომადგენელი უკვე მეუღლესთან ერთად აღმოჩნდა დასახელებული.

გარდაცვლილების მოსახსენებელი ჩანართის შემდგომ ანდერძის ტექსტი კვლავ ურუნდება ცოცხლებს ვარდანის ოჯახის წევრების (ვარდანის მეუღლე ნაზი და ქალიშვილები ხათუთა და ვანენი) სახით. აქვე დასახელებულია აბუსერ II-ის ასული ნათელიც, რომლის ძმა გრიგოლიც უკვე ადრე ტბელის ოჯახის მოხსენიებისას იყო წარმოდგენილი. ამ ფრაგმენტში ტბელი უშუა-

---

*ბალიანდი, როგორც ჩანართში დასახელებული პირი, ამ დროს გარდაცვლილი უნდა იყოს.

ლოდ მიმართავს ეკლესიის მრევლს („სასოებით შემოკრებილნო ერნო“) ვარდანის ოჯახის წევრებისა და ნათელის მოხსენიების თხოვნით. ეს მიმართვა გადადის ფრაგმენტის შემდგომ წინადადებაზეც, რომელშიც უკვე საერთოდ ანდერძში დასახელებულ პირთათვის ტბელი მრევლისაგან დალოცვას ასეთი ფორმით ითხოვს: „წაკითხვითა ამისითა ყოველთა დღესასწაულთა წმიდისა გიორგისთა დაგულოცევდით“. (თ. XXXIII).

მომდევნო ფრაგმენტში, რომელიც ტექსტის წინა ნაწილისაგან გამოყოფილია წინადადების საწყისი ასომთავრული დ-ონის წრეში შეტანილი ჩიტისთვალით, დაზუსტებულია ამ დალოცვის ტექნიკური მხარე: ყოველ 23 აპრილს და 10 ნომებერს („ორსავე დღესასწაულსა“) „ცისკრად“ ანდერძი წაიკითხება მღვდლის .ან კარგი მკითხველის მიერ. ამის შემდგომ კი მღვდელმა უნდა წარმოთქვას ზოგადი დასალოცი ფრაზა „ერისაგან ამინის მთქუმელობითა“. თვით დასალოცი ფრაზა ზუსტად ისეა ფორმულირებული, როგორც ეს ჯერ კიდევ „სასწაულნის“ შესავალში აღნიშნა ტბელმა: „ამათ ყოველთა ზემოჴსენებულთა მეოჴებითა წმიდისა მთავარმოწამისადთა და ყოველთა წმიდათადთა მიუტევენ, მეუფეო იესუ ქრისტე, ღმერთო ჩუენო, თანაარსო მამისაო და ყოვლად წმიდისა სულისაო“ (თ. XXXIV).

ბოლოს უნდა შევეხოთ მრევლის წინაშე წასაკითხი მასალის საკითხს. ჩვენი აზრით, ანდერძის შესავლის წაკითხვის შემდეგ მღვდელს ან წამკითხველს უნდა გამოეტოვებინა ორი ჩიტისთვალით მონიშნული ტექსტი, რომელიც პირადული ხასიათისაა და არ პასუხობს ანდერძის მთავარ დედააზრს. იგივე უნდა მოემოქმედებინა წამკითხველს ანდერძის მეორე ნაწილის დასაწყისშიც, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქ მოყვანილი თავდაპირველი ტექსტი ხელუხლებელი დარჩებოდა. ანდერძის ორივე ნაწილიდან გარკვევით ჩანს, რომ მოსახსენებლისათვის ანდერძში მოყვანილია ყველა პირი, რომლის დასახელებაც კი შეიძლებოდა: ასე რომ, გადანაფხეკ ადგილას მხოლოდ კრებულის ეკლესიაში მოხმარების პრაქტიკულ საკითხებთან დაკავშირებული ჩანაწერი თუ იქნებოდა წარმოდგენილი. შესაბამისად ეს მონაკვეთიც ორი გამოსაყოფი ჩიტისთვალით უნდა ყოფილიყო ფიქსირებული. ტექსტის ამოფხეკის შედეგად დარჩენილი ჩიტისთვალისა და ფრაგმენტის დანიშნულება ავტომატურად შეიცვალა. ჩიტისთვალი უბრალოდ ანდერძის ორი ნაწილის გამმიჯნავ ტექნიკურ ნიშნად გადაიქცა, ხოლო გამოცალკევებულმა ფრაგმენტმა მოსახსენებლისათვის დამახასიათებელი ფუნქციური დატვირთვა შეიძინა და ავტომატურად წასაკითხ მასალას შეუერთდა.

ანდერძის ბოლო ფრაგმენტიც, როგორც პრაქტიკული შინაარსის ნაწილი, ასევე გამოიყო წასაკითხი მასალიდან ასომთავრულ დ-ონში ჩაწერილი გამომყოფი ტექნიკური ნიშნის საშუალებით (ვინაიდან აქ საერთოდ მთავრდება ტექსტი, მეორე ჩიტისთვალის გამოყენების აუცილებლობა თავისთავად მოიხსნა). აქ მოყვანილი ზოგადი დალოცვის ტექსტი, ცხადია, რომ წასაკითხ მასალას არ განეკუთვნება. ეს არის ზეპირად წარმოსათქმელი მზა ფორმულა, რომელიც არავითარ წერილობით გაფორმებას არ მოითხოვს.

თავი III

აბუსერისძე ტბელი რედაქტორ-შემდგენელი

აბუსერისძე ტბელის შემოქმედებითი მოღვაწეობის დახასიათება ამომწურავი ვერ იქნება, თუ არ შევეხეთ მისი საქმიანობის კიდევ ერთ მხარეს, რომელიც დღემდე სამეცნიერო ლიტერატურაში სპეციალური განხილვის საგანი არ ყოფილა. მხედველობაში გვაქვს მისი როგორც რედაქტორ-შემდგენლის საქმიანობა, რომლის წყალობითაც შესაძლებელი გახდა ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი კრებულის შედგენა. საბედნიეროდ A--85 ხელნაწერმა მეტნაკლები სისრულით შემოგვინახა მისი შედგენა-გაფორმების პროცესთან დაკავშირებული მონაცემები. კრებულში დღეს დაცულ სარედაქტორო მინიშნებებთან ერთად ეს მონაცემები საშუალებას იძლევიან თვალი გავადევნოთ კრებულის ფორმირებასთან დაკავშირებულ პერიპეტიებს და ერთგვარად შევაღწიოთ კიდევაც აბუსერისძე ტბელის შემოქმედებით ლაბორატორიაში*.

გაფორმების თვალსაზრისით A-85 აშკარად განსხვავდება სხვა ცნობილი კრებულისაგან, რომლებიც ჩვეულებრივ წინასწარ შეგროვებული და დადგენილი „შავი“ მასალის კალიგრაფიული გაფორმების შედეგს წარმოადგენენ. A-85 ხელნაწერი პირდაპირი გაგებით არ შეიძლება „შავ“ მასალად მივიჩნიოთ, მაგრამ ის არც „გადათეთრებული“ ცალის შთაბეჭდილებას ტოვებს. ხელნაწერში, რა თქმა უნდა, „პირველჩანაწერი“ ფურცლები არაა გაერთიანებული, მაგრამ ძირითადი ტექსტის არც საბოლოო ვარიანტისათვის დამახასიათებელი მოწესრიგებულობა შეიმჩნევა (მოწესრიგებულობას მხოლოდ ფორმალური თვალსაზრისით ვგულისხმობთ).

A-85 ხელნაწერი ძირითადად საგალობელთა კრებულია. ავტორიც ანდერძში მოყვანილი ფრაზით ამას გულისხმობს (მიუხედავად იმისა, რომ სხვა ხასიათის თხზულებებიც აქვს შეტანილი): „ესე ძლისპირნი და სტიქარონნი მე დავსხენ ამით ყოვლითა შემატებულითა“ (რ. შ.—№27). კრებულის რაობა კარგად ჩანს ვრცელ აღწერილობაში, რომელიც 1973 წელს გამოქვეყნდა წიგნში „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“, ფოფილი საეკლესიო მუზეუმის A კოლექცია, ტ. I, გვ. 282-297. ქვემოთ შედგენილობაზე საუბრისას, როდესაც ვიმოწმებთ სათაურებს, გაადვილების მიზნით ვუთითებთ აღწერილობის ნუმერაციას, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში, როდესაც აღწერილობაში გამორჩენილია თხზულების სათაური ან რედაქტორის შენიშვნები, შემოგვაქვს ნომრები შტრიხით ნიშანდებული რიცხვებით. ჩვენ მხოლოდ ხელნაწერის ეტრატის ნაწილზე გვაქვს ლაპარაკი. კრებულის შედგენილობა ასეთია:

---

* დანართში მოყვანილია აბუსერისძის რედაქტორული შენიშვნების ტექსტები. წარხოცილი ჩანაწერებისათვის აღდგენილია მხოლოდ ის სიტყვები, რომელთა მნიშვნელობაც, კონტექსტზე დაყრდნობით ეჭვს არ იწვევს. ციტირებისას დანართის მასალა აღნიშნული გვაქვს შემოკლებით როგორც „რ. შ.“ (ე. ი. „რედაქტორის შენიშვნები“), დანართში ჩანაწერის შესაბამისი რიგითი ნომრის ჩვენებით.

1. ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი.

2. ჯვრის ამაღლების საგალობელი (14 სექტემბერი), ზანდუკით—„ჯუარი ქადაგი“.

3. გალობანი სახელსა ზედა ყოველთა წმიდათასა.

4—10. ბზობისა და პასექის კვირეულის გალობები.

10.' ორმოც სევასტიელთა საგალობელი (გამორჩენილია აღწერილობაში).

11. ბიბლიური მონაცემებით დასაბამითგან წლების ანგარიშის საუწყებელი, არასრული 100-წლიანი პასქალური ცხრილის დანართით.

12. ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი

13-15. ათორმეტნი

16. ათერთმეტნი

17-18. ოხითანი და იბაკონი აღდგომისანნი

19-22. რვა ჴმანი (6, 15, 29 აგვისტო)

23. საწელიწდო სტიქარონები

24-35. 8, 14 სექტემბერი, 10, 21 ნოემბერი, 25 დეკემბერი, 1,6 იანვარი, 2 თებერვალი, 25 მარტი, 6, 15, 29 აგვისტო—დადებულ დღესასწაულთა საგალობლები

36. გალობანი სინანულისანი მეფე დავითისა

37. ასეული იამბიკო გრიგოლ ღმრთისმეტყველის

38-42. პეტრიწის 5 თვეთა იამბიკონი, კალენდარი

43-44. იბაკონი და ოხითანი მარხვათა და ზატიკთანი

45-46. გამოავლინენი

46'. წმიდა არსნი (გამორჩენილია აღწერილობაში)

47. ტბელ აბუსერისძის სამი იოანეს საგალობელი

48. ტბელ აბუსერისძის დღისსაძიებლის „საუწყებელი“

49-52. არსენ ბულმაისიმისძის 4 თვეთა იამბიკონი, კალენდარი

49'. რედაქტორის ჩანართი

53-56. ხუედრნი

57. რედაქტორის ჩანართი

58-69. ზატიკი

70-73. ხელთუქმნელი ხატის საგალობლები

70'. რედაქტორის განწესება

72. არსენ ბულმაისიმისძის ეპისტოლე

74-76. მხედარ-წმინდანების საგალობლები

77-78. პასქალურ-კალენდარული შრომა

79: მწვალებელთა შესაჩვენებელი გალობა

80. ახალნი სასწაულნი წმიდისა გიორგისნი

81. ზანდუკი (82 ზანდუკის ნაწილია და ვაუქმებთ)

83-87. ქალწულმოწამეთა საგალობლები

88-89. მახარებელთა (მათე, ლუკა) საგალობლები

90. წმ. ნიკოლოზის საგალობელი

91. მოციქულთა (პეტრე და პავლე) საგალობლები
92. გალობანი ღმრთისმშობლისანი სარწმუნოებისათჳს მართლისა

ასეთია მასალათა დაჯგუფება-გაერთიანების შემდეგ აბუსერისძე ტბელის კრებულის შედგენილობა. კრებულში წარმოდგენილი ზანდუკი (№81) და რედაქტორის ჩანართები საშუალებას იძლევა ჩამოთვლილ თხზულებათა შეტანის ეტაპების განსაზღვრისათვის. ზანდუკში ვკითხულობთ: „გალობანი წმიდისა იოანე ნათლისმცემლისნი, წმიდათა იოანეთანი სხუათანიცა სამთავე ზიარნი; იოანე მახარებლისნი და იოანე ოქროპირისნი ჩემგან შემატებულნი, ამითურთ ამას ქუემოდთი ყუელად“ (რ. შ.––№28). აქედან ჩანს, რომ კრებულის პირველი ნაწილისათვის დაუმატებია მასალა, რომელიც სამი იოანეს საგალობლით იწყება („ჩემგან შემატებულნი, ამითურთ ამის ქვემოითი ყუელად“). ამ ცნობას ავტორი იქვე ურთავს ტექნიკურ ნიშანს (ფრაზის დასასრულს დასმულია ჩიტისთვალი). ზანდუკის ცნობა დასტურდება რედაქტორის შენიშვნითაც: „ძუელსა ზედა ახალი საგალობლები მე მოვჰკიდე. სრულითა ქრონიკონითა დამიწერია მისითა განგებითა ახალთქუმულითა...“ (რ. შ.––№9).

დამოწმებული სტრიქონებით ცხადი ხდება, რომ ქრონოლოგიური თვალსაზრისით ეტრატის კრებული ორ ნაწილად, ასე ვთქვათ, ქვეკრებულად უნდა დაიყოს. სხვათა შორის, მასალათა ხასიათი ასეთ გამიჯვნას უჭერს მხარს. ასეთი დაყოფა გათვალისწინებულია თვით შემდგენლის აბუსერისძე ტბელის ზემოთ დამოწმებულ ანდერძში: „ესე ძლისპირნი და სტიქარონნი მე დავსხენ ამით ყოვლითა შემატებულითა“ (რ. შ.––№27). ე. ი. პირველი ნაწილი წარმოდგენილია შედგენილობის მიხედვით, როგორც „ძლისპირნი და სტიქარონნი“, ხოლო მეორე ნაწილი როგორც „შემატებული“ (ამ სახელწოდებას, მხოლოდ მრავლობითის ფორმით—„შემატებულნი“ რედაქტორი ზანდუკშიც ხმარობს).

ლოგიკური იყო, რომ მეორე ნაწილი კრებულისა უნდა დამთავრებულიყო ზანდუკით, მაგრამ ეს ასე არ არის. ზანდუკის შემდეგაც სხვადასხვა ტექსტებია შეტანილი ხელნაწერში. ამ თითქოს უცნაური და გაუგებარი მოვლენის ახსნა ისევ ზანდუკის წყალობით ხერხდება. ზანდუკის ტექსტს აგრძელებს აშიაზე აშკარად მოგვიანებით გაკეთებული ჩანაწერი, რომელშიც ზანდუკის შემდგომ დამატებული თხზულების სათაურებია მითითებული (№83-92). აქედან უეჭველია, რომ საქმე გვაქვს კიდევ ერთ დამატებასთან, რომელიც ამჯერად პირობითად გაყოფილ მეორე ნაწილს აგრძელებს. ამასთან ერთად ხელნაწერის გულდასმითმა შესწავლამ ნათელი გახადა ქრონოლოგიური თვალსაზრისით კრებულზე მუშაობის მესამე ეტაპიც, რაც კიდევ ერთხელ წარმოაჩენს ხელნაწერის შემდგენელ-რედაქტორის მუშაობის სტილს და თვით კრებულის შედგენის თავისებურებას.

ხელნაწერი კრებული ჩვენ არსებული მონაცემების გათვალისწინებით, ცხადია, პირობითად გავყავით შემადგენელ ნაწილებად. ახლა განვიხილოთ ის მონაცემები, რომლებიც მათ შედგენასთან და რედაქტორულ მუშაობასთან დაკავშირებულ ცნობებს შეიცავენ. ამ მხრივ პირველი ნაწილი შესამჩნევად განსხვავდება მეორისაგან. აქ უფრო მეტად შეიმჩნევა ჩვეულებრივი კრებულებისათვის დამახასიათებელი გაფორმების ელემენტები, რის გამოც მოულოდნელი შეუ-

საბამობები და რედაქტორის ჩარევები თითქმის მინიმუმამდეა დაყვანილი. მიუხედავად ამისა, ამ მონაკვეთშიც რედაქტორულ ჩარევებს მაინც აქვს ადგილი. აი, ფაქტებიც: 49r, 60r და 115v ფურცლებზე რედაქტორისთვის საინტერესო ტექსტის ბოლო სტროფთან მიწერილია შენიშვნები, რომლებიც მიუთითებს კონკრეტულ ადგილს, სადაც უნდა ჩაჯდეს კონკრეტული ტროპარი (იხ. რედაქტორის შენიშვნები №1, №2, №5). მითითებული ადრესატები კონკრეტულად დასტურდებიან შესაბამისად 48v, 58r-v და 90r-ს ფურცლებზე. თანაც ერთ-ერთ მათგანის გასწვრივ („ესე არს დღე") აშიაზე შეიმჩნევა თავდაპირველი ორიენტირის ნაკვალევი, სამკუთხედად განლაგებული სამი წითელი რგოლი (ჩიტისთვალი) (ფ. 90r).

კრებულის პირველ ნაწილში აბუსერისძეს თავისი ინიციატივით უნდა შეეტანა ქრონოლოგიური შინაარსის თხზულება, უფრო ზუსტად ფრაგმენტი (№11). ამ ნაწყვეტში მოყვანილია დროის საზომი ერთეულების (წელიწადის, თვის, დღის და ა. შ.) რიცხვითი მონაცემები, წლების ანგარიში ქვეყნის დასაბამითგან ქრისტეს მოსვლამდე ძირითადად ბიბლიური მონაცემების საფუძველზე, არასრული 100 წლიანი პასქალური ცხრილი („ქრონიკონი"). მიუხედავად პირდაპირი მონაცემების არარსებობისა, ამ ფრაგმენტის კრებულში შეტანის ინიციატივა უდაოდ აბუსერისძისაგან უნდა მომდინარეობდეს. მხოლოდ მას, ქრონოლოგიისა და კალენდრის საკითხებით დაინტერესებულ რედაქტორს შეეძლო კრებულში ჩაერთო ამგვარი ფრაგმენტი, რომელსაც საგალობელთა გარემოცვაში აშკარად დისონანსური ელემენტი შეაქვს (შემდგომში, როდესაც აბუსერისძე ტბელმა თვითონვე შეადგინა კალენდარულ-ქრონოლოგიური შრომა, ამ არასრულმა ცხრილმა თავისი მნიშვნელობა და დანიშნულება დაკარგა და ამიტომაც გაუქმებულ იქნა მის მიერვე. ავტორი შენიშნავს: „ქრონიკონი, რომელიც ზემოჲთ წერია, იგი აღარ უნდა").

რედაქტორის დამატებად გვესახება პირველი ნაწილის კიდევ ორი ერთეული (№№43-44). მათ უნდა გულისხმობდეს სარედაქტორო ჩანართის (№49') შენიშვნა, რომელიც კრებულში შეტანილი დამატებების ჩამონათვალს მისდევს: „რაჲცამმე მიმატებული მუნცა დამიწერია მომა...ებლისა დასაწყისსა". (რ.შ.––№9). სიტყვა „მუნცა" აშკარად პირველი ნაწილის მისამართით არის ნახმარი. „მუნცა", ე. ი. იქაც, მხოლოდ ამგვარი გაგების საშუალებას იძლევა, ისევე როგორც „რაჲცამმე"––რაოდენობრივად უმნიშვნელოზე, ხოლო „მომა...ებლის დასაწყისსა" კონკრეტულ ადგილზე მიუთითებს.სამწუხაროდ, მომა...ებლის" ზუსტი მნიშვნელობის ამოკითხვა ორი ასოს დაზიანების მიუხედავად ვერ მოხერხდა. თითქოს ყველაზე მეტად მოსალოდნელი ჩანს „მომატებული", მაგრამ წარხოცილი მოხაზულობის ნაკვალევი ასო „ტ"-ს არსებობას გამორიცხავს, სამაგიეროდ საინფორმაციო თვალსაზრისით მნიშვნელოვან დანაკლისს ერთგვარად ავსებენ მომდევნო წინადადებები, რომლებიც შინაარსობრივადაც მასთან უნდა იყვნენ დაკავშირებულნი. თუმცა ჩანაწერის ეს ნაწილი ძალზე დაზიანებულია, მაგრამ რისი ამოკითხვაც ხერხდება, საკმაო არგუმენტს გვაძლევს დასკვნებისათვის. კერძოდ, ყურადღებას იქცევს შემდეგი ნაწყვეტი: „ოხითანი მარხვათა და ზატიკთანი"... და „იბაკოებითურთ, ოუ

რაჲ ჭრელი მუკლი ზატიკთა შინა იგალობების...“ რ.შ.—№9. დასახელებული სახელწოდების მიხედვით კრებულის პირველ ნაწილში კონკრეტულ ადრესატად მხოლოდ №43 ერთეული (ე. ი. „იბაკონი მარხვათა და ზატიკთანი“) და №44 ერთეული („ოხითანი მარხვათა და ზატიკთანი“) შეიძლება მივიჩნიოთ. ამასთან ერთად საგულისხმოა ისიც, რომ მეორე გალობის სახელწოდება სრულად თანხვდება ამოკითხულ ნაწყვეტს. ეს თხზულებები მოთავსებულნი არიან მეორე ნაწილის დასაწყისთან მახლობლობაში, ე. ი. ისეთივე ორიენტირთან, რაც ამოუშიფრავი „მომა...ებლ“-ისთვის იყო მითითებული*.

აქ შეიძლება დაისვას კითხვა, თუ რატომ მიაკუთვნა ეს „მიმატებული“ მასალები აბუსერისძე ტბელმა პირველ ნაწილს, როდესაც შეეძლო ერთი ერთი ნომრის გადანაცვლებით ისინი მეორე ნაწილში გადაეტანა. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი როლი ითამაშა თემატიკამ. თავისის შინაარსით ეს ორივე საგალობელი „ძლისპირისა და სტიქარონების“ თემატიკას უპასუხებდა და, ცხადია, დამატებად მათ იქ მიუჩინა ადგილი.

პირველ ნაწილში აბუსერისძე ტბელისეული დამატებების რიცხვი და საერთოდ, მისი რედაქტორული ჩარევები შედარებით მოკრძალებული ჩანს. თავის მხრივ ეს შეიძლება იმ გარემოებაზე მიუთითებდეს, რომ ეს ნაწილი, არცთუ ისე, დიდი ხნის წინ დაკანონებული ქარგის მიხედვით დაიწერა. ყოველ შემთხვევაში, ცნობილია ხელნაწერი ქუთ. 22, რომლის შედგენილობა ძალზე უახლოვდება აღნიშნულ ნაწილს. ქუთაისური ნუსხაც XIII საუკუნისაა და, სხვათა შორის, მასშიც დაცულია თვით აბუსერისძე ტბელის საგალობელი.

პირველი ნაწილის გაფორმების თავისებურებებს უნდა მივაკუთვნოთ ჩანაწერის ასოთა ზომების, ერთი შეხედვით უცნაური მონაცვლეობა, რომელსაც ადგილი აქვს იოანე ნათლისმცემლის თავისკვეთისადმი მიძღვნილი საგალობლის (№22) ბოლო ფურცელზე (ფ. 111r-v). ამ ფურცელზე გადამწერს პირველი რ სტრიქონი ჩვეულებრივი ზომით აქვს ჩაწერილი, მერე რატომღაც გამსხვილებულ ჩანაწერზე გადადის (ეს გრძელდება გვერდის ბოლომდე). მომდევნო გვერდზე (111v) კი ტექსტის დამაბოლოებელი 4 სტრიქონი ისევ ჩვეულებრივი ზომის ასოებით არის შესრულებული. ამასთან ერთად თავდაპირველად გადამწერს რატომღაც ფურცლის დანარჩენი ნაწილი, ისევე როგორც მომდევნო 112r ფურცლის ზედა ნაწილი თავისუფალი დაუტოვებია და ახალი თხზულების (№23) გადაწერა ამავე ფურცლის დაახლოებით მე-5-6 სტრიქონის დონიდან დაუწყია.

აღნიშნულ თავისებურებებს შეიძლება ერთგვარი ახსნა მოეძებნოს, თუ მათ გამომწვევ მიზეზებად გადასაწერ დედანთან აღძრულ დაბრკოლებებს ვივარაუდებთ. ერთ შემთხვევაში შესაძლოა დაზიანებული ყოფილიყო დედნის ის ადგილი, რომელიც მსხვილი ასოებით ნაწერ ტექსტს შეესაბამებოდა, ხოლო მეორე შემთხვევაში შესაძლოა ხელთ არ ჰქონდათ ის დედანი, რომლიდანაც

* აბუსერისძემ პირველ ნაწილს, როგორც თვითონვე ამბობს, „მიმატებული“ მასალა „მოჰკიდა“. ხომ არ ნიშნავს ამასთან დაკავშირებით „მომა...ებლი“ „მოშაკიდებელს“? თუ ეს ასეა, „მომაკიდებელში“ მაშინ დამატების პირველი ერთეული—სამ იოანეთა საგალობელი (№47) უნდა იგულისხმებოდეს, რომლის მახლობლობაშიც („მომაკიდებლისა დასაწყისსა“) მართლაც განთავსებულია მითითებული (№№43-44) ერთეულები.

რაღაც დამატებითი ფრაგმენტის გადმოწერა იყო გათვალისწინებული. როგორც ჩანს, პირველ შემთხვევაში უფრო მეტი ადგილი იქნა გამოტოვებული, ვიდრე ის რეალურად იყო საჭირო, ამიტომ საწერი ფართის ათვისებისათვის გადამწერს უნდა გაეზარდა ასოთა მოხაზულობის ზომები. მეორე შემთხვევაში ანალოგიური პრობლემა აღარ წამოჭრილა. ეს ცარიელი ადგილი მოგვიანებით გამოიყენეს წმ. დიმიტრისადმი მიძღვნილი საგალობლის ერთი მონაკვეთის განთავსებისათვის.

ასევე მოგვიანებით და თავიდანვე თითქმის ცარიელად დატოვებულ ფურცელზე (61r) სხვა ხელითა და მელნით არის შეტანილი „მჯდომარენი წმიდათა ორმეოცთანი“ (№10'). ბოლოს დართულ სარედაქტორო შენიშვნაში (რ.შ.—№3) მოყვანილია საგალობლის აქ ჩართვის მიზეზი და მისი სამშესრულებლო განაწესი.

მეორე ნაწილშიც ჰიმნოგრაფიულ მასალას მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა, მაგრამ პირველ ნაწილთან შედარებით განსხვავება თვალში საცემია. განმასხვავებელი ნიშნების სპექტრი ძალზე მრავალფეროვანია და ჩვენ მხოლოდ მათი ჩამოთვლით შემოვიფარგლებით. რედაქტორ-შემდგენელს შემოაქვს ახალი ტიპის საგალობლები, პროზაული მასალა, შესამჩნევად ზრდის ორიგინალურ თხზულებათა მოცულობას და თანამედროვე ავტორთა შემოქმედების ნიმუშებს. ერთი სიტყვით, ყველა ამ ნიშნით ჩანს, რომ რედაქტორ-შემდგენელი ქმნის ახალი ტიპის კრებულს, რომ იგი აღარ არის შეზღუდული, მოქმედებს თავისუფლად.

სიახლე დასტურდება რედაქტორული ჩარევის სისტემაშიც. ფურცლების აშიებზე და ზოგჯერ თვით ტექსტშიც, მრავლად არის მინაწერები, მითითებანი, განმარტებანი. თხზულებისათვის ხშირად გამოიყენება ვრცელი სათაურები, რომლებშიც დამატებითი ინფორმაცია არის მოყვანილი. თხზულების დანიშნულების, ავტორის თუ სხვა რაიმე მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ. ეს სათაურები, რომლებიც ერთგვარ წარდგინება-სათაურებს წარმოადგენენ, აშკარად კრებულის თვალთახედვით არიან შედგენილი და მიზნად ისახავენ მკითხველის ორიენტირებასა და მასალებში ადვილად გარკვევას.

უნდა აღინიშნოს კრებულში შემოტანილი პირობითი ნიშნების განსაკუთრებული დანიშნულებით გამოყენება. ეს არის ჯვარი და „ჩიტისთვალი“ (პატარა წრეები, რგოლები). ჯვარი გამოიყენება მაშინ, როდესაც რედაქტორს სურს მასალაზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება, მისი მნიშვნელობის ხაზგასმა. „ჩიტისთვალს“ რედაქტორი მიმართავს მაშინ, როდესაც უნდა გამიჯნოს ტექსტის ნაწილები, ან რომელიმე კონკრეტულ მონაკვეთში საინტერესო ადგილი გამოყოს.

ისევე როგორც პირველ ნაწილში, აქაც აშიებზე თუ ძირითად ტექსტში მოყვანილია ტექნიკური სახის მითითებები წარმოდგენილი მასალით სარგებლობის შესახებ (რ. შ. №№10-13, 15-16). აქ ამ შენიშვნებზე არ შევჩერდებით, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ზოგიერთი მათგანი ისე არის დაზიანებული, რომ ჩანაწერიდან აზრის გამოტანა, ფაქტობრივად, გამორიცხულია.

პირობითად გამოყოფილი მეორე ნაწილი იწყება აბუსერისძე ტბელის საკუ-

თარი თხზულებით––სამი იოანესადმი მიძღვნილი საგალობლით, რაც საგანგებოდ არის მითითებული ზანდუკში. ზანდუკის ცნობას ამ საგალობელით „შემატებული“ ნაწილის დაწყების შესახებ უნდა ადასტურებდეს სათაურთან ახლოს აშიაზე გაკეთებული მინაწერიც. ამ მინაწერში, მიუხედავად მნიშვნელოვანი დაზიანებისა, მაინც შეიძლება ამოვიკითხოთ „ამას ქუჴმოდთ“ და „შემატებული“ (რ. შ.––№6).

სამი იოანეს საგალობლის (№47) შემდგომ ტექსტში შეტანილია ისევ ორიგინალური თხზულება კათალიკოს არსენ ბულმაისიმისძის იამბიკური სვინაქსარი (№49-52), რომელიც იოანე პეტრიწის იამბიკოდ გალექსილი სვინაქსარის (№№38-42) გაგრძელებას წარმოადგენს. უშუალოდ ამ ორ თხზულებას შორის ჩართულია დღისსაძიებლისადმი მიძღვნილი „საუწყებელი“ (№48). ერთი შეხედვით, ეს უადგილო ჩართვა, თანაც დიდი თხზულების პატარა ფრაგმენტის, გაუგებრობად შეიძლება იქნას აღქმული. სინამდვილეში აქ ადგილი აქვს მასალის გადმოცემის საკმაოდ ორიგინალურ ხერხს, რომელიც ლოგიკურ წინამძღვრებზეა დაფუძნებული. დღისსაძიებელი, როგორც კალენდარული ელემენტი უშუალოდ თვეებთან არის დაკავშირებული და მათ შემადგენლობაში დღეთა არათანაბარი განაწილების (28, 30, 31 დღე) მათემატიკურად ამსახველ მახასიათებლებს წარმოადგენს. ამიტომ დღისსაძიებლისადმი მიძღვნილი თავი უშუალოდ თვეთა თემატიკასაც უპასუხებს. თავის მხრივ, თვეთა დღეებზეა, ცხადია, განაწილებული „უძრავი“ საეკლესიო დღესასწაულები, რომლებიც იამბიკური სვინაქსარის განხილვის ობიექტს წარმოადგენენ. დღისსაძიებლისადმი მიძღვნილ პირველ „საუწყებელში“ ამ ფაქტს უსვამს ხაზს აბუსერისძე ტბელი: „ამას ზედა ჰკიდავს საჴსენებელი ყოველთა წმიდათაჲ და საუფლოთა დღესასწაულთაჲ, თჳნიერ მისსა, რომელნი დიდსა აღსებასა შეუდგენ“ (324 r). აბუსერისძე ტბელის დაკვეთით გალექსილ კალენდარში (ისევე, როგორც პეტრიწთან) ყოველი თვის დასაწყისი იამბიკო კონკრეტული თვის დღეთა რაოდენობას აფიქსირებს (სხვათა შორის, თვეების მიხედვით გადმოცემულ კალენდარში, ამ მონაცემებთან ერთად დღისსაძიებლის რიცხვითი მნიშვნელობაც მოჰყავთ). ასე რომ, დღისსაძიებლის „საუწყებლის“ თვეთა იამბიკური სვინაქსარის წინ ჩართვის ფაქტი მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზნით უნდა აიხსნას, რომ მან „საუწყებელს“ შესავლის ფუნქცია დააკისრა. „ქრონიკონიდან“ გამოცალკევებული ნაწილის სხვა თხზულების შესავლად გამოყენებასთან ერთად აბუსერისძე ტბელმა „საუწყებელს“ შეუნარჩუნა ძირითადი თხზულების ორგანული ნაწილის სტატუსი. ეს დებულება ორი ცნობით დასტურდება: ა) თვით „საუწყებლის“ წარდგინება-კომენტარიდან, რომლის ბოლო წინადადება ძირითად ტექსტშია გადატანილი, პირდაპირ მითითებულია, რომ დღისსაძიებლის საკითხი „ქრონიკონის“ „საუწყებელშია“ განხილული. დაინტერესებულმა მკითხველმა („მეძიებელმან“) ჯერ ის უნდა წაიკითხოს ბოლომდე („მეორედ წითლულადმდე“––ე. ი. სინგურით დასათაურებელ ახალ თავამდე) და მხოლოდ ამის შემდგომ („უკუანის“) წაიკითხოს ეს შესავლად გამოყენებული საუწყებელი (იხ. რ.––შ. №7). ბ) საუწყებლების ურთიერთკავ-

შირზე მიუთითებს „ქრონიკონის“ შემადგენლობაში მოქცეული ძირითადი ანუ პირველი „საუწყებლის“ ტექსტის აშიაზე მოთავსებული მინაწერიც (რ. შ.—№21). მინაწერის ტექსტის დაზიანების მიუხედავად მაინც ხერხდება იმის წაკითხვა, რომ აღნიშნული „საუწყებელის“ შემდეგ „მეძიებელი“ უნდა გაეცნოს შესავლად გამოყენებულ ანალოგს და მხოლოდ ამის შემდგომ გადავიდეს ზედნადების „მოჴმარებასთან“ დაკავშირებულ თავზე (ამ თავის სათაურია „მიზეზისათჳს, თუ რად მოიჴმარებიან ზედნადებნი“).

თვით იამბიკურ სვინაქსართან დაკავშირებით აბუსერისძე ტბელს მოჰყავს საინტერესო ცნობა, რომელიც თხზულების ტექსტის პირველ ფურცელზე, სქოლიოში გადატანილი განმარტების ფორმით არის გადმოცემული: „ესე იამბიკონნი ხუთთა თუეთა მეტნი არა იყუნეს ენასა ზედა ქართულსა ოთხთა თუეთაჲნი არსენი ბულმაისიმისძემან თქუა, ქართაჲს კათალიკოზმან, ჩუენითა შეხუეწითა“ (რ. შ. -№8). ამ განმარტებიდან აშკარაა, რომ აბუსერისძე ტბელის ინიციატივით გაჩნდა ქართულ მწერლობაში საინტერესო თხზულება. ასევე, ტბელის დაკვეთით იყო შექმნილი ხელთუქმნელი ხატის საგალობლები, რომლებიც დაწვრილებით გამოკვლევის წინა ნაწილში განვიხილეთ (იხ. აქვე, გვ. 92-101). ყურადღებას იქცევს ამ საგალობლების სათაურები, რომლებიც ტიპური წარდგინება-სათაურის სახით არიან გადმოცემული (რ. შ.—№№17, 18). რედაქტორის განწესებაში, რომელიც ახლად დაწერილი საგალობლების ერთგვარ გზისმკვლევად არის მოყვანილი, განხილულია მათი მღვდელთმსახურებაში გამოყენების საკითხები (რ.შ.—№14). ამავე საგალობლებთან არის დაკავშირებული ლიტურგიკული ხასიათის ორი რედაქტორული შენიშვნაც (რ.შ.—№№15, 16).

მეორე ნაწილის მნიშვნელოვან ერთეულად გვესახება რედაქტორის ჩანართი: „განზოგებისა ოთხშაბათისაჲ, რაჲ კჳრიაკესაცა იგალობო, მაშინ სამარიტელსაჲცა იწყებს. და კჳრიაკესა წაღმა სამარიტელისაჲ დააგდე და განზოგებისსავე გალობდი, ვიდრე სხუად ოთხშაბათადმდე, რომელ არს მსგეფსი განზოგებისაჲ და მას წაღმა კჳრიაკისა საგალობლისა შემოსვლამდე იგივე სამარიტელისაჲ იგალობების ოთხშაბათით მწუხრით შაბათსა ცისკრამდე. და ამაღლებისა წინა დღისაჲ ვინაჲთგან არა სწერია, ამაღლებისა მუჴლნი ითქუნენ აღდგომათავე თანა. და ცისკრად ითქუნენ პასექნი და წარგზავნენ ყოვლითა აღვსებისა წესითა და ოხითაჲცა იგივე სამსგეფსოსა თანა. ქრონიკონი, რომელ ზემოჲთ სწერია, იგი აღარ უნდა. ძუელსა ზედა ახალი საგალობლები მე მოვჰკიდე; სრულითა ქრონიკონითა დამიწ[ერია მისითა] განგებითა ახალთქუმულითა, იამბიკონითა და რაჲცამმე მიმატებული მუნცა დამიწერია მომა...ებლისა დასაწყისსა და ოხითანი მარხვათანი და ზატიკთანი... იბაკოებითურთ და რაჲ ჭრელი მუჴლი ზატიკთა შინა... ზემო...განახავ... ამათ წიგნთა კულა...“ (რ. შ.—№9).

ჩანართი არსებითად ლიტურგიკული და ტექსტოლოგიური ხასიათის შენიშვნების ერთობლიობას წარმოადგენს. იგი მიზნად ისახავს დაეხმაროს მკითხველს მეორე ნაწილის—ახალი ტიპის კრებულად აღქმაში და ზოგიერთი ლიტურგიკული ნიუანსის გარკვევაში.

ჩანართის დასაწყისში განმარტებულია და მოცემულია მითითება მეერგა-

სის განზოგებისა და შემდგომი პერიოდის საგალობლების შერჩევასთან დაკავშირებით. განზოგების საგალობლები მითითების თანახმად მომდევნო კვირის ოთხშაბათის ჩათვლით იგალობება, მიუხედავად იმისა, რომ ამ კვირით იწყება მეხუთე, ანუ სამარიტელის კვირიაკე („მაშინ სამარიტელისაჲცა იწყებს"). ტექსტში პირდაპირ არის მითითებული „კჳრიაკესა წალმა სამარიტელისაჲ დააგდე და განზოგებისსავე გალობდი ვიდრე სხუად ოთხშაბათამდე". რაც შეეხება მომდევნო დღეებს მეექვსე ანუ ბრმის კვირიაკის დადგომამდე სამარიტელის კვირის საგალობლები სრულდება ამ ოთხშაბათის მწუხრიდან შაბათის ცისკრამდე. მსგავსი ლიტურგიკული შენიშვნა, მაგრამ უფრო მოკლე ვარიანტით ცნობილია მაგალითად XIII საუკუნის სინური ზატიკიდან (Sin 72, ფ. 88v): „აწ უმეტესად უწყებაჲ ჯერ არს, ესე: სამარიტელისაჲ ხუთშაბათამდინ არ უნდა. განზოგებისაჲ ყოველივე ორშაბათ, სამშაბათ, ოთხშაბათს გაგზავნე".

აბუსერისძე ტბელის მეორე შენიშვნა ამაღლების დღესასწაულის წინა ანუ პასექის წარგზავნის დღეს შეეხება (როგორც ცნობილია, ეს ოთხშაბათი დღე ზუსტად ერთი კვირით არის დაცილებული განზოგების წარგზავნის ოთხშაბათ დღეს). რადგანაც განგება მითითებული არ არის, იგალობება ამაღლებისა და აღდგომის შესაბამისი საგალობლები. ცისკრად სრულდება აღდგომის საგალობლები („პასექნი").

ლიტურგიკული ხასიათის შენიშვნების შემდეგ აბუსერისძე ტბელი განმარტებას იძლევა კრებულის ტექსტთან დაკავშირებით. იგი მკითხველს აუწყებს, რომ 61r-63v ფურცლებზე მოტანილი „ქრონიკონი" საჭირო აღარ არის. მიზეზი თავისთავად ნათელი ხდება შემდგომი წინადადებიდან, რომელშიც ჩამოთვლილია კრებულში მის მიერ დამატებული თხზულებები. ახალი საგალობლებისა და იამბიკოებთან ერთად დასახელებულია „ქრონიკონი სრული... [მისითა] განგებითა ახალთქუმულითა".

წმინდა დიმიტრის საგალობლის ტექსტის აშიაზე მოყვანილია მინაწერი, რომელიც დღეს ასე იკითხება: „სიბრძ... ბისაჲ... მათა... ოსა... ხე და... მარე... თავსა... ქარო..." (ფ. 302r). ამავე დროს 111v გვერდზე, რომელიც კრებულის პირველი ნაწილის შევსებისას რატომღაც ცარიელი დარჩენილა, სხვა ხელითა და მელნით შეტანილია ამ წმინდანისადმი მიძღვნილი სტიქარონები. ჩანაწერს, მასალის ჩანართი ხასიათის მისანიშნებლად წინ დართული აქვს წერტილებიანი ჯვარი. ტექსტი იწყება წინადადებით: „სიბრძნე (ძლისპირთა დასაწყისი) წმიდა დიმიტრიხი (წმინდანის მითითება) ყოვლად წმინდაჲ (ყალობის დასაწყისი)...". ჩანაწერი გრძელდება 112r გვერდით ზედა შეუვსებელ ნაწილში (მეორე ნაწილი ადრევე ჩაწერილ საწელიწდო სტიქარონების ტექსტს უჭირავს) და ბოლოს დართული აქვს რედაქტორ-შემდგენლის შენიშვნა: „ესე ქუემოჲთ დავიწყე ყოველი, აქა მზასა ზედა დავწერეთ ცარიელსა დარჩომილსა მეცე... ელმან... ქუემო..." (რ. შ.—№4). ადგილის სიმცირის გამო აშიაზე გატანილი ტექსტის გაგრძელება უკვე აღარ იკითხება, მაგრამ შემორჩენილი ნაწილის მიხედვით, გარკვეული დასკვნის გამოტანა მაინც შეიძლება. კერძოდ, რაღაც მიზეზის გამო თავის ადგილზე (302r გვერდზე) წმინდა დიმიტრისადმი

მიძღვნილი მასალა სრულად ვერ მოხვდა და დარჩენილი ნაწილი კრებულის წინა ნაწილში, ცარიელ გვერდებზე მოუთავსებიათ საწელიწდო სტიქარონების წინ. სწორედ ამ ფაქტზე მიუთითებს როგორც რედაქტორის შენიშვნა, ისე ძირითადი ტექსტის აშიაზე მოყვანილი მინაწერიც, რომლის ზოგიერთი ადგილი უკვე დარწმუნებით შეიძლება ასეთი სახის აღდგეს: „სიბრძ[ნემან გალო]ბისაჲ... მათა... ოსა... ხე და... მარე... თავსა [სტი]ქარო[ნთა]..." (რ.შ.—№19).

რედაქტორული შენიშვნები აბუსერისძემ თავის მათემატიკურ-კალენდარულ თხზულებასაც დაურთო. პირველი შენიშვნა ე. წ. „რედაქტორის დანართი" თხზულების წინა, როგორც ეტყობა, ცარიელად დარჩენილ გვერდზე არის ჩაწერილი. აქ ავტორი აუწყებს გადამწერებსა და მკითხველებს ტექსტის გადანუსხვისას დაშვებული შეცდომის შესახებ და მიუთითებს მათ თუ როგორი თანამიმდევრობით უნდა იქნას ის განხილული (რ.შ.—№20). ამასთან ერთად თხზულების ბოლო გვერდის ქვემო კიდეზე დატანებული ჩანაწერით დაზუსტებულია პირველი გვერდიდან გადმოსატანი მასალის განთავსების ადგილი (რ.შ.—№23). 336r გვერდის აშიაზე მოყვანილი საკმაოდ ვრცელი მინაწერიდან დაზიანების გამო მხოლოდ ისღა იკითხება, რომ ძირითად ტექსტში წარმოდგენილი 13-მუხლიანი იამბიკო იოანე შავთელს ეკუთვნის (რ.შ.—№22).

ასეთივე მინაწერი 341v გვერდზე მკითხველს აუწყებს, თუ რატომ და როდის „ითქუნნ" ტექსტისეული „გალობანი მწვალებელთა შეჩუენებისანი" (რ.შ.—№24).

აბუსერისძის თავდაპირველი ჩანაფიქრით კრებულის დამაბოლოებელ ერთეულებად ანდერძთან ერთად წმინდა გიორგისადმი მიძღვნილი მისივე თხზულება იყო გათვალისწინებული (№80). ამ ერთეულების მიმართ ძალზე მკაფიოდ გამოიკვეთა აბუსერისძის ორმაგი, როგორც ავტორის და რედაქტორის დამოკიდებულება. ეს კარგად ჩანს უკვე სათაურიდან, რომელიც კრებულისთვის გათვალისწინებული წარდგინება-სათაურის სახით არის გამოყვანილი: „ჯერ-არს ჴსენებაჲ შუენიერისა და დიდისა ახოვანისაჲ, რამეთუ ესე არიან სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისი და ანდერძი მისისა... მთქუმელისაჲ" (რ.შ.—№25). ამავე დროს კრებულის ზანდუკში (№81) კი თხზულების კონკრეტულ სათაურად დასახელებულია „ახალნი სასწაულნი წმიდისა გიორგისნი".

„სასწაულნის" და ანდერძის ტექსტში გამოყენებულია ტექნიკური ნიშნების (ჩიტისთვალების) მთელი სისტემა, რომელთა საშუალებითაც „სასწაულნი" ერთდროულად როგორც კრებულის ორგანულ ნაწილად, ისე სავსებით დამოუკიდებელ თხზულებად არის წარმოდგენილი. ჩიტისთვალებთან ერთად აშიაზე მოყვანილი მითითება „ამას ზემოჲთსა სასწაულთავე თანა აღსწერდეთ წმიდისა გიორგისთა, ვისცა გენებოს" (რ. შ.—№26) უკვე თავისთავად აფიქსირებს თხზულების საზღვრებს მისი ცალკე გამოყოფის შემთხვევაში. ამავე დროს ის გადამწერის ნება-სურვილს ანდობს „უახლეს სასწაულებთან" დაკავშირებული გარდამავალი ნაწილის თხზულებაში დამატებად შეტანა-არ შეტანის საკითხს.

„სასწაულნის" გამოყოფის შესაძლებლობასთან ერთად აბუსერისძემ, რო-

გორც ავტორმა და რედაქტორ-შემდგენელმა, თავიდანვე განსაზღვრა მისი და „ანდერძის“ სტატუსი. თუ „სასწაულნი“ შეიძლება ცალკე თხზულებად გადაინუსხოს, „ანდერძი“ აშკარად კრებულის განუყოფელ შემადგენელ ნაწილად რჩება.

საკითხის ამგვარმა გადაწყვეტამ კიდევ უფრო გაუსვა ხაზი ანდერძის განსაკუთრებულ მნიშვნელობას კრებულთან მიმართებაში. ფაქტობრივად ანდერძი კრებულის და არა „სასწაულების“ განუყოფელ ერთეულად წარმოჩნდა. ეს არ უნდა იყოს მოულოდნელი, რადგანაც ანდერძი მასშტაბური მოვლენების შემაჯამებელ აკორდად არის ჩაფიქრებული. აბუსერისძე ტბელი „მშენებლობას“ ორ ფრონტზე აწარმოებდა: ერთი პირდაპირი გაგებით--წმინდა გიორგის სახელობის საგვარეულო ეკლესიის მშენებლობას, ხოლო მეორე--კრებულის შედგენას, რომელიც თავიდანვე ამ ტაძრის სულიერ ბალავრად იყო ჩაფიქრებული. ასე რომ, მასში არა მარტო კრებულის შემდგენელის, არამედ ქტიტორის ერთობლივი ნააზრევიც არის ჩაქსოვილი. ეს ნათლად ჩანს ანდერძის ტექსტიდანაც. სამწუხაროდ, ანდერძის ის ნაწილი რომელშიც კრებულისა და ახლად აშენებული ეკლესიის ურთიერთმიმართების შესახებ უნდა ყოფილიყო საუბარი, საგულდაგულოდ არის გადაფხეკილი. შემორჩენილია მხოლოდ: „ესე ძლისპირნი და სტიქარონნი მე დავსხენ ამით ყოვლითა შემატებულითა და ვირე ცოცხალ ვარ, ოდესლაც მინდან, მე მოვიჴმარებ და დასაგულებელად განალამცა...“ (რ.შ.—№28). აქ უკვე ნათლად ჩანს, რომ კრებული თავიდანვე გათვალისწინებული იყო ახლად აგებული ეკლესიისათვის, რათა მომავალში ორივენი ერთად ფუნქციონირებდნენ.

კრებულის სახელწოდება, რომელსაც თვით შემდგენელ-რედაქტორი გვაწვდის; „ძლისპირნი და სტიქარონნი... შემატებულითა“ უფრო ზოგადი დასახელებაა, ვიდრე კონკრეტული; მაგრამ ამ ზოგადი დასახელებიდან ირკვევა, რომ შემდგენელ-რედაქტორი მას ორ ნაწილად—საგალობლების ქვეკრებულად და ახალი ტიპის ქვეკრებულად ანუ „შემატებულად“ ყოფს. ზემოთ ციტირებული სტრიქონები უკვე ეკლესიის აშენების შემდგომ უნდა იყოს ჩაწერილი ისევე, როგორც გადანაფხეკის მერე წარმოდგენილი მოსახსენებელი ნაწილი.

კრებულის საყურადღებო ელემენტს წარმოადგენს ზანდუკი, რომელიც, ფაქტობრივად, პირველად ქვეყნდება[1]. მისი არსებობის შესახებ ლიტერატურაში არაფერი არ იყო ცნობილი. ზანდუკის არსებობა დააფიქსირა კორნელი კეკელიძემ[2], თუმცაღა მის შესახებ საგანგებოდ არაფერი უთქვამს.

ზანდუკი არა მარტო კრებულის შემადგენლობისა და წყობის შესახებ იძლევა ინფორმაციას, არამედ გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს ზოგიერთი თხზულების ან თხზულებათა ჯგუფის შესახებ. ზანდუკის მიხედვით მოხერხდა

---

[1] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის A კოლექციის I, ტომში ზანდუკის დასაწყისი გატანილია როგორც ორი დამოუკიდებელი თხზულება (იხ. გვ. 292, №81 და №82).

[2] ქართული მწერლობის ისტორიაში (ტ. I, 1951 წ. გვ. 311) იმოწმებს ციტატას ზანდუკიდან. სწორედ მასზე დაყრდნობით გამოითქვა ვარაუდი სამთა იოვანეს საგალობლის ავტორის შესახებ.

აბუსერისძე ტბელის კრებულის პირვანდელი სახის აღდგენა და ავტორ-შემდგენელის რედაქტორული საქმიანობის გათვალისწინება.

კრებულის გადანუსხვის შემდგომ ავტორს მიზანშეწონილად უცვნია მასში მთელი რიგი დამატებების შეტანა ქალწულმოწამეთა და სხვა წმინდანების საგალობლების სახით. ამის შესახებ წმინდა ეკატერინეს საგალობელშიც არის აღნიშნული (რ.–შ.—№30), ხოლო ზანდუკის დამატებაში სათითაოდ არის წარმოდგენილი დამატებული თხზულებების სათაურები (რ.შ.—№29). ეს დამატება, როგორც ეტყობა, კრებულში თხზულებების შეტანის შემდგომ დაიწერა და ამიტომაც ის აშიაზე არის განთავსებული ძირითადი ზანდუკის გაგრძელებად.

აღსანიშნავია, რომ მის ტექსტშიც გამოყენებულია ტექნიკური ნიშანი (ჩიტისთვალი) ლიტურგიკული ნაწილის გამოსაყოფად. გარდა ამისა ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ამ დამატებაში დასახელებული ბოლო თხზულება („გალობანი ღმრთისმშობლისანი მართლისა სარწმუნოებისათჳს“) აშკარად სხვა მელნით და ლიტურგიკული ნაწილის შეუსაბამო გაგრძელებად არის მოყვანილი. როგორც ეტყობა, ეს თხზულება კრებულში კიდევ უფრო მოგვიანებით უნდა იყოს შეტანილი, ვიდრე მის წინ მოყვანილი დამატებითი საგალობლები.

სარედაქტორო მინაწერები დამატებით ნაწილშიც არის წარმოდგენილი, ერთი ქალწულმოწამეთა ტექსტთან (რ.შ.—№31), ხოლო მეორე—დამამთავრებელ საგალობელთან დაკავშირებით (რ. შ.—№32). ამ უკანასკნელში მხოლოდ ორი ასო იკითხება, მაგრამ ჩვენ ის მაინც მოვიყვანეთ აბუსერისძის მხრივ რედაქტორული შენიშვნის სისტემატური გამოყენების ფაქტის საილუსტრაციოდ.

A—85-ის კოდიკოლოგიური შესწავლის შედეგად განსაკუთრებით გამოჩნდა აბუსერისძე ტბელის როლი კრებულის გაფორმებაში. ხელნაწერი აბუსერისძე ტბელის გადაწერილი არ არის, მაგრამ იგი დიდი ფილოლოგიური სიზუსტით აკონტროლებს მასალას, შეაქვს შესწორებები, მთელ მანძილზე იძლევა საჭირო და აუცილებელ შენიშვნებს, განმარტებებს, მინიშნებებს, რომელთა გათვალისწინება საჭირო იყო კრებულის გამოყენების დროს. ხოლო დღეს ამ მინაწერებით აბუსერისძე ტბელი წარმოგვიდგება თავისი დროის დიდ მწიგნობრად და ფილოლოგოსად.

შენიშვნების ანალიზმა აჩვენა, რომ აბუსერისძე ტბელი ადგენდა ტიპოლოგიურად ახალ კრებულს, რომელშიც წარმოადგინა კარგად ცნობილი ძეგლების გვერდით მისი თანამედროვეების შემოქმედებითი პროდუქცია.

აბუსერისძე ტბელის კომენტარები, მითითებები „შემდგენელ-რედაქტორის ჩანაწერების“ სახელწოდებით ქვეყნდება პირველად. მართალია, ცალკეული მინაწერები და განმარტებები ადრეც იყო გამოყენებული და დაბეჭდილიც, მაგრამ ერთად თავმოყრილი არსად არ იყო და არც მათი ფილოლოგიური და კოდიკოლოგიური განხილვა-ანალიზი დასტამბულა სადმე.

თავი IV

ხელნაწერის ისტორიისათვის

აბუსერისძე ტბელის შემოქმედებითი მემკვიდრეობა დაცულია XIII საუკუნის მეტად საინტერესო კრებულში, რომელიც დღეს კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში A-85 ნომრით (ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა კოლექცია) ინახება. ხელნაწერი დღეს დიდი ზომის კრებულია, 488 ფ. მასში გაერთიანებულია ორი ხელნაწერი წიგნი, ტყავზე ნაწერი XIII საუკუნისა და ქაღალდზე ნაწერი XVI საუკუნისა. ტყავზე ნაწერია 1-385 ფურცლები, ქაღალდზე 386-488 ფურცლები.

პირველი ნაწილია სწორედ ის ხელნაწერი, რომლის შედგენა და გაფორმება დაკავშირებულია აბუსერისძეთა ოჯახთან, უფრო სწორად აბუსერისძე ტბელთან.

სამეცნიერო ლიტერატურაში დღეს, ცხადია, კრებულის ორივე ნაწილი ერთ მთლიან ხელნაწერად ფიგურირებს (ტექნიკურად დღეს ხელნაწერი ორ ნაწილადაა გაყოფილი). A—85-ის შესახებ პირველი ცნობები (მართალია, მოკლე) სამეცნიერო საზოგადოებას მიაწოდა აკად. მარი ბროსემ, 1868 წელს, წიგნში Etudes de chronologie technique (სანკტპეტერბურგი, 1868 წ.). მისი ვრცელი აღწერილობა და ტექსტები გამოაქვეყნა თ. ჟორდანიამ, ჯერ „ქრონიკების“ მეორე წიგნში[1] (1897 წ.) და შემდეგ საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობაში. აქედან მოყოლებული არ დარჩენილა ჩვენს სიძველეებზე მომუშავე სპეციალისტი, რომელიც არ შეხებოდა დასახელებულ ხელნაწერს და არ წარმოედგინა მისი მეტ-ნაკლები დოზით აღწერილობა[2]. 1973 წელს გამოქვეყნდა A-85 ვრცელი აღწერილობა, რომელიც შეადგინა თ. ბრეგაძემ[3].

კრებულის შედგენის იდეა აბუსერისძე ტბელის სახელს უკავშირდება. აბუსერისძე ტბელს ხიხანში („ეკლესიისა მცირაობითა ერისა ვერდატევნამან და ჯარვისა მიზეზითა გულსმოდგინებისა მათისა ნაკლულევანებამან... ჴელვყავ შეკადრებად აღშენებისა“) აუგია წმ. გიორგის სახელზე ეკლესია, რომელიც შეუმკია წიგნებით და სხვა სიწმინდეებით. სწორედ ამ ეკლესიისათვის გაუმზადებიათ დასახელებული წიგნი. აბუსერისძე ტბელი წერს: „ესე ძლისპირნი და სტიქარონნი მე დავსხენ ამით ყოვლითა შემატებულითა და ვირე ცოცხალ ვარ, ოდესცა მინდან, მე მოვიჴმარებ...“

როგორც ამ ციტატიდან ჩანს, შემდგენლისაგან ხელნაწერი ზოგადად არის დასათაურებული (ის არსებითად მართლაც ძლისპირთა, სტიქარონთა და საგა-

[1] ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. წიგნი მეორე (1213 წლიდამ 1700 წლამდე), თბილისი, 1897 წ., გვ. 103-123. მისივე, Описание грузинских рукописей церковного музея.

[2] ლ. მუსხელიშვილი, ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატიანე, თბილისი, 1941 წ.

[3] ქართულ. ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა I, ელ. მეტრეველის რედაქციით, თბილისი, 1973 წ., გვ. 282-297.

ლობელთა კრებულია). ეს სათაური დარჩა მას თითქმის ბოლო დრომდე, მაგრამ აუცილებლად უნდა ითქვას, რომ სათაური მხოლოდ პირობითად შეიძლება მივიღოთ. კრებულის გავრცელებული სათაური აღებულია მასში შემავალი პირველი ძეგლის სახელწოდებიდან (როგორც ხშირად ხდება ხოლმე). პრინციპულად აბუსერისძე ტბელის მიზანი ყოფილა ხიხანის მონასტრისათვის შეედგინა პრაქტიკულად სახმარი წიგნი, რომელშიც წარმოდგენილი იქნებოდა, ერთი მხრივ, ტრადიციულად არსებული ლიტურგიკული საქმიანობისათვის საჭირო ჰიმნოგრაფიული ტექსტები, და, მეორე მხრივ, ის სიახლენი ჰიმნოგრაფიაში, რაც XII-XIII საუკუნეებში შეიქმნა ჩვენში, ზოგიერთნი თვით აბუსერისძეთა უშუალო დაკვეთით. ობიექტურად მივიღეთ მეტად საინტერესო, ფართო გეგმით შედგენილი ხელნაწერი კრებული, რომელშიც შედის არა მარტო აბუსერისძეთაგან კარგად გააზრებული და გაცნობიერებული ძველი მასალა, არამედ ვეცნობით ახალ ავტორებს, თხზულებებს და, რაც მთავარია, თვით რედაქტორის ბეჯით მუშაობას. ამ უკანასკნელი ფრაზის დამადასტურებელი გახლავთ ის ვრცელი შენიშვნები და განმარტებები, რომლებიც აბუსერისძე ტბელს გაუკეთებია სხვადასხვა ადგილას. მაგ.: ა) „ესე იამბიკონნი ხუთთა თუეთა მეტნი არა იყუნეს ენასა ზედა ქართულსა და ოთხთა თუეთანი არსენი ბულმაისიმისძემან თქუა ქართაჲსა კათალიკოზმან, ჩემისა შეხუეწითა...“ (224v); ბ) „ამის ზეძოთნი, მეოთხე გუერდნი გალობანი ვარდანისგან შეხუეწითა თქუმულნი...“ და ა. შ. მაშასადამე, უეჭველი ფაქტია, რომ ხელნაწერის შედგენას და მის საბოლოო სახის მიღებას უშუალოდ აბუსერისძე ტბელი ადევნებს თვალს და მეურვეობს. მეტიც შეიძლება ითქვას, ბევრი თხზულება მისივე (ან მისი წყალობით მისივე ძმების) დაკვეთით დაიწერა და, ამავე დროს, მან საკუთარი თხზულებებიც შეიტანა შიგ. აბუსერისძე ტბელი, დღევანდელი ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, არის კრებულის შემდგენელი, ავტორიც და მკაცრი რედაქტორიც. მისი შენიშვნები, მინაწერები, რომელთაგან, სამწუხაროდ, დღეს ყველა ალარ იკითხება, კრებულს მეცნიერულ ხასიათსაც ანიჭებს და ბევრი საკითხის გასაღებსაც იძლევა. თავისთავად ეს მეტად საგულისხმო მინაწერები ერთად თავმოყრილი არსად გამოქვეყნებულა[1], ამიტომ ჩვენ ხელნაწერის გვერდების თანამიმდევრობით ვიძლევით მათ. ცხადია, არ გამოვრიცხავთ, რომ ზოგიერთი ადგილის ამოკითხვა შესაძლოა ყველასათვის მისაღები არ იყოს, მაგრამ ვიძლევით ჩვენს ვარიანტს.

A-85 ხელნაწერი 1233 წელსაა გადაწერილი, ხაზს ვუსვამთ, გადაწერილი. მართლაც, ხელნაწერიდან შეიძლება ათეულობით მაგალითის დამოწმება, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ კრებული გადაწერილია. დგება კითხვა: გადაწერილია უკვე არსებული, გაფორმებული კრებულიდან, თუ სხვადასხვა ხელნაწერიდან ამოღებული შემდგენლისათვის საინტერესო მასალა? დაბეჯითებით პასუხის გაცემა მარტივი საქმე არ არის. ჩვენი ღრმა რწმენით, მსგავსი კრებული არ არსებულა, მასალა ამოღებულია სხვა ნუსხებიდან და ამიტომაც არის გაპარული გადაწერის დროს ჩვეულებრივი ლაფსუსები, რომლებიც,

[1] პირველი ცდა მათი თავმოყრისა და პუბლიკაციისა ეკუთვნის ლ. მუსხელიშვილს

სხვათა შორის, ბევრი რედაქტორს შეუმჩნევია თავის დროზე, ზოგჯერ ამოუფხეკავს ზედმეტი სიტყვა თუ ასო და რიგ შემთხვევაში ჩაუწერია სანაცვლო. ეს კარგად ჩანს ხელნაწერიდან.

კრებული აბუსერისძე ტბელის ავტოგრაფი არ არის. (თ. ჟორდანია აბუსერისძე ტბელს და მის ძმას ვარდანს ვარაუდობს. „ქრონიკები", II, 108, სქოლიო). ერთ-ერთი გადამწერის სახელი-ბასილი-დადასტურებულია ხელნაწერში: „ქრისტე, შეიწყალე ბასილი" (166 r). კრებული გადაწერილია 1233 წელს, როგრც ეს თვით ხელნაწერშია დამოწმებული: „თორმეტჯერ უწინარეს ამისა ქცეულა (ქორონიკონი) და აწ ამას მეცამეტესა შინა ვართ, და ამისი ოთხას ორმოცდაათცამეტი წელიწადი გარდაჯდა წელს. ხოლო დასაბამითგან ყოველნივე გარდაჴდეს ექუს ათას რვაას ოცდაჩჯდმეტნი წელნი... და წელს ბერძენნი ექუას ათას შჯდას ორმოცდაერთთა წელთა თუალვენ სოფლის დასაბამითგან და ჩუენ ქართველნი ოთხმეოცდაათექუსმეტითა წელიწდითა წინაუძღვით სათუალავსა ბერძენთასა". აქედან გამოდის 780+453=1233; 6837-5604=1233; 6741-5508=1233. ე. ი. სამივე სათვალავით გამოდის 1233 წელი.

ხელნაწერის დათარიღებასთან საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ერთი ფაქტიც. კრებულის 61v-63v-ზე წარმოდგენილია არასრული პასქალური ცხრილი (1157-1248 წლების), რომელშიც ვკითხულობთ: „მოთხრობაჲ სულ მცირე ვასილოლრაფისაგან რიცხუთათჯს დასაბამითგან გარდასულთა წელთაჲსა... ხოლო დასაბამითგან ვიდრე დღეინდელად დღედმდე გარადაჴდის წელნი **ხლოე** და აწ ამას წელსა შინა ვართ. ოდეს ესე დაიწერა ქრონიკონი მეათცამეტე მოქცეულ იყო ტ ოთხმოცდამეათორმეტე (392)"...[1] აქედან გამოდის 780+392=1172 წელი. ეს თარიღი ზემოთ დამოწმებულ თარიღს არ ეწინააღმდეგება. საქმე ის არის, რომ კრებულის შემდგენელ-რედაქტორმა არასრული პასქალური ცხრილი (რომელიც ამოღებულია „მოთხრობაჲ სულ მცირე ვასილოლრაფისაგან") თავისი თარიღით აიღო მზამზარეულად და შეიტანა წიგნში. ამიტომ ეს თარიღი—1172 წელი დედნის თარიღია, ხოლო A-85 გადაწერის თარიღია 1233 წელი.

A-85 ხელნაწერის თავგადასავალი ამ შვიდასი წლის მანძილზე მეტად საინტერესოა. იგი დაიწერა ხიხანის ეკლესიისათვის, მაგრამ ბედის ტრიალის გამო ხშირად გამოუცვლია ბინა და ადგილსამყოფელი. სამწუხაროდ, ყველა ცნობის დაფიქსირება და, შესაბამისად, ხელნაწერის მოგზაურობის მთელი ისტორიის აღდგენა თითქმის შეუძლებელია, მაგრამ ცნობების ერთი ნაწილი მაინც იძლევა საშუალებას დაახლოებით წარმოვიდგინოთ ქრონოლოგიური ეტაპები და რეგიონები, როდის და სად ხდებოდა ხელნაწერის გადაადგილება.

ხელნაწერის ბედი ხშირად ჰგავს მის შემქმნელთა და მფლობელთა ბედს. „წერილი ძეგლი არს მეტყუელი, გამომაჩინებელი აღმწერელისაჲ საუკუნოდ, რომელისამე საქებელყოფად, ხოლო სხჯსა განქიქებად"—ამბობს არსენ კათალიკოსი. „ნაშრომი განძად დარჩებისო"—აცხადებს ჩვენი ერთ-ერთი დიდი

---

[1] ეს ტექსტი ცოტაოდენი ვარიაციებით მეორდება სხვადასხვა ხელნაწერში, კერძოდ, A–1040, ფ. 58. 1721 წ; A—342, ფ. 48 v. 1788 წ, S-14, გვ. 158. 1826 წ. და სხვ. შდრ. კ. კეკელიძე, რამდენიმე ჯერ კიდევ გაურკვეველი ტერმინი ჩვენი საისტორიო მწერლობისა, ეტიუდები, IV, გვ. 74-75.

წინაპარი და „ფრიადი კეთილი, კაცთმოყუარისაგან კაცთადა მონიჭებული პირველი მისი სიმდიდრე წიგნთა მოძღურებაჲ არს: მზე და მთოვარე ჴორცთა ჩუენთა სახმარად დაჰბადნა, ხოლო წიგნნი სულთა ჩუენთა განმანათლებლად მოგუამადლნა“--ამბობს XI საუკ. მწიგნობარი დავით ჯიბისძე. ეს განცდა და სიყვარული წიგნისადმი ამოძრავებდათ ხშირად ადამიანებს, როდესაც ხელნაწერებს უცვლიდნენ მისამართებს.

თავდაპირველად A-85 კრებული აბუსერისძე ტბელის საკუთრება იყო, რომელიც მას ხიხანის ახლად აშენებულ წმ. გიორგის სახელობის ეკლესიისათვის ჰქონდა გამზადებული. იგი უფლებას იტოვებდა სიცოცხლეში პირად სარგებლობაში ჰქონოდა იგი. „ვირე ცოცხალ ვარ, ოდესცა მინდა, მე მოვიჴმარებო“--წერდა აბუსერისძე ტბელი, ხოლო შემდეგ ერთადერთი მესაკუთრე კრებულისა დასახელებული ეკლესია იყო.

XVI საუკუნეში A-85 ხელნაწერი საფარის მონასტრის წმ. საბას ლავრაშია. დასახელებულ სავანეში 1541 წ. გადაიწერა დოგმატურ-სამეცნიერო კრებული, (რომელსაც ანდერძი საფილოსოფო. წიგნს ეძახის), რომლის კოლოფონში ვკითხულობთ: „ადიდე ღმერთმან ორთავე სუფევათა შინა მღუდელთმთავართ მთავარეპისკოპოსი მაწყუერელი იოაკიმ, რომლისა ბრძანებითა დაიწერა წიგნი და ესე უზაკველი და ყოვლით უნაკლულო საფილოსოფოსო წიგნი. დღეგრძელებით ყოველნივე ცოდვანი მისნი შეუნდვეთ ღმერთმანი, ამინ. და მე მონამან მისმან კარგარეთელმან დიაკონმან სჯმონ დავწერე. აწ გევედრები ყოველთავე, რომელნიცა მიემთხუნეთ წიგნსა ამას, რათა მეცა მომიჴსენოთ შენდობით, რათა თქუენცა მოგიჴსენოს ქრისტემან ღმერთმან სასუფეველსა მისსა... დიდება ღმერთსა, გათავდა საფარას, საბას ლავრისა.

ესე ზემოთ დაწერილი სათვალავი შავთელის იოანეს ანდერძი არს და ქრონიკონისა მოქცევამან მეაცამეტე ყოფილა და ოდესმე სჯმონ დიაკონმან დავწერე ქრონიკონი იყო **სკთ** და მოქცევი..., ხოლო ბერძულად დასაბამითგანი წელნი ვიდრე აქამომდე შჯდი ათასი წელნი გარდაჴდა.“[1] ამ კრებულში A-85-დან შეტანილია აბუსერისძე ტბელის შრომა“ „ქორანიკონი სრული მისითა საუწყებლითა განგებითა“ და „გალობანი მწვალებელთა შეჩუენებისანი“ (A-85-ის ფფ. 308-338, და 338v-341 v). მაშასადამე, უეჭველია, რომ დასახელებული თხზულებანი მომდინარეობენ A-85 ხელნაწერიდან. აქედან გამომდინარე, ასევე უეჭველი გვგონია, რომ ხიხანის წმ. გიორგის ეკლესიის ხელნაწერი ამ დროს იყო საფარაში და სვიმონ დიაკონი იქიდან იწერდა დასახელებულ თხზულებებს. და ეს კი ხდებოდა ქორანიკონს **სკთ** (229), რაც ნიშნავს 1541 წელს (1312+229=1541). ანდერძში ქართული დათარიღების გვერდით მოცემულია ცნობა, რომელიც ერთი შეხედვით შეიძლება კაცს მოეჩვენოს ბერძნული სათვალავით დათარიღებად („ბერძულად... შჯდი ათასი წელი გარდაჴდა“, რაც 1492 წელს ნიშნავს), მაგრამ ეს ასე არ არის. ეს ფრაზა დათარიღებას არ

[1] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა, ილ. მეტრეველის რედაქციით, ტ. I, თბილისი, 1959 წ. გვ. 371-373.

ისახავს მიზნად, არამედ აბუსერისძე ტბელის „ქრონიკონი სრულის“ გავლენით აფიქსირებს ფაქტს, რომ საკრალური ციფრი 7000 (ქვეყნის აღსაბრულის მაუწყებელი) ბერძნული სათვალავით უკვე გასულია (ქართველთა სათვალავით იგი უნდა გასულიყო 1396 წელს, ბერძნულთან შედარებით 96 წლით ადრე). ვფიქრობთ, ნათელია, რომ აბუსერისძე ტბელის ხელნაწერი 1541 წელს საფარაშია, წმ. საბას ლავრაში.

მეორე, საქართველოს ცენტრ. არქივის ფონდებში დაცულია სულხან-საბა ორბელიანის ძმის ნიკოლოზ ორბელიანის, თბილელის მიერ 1730 წელს გადაწერილი ხელნაწერი (ფ. 1441 №264 და №268). ნიკოლოზ თბილელს გარკვეულ ნაწილში წყაროდ გამოუყენებია A-85. კერძოდ, A-85-დან მას თავის კრებულში შეუტანია აბუსერისძე ტბელის „ქრონიკონი სრული“ და კიდევ რამდენიმე თხზულება. გაუთვალისწინებია დედნის შენიშვნები და მათ საფუძველზე ტექსტის თანამიმდევრობაში გარკვეული კორექტივი შეუტანია. ნიკოლოზ თბილელი ხელნაწერის ანდერძში წყაროს პირდაპირ ასახელებს. იგი წერს: „სამეუფოსა ქალაქსა მოსკოვს ვიხილე იგი ძლისპირი“. იქვე ნიკოლოზ თბილელი აკონკრეტებს A-85-თან დაკავშირებულ ცნობას. „ძველი ძლისპირი მეფე არჩილს[1] გელათიდამ წამოელო რუსეთსა“. ნიკოლოზ თბილელის ინფორმაციიდან ლოგიკურად კეთდება დასკვნა, რომ საფარის შემდეგ აბუსერისძე ტბელის ხელნაწერი მოხვედრილა გელათში, მაგრამ კონკრეტულად როდის, არ ჩანს.

მესამე, აბუსერისძე ტბელის ხელნაწერი 1730 წელს მოსკოვშია, ეს პირდაპირ არის მითითებული, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ნიკოლოზ თბილელის ანდერძში.

მეოთხე, 1843 წელს კრებული მარი ბროსეს უნახავს მცხეთაში, სვეტიცხოველში. ამრიგად, წყაროებიდან უეჭველად ჩანს აბუსერისძე ტბელის კრებულის ადგილსამყოფელი:

1233 წელს ხელნაწერი ხიხანშია

1541 წელს ხელნაწერი საფარაშია (წმ. საბას ლავრაში)

XVII საუკ. მიწურულში ხელნაწერი გელათშია

1730 წელს ხელნაწერი მოსკოვშია

1843 წელს ხელნაწერი მცხეთაშია (სვეტიცხოველში).

ეს მონაცემები უშუალოდ პირდაპირი მითითებებიდან არის აღებული, მაგრამ არაპირდაპირი ცნობებიდან შესაძლებელი ხდება უფრო დაზუსტდეს მოტანილი თარიღები.

პირველი, ხიხანის წმ. გიორგის ეკლესიაში ყოფნის ზედა ზღვრის განსაზღვრისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება A-85-ის 532-წლიან ცხრილში შეტანილ (როგორც ეტყობა, ქრონოლოგიურად ერთ-ერთ ყველაზე ადრინდელ) ჩანაწერს. მეთოთხმეტე მოქცევის 39-ე ქრონიკონის, ანუ 1351 წლის გასწვრივ დამოწმებულია ვინმე აბუსერიძე ივანეს სახლი.. „ქ(ს) მ. აქა მოვიდა აბუსერისძისა ივანეს სახლსა შიგა [და] ამირსპასალარისა და პატრონი სითი[ხათუნ]

[1] სხვათა შორის, ხელნაწერზე არის არჩილ მეფის მინაწერი: „ზე ადიდე, ღმერთო, მეფე არჩილ“ (352 v).

მისი[თა]...სლი...“ (თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 183). **თ. ჟორდანია 1352 წ.** (ქრონიკონი მ) ათარიღებს ჩანაწერს. (გვ. 185-ზე 1351 წლით). ამავე ივანეს გარდაცვალებას ვარაუდობს თ. ჟორდანია 1355 წელს. ცნობა მას აღებული აქვს A-85-ის ქრონიკიდან (იხ. დასახელებული წიგნი, გვ. 185. შდრ. მცირე ქრონიკები, ტექსტი გამოსცა ჯ. ოდიშელმა, 1968 წ. გვ. 27). ბუნებრივია, აბუსერისძეთა საგვარეულოს შესახებ ყოველგვარი ჩანაწერი იმის დასტურია, რომ კრებული ჯერ კიდევ საგვარეულო ეკლესიის განკარგულებაშია და ინფორმაციაც ამ საგვარეულოს წარმომადგენელთა ხელიდან მოდის.

ქრონიკონში შეტანილი ჩანაწერები 1355, 1361 და 1417 წლებისა, რაიმე კონკრეტული დასკვნის გაკეთების საშუალებას არ იძლევა. ორიენტირად არც ლ. მუსხელიშვილის დასკვნა გამოდგება, რომ XIV საუკ. მეორე ნახევრიდან იწყება ამ გვარის დამცრობა. ლ. მუსხელიშვილს, დამოწმებული აქვს დოკუმენტი, რომელშიც ვკითხულობთ: „დიასამისძეთა აქუს აბუსერისძენი სასაფლაოჲთა და კარის ეკლესიითა“. აქედან ცხადია, წერს ლ. მუსხელიშვილი, „რომ, ალბათ, XIV ს-ის დამლევისათვის ეს გვარი საბოლოოდ დაცემულა, ისე რომ დიასამისძეთა ყმადნაფიც აზნაურებადაც კი გადაქცეულა“.[1] სამწუხაროდ, მკვლევარი შეცდომაში შეიყვანა თ. ჟორდანიას მიერ მცდარად ამოკითხულმა ტექსტმა[2]. სინამდვილეში აბუსერისძეთა ზეობა გაცილებით ხანგრძლივი უნდა ყოფილიყო. თუ პირობითად დავუშვებთ, რომ გვარის დაცემის შემდგომ ხელნაწერი ერთხანს კვლავ ხიხანის წმ. გიორგის ეკლესიაში ინახებოდა, მაშინ შეიძლება ვთქვათ, რომ აბუსერისძე ტბელის კრებული 1233 წლიდან XV საუკუნის დამდეგამდე თავის თავდაპირველ სამყოფელში იყო.

მეორე, ბუნებრივია, საფარასთან დაკავშირებულ პერიოდს ვიწყებთ XV საუკუნის დამდეგიდან. A-85 ქრონიკების ჩანაწერებში სამცხის თემა 1417 წლიდან იწყება (შდრ. თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 223) და 1541 წლამდე გრძელდება. მაგრამ არსებობს ორი ცნობა, რომლებიც თითქოს ეჭვქვეშ აყენებს სამცხის პერიოდის უწყვეტობის საკითხს.

პირველი ცნობა ეკუთვნის თ. ჟორდანიას, რომელმაც გულდასმით შეისწავლა კრებული. A-85-ს მკვლევარი „ეტრატის ძლისპირს“ ეძახის, როგორც ჩანს, კრებულის პირველი თხზულების სათაურის მიხედვით. თ. ჟორდანიას ცნობის თანახმად, თითქოს „მცხეთის გუჯრებიდან“ ჩანს, რომ 1531-1532 წლებში ქართლის კათალიკოსმა მალაქიამ ხელნაწერი სვეტიცხოველს შესწირა: „კიდევ შევსწირე ერთი ქაღალდის მეტაფრასი და ერთი ძილის-პირი ეტრატისა“.. თ. ჟორდანია ამ უკანასკნელს აკონკრეტებს და წერს: „ახლა ეკლ. მუზ. დაცული A-85“. (ქრონიკები, II, გვ. 377-378). ამ ცნობის თანახმად, თითქოს 1531-1532 წწ. ხელნაწერი ქართლის კათალიკოსმა მალაქია I სვეტიცხოველს შესწირა, მანამდე კი ხელნაწერი დაცული იყო წმ. გიორგის ეკლესიაში, რომელიც მისივე სიტყვებით, ოპიზის მონასტრიდან (ბათუმის ოლქი) 2 ვერსით იყო დაცილებული (იხ. Описание, გვ. 82). მალაქია I დაწერილში ეტრა-

[1] ლ. მუსხელიშვილის დასახელებული წიგნი, გვ. 23.

[2] ქრ. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, თბილისი, 1967 წ., გვ. 34.

ტის ძლისპირის დასახელებამ თ. ჟორდანიას A-85 ხელნაწერი აფიქრებინა. ეს კი, ალბათ, იმიტომ მოხდა, რომ ხელნაწერში რამდენიმე მინაწერია, რომლებშიც კათალიკოსი მალაქიაა მოხსენებული. დასკვნა ლოგიკურია, რომ არ იყოს ერთი ხელისშემშლელი პირობა. ხელნაწერში კათალიკოსი დასახელებულია გვარით „ღმერთო, აცოცხლე და ადღეგრძელე კათალიკოზი მალაქია, კათალიკოზი აბაშიძე (386 r). აბაშიძის გვარით ცნობილია ერთადერთი იერარქი, დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი მალაქია I აბაშიძე, რომელიც XVI ს. 30-40-იან წლებში მოღვაწეობს.

ახლა ვნახოთ მეორე ცნობა, რომელიც A-85 გვიანდელ ანდერძში გვხვდება. აბუსერისძე ტბელის კრებულს XVI საუკუნეში დაუმატეს ქაღალდზე ნაწერი ხელნაწერი, ასევე საგალობლების კრებული. ამ დამატების ბოლოს დართულ ანდერძში ვკითხულობთ: „ადიდე ორთავე სუფევაჲთა შინა... შენ ძიერ დიდქმნილი წმიდაჲ მეუფე ჩუენი ამბა იშხნელი აბერკი, რომელმან დიდად იღუაწა მოგებად და ხარკებად წმიდისა ამის... წიგნისაჲ“ (ქრონიკები, II, გვ. III; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I, გვ. 295). სამწუხაროდ, ანდერძს თარიღი არ ახლავს, მაგრამ იქვე სვიმონ კარგარეთელის თანადროული მინაწერი თავისთავად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ანდერძი 1541 წლის ახლო ხანებში უნდა იყოს დაწერილი. თვით სვიმონი აშკარად გარკვეულ დამოკიდებულებაში ჩანს კრებულის ახალ ნაწილთან. ის ტექსტის ერთ-ერთი გადამწერიც უნდა იყოს (გიორგისთან ერთად). ანდერძში აუცილებლად მოითხოვს ახსნას ფრაზა: „დიდად იღუაწა მოგებად და ხარკებად წმიდისა ამის... წიგნისაჲ“. ისმის კითხვა, რომელ წიგნზეა ლაპარაკი? მთლიან კრებულზე (ეტრატ-ქაღალდის) თუ მარტო ქაღალდისაზე. იშხნელი მთელი კრებულის A-85-ის ძომგებლად ვერ გამოდგება. საფიქრებელია, რომ ამბეკის დაკვეთით გადაუნუსხავთ კრებული და ის გადაუგზავნიათ იშხანში. თუ ეს ვარაუდი მისაღებია, მაშინ ხელნაწერის მოგზაურობა იშხანში გამორიცხულია. ამბეკის ღვაწლი და დამსახურება მხოლდ ქაღალდის ნაწილს უნდა ეხებოდეს. მართლაც, ტყავის ხელნაწერს XVI საუკუნეში დაურთეს ქაღალდზე ნაწერი კრებულიც, გაამთლიანეს და რესტავრაციაც გაუკეთეს.

მაშასადამე, ვერც მალაქია კათალიკოსის შეწირულება და ვერც ამბეკი იშხნელის ხელნაწერთან დაკავშირებული საქმიანობა ვერ ცვლის ხელნაწერის საფარაში ყოფნის ქრონოლოგიას. საფარში ხელნაწერი XV საუკუნის დამდეგიდან ვიდრე XVI საუკუნის 40-იან წლებამდე იყო.[1]

მესამე, მესხეთიდან ხელნაწერი XVI საუკუნის 40-იანი წლებიდან იმერეთში, გელათში გადაუტანიათ. იმერული პერიოდის დაწყება სწორედ ამ დროით უნდა განისაზღვროს. ჯერ ერთი, ხელნაწერის გადატანის დროს კათალიკოსი მალაქია აბაშიძე ცოცხალი ჩანს. მეორეც, მესხეთის ისტორიაში

[1] მარი ბროსეც, თ. ჟორდანიაც და ლ. მუსხელიშვილიც თვლიან, რომ „აბუსერისძე ტბელის ხელნაწერი, ვიდრე ის იმერეთში იქნებოდა წაღებული XVI ს-მდე, სადღაც სამცხეში იყო დაცული“. იხ. ლ. მუსხელიშვილის წიგნი, გვ. 7. სქოლიო 1. აქვეა მითითებული მარი ბროსეს და თ. ჟორდანიას წიგნებიც.

მძიმე პერიოდი სწორედ ამ დროს იწყება, მოძალებულ მაჰმადიანობას გაარიდეს ძვირფასი კრებული. ეს საქმე კვლავ სვიმონ კარგარეთელის სახელს უნდა დაუკავშირდეს. ასე უნდა ვიფიქროთ იმის გამო, რომ სვიმონ კარგარეთელის სამწერლობო მოღვაწეობა 40-იანი წლებიდან გრძელდება იმერეთში. ქუთათელი სვიმონ ჩხეტიძის დავალებით მან გადაწერა გელათის ცნობილი გულანი-ქუთ. 16. ანდერძში ვკითხულობთ: „კარგარეთელსა სჯმონ მესხსა შეუნდოს ღმერთმან“. აქვე დასახელებულია მისი მეუღლე... „მართა, ყოფილი შარიხე“. გელათში ხელნაწერი XVII საუკუნის ბოლომდე უნდა ყოფილიყო, საიდანაც იგი არჩილ მეფემ მოსკოვში წაიღო.

მაშასადამე, XVI საუკუნის 40-იანი წლებიდან ვიდრე XVII საუკუნის ბოლომდე ხელნაწერი გელათის მონასტრის საკუთრება იყო.

მეოთხე, 1730 წელს ხელნაწერი მოსკოვშია; როდის უნდა დაწყებულიყო მოსკოვური პერიოდი, ზუსტად არ ჩანს. ფაქტია, რომ ხელნაწერი გელათიდან არჩილმა გაიტანა, როგორც ნიკოლოზ თბილელი წერს.

არჩილი იმერეთში ხუთჯერ გამეფდა: 1661-1663, 1678-1679, 1690-1691, 1695-1696 და 1698 წლებში. პირველი გამეფების წლები ხელნაწერის გატანის სავარაუდო თარიღებიდან უნდა გამოირიცხოს შემდეგი არგუმენტებით. კრებულის 532-წლიან ცხრილში შეტანილია 1665 წელს იმერეთში მომხდარი ფაქტის ვრცელი ინფორმაცია: „ამა ქორონიკონსა სახლით უხუცეს ჩხეტიძეს მეფე ბაგრატი გაუწყრა: და აბაშიძე და სრულა რაჭველნი მეფეს იახლენ და აქადამ სახლთუხუცესი ჩხიძე(!) მისის კერძით მოყვრით შეიყარა; და მეფისა და მათი იმედეული იყო და ჩხარს მოვიდა და იქიდან ილაპარაკა“[1].

არის კიდევ ერთი საბუთიც, რომლითაც დასტურდება, რომ 1664-1673 წლებში ხელნაწერი გელათშია. საქმე ის არის, რომ ხელნაწერ A-1582-ში დასტურდება ანტონ მარტბყოფელის სვინაქსარული ცხოვრების ვრცელი ვარიანტი. ანტონის ცხოვრება, როგორც ე. გაბიძაშვილმა გაარკვია, „ბევრ საერთოს პოულობს არსენ ბულმაისიმისძის საგალობლებთან როგორც ფაქტობრივი, ასევე ფრაზეოლოგიური თვალსაზრისით.“[2] ხელნაწერი, რომელშიც ეს ტექსტია შესული, ამავე ავტორის დაკვირვებით, 1664-1673 წლებშია გადაწერილი. ეს ივარაუდება ხელნაწერის ანდერძიდან: „ბრძანებითა და შეწევნითა ღმრთისაჲთა ჩვენ გენათელ მიტროპოლიტმან გედეონ დავაწერინე ესე წმიდაჲ და სულთა განმანათლებელი მარხვანი ერისთჳს შოშიტას სადღეგრძელოდ (A-1582, 795 r). მოხსენიებულ პირთა ერთად მოღვაწეობა სწორედ დასახელებულ წლებზე მოდის. მაშასადამე, აქედანაც ჩანს, რომ 1674 წელსაც აბუსერისძე ტბელის ხელნაწერი გელათშია.

თეორიულად არჩილ მეფეს ხელნაწერის გატანა შეეძლო ყოველ წელს, რომლებიც მივუთითეთ. მაგრამ ჩვენ ღრმად გვწამს, რომ მან კრებული 1699 წელს ჩაიტანა მოსკოვს, სადაც უკვე საბოლოოდ დაიდო ბინა. 1698 წელს

---

[1] მცირე ქრონიკები, ტექსტები გამოსცა ჯ. ოდიშელმა, 1968 წ., გვ. 42-43.

[2] ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი IV, გამოსაცემად მოამზადა ე. გაბიძაშვილმა, 1968 წ., გვ. 218-225.

არჩილის აღსაყდრება მეხუთედ მოხდა, მაგრამ მისი მეფობა არც ამჯერად ეაგრძელებულა დიდხანს. იგი იძულებული გახდა 1699 წ. აეკრა იმერეთიდან ცუდა-ნაბადი და მოსკოვს დამკვიდრებულიყო. არჩილის სასახლეში ნახა, ალბათ, მეფის უახლოესმა ნათესავმა ნიკოლოზ თბილელმა აბუსერისძე ტბელის ხელნაწერი, რომელიც „მეფე არჩილს გელათიდამ წამოელო რუსეთსა“—როგორც ნიკოლოზი წერს.

მაშასადამე, რუსეთის პერიოდი განისაზღვრება 1699-1730 წლებით. თუ როდის დაბრუნდა ხელნაწერი სამშობლოში არ ჩანს. ვფიქრობთ, ეს მოხდა XVIII ს. შუა წლებში.

მეხუთე, 1843 წელს აბუსერისძე ტბელის ხელნაწერი კვლავ საქართველოშია, სვეტიცხოველში. ამ წელს იგი უნახავს აკად. მარი ბროსეს. იგი წერს: ამ ხელნაწერის სარგებლობის უფლება მივიღე ჯერ 1843 წ., შემდეგ კი 1865 წ.! მაგრამ როდის დაბრუნდა ხელნაწერი საქართველოში, კონკრეტულად არ ჩანს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ XVIII ს.. 60-იან წლებში ხელნაწერი საქართველოშია.

ჩვენი მწერლობის ისტორიაში კარგად ცნობილმა ანტონ პირველმა კათალიკოსმა რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ (1764 წ.) დაიწყო ფართო გეგმით მუშაობა. 1768-1769 წწ. მან ორი ვეებერთელა წიგნი დაწერა, რომელთაგან ამჯერად უნდა დავასახელოთ „წყობილსიტყვაობა“. ეს არის ქართული კულტურისა და მწერლობის მიმოხილვის პირველი ცდა ჩვენში. იგი, როგორც ვთქვით, შეადგინა 1768 წელს, როგორც ეს S—346 ხელნაწერის ანდერძიდან ჩანს: „წიგნი წყობილსიტყუაობა, ესე იგი განზომილისიტყუაობა ბრძენთათჳს კეთილ შესაქცევი [თქმული]...დასაბამითგან სოფლისა 7276, ჴორციელით შობითგან სიტყჳსა ღმრთისა 1768, თთუჱსა მეოთხესა.“[2]

„წყობილსიტყვაობაში“ ანტონს სხვა ავტორების გვერდით შეყვანილი ჰყავს არსენ ბულმაისიმისძე, ქართლის კათალიკოსი, და საბა სვინგელო'ხი. მათდამი მიძღვნილ იამბიკოებში ვკითხულობთ, არსენისადმი:

„არსენი სურჳლს ვარდანის, აბუსერის
სრულმყოფი, ჰგალობს ქრისტეს ხატის მიმართ
ნივთისა კეცის ვერ სათქმოდ დაბეჭდულის
მაღალი ფრას-რიტორ, ჰსძნობს. ღუთის-მეტყუჱლელ ადრე,
მგზავნი გელათით, აბუსერ მთავრისადმი“.[3]

საბა სვინგელოსის მიმართ:

„საბასგან ქმნილი ვნახენ კანონი რამე,
ხელით-უქმნელის ხატისთჳს ძნობილი

---

[1] Etudes de chronoloqie technigue par M. Brosset, St-Petersbourg, 1868, გვ. 22.

[2] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S კოლექცია. ტ. I, ელ. მეტრეველის რედაქციით, 1959 წ., გვ. 400. ამ ანდერძის მოტანა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ S-1 ხელნაწერი, ასევე წყობილსიტყვაობის ნუსხა, დათარიღებულია 1745 წლით. 1745 წ. შეცდომაა და იგი ანგარიშგასაწევი არაა. წყობილსიტყვაობა გამოცემულია სამჯერ, პლ. იოსელიანის, რ. ბარამიძის და ივ. ლოლაშვილის მიერ.

[3] პლ. იოსელიანის გამოცემაში ეს ბოლო სტრიქონი დაბეჭდილი არ არის. იხ. გვ. 214.

მეკეთა ფრასი, განმიკჯრდა შენაქსვი
ფილოსოფოსებრ, გარნა არა მარტივ, ძნელ,
პიიტიკებრი, საქები უცხო გუარი".

დამოწმებული სტრიქონები ეჭვს არ ტოვებენ, რომ მათ დამწერს ხელთ ეპყრა აბუსერისძე ტბელის კრებული. ანტონი პირდაპირ ასახელებს არსენის წერილს აბუსერისადმი, რომელიც მხოლოდ ამ კრებულშია დაცული. ასევე საბა სვინგელოზის ჰიმნოგრაფიული კანონიც მხოლოდ A-85-შია დაცული. ისიც ცნობილი ფაქტია, რომ ანტონმა „წყობილსიტყვაობა" საქართველოში დაწერა. მაშასადამე, აბუსერისძე ტბელის კრებული 1768 წელს საქართველოშია, ცხადია, სვეტიცხოველში. თუ ყველაფერს შევაჯამებთ, ასეთ სურათს მივიღებთ:

1233 წლიდან XV საუკ. დამდეგამდე ხელნაწერი ხიხანშია.

XV საუკუნიდან ვიდრე XVI საუკუნის 40-იან წლებამდე ხელნაწერი საფარაშია.

XVI საუკ. 40-იანი წლებიდან XVII საუკ. მიწურულამდე ხელნაწერი გელათშია.

1699 წლიდან XVIII საუკ. შუა წლებამდე ხელნაწერი მოსკოვშია.

XVIII საუკ. 60-იანი წლებიდან ხელნაწერი მცხეთაშია, სვეტიცხოველში,[1] საიდანაც იგი XIX საუკუნის 90-იან წლებში მოხვდა საეკლესიო მუზეუმში A-85 ნომრით; დღეს ინახება კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში.

არსებული ცნობების მიხედვით ასე წარმოგვიდგება აბუსერისძე ტბელის ხელნაწერი კრებულის ისტორია.

---

[1] 1775 წელს ამბროსი ნეკრესელი საქართველოში „პალატსა საპატრიარხოსა" იწერს A-85-დან „ქრონიკონის" ნაწილს. იხ. ხელნაწერი H-987.

ტექსტისათვის

